63.3 (2r)
947.922 (075.8)
s 871

ISBN 99940-26-01-1

პირველი ნაწილი

I თავი

პირველყოფილი-თემური წყობილება საქართველოში

ძველი ქვის ხანა

1. წინაგვაროვნული საზოგადოება. საქართველოში ადამიანი დასახლებულა საკმაოდ ადრე, დაახლოებით 1,7-1,8 მლნ წლის წინათ. ეს გაირკვა უკანასკნელ წლებში საქართველოში ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად.

თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 90 კმ-ზე, მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან, გაქვავებული ვულკანური ლავისგან წარმოქმნილ პლატოზე, მდებარეობს შუა საუკუნეების ნაქალაქარი დ მ ა ნ ი ს ი. მისი არქეოლოგიური შესწავლა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. ამ ნაქალაქარის ქვეშ, გაქვავებული ლავის ზედაპირთან ახლოს, აღმოჩნდა სხვადასხვა ცხოველის ძვლები და უმარტივესი ქვის იარაღები. გაირკვა, რომ ეს ძვლები ეკუთვნოდა დაახლოებით 1,5-2 მლნ წლის წინათ გადაშენებულ ისეთ ცხოველებს, როგორიც იყო სამხრეთული სპილო, გარეული ცხენი, ე.წ. ეტრუსკული მარტორქა და გიგანტური სირაქლემა. აღმოჩნდა სხვა ცხოველების (მგელი, დათვი, ირემი, შველი და ა.შ.) ძვლებიც. თვითონ ვულკანური ლავა და ფერფლი მეცნიერებმა დაახლოებით ორი მილიონი წლით დაათარიღეს. მასზე ფენებად განლაგებულ მიწის დანალექებში, აღნიშნული ცხოველების ძვლებთან ერთად, აღმოჩნდა პირველყოფილი ადამიანის ქვის იარაღები, ხოლო 1991 წ. მიაკვლიეს უძველესი ადამიანის ქვედა ყბას კბილებითურთ. შემდგომ წლებში აქვე აღმოჩნდა კიდევ რამდენიმე თავის ქალა, ქვედა ყბა და წვივის ძვალი, რომლებიც მოზრდილ მამაკაცსა და ქალს ეკუთვნოდა. ეს არის პირველყოფილი ადამიანის ყველაზე ძველი ნაშთი, რაც კი დღემდე ცნობილია ევროპისა და აზიის კონტინენტზე. როგორც ჩანს, საქართველოდანვე განსახლდა ადამიანი როგორც აზიის მიმართულებით, ასევე დასავლეთ ევროპამიც.

დმანისში აღმოჩენილი ჰომინიდი ჯერ კიდევ არ იყო თანამედროვე ტიპის ადამიანი. მისი თავის ქალაც შედარებით მცირე მოცულობისა იყო და გარეგნულადაც ბევრი ცხოველური ნიშანი ჰქონდა. ამ ადამიანს შეეძლო მხოლოდ უმარტივესი ქვისა და სის იარაღების დამზადება. რიყის ქვას მეორე ქვის დარ-

დმანისში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის თაეის ქალები.

ტყმით ჩამოატეხდა ნაპირს და ეს პირწამახული ქვა მისთეის იყო ხელცულიცა და საჩესი იარაღიც. წაწვეტებულ ხის ტოტს იეი იყენებდა მიწის საჩიჩქნად, იქიდან საკვებად გამოსადეგი ფესვებისა და ძირხვენა მცენარეთა ბოლქვების ამოსაღებად. ასეთი მარტიეი იარაღებით პირველყოფილ ადამიანს ცალკე, სხვა ადამიანებთან კავშირის გარეშე, არ შეეძლო არსებობა, ამიტომ იეი იმთავითვე ჯგუფებად ცხოვრობდა.

20-30 კაცისაგან შემდგარი პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფები დაეხეტებოდნენ ტყე-ღრეში და ერთად მოიპოვებდნენ საკვებს. ჯგუფებად ადამიანს შეეძლო ნადირობა ისეთ დიდ ცხოველებზეც კი, რომლებიც ზემოთ დაეასახელეთ და რომელთა ძვლებიც ადამიანის იარაღებთან და ნაშთთან ერთად აღმოჩნდა. ჯგუფებად ცხოვრებით ადამიანი თავსაც ადვილად იცავდა საშიში და ძლიერი მტაცებელი ცხოველებისაგან.

ეს უძველესი ადამიანები ცხოვრობდნენ ბუნებრივ მღვიმეებსა და ეხებში, ანდა ხის ტოტებისა და ფოთლებისაგან აგებდნენ ქოხებს, რომლებსაც ცხოველების ტყავსაც აფარებდნენ.

ასეთი ნაბინარები და ამ უძველესი პერიოდის ქვის იარაღები საქართველოში ბევრგანაა აღმოჩენილი. მაგალითად, გარდა აღნიშნული დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიისა, უძველესი ხანის ქვის იარაღები აღმოჩნდა ფ ა რ ა ე ნ ი ს ტბასთან, ჭ ი ქ ი ა ნ ი ს მთაზე. არქეოლოგებმა ქ. სოხუმის მახლობლად, მთა ი ა შ თ ხ ვ ა ს კალთებზე, დიდძალ ასეთ მარტივად დამუშავებულ ქვის იარაღებს მიაკვლიეს. ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა, აგრეთვე, სოფ. რ უ ხ თ ა ნ (ზუგდიდის რაიონი), კ ა ც ხ შ ი (საქორია, ჭიათურის რაიონი), შიდა ქართლში (ლ ა შ ე ბ ა ლ თ ა), სოფ. ზ ი ა რ თ ა ნ (კახეთში) და სხვ.

ადამიანი ამ დროს მაღალმთიან ადგილებშიც ცხოვრობდა. მაგალითად, ამ პერიოდის ადამიანის ნაკვალევი აღმოჩენილია მდ. ჯეჯორასა და ყვირილას სათავეებთან მდებარე კ უ დ ა რ ო ს ა და წ ო ნ ა ს მღვიმეებში.

როგორც ვიცით, მეცნიერები ამ ხანას ძ ვ ე ლ ი ქ ვ ი ს ხ ა ნ ა ს ანუ პ ა ლ ე ო ლ ი თ ს[1] უწოდებენ. ეს ყველაზე ხანგრძლიეი პერიოდია საზოგა-

1 ტერმინი პ ა ლ ე ო ლ ი თ ი წარმოდგება ორი ბერძნული სიტყვისაგან: პალაიოს - ძველი და ლითოს - ქვა.



ქვედა პალეოლითური ქვის ხელცული წონას მღვიმედან.

დოების ისტორიაში, ამიტომ მას რამდენიმე ეტაპად ყოფენ: ქვედა, შუა და ზედა პალეოლითად. აღნიშნული არქეოლოგიური ძეგლების დიდი ნაწილი ქვედა პალეოლითს განეკუთვნება, როდესაც ადამიანები ჯერ კიდევ პირველყოფილ ჯგუფებად ცხოვრობდნენ. რაიმე ნათესაური გაერთიანება მაშინ არ არსებობდა. თანდათან ეს გაერთიანებანი უფრო მყარ ხასიათს იძენს.

ადამიანმა ისწავლა ცეცხლის გამოყენებაც. ბანაკში თუ მღვიმეში დანთებული ცეცხლი კიდევ უფრო აახლოებდა ერთმანეთთან პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფის წევრებს. იარაღის გაუმჯობესებითა და ცეცხლის გამოყენებით პირველყოფილი ადამიანი შედარებით ადვილად იცავდა თავს მტაცებელი ცხოველებისაგან, მეტი წარმატებით ნადირობდა და სისტემატურად იკვებებოდა ხორცეულით. ხორცს იგი უკვე ცეცხლზე წვავდა. ეს კიდევ უფრო უწყობდა ხელს მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. იარაღის წინასწარგანზრახული დამზადება, სხვა ადამიანებთან ერთად ცხოვრება და შრომა მას უვითარებდა ცნობიერებასა და მეტყველებას.

2. გვიანროვნული საზოგადოების წარმოშობა. ასეულ ათასობით წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებითა და შრომითი ჩვევების გამომუშავებით ადამიანი სულ უფრო და უფრო სრულყოფდა თავის იარაღს. კაჟისა და ობსიდიანისაგან იგი მრავალფეროვან იარაღს: დანებს, საფხეკებს, საჭრისებსა თუ სასვრეტებს ამზადებდა. ასევე უკეთესად ამუშავებდა ძვალსა და რქას. ბოლოდამწვარ ჯოხთან ან ქვით გათლილ მარგილთან ერთად პირველყოფილი ადამიანი მიწის სათხრელად იყენებდა წაწვეტებულ ძვალსა და რქას. ასეთი მარტივი იარაღით მოიპოვებდა საკვებად გამოსადეგ ძირხვენა მცენარეულს, მატლებს, ქვეწარმავლებს. მან ისწავლა ქვის პირის ან წაწვეტებული ძვლის დამაგრება ხის ტარზე. ასეთი შუბითა თუ სათხრელი იარაღით იგი უფრო წარმატებით ნადირობდა, აგროვებდა მცენარეების ფესვებსა და ბოლქვებს, უფრო უკეთ იცავდა თავს მტაცებელი ცხოველებისაგან. ბოლოს, ადამიანმა

მდ. ჯრუჭულას ხეობა. პირდაპირ მოჩანს მღვიმეებში შესასვლელები.

გამოიგონა საკყორცნი იარაღი - მშვილდ-ისარი; ქვის იარაღებს მისცა უფრო დასვეწილი და სრულყოფილი ფორმები.

ქვის იარაღის ასეთი გაუმჯობესების ხანას არქეოლოგები ძველი ქვის სანის (პალეოლითის) ზედა საფეხურად გამოყოფენ. ეს პერიოდი დაიწყო დაახლოებით 35 ათასი წლის წინ. იარაღის გაუმჯობესებამ და მრავალფეროვნებამ ადამიანი უფრო ძლიერი გახადა ბუნებასთან ბრძოლაში; ხელი შეუწყო შეგროვებითი მეურნეობის, ნადირობისა და თევზჭერის განვითარებას. ადამიანთა ჯგუფები უფრო ხანგრძლივად სახლდებოდნენ ერთ ადგილზე. ამასთანავე, ამ დროს დაწყებული გამყინვარების შედეგად საქართველოში საგრძნობლად აცივდა. ადამიანი იძულებული იყო ტყავისაგან დამზადებული ტანსაცმელი გამოეყენებინა. იგი მაღალმთიან ადგილებში ვეღარ ცხოვრობდა და დაბლობში ჩამოდიოდა. იმ პირობებში ღია ცის ქვეშ ცხოვრებაც ძნელი გასდა და პალეოლითელმა ადამიანმა ბუნებრივ მღვიმეებს, ეხებს, ფარდულებს შეაფარა თავი. ასეთი მღვიმეები და ნაბინარები საქართველოში ბევრგანაა მიკვლეული.

ხარაგაულის რაიონში, მდ. ჩხერიმელას ხეობაში, მაღალი კლდის ფერდობზე მდებარეობს მღვიმე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დ ე ვ ი ს ს ვ რ ე ლ ს უწოდებს. აქ ცნობილმა არქეოლოგმა გიორგი ნიორაძემ, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის დიდძალ ქვის იარაღს მიაკვლია. როგორც გაირკვა, აქ ხანგრძლივად უცხოვრია პირველყოფილ ადამიანს. მიწის ქვეშ იყო მოქცეული არა მხოლოდ ქვის იარაღი, არამედ ამ უძველესი ადამიანის მიერ ნადირობისას დახოცილი ცხოველების ძვლები, მის მიერ დამზადებული სხვადასხვა ნივთი.

უფრო მეტი არქეოლოგიური მასალა (ქვის იარაღი, ძვლები და სხვ.) აღმოჩნდა ს ა კ ა ვ ი ა ს მღვიმეში, ასევე ს ა გ ვ ა რ ჯ ი ლ ე ს მღვიმეში (თერჯოლის რაიონი). ბევრ ასეთ მღვიმეს მიაკვლიეს და შეისწავლეს არქეოლოგებმა მდ. ჯ რ უ ჭ უ ლ ა ს (ჭიათურის რაიონი) ხეობაში. მღვიმეებს გარ-

შუა პალეოლითის ხანის ქვის წვეტანები ჯრუჭულას მღვიმედან.

და, ამ პერიოდის ადამიანის მიერ აგებული მიწურების ნაშთი და ნასადგომები მიკვლეულია მდ. ენგურის პირას და სხვ.

დიდი ცვლილება განიცადა ადამიანთა საზოგადოებრივმა ურთიერთობამაც. ხანგრძლივად ერთ ადგილზე დასახლებამ, კოლექტიეის წევრებს შორის შრომის განაწილების აუცილებლობამ ხელი შეუწყო ადამიანთა შორის ახლო ურთიერთობისა და კავშირის განმტკიცებას, ადამიანთა უფრო მყარი ჯგუფების შექმნას. თანდათან ასეთ ჯგუფებში მხოლოდ ერთმანეთის სისხლით მონათესავე ადამიანები იყრიდნენ თავს.

მაშინდელი ადამიანის ცნობიერებით ნათესაობა მხოლოდ დედის ხაზით შეიძლებოდა განსაზღვრულიყო, თანაც შეგროვებით მეურნეობაში წამყვანი როლი ქალს ეკუთვნოდა. ამიტომ ქალს, დედამთავარსა და დედამშობელს, ერთ ნათესაობაში გაერთიანებული ადამიანთა ეს ჯგუფი, ანუ გვარი, დიდპატივს სცემდა. დედამთავარი (დიასახლისი) იყო გვარის ხელმძღვანელი და მის წევრთა საქმიანობის განმანაწილებელი. ასეთ გვარებს, სადაც წამყვანი როლი ქალს ეკუთვნოდა, მატრიარქალური ანუ დედამთავრული გვარი ეწოდება, ხოლო ეპოქას - მატრიარქალური ხანა.

ზედა პალეოლითის დროსვე წარმოიშვნენ ტომები. გამრავლებული გვარები ასალ გვარებად იყოფოდნენ, მაგრამ ისინი ერთმანეთთან ურთიერთობას არ წყვეტდნენ. ასეთი მონათესავე გვარები ქმნიდნენ ერთ თემს. საქართველოს ტერიტორიაზე, მისი თავისებური გეოგრაფიული პირობების გამო, ჩვეულებრივ, ერთი თემი ერთ ხევში იყო განსახლებული. რამდენიმე მეზობელი თემის გაერთიანება უკვე ტომს შეადგენდა. ტომში შემავალი თემებისა და გვარების ზნე-ჩვეულება, რელიგიური წარმოდგენა, სალაპარაკო ენა ძირითადად ერთნაირი იყო.

3. პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება, რწმენა-წარმოდგენები და ხელოვნება. პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრების პირობები მეტად მძიმე იყო. მას სასტიკი ბრძოლა უხდებოდა თავის გასატანად. ხშირად იგი

მშიერ-მწყურვალი დაეხეტებოდა ტყე-ღრეში და ყოველთვის როდი ახერხებდა საკვების მოპოვებასა და დანაყრებას. ადამიანთა ჯგუფს ხელს დარევდა ხოლმე ავადმყოფობაც. ისინი მასობრივად იღუპებოდნენ ძლიერ მტაცებელ ცხოველებთან შეჯახებისას და ა. შ. ამიტომ პირველყოფილი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 20-30 წელს არ აღემატებოდა. მაგრამ ადამიანს, სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით, ერთი დიდი უპირატესობა გააჩნდა - იგი იყო გონიერი, მოაზროვნე არსება და მისი გონება სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა. მხოლოდ მას შეეძლო ყოველდღიური ცალკეული კონკრეტული ფაქტებიდან შეექმნა განზოგადებული წარმოდგენა. მისი გონება უკვე ცდილობდა არა მარტო შეეცნო და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ესა თუ ის მოვლენა, არამედ აესხსნა კიდეც მათი წარმომაელობა. უძველესი ადამიანი ამჩნევდა, რომ ზოგი ბუნებრივი მოვლენა მისთვის სასარგებლო იყო, ზოგი კი, პირიქით, - საზიანო. მისი წარმოდგენით, გარემომცველი ბუნება დასახლებული იყო კეთილი და ბოროტი ძალებით ანუ სულებით. ადამიანი ცდილობდა მათზე ზემოქმედება მოეხდინა: კეთილი სულისათვის პატივი ეცა, ბოროტი კი შეეშინებინა ..ნ მისი გული როგორმე მოეგო. პირველყოფილი ადამიანი თაყვანს სცემდა ბ..ნების მოვლენებს, ფრინველებს, ცხოველებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის ცხოვრებაში.

უმარტივესი რელიგიური წარმოდგენები უკვე ქვედა პალეოლითის დროიდან ჩნდება. მაგალითად, ზემოთ აღნიშნულ კ უ დ ა რ ო ს მღვიმის საკმაოდ ძველ ფენებში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ერთმანეთის პირისპირ დაწყობილი დათვისა და ირმის თავის ქალები. მათი განლაგება მოწმობს, რომ ისინი შემთხვევით კი არ იყო ასე დაწყობილი, არამედ რაღაც დანიშნულებით. ალბათ, ადამიანი ფიქრობდა, რომ ამით გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენდა ამ ცხოველთა სულებზე.

სოფელ ც უ ც ხ ვ ა თ თ ა ნ , ერთ-ერთ მცირე ზომის გამოქვაბულში, აღმოჩნდა დიდი რაოდენობით მღვიმის დათვის თავის ქალები, მაგრამ არც ერთ მათგანს ქვედა ყბა არ ჰქონდა. აქვე აღმოჩნდა, აგრეთვე, გარკვეული წესით დაწყობილი ბიზონის, ირმისა და სხვა ცხოველების ლულოვანი ძვლები. მეცნიერები ფიქრობენ, რომ აქ უკვე რაღაც რელიგიური რიტუალი იყო შესრულებული. როგორც ჩანს, პირველყოფილ ადამიანს ეს ცხოველები ზებუნებრივი ძალებისათვის შეუწირავს და, რადგანაც მათი თავის ქალები და ძვლები გარკვეული წესრიგით განულაგებია, უეჭველია, ამისთვის რაღაც მაგიური მნიშვნელობა მიუნიჭებია.

ზედა პალეოლითში ადამიანს უკვე უჩნდება წარმოდგენა სულებით დასახლებულ იმიერ სამყაროზე; ზრუნავს მიცვალებულებზე და სამარხებში კრძალავს მათ; აღიარებს კულტს, ღმერთებს; ქმნის მითებსა და თქმულებებს.

პალეოლითის დროიდანვეა შემორჩენილი პირველყოფილი ხელოვნების ნიმუშებიც. ადამიანი მეტისმეტად პრიმიტიულად ხატავდა, ძერწავდა, აქანდაკებდა მის გარემომცველ საგნებსა თუ ცხოველებს. ამას იგი გარკვეულ რელიგიურ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ აკეთებდა სილამაზის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც. იმდროინდელი ადამიანი ამზადებდა სამკაულს, მო-



საგვარჯილეს გამოქვაბულში აღმოჩენილი ძელის ფირფიტებისა და ზღვის ნიჟარებისაგან დამზადებული სამკაულები (ზედა პალეოლითი).

სართაველს, მარგივი ორნამენტებით ამკობდა თავის ნივთებს. მაგალითად, პალეოლითის ადამიანის ნასადგომებში აღმოჩენილია ძვლის თხელი ფირფიტებისაგან დამზადებული გულსაკიდები, ზოგჯერ ისინი დაკუთხული ნახაზებითაა შემკული. საგვარჯილეს გამოქვაბულში აღმოჩნდა ძვლის მოგრძო ნატეხისაგან გამოქანდაკებული თევზის ფიგურა, რომელსაც ზედა პალეოლითელი ადამიანი გულზე იკიდებდა, ალბათ, თევზაობისას, როგორც ავგაროზს.აქვე აღმოჩნდა ზღვის ლოკოკინების გახვრეტილი ნიჟარები, რომლებსაც პირველყოფილი ადამიანი სამკაულად იყენებდა.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ. ᲨᲣᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲕᲘᲡ ᲮᲐᲜᲐ

1. შუა ქვის ხანა (მეზოლითი). ზედა პალეოლითელი ადამიანი როგორც გარეგნულად, ისე გონებრივი შესაძლებლობით უკვე ნაკლებად განსხვავდებოდა თანამედროვე ადამიანისაგან. მან შესამჩნევად სრულყო შრომის იარაღების დამზადების ტექნიკა. ქვისა და ძვლისგან დამზადებული იარაღი უფრო მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი გახდა. შეიმჩნევა ბევრი სიახლეც. იმდროინდელი იარაღების დიდი ნაწილი უფრო მცირე ზომისა და გეომეტრიული

მოყვანილობისაა. მაგალითად, ზოგი სამკუთსედის ფორმისაა, ზოგი ოთხკუთ-სედის, ზოგიც ტრაპეციისა და ა. შ. ასეთი მცირე ზომის ქვის მჭრელპირიანი ფირფიტები (მიკროლითები) გამოიყენებოდა როგორც სეგმენტები, ნაწილები ჩასართავი იარაღისათვის. მათ ამაგრებდნენ ცხოველების ქვედა ყბის ძვალში ან სპეციალურად დამზადებულ ხის ჩარჩოში და ასეთი გზით იღებდნენ თავიანთთვის საჭირო კომბინირებულ იარაღს, მაგალითად, დასას, ნამგალს. ნამგალი მათ სჭირდებოდათ ველური მარცელეული მცენარეების თავთავების მოსამკელად. რა თქმა უნდა, ადამიანი ხმარობდა ქვის უფრო დიდი ზომის ცულებს, ღანებს, საჭრისებსა და სხვა იარაღებსაც, მაგრამ მათ იგი გაცილებით უკეთესად ამზადებდა. ასევე ამზადებდა და ფართოდ იყენებდა ქვისა და ძელის შუბის პირებს, ისრის წვერებს. ამ პერიოდს მეცნიერები თვლიან გარდამავალ სანად ძველი ქვის სანიდან ახალი ქვის სანაზე და უწოდებენ შუა ქვის ხანას ანუ მ ე ზ ო ლ ი თ ს (ბერძნული სიტყვებიდან - მეზოს - შუა და ლითოს - ქვა).

მეზოლითი საქართველოში დაიწყო დაახლოებით 14 ათასი წლის წინ და გრძელდებოდა თითქმის 4 ათას წელიწადს. ამ დროს ბუნებრივი პირობები შესამჩნევად გაუმჯობესდა. ზომიერად თბილი ჰაეა ხელს უწყობდა მოსახლეობის ფართოდ განსახლებას. მეზოლითელი ადამიანის ნასადგომები გვხვდება არა მხოლოდ მღვიმეებსა და გამოქვაბულებში, არამედ ღია ადგილებშიც, ძირითადად მდინარეების ხეობებში. მდინარეები ადამიანებს უზრუნველყოფდა სასმელი წყლითა და თევზით. რა თქმა უნდა, ადამიანი თევზაობასთან ერთად ნადირობდა კიდეც. ნადირობა, ისევე, როგორც მცენარეული საკვების შეგროვება, ჯერ კიდევ მის მთავარ საქმიანობად რჩებოდა.

მდ. პატარა ხრამის ხეობაში მეზოლითის ხანის მშვილდოსანი ადამიანისა და ცხოველების გამოსახულება კლდეზე (პეტროგლიფი).

ამ ცოტა ხნის წინ თრიალეთში, მდ. პატარა ხრამის სეობაში (წალკის რაიონი), მაღალ კლდეზე, ბუნებრივ მღვიმეებს შორის, აღმოჩნდა პირველყოფილი ადამიანის ნახატები. გაშიშვლებული კლდის ზედაპირზე ამოკაწრული იყო მშვილდოსანი ადამიანისა და ცალკეული ცხოველების: ირმების, ცხენების, აქლემების, გველებისა და ფრინველების გამოსახულებანი. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს ნახატები (პეტროგლიფები) შესრულებული უნდა იყოს გვიან პალეოლითსა და მეზოლითში. ისინი თვალნათლივ გვიჩვენებენ იმ პერიოდის ადამიანის საქმიანობას, ნადირობასა და სანადირო იარაღებს: მშვილდ-ისარს, შუბს და სხვ.

2. ახალი ქვის ხანა (ნეოლითი). დაახლოებით 10 ათასი წლის წინათ ქვის დამზადების ტექნიკაში დიდი გარდატეხა მოხდა. ადამიანმა ისწავლა ქვის გასესვა, გაპრიალება, სერსვა, გასერეტა. ასეთი იარაღი გაცილებით უფრო მოსასერსებელი იყო სანადიროდ და სამუშაოდ. ასლებურად დამუშავებული ქვის იარაღის მიხედვით ამ ხანას ა ხ ა ლ ი ქ ვ ი ს ხ ა ნ ა ანუ ნ ე ო ლ ი თ ი ეწოდება. სრულყოფილებამდე დაიხვეწა ძვლისა და რქისგან დამზადებული იარაღებიც.

დიდი ძვრები მოსდა მეურნეობაშიც. თუ მანამდე ადამიანი მსოლოდ შემგროვებელი და მონადირე იყო, ნეოლითში მან დაიწყო საკვებად გამოსადეგი მცენარეების ხელოვნურად გაშენება, ცხოველების მოშინაურება და მოვლა-გამრავლება, ე. ი. საფუძველი ჩაუყარა მარტივ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას - ადამიანი გახდა მწარმოებელი. ეს იმდენად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო მეურნეობის განვითარებაში, რომ მას მეცნიერები „ ნ ე ო ლ ი თ ურ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს“ უწოდებენ.



ნეოლითის ხანის ქვის ცულები და სხვა იარაღები ხრამის დიდი გორაღან.



ძელისგან დამზადებული იარაღები ხრამის დიდ გორადან.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასია ითვლება მთელი რიგი მცენარეების გაკულტურების უძველეს კერად. მაგალითად, დადგენილია, რომ მთელ მსოფლიოში არსად მოიპოვება ხორბლეულის იმდენი ველური ჯიში, რამდენიც დღეანდელ ამიერკავკასიაში. საქართველოში შემორჩენილია ისეთი უძველესი ჯიშის ხორბლეული, როგორიც არის მახა და ზანდური. ეს ჯიშები გარდამავალი საფეხურია ველურ პურეულ მცენარეებსა და ხორბლეულის თანამედროვე კულტურულ ჯიშებს შორის. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ სწორედ საქართველო და მისი მეზობელი ტერიტორიაა პურეული მცენარეების მოშენებისა და მიწათმოქმედების დაწყების კერა. დასავლეთ საქართველოში ადამიანმა მოაშენა გარეული ღომიც, რაც იქ ძირითად საკვებ კულტურად დარჩა თვით გვიან შუა საუკუნეებამდე.

ნეოლითის ბოლოსათვის უკვე ყალიბდება ბინადარი (ერთ ადგილზე მყარად, მუდმივად მცხოვრები) ადრესამიწათმოქმედო დასახლებანი. საქართველოს მოსახლეობა ამ პერიოდში ძირითადად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდა.

მიწათმოქმედების განვითარებას ადასტურებს ქვის, ძვლისა და რქისგან დამზადებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამიწათმოქმედო იარაღები. ნეოლითურ ნამოსახლარებზე აღმოჩნდა თოხისებრი, წერაქვისებრი, სახნისისებრი მაკროლითები, ე. ი. დიდი ზომის ქვის იარაღები, რომლებზეც შესაძლებელი იყო ხის ტარის დამაგრება. ასევე სამკალი დანებისა და ნამგლების ჩასართავი მცირე ზომის ქვის მჭრელი ფირფიტები (მიკროლითები). განსაკუთრებით აღსანიშნავია ქვის ხელსაფქვავების აღმოჩენა, რასაც მოწეული მარცვლეულის დასაფქვავად იყენებდნენ.

მესაქონლეობის განვითარება და რძის პროდუქტების დამზადება, ასევე სოფლის მეურნეობის მოსაელის შენასვის აუცილებლობა მოითხოვდა სათანადო ჭურჭლის გამოყენებას. ადამიანმა ისწავლა თიხის ჭურჭლის დამზადება, კალათების მოწვნა, მატყლის რთვა, ქსოვა და სსვ. თიხის ჭურჭლის დამზადება ანუ კერამიკული წარმოება (მეთუნეობა) პირველყოფილი ადამიანის ერთ-ერთი შესანიშნაეი მონაპოვარია. ჩვენში მეთუნეობამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. თიხის გამომწვარი ჭურჭელი ზოგჯერ ორნამენტებით იყო მორთული. ფოსოები და ირიბი ჭდეები, ტალღისებური, „წიწვისებური" და „თავთავისებური" სახეები, კოპისებური შვერილები ხშირად ამკობდა იმ დროს დამზადებულ თიხის ჭურჭელს.



ნეოლითის ხანის ხელით ნაძერწი თიხის ქოთანი კოპისებური შვერილებით. სოფ. არუხლო (ქვემო ქართლი).

საქართველოში ნეოლითური ძეგლები ძირითადად მის დასავლეთ ნაწილშია აღმოჩენილი. იმ დროის დასახლებანი განლაგებული იყო უმთავრესად მდინარეთა მაღალ ტერასებზე, ბუნებრივ ბორცვებზე, წყალგამყოფ ზეგნებზე ან მთისძირა ფერდობებზე. ნეოლითური ხანის არქეოლოგიური ძეგლები აღმოჩნდა აჭარაში (ხ უ ც უ ბ ა ნ ი, ქობულეთი), გურიაში (გ უ რ ი ა ნ თ ა), სამეგრელოში (ო დ ი შ ი, ქ. ზუგდიდთან), იმერეთში (დ ა რ კ ვ ე თ თ ა ნ, ყვირილას ხეობა), აფხაზეთში (კ ი ს ტ რ ი კ ი) და სხვ.

ლითონის გამოყენების დაწყება. ენეოლითი და აღრე ბრინჯაოს ხანა

1. ენეოლითი. აღრესამიწათმოქმედო მეურნეობის, მესაქონლეობისა და ხელოსნობის განვითარება. დაახლოებით ძვ. წ. VI ათასწლეულიდან საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანმა იარაღის დასამზადებლად, ქვასთან ერთად, ლითონის გამოყენებაც დაიწყო. როგორც ჩანს, ადამიანმა შემთხვევით მიაგნო თვითნაბად სპილენძს და მის თვისებებს გაეცნო. განსხვავებით ქვისგან, რომლის მხოლოდ გათლა, გახვსვა და გახვრეტა ხერხდებოდა, სპილენძის გამოჭედვა შეიძლებოდა. ამრიგად, მისგან უფრო მოსასერხებელი სამეურნეო და სანადირო იარაღი მზადდებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგან იყო სპილენძის მადანი, რომლის ძარღვები ხშირად თვით დედამიწის ზედაპირზე ამოდიოდა. ქართველთა წინაპარ ტომებს გარკვეული დამსახურება მიუძღვით ლითონის მეტალურგიის დაწყებაში, ათვისებასა და განვითარებაში. თვითნაბადი სახით ბუნებაში მოიპოვება ოქროც. ეს ლითონიც ადვილი დასამუშა-



ენეოლითის ხანის ძელისგან და რქისგან დამზადებული იარაღები.

ეებელია, მაგრამ იგი რბილი და გაცილებით უფრო იშვიათია. მისი შესანიშნავი სილამაზისა და ბრწყინვალების გამო ადამიანმა ადრევე დაიწყო ოქროსაგან სამკაულებისა და სხვა ნივთების დამზადება.

ლითონის ათვისების ამ ადრეულ ეტაპზე ძირითადი სამეურნეო იარაღი კვლავ ქვისგან, აგრეთვე ძელისა და ხისგან მზადდებოდა. ქვის იარაღი მაინც რჩებოდა ადამიანის ძირითად საწარმოო საშუალებად. ამიტომ ამ ხანას ს პ ი ლ ე ნ ძ - ქ ვ ი ს ანუ ე ნ ე ო ლ ი თ ი ს ხანას უწოდებენ.

ენეოლითის სანა გამოირჩეოა ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შესამჩნევი დაწინაურებით. მიწათმოქმედებაში ზოგან შეინიშნება ხელოვნური მორწყვაც. მიწის დასამუშავებლად უკვე იწყებენ მეტისმეტად პრიმიტიული (მაგალითად, ირმის რქისაგან დამზადებული) სახნავი იარაღის გამოყენებას. ამ სიახლეების შედეგად მეურნეობა უფრო შემოსავლიანი ხდება.

ამ დროს ადამიანი საცხოვრებლად ისევ იყენებს გამოქვაბულებს, მაგრამ, ბუნებრივი გამრავლების გამო, იგი იქ ვეღარ ეტევა და თვითონ აშენებს საცხოვრებელ სახლებს. სახლები იყო თიხითა და ალიზით ნაგები, მცირე ზომის, წრიული და ოვალური ფორმისა; ჰქონდა სათავსები. ამ საცხოვრებლის შიგნით ან მის გვერდით, თიხის კერიებში, მუდმივად ენთო ცეცხლი. ასეთი საცხოვრებლები არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე (შ უ ლ ა ვ ე რ ი ს გ ო რ ა, ი მ ი რ ი ს გ ო რ ა, ა რ უ ხ ლ ო, ხ რ ა მ ი ს დ ი დ ი გ ო რ ა და სხვ.).

რამდენიმე ათეული ასეთი სახლი ქმნიდა ერთ დასახლებას (სოფელს), რომელიც ძირითადად მომაღლო ადგილებზე, ბორცვებსა და გორაკებზე იყო განლაგებული. ეს გორაკები ზოგჯერ ხელოვნურადაც იყო წარმოქმნილი. ალი-



ენეოლითის ხანის ნამოსახლარი. ხრამის დიდი გორა.

ენეოლითის ხანის ნამოსახლარის რეკონსტრუქცია (ხრამის დიდი გორა).

ზისა და თიხის სახლები ადვილად ინგრეოდა და მათ ნანგრევებზე ახალ სახლებს აგებდნენ. ასე, ფენას ფენა ემატებოდა და, ერთ ადგილზე სანგრძლივი ცხოვრების შედეგად, ხელოვნური ბორცვი წარმოიქმნებოდა. ამას გარდა, გამრავლებული მოსახლეობა საცხოვრებლად მახლობელ ადგილებში და გორაკებზე გადადიოდა. ასეთი ადგილები და გორაკები დასახლებათა გარეკეულ ჯგუფს ქმნიდა, რომელიც გვაროვნულ-ტომობრივ ერთეულს წარმოადგენდა. ამ დასახლებათა ჯგუფის ცენტრად ხშირად ის თავდაპირველი გორა რჩებოდა, საიდანაც დაიწყო განსახლება. აქვე იყო მათი მთავარი სალოცავი, თავდასაცავად გამაგრებული ადგილი, აქვე იერიბებოდნენ თემის უხუცესები სათათბიროდ და სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად. სამიწათმოქმედო მეურნეობა ახლო მდებარე მიწებზე იყო გაშლილი. საქონელსაც ახლომახლო საძოვრებზე აძოვებდნენ, მწყემსებად ძირითადად მამაკაცები იყენენ.

საქონლის მომრავლებამ, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ლითონის იარაღის ცალკეული თემისა თუ გვარის ხელში დაგროვებამ, მათ შორის გაახშირა საომარი შეჯახებები. აუცილებელი გახდა დასახლებული ადგილების გამაგრება. საომარი შეჯახებები და კონფლიქტები გამოწვეული იყო უფრო მოსახერხებელი საცხოვრებელი ადგილების, პროდუქტების, საქონლისა თუ ლითონის იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით. საომარ შეჯახებებში უმთავრესად მამაკაცები მონაწილეობდნენ. ლითონსაც ისინი მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ. ასე რომ, მამაკაცის როლი გვარის ცხოვრებაში დღითიდღე იზრდებოდა. ამან გამოიწვია გვარისა და ტომის მმართველობაში მამაკაცის წინ წამოწევა. დედამთავრულმა გვარმა (მ ა ტ რ ი ა რ ქ ა ტ მ ა) ადგილი დაუთმო მამამთავრულ გვარს (პ ა ტ რ ი ა რ ქ ა ტ ს).

2. ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი საქართველოში. ძვ. წ. IV-III ათასწლეულის მიჯნაზე ქართველთა წინაპარმა ტომებმა უკვე ისწავლეს იარაღის მასალად ბრინჯაოს გამოყენება. ბრინჯაოს ღებულობდნენ ცეცხლზე გამდნარ სპილენძში სხვადასხვა ნივთიერების (კალის, დარიშხანის, ანთიმონის) შერევით. ამით ლითონი უფრო მაგრდებოდა. გამდნარ ბრინჯაოს ყალიბებში ასხამდნენ და ასეთი გზით საჭირო ფორმის იარაღს იღებდნენ. სამეურნეო და საბრძოლო იარაღის გაუმჯობესება სწრაფი ტემპით ხდებოდა. ამის მიხედვით



ქვაცხელები. ძვ. წ. IV-III ათასწლეულის დასახლების ნამთები
და საცხოვრებლის სქემატური რეკონსტრუქცია.

ბრინჯაოს ხანას მეცნიერები სამ პერიოდად ყოფენ: ადრე, შუა და გვიან ბრინჯაოს ხანად.

ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოსა და III ათასწლეულის I ნახევარში საქართველოსა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ადრეული ბრინჯაოს საკმაოდ მაღალი კულტურა, რაც მეცნიერებაში მტკვარ-არაქსის კულტურის სახელით არის ცნობილი. ეს კულტურა ფართოდ გავრცელდა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ წინა აზიის დიდ ნაწილშიც. ამ დროს საქართველოს საკმაოდ მჭიდროდ ჩანს დასახლებული. ამ კულტურის არეალი ლიხის მთის იქით-აც გადადიოდა და იმერეთის ზეგანსაც მოიცავდა. ძირითადი კერა მაინც შიდა ქართლი იყო, სადაც არქეოლოგებმა რამდენიმე ბრწყინვალე არქეოლოგიური ძეგლი შეისწავლეს, მაგალითად, ხიზანაანთ გორა და ქვაცხელები. იმ დროის დასახლებანი ძირითადად მდინარესთან ახლოს მდებარეობდა. დასასახლებლად ისევე ირჩევდნენ შემაღლებულ ადგილებს, ბორცვებს, წყალგამყოფ ქედებს ან გორაკებს, რომლებიც ბუნებრივად კარგად იყო დაცული და ხელოვნური თხრილებიც ჰქონდა შემოვლებული.

ასეთი დასახლების კარგი ნიმუშია ქვაცხელები, რომელიც განლაგებული იყო მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის მომაღლო ტერასაზე, სოფ. ურბნისის მახლობლად. სამი მხრიდან იგი, ფრიალო კლდოვანი კალთების გამო, ბუნებრივად მიუდგომელი იყო, ხოლო მეოთხე მხარეს თავდასაცავი თხრილით იყო გამაგრებული. საცხოვრებელი სახლები აქ ოთხკუთხა ფორმისაა, კუთხეებმომრგვალებული. ყველა სახლს წინ პატარა დერეფანი ჰქონდა. ოთახის ცენტრში თიხის მრგვალი კერა იყო. კედლები აგებული იყო მოწნული ლასტებისაგან, რომლებიც შემდეგ სქლად იყო თიხით შელესილი. გადახურვა ბრტყელი, ბანური იყო, რომელსაც კერის მახლობლად მდებარე დედაბოძი იმაგრებდა. უკანა კედლის გასწვრივ დაბალი თარო ჰქონდა გაკეთებული, რაზეც სხვადასხვა რიტუალური დანიშნულების ჭურჭელი ეწყო. როგორც ფიქრობენ, ოთახის ეს ნაწილი სპეციალურად სამლოცველოდ იყო მოწყობილი. ასეთი სახლები, ერთმანეთთან მიჯრით, მცირე ზომის მოედნებისა და ქუჩების გარშემო იყო განლაგებული. აქ აღმოჩნდა ბევრი ქვის, ძვლისა და რქის სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ხელით გამოძერწილი კერამიკული ჭურჭლის ნამთები, ასე-

ვე, შინაური ცხოველების მცირე ზომის თიხის ქანდაკებები. ყოველივე ეს მიუთითებს იმ დროს სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის განვითარებაზე.

უკვე დამოუკიდებელ დარგად ვითარდება ბრინჯაოს მეტალურგიაც. ცალ-ცალკე ხდება ლითონის მადნის მოპოვება და შემდეგ მისი გადამუშავება. ქვაცხელების ნასოფლარზე, ასევე სიზანაანთ გორაზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ცულების ჩამოსასხამი თიხის ყალიბები. ბრინჯაოსგან დამზადებული სამეურნეო და საბრძოლო იარაღები ნათლად მოწმობს ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეს.

ნასოფლარების მახლობლად აღმოჩენილია სამაროვნებიც. ამ დროიდანვე ჩნდება ყორღანული სამარხები - დიდი მიწაყრილები, რომლითაც დაფარული იყო ხოლმე ძირითადად კოლექტიური სამარხები.

3. ყოფა-ცხოვრება, სულიერი კულტურა. მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და მეტალურგიის განვითარება ამ პერიოდის საქართველოს მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაშიც აისახებოდა. როგორც დავინახეთ, ყველა საცხოვრებელ სახლს ცენტრში გამართული პქონდა დიდი, მრგვალი კერა, რომელშიც მუდმივი ცეცხლი ენთო. ეს კი ოჯახის კეთილდღეობასა და სიცოცხლისუნარიანობას განასახიერებდა. კერის თიხის შელესილობაში ხშირად პურის მარცვლები იყო ჩატანებული, რაც განაყოფიერების იდეას ასასაედა. როგორც ჩანს, ჩვენს წინაპრებს ნაკვერჩხლით გაღვივებული კერა მზის სიმბოლოდ ჰქონდათ წარმოდგენილი და მასვე უკავშირებდნენ ნაყოფიერების დედაღვთაების კულტს. ასეთ კერებს, ჩვეულებრივ, ზემოდან ედგა ნალისებური ფორმის მამაკაცის გამოსახულებიანი თიხის შესადგარები. მამაკაცის ამ გამოსახულებებს ხშირად თავზე ხარის რქებიც ჰქონდა. თუ მზის სახით უმაღლესი დედაღვთაება იყო გააზრებული, უმაღლეს მამაკაც ღვთაებად მთვარე მიაჩნდათ. ამ ძველი შეხედულების გადმონაშთი უნდა იყოს დღემდე შემორჩენილი ხალხური ლექსი:

„მზე დედაა ჩემი,
მთვარე - მამა ჩემი,
წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი".

ხალხურ ზღაპრებში მზე-ქალი და მთვარე-მამაკაცი უზენაესი ძალაუფლების მქონე ზებუნებრივ არსებებადაა წარმოდგენილი. მთვარის წმინდა ცხოველად ითვლებოდა ხარი, რომლის რქებიც მთვარის ფორმას აგონებდათ. ამიტომ არის, რომ ამ პერიოდის ნასახლარებში ხშირად პოულობენ ხარის გამოსახულებებს, ქანდაკებებს, ანდა ხარის რქიან თავებს. ხარი მიწათმოქმედების, მიწის განაყოფიერების კულტსაც განასასიერებდა.

განსხვავებული კულტურა ჩანს შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე) იმ დროიდან შემორჩენილია ქვის დიდი ზომის ნაგებობანი - დოლმენები. ისინი აგებულია ქვის დიდი ლოდებისაგან და ოთხკუთხედი ფორმისაა. კედლებიცა და სახურავიც



დოლმენი ეშერადან (აფხაზეთი). ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო და II ათასწლეულის დასაწყისი.

მთლიან ლოდებს წარმოადგენს. წინა კედელში დატანებულია ნასვრეტი, რომ-ლითაც ამ ქვის ყუთში შეპქონდათ მიცვალებულის ნეშტი. მიცვალებულს თან ატანდნენ სხვადასხვა ჭურჭელს` და ლითონის ნიეთებს.

შუა ბრინჯაოს ხანა.
ბრწყინვალე ყორღანული კულტურა

1. არქეოლოგიური აღმოჩენები თრიალეთში. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ცნობილმა არქეოლოგმა ბორის კუფტინმა სამხრეთ საქართველოში, თრიალეთის შეგანზე გათხარა რამდენიმე დიდი ზომის ყორღანი. აქ აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მასალამ მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ადრეული ბრინჯაოს ხანის ბოლოს საქართველ ოს ტერიტორიაზე ჩნდება ყორღანული ტიპის სამარხები, რომლებიც კოლექტიური, მთელი გვარის ერთობლივი სამარხები ·უნდა ყოფილიყო. თრიალეთში გათხრილი სამარხები კი ცალკეულ პირთათვის, ტომის თუ ტომთა კავშირების ბელადებისთვის იყო განკუთვნილი.

ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში ჯერ კიდევ არ იყვნენ ერთმანეთისადმი დაპირისპირებული (ანტაგონისტური) კლასები. გვარისა თუ ტომის წევრები თანასწორუფლებიანნი იყვნენ. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, როგორიც იყო, ომისა და ზავის საკითხი, ბელადის არჩევა, მძიმე დანაშაულისთვის სასჯელის გამოკანა და სხვ. - საერთო-სახალხო კრებაზე ხდებოდა. ყველა მამაკაცი გამოდიოდა საბრძოლველად და საერთო ღონისძიებების განსახორციელებლად. ასეთი საერთო ღონისძიება იყო, მაგალითად, გარდაცვლილი ბელადისთვის დიდი ყორღანული სამარხის აგება. ეს უკვე იმაზე მიუთითებს, რომ ტომის რიგითი წევრებიდან თანდათანობით გამოიყოფოდნენ ცალკეული პირები, რომლებიც სიცოცხლეშივე განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდნენ და გარდაცვალების შემდეგ დიდი ცერემონიალითა და პატივით იკრძალებოდნენ. ასეთი ყორღანული სამარხები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრიდან ·ფსგურდება.



ყორღანი სიოფელ მარტყოფთან. ძვ.წ. III ათასწლეულის მე-2 ნახევარი.

იგივე ყორღანი გათხრის შემდეგ. მისჩანს დასაკრძალავი დარბაზის ხის მორებიანი კედელი.

ყორღანები, ეს დიდი ხელოვნური მიწაყრილებია, რომელთა დიამეტრი ზოგჯერ ას მეტრს აღწევს, ხოლო სიმაღლე 10-15 მეტრს აღემატება. მიწაყრილის ქვეშ დიდი, ოთხკუთხა დარბაზული ნაგებობანია, რომელთა კედლები ხან ხის მორებით, ხან კი ქვით იყო ნაგები და გადახურული ხის დიდი ძელებით, რომლებიც ზოგჯერ ბოძებით იყო შემაგრებული. ზემოდან ნაგებობა გადალესილი იყო წყალგაუმტარი თიხით, რომელიც შემდეგ რიყის ქვის სქელი ფენით იფარებოდა. დასაკრძალავ დარბაზს ჰქონდა შესასვლელი კორიდორი, რომ-

თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილი ხის ურემი
(ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი).



ლომის სკულპტურული გამოსახულება (ოქრო) კახეთიდან. სადაც. ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო.

ლითაც მიცვალებული შეპყავდათ. მიცვალებული მდიდრულად მორთულ ხის ეტლზე იყო მოთავსებული.

კახეთში, ალაზნის ველზე გათხრილ ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა ლომის მინიატურული ქანდაკება (ოქრო), რომელიც ასეთი ეტლის მოსართაველად იყო განკუთვნილი. მიცვალებულს ან წვაედნენ და მის ფერფლს სპეციალურ ჭურჭელში ათავსებდნენ, ან მდიდრულად მორთულ ხის კუბოში ათავსებდნენ. ყორღანებში ბელადების ნეშტთან ერთად ზოგჯერ სხვა ადამიანების ჩონჩხებიც გვხვდება. ისინი მსხვერპლად შეწირული მსახურები იყვნენ, რომლებიც, მათი წარმოდგენით, საიქიო ცხოვრებაშიც უნდა მომსახურებოდნენ ამ, დიდი პატიოით დაკრძალულ, პირებს. ყორღანებში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭელი, რომლითაც საიქიოს შორეულ გზაზე მიმავალი ბელადისათვის საჭმელი იყო შეტანილი. აქვე იყო ჩაგანებული იარაღი, ძვირფასი ნივთები, სამკაულები. სამწუხაროდ, ყორღანები, როგორც წესი, იძარცვებოდა. მეცნიერებს მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილი ნივთებით შეუძლიათ მსჯელობა. განსაკუთრებით მდიდრულია ყორღანები ძვ. წ. II ათასწლეულიდან. ეს მიუთითებს ამ პერიოდის ტომთა ბელადების დიდ აღზევებასა და ტომის რიგითი წევრებიდან მკვეთრ გამოყოფაზე. ამ დროიდანვე ხდება ტომთა კავშირების შექმნა.

2. ტომთა კავშირების ჩამოყალიბება. სამხედრო შეჯახებების გახშირების გამო ერთობლივი თავდაცვისათვის, ანდა სხვა ტომებზე უპირატესობის მოპოვების მიზნით, ცალკეული ტომები ერთიანდებოდნენ ტომთა კავშირებად. ასეთი ტომთა კავშირები თავდაპირველად არ იყო ხანგრძლივი და მყარი. ტომები მხოლოდ მაშინ შეკავშირდებოდნენ ხოლმე, როდესაც განზრახული ჰქონდათ დიდი ლაშქრობის მოწყობა ან მტრის შემოსევის საფრთხე შეიქმნებოდა. ამის შემდეგ ასეთი კავშირები ისევ იშლებოდა. ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის გრანდიოზული ყორღანები სწორედ ასეთი ტომთა კავშირების ბელადების სამარხები უნდა იყოს. ასეთი ყორღანების აგება შეიძლებოდა მხოლოდ ადამიანთა მრავალათასიანი კოლექტივის ერთობლივი შრომით. ხშირად ქვები რამდენიმე ათეული კილომეტრის სიშორიდან მოჰქონდათ.

გრანდიოზული და მდიდრული ყორღანები აღმოჩნდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში: თრიალეთში, ჯავახეთში, კახეთში. აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში საქარ-

ოქროს თასი თრიალეთიდან.
ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი.

თველოს მოსახლეობა საკმაოდ წინ არის წასული როგორც სამეურნეო წარმოებით, ისე კულტურული განვითარების დონით. განსაკუთრებით დაწინაურდა მესაქონლეობა და ხელოსნობა. იმ დროს ქართველთა წინაპარი ტომები ფართოდ ითვისებენ მაღალმთიან საძოვრებს. მთის რაიონებშია, აგრეთვე, ძირითადად მეტალურგიის წარმოების ცენტრებიც. ამიტომაა, ალბათ, რომ იმ დროისათვის ბარის რაიონებში მოსახლეობა შეთხელებული ჩანს. მაშინდელ ნასადგომებს არქეოლოგები თითქმის ვერ პოულობენ.

3. შუა ბრინჯაოს ხანის კულტურა. ყორღანებში მოპოვებული მასალა მოწმობს ხელოსნობის მრავალი დარგის მაღალ განვითარებას. თასის ჭურჭელი დამზადებულია დიდი გემოვნებით და შემკულია შესანიშნავი ორნამენტებით, ცხოველთა და სხვადასხვა სიმბოლოთა გამოსახულებებით. დაწინაურებული ჩანს ლითონის წარმოება და საიუველირო ხელოვნება.

ბრინჯაოს მიღებისათვის, დარიშხანთან ერთად, უკვე გამოიყენება კალა, რომელიც საქართველოში არ მოიპოვება და შორეული ქვეყნებიდან შემოპქონდათ. უმაღლეს დონეს მიაღწია ოქრომჭედლობამ. იშვიათი ხელოვნებით არის შესრულებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები და სამკაულები, რომლებიც ყორღანებში დაკრძალული პირებისთვის ჩაუტანებიათ. მათ შორის გამოირჩევა თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილი, ფერადი ქვებით შემკობილი ოქროს თასი, რომელიც ოქრომჭედლური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია. განსაკუთრებით აღსანიშნავია თრიალეთის ყორღანში აღმოჩენილი ვერცხლისაგან დამზადებული სარწყული და სასმისი, რომლებზედაც უაღრესად საინტერესო სცენებია გამოსახული.

მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო აღნიშნულმა ვერცხლის სასმისმა, რომელზეც აღბეჭდილია რომელიღაც ძველი ცერემონიალი. 23 ადამიანი, მოკლე ხიფთანით შემოსილი და სახეზე ცხოველის (შეიძლება მელიის) ნიღაბაფარებული, უკან კუდით და სასმისით ხელში მიემართება საეარძელში მჯდომი პირისაკენ, რომელიც ასევეა შემოსილი და უფრო მომცრო სასმისი უჭირავს. მის უკან სიცოცხლის ხის გამოსახულებაა, წინ კი სამფეხიანი სამსხვერპლო და ორი მჯდომარე ცხოველია. მათ ქვემოთ ირმებია გამოსახული.

ვერცხლის თასი ზეულ გამოსახული რელიგიური ცერემონიალით. თრიალეთი. ძვ. წ. II ათასწლეული.

მეცნიერებმა თრიალეთში აღმოჩენილი ეს ვერცხლის სასმისი და მასზე გამოსახული სცენა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში დამოწმებულ ასეთივე გამოსახულებებს შეადარეს და მათ შორის მსგავსება შენიშნეს. ასეთივე ცერემონიალი იმართებოდა ძველ სეთებთან გაგაფხულობით, როგორც სიცოცხლისა და ბუნების განახლების დღესასწაული. საქართველოშიც, ბოლო დრომდე, ხალხურ დღესასწაულებში შემორჩენილია ასეთი ნიღბებიანი მსვლელობა, მაგალითად, ბერიკაობა და სხვ. ეს მოწმობს იმ პერიოდში ქართველთა წინაპარი ტომების ფართო კულტურულ კავშირებს წინა აზიის უძველეს ცივილიზაციებთან.

იმ დროის დასავლეთ საქართველოში განსხვავებული კულტურა ჩანს. აქ, განძების სახით, აღმოჩენილია დიდძალი საბრძოლო და შრომის იარაღები:



ბრინჯაოს შტანდარტები და შუბისპირი ბრილიდან (დას. საქართველო). ძვ. წ. II ათასწლეული.

თაეისებური ფორმის სამარი ცულები, შუბის პირები, სატევრები, აგრეთვე, თოსის პირები, წალდები და სხვ. არქეოლოგებმა აქ გათხარეს სამოსახლარი ბორცვები (მაგ., ნაოხვამუ, დისა-გუძუბა სამეგრელოში და სხვ.). ბორცვებს, როგორც წესი, შემოვლებული ჰქონდა ფართო თხრილები. ისინი, ჩეულებრივ, მდინარეებთან იყვნეს დაკავშირებული და ძირითადად თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთი არხები ხელს უწყობდა სამეურნეო მიწების დაშრობას, ზედმეტი ტენიანობის მოცილებას. ჭაობიან და ტყიან კოლხეთში არსები ნავებით მიმოსვლის საუკეთესო საშუალება იყო.

გვიან ბრინჯაოს ხანა საქართველოში. რკინის შემოსვლა

1. სიახლენი წარმოებაში, მეურნეობასა და სამხედრო საქმეში. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა წლებიდან საქართველოში იწყება გვიანი ბრინჯაოს ხანა. ამ დროიდან დიდი პროგრესი შეინიშნება როგორც ბრინჯაოს მიღებისა და დამუშავების ტექნიკაში, ისე სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობაში. ბრინჯაოს მისაღებად უკვე ფართოდ იყენებენ კალას. კალიანი ბრინჯაო შედარებით ადვილი დასამუშავებელია, მისგან უფრო რთული ფორმის იარაღ-საჭურველისა და სამკაულის დამზადება შეიძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კალა ძირითადად შორეული ქვეყნებიდან შემოპქონდათ, ეს გაუმჯობესებული ბრინჯაო საქართველოში მაინც საყოველთაოდ ვრცელდება.

ხელოსნური წარმოების სიახლე და დიდი მონაპოვარია ის, რომ დაინერგა სამეთუნეო მორგვი, ე. ი. კერამიკული (თიხის) ჭურჭლის დამზადება ხდებოდა სპეციალურ მბრუნავ მორგვზე, რაც უაღრესად აადვილებდა ხელოსნის შრომას.

როგორც მეურნეობაში, ისე სამხედრო საქმეში, დიდი მნიშვნელობისა იყო მოშინაურებული ცხენის ფართოდ გამოყენება. ცხენის მეოხებით უფრო გაადვილდა ურთიერთობა სხვადასხვა ადგილზე დასახლებულ ტომებს შორის, გაცხოველდა სავაჭრო და კულტურული კავშირი. ამით ფართო ასპარეზი შეიქმნა კულტურულ მიღწევათა გაცვლა-გაზიარებისათვის. ცხენის გამოყენებით გაადვილდა საიალაღო მესაქონლეობა. ცხენზე ამსედრებული მწყემსები უფრო ადვილად უვლიდნენ დიდ ფარებსა და ჯოგებს, უფრო შორეულ საძოერებზე მიერეკებოდნენ საქონელს, გაადვილდა მთისა და ბარის რაიონების ერთმანეთთან დაკავშირება.

ცხენის გამოყენებამ გარდატეხა გამოიწვია სამხედრო საქმეშიც. საბრძოლო-საომარ იარაღად უკვე გრძელ მახვილებს იყენებდნენ. ცხენზე ამსედრებული მეომრები სწრაფადაც მოძრაობდნენ და გრძელი მახვილებით ადვილად უსწორდებოდნენ მოკლე სატევრებით შეიარაღებულ ქვეითებს. ცხენოსანთა თავდასხმები ხელს უწყობდა ცალკეული ტომების გამდიდრებას, მათ ხელში ნადაელი საქონლისა და იარაღის დაგროვებას.

2. რკინის შემოსვლა. ამ დროიდანვე ჩნდება რკინის პირველი ნაკეთობანიც, მაგრამ თავდაპირველად ისინი, ბრინჯაოსთან შედარებით, უმნიშვნელო

რაოდენობით გვხვდება. რკინის მიღება უფრო ძნელი იყო, ვიდრე ბრინჯაოსი. რადგან მის გამოღნობას გაცილებით მაღალი ტემპერატურა სჭირდებოდა. ასევე რთული იყო მისი შემდგომი დამუშავება (დანასშირბადება, მაღნის დაწურვა, წიდის საშთების მოშორება, გამოჭედვა, წრთობა და სხვ.). ყველაფერი ეს ადამიანმა თანდათანობით აითვისა, რაშიც ქართველ ტომებს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით. მაგალითად, ქვემო ქართლი რკინის წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერადაა აღიარებული. ამას ადასტურებს იქ აღმოჩენილი უამრავი ძველი სამთო გამონამუშევარი და საწურავი ქურების ნანგრევები, რომლებსაც ძვ. წ. XIV საუკუნით ათარიღებენ. ასევე, რკინის წარმოების უძველესი კერაა სამხრეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთი, სადაც ძველი ქართული ტომი, ს ა ლ ი ბ ე ბ ი მოსახლეობდნენ. სალიბების სახელს უკავშირებენ ფოლადის აღმნიშვნელ ძველ ბერძნულ ტერმინს „სალუფს", რაც სალიბურ ლითონს ნიშნავს.

რკინას მთელი რიგი უპირატესობანი გააჩნია ბრინჯაოსთან შედარებით. იგი უფრო მაგარია, კარგად იჭედება და იაფია. რკინისგან მასობრივად დამზადებული იარაღი ძვ. წ. XII-XI საუკუნეებიდან ჩნდება.

3. თემური წყობილების რღვევა და ადრეკლასობრივი ურთიერთობის ჩასახვა ქართველ ტომებში. ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში საქართველოს ტერიტორია მჭიდროდ დასახლებული ჩანს. ამას მოწმობს ამ პერიოდის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც მთელ საქართველოში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ეს არის ძველი დასახლებანი და სამარხოენები, მეტალურგიული და კერამიკული წარმოების კერები, სამლოცველოები და სხვ. დიდი ცვლილებები ხდება სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. გვიან ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ორი კულტურული წრე ჩამოყალიბდა: დასავლურ-ქართული, რომელსაც კოლხურ კულტურასაც უწოდებენ და აღმოსავლურ-ქართული. ასეთი ერიო�aროვანი კულტურული წრეების არსებობა აქ მცხოვრები ტომების ერთმანეთთან დაახლოება-შეკავშირებაზე მიუთითებს.

ძვ. წ. II ათასწლეულში შრომის იარაღების შემდგომი განვითარება და სრულყოფა იწვევდა მეურნეობის სწრაფ დაწინაურებას. გაუმჯობესებული ია-



ბრინჯაოს კოლხური ცულები ცხოველების სქემატური გამოსახულებით. ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისი.

რაღები უკვე ცალკეული პირების თუ ოჯახების საკუთრებაშია. ასევე, საოჯახო საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლი, პირუტყვი. ცალკეული ოჯახები გვაროვნული თემებიდან გამოიყოფიან და თავიანთ მეურნეობას თვითონვე უძღვებიან. ზოგი ოჯახი თავის გვარსაც წყლება და სხვა გვარის ტერიტორიაზე სახლდება. ასე იშლებოდა გვაროვნული თემი. მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი იყო თემური ცხოვრებისა და მეურნეობის ერთობლივად წარმოების ტრადიციები. მიწის დიდი ნაწილიც საერთო-თემურ მფლობელობაში იყო დარჩენილი. ამიტომ თემური მიწის მფლობელობა, ისევე როგორც საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებულ ადათ-წესებზე დამყარებული თემური მმართველობა, კიდევ დიდ ხანს არსებობდა. განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად თემებში მხოლოდ ერთი გვარის ან ერთმანეთის ახლო მონათესავე ოჯახები კი აღარ იყვნენ გაერთიანებული, არამედ სხვა გვარის ოჯახებიც. გვაროვნული თემი ასე თანდათანობით შეცვალა ახალი ტიპის თემმა, რომელსაც სამეზობლო თემი ეწოდება.

ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულის ბრინჯაოს ნარაღები აღმოსავლეთ საქართველოდან (ეახეთიდან): სატევრის ტარი, შუბისპირი, ბოლოდაკეცილი მახვილი, საომარი ცული

კერძო საოჯახო მეურნეობისა და კერძო საკუთრების განვითარებამ ცალკეულ ოჯახებს მეტი სიმდიდრე დაუგროვა. ამავე დროს ტომის არჩეული ხელმძღვანელები, რომლებიც ძირითადად ასეთი დაწინაურებული ოჯახებიდან იყვნენ გამოსული, ცდილობდნენ სამუდამოდ დაუფლებოდნენ და მემკვიდრეობითაც გადაეცათ თავიანთი სელისუფლება. მათ მსარს უჭერდნენ მათი უახლოესი მეომარი-რაზმელები. ისინი სარგებლობდნენ თავიანთი მდგომარეობით და მიწის საუკეთესო ნაკვეთებს ისაკუთრებდნენ. ომის დროს ხელში ჩაგდებული ნადავლის დიდ ნაწილსაც ისინი ეუფლებოდნენ და კიდევ უფრო მდიდრდებოდნენ. ასევე მდიდრდებოდნენ მაშინდელი რელიგიის მსახურნიც - ქურუმები, რომლებიც ამა თუ იმ სალოცავისთვის შეწირულ სიმდიდრესა და მიწას თვითონ ეუფლებოდნენ და თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. ტომის ბელადები ხშირად უმაღლესი ქურუმებიც იყვნენ. ეს კიდევ უფრო ზრდიდა მათ ძალაუფლებასა და ავტორიტეტს. ომიდან წამოყვანილ ტყვეებს აღარ სოცავდნენ, როგორც წინათ, არამედ მონებად აქცევდნენ და მეურნეობაში იყენებდნენ. ტყვე მონებს დიდი რაოდენობით სწირავდნენ სალოცავებს და ისინიც, უაქტობრივად, ქურუმების მფლობელობაში ექცეოდნენ.

თემიდან გამოყოფილი ასეთი დაწინაურებული დიდკაცობა თანდათან ჩამოყალიბდა ცალკე კლასად, რომელიც ჩაგრავდა და ექსპლოატაციას უწევდა არა მარტო მონებს, არამედ თავისუფალ მეთემეთა დიდ ნაწილსაც.

პირველყოფილი საზოგადოების გათიშვა სხვა გზითაც ხდებოდა. უფრო ძლიერი და დაწინაურებული ტომი ძალით იმორჩილებდა სხვა, უფრო სუსტ ტომს. ამ დამორჩილებული ტომის მეთემენი იძულებულნი იყვნენ გაბატონებული ტომის სასარგებლოდ გადასახადი გაეღოთ და ლაშქრობაში გამოსულიყვნენ. ასე რომ, ტომთა გაერთიანებები და კავშირები თანდათან ბატონობა-მორჩილების პრინციპით იქმნებოდა და ეწყობოდა. ასეთი კავშირები უფრო მყარი და ხანგრძლივი იყო. ასე, თანდათანობით იშლებოდა პირველყოფილი თემურ-გვაროენული წყობილება და ყალიბდებოდა ადრეკლასობრივი საზოგადოება.

ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხი

ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხი ძველადვე აინტერესებდათ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, ძველი ბერძენი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ კავკასიის იბერები გადმოსახლებულნი იყვნენ შორეული ესპანეთიდან. ისტორიის მამად წოდებული ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს (ძვ. წ. 484-425) გარკვეული თვალსაზრისის იყო ერთ-ერთი ქართული ტომის - კოლხების წარმოშობის შესახებ. ძველი ებრაელი ისტორიკოსი ი ო ს ე ბ ფ ლ ა ვ ი უ ს ი ქართველთა წარმომაყლობას უკავშირებდა ბიბლიურ პერსონაჟებს. ასევე ძველი ქართველი ისტორიკოსებიც ქართველებს ბიბლიური ნოეს მესამე შვილის - იაფეტის შთამომაველებად თელიდნენ. უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებაში - ქართლის მოქცევის ქრონიკაში კი მოთხრობილია საქართველოს ტერიტორიაზე ქართველთა გადმოსახლება სამხრეთიდან, ე. წ. არიან-ქართლიდან.

თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი კვლავ საკულდაგულო კვლევის საგნად არის ქცეული, მაგრამ საბოლოო პასუხის გაცემა ჯერ კიდევ გაძნელებულია.

ქართველი ხალხის წარმოშობა რთული და ხანგრძლივი ისტორიული პროცესია. იგი სათავეს იღებს იმ ეპოქაში, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა დამწერლობა, ამიგომ ამ პროცესზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ არაპირდაპირი მონაცემების გამოყენებით, როგორიცაა ენა, მატერიალური კულტურა (არქეოლოგიური მასალა), ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია და სხვ.

როგორც არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, საქართველოში მოსახლეობა მუდმივად ცხოვრობდა ქვედა პალეოლითის დროიდან. განვითარებაში რაიმე წყვეტილი ან მოსახლეობის მკვეთრი შეცვლა არ შეინიშნება, თუმცა მჭიდრო კონტაქტები და ურთიერთკავშირები წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან: შუმერებთან, პროტოხეთებთან, ხურიტებთან და სხვ. უსათუოდ არსებობდა. ასეთივე კონტაქტები დასტურდება უძველეს ინდოევროპელთა წინაპარ ტომებთანაც. ეს ჩანს, პირველ რიგში, ენობრივი მონაცემებიდან.

ქართული ენა ცალკე ენობრივ ოჯახს განეკუთვნება, რომელსაც „ ქ ა რ თ ე ლ უ რ ი ე ნ ე ბ ი“ ან „ ი ბ ე რ ი უ ლ ი ე ნ ე ბ ი“, ან კიდევ

„ს ა მ ს რ ე თ კ ა ვ კ ა ს ი ურ ი ე ნ ე ბ ი“ ეწოდება. მასში გაერთიანებულია: ა) საკუთრივ ქ ა რ თ უ ლ ი, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს სასელმწიფოებრივ და ლიტერატურულ ენას; ბ) მეგრულ-ჭანური და გ) სვანური ენები. ეს ენები ჩამოყალიბდა საერთო ქართველური ენა-ფუძის, წინარე ქართველურის (პროტოქართველურის) დიფერენციაციის შედეგად. დადგენილია, რომ ეს დიფერენციაცია ორ ეტაპად განხორციელდა. პირველად, დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულში, საერთო ქართველურს გამოეყო სვანური ენა, შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში კიდევ იყო შენარჩუნებული ქართულ-კოლხური (მეგრულ-ჭანური) ენობრივი ერთობა და მხოლოდ ძვ. წ. II ათასწლეულში მოხდა ამ ენების (ქართულისა და მეგრულ-ჭანურის) ურთიერთგათიშვა და ცალ-ცალკე განვითარება.

ქართველური ენების განვითარების სქემა



თავის მხრივ, ქართველური ენები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ სხვა კავკასიურ ენებთან, როგორიც არის ჩრდილო-დასავლურ კავკასიური (აფსაზურ-ადიღური) და ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) ენები. მეცნიერები თვლიან, რომ ეს მსგავსება საერთო წარმომავლობის შედეგი უნდა იყოს და, საერთოდ, კავკასიურ ენებს ერთიან გენეტიკურ ოჯახად წარმოიდგენენ, რომელსაც ი ბ ე რ ი უ ლ - კ ა ვ კ ა ს ი უ რ ენებს უწოდებენ, თუმცა ზოგიერთი ენათმეცნიერი ამ ნათესაობას უარყოფს და მსგავსებას მხოლოდ სანგრძლივი კონტაქტებით სხნის.

უკანასკნელ ხანებში საინტერესოდ დადგა საკითხი ქართველური და ინდოევროპული წინარე ენების ურთიერთობის შესახებ (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი). როგორც ცნობილია, ამ ენებს ერთმანეთს შორის ნათესაური ურთიერთობა არა აქვთ, მაგრამ განვითარების უძველეს ფენებში შეინიშნება ურთიერთგავლენა როგორც ლექსიკაში, ისე გრამატიკულ სტრუქტურაში. ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ ამ ენების მატარებელი ეთნიკური ჯგუფების ურთიერთმეზობლობითა და ხანგრძლივი კონტაქტებით. როგორც ფიქრობენ, ასეთი

კონტაქტები უნდა არსებულიყო ძვ. წ. VI-V ათასწლეულებში და იმ პერიოდში როგორც ქართველთა წინაპარ ეთნიკურ ჯგუფს, ისე ინდოევროპელ სალსთა წინაპრებს ერთმანეთის გვერდით უნდა ეცხოვრათ წინა აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ შუამდინარეთს შორის. შემდეგ აქედან მოსდა ინდოევროპული ტომების განსახლება აზიისა და ევროპის კონტინენტზე, ასევე, ქართველური ტომების ეტაპობრივად შეღწევა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ძვ. წ. III-II ათასწლეულის დასაწყისისათვის წინარე სვანურ ენაზე მოლაპარაკე ქართველი ტომები განსახლებული იყვნენ დასავლეთ საქართველოში და თავდაპირველად გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია ეკავათ, ვიდრე დღეს უკავიათ სვანებს. დარჩენილი ქართველური ჯგუფი ძვ. წ. II ათასწლეულში, თავის მხრივ, გაითიშა მეგრულ-ჭანურ ანუ კოლსურ და ქართების ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებად. ამათგან კოლსურ ენაზე მოლაპარაკე ქართველურმა ტომებმა თანდათან შეავიწროვეს სვანურენოვანი ტომები და დაიკავეს დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, სოლო ქართების ენაზე მოლაპარაკე ტომები სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ.

საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე როგორც მთელ კავკასიაში, ქართველური წარმომაელობის ტომებს გარდა მოსახლეობდნენ მათი მონათესავე ან სხვა წარმომაელობის ტომებიც. მათთან ურთიერთობებსა და კონტაქტებს ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქართველი სალხის ჩამოყალიბების, ისე ქართველური ენების განვითარების პროცესში.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, უფრო გვიან ამ ქართველური ტომების კვლავ გაერთიანება და კონსოლიდაცია ხდება ქართლის სამეფოს ჰეგემონობით. ერთიანი ქართული სახელმწიფოს კულტურის ენად იქცა ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა, რომელმაც ეს ფუნქცია დღემდე შეინარჩუნა, სოლო მეგრულ-ჭანურსა და სვანურს ადგილობრივი სალაპარაკო ენების ფუნქცია შერჩა.

გარდა ენობრივი მონაცემებისა, ქართველი სალხის ჩამოყალიბების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოში მოპოვებული მდიდარი არქეოლოგიური მასალა. ქვის სანის უძველეს პერიოდში ენობრივი და ეთნიკური ვითარების შესახებ მსჯელობა ძალიან ძნელია, თუმცა მეცნიერები მაინც ფიქრობენ, რომ ზედა პალეოლითის ბოლოსათვის ამიერკავკასიაში კულტურულად და ეთნიკურ-ენობრივად ერთიანი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო. დაახლოებით ნეოლითისა და ენეოლითის სანაში მას გამოეყო ჩრდილოკავკასიური ჯგუფები, რომლებმაც სათავე დაუდეს ჩრდილოკავკასიურ ხალხებსა და ენებს. მასვე უნდა გამოყოფოდა წინარე ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომთა ჯგუფი, რომელიც თავდაპირველად განსახლებული იყო სამხრეთ კავკასიონის მთიანეთში. აქედან მას კულტურული და ენობრივი ურთიერთობა ჰქონდა წინა აზიის უძველეს სალხებთან - შუმერებთან, პროტოხეთებთან, ხურიტებთან და სხვ., რომელთაგანაც მან ბევრი რამ შეითვისა.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ძვ. წ. I ათასწლეულში საქართველოს სამხრეთით ჩამოყალიბდა ურარტუს ძლიერი სახელმწიფო, რომლის მოსახლეობაც ხურიტული მოდგმის ტომებისაგან შედგებოდა. ურარტუს სამეფოს განადგურების შემდეგ მისი მოსახლეობის ნაწილი შეეიდა ქართველი ხალხის შემადგენლობაში.

ამრიგად, ქართველი ხალხის ჩამოყალიბება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესის შედეგად ხდება, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ერთიანი ქართველური წარმომაელობის ტომები, ისე კაეკასიური და წინააზიური (მაგალითად, ინდოევროპული, ხურიტული) ეთნიკური ჯგუფები. ქართველი ხალხის შემადგენლობაში ისევე, როგორც სხვა ხალხების ჩამოყალიბების პროცესში, შემდეგაც ხდებოდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა შერწყმა-ასიმილაცია.



II თავი

საქართველო ძველაღმოსავლურ და ანტიკურ სანაში

ქართველ ტომთა ადრეკლასობრივი გაერთიანებანი და უძველესი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე

1. დიაოხი. ქართველი ტომები წინა აზიის ასპარეზზე აქტიურად გამოჩნდნენ ძვ. წ. XII საუკუნიდან. ამ დროს დიდი ცვლილებები სდებოდა საქართველოს ტერიტორიის სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით. აქ ძვ. წ. II ათასწლეულში არსებობდა ორი დიდი სახელმწიფო: სეთების სამეფო და მითანი. ხეთების სამეფომ დიდ სიძლიერეს მიაღწია ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებში, მაგრამ XIII საუკუნის ბოლოს იგი გაანადგურეს ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების კუნძულებიდან შემოჭრილმა ტომებმა, ე. წ. „ზღვის ხალხებმა". ამ დროიდან აღმოსავლეთით გააქტიურდნენ ქართველური ტომები, რომლებსაც ლურსმული წარწერები მ უ შ ქ ე ბ ი ს, ხ ა ლ დ ე ბ ი ს და სხვ. სახელწოდებით ისსენიებენ.

მუშქები გვიანდელი ქართველი ტომების - მესხების წინაპრები იყვნენ. ისინი დამკვიდრდნენ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში და იქიდან დაიწყეს ბრძოლა ასურეთის ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მუშქები ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. ყოველ ცალკეულ ტომს სათავეში ედგა ბელადი, რომელიც ბრძოლაში მიუძღვებოდა თანამეტომეებს.

უფრო გვიან, დაახლ. ძვ. წ. X-IX სს.-ში მუშქებმა მდ. ღალისის სამხრეთ-აღმოსავლეთით შექმნეს ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც თავისი ბატონობა გაავრცელა მცირე აზიის მნიშვნელოვან ნაწილზე. ისინი ხეთების კულტურის დიდ გავლენას განიცდიდნენ.

ასურეთმა ძვ. წ. XIII საუკუნეში გაანადგურა მითანის სახელმწიფო და დაიწყო შეტევა ჩრდილოეთის მიმართულებით. ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I (ძვ. წ. 1115-1077) ერთ თავის წარწერაში აღნიშნავდა, რომ მისი მეფო-

ბის დასაწყისში 20.000 მუშქი მათი სუთი მეფის (ტომის ბელადების) წინამძღოლობით მთებიდან ჩამოსულა და მითანის ჩრდილოეთი ნაწილი დაუკავებია. ასურეთის მეფემ მათ წინააღმდეგ გაილაშქრა და ისინი დააშარცხა. ტიგლათფილესერი იკვეხნის, რომ მან მუშქების დიდძალი სიმდიდრე იგდო ხელთ და 6.000 ტყვე თავის ქვეყანაში გადაასახლა.

ძე. წ. XII-XI საუკუნეებში ასურელებმა უფრო ჩრდილოეთით იწყეს შეტევა, სადაც ისინი მეორე ძლიერ ქართულ გაერთიანებას - ღ ა ი ა ე ნ ი ს შეეჯახნენ. ქართველ ტომთა ეს გაერთიანება ისტორიული საქართველოს ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთით, ძირითადად მდ. ჭოროხის აუზში მოსახლეობდა. მას ურარტული წყაროები დ ი ა ო ხ ი ს სახელით იცნობენ. უფრო გვიან კი ბერძნები აქაურებს ტ ა ო ხ ე ბ ს უწოდებდნენ. სამივე დასახელებაში ძირი ერთი და იგივეა და იგი შემონახულია ძველი საქართველოს ამ რაიონის ერთ-ერთი პროვინციის ტ ა ო ს სახელწოდებაში.

ღაიაენი ანუ დიაოხი უკვე ძველაღმოსავლური ტიპის სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო. სამხრეთით მის საზღვრებში ღლეკანდელი ქ. არზრუმის მიდამოებიც შედიოდა, ჩრდილოეთით ჯავახეთი ესაზღვრებოდა, სოლო ჩრდილო-დასავლეთით მისი გაელენა შაე ზღვამდე აღწევდა. ძე. წ. 1112 წელს ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I-მა ჩრდილოეთით ილაშქრა. მის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა დიაოხის მეფე ს ი ე ნ ი , რომელსაც ეხმარებოდა მეზობელი ქვეყნების 60 „მეფის" ლაშქარი. ეს „მეფეები" ანუ ბელადები დიაოხის მეფეს ემორჩილებოდნენ და მისი მოწოდებით გამოვიდნენ შემოსეული მტრის წინააღმდეგ. ტიგლათფილესერმა გაიმარჯვა და, როგორც თვითონ აღნიშნავს, დამარცხებულ მოკავშირეებს ზემო ზღვამდე, ე. ი. შაე ზღვამდე სდია.

ტიგლათფილესერ I-ის მეფობის შემდეგ ასურეთის სახელმწიფოს სიძლიერე თანდათან ეცემა და მისი გავლენა ჩრდილოეთის ქვეყნებზე სუსტდება. დიაოხი ამით სარგებლობს და თანდათან იკრებს ძალებს. ასურე-



მხედრისა და საომარი ეტლის გამოსახულება ურარტუს მეფის არგიმთი I-ის საირე კაპარჭზე.

დელოფლისწყარის რაიონში (მთა „ჯოხები") ძველი სამლოცველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სალმარი ეგლის ბრინჯაოს მოდელი (ძვ. წ. VIII ს).

თის სამეფო განსაკუთრებით შეავიწროვა ურარტუს ასალწარმოქმნილმა სახელმწიფომ.

ურარტუს სამეფო წარმოიქმნა ძვ. წ. IX საუკუნეში სამხრეთ ამიერკავკასიაში. მისი მეფე მენუა, რომელიც მეფობდა ძვ. წ. IX ს-ის ბოლოს და VIII ს-ის დასაწყისში, კლდეზე ამოკვეთილ ერთ-ერთ თაეის წარწერაში მოგვითხრობს დიაოხის წინააღმდეგ ბრძოლებზე. მას დაურბევია დიაოხის ქვეყანა და მისი მეფე უტუფურსი დაუმორჩილებია, მაგრამ დიაოხის მეფე მალე აჯანყებულა და მენუას მემკვიდრე არგიშთი I-ს (ძვ. წ. 786-764) ხელასლა მოუხდა უტუფურსის წინააღმდეგ გალაშქრება. ურარტუს მეფეებმა დიაოხს სამხრეთი ნაწილი წაართვეს და თაეიანთი ბატონობის განსამტკიცებლად იქ ციხესიმაგრეები ააგეს.

დიაოხი მაინც ძლიერ ქვეყნად ჩანს. ურარტუს მეფე მენუა თაეის წარწერებში დიაოხს „ძლევამოსილ" ქვეყანას უწოდებს. დიაოხის სიმდიდრეს მოწმობს ნადავლი, რაც დამპყრობლებს გაპქონდათ ამ ქვეყნიდან, ანდა ის დიდი რაოდენობის ხარკი, რასაც დიაოხი ურარტუს მეფეებს უხდიდა. დიაოხში განეითარებული იყო მესაქონლეობა, მეტალურგია, ძვირფასი ლითონების დამუშაევება. ამ დიდი გაერთიანების სათავეში იდგა მეფე, რომელიც ქვეყნის უზენაესი ხელისუფალი იყო.

ურარტუს შემოსევებმა დაასუსტა დიაოხი, მაგრამ მის საბოლოო განადგურებაში მონაწილეობა მიიღო მისმა ჩრდილოელმა მეზობელმა, დასავლეთ საქართველოს მეორე დიდმა სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ - კოლხამ. ადრე, ძვ. წ. XII-XI საუკუნეებში, კოლხური ტომების ნაწილი დიაოხის პოლიტიკურ გაელენას განიცდიდა და ასურეთის მეფეების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი მოკავშირეც იყო. შემდეგ კი ისინი თანდათან გათავისუფლდნენ დიაოხის ქვეშევრდომობისაგან და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი გაერთიანება შექმნეს. ჩრდილოეთიდან სწორედ ამ კოლხას, ხოლო სამხრეთიდან ურარტუს შემოტევების შედეგად ძვ. წ. VIII საუკუნეში დიაოხმა შეწყვიტა არსებობა. მისი ტერიტორიის ნაწილი ურარტუელებმა დაიკავეს, სოლო ჩრდილოეთი ნაწილი კოლხას შემადგენლობაში შევიდა.

2. კოლხეთის ძველი სამეფო. ასურულ ლურსმულ წარწერებში პირველი ცნობები კოლხური ტომების შესახებ ძვ. წ. XII საუკუნიდან ჩნდება. ამ დროს ისინი ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. ასურული წყაროები აქ ათეულობით „მეფეებს", ე. ი. ტომთა ბელადებს ასახელებდნენ. ისინი თანდათან ერთიანდებიან და ყალიბდებიან ტომთა მტკიცე კავშირად. დამპყრობლებთან ბრძოლაში მყარი გაერთიანება აუცილებელი იყო. კოლხურ ტომთა შიგნით სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც იცვლებოდა. გაბატონებულ მდგომარეობას იკავებდნენ გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც იქვემდებარებდნენ ტომის რიგით წევრებს და მმართველობასაც ისეთ ფორმას აძლევდნენ, რომელიც უზრუნველყოფდა მათ ბატონობას. აქ ფართოდ ვითარდება მესაქონლეობა და მეტალურგია, განსაკუთრებით - რკინის წარმოება.

რკინის სამრეწველო გამოყენებაზე გადასვლამ დააჩქარა საზოგადოებრივი განვითარება და სახელმწიფოს ჩამოყალიბება. შაკი ზღვის სამხრეთი ნაპირის მთიანეთში რკინის მდიდარი საბადოები იყო. აქაური ქართული ტომები, მაგალითად, ხ ა ლ ი ბ ე ბ ი , სასელგანთქმულნი იყვნენ რკინის დამუშავებით. ამ ტომებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ წინა აზიის კულტურულ ცენტრებთან, რაც მათ განვითარებას კიდევ უფრო აჩქარებდა.

ამ პერიოდში კოლხეთის მოსახლეობის განვითარების მაღალ დონეზე თვალნათლივ მიუთითებს მდიდარი არქეოლოგიური მასალა. აქ აღმოჩენილია ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო და სამუშაო იარაღები. განსაკუთრებით გამოირჩევა ულამაზესი ფორმისა და გაფორმების ბრინჯაოს ცულები, რომლებსაც უკვე რიტუალური დანიშნულება ჰქონდა. შესანიშნავადაა დამზადებული ძვირფასი ლითონის სამკაულები და ფუფუნების ნივთები, ასევე შრომის მრავალფეროვანი იარაღები, თიხის ჭურჭელი და სხვ. ასე, თანდათანობით, ძვ. წ. XI-IX საუკუნეების მანძილზე შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა დასავლეთ-ქართული ძლიერი და მაღალკულტურული სახელმწიფო - კ ო ლ ხ ე თ ი ს სამეფო.

ურარტული წყაროები კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე ასახელებენ არაერთ სამეფო ქალაქს. ამ წყაროებიდანვე ჩანს, რომ კოლხეთის სამეფოს ცალკეულ პროვინციებს განაგებდნენ მეფისნაცვლები. ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში კოლხეთის სამეფომ თავისი ბატონობა გაავრცელა დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილზე. იგი გააფთრებით ებრძოდა დიაოხსა და ურარტუს. როგორც აღნიშნული იყო, ძვ. წ. VIII ს-ში მან, ურარტუსთან ერთად, გაანადგურა დიაოხი და მისი ჩრდილოეთი ტერიტორიებიც შეიერთა.

ძველ საბერძნეთში გავრცელებული იყო მითი ა რ გ ო ნ ა ვ ტ ე ბ ი ს შესახებ, რომელშიც აისახა ძველი ბერძნების წარმოდგენა კოლხეთის სამეფოზე. ამ მითის მისედვით, კოლხეთი უძლიერესი სახელმწიფო იყო, რომლის სათავეში იდგა მეფე ა ი ე ტ ი . აიეტს ქვის მაღალი სვეტებითა და სპილენძის ქონგურებით დამშვენებული დიდებული სასახლე ჰქონდა. სასახლეში დაუშრეტელი შადრევნები გადმოჩქეფდა, რომლიდანაც, წყალთან ერთად, რძე და სურნელოვანი ზეთიც იღვრებოდა. აიეტს, მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილს,



ინგლისელი მეცნიერის ტიმ სევერინის მიერ აღდგენილი არგონავტების ხომალდი შავ ზღვაში.

ცეცხლისა და მჭედლობის ღმერთმა, ჰეფესტომ გამოუჭედა სპილენძისჩლიქებიანი და ცეცხლისმფრქეველი ხარები. მანვე გაუკეთა მაგარი ფოლადის გუთანი. აიეტთან ინახებოდა მაგიური ოქროს საწმისი - ვერძის ოქროსმატყლიანი ტყავი. აი, ამ აიეტთან ოქროს საწმისის წასაღებად საბერძნეთიდან გამოემგზავრნენ სახელგანთქმული გმირები ი ა ზ ო ნ ი ს მეთაურობით. მათ ხომალდს ა რ გ ო ერქვა, ამიტომ ამ ექსპედიციის მონაწილეებს არგონავტები დაარქვეს[1].

არგონავტებმა, ძნელი და ხიფათიანი მოგზაურობის შემდეგ, მიაღწიეს კოლხეთის ნაპირს და წარუდგნენ მეფე აიეტს. კოლხეთის მეფემ იაზონს აღუთქვა ოქროს საწმისის მიცემა, თუ ის შეძლებდა მისი სპილენძისჩლიქებიანი, ცეცხლისმფრქეველი ხარების უღელში შებმას, შემდეგ ფოლადისსასნისიანი გუთნით მინდორს მოხნავდა და ხნულში ურჩხულის კბილებს დათესავდა; ბოლოს, ამ კბილებიდან აღმოცენებულ სპილენძისჯავშნიან მეომრებს დახოცავდა. ყო-

1 1984 წლის ზაფხულში არგონავტების მარშრუტი გაიმეორა ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ტ ი მ ს ე ვ ე რ ი ნ მ ა. ამით მან დაამტკიცა მაშინდელი ტექნიკური პირობებით ასეთი მოგზაურობის სრული შესაძლებლობა.



იასონი და მედეა ოქროს საწმისს (ნახატი ძველ ბერძნულ ლარნაკზე).

ელიეე ამას თვითონ აიეტი ადვილად აკეთებდა, ხოლო იასონი ვერ შეასრულებდა, კოლხთა მეფის გრძნეული ქალიშვილი **მ ე დ ე ა** რომ არ დასმარებოდა. ბერძენი ღმერთების ნებით, მედეას თაყვანიწყებით შეუყვარდა იასონი და ასწავლა მას, თუ როგორ შეესრულებინა ეს მძიმე დავალება. შემდეგ მედეა დაეხმარა იასონს ოქროს საწმისის მოტაცებაში.

ამ მითში, ლეგენდარულ ამბებთან ერთად, ისტორიული სინამდვილეც არის ასახული. მაგალითად, ბერძნებმა თქმულებაში გადმოსცეს ცნობები კოლხეთის მაღალ მეტალურგიულ და სამიწათმოქმედო კულტურაზე, ქვეყნის პოლიტიკურ სიძლიერეზე და სხვ. ფოლადისსასნისიანი გუთანი აქ შემთხვევით როდი არის ნახსენები. ესეც ძველ კოლხეთში რკინის მეტალურგიისა და მიწათმოქმედების დაწინაურებას მოწმობს.

ქართველი ტომების დამსახურებას მეტალურგიის დანერგვა-განვითარებაში ასახავს ძველი ბერძნული მითი **პ რ ო მ ე თ ე ს** შესახებ, რომელიც ძალიან ჰგავს უძველეს ქართულ თქმულებას **ა მ ი რ ა ნ ზ ე .** პრომეთემ ზეევსს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს მისცა. ამ ცეცხლით ადამიანებმა ლითონის გამოდნობა შეძლეს. პრომეთეს თქმულების საქართველოსთან კავშირს ისიც ამტკიცებს, რომ ადამიანებისთვის თაყვანებული ეს გმირი ზეევსმა საბოლოოდ საქართველოში, კავკასიონის მთაზე მიჯაჭვა.

ძვ. წ. VIII საუკუნე კოლხეთის სამეფოს ძლიერების ხანაა. მან ხანგრძლივი ბრძოლებით ბოლო მოუღო დიაოხის სამეფოს და უშუალოდ გაუმეზობლდა ურარტუს სახელმწიფოს. ამ დროიდან დაიწყო ბრძოლები ამ ორ სახელმწიფოს შორის. ურარტუს მეფე **ს ა რ დ უ რ I I** -მ ორგზის ილაშქრა კოლხეთში. პირველად, ძვ. წ. 750-748 წლებში, როდესაც მან დალაშქრა კოლხეთის სამხრეთი ტერიტორია. აქედან ურარტუს მეფემ დატყვევებული მოსახლეობა იავის ქვეყანაში გადაასახლა. მეორედ, ურარტუელებმა ძვ. წ. 747-741 წწ. ილაშქრეს. მათ დაიპყრეს კოლხეთის სამეფო ქალაქი **ი ლ დ ა მ უ შ ი ,** სა-

დაც კოლხეთის მეფისნაცვალი იჯდა. თვითონ მეფე (მისი სახელი წარწერაში დაბზარულია და ვერ იკითხება) ბრძოლაში არ ჩაბმულა.

ამ ბრძოლებმა დაასუსტა კოლხეთის სამეფო, რასაც დაერთო ჩრდილოეთ კავკასიიდან მომთაბარე-მეომარი ტომების - კ ი მ ე რ ი ე ლ ე ბ ი ს შემოსევები. კიმერიელების ცხენოსანმა ლაშქარმა და ურდოებმა გრიგალივით გადაუარეს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას. მათ თაეგარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინეს მთელ მაშინდელ წინა აზიაზე. დღესაც ქართველი ხალხის მეტყველებაში მათი სახელი დაუმარცხებლის, გმირის მნიშვნელობისაა. სიტყვა „გმირი" წარმოდგება კიმერიელთა სახელწოდებიდან „გიმირ".

ძვ. წ. VIII ს-ის ბოლოს, ამჯერად კასპიის მღვის სანაპიროს და დარიალის ხეობის გამოელით, ამიერკავკასიაში და შემდეგ წინა აზიაში შემოიჭრა მეომარი ტომების ასალი დიდი ტალღა, რომელსაც სათავეში ს კ ვ ი თ ე ბ ი ედგნენ. სკვითებმა აქაურ მოსახლეობას საშინელი ნგრევეა და განადგურება დაატეხეს თავს.

დიდი ცვლილებები მოხდა საქართველოს სამხრეთითაც. ძვ. წ. 590 წ. ურარტუს სამეფო გაანადგურეს მ ი დ ი ე ლ ე ბ მ ა, რომლებთან ერთად ურარტუს წინააღმდეგ იბრძოდნენ სკვითები და ამიერკავკასიის სხვა ხალხებიც. ურარტუს მოსახლეობის ნაწილი ჩრდილოეთით გადასახლდა და ქართველი ტომების პეგემონობაში მოექცა. ისინი თანდათან შეერიენენ ქართველებს და მათ კულტურასა და მეტყველებაში ბევრი საგულისხმო ელემენტი შეიტანეს.

ურარტუს სამეფოს განადგურების შემდეგ მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი დაიკავეს სომეხი ტომების გაერთიანებებმა, რომლებიც აქამდე ურარტუს დასავლეთ პერიფერიებზე მოსახლეობდნენ. ამ რაიონებში მცხოვრები ურარტუელების დიდი ნაწილი სომხებში გაითქვიფა. ამის შემდეგ ქართველების უშუალო მეზობლები სამხრეთით სომხები გახდნენ.

ამავე პერიოდს ეკუთვნის საქართველოში ებრაელი მოახალშენეების ჩამოსახლება. ქართული საისტორიო ტრადიციით ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იერუსალიმის აღების (ძვ. წ. 586 წ.) შემდეგ ებრაული მოსახლეობის ერთი ნაწილი საქართველოში შემოხიზნულა: „ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასსნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა პქეიან ზანავი და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის".

საქართველო აქემენიდურ ხანაში (ძვ. წ. VI-IV სს.). დიდი ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთის (ეგრისის) სამეფო

1. სასპერები. კიმერიელთა გამანადგურებელმა შემოსევამ დიდი ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. მცხოვრებთა ნაწილი ამოწყდა, ნაწილი კი აიყარა და გადასახლდა. ამით ისარგებლეს მთიელმა ტომებმა და კოლხეთის ბარში დაიწყეს მასობრივად ჩამოსახლება. ეს ტომები ჯერ კიდევ პირველყოფილი-თემური წყობილების საფეხურზე იდგნენ. ამან შესამ-

ჩნეულად უკან დასწია ქვეყნის განეითარების დონე, მოშალა მეურნეობა. ყოველივე ამის გამო დაეცა კოლხეთის სამეფოს სიძლიერე, მაგრამ აღგილობრივი მეფის ხელისუფლება მაინც არ მოსპობილა. აქ კელაე მეფობდნენ აიეტის შთამომაელები. ისინი ქვეყანას მართავდნენ თაეიანთი მოხელეების - სკეპტუხების (ე. ი. მეფისნაცელების, ერისთაეების) მეშეეობით. თანდათან ქვეყანა კელაე წელში გაიმართა და მალე აღრინდელი სიძლიერე დაიბრუნა.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი პეროდოტე წერდა, რომ მეწამული ზღვიდან შაე ზღვამდე ოთხი სალხი ცხოერობს. ესენია: სპარსელები, მიდიელები, სასპერები და კოლხები. კოლხეთი დასახელებულია მაშინდელი აღმოსაელეთის უძლიერესი სახელმწიფოების - მიდიისა და სპარსეთის გეერდით. მასთან ერთად დასახელებულია მეორე ქართული გაერთიანება - ს ა ს პ ე რ ე ბ ი . ეს დახასიათება ასახავს ძე. წ. VI ს-ის წინა პერიოდს, ეიდრე სპარსეთი მიდიას დაიპყრობდა. მიდია სპარსელებმა ძე. წ. 521 წელს დაიპყრეს. სპარსელებმა ა ქ ე მ ე ნ ი დ უ რ ი დინასტიის მეთაურობით შექმნეს ძლიერი სახელმწიფო, რომელიც, ირანის ტერიტორიის გარდა, მოიცავდა მცირე აზიას, სირიას, პალესტინას, ბაბილონს, აგრეთვე, ეგვიპტეს. მათ თაეიანთი ბატონობის ქეეშ მოაქციეს საქართველოს ტერიტორიის ნაწილიც, კერძოდ, კოლხეთისა და სასპერების სამხრეთი ტერიტორიები. თეითონ კოლხეთის სამეფომ აქემენიდების სასარგებლოდ „ნებაყოფლობით", ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, ტყეკმოსების: ასი გოგოსა და ასი ბიჭის გაგზავნა იკისრა. ეს არ იყო ხარკი, არამედ გარკეეული ძღვენი, რათა თაეიდან აეცილებინათ აქემენიდთა შემოსეეა. სპარსელებმა ეერც სასპერების სრული დაპყრობა შეძლეს. ისინი მხოლოდ მათი ტერიტორიის სამხრეთ ნაწილს დაეუფლნენ.

სასპერები აღმოსაელურ ქართული ტომების გაერთიანება იყო. მის შესახებ ძალიან მცირე წერილობითი ცნობებია შემორჩენილი. სასპერების სახელი შემოინახა სამხრეთ-დასაელეთ საქართველოს ერთ-ერთმა ძველმა პრო-

უფლისციხე. შიდა ქალაქის საერთო ხედი.



ანალოგური აღმოჩენილი სასაფლაოებიდან ბაღდადი და სალხინო (IV ს.)

ვანდამ - სპერმა, რომელიც ლეს თურქეთის ფარგლებშია (ქალაქი ისპირი) როგორც ფიქრობენ, ამ დასახელებიდანვე უნდა მოიმდინარეობდეს ქართველ ტა ხალხების ძველბერძნული სახელწოდება - ი ბ ე რ ი ა (სპერი - პესპერი - ი ბ ერია). ამ აღმოსავლურ ქართული გაერთიანების ერთ-ერთი ცენტრი უნდა ყოფილიყო უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე .

უფლისციხე ნაკეთი გრანდიოზული ციხე-ქალაქია ქართლის ცენტრში. რომლის მშენებლობაც ამ დროს არის დაწყებული. აღსანიშნავია, რომ კლდეში ქალაქების გამოკვეთის ხელოვნება მცირე ამბავია და ურარტულში იყო გავრცელებული. როგორც ჩანს, ქალაქის კლდეში კვეთის გრანდიოზული ფორმა ქართლში იქნებას არის შემოტანილი. უფლისციხის მშენებლობა შემდეგაც გრძელდებოდა და განსაკუთრებულ სრულყოფას მიაღწია ანტიკურ ხანაში. გარდა უფლისციხისა, იმ დროის აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქები იყო: „ძ უ ნ ლ ი მ ც ხ ე თ ა“, ს ა რ კ ი ნ ე , უ რ ბ ნ ი ს ი დ ა ო ძ რ ხ ე .

აღმოსავლეთ საქართველო დაყოფილი ყოფილა ცალკეულ თემობრივ (შეიძლება აღმინისტრაციულ-პოლიტიკურ) ერთეულებად, ხეეებად. რომელიც ა საკუთარშიც გამდიდრებული და სოციალურად დაწინაურებული პირები, „ეკისთაები“ ან მამასახლისები იდგნენ. მათ სიმდიდრეს ადასტურებს სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. მაგალითად, ქსნის ხეობაში აღმოჩენილია ე. წ. ანალგორის განძი. ასევე ალგეთის ხეობაში, სოფ. წინწყაროსთან და ყაბბეგში აღმოჩენილია იმ დროის მდიდრული სამარხები და განძები.

2. ქსენოფონტე ქართველი ტომების შესახებ. ძვ. წ. 401 წელს ირანის შაქის კარზე აგვყლა ბრძოლა ტასტისათვის. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ბერძენთა დაქირავებული ჯარი, რომლის ერთ-ერთი სარდალი იყო ცნობილი ისტორიკოსი ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე . ამ ჯარმა უკან დაბრუნება შავიზღვისპირეთით გადაწყვიტა და გაევლა მოუხდა ქართველი ტომებით დასახლებულ ტე-

რიგორიაზე. ბერძენთა ჯარის უკან დაბრუნება დაწერილებით აღწერა ქსენოფონტემ თავის წიგნში „ანაბაზისი“, რომელშიც მოცემულია ძვირფასი ცნობები იქ მცხოვრები ქართველი ტომების: ‚კარდუხების, ტაოსების, მოსინიკების, სალიბების და სხვათა ყოფა-ცხოვრების შესახებ.

როგორც ქსენოფონტეს აღწერილობიდან ჩანს, იმ დროისათვის შავი ზღვის სამხრეთით მცხოვრებ ქართველ ტომებს სპარსელთა ბატონობისაგან თავი დაეღწეოთ. იქ სურსათ-სანოვაგის დიდი სიუხვე იგრძნობოდა. მაგალითად, კარდუხებს ჰქონიათ მრავალრიცხოვანი და მშვენიერი სახლები, რომლებიც სავსე იყო სურსათით. იქ ღვინო ისე ბევრი იყო, რომ თიხით ამოლესილ ორმოებში ჰქონდათ შენახული. ტაოსები ცხოვრობდნენ მიუვალ სიმაგრეებში და მოელი თავიანთი სურსათი იქ ჰქონდათ აგანილი.

ტაოსები თავდადებით იბრძოდნენ მოძალადეების წინააღმდეგ. როდესაც ბერძნებმა დიდი ბრძოლით აიღეს ტაოსების გამაგრებული ადგილი, ისინი საშინელი სანახაობის მოწმენი გახდნენ: ქალები ბავშვებს უფსკრულში ისროლნენ და თვითონაც თან მიჰყვებოდნენ. ასევე იქცეოდნენ მამაკაცებიც. ტაოსებს არ სურდათ ბერძნებს ცოცხლად ჩავარდნოდნენ ხელში, რადგან, ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, მათ მონობა მოელოდათ. დამამცირებელ სიცოცხლეს ისინი სიკვდილს ამჯობინებდნენ.

ქსენოფონტე აქ ერთ საგულისხმო ამბავსაც გადმოგვცემს: ბერძენი მეომარი დახარბებია ერთი ტაოსის ლამაზ ტანისამოსს და უცდია მისი დაჭერა, როცა ის უფსკრულში გადაეარდნას აპირებდა. მაგრამ ტაოსმა აჯობა ბერძენს და ისიც თან გადაიყოლა. ტაოსებიდან ბერძნებს დატყვევებული ხალხი ძალიან ცოტა წაუყვანიათ, სამაგიეროდ, წაასხეს მრავალი სარი, სახედარი და ცხვარი.

აქედან ბერძნები სალიბების მიწა-წყალზე გადავიდნენ. მათ შესახებ ქსენოფონტე აღნიშნავს, რომ: „ისინი უმამაცესნი იყვნენ იმ ტომებს შორის, რომელთა მიწა-წყალზე ელინებმა გაიარეს. სალიბები ხელჩართულ ბრძოლაში ებძვებოდნენ ელინებთან... მღეროდნენ და როკავდნენ, როდესაც მტერს უყურებდნენ... სალიბები ცხოვრობდნენ სიმაგრეებში და სურსათიც იქ ჰქონდათ აგანილი. ამის გამო ელინებმა აქედან ვერაფერი ვერ წაიღეს“. სალიბების შესახებ ქსენოფონტე აღნიშნავს, რომ „ისინი ცხოვრობდნენ უპირატესად რკინის დამუშავების მეშვეობით“.

ქსენოფონტესთვის უცნობებიათ, რომ ფასიანების ქვეყანაში, ე. ი. დასავლეთ საქართველოში, აიეტის შთამომავლები მეფობენო. სამწუხაროდ, ამ დროის დასავლეთ საქართველოს, ე. ი. ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ ცნობები ძალიან მცირეა შემორჩენილი. სამაგიეროდ, უხვ მასალას იძლევა მდიდარი არქეოლოგიური მონაპოვარი.

3. დიდი ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთის (ეგრისის) სამეფო. ძვ. წ. VI საუკუნიდან ბერძნებმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არაერთი ასალშენი დააარსეს. ასეთი იყო, მაგალითად, ფ ა ზ ი ს (ქ. ფოთის მახლობლად), გ ი ე ნ ო ს ი (ქ. ოჩამჩირესთან), დ ი ო ს კ უ რ ი ა (ქ. სოხუმის მახლობლად). ასევე ბერძნული სავაჭრო დასახლება უნდა არსებული-

ყო დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე, ქობულეთ-ფიჭვნარის რაიონში, რასაც ადასტურებს აქ აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა.

ბერძნებმა ასეთივე ასალშენები დააარსეს ჩრდილო შავიზღვისპირეთში (პანტიკაპეიონი, ოლვია, ხერსონესი და სხვ.). იქ ეს ბერძნული ასალშენები ადგილობრივ მოსახლეობაზე გაბატონდნენ და თავთავიანთი დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოები (პოლისები) შექმნეს. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებული ბერძნული ასალშენები კი განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდნენ. მათ არა თუ ვერ შეძლეს გაბატონებულიყვნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე, არამედ თვითონ მოექცნენ კოლხეთის გავლენის ქვეშ. ამის მიზეზი ის იყო, რომ აქაური მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა. კოლხეთის სამეფოც საკმაოდ ძლიერი იყო, რომ ეს სანაპირო ქალაქები მორჩილებაში ჰყოლოდა.

ბერძნები კოლხეთთან ვაჭრობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. საბერძნეთიდან შემოპქონდათ ძირითადად ხელოსნური ნაწარმი: ქსოვილები, სამკაული, ჭურჭელი და ფუფუნების სხვა საგნები; შემოპქონდათ აგრეთვე კვების ზოგიერთი პროდუქტი (მაგალითად, ზეთი, ღვინო). საქართველოდან გაპქონდათ: სელი და სელის ნაწარმი, ბეწვეული, ტყავი, ვემის საშენი ხე-ტყე, აგრეთვე, ხის ძვირფასი ჯიშები, როგორიც იყო ბზა და სხვ.; ოქრო, რკინა და სხვა ლითონები; გაპყავდათ მონებიც.

ბერძენი ავტორების ცნობებით, კოლხეთი ამ დროს საკმაოდ დაწინაურებული ქვეყანა იყო. იქ განვითარებული ყოფილა მარცვლეულის მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა. ტრადიციულად მაღალ დონეზე იდგა ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგია, ძვირფასი ლითონების დამუშავება. ყოველივე ამას თვალნათლივ ადასტურებს არქეოლოგიური მასალა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნულ ასალშენებს გარდა სხვაც არაერთი ადგილობრივი ქალაქია დადასტურებული. არქეოლოგებმა დღევანდელი დაბა ე ვ ნ ი ს , სამტრედიის რაიონის სოფ. დ ა ბ ლ ა გ ო მ ი ს ა და ს ა ი რ ხ ე ს (საჩხერესთან) ტერიტორიაზე გათხარეს იმდროინდელი ნაქა-



კოლხეთში მოჭრილი ვერცხლის მონეტები ე. წ. „კოლხური თეთრი“:
1. დიდრაქმა - ძვ. წ. VI ს. 2. დიდრაქმა - ძვ. წ. V ს. 3. დრაქმა - ძვ. წ. V ს.
4. ნახევარდრაქმიანი - ძვ. წ. V ს. 5. ტეტრადრაქმა - ძვ. წ. VI ს.

ლაქარები. აქვე აღმოჩნდა ბრწყინვალე არქეოლოგიური მასალა. კოლხეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო ბერძნულ წყაროებში მითითებული კ უ - ტ ა ი ა ანუ ღლეანდელი ქუთაისი. ეს ქალაქები შავი ზღვიდან საკმაოდ მოშორებით, ქვეყნის შიგნით მდებარეობდა და უმნიშვნელოვანეს რელიგიურ-აღმინისტრაციულ და საეკონომო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდა.

ძვ. წ. VI საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში მიმოქცევაში იყო აღგილობრივ მოჭრილი ვერცხლის ფული, რომელსაც მეცნიერები კ ო ლ ხ უ რ თ ე თ რ ს უწოდებენ. ფულის მოჭრა აქ განვითარებული სახელმწიფოს არსებობას ადასტურებს.

ამრიგად, ძვ. წ. VI-V საუკუნეებში კოლხეთი წარმოადგენდა ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ სახელმწიფოს - მრავალრიცხოვანი ქალაქებითა და ქალაქური ტიპის დასახლებებით, განვითარებული მიწათმოქმედებით, მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოებითა და ფულადი მეურნეობით, გაცხოველებული საეკონომიკური ურთიერთობით გარე სამყაროსთან.

როგორც აღნიშნული იყო, არქეოლოგები უკვე დიდი ხანია სწავლობენ ძველი კოლხეთის ნაქალაქარებს. განსაკუთრებით საინტერესო და უხვი მასალაა მოპოვებული დაბა ვ ა ნ ი ს ტერიტორიაზე. აქ აღმოჩნდა ძველი კოლხური ქალაქის საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ქალაქის გალავანი, ჭიშკარი, ცისკოშკები), სასახლეებისა და ტაძრების ნანგრევები, განსაკუთრებულად მოწყობილი საკურთხევლები მრავალფეროვანი შესაწირავებით, კოლხი დიდკაცების მდიდრული სამარხები და უბრალო მოქალაქეების ღარიბული საფლავები. როგორც ჩანს, ქონებრივი შესაძლებლობისა და უფლებრივი მდგომარეობის მხრივ კოლხეთის დიდმოსელე არისტოკრატიასა და დაბალი ფენების წარმომადგენლებს შორის მკვეთრი განსხვავება იყო. ერთ-ერთ სამარხში, რომელიც ძვ. წ. V-IV საუკუნეებით თარიღდება, დაკრძალული იყო მდიდარი კოლხი ქალი, რომელსაც, ვერცხლის, ბრინჯაოსა და ფერადი მინის ნივთებთან ერთად, ათასზე მეტი ოქროს სამკაული ჰქონდა ჩატანებული. მას თავზე ედგა ოქროს დიადემა ცხოველების ჭედური გამოსახულებით; საფეთქლებთან ჩამოკიდებული ჰქონდა ეტლზე მდგარი ცხენოსნების გამოსახულებიანი სასაფეთქლეები; ყურებზე ეკიდა უძვირფასესი საყურეები, ხელებზე ეკეთა ცხოველების გამოსახულებით მორთული ოქროს სამაჯურები; ტანსაცმელზე დამაგრებული ჰქონდა ოქროს მშვილდსაკიდზე ძეწკვით შეერთებული დიდებული ბალთა ფასკუნჯების მინანქრული გამოსახულებით და სხვ.; ამას გარდა, ჩატანებული ჰქონდა აუარებელი ძვირფასი ნივთი. უფრო მდიდრული აღმოჩნდა მეორე სამარხი, სადაც ასევე წარჩინებული კოლხი ქალი იყო დაკრძალული. მას ჩატანებული ჰქონდა როგორც საბერძნეთში დამზადებული ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ისე ადგილობრივი მაღალი ხელოვნებით შექმნილი მოსართავები და სამკაულები. მიცვალებულები ჩასვენებული იყვნენ ხის სარკოფაგებში. ერთ-ერთი სარკოფაგის გვერდით აღმოჩნდა მორახტული ცხენის ჩონჩხიც. როგორც ჩანს, მასთან ერთად შეუწირავთ მისი ცხენიც და, რაც მთავარია, სარკოფაგში ამ წარჩინებულ კოლს ქალთან ერთად დაკრძალული იყო



წარწერებული კოლხი მეომრის სამარხი (ძვ. წ. IV ს.) ვანი.

მისი სამი მსახური ქალიც, რომლებიც მისთვის საიქიოში მოემსახურების მიზნით შეეწირავთ.

ვანშიც აღმოჩნდა კოლხი მეომრის სამარხიც. ისიც ხის სარკოფაგში იყო ჩასვენებული და ჩაგანებული პქონდა როგორც საბრძოლო იარაღები, ისე მდიდრული ნივთები და სამკაულები, მაგალითად, რკინის ფარი, მახვილი და საგეკარი, აგრეთვე, დიდი რაოდენობით შუბისა და ისრის პირები. თვითონ მიცვალებული შემოსილი იყო ძვირფასი ბრინჯაოს აბჯრით. ჩაგანებული ნივთებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს ორნამენტირებული ჭურჭელი. თვითონ მეომარს ესურა ოქროს ფიგურებიანი თავსაბურავი ცხენოსნისა და ფრინველების გამოსახულებით; ხელებზე ეკეთა ოქროსა და ვერცხლის სამაჯურები; თითებზე - ოქროს ბეჭდები, რომელთაგან ერთ-ერთი საბეჭდავს წარმოადგენდა ტახტზე მჯდომი ქალღმერთის გამოსახულებითა და წარწერით „Δεδατος" (დედატოს). ეს ამ მეომრის სახელია. მეომრის ფერხთით თითო მამაკაცისა და ქალის ჩონჩხი აღმოჩნდა. ესენიც მისთვის ჩაგანებული მსახურები იყვნენ. კოლხ მეომარს (დედატოსს) ხელში ეჭირა ოქროს მონეტა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მამის, ფილიპე II-ის მიერ იყო მოჭრილი. ამით სამარხი ზუსტად თარიღდება ძვ. წ. IV საუკუნით. ძველ ელინთა წარმოდგენით, ეს მონეტა მიცვალებულს ქარონისთვის უნდა მიეცა, რომელიც მას ჰადესის კარამდე მიაცილებდა.

ასეთი მდიდრული და გამორჩეული სამარხების აღმოჩენა ადასტურებს იმას, რომ კოლხეთში ქორებრივი და სოციალური დიფერენციაცია უკვე დიდი ხანია შორს იყო წასული, რომ მას ინტენსიური სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა პქონდა როგორც ბერძნულ სამყაროსთან, ისე აქემენიდურ ირანთან.

ძვ. წ. IV საუკუნიდან ერთ დროს ძლიერი კოლხეთის სამეფო თანდათანობით სუსტდება და მისი აღმოსავლეთი რაიონები მეორე ქართული სამეფოს - ქართლის ანუ იბერიის დაქვემდებარებაში ექცევა. ასევე ხდება აღმოსავლეთ ქართული ტომების განსახლება კოლხეთის (ეგრისის) აღმოსავლეთ ოლქებში.

ქართლის (იბერიის) სამეფო ძვ. წ. IV-II საუკუნეებში

1. ქართველო ქართლის ძველი სამეფოს (იბერიის) წარმოქმნამდე. ძვ. წ. IV საუკუნეში მიერ დასახლებული ... ტომების გაერთიანება იყო აღმოსავლურ ქართულ ტომთა დიდი კავშირი, რომელიც საკმაოდ ერთელ ტერიტორიაზე იყო განსახლებული, მაგრამ სახელმწიფოდ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულიყო. როგორც ჩანს, ეს გახლავთ სხვადასხვა ... ძობრივ-თემობრივ ერთეულთა გაერთიანება გვაროვნული წყობილებისაგან შესაფერისი მმართველობით. თითოეულ ასეთ ერთეულს სათავეში ედგა „ქამასახლისი", რომელთა შორის მცხეთის მამასახლისი გამოირჩეოდა. მემატიანეს შენიშვნით, იგი „იყვის მაზაეებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა".

ძვ. წ. VII საუკუნიდან, როდესაც ურარტუელებმა და კიმერიელებმა გაანადგურეს მუშქების სახელმწიფო მცირე აზიაში, მესხური ტომების ერთი ნაკადი განსახლდა ღღეანდელი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილსა და მის მომიჯნავე ოლქებში. ამ მხარეს ამიერიდან მესხეთი ეწოდება. აქემენიდთა ძლიერამოსილი სახელმწიფოს არსებობის პერიოდში საქართველოს სამხრეთი ოლქები, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ მესხებით, სასპერებითა და სხვა აღმოსავლურ ქართული ტომებით, ირანის სახელმწიფოს მფლობელობაში მოექცნენ. უძველეს ქართულ ქრონიკაში („მოქცევაჲ ქართლისაჲ") საქართველოს ამ ნაწილს არიან-ქართლი ანუ ირანის[1] ქართლი ეწოდება. უფრო ჩრდილოეთით, კერძოდ, ქვემო და შიდა ქართლის ტერიტორიაზე აქემენიდებმა თავიანთი ბატონობის გავრცელება ვერ შეძლეს. ასევე კოლხეთიც, როგორც აღნიშნული იყო, აქემენიდებს მხოლოდ „ნებაყოფლობით" უგზავნიდა სუთ წელიწადში ერთხელ, ძღვენის სახით, მონების გარკვეულ რაოდენობას. თუმცა კოლხეთი თანდათან მაინც დასუსტებულა და, სტრაბონის ცნობით, მის მეფეებს მხოლოდ ზომიერი სელისუფლება ჰქონდათ შერჩენილი. იგი ტერიტორიულადაც შემცირებულა. ქართული საისტორიო ტრადიციით, კოლხეთს ანუ ეგრისს ელინისტური ხანის დასაწყისში განაგებდა საკუთარი მმართველი, რომელიც ადგილობრივ მეფეთა შთამომავალი უნდა ყოფილიყო.

2. ქართლის იბერიის სამეფოს წარმოქმნა. ძვ. წ. IV საუკუნეში აქემენიდთა იმპერია გაანადგურა ალექსანდრე მაკედონელმა. ქართლის მოქცევის ქრონიკასა და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში" დაცულია გადმოცემა საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის, მის მიერ ქართლის

1 ირანის სახელმწიფოს სახელწოდება „ირან" მომდინარეობს ძველი სპარსული სიტყვიდან „არიანამ", რაც არიელთა ქვეყანას ნიშნავს.

დაპყრობისა და აქ თავისი მმართველის - აზოს (აზონის) დანიშვნის შესახებ. ეს აზო, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით, იყო ძე არიან-ქართლის მეფისა. მან თავისი მამის სამფლობელოდან, არიან-ქართლიდან, ჩამოასახლა 18 სახლი თავისი მამამძუძენი (ე. ი. მასთან ხელოვნური ნათესაობით დაკავშირებული საგვარეულონი). მათვე „თანა ჰყუანდეს კერპნი ღმერთად გაცი და გაიმ“. ამ ცნობაში მკვლევარნი ხედავენ შიდა ქართლში მესხურ ტომთა რაღაც ნაკადის ჩამოსახლების ასახვას. აზოს მემკვიდრედ ქრონიკა აცხადებს მეფე ფარნავაზს. ლეონტი მროველი კი ფარნავაზს წარმოგვიდგენს აზონის მიერ მოკლული მცხეთის მამასახლისის, სამარას ძმისწულად, რომელიც აუჯანყდა აზონს და ისე მოიპოვა ქართლის მეფის ხელისუფლება.

დადგენილია, რომ ლეონტი მროველი თავისი თხზულების ერთ-ერთ წყაროდ ქართლის მოქცევის ქრონიკას იყენებდა, მაგრამ მას ჰქონდა სხვა ცნობებიცა და სხვა თხზულებებიც, რომელშიც ფარნავაზის გამეფება განსხვავებულად ყოფილა წარმოდგენილი. ცნობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელს თვითონ საქართველოში და კავკასიაში არ ულაშქრია, მაგრამ საეჭვოთ შეესაძლებელია, ბერძენ-მაკედონელთა რომელიმე სარდალს საქართველოში შეეღწია და ქვეყანა დაემორჩილებინა. ამ მხრივ ყველაზე უფრო შესაფერისი დრო იყო მისი მემკვიდრეების, ე. წ. დიადოქოსების, მშფოთვარე ხანა.

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების (ძვ. წ. 323 წ.) შემდეგ მის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერია გაინაწილეს მისმა სარდლებმა, დიადოქოსებმა. ამ გადანაწილებას თან ახლდა გააფთრებული ბრძოლები, რომელთა შედეგადაც ძვ. წ. III ს-ის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა სამი დიდი ელინისტური სახელმწიფო: ერთი იყო თრაკიის სამეფო, რომელშიც, მაკედონიასა და საბერძნეთთან ერთად, შედიოდა შავიზღვისპირა ქვეყნები, მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილის ჩათვლით. მისი მეფე იყო ლიზიმაქე, რომელმაც თავისი მფლობელობა აღმოსავლეთის მიმართულებით გაავრცელა და შესაძლებელია, სწორედ იგი იგულისხმებოდა იმ ბერძენ დამპყრობლად, რომელსაც ქართული წყაროები ალექსანდრე მაკედონელად სახავდნენ. მეორე სახელმწიფო იყო სირიის სამეფო, რომელიც მოიცავდა მცირე აზიის დიდ ნაწილს, სირიას, მესოპოტამიასა და ბაბილონს. მის სათავეში იდგა სელევკი და იგი ყველაზე ძლიერი მონარქი იყო. მესამე ელინისტური სახელმწიფო პტოლემაიოსის ეგვიპტეა.

ძვ. წ. 281 წელს თრაკია-მაკედონიის მეფე ლიზიმაქე დამარცხდა სელევკისთან ბრძოლაში და დაიღუპა კიდეც. მალე მოკლეს თვითონ სელევკიც, რომლის ტახტი ანტიოქოს I-მა დაიკავა. ამ ამბებით ისარგებლა აქემენიდების შთამომავალმა, პონტოს კაპადოკიის განმგებელმა მითრიდატემ და თავი გამოაცხადა პონტოს სამეფოს მეფედ. მან დაიქვემდებარა ლიზიმაქეს სამეფოს აღმოსავლეთი პროვინციები, მათ შორის კოლხეთი და აღმოსავლეთ საქართველო და დაუპირისპირდა სელევკიდებს. აი, ამ დროს უნდა მომხდარიყო ფარნავაზის აჯანყება აზონის წინააღმდეგ.

აჯანყების მომზადებისა და განვითარების შესახებ ამბები საინტერესოდაა გადმოცემული ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“. მართალია, ბევრი

რამ აქ ლეგენდარულია, მაგრამ ძირითადი ფაქტები მაინც რეალური სინამდვილიდან უნდა იყოს აღებული. ამ გადმოცემის მისაღებით, ბერძენ-მაკედონელთა (ალბათ, ლიზიმაქეს) მიერ ქართლის დაპყრობის შემდეგ აქ სარდლად დატოვებული აზონი შეტად მკაცრი მმართველი გამოდგა. მისი ბრძანებით, ყველა ქართველი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, უნდა მოეკლათ. შეშფოთებულმა ფარნავაზის დედამ თავისი შვილი გადამალა კავკასიონის მთებში, სადაც იგი იზრდებოდა და, ბოლოს, შესანიშნავი ვაჟკაცი დამდგარა. მცხეთაში დაბრუნების შემდეგ ფარნავაზი აზონსაც კი მოსწონებია და თავის ამალაში ჩაურიცხავს. ფარნავაზის დედა მაინც შიშობდა, რომ მისი შვილი დამპყრობლებს არ მოეკლათ და უკვე აპირებდა მასთან ერთად სპარსეთში გადახვწას, რომ ფარნავაზმა ნადირობისას, შემთხვევით, ერთ გამოქვაბულში დიდ განძს მიაგნო. ამ სიმდიდრის გამოყენებით მან გადაწყვიტა დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყება და დასავლეთ საქართველოს განმგებელს, ქუჯის დაუკავშირდა. ამ დროს დასავლეთ საქართველოც აზონს ემორჩილებოდა, მაგრამ მას ცალკე მმართველი ჰყავდა ქუჯის ექვემდებარებოდა სვანეთიც. ის აკონტროლებდა იმიერკავკასიიდან გადმოსასვლელებს და საშუალება ქქონდა, გადმოეყვანა კავკასიელ მთიელთა დამხმარე ან დაქირავებული ჯარი. ფარნავაზმა ჯერ მოციქული გაგზავნა ქუჯისთან მოსალაპარაკებლად, შემდეგ თვითონაც გადავიდა დასავლეთ საქართველოში და მასთან ერთად გადაწყვიტა აზონის წინააღმდეგ აჯანყება.

აჯანყების დროც შესაფერი იქნა შერჩეული. როგორც აღინიშნა, წინააღმდეგობა ლიზიმაქეს და სელევკის მემკვიდრეებს შორის უკიდურესობამდე იყო მისული. სელევკის მემკვიდრე ანტიოქოს I ცდილობდა, თავისი ძალაუფლება მთელს ელინისტურ სამყაროზე გაევრცელებინა. იგი უპირისპირდებოდა როგორც მაკედონიას, ისე პონტოს ახალწარმოქმნილ სამეფოსაც. ამ დაპირისპირებით ისარგებლა ფარნავაზმა და კავშირი დაამყარა ანტიოქოს I-თან.

ფარნავაზს დამხმარე ჯარი მოუვიდა როგორც ეგრისიდან, ისე იმიერკავკასიიდანაც. მისი მხარე დაიჭირა, აგრეთვე, აზონის 1000-მა რჩეულმა მხედარმა. მომხრეებშემოცლილი აზონი კლარჯეთში გადავიდა. ფარნავაზმა დაიკავა მცხეთა და ქართლის მთელი ტერიტორია. ამის შემდეგ მან ანტიოქოს I-თან გაგზავნა ელჩობა. სელევკიდურ სირიასთან კავშირის დამყარებით ფარნავაზი მსოფლიოს ამ უპირველესი მონარქისაგან არა მარტო დახმარების მიღებას, არამედ მეფედ ცნობასა და აღიარებას ესწრაფოდა. ამის სამაგიეროდ, ფარნავაზი, ანტიოქოს I-ს „მსახურებას" აღუთქვამდა. ანტიოქოსმა ფარნავაზს „უწოდა შვილად თვისად". მართალია, ეს „მსახურება" და მამა-შვილობა გარეგნული აღიარების ფარგლებს არ გასცილებია, მაგრამ იგი სელევკიდების სახელმწიფოს მაინც უსახავდა გაელენის სფეროს გაფართოების პერსპექტივას ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონში, როგორიც ამიერკავკასია იყო. საქართველოს შეეძლო მიეღო რეალური დახმარება მომავალ მძიმე ბრძოლებში, ხოლო ფარნავაზს - თავისთვის მეფის ლეგიტიმური ხელისუფლება დაემკვიდრებინა.

საქართველოს დიპლომატიურმა მისიამ თავისი ამოცანა შეასრულა. ძველ სამყაროში მიღებული ეტიკეტის შესაბამისად, ფარნავაზის მოციქულებმა „ძლიერი დიდძალი“ გადასცეს „ასურასტანის მეფეს“, ანტიოქოს I-ს, რომელმაც ფარნავაზს სამეფო გვირგვინი გამოუგზავნა და საქართველოს მოსაზღვრე სომხური საგრაპიების მმართველებს მისადმი დახმარება უბრძანა.

კლარჯეთში გამაგრებულმა აზონმა პონტოს სამეფოსაგან დამხმარე ჯარი მიიღო. ფარნავაზის ჯარებსა და აზონს შორის ბრძოლა მოხდა არტაანის ნაქალაქართან, სადაც აზონი დამარცხდა და თვითონაც დაიღუპა. ფარნავაზმა მოარბია „საბერძნეთის“ (პონტოს) მოსაზღვრე ტერიტორია და დაიკავა კლარჯეთი.

3. ქართლის სახელმწიფოებრივი მოწყობა. აზონზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ფარნავაზმა თავი მეფედ გამოაცხადა. მან ერთგულ მოკავშირეებს - ოესთა მეფესა და ქუჯის - ცოლად მისცა თავისი დები, ხოლო ქუჯი, ამაეე დროს „დაამტკიცა“ ეგრისისა და სვანეთის ერისთავად. ფარნავაზმა ქვეყანა 8 საერისთაოდ და 1 სასპასპეტოდ დაყო. საერისთაო წარმოადგენდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ და სამხედრო ერთეულს, რომლის სათავეშიც მეფის მოხელე - ერისთავი იდგა. საერისთაოსაგან განსხვავებულ და უფრო დიდ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა სასპასპეტო, რომელიც მთელ შიდა ქართლს მოიცავდა. მისი განმგებელი სპასპეტი ყველა ერისთავზე მაღლა იდგა („მთაერობით განაგების ყოველთა ერისთავთა ზედა“). ერისთავებს ექვემდებარებოდნენ სპასალარნი და ათასისთავნი, რომელთა მეშვეობითაც აიკრძალებოდა „ხარკი სამეუფო და საერისთაო“.

ფარნავაზმა გააშენა და გააძაგრა ბერძენ-მაკედონელთა შემოსევის შედეგად დანგრეული მცხეთა და სხვა ციხე-ქალაქები. მანვე შექმნა მთავარი ღვთაების - არმაზის კულტი, რომელშიც სინკრეტულად თავმოყრილი იყო რამდენიმე ძველი ადგილობრივი ღვთაების ნიშან-თვისებანი. ძველი ქართველები განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ მთვარის ღვთაებას, რომელიც მეომარი მამაკაცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. არმაზის კულტის საფუძველად წარმოდგებოდა სწორედ მთვარის ღვთაება, რომელსაც ახალი ნიშან-თვისებანიც მიემატა. როგორც ჩანს, მისი პროტოტიპი ძველი ხეთური მთვარის ღვთაება უნდა ყოფილიყო (ხეთურად Armas სწორედ მთვარის ღვთაებას ნიშნავდა და მისი სახელი უნდა შემოეტანათ ხეთურ კულტურას ზიარებულ მესხურ ტომებს). არმაზის კერპი აღმართეს მცხეთის მოპირდაპირე მთაზე, სადაც უფრო გვიან ციხეც გაშენდა და არმაზ-ციხე ეწოდა. არმაზის, როგორც მთავარი ღვთაების, კულტის შემოღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალჩამოყალიბებულ ქართლის სამეფოში მეფის ძალაუფლებისა და ავტორიტეტის განმტკიცებისათვის. ფარნავაზსავე მიაწერს ლეონტი მროველი ქართლში ერთიან სახელმწიფო ენად ქართულის შემოღებას და ქართული მწიგნობრობის შექმნას.

ქართლის სამეფომ ფარნავაზისა და მისი უშუალო მემკვიდრეების - საურმაგისა და მირიან I-ის დროს დიდ სიძლიერეს მიაღწია. სამეფოს ფარგლები მოიცავდა, საკუთრივ ისტორიული ქართლის გარდა, შემდეგ[illegible]ული კახეთის დიდ ნაწილს, სამცხეს, ჯავახეთს, კოლა-არტაანს, კლარჯეთს, აგრეთ-

ეე. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს (აჭარას, არგვეთს, ეგრისს, სვანეთს). ფარსაეაწმა დასავლეთ საქართველოში თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ჩაიგდო შორაპნისა და ღიმრის ციხეები. ქართლი თავის გავლენას ავრცელებდა აღმოსავლეთის მიმართულებითაც. ქართლის მეფეების კონტროლს ექვემდებარებოდა უმნიშვნელოვანესი გადმოსასვლელები კავკასიონის ქედზე. ამ გადმოსასვლელების გამაგრებით დაინტერესებული იყვნენ საქართველოს მეზობელი ქვეყნებიც. რადგან აქედან მეტმოვალ იყო მომთაბარე-მეომარი ტომების შემოსევების საფრთხე. ამ პოლიტიკურ ფაქტორს უნარიანად იყენებდნენ ქართლის მმართველები.

ქართლის სამეფოს ტრადიციულად კარგი ურთიერთობა ჰქონდა სელევკიდების სირიის სამეფოსთან, მაგრამ ძ. წ. 190 წელს ქ. მაგნესიასთან მომხდარ ბრძოლაში რომაელებმა დაამარცხეს ანტიოქოს III და აიძულეს დამამცირებელი ზავი დაეღო მათთან. ამით ისარგებლეს სელევკიდების სამეფოს ჩრდილოეთის პროვინციების განმგებლებმა - არტაქსმა და ზარიადრემ და სელევკიდების ძორჩილებისაგან თავი გაითავისუფლეს. მათ სომხეთის ტერიტორიაზე შექმნეს ორი სახელმწიფო - დიდი არმენია და სოფენეს სამეფო. ამ სახელმწიფოებმა გამოიყენეს ქართლში დაწყებული შინაარეულობა და საქართველოს სამხრეთი ტერიტორიების ნაწილი (სტრაბონის მისედვით, პარიადრეს მთის კალთები, ხორზენე და გოგარენე, რომლებიც მტკვრის გაღმა მდებარეობდა) მიიტაცეს. ამავე მიზეზით ქართლის სამეფოს ჩამოშორდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილიც.

4. ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობა. ახალწარმოქმნილი ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობის შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდის ძველი ბერძენი გეოგრაფი ს ტ რ ა ბ ო ნ ი (ძვ. წ. 64 - ახ. წ. 24). მისი აღწერით, „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაცა და დაბებითაც. ისე, რომ აქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი". ქვეყანა აქტიურ ალებ-მიცემობას ეწეოდა და დიდ როლს ასრულებდა ძველი საბერძნეთის აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობაში. სტრაბონის მტკიცებით, **აქ გადიოდა დიდი სავაჭრო გზა (მდ. რიონი, მდ. მტკვარი, კასპიის ზღვა), რომლითაც ბერძნები შორეულ ინდოეთს უკავშირდებოდნენ.** და არა მარტო ინდოეთს. როგორც ირკვევა, ძვ. წ. II საუკუნიდან იგივე გზა გამოიყენებოდა ევროპის ჩინეთთან დასაკავშირებლად, საიდანაც შემოჰქონდათ აბრეშუმი. ამდენად ეს გზა „ა ბ რ ე შ უ მ ი ს დ ი - დ ი გ ზ ი ს" სახელით არის ცნობილი.

რაც შეეხება ქართლის სამეფოს სახელმწიფოებრივ წყობას, სტრაბონის მისედვით იგი წარმოადგენდა მონარქიულ სახელმწიფოს. ქვეყანას სათავეში ედგა მეფის საგვარეულო, რომელსაც ძველ საქართველოში სეფე გვარი ეწოდებოდა. გვარის უფროსი მეფობდა და „დიდი მეფის" ტიტულს ატარებდა. მისი რეზიდენცია ქ. მცხეთაში იყო. მეფის ხელისუფლება მემკვიდრეობით გვარში უფროსზე, სოლო უფრო გვიან - მამიდან შვილზე გადადიოდა. მეფის ხელთ იყო უმაღლესი ძალაუფლება სახელმწიფოებრივი საქმიანობის თითქმის ყვე-

ლა სფეროში, ეს იქნებოდა საგარეო პოლიტიკის წარმართვა თუ საშინაო მმართველობა. მას ემორჩილებოდნენ სამხედრო და სამოქალაქო დიდმოხელენი, ცალკეული რეგიონების განმგებელი ერისთავები. ერისთავებად ძირითადად ადგილობრივ დაწინაურებული საგვარეულოების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ მათი დამტკიცება ან შეცვლა მხოლოდ მეფეს შეეძლო.

ქვეყანაში მეორე პირი იყო სამეფო საგვარეულოს წევრი - სპასპეტი, რომელიც მთავარსარდლისა და უმაღლესი მსაჯულის მოვალეობას ასრულებდა. ამავე დროს იგი განაგებდა სახელმწიფოს ცენტრალურ ოლქს - შიდა ქართლს. სამეფო საგვარეულოს წევრებს - სეფეწულებს ეკავათ მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი. ისინი იყვნენ მეფისნაცვლები ცალკეულ ოლქებში, ზოგჯერ - ერისთავებიც. სამეფო გვარდიის ძირითად მასას სეფეწულები შეადგენდნენ. სეფეწულების გამრავლება მარტო ბუნებრივი მატების გზით როდი ხდებოდა. მტკიცედ იყო შემორჩენილი და დაცული სელოვნური დანათესავების ტრადიცია (შამამძუძეობა, ძმადშეფიცულობა).

უშუალოდ სამეფო საგვარეულო დიდ ტერიტორიას ფლობდა მასზე მცხოვრები მოსახლეობითურთ. იგი ძირითადად დაპყრობილი და ქართლის სამეფოს მიერ თანდათანობით დაქვემდებარებული მეთემეებისაგან შედგებოდა. მათ სტრაბონი „ლაოებს" - „სამეფო მონებს" უწოდებს (მონები აქ გადაგვანითი მნიშვნელობით არის ნასმარი). იმავე სტრაბონის ცნობით, ისინი ამზადებდნენ ყველაფერს, რაც სამეფო საგვარეულოს შენახვისთვის იყო საჭირო.

ქართლის მოსახლეობის უმრავლესობას თავისუფალი (ან ნახევრად თავისუფალი) მეთემეები შეადგენდნენ, რომლის ქართული სახელი იყო „ერი". მათ ნაწილობრივ ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდათ გვაროვნული დემოკრატიის ნიშნები და გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლებით სარგებლობდნენ; მშვიდობიანობის დროს ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, ხოლო ომიანობის შემთხვევაში მონაწილეობდნენ სახალხო ლაშქარში თავიანთი ნუბლითა და შეიარაღებით. მათ ეკისრებოდათ გარკვეული გადასახადები სახელმწიფოს სასარგებლოდ, ასევე შესაწირავებსა და გადასახადებს უხდიდნენ წარმართულ სამლოცველოებს.

ქართლში საკმაო რაოდენობით იყვნენ მონებიც, მაგრამ ისინი სოფლის მეურნეობაში ნაკლებად გამოიყენებოდნენ. მათ ძირითადად ასაქმებდნენ მძიმე სამუშაოებზე, როგორიც იყო ციხეებისა და სასახლეების მშენებლობა, გზებისა და არხების გაყვანა, მაღაროებსა და სამთამადნო წარმოებაში მუშაობა, გემებზე მენიჩბეობა. ისინი გამოიყენებოდნენ სხვადასხვა დარგის სახელოსნოებსა და პირად მომსახურებაში.

ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ ქურუმებსაც. მათ განკარგულებაში იყო დიდი საგაძრო მამულები და მდიდრული განძები, რომელიც წლების განმავლობაში გროვდებოდა შესაწირავების გზით. გარდა იმისა, რომ სტრაბონი პირდაპირ მიუთითებს ერთ-ერთ ასეთი უაღრესად მდიდარ ლეკოთეას გაძარზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი ასეთი გაძარია დადასტურებული. ქურუმები, კულტის მსახურების გარდა, ხელმძღვანელობდნენ დიპლომატიური აქტების გაფორმების ცერემონიალებს და სხვ.

სახელმწიფო მმართველობა ქართლის ძველ სამეფოში ხორციელდებოდა სამოსელეო აპარატის მეშვეობით. მეფის კარზე ერთ-ერთი მაღალი სამოსელეო თანამდებობა იყო ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი ს ა , რომელიც სათაურში ედგა სამეფო აღმინისტრაციას („ეზოჲ“ აქ მეფის კარის მნიშვნელობით არის ნახმარი). იგი განაგებდა სახელმწიფო შემოსავალს, ხელმძღვანელობდა სახელმწიფო გადასახადების აკრეფას, სათაურში ედგა სამეფო მეურნეობას, ჩართული იყო სამხედრო საქმიანობაშიც. მას, ისევე როგორც ქართლის სამეფოს ყველა ღიღმოსელეს, ევალებოდა ლაშქრობაში მონაწილეობაც; საჭირო შემთხვევაში, ალბათ, სამეფო მამულიდან ჯარის გამოყვანა და ხელმძღვანელობა. საგულისხმოა, რომ არმაზის ბილინგვაში ს ხ ე ფ ა რ ნ უ გ მეფის ეზოსმოძღვარს იოდმანგანს ეწოდება „ძლევამოსილი და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი“.

უშუალოდ სამხედრო საქმეს მეორე პირი - ქართლის სპასპეტი ხელმძღვანელობდა. ადგილებზე კი სამხედრო საქმეს (ჯარის გამოყვანა, აღრიცხვა, მომზადება) ერისთავები განაგებდნენ. ერისთავებს ექვემდებარებოდნენ ათასისთავები, სპასალარები და სხვ.

რომის გავლენის დამყარება საქართველოში

ძვ. წ. II საუკუნის ბოლოსა და I საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეზობლად გაძლიერდა პონტოს სამეფო. პონტოს სახელმწიფო მდებარეობდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და მისი მოსახლეობის დიდ ნაწილს ქართველური ტომები: ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, სალიბები, სანები და სხვ. შეადგენდნენ. იქ ძლიერი იყო ელინისტური კულტურის გავლენა და გაბატონებული მდგომარეობა ბერძნულ-მაკედონურ არისტოკრატიას ეკავა. პონტოს სამეფომ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია მ ი თ რ ი დ ა ტ ე VI ევპატორის (111-63) მეფობის დროს.

მითრიდატე პონტოელმა დაიპყრო დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი.

მითრიდატე VI.

კოლხეთს პონტოს სამეფოს ძლიერებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან გაჰქონდათ საბლეაო ხომალდებისათვის საშენი ხე-ტყე, აქედანვე გაპყავდათ მეზღვაურებიც. კოლხი მეომრები გამოირჩეოდნენ დიდი სიმამაცით და მითრიდატეს სამხედრო ნაწილებში იყენენ ჩართულნი.

პონტოს შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო რომის უძლიერესი სახელმწიფო, რომელიც განაგრძობდა შემოტევას

პომპეუსი.

აღმოსავლეთის მიმართულებით. მითრიდატე პონტოელმა სცადა წინა აზიის სალსები გაეერთიანებინა რომის ექსპანსიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მან თავისი ქალიშვილი ცოლად შერთო სომხეთის მეფე ტიგრან II-ს (ძვ. წ. 95-56) და სომხეთი თავის მოკავშირედ აქცია. ტიგრან II-მ კარგად ისარგებლა შექმნილი ვითარებით და წინა აზიაში დიდი ტერიტორიები დაიპყრო. პონტოსა და სომხეთს რომის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართლისა და ალბანეთის სამეფოებიც შეუერთდნენ.

თავდაპირველად მოკავშირეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ შემდეგ გამარჯვების სასწორმა რომის მხარეს იწყო გადახრა. ძვ. წ. 66 წელს რომის ჯარების სარდლად დანიშნა გნეუს პომპეუსი, რომელმაც შეუზღუდავი ძალაუფლებაც მიიღო აღმოსავლეთში. მან, სამხედრო მოქმედებასთან ერთად, ენერგიული დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღა და მითრიდატეს არაერთი მოკავშირე ჩამოაცილა. მაგალითად, თავის მხარეზე გადაიბირა პართიის მეფე. მალე მითრიდატესა და ტიგრან II-ს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. როდესაც პომპეუსისაგან დამარცხებულმა მითრიდატემ სომხეთში სცადა თავის შეფარება, იგი ტიგრანმა არ მიიღო, პირიქით, ჯილდოს შეპირდა იმათ, ვინც მითრიდატეს შეიპყრობდა ან მოკლავდა. მითრიდატე იძულებული გახდა, მცირერიცხოვანი მხედრობით, კოლხეთში გაქცეულიყო. მან ძვ. წ. 66-65 წლების ზამთარი დიოსკურიაში (ახლანდ. სოხუმი) გაატარა და იქიდან ბოსფორის სამეფოში (ყირიმში) გადავიდა. პომპეუსმა მითრიდატეს დევნას დროებით თავი დაანება და მის მოკავშირეებს მიუბრუნდა. დამარცხებული ტიგრან II იძულებული გახდა დანებებოდა რომაელთა სარდალს. მას ჩამოერთვა დაპყრობილი ქვეყნების დიდი ნაწილი, ასევე დიდი კონტრიბუციის (6000 ტალანტის) გადახდა დაეკისრა. ასე დამცრობილი და დამარცხებული სომხეთი რომის „მოკავშირედ" გამოცხადდა.

ძვ. წ. 65 წლის გაზაფხულზე რომაელთა არმია პომპეუსის მეთაურობით საქართველოსკენ დაიძრა. ამ დროს ქართლში არტაგი მეფობდა. ქართველი მეფე კარგად ხედავდა, რომ ძალები უთანაბრო იყო და მას არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია რომაელთა უძლეველი არმიისათვის, ამიტომ პომპეუსს დესპანი მიუგზავნა და ზავი შესთავაზა. პომპეუსი დაეჭვდა, რომ ქართლის მეფეს ეს მოლაპარაკება დროის გასაყვანად და ძალების მოსაკრებად უნდოდა; ამიტომ შეწყვიტა მოლაპარაკება და ქართლის შუაგულისაკენ დაიძრა.

რომაელთა ჯარი არმაზის ციხეს შემოადგა. არმაზის ციხის მცირერიცხოვანმა გარნიზონმა მათ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მეფე არტაგი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადავიდა და ხიდი დაწვა. პომპეუსის ჯარებმა

ე. წ. „პომპეუსის ხიდის" ნაშთები მდ. მტკვარზე

მტკვრის სამხრეთით მდებარე ტერიტორია დაიკავეს. არტაგმა კელავ მოლაპარაკებით სცადა ზაეის ჩამოგლება, მტკვარზე ხიდის აღდგენა და რომაელთა ჯარს სურსათით მომარაგება აღუთქვა. მაგრამ პომპეუსს ქართლის სრული დამორჩილება სურდა. რომაელები გადაეიღლნენ მტკვრის მარცხენა ნაპირზე და იბერთა ლაშქარს არაგვის ხეობაში შეუტიეს. ბრძოლა ქართველთა დამარცხებით დამთავრდა.

რომაელი ისტორიკოსები აღწერენ, თუ რა თავდადებით იბრძოლნენ ქართველი მეომრები. დამარცხების მიუხედავად, ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას, ადიოდნენ მაღალ ხეებზე და იქიდან უშენდნენ ისარს მომხვდურებს. მამაკაცებთან ერთად მამაცურად იბრძოლნენ ქალებიც. დაჭრილთა შორის, რომლებიც რომაელებმა დაატყვევეს, მრავალი ქალი აღმოჩნდა. ბრძოლის ველზე 9000 ქართველი მეომარი დაეცა. რომაელებმა ქართლში 10000-ზე მეტი ტყვე იგდეს ხელთ. არტაგმა რომაელების სარდალს მძევლები და ძვირფასი საჩუქრები, მათ შორის, ოქროს საწოლი, ტახტი და მაგიდა გაუგზავნა. რომაელები სათანადოდ ითვალისწინებდნენ საქართველოს სტრატეგიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას და, ბოლოს, დაზავებაზე დათანხმდნენ. მათ მეფობა ხელუხლებლად დატოვეს ქართლში. ქართლის მეფეს რომაელთა მეგობრობა და მოკავშირეობა დაეკისრა. ასევე ევალებოდა კავკასიონის უღელტეხილების შეკვრა და იმიერკავკასიიდან მეომარ-მომთაბარე ტომების შეკავება. იბერიიდან პომპეუსი კოლხეთში გადავიდა. აქ მას საზღვაო ფლოტი უცდიდა ფაზისთან.

პომპეუსს დასავლეთ საქართველოშიც ბრძოლით მოუხდა გზის გაკაფვა. მას დიდი წინააღმდეგობა გაუწია კოლხეთის ერთ-ერთმა სკეპტუხმა ო ლ თ ა კ მ ა , რომელიც დაატყვევეს და რომში წაიყვანეს. ზოგმა ადგილობრივმა ხელისუფალმა კი, პირიქით, რომაელებს დაუჭირა მხარი. კოლხეთის დაკავების შემდეგ სწორედ ასეთი ადგილობრივი დიდკაცობის წარმომადგენელი - ა რ ი ს ტ ა რ ქ ე დანიშნა პომპეუსმა კოლხეთის მმართველად

ჩვენამდე მოაღწია ამ არისტარქეს მიერ მოჭრილმა მონეტებმა, რომლებზედაც ამოკვეთილია წარწერა: „არისტარქე, კოლხეთის მბრძანებელი". არისტარქე რომისადმი ეასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. მისი სამფლო-

პომპეუსის მიერ დასაელეთ საქართველოში დანიშნული მმართველის არისტარქეს დრაქმა (ძვ. წ. 1 ს.).

ბელო ძირითადად კოლხეთის ცენტრალურ რაიონებს მოიცავდა, ხოლო რეზიდენცია ქ. ფაზისში (ფოთში) იყო.

ბოსფორში გადახვეწილ მითრიდატეს აუჯანყდა მისი უკანასკნელი იმედი და მემკვიდრედ გამოცხადებული ეაეიშვილი, ფარნაკი. ყოველმხრივ იმედგაცრუებულმა და მომხრეებშემოცლილმა მითრიდატემ თვითმკელელობით დაამთავრა სიცოცხლე. ფარნაკმა პომპეუსს მძეელები და თავისი მამის ცხედარი გაუგზავნა და, ამის სამაგიეროდ, ბოსფორის მეფედ დამტკიცება ითხოვა. ისტორიკოს აპიანეს ცნობით: „პომპეუსმა მითრიდატეს გვამის ბრწყინვალე დაკაფლავება მოაწყო და დაავალა მის მსახურთ დაემარხათ იგი სამეფო საკრძალავში, - ასე იყო აღტაცებული პომპეუსი მისი საგმირო საქმეებით და იგი თავისი დროის მეფეთა შორის ყველაზე უკეთესად მიაჩნდა“.

ძვ. წ. 49 წელს რომში პომპეუსსა და იულიუს ცეზარს შორის ატყდა დიდი სამოქალაქო ომი. ამით ისარგებლა ბოსფორის მეფე ფარნაკმა და კოლხეთისა და პონტოს დაუფლება სცადა. ფარნაკი თავს დაესხა დასაელეთ საქართველოს და სასტიკად დაარბია იგი. ამ დროს გაძარცვეს და დაანგრიეს კოლხეთის უმდიდრესი ლევკოთეას ტაძარი. როგორც ვარაუდობენ, ეს ტაძარი მდებარეობდა დღევანდელი დაბა ეანის ტერიტორიაზე, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მართლაც გამოვლინდა ამ უნიკალური სატაძრო კომპლექსისა და ქალაქის ნაშთები.

ფარნაკი თავისი მამის, მითრიდატე დიდის სამეფოს აღდგენაზე ოცნებობდა, მაგრამ ძვ. წ. 47 წელს იგი დაამარცხა იულიუს ცეზარმა[1], რის შემდეგ ფარნაკი მალე დაიღუპა კიდეც. იმავე წელს კოლხეთი კიდევ ერთხელ დაარბია პერგამონის მეფე მითრიდატე VII-მ. რომაელებმა კოლხეთი მცირე ხნით აღდგენილ და რომისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შეიყვანეს.

რაც შეეხება ქართლის სამეფოს (იბერიას), არტაგის მემკვიდრეებმა ისარგებლეს რომში დაწყებული სამოქალაქო ომით, რომის მარცხით პართიასთან ბრძოლაში და ძვ. წ. 50-30-იან წლებში სავსებით გათავისუფლდნენ რომისადმი დამოკიდებულებისაგან. რომში კი ბრძოლა უზენაესი ძალაუფლებისათვის ამჯერად ოქტავიანესა და ანტონიუსს შორის წარიმართა. ანტონიუსმა, რო-

1 ბრძოლა მოხდა ქ. ზელასთან. იულიუს ცეზარმა იმდენად სწრაფად შეძლო ფარნაკის დამარცხება, რომ მან რომს თავისი გამარჯვება შემდეგი სიტყვებით შეატყობინა: veni, vidi, vici (მოვედი, ვნახე, დავამარცხე).

მელსაც აღმოსავლეთის პროვინციები პქონდა ჩაბარებული, ძვ. წ. 36 წელს, მიემართებოდა რა პართიაზე სალაშქროდ, იბერიის წინააღმდეგ გამოგზავნა რომაელთა ჯარი პ უ ბ ლ ი ო ს კ ა ნ ი დ ი ო ს კ რ ა ს ო ს ი ს მეთაურობით, რომელმაც დაამარცხა იბერიის მეფე ფ ა რ ნ ა ვ ა ზ II და აიძულა იგი, კვლავ რომის მოკავშირე გამხდარიყო. ამის შემდეგ რომაელებმა, ქართლის ჯარის დასმარებით, ალბანეთს შეუტიეს. ამ ქვეყნის მეფე ზ ო ბ ე რ ი დამარცხდა და ისიც რომაელთა მოკავშირედ გამოცხადდა. ეს იყო ანტონიუსის უკანასკნელი წარმატება. ისტორიკოსი დიონ კასიუსი აღნიშნავს, რომ ანტონიუსი დიდად ამაყობდა იბერიასთან და ალბანეთთან კავშირის აღდგენით. საბოლოოდ, როგორც ცნობილია, ანტონიუსმა მარცხი განიცადა როგორც საგარეო, ისე საშინაო ასპარეზზე. ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრასადმი ტრფიალებით თავგზააბნეულმა ანტონიუსმა ძვ. წ. 30 წელს თვითმკვლელობით დაასრულა ერთობ მშფოთვარე სიცოცხლე. გამარჯვებული ოქტავიანე სენატმა რომის უზენაეს მმართველად გამოაცხადა და იმპერატორის ტიტული მიანიჭა. ამით საბოლოოდ დამთავრდა რომში რესპუბლიკური მმართველობა და დაიწყო რომის იმპერიის პერიოდი.

ოქტავიანეს აღმოსავლური პოლიტიკა ძირითადად დიპლომატიურ ღონისძიებებს ითვალისწინებდა. ქართლის სამეფოც განაგრძობდა რომთან „მოკავშირეობას". ქართველი პოლიტიკოსები ამ კავშირით თავისთვის სარგებლის მოპოვებას ცდილობდნენ, რაშიც მათ გარკვეული წარმატება პქონდათ კიდეც.

საქართველო ახ. წ. I საუკუნეში

ახ. წ. პირველ საუკუნეებში ქართლის სამეფო შესამჩნევად გაძლიერდა. ამას ხელი შეუწყო ხელსაყრელმა საგარეო-პოლიტიკურმა პირობებმა. კერძოდ, სომხეთი ამ დროს დასუსტებული იყო და მის დასაუფლებლად ყველა საშუალებით ერთმანეთს ებრძოდა რომი და პართია. ამ ბრძოლაში ქართლიც ჩაერთო და მან არა მარტო დაიბრუნა სომხეთის მიერ საქართველოსგან მიტაცებული ტერიტორიები, არამედ თვით სომხეთის დაუფლებაც სცადა.

34 წელს პართიის მეფე არტაბან III-მ სომხეთში თავისი ვაჟი, არშაკი გაამეფა. იმპერატორმა ტიბერიუსმა ქართლის მეფე მითრიდატეს დაავალა განედევნა სომხეთიდან პართიელები და ნება დართო იქ თავისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი გაემეფებინა. ქართლის ჯარი, ტახტის მემკვიდრე ფ ა რ ს მ ა ნ ი ს მეთაურობით, შეიჭრა სომხეთში და დაიკავა სომხეთის დედაქალაქი არტაშატი. პართიის მეფის შვილი არშაკი მოკლეს. სომხეთში კი ქართლის მეფის მეორე ვაჟი მ ი თ რ ი დ ა ტ ე გაამეფეს. ამის საპასუხოდ, არტაბანმა სომხეთში დიდი ლაშქარი გამოგზავნა თავისი მეორე შვილის ო რ ო დ ი ს მეთაურობით. ქართველებმა სათანადო თადარიგი დაიჭირეს. მათ დაიხმარეს მეზობელი ალბანელები, გასხნეს კავკასიონის გადმოსასვლელები და იმიერკავკასიიდან გადმოიყვანეს სარმატების დაქირავებული ჯარი.

პართიელების მთავარ ძალას მთელს მსოფლიოში განთქმული მათი ცხენოსანი ლაშქარი შეადგენდა, ქართველებს კი, ცხენოსან ჯართან ერთად, ძლიერი ქვეითი ჯარიც ჰყავდათ. ქართველთა ლაშქარს ბრძოლის წინ ფარსმანმა სიტყვით მიმართა. ამ სიტყვის შინაარსი შემონახული აქვს რომაელ ისტორიკოს ტაციტუსს. ფარსმანი მოაგონებდა ქართველ მეომრებს, რომ მათ საშიშობლოს პართიელთა ბატონობა არ უწვნევია და ახლაც ეძლეოდათ საშუალება მათზე გამარჯვებით დიდი სახელი მოეხვეჭათ. ქართველი უფლისწული აფრთხილებდა სულმოკლეებს, თუ მტერს ზურგს უჩვენებდნენ, ამით ისინი დიდ სირცხვილში ჩაიგდებდნენ თავს. მას მიუთითებია ქართველთა მრისხანე სამხედრო წყობასა და მიდიელთა ოქროთი დაკაზმულ რაზმებზე და უთქვამს: აქ ვაკაცები არიან, იქ კი საშოვარიო. მეფის მიმართვამ ქართველთა ლაშქარი აღაფრთოვანა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ფარსმანი თვითონ უჩვენებდა თავის მეომრებს გმირობისა და თავდადების მაგალითს. როდესაც შუა ბრძოლაში ქართველთა და პართიელთა სარდლები ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ფარსმანი უშუალოდ შეება პართიელ უფლისწულს და ხმლის დარტყმით მუსარადი გაუხეთქა. ოროდის მცველებმა თავგანწირული უფლისწული სასწრაფოდ გაარიდეს ბრძოლის ველს, მაგრამ ცნობამ მათი სარდლის სასიკვდილოდ დაჭრის შესახებ მტრის ლაშქარში დიდი არეულობა გამოიწვია, ქართველებმა კი გულსრულად შეუტიეს პართიელებს და სასტიკად დაამარცხეს.

ახლა კი პართიის მეფემ მთელი თავისი ძალით გამოილაშქრა სომხეთზე, მაგრამ დამარცხდა და საბოლოოდ განიდევნა სომხეთიდან. ქართველებმა სომხეთში ფარსმანის ძმა მითრიდატე გაამეფეს.

სომხეთში ქართველი უფლისწულის გამეფებას რომაელები ვერ შეეგუენ. იმპერატორმა კალიგულამ (37-41) რომში დაიბარა მითრიდატე და იქ ვერაგულად დააპატიმრებინა, მაგრამ მომდევნო იმპერატორმა კლავდიუსმა იგი გაათავისუფლა და კვლავ სომხეთში დააბრუნა.

ტრაგიკულად წარიმართა მითრიდატეს ბედი. ქართლში მეფობდა მისი ძმა ფარსმან I, რომელიც იყო არა მარტო მამაცი მხედართმთავარი, არამედ მოსერსებული დიპლომატიც. მისი გაელენა ვრცელდებოდა როგორც სომხეთზე, ისე მეზობელ ალბანეთსა და დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზეც. ფარსმანს სომხეთის სრული შემოერთება ჰქონდა განზრახული. ამ მიზნით ფარსმანმა სომხეთში თავისი მემკვიდრის რ ა დ ა მ ი ს ტ ი ს გამეფება გადაწყვიტა.

მაშინდელი ისტორიკოსების მოწმობით, რადამისტი წარმოსადეგი გარეგნობისა და დიდი ძალ-ღონის მქონე ჭაბუკი ყოფილა, რომელიც ვეღარ ითმენდა თავისი მამის ფრთხილ და ზომიერ პოლიტიკას. იგი ხშირად ლაპარაკობდა მამის მოხუცებულობის შესახებ, რაც თითქოს აბრკოლებდა მის ქვეყანას, რომ უფრო დიდი წარმატებისათვის მიეღწია. შეფიქრიანებულმა ფარსმანმა, შვილმა ტახტი არ წამართვასო, რადამისტი სომხეთში გაგზავნა ფარული დავალებით, რომ სომეხი დიდებულები გადმოებირებინა, ოავისი ბიძა ტახტიდან ჩამოეგდო და თვითონ გამეფებულიყო. ამით ფარსმანს ეჯეს სურდა, ჯერ ერთი, თაკიდან მოეშორებინა პატივმოყვარე შვილი და, მეორეც, ქართლის ტახტის მემ-

კვიღრის სომხეთში გამეფებით ეს ქვეყანა შემდგომში უშუალოდ საქართველოს შემოუერთდებოდა.

სომხეთში მეფედ მყოფმა მითრიდატემ სისარულით მიიღო რადამისტი, რომელმაც განუცხადა თავის ბიძას, თითქოს მას უთანხმოება მოუვიდა მამასთან და ღედინაცვალთან და თავშესაფარს მასთან ითხოვდა. სომხეთში რადამისტი დაუახლოვდა ადგილობრივ წარჩინებულებს და დაითანხმა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაზე. შემდეგ იგი ქართლში დაბრუნდა თითქოს თავის მამასთან შესარიგებლად, სინამდვილეში კი ქართლიდან დიდი ჯარი წამოიყვანა ბიძამისის ტახტიდან ჩამოსაგდებად. მოულოდნელობით თავგზარდაცემულმა მითრიდატემ მხოლოდ გარნისის ციხეში მოასწრო თავის შეფარება. ამ ციხეში რომაული გარნიზონიც იდგა. რადამისტმა მოისყიდა გარნიზონის მეთაური და აიძულა მითრიდატე, მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო. მოლაპარაკების დროს მითრიდატე შეიპყრეს და ვერაგულად მოაშთეს. აღსანიშნავია, რომ მითრიდატეს მეუღლე უარსმანის ქალიშვილი და რადამისტის და იყო. მაშინ ასეთი ქორწინება დაშვებული იყო. რადამისტმა არც თავისი და დაინდო და შვილებთან ერთად ისიც მოაკვლევინა.

ახ. წ. 52 წელს რადამისტი სომხეთის მეფედ ეკურთხა. მის მიერ სამეფო ნიშნების მიღებას თვით კაპადოკიის პროკურატორი იულიუს პელიგნუსიც ესწრებოდა, მაგრამ რადამისტის მეფობა ხანმოკლე გამოდგა. ქართველი უფლისწული სომეხ დიდებულებს ეჭვის თვალით უყურებდა და მათ მიმართ ზედმეტად მკაცრ ზომებს აგარებდა. მისი სისასტიკით შეძრწუნებული სომეხი დიდებულები აჯანყდნენ და მეფის სასახლეს ალყა შემოარტყეს. ამავე დროს სომხეთში შემოიჭრა პართიელთა მეფის ვოლოგეზის ჯარი. რადამისტი იძულებული გახდა მეუღლესთან ერთად გაქცევით ეშველა თავისთვის.

რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი გადმოგვცემს, რომ რადამისტის ცოლი ზენობია უეხმძიმედ ყოფილა და ცხენზე ჯდომა უჭირდა. როდესაც სამშიროება შეიქმნა, რომ მდევარნი მათ შეიპყრობდნენ, დედოფალი შეეეფდრა ქმარს, მოეკლა იგი და ამით ტყვეობის სირცხვილისაგან გადაერჩინა. რადამისტმა ხანჯლით განგმირა საყვარელი ცოლი და მდინარე არაქსში გადააგდო, თვითონ კი მშობლიურ ქართლის სამეფოს შეაფარა თავი.

სასიკვდილოდ დაჭრილი დედოფალი მდინარემ ერთ ყურეში გამორიყა. აქ იგი მწყემსებმა იპოვეს. დაჭრილი დედოფალი ჯერ კიდევ სუნთქავდა და სიცოცხლის ნიშანწყალს ამჟღავნებდა. მისი ღირსეული გარეგნობისა და მდიდრული ჩაცმულობით მწყემსები მიხვდნენ, რომ ის უბრალო ვინმე არ იყო. ზენობიას შეუსვიეს ჭრილობა, შინაური წამლებით უმკურნალეს და როცა მისი ვინაობა და ამბავი შეიტყვეს, თავიანთ მეფეს მიჰგვარეს. ეს ამბავი შემდგომში არაერთი მსატვრული ნაწარმოების (მათ შორის, ტრაგედიის) სიუჟეტად იქცა, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეებში წარმატებით იდგმებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სცენებზე.

რადამისტის გაძევების შემდეგ სომხეთში პართიის მეფის ძმა ტირიდატე ანუ თრდატ I (63-80) გაამეფეს. ამით სომხეთში დაიწყო ახალი, სპარსულარშაკიდული დინასტიის მეფობა. ფორმალურად კი ქვეყანა რომის იმპერიის

ეასალად გამოცხადდა: სომხეთის მეფეს სამეფო ნიშნები რომის იმპერატორისაგან უნდა მიეღო. სომხეთი ორმაგი დამოკიდებულების ქვეშ მოექცა, საქართველოს კი აღარ შეეძლო სომხეთზე რაიმე უფლება გასცეცხადებინა. მოელენების ასეთი განვითარება პართიელთა წარმატებას და რომის უკან დახევას ნიშნავდა. ეს საქართველოს პოზიციების შესუსტებაც იყო. მეფე ფარსმან I-მა რადამისტი სიკედილით დასაჯა. პართიელებმა თავიანთ მხარეზე გადაიყვანეს აქამდე იბერიის გაელენის ქვეშ მყოფი ალბანეთის სამეფოც. ყოველივე ამის მიუხედავად, ქართლი მაინც ძლიერ სახელმწიფოდ რჩებოდა და კვლავ აქტიურად მონაწილეობდა წინა ამბის პოლიტიკურ ცხოვრებაში. რომი ისევ ცდილობდა იბერიასთან მეგობრობის შენარჩუნებას. ამას მოწმობს მცხეთასთან აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, სადაც რომის იმპერატორი ვ ე ს პ ა ს ი ა ნ ე (69-79) აღნიშნავს, რომ მან თავის მეგობარ იბერიის მეფე მითრიდატეს გაუმაგრა არმაზის ციხის კედლები. რა თქმა უნდა, ეს „მეგობრობა" გარკვეულ პოლიტიკურ ანგარიშს ემყარებოდა. მას შემდეგ, რაც რომმა პართიის სასარგებლოდ დათმო პოზიციები სომხეთში, ერთადერთ ძალად, რომელიც უშუალოდ პართიას დაუპირისპირდებოდა სომხეთში, ქართლი რჩებოდა. ამიტომ რომი ფარულად, თუ აშკარად ხელს უწყობდა ქართლის ექსპანსიას სომხეთის მიმართ.

ქართლის მმართველი წრეების ხელთ იყო ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიც იყო გადმოსასელელები კავკასიონის ქედზე, რომლითაც მათ შეეძლოთ გადმოეყვანათ ჩრდილოკავკასიაში მოსახლე და მომთაბარე ტომები ალან-ოსებისა თუ სხვა კავკასიელებისა. ქართველი პოლიტიკოსები კარგად სარგებლობდნენ ასეთი ვითარებით და სამხრეთის მიმართულებით ტერიტორიულ გაფართოებას ცდილობდნენ.

მცხეთასთან აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, რომელშიც იმპერატორი ვესპასიანე (69-79) და მისი მემკვიდრე ვეფიმეილები, ტიტე და დომიციანე აღნიშნავენ, რომ „იბერია მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და [დელეფელ] ალბაგასპიის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომელი მოყვარულს, და [იბერიის] ხალხს, ეს კედლები [ციხესიმაგრე] არმაზის ციხის კედლები] განუმტკიცეს".

I ს-ის ებრაელ ისტორიკოსს იოსებ ფლავიუსს აღწერილი აქვს ამ საუკუნის 70-იან წლებში ალანების გამანადგურებელი შემოსევა მიდიასა და სომხეთში. ისინი შეუთანხმდნენ „პირკანიის“ მეფეს, რომელიც ფლობდა ერთ დროს ალექსანდრე მაკედონელის მიერ რკინის კარებით ჩაკეტილ გასასველს, რათა ისინი ამ გასასველით გაეტარებინა. „პირკანიის“ მეფეში იბერიის მეფე მითრიდატე იგულისხმება, ხოლო კავკასიონის „რკინის კარებში“ - დარიალის ხეობა და ჯვრის გადმოსასველი, რომელიც იბერიის მეფის ხელთ იყო. ალანთა დიდი ლაშქარი ამ გზით შეიჭრა სომხეთში. მათთან ერთად იყო იბერიის ლაშქარიც. აღწერილია, რომ მათ წინააღმდეგ გამოვიდა სომხეთის მეფე თრდატ I, რომელიც კინაღამ ტყვედ ჩავარდა მოკავშირეებს: მას კისერზე ქამანდიც კი მოაბეს, მაგრამ მოასწრო, თოკი ხმლით გადაჭრა და ბრძოლის ველიდან გაქცევით უშველა თავს. ალანებმა სასტიკად აოხრეს ქვეყანა და უამრავი ნადავლით და დიდძალი ტყვეებით უკან გაბრუნდნენ. ამ ამბების ანარეკლი ჩანს ძველ ქართულ და სომხურ წყაროებში (ლეონტი მროველი, მოსე ხორენაცი). მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მცხეთასთან, არმაზის ნეკროპოლზე აღმოჩენილი 14-სტრიქონიანი არამეული წარწერა პიტიახშ შარაგასისა, ზეკახის ძისა, რომელშიც მეფე მითრიდატე მოიხსენიება და ლაპარაკია იბერიელთა მიერ სომხეთში მოპოვებულ გამარჯვებაზე. სამწუხაროდ, ეს წარწერა ჯერჯერობით მთლიანად ამოკითხული არ არის, მაგრამ მისი ძირითადი შინაარსი დაკას არ იწვევს.

ამავე პერიოდში ქართლი ექსპანსიას აძლიერებს აღმოსავლეთის მიმართულებითაც, კერძოდ, ალბანეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ, სადაც ასევე მნიშვნელოვანი იყო პარსიელთა გავლენა. ქართველებს აქტიურად უჭერენ მსარს რომაელები. 1948 წელს აზერბაიჯანში, ბეიუკდაშის მთასთან, კლდეზე აღმოჩნდა ლათინური წარწერა, სადაც აღნიშნულია რომაელთა XII ლეგიონის ფულმინაცას (Fulminata - „ელვისებური“) ცენტურიონის იულიუს მაქსიმუსის და იმპერატორ დომიციანეს (81-96) სახელები. როგორც სამართლიანად ვარაუდობენ, რომაელთა ეს რაზმი იქ მოქმედებდა, როგორც იბერიელთა ლაშქრის დამხმარე ძალა. იბერიელთა ლაშქრის და მისი მოკავშირე რომაელების ასე შორს შემოღწევა ალბანეთის სახელმწიფოს ფარგლებში შეიძლებოდა მხოლოდ ქართველების მიერ მოპოვებული გამარჯვების შედეგად. ამ დროს უნდა იყოს გადასული ქართლის სამეფოს მფლობელობაში ალბანეთის დასავლეთი ნაწილი, მდ. იერისა და ალაზნის ქვემო წელი, რომელიც ქართულ წყაროებში პ ე რ ე თ ა დ იწოდება.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, კოლხეთი შეყვანილი იყო რომისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი პონტოს სამეფოს შემადგენლობაში, მაგრამ 63 წელს იმპერატორმა ნ ე რ ო ნ მ ა გააუქმა პონტოს სამეფო და კოლხეთის ტერიტორიაც უშუალოდ დაიქვემდებარა, როგორც გალატიის პროვინციის ნაწილი. შავიზღვისპირა ცისე-ქალაქებში: ფ ა ზ ი ს ა, ს ებ ა ს ტ ო პ ო ლ ი ს ა და პ ი ტ ი უ ნ ტ ში რომაული გარნიზონები ჩაყენეს, სანაპიროს იცავდა აგრეთვე რომაელთა ფლოტი. ყოველივე ამას მოყვა ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება და ჩაგვრა, რამაც საბოლოოდ დიდი ანტირომაული აჯანყება გამოიწვია.

69 წელს, როდესაც რომში საიმპერატორო ხელისუფლებისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ ეიტალიუსი და ვესპასიანე, პონტოსა და კოლხეთში იფეთქა დიდმა აჯანყებამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერთ დროს პონტოს სამეფო ფლოტის მეთაური, მონობიდან თავდასხსნილი ეინმე ა ნ ი კ ე ტ ი . ანიკეტმა თავის მსარეზე გადაიყვანა შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ხალხები. ისინი, ძირითადად, დასავლეთ ქართული მოდგმის ტომები იყვნენ. იგი აჯანყებულთა ჯარით შეიჭრა ტრაპიზონში, გაანადგურა რომაელთა „კოპორტა“ და ცეცხლი წაუკიდა ფლოტსაც. აჯანყებულებმა ააშენეს სწრაფმავალი ხომალდები, რომლებსაც „კამარები“ ეწოდებოდათ და ამაყად დაცურავდნენ ზღვაში. ვესპასიანემ სპეციალურად შეარჩია ლეგიონები აჯანყებულთა წინააღმდეგ გასაგზავნად და მეთაურადაც გამოცდილი სარდალი ე ი რ დ ი ს ს ე მ ი ნ ი ს ი დაუნიშნა. რომაელებმა ადვილად დაამარცხეს ალაფობით გართული და გაფანტული აჯანყებულები, შემდეგ ააგეს მსუბუქი სანიჩბე ნავები და ანიკეტის „კამარებს“ დაედევნენ. ისინი მეამბოხეებს დას. საქართველოში, მდ. ხობის შესართავთან დაეწივნენ. ანიკეტმა თავი ადგილობრივ მთავარს, „სედოხეზების მეფეს“, შეაფარა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი შეიპყრო და რომაელებს გადასცა. ასე მოეღო ბოლო ამ აჯანყებას.

ანიკეტის აჯანყების შემდეგ რომაელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს გარნიზონები კოლხეთის ზღვისპირა ციხეებში, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შეჩერება მათ უკვე აღარ შეეძლოთ. ეგრისის მოსახლეობის უკმაყოფილება იმითაც იყო გამოწვეული, რომ ამ პერიოდში გაძლიერდა მთაში მცხოვრები, შედარებით ჩამორჩენილი ტომების ბარზე თავდასხმები და მასობრივი ჩამოსახლება. ისინი, ტყეებისა და ნადაღლის ხელში ჩაგდების მიზნით, თავს ესხმოდნენ კოლხეთის დასახლებულ პუნქტებს, ქალაქებს. მაგალითად, მათ გაძარცვეს ქ. პიტიუნტი, დააცარიელეს დიოსკურია და სხვ. რომაელები ამ მეკობრე მთიელებს კი არ ებრძოდნენ, არამედ მათთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდნენ და ამ თავდასხმებისათვის აქეზებდნენ კიდეც, თუნდაც იმიტომ, რომ რომაელ მონათმფლობელებს ტყვე-მონები დიდი რაოდენობით სჭირდებოდათ. ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს შემოერთებას ცდილობდა იბერიის გაძლიერებული სამეფოც. ამ საქმეში იბერიის სამეფო კარი უსათუოდ ადგილობრივი მოსახლეობის მსარდაჭერას ეყრდნობოდა. რომი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო, ეცნო ადგილობრივი ხელისუფლება და ვასალური ქვეშევრდომობით მაინც შეენარჩუნებინა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი რეგიონი.

საქართველო II-III საუკუნეებში

1. ქართლის სამეფო. ქართლის სამეფოს შემდგომ გაძლიერებას ხელი შეუწყო I საუკუნის ბოლოსა და II საუკუნის დასაწყისში რომის სახელმწიფოს გააქტიურებამ აღმოსავლეთისკენ. ეს არის იმპერატორ ტ რ ა ი ა ნ ე ს მმართველობის პერიოდი (98-117), რომელიც ითვლება რომის იმპერიის „ოქროს ხანად“. ამ პერიოდში იმპერიამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია და ყველაზე უფრო ფართოდ განავრცო თავისი სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრე-

ბი. ტრაიანემ დიდი ბრძოლებით შემოიერთა დაკია (107 წ.), სისას სახელარ-კუნძული და არაბეთის ჩრდ.-დასავლეთი საწილი.

საფუძვლიანი მოამზადების შემდეგ, 114 წ. ტრაიანე სომხეთში შეიჭრა. ომის დაწყების საბაბი იყო ის, რომ პართიის მეფემ სომხეთის მეფედ თავისი ძმის-წული ა ა რ ტ ა ბ ა ს ი ს ი დასვა. სომხეთში რომაელებთან ბრძოლაში პარ-ტამასირი დაიღუპა და ტრაიანემ სომხეთი რომის პროვინციად გამოაცხადა. ამ ბრძოლებში რომის მსარეზე აქტიურად იდგნენ როგორც დასავლეთ საქარ-თველოს სამთავროები (პენიოხების, მაკრონების ანუ მახელონების)[1], ისე იბე-რიაც. იბერიიღან გაგზავნილი ლაშქარი უშუალოდ პართიის წინააღმდეგ ბრძო-ლებშიც მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ რომში აღმოჩნდა ბერძნულად შესრულებული ეპიტაფია ლექსად, რომელშიც ნათქვამია, რომ „მეფის სახე-ლოვანი ძე ამაზასი, მოთრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბჭესთან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან... მოსული პართიელებთან საბრძოლველად, (გარდაიცვალა) უწინ, ეიღრე გაისეირდა ხელს (ეკი-რომ ძლიერ ხელს) მტრის სისხლში, შუბსა, მშვილდსა და მახვილის პირზე, (იყო) ქვეითიცა და მხედარიც, თვით მორცხეი ქალწულის მსგავსი". ქართლის მეფე მოთრიდატე III-ის ძმა ამაზასი სათავეში ელვა იმ დამსმარე ჯარს, რომელიც მონაწილეობდა ტრაიანეს ლაშქრობაში პართიის წინააღმ-დეგ. ეს ამაზასი უდრიოდ დაღუპულა ქ. ნიზიბინის მახლობლად.

როგორც ცნობილია, თავდაპირველი დიდი წარმატებების მიუხედავად, აღ-მოსავლეთის პროვინციებში დაწყებული აჯანყებების შედეგად იმპერატორი ტრაიანე იძულებული გახდა უკან დაეხია და დაეცალა მესოპოტამია. პართიის წინააღმდეგ ახალი ომის საშზადისში იგი 117 წელს გარდაიცვალა. მისი მემ-კვიდრე ა დ რ ი ა ნ ე (117-138) სულ სხვა პოლიტიკურ კურსს ახორციელებ-და. მისთვის მთავარი რომის იმპერიის არსებული ფარგლების შენარჩუნება და საზღვრების დაცვა იყო.

ტრაიანეს დროს ქართლი კელავ რომის „მეგობრად და მოკავშირედ" რჩე-ბოდა, ეს მას გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდა, მაგრამ, როგორც დაეი-ნახეთ, ამ კავშირით ქართლი თავისთვისაც დიდ სარგებელს პოულობდა.

I საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართლის სამეფო საკმაოდ დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა და თავის საზღვრებს აფართოებდა როგორც სამხრე-თისა და აღმოსავლეთის, ისე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებითაც. I ს-ის ბოლოს ან II ს-ის დასაწყისში ქართლის სამეფომ დაიმორჩილა ძ ი დ რ ი -ტ ე ბ ი ს ტომი, რომელიც განსასლებული იყო დღევანდელი აჭარის ტერი-ტორიაზე, დაახლოებით მდ. ჭოროხის ხეობიდან ქობულეთამდე, ე. ი. ქართლმა თავისი საზღვრები შავ ზღვამდე გადასწია და სოლიეით შეიჭრა რომის სამ-ფლობელოებში. ამით მან ერთიმეორისგან გათიშა რომაელთა სამფლობე-ლოები სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამის გამო უკვე ადრიანე კეისრის დროს რომსა და ქართლის სამეფოს შორის ურთიერთობა დაიძაბა.

---

1 დიონ კასიუსის ცნობით, ტრაიანემ პენიოხებისა და მაკრონების მთავარი ანქიალე უხვად დაჯილდოვა ამ ბრძოლებში მონაწილეობისათვის.

ამ დროს ქართლში მეფობდა ფარსმან II, რომელსაც ქართული საისტორიო ტრადიცია „ქველს“ უწოდებს. ეს არის ქართლის სამეფოს ყველაზე დიდი ძლიერების სანა. ფარსმან II-ს რომთან მიმართებაში საკმაოდ დამოუკიდებლად ეჭირა თავი. მცირე აზიაში თავისი საინსპექციო მოგზაურობის დროს იმპერატორმა ადრიანემ თაეისთან დაიბარა ადგილობრივი მმართველები და მეფეები. აქვე მოუწვეეია მას თვით პართიის მეფეც. მოწვეულნი მან მდიდრულად დაასაჩუქრა. ისტორიკოს ელია სპარტიანეს თქმით, ადრიანემ ეს გააკეთა უმთავრესად იმის გამო, რომ ქართლის მეფე ფარსმანმა ქედმაღლურად უარყო მისი მიწვევა. სხვა ადგილას იგივე ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ადრიანე ცდილობდა ალბანელებისა და იბერიელების სახით ერთგული მეგობრები ჰყოლოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ უარი თქვეს მასთან გამოცხადებაზე. ადრიანე პატიეით ეპყრობოდა ბევრ მეფეს, ბევრისაგან მშვიდობას ყიდულობდა, ბევრს მისცა ურიცხვი საჩუქარი, მაგრამ ყველაზე მეტი - იბერთა მეფეს, რომელსაც ძვირფასი საჩუქრების გარდა საომარი სპილო და 50-კაციანი მეომართა რაზმი გაუგზავნა. ფარსმანი მასთან მაინც არ გამოცხადდა, სამაგიეროდ, დიდძალი საჩუქრები გაუგზავნა, მათ შორის, მოოქრული წამოსასხმები. განაწყენებულმა ადრიანემ, ქართლის მეფის საჩუქრები რომ დაემცრო, ცირკის არენაზე 300 დამნაშავე გამოუშვა ამ წამოსასხმებით.

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ქართლის მეფის ასეთი შეურიგებელი დამოკიდებულებისა რომის იმპერატორთან? ალბათ, ის, რომ ადრიანე არ ცნობდა ქართლის მიერ შაეიზღეისპირა ტერიტორიის მიერთებას. ამას გარდა, ქართლი ლიხს იქითა მხარეში ექსპანსიას აძლიერებდა. ზემო იმერეთში, არგვეთში უკვე არსებობდა ქართლის საერისთაეო და იქ ქართლის მეფის მოხელე ერისთავეპიტიახში იჯდა. ეს არქეოლოგიური მასალით კარგად დასტურდება. ასევე, გაძლიერებული ქართლი თაეის პრეტენზიებს აცსადებდა დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის მიმართაც. მას საამისო ძალაც გააჩნდა. 134 წელს ფარსმან II-მ გახსნა კავკასიონის გადმოსასვლელები და ალანთა დიდი ლაშქარი შეუსია რომისა და პართიის სამფლობელოებს. ადრიანემ დიპლომატიური საშუალებებით სცადა ურთიერთობის მოგვარება ქართლის მეფესთან, მაგრამ წარუმატებლად. რომსა და ქართლს შორის ურთიერთობა მხოლოდ მომდევნო იმპერატორის, ა ნ ტ ო ნ ი ნ ე პ ი უ ს ი ს (138-161) დროს გამოსწორდა.

საგარეო პოლიტიკაში ანტონინე პიუსი ცდილობდა აღმოსავლეთის მეგობლებთან მშვიდობის შენარჩუნებას, მაგრამ პართიის მიმართ მას საკმაოდ მტკიცე პოზიცია ეკავა. მაგალითად, მან უარი უთხრა პართიის მეფეს, მისთვის დაებრუნებინა ოქროს ტახტი, რომელიც რომაელებმა ხელთ იგდეს ჯერ კიდევ ტრაიანეს მიერ ქტესიფონის აღებისას, ამავე დროს მან არ დაუშვა პართიელთა ჯარის შეჭრა სომხეთში. საგარეო პოლიტიკის ასე წარმართვაში მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იბერიის მეფესთან კარგ ურთიერთობას. ამიტომ მან, განსხვავებით ადრიანესაგან, ცნო ქართლის მიერ დასავლეთით ტერიტორიების მიერთება და ქართლის მეფე ფარსმან II თავისი ცოლშვილით სტუმრად მიიწვია რომში. ქართლის მეფის ეს სტუმრობა აღწერილი აქვს რომაელ

ისტორიკოსს დიონ კასიუსს. კერძოდ, იგი წერს: „როცა ფარსმანე იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა, (ანტონინე პიუსმა) გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე (ე. ი. ომის ღმერთის, მარსის გაძარში) დაადგმევინა და უყურებდა (ფარსმანეს), მისი ვაჟის და სხვა წარჩინებულ იბერთა სამხედრო ვარჯიშობას". ქართლის მეფის სტუმრობა რომში იმდენად მნიშვნელოვნად ჩაუთვლიათ, რომ ეს ფაქტი აღნიშნულია მარმარილოს ფირფიტაზე, ე. წ. ფასტიაზე, რომელიც რომის ფორუმის მოედანზე იყო გამოფენილი.

მეფე ფარსმან II მოიხსენიება არმაზის ერისთავთა ნეკროპოლზე აღმოჩენილ ორენოვან (ბერძნულ და არამეულ) წარწერაში, ე. წ. არმაზის ბილინგვაში, რომელიც ქართლის ამ პერიოდის ისტორიისათვის ბევრ საყურადღებო ცნობას შეიცავს.

როგორც ვხედავთ, ქართლის სამეფო კარი, კერძოდ კი მეფე ფარსმან II, რომლის დროსაც იბერიამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია, ძირითადად რომაული ორიენტაციისა იყო, პართიას უპირისპირდებოდა და წარმატებით ებრძოდა კიდეც მას. ამ საქმეში მის ძირითად დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ იმიერკავკასიიდან გადმოყვანილი მეომარი ტომები, კერძოდ კი, ალანები. პართიის მეფე ვოლოგეზი იმდენად იყო შეწუხებული ამ შემოსევებით, რომ სპეციალური ელჩები გაგზავნა რომში ფარსმან მეფეზე საჩივრით.



არმაზის ბილინგვა (II ს.).

ბერძნული ტექსტის თარგმანი: „სერაფიტი, მცირე პატიახშის ქვეყნის ასული, პატიახშ პუბლიკიოს აგრიპას ძე, იბერია მეფის დიდი ქსეფარნუგის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრის, ითლმანგანის მეულლე. გარდაიცვალა ახალგაზრდა, 21 წლისა, რომელსაც ჰქონდა უბადლო სილამაზე."

არამეული ტექსტის თარგმანი: „მე (ყარ) სერაფიტი, ასული ზვეახისა, მცირისა პატიახშისა ფარსმან მეფისა, მეულე ითლმანგანისა - ძლეავამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოსმოძღვრისა ხსეფარნუგ მეფისა - ძისა აგრიფა ეზოსმოძღვრისა [**ფარსმან მეფისა, (რომელმან) სძლია მძლეველნი, რაც ფარნაეაზმა ვერ აღასრულა და იმდენად**][1] ლამაზი და საოცნო იყო, რომ კაცის შეილი არ იყო მისი მსგავსი სილამაზით. და მოიცვალა 21 წლისა".

1 გამოყოფილი ნაწყვეტი შეიძლება წაკითხულ იქნეს სხვაგვარადაც: ....„ფარსმან მეფისა, მძლეთა მძლეველისა, რომელ (არს) ფარნაეაზიანი. ახალგაზრდა და იმდენად."

ფარსმან II-ის მეფობა ფართოდ აისახა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, რომელიც შეტანილია XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება“. სალსური გადმოცემები ფარსმან მეფეს გვისახავს როგორც სპარსელების წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლს, რომელიც ორთაბრძოლებში ამარცხებს სპარსელ გოლიათებს. რაღგან სპარსელებმა ვერაფერი მოუხერხეს ქართველ მეფეს, მუხანათობას მიმართეს და მოწამლეს. ქართული წყარო მაღალფარდოვნად აგვიწერს სახალხო გლოვას გმირი მეფის გარდაცვალების გამო.

ფარსმან II-ის შემდეგ ქართლის მეფედ ჩანს ს ს ე ფ ა რ ნ უ გ ი , მაგრამ მისი მეფობის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით. იგი მოხსენიებულია არმაზის ორენოვან წარწერაში (ბილინგვაში), სადაც „დიდი მეფის“ ტიტულით არის შემკობილი, ამავე დროს მისი უმაღლესი მოხელე „ეზოსმოძღვარი“ (ეპიტროპი) იოდმანგანი „ძლევამოსილად და მრავალ გამარჯვებათა მომპოვებლად“ არის დასახელებული. ამდენად, საფიქრებელია, რომ მის დროსაც იბერია წარმატებულ საგარეო ომებს აწარმოებდა. ეს არც არის მოულოდნელი, რადგან ამ დროს რომიცა და პართიაც საკმაოდ დასუსტებულია და ქართლზე შეტევის უნარი არ შესწევთ. ქართლის სამეფოს ძირითადი მიზანი იყო თავისი ძლიერებისა და შორს გაწეული ტერიტორიული საზღვრების შენარჩუნება.

2. დასავლეთ საქართველო. 134 წელს დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ინსპექციის მიზნით იმოგზაურა რომის კაპადოკიის პროვინციის მმართველმა ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე მ , რომელმაც იმპერატორ ადრიანეს დაწერილებითი ანგარიში წარუდგინა იქ მცხოვრები მოსახლეობისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების შესახებ. იგი აღნიშნავს: „ტრაპიზუნტის რაიონში მცხოვრები სანების შემდეგ ცოსახლეობენ მაკრონები და პენიოსები, მათი მეფეა ანქიალე. მაკრონებისა და პენიოსების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, იმასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი“. როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველო II საუკუნის დასაწყისისათვის რომის იმპერიის ერთიან პროვინციას აღარ წარმოადგენს. იქ აღმოცენებულან ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროები (თუ სამეფოები). ასეთი ვითარება რომის მხრივ დიდ დათმობას ნიშნავდა ადგილობრივი მოსახლეობისადმი. როგორც ვიცით, 63 წლის შემდეგ დასავლეთ საქართველო, კოლხეთი შედიოდა რომის გალათიისა და კაპადოკიის პროვინციებში. ამჯერად კი, რომის საიმპერატორო კარი იძულებული გამხდარა იქ ადგილობრივი მმართველობა აღედგინა. ამის მიზეზები ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, კერძოდ, ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ სახალხო მოძრაობას მხარს უჭერს გაძლიერებული იბერია, რომელიც ეუფლება დასავლეთ საქართველოს

ტერიტორიის ნაწილს, ხოლო რომი ამ ამბავს სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევს. იმპერია მხოლოდ იმას ახერხებს, რომ განახორციელოს თავისი ტრადიციული პოლიტიკა „divide et impera" (დაპყავი და იბატონე), დასავლეთ საქართველოში ერთიანი სამეფო ხელისუფლების მაგიერად აღადგინოს ცალკეული, შედარებით მცირე „მეფეების" თუ მთავრების ხელისუფლება და ასე, ეასალიტეტის პრინციპით, დაიქვემდებაროს ისინი. შავიზღვისპირა ციხეებში და ნავსადგურებში რომის ხელისუფლება აძლიერებს თავის გარნიზონებს და საფორტიფიკაციო ნაგებობებს. ამ მიზანს ისახავდა აღრიანე კეისრის ღიმოსელე არიანეს საინსპექციო მოგზაურობაც ღასავლეთ საქართველოში.

ყველაზე დიდი გარნიზონი - 5 „კოპორტა" (ე. ი. ნახევარი ლეგიონი ანუ დაახლოებით 3000 მეომარი) იდგა აფსაროსის ციხეში (დღევანდელი გონიო). ციხე შემოსაზღვრული იყო კედლითა და თხრილით. არიანე საკმაოდ ხაგოვნად აღწერს ფაზისის ციხეს (დღევანდელი ფოთის მახლობლად): „ფაზისში რომ შეღისარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანესი. გარეგნობის მიხედეთ ის ჰგავს რეას, რადგან ხელში კიმბალა უჭირაეს, აგრეთვე მისი საავარძლის წინ წვანან ლომები და თვით ის ზის როგორც ფიღიასის ქანდაკება ათენის მეტროონში... თვით ციხესიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მიუდგომლად აღგილის ბუნების მიხედეთ, უმიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ აღგილზე მოთავსებულად აქ მომსველულთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს. ორიეე ფართოა. წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამსვედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს ბარბაროსთაგან და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ".

არიანეს მიერ აღწერილი შემდეგი ციხესიმაგრე არის სებასტოპოლისი, ძველი დიოსკურია, თანამედროვე სოხუმის ადგილას. სახელი სებასტოპოლისი (ბერძ. სებასტოს იგივეა, რაც ლათ. ავგუსტუსი) მას ოქტავიანე-ავგუსტუსის დროს, I საუკუნეში ეწოდა. ესეც საკმაოდ გამაგრებული ციხეა და აქაც რომაელი ჯარისკაცები დგანან. არიანეს ეევალებოდა მათი დათვალიერება და მათთვის ხელფასის მიცემა. იგი აღნიშნავს: „იმავე დღეს მოხერხდა ჯარისკაცთათვის ხელფასის მიცემა, ცხენებისა და იარაღის დათვალიერება, მსედრების გავარჯიშება ცსენზე შეხტომაში, აეადმყოფების მონასულება, პურის მარაგის შემოწმება, ციხესიმაგრის კედლის და თხრილის შემოელა". სებასტოპოლისი მდებარეობდა სანიგების (ე. ი. დასავლურ ქართული ტომის ჭანიკების) ტერიტორიაზე და რომის იმპერიის სამფლობელოების უკანასკნელი პუნქტი იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი დიდი ეთნიკური სიჭრელით ხასიათდებოდა. იქ მოსახლეობდნენ როგორც ქართველური (სანიგები, პენიოხები, სვანები და სსვ.), ისე სსვა კავკასიური მოდგმის ტომებიც. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით მომრავლდნენ მას შემდეგ, რაც იქ დამყარდა ჯერ პონტოსა და შემდეგ რომის ბატონობა. ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის დაცემამ ჩრდ.

კავკასიელ მთიელებს ხელ-ფეხი გაუსსა და მათ დაუბრკოლებლივ დაიწყეს ჩამოსახლება ჩრდ. შაკიზღვისპირეთში. მაგალითად, კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დამკვიდრდნენ ჯ ი ქ ე ბ ი ს ადიღეური ტომები, რომლებმაც იქედან განდევნეს ძველი მკვიდრი, მშვიდობიანი მოსახლეობა - „ კ ე რ კ ე ტ ე ბ ი “ . შავი ზღვის მთელ ჩრდილოეთ ნაპირზე დიოსკურია-სებასტოპოლიდან ვიდრე თანამედროვე გელენჯიკამდე, მყარდება მეომარი მთიელების განუსაზღვრელი ბატონობა, რომლებიც, სტრაბონის ცნობით, მეკობრეობდნენ. ისინი თავს ესხმოდნენ არა მარტო გემებს, არამედ დასახლებულ პუნქტებსაც, მათ შორის, ქალაქებს, მაგალითად, პიტიუნტს (ბიჭვინთას), დიოსკურია-სებასტოპოლისს და სხვ.

კოლხეთის ცენტრალურ ნაწილში კი, როგორც ეთქვით, II საუკუნისათვის ჩამოყალიბდა აღგილობრივი სამეფო-სამთავროები, რომლებიც უკვე აღრეფეოდალური ტიპის პოლიტიკური ერთეულები იყო. მათ შორის ყველაზე ძლიერია ლაზიკის სამეფო, რომელიც იწყებს ბრძოლას რომის ბატონობისაგან თავის დასაღწევად და მთელი დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად.

3. საქართველო III საუკუნეში. II საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ცვლილებები მოხდა საქართველოს ძლევამოსილ მეზობელ ქვეყნებში - რომის იმპერიასა და არშაკიდულ სპარსეთში. რომის იმპერიაში დაიწყო ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. ამას ემატებოდა აჯანყებები პროვინციებში. ჩვეულებრივ ამბად იქცა არმიის მიერ იმპერატორების დანიშვნა და დამხობა. ზოგჯერ, ერთ და იმავე დროს, რამდენიმე იმპერატორი იყო გამოცხადებული და მათ შორის მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლები. დასავლეთით იმპერიას ჩამოშორდა გალია, ესპანეთი, ბრიტანეთი და შეიქმნა დამოუკიდებელი „გალიის იმპერია“, აღმოსავლეთით კი სირია და არაბული პროვინციები „პალმირის სამეფოდ“ გაერთიანდა.

ასევე მწვავე კრიზისია პართიის სამეფოშიც. გამუდმებული გადატრიალებანი სამეფო კარზე, სეპარატიზმი, აჯანყებები უაღრესად ასუსტებდა არშაკიდთა მმართველობას, რაც საბოლოოდ მისი დამხობით დამთავრდა. 224 წელს პორმიზდაგანის ველზე პართიის უკანასკნელი არშაკუნიანი მეფე, არტაბან V სასტიკად დაამარცხა სასანიანთა გვარის წარმომადგენელმა ა რ დ ა შ ი რ პ ა პ ა კ ი ს ძემ და თავი ირანის შაპად გამოაცხადა (226 წ.). აქედან იწყება ირანში ახალი დინასტიის - ს ა ს ა ნ ი დ ე ბ ი ს მმართველობა. სასანიდებმა თითქმის მთლიანად შემოიმტკიცეს ირანის სამფლობელო ტერიტორია და დაიწყეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი გარდაქმნების განხორციელება: ქვეყანა მტკიცე ცენტრალიზაციის პრინციპზე მოაწყეს, გარდაქმნეს ირანის არმიაც; აღგილობრივ თავისუფალ მწარმოებელთა (აზატთა) ლაშქრის გვერდით ფართოდ გამოიყენეს ჯარის დაქირავების წესი, შექმნეს სამეფო გვარდია („უკვდავნი“) და სხვ. მათ დიდი ყურადღება მიაქციეს ქვეყანაში ერთიანი რელიგიური სისტემის ჩამოყალიბებას. ირანელთა ძველისძველ რელიგიას - ზ ო რ ო ა ს ტ რ ი ზ მ ს , რომელსაც არშაკიდების დროს სხვა რელიგიებთან შედარებით რაიმე უპირატესობა არ ჰქონდა, სასანიდების დროს სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მნიშვნელობა მიენიჭა და მძლავრ იარაღად იქცა ქვეყნის ერთიანობისთვის წარმოებულ ბრძოლაში. ამ რელიგიის გავრ-

ცელებით სასანიდები ნიადაგს იმზადებდნენ მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის კავკასიის ქვეყნებში, გაბატონებისათვის.

საგარეო პოლიტიკაში სასანიდები ძირითადად განაგრძობდნენ არშაკიდების ხაზს, მაგრამ ამ პოლიტიკას უფრო ენერგიულად ატარებდნენ. ამდენად, ისინი უფრო აგრესიულ ძალას წარმოადგენდნენ. რომის იმპერია ღიღი გაჭირვებით იცავდა თავის სამფლობელოებს აღმოსავლეთში. მათი შეჯახებების ასპარეზი კვლავ მესოპოტამია და კავკასია იყო.

სასანიანთა უკვე მეორე შაჰის, შ ა ბ უ რ I-ის (243-272) დროს ქართლის სამეფო (იბერია) საკმაოდ რთულ ვითარებაში მოექცა. იგი იძულებული იყო ელიარებინა ირანზე გარკვეული დამოკიდებულება. მაგალითად, პერსეპოლისის ცნობილ სამენოვან წარწერაში, რომელიც შესრულებული იყო 262 წ. ზოროასტრის ტაძრის კედელზე, იბერია მოიხსენიება, როგორც ირანის შაჰინშაჰის სამფლობელო ქვეყანა; ასევე ქართლის მეფე ამაზასპი დასახელებულია შაბურ I-ის კარის ღიდმოსელეთა შორის. მაგრამ ქართლის მეფეს თავი საკმაოდ დამოუკიდებლად ეჭირა. მაგალითად, 260 წელს ქ. ედესასთან ირანელებმა სასტიკად დაამარცხეს რომის არმია და თვით იმპერატორი ვალერიანე ტყვედ ჩაიგდეს. გამარჯვებულმა შაბურ I-მა წერილები გაუგზავნა სხვადასხვა ქვეყნების მმართველებს და თავისი გამარჯვება აცნობა. აღრესატების უმრავლესობამ მიულოცა შაბურ I-ს გამარჯვება, მათ შორის, სომხეთის მეფე არტავაზდმაც, მაგრამ ბაქტრიელებმა, იბერებმა, ალბანელებმა და ტავროსკვითებმა დემონსტრაციულად არ მიიღეს ირანის შაჰის წერილები და, თავის მხრივ, რომაელ მხედარმთავრებს დასმარება აღუთქვეს ვალერიანეს ტყვეობიდან გამოსხნაში. ამის შემდეგ ირანი მარცხდება და ბოლოს, იძულებული ხდება 298 წელს ქ. ნ ი ზ ი ბ ი ნ ი დადოს რომთან 40-წლიანი ზავი, რომლის ძალითაც იგი ხელს იღებს არმენიაზე. რაც შეეხება საქართველოს, ამ ზავეო ხელშეკრულებით, იბერიის მეფეს სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა მიეღო. ამრიგად, ქართლის მმართველი წრეები ირანის შემოტევის ვითარებაშიც რომაული ორიენტაციის ერთგულნი რჩებიან.



ურბნისში აღმოჩენილი ყელსაბამი
იმპერატორ კარაკალას გამოსახულებით (III ს.).

ბეჭედი არმაზიდან ასპარუკ პიტიახშის გამოსახულებით (II-III სს.).

პირველყოფილი-თემური წყობილების დროს ცალკეულ გვიმებსა თუ თემებს თავიანთი მფარველი ღვთაებები ჰყავდათ; აღმერთებდნენ ბუნების ძალებს, საგნებს, მოვლენებს. მაშინდელი ადამიანების წარმოდგენით, ეს ღვთაებები აღჭურვილნი იყვნენ ზებუნებრივი ძალითა და თვისებებით: ისინი ამყარებდნენ წესრიგს ბუნებასა და საზოგადოებაში, ქმნიდნენ ღიდი ფიზიკური და მსეღრული ძლიერება, შეეძლოთ ბუნებაში სიცოცხლის განახლება და აღორძინება. მათ პატივსაცემად იმართებოდა რელიგიური რიტუალები და ცერემონიები. ერთ-ერთი ასეთი რიტუალური სცენა გამოსახულია, ზემოთ უკვე დასახელებულ, თრიალეთის ვერცხლის თასზე. ასეთივე გამოსახულებები მოიძებნება არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ სხვადასხვა სიუჟეტებსა და თარალებზე. ბევრი ამ რელიგიური რიტუალიდან შემორჩენილია ხალხურ ყოფასა და ტრადიციებში. მაგალითად, უკანასკნელ დრომდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმართებოდა სახალხო ღვთისწაულები, წარმოდგენები: ბერიკაობა, ყვენობა, ხატობები, რაც ამ უძველესი რელიგიური რიტუალების სახეშეცვლილ გაღმონაშთებს წარმოადგენს.

უძველესი რელიგიური წარმოდგენები შემორჩენილია ძველ ქართულ ხალხურ მითებსა და ზღაპრებში. ქართული ზღაპრების გმირები ხშირად ჩადიან ქვესკნელში, ადიან ზეცაში, სადაც ხვდებიან და ელაპარაკებიან მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, რომლებსაც ა: ამბავების თვისებები და გარეგნობა აქვთ. მზე ქალის სახით ჰყავთ წარმოდგენილი, მთვარე - მამაკაცის, ასევე ამინდისა და ღრუბლების ღმერთი გარისიე მამაკაცია და სხვ.

ქართველ ტომთა ხალხმწყობრივი გაერთიანებების წარმოქმნასთან ერთად ხდება მათი რელიგიური წარმოდგენების დაახლოება-შერწყმა, ცალკეულ ღვთაებებს შორის გარკვეული წესრიგისა და იერარქიის (უფროს-უმცროსობის) დამყარება. ქართველების უმაღლეს ღვთაებად მთვარის ღვთაება იქცა. მთვარე შეომარი მამაკაცის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. მის წმინდა ცხოველად ხარი ითვლებოდა. ამიტომ მას ხშირად ხარს შესწირავდნენ ხოლმე. ხარის რქები სასოვარმთვარის ფორმისაა, ამიტომ ძველ საკულტო შენობებში, ასევე ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებშიც ხშირად ეხვდებით ხარის რქების გამოსახულებებს, ანდა თვითონ ხარის თავებს. ხარის კულტის ასეთი გავრცელება საქართველოში სამიწათმოქმედო მეურნეობის დაწინაურების შედეგი იყო.

ვერცხლის თასი თრიალეთიდან

ეთნოგრაფიების გამოკვლევით, ქართულ ასტრალურ პანთეონის სათავეში ედგა სამეული, რომელთა შორის პირველი იყო უბენაესი მორიგე (ე. ი. გამრიგე. წესრიგის დამმყარე-

ბელი) ღმერთი - მთვარის მამაკაცი ღვთაება, მეორე იყო მზე ან მზექალი, ნაყოფიერებისა და მოსაელიანობის ღვთაება, მესამე - კვირია, რომელიც უმნიშვნელესი მორიგე ღვთაების დადგენილი წესის მისაღებად უშუალოდ მართავდა ქვეყნიერებას. ასევე მფარველი ღვთაებები პყავდა ადამიანის საქმიანობის ცალკეულ დარგებს ან ბუნების მოვლენებს.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული საისტორიო ტრადიციით, ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა ქვეყნის ოფიციალურ კულტად და მთავარ ღვთაებად ა რ მ ა ზ ი გამოაცხადა. ეს იგივე ძველი ქართველების მთვარის ღვთაება იყო, ოღონდ, ამჯერად იგი სხვა ღვთაებების თვისებებითაც აღჭურვეს (სინკრეტიზაცია) და სახელიც არმაზი უწოდეს, რაც ხეთურად სწორედ მთვარის ღვთაებას ნიშნავდა. ეს სახელი, ისევე, როგორც ბევრი სხვა კულტურული ელემენტი, ქართლში შემოიგანა მცირე აზიიდან მოსულმა მესხურ ტომთა ნაკადმა.

არმაზის ქანდაკება-კერპი აღმართეს მცხეთის პირდაპირ მაღალ მთაზე, რიომელსაც აქამდე ქართლის მთა ერქვა, ხოლო ამის შემდეგ არმაზის მთა ეწოდა. არმაზის ღვთაების კერპი სპილენძისაგან ჩამოსხმული მეომარი მამაკაცის ქანდაკება იყო ოქროს აბჯრითა და მუბარადით, რომელსაც თვალების მაგივრად ძვირფასი ქვები პქონდა ჩასმული და ხელთ მასვილი ეპყრა. მასთან მიახლოებას ვერავინ ბედავდა, რადგან ეინც კი შეეხებოდა კერპს, სასიკვდილოდ იყო განწირული. არმაზის ღვთაებას არა მარტო ცხოველებს, პირველ რიგში ხარს, სწირავდნენ მსხვერპლად, არამედ ადამიანებსაც. არმაზის კერპთან ერთად აღმართული იყო სხვა ღვთაებების - გაცისა და გაიმის ოქროსა და ვერცხლის ქანდაკებები. ესენიც მამაკაცი ღვთაებები იყვნენ, რომლებიც არმაზის ღვთაების მსახურებად თუ მცველებად იყვნენ წარმოდგენილნი

მოპირდაპირე მთაზე, მდ. არაგვის ხეობის დასაწყისში, აღმართული იყო მეორე მთავარი ღვთაების - ზ ა დ ე ნ ი ს კერპი. მისი სახელიც ხეთურ-ლუვიური წარმოშობისაა და მასშიც სინკრეტულად გაერთიანებული იყო სხვადასხვა უცხოური და ადგილობრივი ღვთაებების თვისებები. კერძოდ, არმაზ-ზადენის შესახებ ძველი აგიოგრაფი შენიშნავს: „ღმერთნი დიდნი, სოფლისა მპყრობელნი, ზმისა მომფენელნი, წვიმის მომცემელნი და ქუეყანისა ნაშრომთა გამომზრდელნი ღმერთნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ". აქვე აშენდა ზედა ზადენის ციხე, სადაც უფრო გვიან ზედაზნის ცნობილი მონასტერი დაარსდა.

სხვა ღვთაებებიდან შეიძლება დავასახელოთ „ ა ი ნ ი ნ ა " და „ დ ა ნ ი ნ ა ", რომელთა კერპებიც მცხეთის გზის პირას იყვნენ აღმართულნი. მათი სახელებიც წინააზიური წარმომავლობისაა. მათგან მომდინარეობს საქართველოში შემდგომში ასე გავრცელებული სახელები „ნინო", „ნანა" და სხვ.

ღასაელეთ საქართველოში, უკვე ვახსენეთ, რომ ფლ. არიანეს აღწერით, ქ. უაბისის შესასვლელთან იდგა ტახტზე მჯდომარე ქალღმერთის დიდი ქანდაკება, რომელსაც ხელთ ეპყრა ერთგვარი საკრავი - კიმბალა, ხოლო ფერხთით ლომები ეწვა. ლომების გამოსახულებანი ხშირად გვხვდება კოლხურ ვერცხლის მონეტებსა და სხვა ნივთებზე. ლომი, როგორც ცნობილია, მზის ღვთაების სიმბოლო იყო.



იქრის ლიადემა (ძვ. წ. VI ს.) და გამარჯვების ქალღმერთი „ნიკეს" ქანდაკება (ძვ. წ. II ს.) ვანადან.

დასავლეთ საქართველოშიეე, დაბა ეანის ტერიტორიაზე, გაითხრილია და არქეოლოგიურად შესწავლილია ძველი საგაძრო ქალაქი, სადაც აღმოჩნდა მრგვალი ტაძრის ნანგრევები, შეიდსაფეხურიანი საკურთხეველი და სხვა საერო და საკულტო ნაგებობანი. იქ აღმოჩენილ ბრავალრიცხოვან ნიეთებს შორის გამოირჩევა გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ბრინჯაოს ქანდაკება და სხვ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს უნდა იყოს სტრაბონის მიერ აღწერილი „ლევკოთეას ტაძარი, ფრიქსეს აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ წირაედნენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს (ე. ი. ძვ. წ. I ს-ში) იგი ჯერ ფარნაკემ გაძარცვა, ხოლო შემდეგ მითრიდატე პერგამონელმა". ლევკოთეა რომელიღაც ადგილობრივი ქალი ღვთაების, ალბათ, ნაყოფიერების და საერთოდ მიწათმოქმედების, მეღვინეობა-მეფეტვნეობის მფარველი ღვთაების იდენტური იყო. მისი დღესასწაული გაზაფხულობით იმართებოდა. როგორც ჩანს, ქალაქის დანგრევა ამ დღესასწაულის დროს მომხდარა. კარიბჭის კედლის გარეთ, გაღმონგრეული ალიზის კედლებს ქვეშ აღმოჩნდა თიხისგან გამოძერწილი დიონისეს ნიღაბი, რომელიც სუროს ფოთლებით და ეაზის ნაყოფით იყო დამშვენებული. იქვე იქნა ნაპოვნი ასამდე მცირე ზომის თიხის ქოთანი. დიონისეს პატივსაცემი დღესასწაულის დროს მის ნიღაბს ძელზე ჩამოკიდებდნენ ხოლმე და ირგელივ თიხის ქოთნებს შემოულაგებდნენ.

ქართლის სამეფოს ჩამოყალიბებისას მოხდა ქართული წარმართული რელიგიის სისტემაში მოყვანა, მთავარ ღვთაებებს ოფიციალური სახელები (არმაზი, ბადენი, გაცი, გაიმ და სხვ.) დაერქვა, მათ პატივსაცემად საერთო-სახელმწიფოებრიეი დღესასწაულები იმართებოდა. მაგალითად, მთვარის ღვთაების, არმაზის ღღეობა ზაფხულის ბოლოს ტარდებოდა, რომლის დროსაც მცხეთაში იკრიბებოდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული მლოცველები. ფერადი ქსოვილებითა და ყვავილებით მორთულ მცხეთის ქუჩებში იმართებოდა ხალხმრავალი რიტუალური მსვლელობა. ამ მსვლელო-

სამეფო აკლდამა მცხეთასთან. II ს.

ბაში მონაწილეობდა სამეფო ოჯახიც. ხდებოდა ღვთაებისადმი საზეიმო მსხვერპლშეწირვა.

როგორც დავინახეთ, ქართველ ტომთა უძველეს სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს (დიაოხის, კოლხას და სხვ.) და შემდეგ ეგრისისა (კოლხეთის) და ქართლის (იბერიის) სამეფოებს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ჰქონდათ როგორც წინააზიის ქვეყნებთან, ისე საბერძნეთთან და რომთან. ეს ურთიერთობანი აისახებოდა ქვეყნის კულტურულ განვითარებაშიც. ქართველ ხალხს მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისი საკმაოდ მაღალი თვითმყოფადი კულტურა ჰქონდა, მაგრამ იგი კარჩაკეტილი და გარესამყაროსგან მოწყვეტილი როდი იყო, პირიქით, ქართული კულტურა ითვისებდა ყველაფერ საუკეთესოს, რაც მის ახლობელ თუ შორეულ მეზობელ ქვეყნებში იქმნებოდა. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით წარმოადგენდა ბუნებრივ სიდს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ამიტომ აქ ხდებოდა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მომდინარე ტრადიციების საინტერესო შერწყმა. ეს გარემოება ძალზე თავისებურ იერს აძლევდა ქართულ კულტურას მთელი მისი არსებობის მანძილზე.



არმაზის ციხეზე აღმოჩენილი სვეტებიანი დარბაზის ნაშთები (ძვ. წ. IV-III სს.).

უფლისციხე. ანტიკური თეატრი.

სტრაბონის მოწმობით, მაშინდელ საქართველოში მრავალად იყო ქალაქები, რომლებიც [illegible]-ურითმოძღვრული სელოვნების წესების მისედვით იყო ნაგები. [illegible] ალბისაველეთ საქართველოში ასეთი ქალაქები იყო მცხეთა არმაზის ციხეთ, ურბნისი, უფლისციხე. არქეოლოგიურმა გათხრებმა საუსებით დაადასტურა ბერძენი ავტორის ეს ცნობა.

აბანის ნაშთი არმაზის ხეკოლან (II-III სს.). ქვეშეთი ,ალორიფორის სეკტები.



ოქროფასი თიხებით ძერწილი ოქროს ყელსაბამები არმაზის ხევიდან. II ს.

განსაკუთრებით უსიამოვნოს კლლეში საკვეთი ქალაქი უფლისციხე, სადაც სხვადასხვა დანიშნულების საკვეთ-ნაგებობებს შორის შემორჩენილია ანტიკური თეატრის შენობაც.

მცხეთისა და მისი მიდამოების არქეოლოგიურმა შესწავლამ აღგილობრივი მაღალგანვითარებული კულტურის ბრწყინვალე ნიმუშები გამოაელინა. იქ აღმოჩნდა ძველი სასახლეებისა და ტაძრების ნაშთები და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ანტიკური ხანის აბანოები.

აბანო იმ პერიოდის დიდკაცობისათვის დასვენება-გართობისა და ფიზიკური ეარჯიშის აღგილიც იყო. აბანო რთულ ნაგებობას წარმოადგენდა. იგი რამდენიმე დარბაზისაგან შედგებოდა ცხელი და ცივი წყლის აუზებით, წყლისა და ჰაერის გასაცხელებელი იატაკქვეშა მოწყობილობით. წყალს თიხის მილებით აწოდებდნენ. იატაკი მოზაიკით იყო მოხატული, რაც თავისთავად სელოვნების საუცხოო ნიმუშს წარმოადგენდა. ასეთი აბანოების ნაშთი ნაპოვნია მცხეთასთან, არმაზის ხევში, ძალისთან, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოში. მცხეთასთან აღმოჩნდა შედარებით კარგად შემონახული სამეფო აკლდამაც, რაც ამ პერიოდის საამშენებლო ხელოვნების მაღალ განვითარებას მოწმობს.

დასავლეთ საქართველოში, დაბა ვანის ტერიტორიაზე, არქეოლოგებმა გათხარეს და შეისწავლეს იმ პერიოდის ნაქალაქარი, სადაც აღმოჩნდა სხვადასხვა საკულტო და საერო ნაგებობათა ნაშთები: მრგვალი ტაძრის ნანგრევები, შვიდსაფეხურიანი საკურთხეველი, ქვით მოკირწყლული ქუჩები, კოშკები და სხვ.; აგრეთვე, ძველი ნაგებობების დეკორაციულად გაფორმებული სვეტისთავები. აქვე მოპოვებულ მრავალრიცხოვან ნივთებს შორის გამოირჩევა გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც აკვირკვინებდა სარიგუალი ჭურჭელს.

ქვევრის ნაგები დაბლაგომიდან (ძვ. წ. IV-III სს.) ასომთავრულის მსგავსი ნიშნით და ქვის სტელა არამეული წარწერით (I ს.), რომლის თავშიც ამოკვეთილია ასომთავრულის მსგავსი მოხაზვრა „S" და „L" ნიშნებით.

ანტიკური პერიოდის ქალაქი იყო ციხე-გოჯიც, რომელსაც ბერძნები არქეოპოლისს ანუ ძველ ქალაქს უწოდებდნენ. ამ საქალაქარის (ნოქალაქევის) გათხრები ამჟამადაც გრძელდება.

ადრეკლასობრივი ხანის ქართული კულტურის მაღალ დონეს მოწმობს ბრინჯაოსა და რკინის შესანიშნავი ნაკეთობანი, საომარი და სამეურნეო იარაღების ფორმების სრულყოფა და მსატვრული გაფორმება, მაღალი გემოვნებით დამზადებული სამკაულები, საოჯახო ნივთები, ოქრომჭედლობისა და ლითონის მსატვრულად დამუშავების ბრწყინვალე ძეგლები, რომლებიც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ამჟამად დიდ კამათს იწვევს საკითხი ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ. საისტორიო ტრადიციით, ქართული ანბანი შექმნა ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა (ძვ. წ. IV-III), მაგრამ უკანასკნელ დრომდე ჩვ. წ.-ის V საუკუნეზე ადრინდელი ქართულად შესრულებული წარწერა აღმოჩენილი არ ყოფილა.

ამ ბოლო ხანს კასეთში, ნაქალაქარ ნეკრესის გათხრებისას აღმოჩნდა ქართული წარწერების ფრაგმენტები, რომლებიც არქეოლოგთა ვარაუდით I-II საუკუნეებს მიეკუთვნება. აქვე 1999 წ. აღმოჩნდა ქვის სტელა უფრო ერცელი წარწერით, რომელიც ასევე წინაქრისტიანულ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. ასე, რომ ამჟამად უფრო მყარი საფუძველი გვაქვს ეივარაუდოთ, რომ ბერძნულისა და არამეულის გვერდით წინაქრისტიანულ საქართველოში ისმარებოდა ბერძნულ-არამეულისა და ძველ ქართული სიმბოლიკის საფუძველზე შექმნილი ქართული დამწერლობა, რომელიც სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდებოდა და საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ.



III თავი

ადრეფეოდალური ხანა

ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში

როგორც დაეინახეთ, ახ. წ.-ის პირველ საუკუნეებში ქართლის (იბერიის) სამეფო აქტიურად გამოეიდა მსოფლიო ასპარეზზე. მას მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა პქონდა დამყარებული მაშინდელი მსოფლიოს უძლიერეს და მოწინავე ქვეყნებთან, რომის იმპერიასთან და ირანის სახელმწიფოსთან. ყოველივე ეს გარკვეულ მემოქმედებას ახდენდა ქართლის მოსახლეობის საზოგადოებრივ განვითარებაზე. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა პქონდა იმ ფაქტს, რომ სწრაფად ხდებოდა სამუშაო იარაღების გაუმჯობესება, განსაკუთრებით რკინის იარაღის საყოველთაო გავრცელება და დანერგვა, რაც იწვევდა მეურნეობის შემდგომ დაწინაურებას. ამავე დროს, სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიც იყო მებაღეობა-მევენახეობა, სარწყავი მიწათმოქმედება, სელის მოყვანა-დამუშავება, მესაქონლეობა, განსაკუთრებით, მეცხვარეობა სეზონური მომთაბარეობით. ამის კარგ საშუალებას იძლეოდა საქართველოს ბუნებრივი პირობები, სადაც უხვად იყო როგორც მაღალმთიანი საზაფხულო, ისე ბარის საზამთრო საძოვრები. ქართველი მეურნის აუცილებელი საზრუნავი იყო მსხვილფეხა მესაქონლეობის განვითარებაც, რადგან, ძირითად გამწვე-გადასაზიდ ძალას ხარი წარმოადგენდა. ამის კარგი ილუსტრაციაა ხარის კულტის ფართოდ გავრცელება წარმართულ საქართველოში. სამხედრო საქმის განვითარებასთან ერთად განსაკუთრებით ვითარდებოდა მეცხენეობა.

მეურნეობის ასეთი გაფართოება და ახალი დარგების დანერგვა მოითხოვდა ისეთ მუშახელს, რომელიც შრომის შედეგებითა და მოსავლიანობის გადიდებით იქნებოდა დაინტერესებული. ვერც მონა და ვერც თავისუფალი, მით უმეტეს, დამოკიდებული მეთემე, ასეთ ინტერესს ვერ იჩენდა. მონას იძულებით ამუშავებდნენ და მოსავლიდან თითქმის არაფერს აძლევდნენ. მეთემე მხოლოდ მეურნეობის მარგივ, მამა-პაპურ დარგებს მისდევდა. არაფერი ახლის დანერგვა მას არ სურდა. ამავე დროს იგი მცირე მოსავლითაც კმაყოფილ-

ლებოდა, რაც მხოლოდ მისი და მისი ოჯახის გამოკვებისათვის იქნებოდა საკმარისი.

ანტიკური პერიოდის საქართველოში ბარის მიწათმოქმედი მოსახლეობა ძირითადად შედგებოდა:

1. თავისუფალი მიწათმომქმედებისგან, რომლებიც ჯერ კიდევ გაერთიანებულნი იყვნენ სასოფლო (ტერიტორიულ) თემებში და ამავე დროს ქვეყნის სამხედრო ძალის (სახალხო ლაშქრის) ძირითად ბირთვს ქმნიდნენ. მათი საერთო სახელი იყო „ერი"; 2. სამეფო გვარისადმი დაქვემდებარებული სხვადასხვა მეთემეებისაგან, რომლებსაც სტრაბონი „ლაოებს" ანუ „სამეფო მონებს" უწოდებს; 3. მონებისაგან, რომლებიც სოფლის მეურნეობაში შელარებით მცირე რაოდენობით გამოიყენებოდნენ. მაგრამ დასაქმებულნი იყვნენ ძირითადად სხვადასხვა მსმენელ სამეფოსა და პირად სალოცავთა მოსახურებაში.

ქართლის მოსახლეობის დიდ ნაწილს მაინც თავისუფალი მეთემეები („ერისგანნი") შეადგენდნენ, მაგრამ საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების შელეგად, იშლებოდა რა თემური მიწათმფლობელობა, ცალკეულ ოჯახებს ძირის ქისებრივი გასხვავება ს ულ ეფრი გამოკვეთილ სასიათს იღებდა. მათ ეთიშებოდა ეკონომიკურად, შემდეგ კი სოციალურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ფენა - წარჩინებულები. [illegible] ეკრძალებოდა ქაროლის მეფის ხელის ეფლება, როგორც ძირითად სამხედრო ძალის. საქმე ისაა, რომ ახალი ტიპის საომარი იარაღი - რკინის ბჯარი, მეთ ემეკეს ჯაჭვანი, რკინის სმალი, საგეკარი და სხვა საჭურველი, ასევე შეჯავშნული ცხენი და სხვ. მეტად ძვირი იყო და მისი შეძენა და ფლობა მხოლოდ შეძლებულ პირებს შეეძლოთ. ამიტომ სამეფო ჯარის ძირითადი ნაწილიც ასეთი შეძლებული პირებისაგან კომპლექტდებოდა. ამათგანვე ყალიბდებოდა ახალი სამხედრო მსახურეული ფენა, რომლებიც, ძველ სეფეწულებთან ერთად, ქმნიდნენ ქართლის სამეფოს არისტოკრატიას. მეფე მათ ერთგული სამსახურის უზრუნველყოფის მიზნით მთელ რიგ შეღავათებს ანიჭებდა, ათავისუფლებდა გადასახადებისაგან, ასაჩუქრებდა მიწის ნაკვეთებით, რომლებზედაც ხშირად დამოკიდებული მეთემენი („სამეფო მონები") ისხდნენ.

ამის პარალელურად „ერის" (ყოფილ თავისუფალ მეთემეთა) უმრავლესობა თანდათან კნინდებოდა, მდაბლდებოდა. წყაროებში მათ მოიხსენიებენ აშკარად კნინობითი სახელით - „წერილი ერი". მართალია, ძველი გვაროვნული დემოკრატიის ისეთი ნიშანი, როგორიცაა პირადი თავისუფლება, მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ქქონდათ, მაგრამ სხვა პოლიტიკური უფლებები აღარ ეკუთვნოდათ. საწარმოო თვალსაზრისით, ისინი ძირითადად წვრილი მწარმოებლები იყვნენ. ცალკეულ ერისგანთა დაწინაურება (ეკონომიკური, სოციალური) ისე არ შეიძლებოდა, უმრავლესობის გაღარიბება-გაღატაკება რომ არ გამოეწვია. სასოფლო თემის დაშლა და მიწაზე კერძო საკუთრების შემოსვლა ამ პროცესს ესათუოდ გაღლიძლობდა. „წარჩინებულთა" ხელში მიწის ფონდის გაფართოება და დაგროვება ნიშნავდა სწორედ იმას, რომ ერისგანთა დიდმა ნაწილმა მიწა დაკარგა. ამის მიზეზი ბევრი იყო. მაგალითად, სამეფო და სხვა გადასახადების გადახდას ყველა ვერ აუდიოდა და თანდათანობით ღარიბდე-



პორტრეტული სტელიანები ქარხილის ციხეებულების გამოსახულებით ფერეიდანარსაზიდან. IV-V სს.

ბოდა. იყო მიმძლავრების შემთხვევებიც. გაღარიბებული და შეეიწროებული მეთემე იძულებული იყო ის მიწაც გაეყიდა, რაც მას თემის დაშლის შედეგად ჰქონდა შერჩენილი. მის მიწას შეძლებული და დაწინაურებული ყოფილი თანამეთემე ეუფლებოდა. ამრიგად, წარმოიქმნება, ერთი მხრივ, ეკონომიკურად შეძლებული და პოლიტიკურად დაწინაურებული ფენა, რომელსაც წყაროებში წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი ან სპარსულ-ქართული ტერმინი ა ზ ნ ა ე ურ ი ეწოდება. ერისგანთა დიდ ნაწილს კი შეადგენდნენ მიწადაკარგული, ეკონომიკურად შეეიწროებული, ზოგჯერ კი სრულიად არაფრისმქონე პირნი, რომლებიც თავიანთი არსებობის შენარჩუნებისათვის იძულებულნი იყვნენ ამ აზნაურ-წარჩინებულებისათვის მიემართათ და მათგან გარკვეული ბეგარა-გადასახადების გამოღების პირობით მიწა მიეღოთ. ასეთ პირებს ძველი წყაროები გ ლ ე ხ ე ბ ს უწოდებენ. „გლესი" („გლახა") თავდაპირველად არაფრისმქონეს, უპოვარს, მათხოვარს ნიშნავდა. ის შეიძლება ქალაქის მცხოვრებიც ყოფილიყო. ამრიგად, გლესსა და აზნაურს შორის მყარდება გარკვეული ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობა, რაც ფეოდალური ურთიერთობის შინაარსს იძენს.

ფეოდალური ურთიერთობის ჩანასახს წარმოადგენდა მეფის გვარისა და სტრატონისეული მეთხუ გენოსის, ლაოების ანუ „სამეფო მონების" ურთიერთობაც. ამ ფენის თავისებურება ის იყო, რომ იგი შედგებოდა სხვადასხვა გზით დამორჩილებული თუ დაპყრობილი თემებისაგან და, ამდენად, თავისუფალი ეკონომიკური განვითარება უკიდურესად შეზღუდული ჰქონდათ. ამიტომ მათში დიდხანს იყო შემორჩენილი თემური მიწათმფლობელობა და მმართველობის ტრადიციები. ეს დამოკიდებული მეთემენი მხოლოდ სამეფო გვარის მფლობელობაში აღარ რჩებოდნენ. როგორც აღნიშნული იყო, აზნაურია ერთიანული სამსახურის უბრუნველსაყოფად მეფე უხვად ურიგებდა მათ თავის სამფლობელო მიწებს ბედ მსხდომი მეთემეებისთვის, რომლებიც თავისი მდგომარეობით ყმა-გლესებს უთანაბრდებოდნენ.

ფეოდალურად დამოკიდებული მიწათმოქმედთა ფენის წარმოქმნის მესამე გზაა ყოფილი მონებისა და ტყვეების მიწაზე დასხმა. ეს გამოწვეული იყო სოფლის მეურნეობაში მონის შრომის უაღრესად არარენტაბელურობით. მისი გადაყვანა ყმა-გლესის მდგომარეობაში შრომის ნაყოფიერებასაც ზრდიდა და ხელს უწყობდა უფრო პროგრესული და შემოსავლიანი დარგების - მებაღეო-

ბა-მეექვსასეობის განეითარებას, ტექნიკური მცენარეების მოშენებას, მიწის ინტენსიურ დამუშავებას.

აღნიშნული პროცესები სანგრძლივი დროის მანძილზე ეითარდებოდა და III-IV საუკუნეებისათვის უკვე ჩამოყალიბებულ და ფართო სასიათს იღებს. თუმცა, საქართველოში იყო ადგილები, სადაც მოსახლეობა კვლავ თემური წესებით ცხოვრობდა. ასეთი იყო, მაგალითად, მთის რეგიონები და სხვ.

ფეოდალური ურთიერთობის შინაარსის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი იყო გაბატონებული კლასის სტრუქტურა და შინაკლასობრივი ურთიერთობანი. განვლილ პერიოდში ქართლის გაბატონებულმა კლასმა დიდი ცვლილება და ასალი შევსება განიცადა. ერისაგან გამოყოფილი და დაწინაურებული აზნაურები პროფესიონალურ სამხედრო ძალას ქმნიან, რომელთა მთავარი საქმიანობა მოლაშქრეობაა. სამეფო ხელისუფლება ძირითადად ამ კარგად შეიარაღებულ და გაწრთვნილ სამხედრო ძალას ეყრდნობოდა. აზნაურთა ცალკეული წარმომადგენლები წინაურდებიან მაღალ სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობებზე. ისინი ერთგული და უნარიანი სამსახურის სამაგიეროდ მეფისაგან იღებენ მიწის სამფლობელოებს ზედ მსხდომი დამოკიდებული მეთემეებითურთ. ასეთი აღზევებული აზნაურები თავეიანთი სოციალური მდგომარეობითა და პოლიტიკური გაელენით უახლოვდებიან ქართლის ძველ არისტოკრატიას და ქმნიან ე. წ. დიდაზნაურთა ფენას. „აზნაურნი დიდ-დიდნი" ხელთ იგდებენ ერისთავის, პიტიახშის, ცისისთავის და სხვა გაელენიან თანამდებობებს. ისინი იქვემდებარებენ ერისგანებს და სხვა უფრო წვრილ აზნაურებსაც. ასე, თანდათანობით წარმოიქმნება ფეოდალური ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ფეოდალური იერარქია.

ასეთი მდგომარეობა გვაქვს არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოშიც, სადაც სამეფო-სამთავროების მეფე-მთავრები ჯერ რომის იმპერატორების ვასალები იყვნენ, ხოლო ლაზიკის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ ისინი ლაზიკის მეფის ყმებად იქცნენ.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება

ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებას საქართველოში დაემთხვა ასალი რელიგიის - ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. ქრისტიანობა საქართველოში ადრეც ვრცელდებოდა. ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა მტკიცებით, საქართველოში ქრისტიანობა უქადაგიათ ქ რ ი ს ტ ე ს უშუალო მოწაფეებს - წ მ. ა ნ დ რ ი ა პ ი რ ვ ე ლ წ ო დ ებ უ ლ ს ა და ს ი მ ო ნ კ ა ნ ა ნ ე ლ ს. სიმონ კანანელი საქართველოში გარდაიცვალა და აქვე დაკრძალეს, ანაკოფიაში. საქართველოში იყვნენ სხვა მქადაგებლებიც, მაგრამ გასსაკუთრებული დამსახურება აქ ქრისტიანობის გავრცელებასა და სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებაში მიუძღვის წმ. ნ ი ნ ო ს, რომელიც ქართულმა ეკლესიამ მოციქულთა სწორად შერაცხა.

საქართველოს გაქრისტიანებისა და წმ. ნინოს საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ერცელ ცნობებს იძლევა როგორც ქართული საისტორიო („მოქცეაჲ ქართლისაჲ“, „ქართლის ცხოერება“) და ჰაგიოგრაფიული თხზულებანი (წმ. ნინოს ცხოერება და სხვ.), ისე სომხური და ბერძნულ-ლათინური წყაროები.

წმ. ნინო წარმოშობით რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციიდან, კაპადოკიიდან იყო. აქ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქართველური ტომები შეადგენდნენ. ნინოს მშობლები ადგილობრივ წარჩინებულთა გვარიდან იყვნენ. მისი მამა, ზაბილონი, რომაელთა ცნობილი სარდალი, ხოლო დედა, სუსანა, იერუსალიმის პატრიარქის და იყო. ზაბილონს სახელი გაუთქვა „ბრანჯთა“ დამარცხებითა და მათი ქრისტიანობაზე მოქცევით[1].

ნინო 12 წლის იყო, როდესაც ზაბილონმა უარყო საერო ცხოერება, მთელი თავისი ქონება გაყიდა და გლახაკებს დაურიგა, თვითონ კი ბერად აღიკვეცა. ნინო და დედამისი ჩავიდნენ იერუსალიმში, სადაც პატრიარქად ნინოს დედის ძმა იყო. ამ უკანასკნელმა ნინო აღსაზრდელად მიაბარა სარა ნიაფორს (ტაძრის მეთვალყურეს), რომელიც მას ქრისტეს სჯულს ასწავლიდა. ნინომ მისგან შეიტყო, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მისი სამოსელი (კვართი) წილად ხვდათ მცხეთელ მოქალაქეებს, რომლებმაც იგი საქართველოში წაიღეს და მცხეთაშია დაფლული.

დიდი თაყვანისცემის შემდეგ ნინო საქართველოში ჩამოდის. აქ იგი, ღვთის შემწეობით, იწყებს ავადმყოფების განკურნვასა და ქრისტეს მცნების ქადაგებას. მისი ხელდასხმით ბევრი გაქრისტიანდა. მანვე მოარჩინა მძიმე სენით შეპყრობილი დედოფალი ნ ა ნ ა და გააქრისტიანა. ქართლის მეფე მ ი რ ი ა ნ ი კი მტრულად შეხვდა ახალი რელიგიის ქადაგებას და ყველა ქრისტიანის ამოხოცვას აპირებდა, მაგრამ მოხდა სასწაული. მას სადირობისას ჩამოუბნელდა და ტყიდან გზა ვეღარ გაიკვლია. იგი ბევრს ემუდარებოდა თავის ღმერთებს, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ მაშინ განათდა, როდესაც მირიანმა ნინოს მიერ ქადაგებულ ქრისტეს მიმართა თხოვნით. ამის შემდეგ ქართლის მეფემ იწამა ნინოს სარწმუნოების ჭეშმარიტება და თვითონ დაიწყო ბრძოლა ამ რელიგიის თავის ქვეყანაში გასავრცელებლად. ეს მოხდა IV საუკუნის დასაწყისში. ქართული ეკლესიის მიერ ქართლის გაქრისტიანების თარიღად განსაზღვრულია 326 წელი.

მეფე მირიანმა და წმ. ნინომ თხოვნით მიმართეს რომის იმპერატორს, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს და მის დედას, დედოფალ ე ლ ე ნ ე ს მღვდელმთავარი და მღვდლები გამოეგზავნათ ნათლიღებისათვის. იმპერატორმა კონსტან-

---

1 „ბრანჯი“ არაბიზირებული ფორმაა „ფრანგ“-ისა. „ქართლის ცხოერებაში“ მოიხსენება მინაწერი, რომ „ბრანჯნი ფრანგნი არიან“, ხოლო „წმ. ნინოს ცხოერების“ ჭელიშურ ნუსხაში „ბრანჯის“ მაგიერად პირდაპირ „ფრანგია“ ნახმარი. არის მოსაზრება, რომ შეიძლება „ბრანჯში“ გალები იგულისხმებოდნენ. თუმცა ეს ის პერიოდია (III საუკუნის მეოთხედი), როდესაც გალიის ტერიტორიაზე იწყება ფრანკების ინტენსიური შემოჭრა და რომაელებს დიდი ბრძოლები უხდებათ მათ წინააღმდეგ. ნაწილი ფრანკებისა უკვე სახლდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ გალიის ტერიტორიაზე. ასე რომ, შესაძლებელია, ამ გადმოცემაში ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის ეპიზოდი იყოს აღნიშნული.



სტელა-ჯვარი ბოლნისიდან („ლაბაბი ვორა") ბარნაბაას მოსახსენებლად. V-VI სს.

ტინემ სისარულით მიიღო მათი თხოვნა და საქართველოში ეპისკოპოსად გამოგზავნა „მღვდელი ჭეშმარიტი" ი ო ა ნ ე და მასთან ერთად კიდევ ორი მღვდელი და სამი დიაკონი. მეფე მირიანი, თავისი ოჯახითურთ, მოინათლა და თავის ქვეშევრდომებსაც უბრძანა, მოსათლულიყვნენ. იოანე ეპისკოპოსმა და მღვდლებმა აკურთხეს მდ. მტკვარი და იქ მცხეთისა და ქართლის მოსახლეობა მოსათლეს.

წმ. ნინოს ცხოვრების ავტორის მტკიცებით, მირიანმა კვლავ მიაველინა რომში იოანე ეპისკოპოსი და ეროი თავისი წარჩინებული და ქართლის მოსახლეობის მოსანათლად და ეკლესიების ასაგებად მღვდლებისა და მშენებელი კირითხუროების გამოგზავნა ითხოვა. იმპერატორმა ეს თხოვნაც შეუსრულა, ამავე დროს საქართველოში გამოგზავნა წმინდა ჯვრის ნაწილები. მათთან ერთად ჩამოვიდა ვინმე „ბრანჯი" (ფრანგი) მთავარდიაკონი, რომელმაც ჩამოიტანა წერილი „ბრანჯთა მეფისაგან" წმ. ნინოსთან, რამეთუ მას ნათელეღო ნინოს მამის, ზაბილონისაგან. ეს არის უძველესი, სახელგანდარ ელი ცნობა საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ უკვე IV საუკუნეში.

ქრისტიანობა ქართლში სწრაფად გავრცელდა, თუმცა ისეთ კუთხეებში, სადაც მოსახლეობა ჯერ კიდევ თემური წყობილებით ცხოვრობდა, მამაპაპეულ რელიგიას ჯიუტად იცავდნენ და მეფის მიერ წარგზავნილ ერისთავს ძალის გამოყენებაც კი მოუხდა. ასე იყო, მაგალითად, არაგვის ხეობის ბერძო წელზე, ალ-ხეთის მთიანეთში და სხვ.

ამავე პერიოდში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ეგრისში. 325 წელს ქ. ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიზანტიის ეპისკოპოსი ს ტ რ ა ტ ო ფ ი ლ ე

ქრისტიანობის შემოსვლას ულოცესი მნიშვნელობა ქქონდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. საქართველო კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა კულტურულ რომს და დაუპირისპირდა აგრესიულ ირანს. ქრისტიანობა პროგრესული იდეების მატარებელი რელიგია იყო და ემსახურებოდა საზოგადოების მორალურ განწმენდასა და სულიერ გასპეტაკებას. ქრისტიანობამ აკრძალა წარმართული რიტუალები, რომლის დროსაც ხლუბოდა ადამიანების მსხვერპლშეწირვაც. ქრისტიანობა, როგორც წიგნიერი რელიგია, ხელს უწყობდა ერთიანი ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის განვითარების. ქართულმა დამწერლობამ ამ დროიდან უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული და სრულყოფილი სახე მიიღო. იგი ფართოდ გავრცელდა მთელს საქართველოში. ამავე დროს ქრისტიანობა, როგორც მონოთეისტური რელიგია, ხელს უწყობდა ქართლის მეფის ხელისუფლების განმტკიცებას, ქვეყნის კონსოლიდაციას.

ქართლის წინააღმდეგ ირანის აგრესიის გაძლიერება

ირანი მტრულად შესვლა კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებას და ამის შემდეგ განსაკუთრებული დაჟინებით ცდილობდა იქ თავისი სახელმწიფოებრივი რელიგიის - ცეცხლთაყვანისმცემლობის (მაზდეიზმის) დამკვიდრებას. სასანიდებმა გააძლიერეს აგრესია კავკასიის ხალხების მიმართ. 338 წ., სიბიბინის ზავის ყადის გასელისთანავე, შაჰმა შაბურ II-მ დაიწყო საომარი მოქმედება შუამდინარეთსა და სომხეთში. შინაბრძოლებით დასუსტებული რომი წინააღმდეგობას ვერ უწევდა ირანის შემოტევას 364 წ. ირანელთა ლაშქარი სომხეთში შეიჭრა და მეფე არშაკ II გააძევა. სომხეთის მეფემ თავი საქართველოს შეაფარა და შემდეგ, ქართული ჯარის დახმარებით, დაბრუნდა სომხეთში. ირანელებმა მაინც შეძლეს სომხეთის მეფის სელთ გდება. ამის შემდეგ 368 წ. მათ უშუალოდ საქართველოს შემოუტიეს, ქართლის მეფე ს ა ურ მ ა გ ი გააძევეს და მის მაგიერად მისი სათესაეი, ა ს პ ა გ უ რ ი დასვეს ტასტზე. რომის იმპერატორმა თავისი სარდალი ტ ე რ ე ნ ც ი უ ს ი გამოგზავნა 12 ლეგიონით და აიძულა ირანის შაპი უკან დაეხია. ირანსა და რომს შორის ახალი შეთანხმებით, მათ ქართლი შუაზე გაიყვეს და ერთ ნაწილში, რომელიც რომის გაელენის ქვეშ რჩებოდა, საურმაგის მეფობა აღადგინეს. ხოლო მეორე ნაწილში კვლავ ირანელთა მიერ დასმული ასპაგური დატოვეს. ქართლის ორ ნაწილად გაყოფა დიდხანს არ გაგრძელებულა. იმავე IV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს რომს გაურთულდა ვითარება ევროპაში. იქ დაიწყო ვესტგუთების დიდი აჯანყება და იგი იძულებული გახდა, ქართლი დაეტოვებინა. სანაც ამის შემდეგ მთლიანად ირანელები გაბატონდნენ. ირანელებმა თავიანთი მოსელე, პ ი ტ ი ა ხ შ ი ჩააყენეს თბილისის ცისე-ქალაქში და მას ქართლის მეფის მეთვალყურეობა და სარკის აკრეფის საქმის მოგვარება დაავალეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართლი სარკს უხდიდა სხვა სახელმწიფოს. ამას გარდა, ირანელებმა ადგილობრივი დიდაზნაურების სახით გარკვეული დასაყრდენი გაიჩინეს ქართლის შიგნით.

სასანური პიტიახშის პაპაკ არდაშირის ძის ფამოსახულება ყერეხლის ლარნაკზე. ირანული ხელი III ს.

დიდაზნაურები აზნაურთა დაწინაურებული ფენა იყო, რომლებსაც ეკავათ მაღალი სამოხელეო და საეკლესიო თანამდებობები და განაგებდნენ და ფლობდნენ დიდ ტერიტორიებს ზედ მოსახლე ყმა-გლეხებითა და დამოკიდებული მეთემეებითურთ. ისინი ამ თანამდებობებისა და საგამგებლო ტერიტორიების მემკვიდრეობით დაუფლე-

ბას ცდილობდნენ, რასაც ქართლის მეფე გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა. ამის გამო მეფესა და დიდაზნაურებს შორის მწვავე კონფლიქტი წარმოიშვა, რაც მალე შეურიგებელ ბრძოლაში გადაიზარდა. ამით სარგებლობდა შაპის კარი, უკავშირდებოდა ქართლის დიდაზნაურებს და მათ საკუთარი მეფის წინააღმდეგ აქეზებდა. შაპის ნდობა ზოგიერთი ასეთი დიდაზნაურისადმი იმდენად გაიზარდა, რომ იგი ირანიდან თავის მოსელეს კი აღარ აგზავნიდა ქართლის პიტიასშად, ე. ი. შაპის წარმომადგენლად ქართლში, არამედ ამ თანამდებობაზე უკვე აღგილობრივ დიდაზნაურებს ნიშნავდა.

387 წელს რომსა და ირანს შორის დაიდო ზავი, რომლის ძალითაც სომხეთის დიდი ნაწილი - ოთხი მესუთედი ირანმა დაისაკუთრა, ხოლო რომს მხოლოდ ერთი მესუთედი შერჩა. ამ ზავს საქართველოსთვის დიდად უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სპარსელებმა სომხეთში მტკიცედ მოიკიდეს ფესვი და საქართველოსაც უფრო ადვილად შემოუტევდნენ. ამ პერიოდის ქართლის მეფეები - ბ ა კ ურ ი, ფ ა რ ს მ ა ნ ი, მ ი რ დ ა ტ ი ცდილობდნენ ირანის ბატონობისგან თავი დაეღწიათ. მეფე მ ი რ დ ა ტ ი სპარსელებმა ტყვედაც კი იგდეს (V ს-ის 20-იანი წლები) და იგი ტყვეობაში გარდაიცვალა.

ირანელებმა გააძლიერეს ბრძოლა ქართული ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგაც. მათ „გარყვნეს ეკლესიანი", ე. ი. შებილწეს ქრისტიანული ტაძრები და იქ, ქრისტიანული მღვდელმსახურების მაგივრად, „ცეცხლისმსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი", ე. ი. ცეცხლისმსახურების რიგუალის დანერგვა დაიწყეს. ამ ამბავს ეწინააღმდეგებოდნენ ამ დროის (V ს-ის 20-40-იანი წლები) ქართლის მეფეები ა რ ჩ ი ლ ი, მ ი რ დ ა ტ ი, მაგრამ ძალები უთანაბრო იყო და მათ ბრძოლას წარმატება არ მოჰყოლია.

ამ დროიდან ირანმა დაიწყო უფრო აქტიური, აგრესიული პოლიტიკის გატარება ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ. მისი მიზანი იყო მთლიანად მოეპო ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა და ისინი ირანის რიგით პროვინციებად გადაექცია. ამისთვის საჭირო იყო ამ ხალხების კულტურის მოსპობა და მათი სრული ასიმილაცია. 428 წელს ირანის შაპმა სომხეთში ადგილობრივი დიდაზნაურების ანუ ნახარარების დასმარებით მეფობა გააუქმა. ირანელებმა თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს ქრისტიანული ეკლესიაც. საქმე ისაა, რომ ამ დროს ქრისტიანობაში წარმოიქმნა სხვადასხვა მიმდინარეობა, რომლებიც ერთმანეთს შეურიგებლად მტრობდნენ. ორთოდოქსალურ ეკლესიას ბიზანტიის საიმპერატორო კარი მფარველობდა, მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნებში ბევრი იყო ოპოზიციური მიმდინარეობა, რომლებსაც ირანელები უჭერდნენ მხარს. რა თქმა უნდა, ამას ისინი აღმოსავლეთის ხალხების ბიზანტიის წინააღმდეგ დასარაზმავად იყენებდნენ. V ს-ის 40-იან წლებში შაპმა იეზდიგერდ II-მ (438-457) ბრძანება გამოსცა მისი ქვეშევრდომი ქვეყნებიდან, მათ შორის ქართლიდანაც, გამოეყვანათ ცხენოსანი ჯარი შუა აზიაში გასაგზავნად, სადაც სისხლისმღვრელი ომები მიმდინარეობდა ქუშანების წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილებას ის მიზანი ჰქონდა, რომ ეს ქვეყნები მებრძოლი ძალისაგან დაეცალა და აღვილად დაემორჩილებინა. შუა აზიაში ბრძოლა დიდ მსხვერპლს მოითხოვდა და იქ გაგზავნილი მხედრობიდან ცოტანიღა ბრუნდებოდნენ უკან.

ამიერკავკასიის ქვეყნებში ჩატარდა აღწერა და მოსახლეობა უფრო მძიმე გადასახადებით დაიბეგრა. გადასახადები დაედო ეკლესიასაც.

ირანელებმა სცადეს კავკასიიდან გაყვანილ ჯარში მაზდეანობა გაეერცელებინათ, მაგრამ მათ ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია. ასევე წარუმატებლად დასრულდა ზოროასტრიზმის გავრცელების მცდელობა. ამის შემდეგ შაპმა თავისთან დაიბარა სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის თავკაცები (დიღებულები, ნახარარები) და მათ დიდი წყალობა აღუთქვა, თუ ისინი უარყოფდნენ ქრისტიანობას და მაზდეანობას მიიღებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოწყვეტით დაემუქრა. ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ სამივე ქვეყნის თავკაცებმა გადაწყვიტეს, დათანხმებულიყვნენ შაპის მოთხოვნას, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისთანავე კვლავ ქრისტიანობა მიეღოთ. შაპი მაინც არ ენდო მათ და თავისთან მძევლებად დაიტოვა ქართლის პიტიახში არშუშა და სომხეთის მარზპანის ვასაკ სიუნის ორი ეაკიშვილი.

ირანის შაპმა კავკასიის ქვეყნებში გამოგზავნა მოგვები, რომლებსაც ევალებოდათ სამუდამოდ აღმოეფხვრათ ქრისტიანობა და მაზდეანობა დაენერგათ. ამ მიზნით მათ უნდა დაესურათ ქრისტიანული ეკლესიები და გაეხსნათ მაზდეანური სამლოცველოები და სკოლები, სადაც თავიანთი წესები და სარწმუნოების პრინციპები უნდა ესწავლებინათ. მარგო სომხეთში ირანელებმა 700-ზე მეტი მოგვი გამოგზავნეს. მაგრამ შაპის ამ ღონისძიებამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. ამიერკავკასიაში იფეთქა დიდმა აჯანყებამ (450-451 წწ.), რომლის ჩახშობა ირანელებს ძალიან გაუჭირდათ. შაპის კარი იძულებული გახდა მთელ რიგ დათმობებზე წასულიყო: რაც მთავარია, ირანმა ამჯერად უარი თქვა ამიერკავკასიის სალსების მის მიერ დაგეგმილ ასიმილაციის პოლიტიკაზე; აღადგინა სარწმუნოებრივი თავისუფლება; შეამსუბუქა სამხედრო ბეგარა და გადასახადები.

დასავლეთ საქართველო IV-V საუკუნეებში

III-IV საუკუნეების დასაწყისში დასავლეთ საქართველოში სხვა სამთავროებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდა ლაზიკა. მან თანდათან დაიქვემდებარა აფშილების, ააბაგების, სანიგების და სხვა წვრილი ტომების მთავრები. უფრო გვიან ლაზების მთავარმა სვანების მთავარიც დაიმორჩილა. ასევე მის მფლობელობაში გადავიდა აქამდე ქართლის მეფის კუთვნილი ტერიტორიაც დასავლეთ საქართველოში, როგორიც იყო არგვეთი და ძიდრიტებით დასახლებული შავიზღვისპირა რაიონი. იბერიის საზღვართან ლაზებმა ძლიერი სიმაგრეები - სკანდისა და შორაპნის ციხეები ააგეს. აღსანიშნავია, რომ თუ IV საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ციხეებში ჯერ კიდევ იდგნენ რომაელთა გარნიზონები, ამ საუკუნის ბოლოდან ასეთი გარნიზონები ლაზიკის ტერიტორიაზე აღარ ჩანან. ეს გამოწვეული იყო ამ პერიოდში რომის იმპერიის დასუსტებითა და თანდათანობით უკან დახევით.

როგორც აღნიშნული იყო, 387 წელს იმპერატორმა თეოდოსიმ სომხეთის უდიდესი ნაწილი ირანს დაუთმო. ამავე თეოდოსიმ 395 წელს თავისი იმპერია

ორ ნაწილად გაყო და ამის შემდეგ საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა შედარებით უფრო ნაკლები ძალის მქონე აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან (ბიზანტიასთან). რომს გუთების მძლავრი შემოტეევის მოგერიება უსდება, მაგრ გუთები აღმოსავლეთიდან დაძრულმა ჰ უ ნ ე ბ ი ს ურდოებმა შეცვალეს. ჰუნებმა გაანადგურეს ა ლ ა ნ თ ა გაერთიანება, მოარბიეს ბოსფორის სამეფოს ტერიტორია და კაუკასიონის გადმოსასვლელებს მიადგნენ. ამ ზეკარების დაცვა ბიზანტიის ხელისუფლებისათვის უაღრესი მნიშვნელობის ამოცანად იქცა და, გასაგებია, ასეთ ვითარებაში იმპერიისათვის მთავარ დასაყრდენ ძალად ლაზიკა უნდა გამხდარიყო. ბიზანტიის ხელისუფლებას აღმოსავლეთში მორჩილ ვასალზე უფრო მეტად ძლიერი მოკავშირე ესაჭიროებოდა და იგი იძულებული იყო არა მარტო შერიგებოდა ლაზების სამეფოს გაძლიერებას, არამედ დახმარებოდა კიდეც მას. ბიზანტიელი ისტორიკოსი პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი პირდაპირ მიუთითებს, რომ ლაზები არც სარკეს ისდიდნენ, არც სხვა რაშეში ემორჩილებოდნენ რომაელებს (ბიზანტიელებს). ლაზები მტკიცედ იცავდნენ თავიანთ საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები მათი მოსაზღვრე კაუკასიის მთებიდან, ლაზიკაზე გამოვლით, რომაელთა მიწა-წყალზე არ შეჭრილიყვნენ. მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი ა გ ა თ ი ა შემჭეგნარად ასასიათებს ლაზებს: „ძლიერსა და შამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ... მე არ მეგულება არც ერთი სხვა ასე სახელგანთქმული და განძიდებული თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბითა და მოსაველიანობით, ისე სასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ლაზები ზღვაში დაცურავენ და ეაჭრობაშიც დიდ სარგებელს პოულობენ. მათ თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონიერი სასე მიუციათ“.

ლაზიკისა და ბიზანტიის ურთიერთობა IV-V საუკუნეებში მხოლოდ სამხედრო კავშირზე იყო დამყარებული. ლაზიკა ფორმალურად ითვლებოდა ბიზანტიის ვასალად. მაგალითად, როდესაც ლაზების მეფე გარდაიცვლებოდა, ახალ მეფეს იმპერატორი უგზავნიდა სამეფო ნიშნებს. ეს ნიშნები დაწვრილებით აქვს აღწერილი ისტორიკოს აგათიას: თვალმარგალიტით შემკული ოქროს გვირგვინი, ოქრომკედით მოქარგული გრძელი ქიტონი, ოქროთი და თვლებით შემკული მიტრა, წითელი წაღები და სხვ.

ლაზიკის სამეფოს ტერიტორია მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. იგი სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავამდე ვრცელდებოდა, აღმოსავლეთით ლიხის ანუ სურამის ქედამდე, ხოლო ჩრდილოეთით მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთისა და სვანეთის ტერიტორიასაც. ფლავიუს არიანეს მიერ დასახელებული აფშილების, აბაზგებისა და სანიგების სამთავროები უშუალოდ ლაზიკის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ.

ლაზიკის დედაქალაქი იყო ც ი ხ ე - გ ო ჯ ი, რომელიც ქვეყნის შუაგულში, მდ. ტეხურის პირას მდებარეობდა. მას ბერძნები ა რ ქ ე ო პ ო ლ ი ს ს (ე. ი. ძველ ქალაქს) უწოდებდნენ. ლაზიკაში (ქართ. ეგრისი) სხვაც არაერთი

ციხე-გოჯი. ეგრისის ლაზიკის ქალაქი და ციხე-ციხე

ქალაქი იყო, მაგალითად, ქ უ თ ა ი ს ი , მ ო ხ ი ო ნ ი ს ი , ე ა რ ლ ი (((
(ოლოპოლისი). ეს ქალაქები თავმოყრილი იყო ქვეყნის ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებულ ცენტრალურ რაიონში, რომელსაც ქართული წყაროები ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა ც უწოდებენ. ასევე, თავიანთი მნიშვნელობა არ დაუკარგავთ შავიზღვისპირა ქალაქებსაც: ფ ა ზ ი ს ს , ს ე ბ ა ს ტ ო პ ო ლ ი ს ს , ბ ი ზ ვ ი ნ თ ა ს . ისინი კელავ მსხვილ საკაჭრო-სახელოსნო ცენტრებად რჩებოდნენ. ყველა ამ ქალაქს მჭიდრო საკაჭრო ურთიერთობა ქონდა როგორც ბიზანტიასთან, ისე ირანსა და ჩრდილო კავკასიასთან. ამას კარგად აღასტურებს მდიდარი არქეოლოგიური მასალა.

უკანასკნელ დროამდე ფართო არქეოლოგიური სამუშაოები წარმოებდა ლაზიკის ლაქალაქის, ციხე-გოჯის ტერიტორიაზე, სადაც გამოვლინდა ამ პერიოდის ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობანი აკროპოლისით, დაფარული გასასვლელით მდ. ტეხურის ნაპირზე და სხვ.

IV-V საუკუნეების ლაზიკის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. ზოგჯერ ლაზიკასა და ბიზანტიას შორის ურთიერთობა იძაბებოდა. მაგალითად, V ს-ის 50-იან წლებში იმპერატორ მ ა კ რ ი ა ნ ე ს (450-458) ჯარები გაუგზავნია ლაზების მეფე გ უ ბ ა ზ I-ის წინააღმდეგ. ბრძოლას შედეგი არ გამოუღია და, ბოლოს, პოლიტიკური მოლაპარაკებით, შეთანხმებულან, რომ გუბაზ მეფე გადადგებოდა და თავის მემკვიდრეს, წათეს დაუთმობდა ტახტს. მიზეზი მისი ირანული ორიენტაცია უნდა ყოფილიყო. V საუკუნის ბოლოს ლაზიკა შედარებით დასუსტებული ჩანს. მას ჩამოშორდა სვანეთის სამთავრო, ასევე ზოგიერთი აღმოსავლეთი პროვინცია (არგვეთი). ეს დაკავშირებული უნდა იყოს ვახტანგ გორგასლის დროს ქართლის სამეფოს გაძლიერებასა და დასავლეთის მიმართულებით ქართლის ექსპანსიასთან.

ვახტანგ გორგასლის მეფობა

ქართველი სალსის ხსოვნაში ვ ა ს ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ ს უკავია ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილი. დროთა განმავლობაში მისი სახელი ლეგენდებით შეიმოსა, როგორც ქვეყნის განთავისუფლებისა და აღორძინებისათვის მებრძოლი რაინდი მეფისა. მისი ეპოქიდან შემორჩენილია ჰაგიოგრაფიული შინაარსის მსოლოდ ერთი თხზულება, საისტორიო თხზულებანი კი დაკარგულია. გვაქვს მათზე დაყრდნობით უფრო გვიან (IX-XI საუკუნეებში) შექმნილი თხზულებანი, რომელთა შორის ერთ-ერთი სპეციალურად მისი მოღვაწეობის აღწერისადმია მიძღვნილი (აეტორად თვლიან ჯუანშერ ჯუანშერიანს), მაგრამ ეს თხზულებაც, თავისი ეპოქის გემოვნების მისაღებით, საგმირო-რომანტიკულ და სათაგვადასაღო სტილშია დაწერილი. ვახტანგ გორგასალზე საინტერესო ცნობებს იძლევიან სომესი ისტორიკოსებიც.

ვახტანგი ქართლში V ს-ის მეორე ნახევარში მეფობდა. იგი 7 წლის ბავშვი იყო, როცა გარდაეცვალა მამა, მეფე მირდატი. სამეფო კარს ურთულესი პრობლემები ჰქონდა გადასაწყვეტი. დიდაზნაურები მეფეს არ ემორჩილებოდნენ და თავიანთი მაღალი თანამდებობების მემკვიდრეობით გადაქცევას ცდილობდნენ. მათი გავლენა ერცელდებოდა ეკლესიაზეც. საქართველოს თავს ესმოდნენ იმიერკავკასიელი მთიელები, რადგან ქართლის სამეფოს დასუსტებისა და ირანის დაქვემდებარებაში მოქცევის შემდეგ კავკასიონის გადმოსასვლელები სათანადოდ აღარ იყო დაცული.

მცირეწლოვანი ვასტანგის გამეფების პირველ წლებშივე საქართველოს იმიერკავკასიიდან თავს დაესხნენ ალან-ოსები და ჰუნ-თურქები, რომლებმაც სასტიკად მოარბიეს ქვეყანა. მათ აიღეს ქალაქი კ ა ს პ ი და ტყვედ წაიყვანეს მეფე ვასტანგის და მ ი რ ა ნ დ უ ს ტ ი. საქართველოს მხრიდან წინააღმდეგობის ძალას მკვეთრად ასუსტებდა ის გარემოება, რომ ირანელებს აქედან კვლავ დიდი რაოდენობით გაპყავდათ ცსენოსანი მეომრები, რომლებიც შორეულ შუა აზიაში თურქული ტომების (კიდარების,. ქუშანების, ჰეფთალიტების) წინააღმდეგ საბრძოლველად იგზავნებოდნენ. ასევე ქვეყანა კელავ იხდიდა მძიმე ხარკს ირანის სასარგებლოდ. ირანის განსაკუთრებული მოსელე, მარზპანი, რომელიც ბარდავში იჯდა, აკონტროლებდა ქართლის მეფის მოქმედებას და ხშირად მის საშინაო საქმეებშიც ერეოდა, კერძოდ, ყველა საშუალებით ცდილობდა დაენერგა ცეცხლთაყვანისმცემლობა და ქართლის გაელენიანი დიდაზნაურები თავის მხარეზე გადაებირებინა.

ვასტანგის დედა, დედოფალი ს ა გ დ უ ხ ტ ი ამიერკავკასიის მარზპანის ბ ა რ ზ ა ბ ო ლ ი ს ქალიშვილი იყო. ქვეყნისთვის ამ მძიმე მდგომარეობაში იგი გაემგზავრა ბარდავს მამასთან და შემწეობა და მფარველობა სთხოვა. დედოფლის ამ ნაბიჯმა კარგი შედეგი გამოიღო. მას შემდეგ, რაც ვასტანგი სრულწლოვანი შეიქმნა, მან სწორად შეაფასა ქვეყნის მდგომარეობა და ირანელების ინტერესები ამიერკავკასიაში. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო კავკასიონის გადმოსასვლელების კვლავ დაუფლება და გამაგრება, ვინაიდან ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ურდოები დიდ ზიანს აყენებდნენ თვით ირანის ტერი-

ტორიასაც. ვახტანგმა ირანელ მარზპანს დამსმარე ძალა გამოსთხოვა და დიდი ლაშქრობა მოაწყო იმიერკავკასიაზე. ქართველებმა დაამარცხეს ალანოსები, ხელთ იგდეს დიდძალი სიმდიდრე და ტყვეები, აიძულეს ოსთა მთავარი, გაეთავისუფლებინა ვახტანგის დატყვევებული და მირანდუსტი. ამ ლაშქრობის შედეგად ქართველებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელები. ვახტანგმა განსაკუთრებით გაამაგრა დარიალის კარი. აქ აღაშენა მაღალი ციხე-კოშკი და მცველად დაადგინა მის მახლობლად მცხოვრები მთიელები. ამის შემდეგ, მისი ბრძანების გარეშე, არავის შეეძლო გადმოელახა ეს გადმოსასვლელები.

ჩრდილო კავკასიაში ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ ვახტანგი „აფსაზეთის გზით" დასავლეთ საქართველოში გადაეცა. სვანეთი და ეგრისის დიდი ნაწილი მას უშუალოდ დაექვემდებარა. ვახტანგმა აქ რამდენიმე საერისთაო დააარსა, სოლო ეგრისის ანუ ლაზიკის მეფე თავის გაელენას დაუმორჩილა.

ვახტანგმა ბიზანტიასაც შეუტია. IV საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიელები საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს - კ ლ ა რ ჯ ე თ ს დაეუფლნენ. ვახტანგმა ეს ტერიტორია კელავ ქართლს შემოუერთა და იქ შექმნა თავისი საერისთავო, რომლის ცენტრადაც აქცია მის მიერ აგებული ციხე-ქალაქი ა რ ტ ა ნ უ ჯ ი .

459-463 წწ. ირანს მძიმე ბრძოლები ჰქონდა ალბანეთის აჯანყებული მეფის ე ა ჩ ე ს წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ვახტანგის მეოხებით ირანის შაჰმა მოისყიდა ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე თურქ-ონოგურები, დარიალის გზით შემოიყვანა და ალბანელებს მიუსია. ბრძოლები მთელ წელს გაგრძელდა და დამთავრდა მეფე ეაჩეს გადადგომითა და ალბანეთში მეფის ხელისუფლების გაუქმებით (463 წ.). ამით კარგად ისარგებლა ქართლის მეფემ და უშუალოდ შემოიერთა ჰ ე რ ე თ ი (დასავლეთ ალბანეთი). აქ მან შექმნა ცალკე ადმინისტრაციული ერთეული - ჰ ე რ ე თ ი ს ს ა ე რ ი ს თ ა ვ ო , რომელშიც შევიდა კ ა მ ბ ე ჩ ა ნ ი ს ტერიტორიაც. ამ საერისთავოს ცენტრი იყო ვახტანგის მიერ აშენებული ს ო რ ნ ა ბ უ ჯ ი . ვახტანგმა თავის სამეფოს შემოუერთა აგრეთვე ჰერეთის ჩრდილოეთით მდებარე დაღესტნის მთიანეთის ნაწილი, წ უ ქ ე თ ი და აქაც ცალკე საერისთავო შექმნა.

ამრიგად, მეფე ვახტანგმა, წინდასედული პოლიტიკით, თავდაპირველად ირანის ძალის დახმარებით და არა მისადმი დაპირისპირებით, თავის ქვეყანას დიდი წარმატებები მოუპოვა. მან განავრცო ქართლის სამფლობელოები კლარჯეთიდან წუქეთამდე, თავის გაელენას დაუმორჩილა იმიერკავკასიის მთიელები, ფაქტობრივად შემოიერთა დასაელეთ საქართველოს დიდი ნაწილი და მეზობელ კავკასიის ქვეყნებშიც დიდი ავტორიტეტი დაიმსახურა.

ირანის დათმობანი საქართველოს მეფის მიმართ და ბიზანტიის შედარებით პასიურობაც გამოწვეული იყო მათი მძიმე მდგომარეობით. ბიზანტიის იმპერიაში V ს-ის მეორე ნახევარში პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლები მიმდინარეობდა. ოფიციალურ ორთოდოქსალურ, დიოფიზიტურ ქრისტიანობას დაუპირისპირდა მონოფიზიტობა და სხვა მიმდინარეობანი, რომ-

ლებიც ძირითადად იმპერიის აღმოსაელეთ პროვინციებში - ეგვიპტეში, სირიასა და პალესტინაში იყო გავრცელებული. ამ მიმდინარეობებს ენერგიულად უჭერდა მსარს ირანის შაპის კარიც. მაგრამ ბიზანტიის მთავარი პოლიტიკური პრობლემა იყო გუთებისა და ვანდალების წინააღმდეგ წარუმატებელი ბრძოლები.

რაც შეეხება ირანს, იქ იეზდიგერდ II-ის გარდაცვალების (457 წ.) შემდეგ მის ვაჟიშვილებს შორის ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. ბოლოს გამეფდა პ ე რ ო ზ ი (459-484), რომელსაც თითქმის გამუდმებული ომები ჰქონდა ჩრდილო-აღმოსაელეთის საზღვრებთან, საიდანაც „ ხ ი ო ნ ი ტ ი პ უ ნ ე ბ ი“ და კ ი დ ა რ ი ტ ე ბ ი უტევდნენ. ეს ბრძოლები დიდ სარჯებს მოითხოვდა და ირანი ხშირად მიმართავდა ბიზანტიის წულით დახმარებისათვის, რადგან კავკასიონის გადმოსასელელების დაცვა ორივეს ინტერესებში შედიოდა: აქედან შემოჭრილი ჰუნები ბიზანტიის ტერიტორიასაც დაარბევდნენ. ბიზანტიის საიმპერატორო კარი მხოლოდ დიდის ჭირვეულობით თანხმდებოდა ამ წულადი სუბსიდიის გაცემას.

V ს-ის 60-იან წლებში პეროზმა ვასტანგი ქართველთა ლაშქრითურთ ჰუნების წინააღმდეგ საბრძოლველად გაიწვია შუა აზიაში. 468 წელს სპარსელებმა დაამარცხეს კიდარიტები. ამ ბრძოლებში დიდად გამოიჩენია თავი ვასტანგს, როგორც შესანიშნავ მსედართმთავარსა და მამაც მეომარს. ვასტანგი მონაწილეობდა, აგრეთვე, ბრძოლებში ინდოეთისა და სხვა მომიჯნავე ქვეყნების წინააღმდეგ. ამასობაში კიდარიტების ადგილი პ ე ფ თ ა ლ ი ტ ე ბ მ ა ანუ „ თ ე თ რ მ ა ჰ უ ნ ე ბ მ ა“ დაიკავეს. ასლა უკვე შეიცვალა ვითარება და სპარსელები დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ. ერთ-ერთ ბრძოლაში თვით ირანის შაპი პეროზიც კი ტყვედ ჩაუვარდა ჰუნ-ჰეფთალიტებს. ბიზანტიის იმპერატორის, ზენონის, შუამდგომლობით ჰეფთალიტებმა, დიდი გამოსასყიდის ფასად, გაათავისუფლეს ირანის შაპი. ამ გამოსასყიდის გადახდა მძიმე ტვირთად დაწვა როგორც ირანის მოსახლეობას, ისე განსაკუთრებით დაპყრობილ ხალხებს, მათ შორის, ქართველებს. ეს კი ქართლში ანტიირანულ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებდა.

ვასტანგი ქართლში მხოლოდ 7 წლის შემდეგ, V ს-ის 70-იან წლებში დაბრუნდა. მას აქ ვითარება მკვეთრად შეცვლილი დახვდა. სპარსელები კელავ ცდილობდნენ კავკასიის ხალხების სრულ დაპყრობას. მხოლოდ ქართლში იყო დარჩენილი ადგილობრივი მეფის სელისუფლება, სომხეთსა და ალბანეთში მეფობა უკვე კარგა ხანია გაუქმებული იყო (სომხეთში - 428 წ., ალბანეთში - 463 წ.). იგივეს უმზადებდნენ ქართლსაც. საამისოდ ირანის შაპის კარი წარმატებით ცდილობდა გამოეყენებინა წინააღმდეგობა ქართლის მეფესა და ადგილობრივ დიდაზნაურებს შორის. ამ მხრივ დამახასიათებელია ვარსქენ პიტიახშის მაგალითი, რომელიც აღწერილი აქვს V საუკუნის ავტორს ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ს .

ვ ა რ ს ქ ე ნ ი ქვემო ქართლის განმგებელი პიტიახში იყო. იგი 466 წელს გაემგზავრა ირანის შაპთან, მისი გულის მოგების მიზნით, უარყო ქრისტიანობა და მაზდეანობა მიიღო. რა თქმა უნდა, ასეთი გზით მას სურდა თავი დაელ-

ბოლნისის აღმოჩენილი ქვის მოხატულობიანი ჯვარი და ხელა დაღებულის (პატიახშის) გამოსახულებით. V ს.

წია ქართლის მეფის ქეეშეერდომობისგან და, ირანის მხარდაჭერით, თავის სამფლობელოში უფრო მეტი უფლებები მოეპოვებინა. ძის ამ ნაბიჯს წინ აღუდგა მისი ცოლი შ უ შ ა ნ ი კ ი, რომელიც სიმხეთის სახელგანთქმული სარდლის ვარდან მამიკონიანის ასული იყო. მიუხედავად სასტიკი წამებისა, შუშანიკი არ დაემორჩილა ვარსქენის მოთხოვნებს და მრავალწლიანი პატიმრობისა და ტანჯვის შემდეგ აღესრულა როგორც წმინდა მოწამე.

ვარსქენის მსგავსი მოღალატე დიდაზნაური სხვაც არაერთი იყო: ისინი ვერ ითმენდნენ ვახტანგ მეფის ძლიერ ხელისუფლებას, რომელიც, ისტორიკოსის თქმით, „შეყობდა როგორც ლომი შორის ცხვართა“.

ამ დროს ქართლის ეკლესიაც უკვე ფეოდალურად იყო ორგანიზებული. ეკლესია-მონასტრებს დიდი სამფლობელოები გაუჩნდათ, ძირითადად შეწირული მიწების სახით, რომლებსაც გასაგებდნენ ამ ეკლესია-მონასტრების სათავეში მდგომი საეკლესიო დიდმოხელენი: მთავარეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, მონასტრების წინამძღვრები და სხვ. ეს უმაღლესი საეკლესიო თანამდებობანი ძირითადად დიდაზნაურთა საგვარეულოების წარმომადგენლებს ეკავათ და, გასაგებია, ისინი მსხვილი ფეოდალების ინტერესების დამცველნი და გამტარებელნი იყვნენ. ირანის შაპის კარი საერთო ენის გამონახვას ცდილობდა როგორც საერო ფეოდალებთან, ისე უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებთანაც და მათ ოპოზიციანთი მეფის წინააღმდეგ აქეზებდა. ამ დროს ქართლის ეკლესიის სათავეში იდგა მ ი ქ ა ე ლ მთავარეპისკოპოსი, რომელსაც დიდი სიმდიდრე დაეგროვებინა უკანონო გზით. ისტორიკოსი მას „ვერცხლის მოყვარეს“ უწოდებს და ადარებს „ქრისტეს მეგუადრუეს“ იუდა ისკარიოტელს, რომელსაც ებარა ის ჩანთა („გუადრუეი“, ყულაბა), რომელშიც ქრისტე, თავის მოწაფეებთან ერთად, ფულს ინახავდა გლახაკთათვის დასარიგებლად, იუდა კი იპარავდა (იოანე, 12, 6; 13, 29).

საქართველოში დაბრუნებულმა მეფე ვახტანგმა უპირველეს ყოვლისა ეკლესიას მიაქცია ყურადღება და მისი საფუძველიანი რეორგანიზაცია გადაწყვიტა. მან ურჩი და უღირსი ეპისკოპოსების გადაყენება დაიწყო. ამავე დროს ვახტანგი ახალ საეპისკოპოსოებს აარსებდა და ძველებს აწვრილერთეულებდა. მას თვით მიქაელ მთავარეპისკოპოსის გადაყენებაც სურდა. ამ ამბავმა იმდენად აღაშფოთა მიქაელი, რომ წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მიაყენა მეფე ვახტანგს. როდესაც მას მეფე ვახლა და დაისარა, რათა მთხეეოდა მისი კაბის



ბოლნისის სიონი (V ს.). სვეტის თავი ლომების გამოსახულებით.

კალთას, მიქაელმა წისლი ჭერა სახეში და კბილიც კი ჩაუმტვრია. გაბრისხებულმა ვახტანგმა მიქაელი საქართველოდან გააძევა. იგი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან გაიგზავნა განსასჯელად. ამავე დროს ვახტანგმა იმპერატორსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს მოსთხოვა საქართველოს ეკლესია უშუალოდ მეფისთვის ღაქქეემდებარებინათ და ქართული ეკლესიის სათავეში ჩაეყენებინათ თვითმწყემსობის ანუ ა ვ ტ ო კ ე ფ ა ლ ი ი ს უფლებით აღჭურვილი კათალიკოსი. კონსტანტინოპოლმა დააკმაყოფილა ვახტანგის მოთხოვნები. მიქაელი მონასტერში განამწესეს, ხოლო საქართველოს კათალიკოსად გამოიგზავნა ვახტანგთან ახლო ურთიერთობაში მყოფი პ ე ტ რ ე , რომლის ხელდასხმაც ანტიოქიის პატრიარქმა განახორციელა. კონსტანტინოპოლი ასეთ დათმობაზე იმიტომ მიდიოდა, რომ ითვალისწინებდა იმ რთულ პოლიტიკურ სიტუაციას, რაც იმ დროის მახლობელ აღმოსავლეთში იყო და იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც საქართველო ასრულებდა ამიერკავკასიაში ქრისტიანობის ინტერესებისა და პოზიციების დასაცავად.

პეტრე კათალიკოსთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა მისი უახლოესი თანამშრომელი და თანამემწ ე ს ა მ ო ე ლ ი , რომელიც მცხეთის მთავარეპისკოპოსად დაჯდა და კიდევ 12 სხვა ეპისკოპოსი, რომლებიც სხვადასხვა საეპისკოპოსოებში განამწესეს. ასეთი რეორგანიზაციის შემდეგ ქართული ეკლესია მეფის უერთგულეს თანაშემწედ იქცა და მის ღონისძიებებს მტკიცედ უჭერდა მხარს. თუ მანამდე საქართველოში მხოლოდ 6-7 საეპისკოპოსო იყო, ამ რეორგანიზაციის შემდეგ აქ 20-მდე საეპისკოპოსო ჩანს, ესენია: მცხეთის, სამთავისის, რუისის, ნიქოზის, წილკნის, თბილისის, მანგლისის, ბოლნისის, ცურტავის, ჭერემის, რუსთავის, ნინოწმინდის, ხორნაბუჯის, ბოდბის, ჩელთას, აწყვერის, წუნდას, ახიზის, ერუშეთის და სხვ.

მეფის ხელისუფლების განმტკიცებასა და დიდამნაურთა გავლენის შესუსტებას ისახავდა მიზნად ვახტანგის მიერ წამოწყებული დიდი საქალაქო და საფორტიფიკაციო მშენებლობანიც. ვახტანგის დროს აშენდა, მაგალითად, ქალაქი უ ჯ ა რ მ ა მდ. იერის ხეობაში, რომელსაც დიდი ეკონომიკური და



უჯარმის ნაქალაქარის ზედა ციხის ნანგრევები. V ს.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი მდებარეობდა მთისა და ბარის ეკონომიკური რაიონების შესაყარზე და აკონტროლებდა მთასთან ურთიერთობას; ასეთივე მნიშვნელობის იყო ვახტანგის დროს გაშენებული ქალაქი ჭ ე რ ე მ ი , რომელიც ასევე კახეთში მდებარეობდა და მეფის დომენის უმნიშვნელოვანეს პუნქტად იქცა. ვახტანგმა დაიწყო დიდი მასშტა-



ჭერემი. სამეფო სასახლის კედლების ნაშთები. V ს.

ბის მშენებლობა ქალაქ თბილისში და ძველი არისტოკრატიის პოლიტიკური ცენტრის ქ. მცხეთის საპირისპიროდ დედაქალაქის აქ გადმოტანა გადაწყვეტა. აშკარაა, ეს ქალაქები შინაურ მტრებთან ბრძოლაში უნდა დასმარებოდა მეფეს, მაგრამ, ცხადია, ისინი ეასტანგს ირანელებთან ბრძოლაშიც გამოადგებოდა. ვასტანგი ამაგრებდა ძველ ციხე-სიმაგრეებსაც და ქვეყანას ამზადებდა სპარსელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

უშუალოდ აჯანყების დაწყების წინ ვასტანგმა შეუტია სპარსელთა სამსახურში ჩამდგარ და მის მოწინააღმდეგე დიდებულებს. 482 წ. მან მოიკ

ბარაბუსგს შაპისაგან ნაბრძანები ჰქონდა, რომ „ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრო, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან განედევნა“ (ლაზარ ფარპეცი). ქართლში შემოსულ ირანელთა სარდალს ბევრი აღგილობრივი დიღებული მოუვიდა. ბაბარაბუსგი ყველას დიდ წყალობას აღუთქვამდა, ვინც ირანელთა მხარეს დაიჭერდა. მეფე ვახტანგი იძულებული გახდა ეგრისში გადასულიყო.

ამასობაში ირანის შაჰი პეროზი ჰეფთალიტებთან ბრძოლაში დაიღუპა და ამ ცნობის მიღებისთანავე ბაბარაბუსგი ირანში გაბრუნდა. ირანელები იძულებულნი გახდნენ ამიერკავკასიაში დიდ დათმობებზე წასულიყვნენ. მაგალითად, მათ სომხეთის მარზპანად ვაჩან მამიკონიანი დანიშნეს, ასევე შეწყვიტეს ქრისტიანობის დევნა, ალბანეთშიც აღადგინეს აღგილობრივი მეფის ხელისუფლება. როგორც ჩანს, ვახტანგიც დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ მისი შერიგება სპარსელებთან ვერ მოხერხდა. მან მკვეთრად აიღო ორიენტაცია ბიზანტიაზე და როდესაც სპარსელებმა მოსთხოვეს ვახტანგს მონაწილეობა მიეღო ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მან უარი განუცხადა და გადაჭრით დაიჭირა ბიზანტიელთა მხარე. ამის სამაგიეროდ ირანელებმა ასალი ჯარი შემოიყვანეს ქართლში. მათ ღაარბიეს მთელი რიგი ქალაქებისა და მდ. იერის პირას, სამგორის ველზე დაიბანაკეს. განთიადისას ვახტანგი თავს დაესხა მგრის ბანაკს, მოკლა თვით შაპის ძე. თავისი სიმამაცითა და გმირული შემართებით ვახტანგი მტერს შიშის ბარს სცემდა. სადაც კი გამოჩნდებოდა, სპარსელები ატეხდნენ ყვირილს „ერიღეთ გორგასარსო“ (გორგასარი სპარსულად მგლის თავს ნიშნავს. ვახტანგი ატარებდა მუბარადს, რომელზეც მგლის თავი იყო გამოსახული. ამიტომ შეარქვეს მას გორგასალი) და თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. მეფე თავისი მაგალითით ქართველ მეომრებს ამხნევებდა და გამარჯვების რწმენას უნერგავდა. გადმოცემით, ვახტანგი შინაგამცემლობით მოკლეს. მოღალატე დიდგზნაურებს მოუსყიდიათ მეფის ყოფილი მონა, რომელსაც სცოდნია, რომ ვახტანგს ჯაჭვის პერანგი იღლიის ქვეშ გარღვეული ჰქონდა. როდესაც ბრძოლის დროს მეფემ შემართა სმლიანი ხელი, მონაყოყილმა მას ისარი სგყორცნა და სასიკვდილოდ დაჭრა. ვახტანგი თანამებრძოლებმა ბრძოლის ველს გააცილეს და მის მიერ აგებულ უჯარმის ციხეში შეაფარეს, სადაც გმირი მეფე ჭრილობისაგან გარდაიცვალა. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული ვახტანგ გორგასალი მცხეთაში, მის მიერ აგებულ სვეტიცხოველის ტაძარში დიდი პატივით დაკრძალეს. საფლავის ქვაზე მისი სიმაღლის სატი იყო გამოსახული. საქართველოს სამეფო საჭურჭლეში დიდხანს ინახებოდა მისი იარაღ-საჭურველი, ხოლო საქართველოს დროშას, რომელიც ქართველთა ლაშქარს ბრძოლებში მიუძღოდა, „გორგასლიანი“ ეწოდებოდა.

როგორც აღნიშნული იყო, ვახტანგ გორგასალი ცნობილია დიდი აღმშენებლობითი მოღვაწეობითაც. მის დროს საქართველოში არაერთი ქალაქი, ციხესიმაგრე თუ ეკლესია-მონასტერი აშენდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი თბილისის გაშენებისა და მისი დედაქალაქად გადაქცევაში. ამასთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა შესანიშნავი ლეგენდა შექმნა: ერთხელ მეფე ვახტანგი თბილისის მიდამოებში ნადირობდა. იქ მაშინ ჯერ კიდევ



თბილისი. V საუკუნის ქალაქის სქემატური რეკონსტრუქცია.

უსიერი ტყე იყო. უცებ ბუჩქიდან ულამაზესი მამალი ხოსობი აფრინდა. მეფემ მას თავისი სანადიროდ გაწრთვნილი ქორი დაადევნა. მალე ხოსობიცა და ქორიც ხეების უკან გაუჩინარდნენ. დიდი ძებნის შემდეგ ნახეს, რომ ორივე ფრინველი წყალში ჩავარდნილიყო. წყალი ცხელი იყო და მიწიდან ამოდიოდა. მეფეს მოეწონა ეს ადგილი, ბუნებრივი ცხელი წყალი და ბრძანა, აქ ქალაქის გამენება. მართლაც, თბილისის ტერიტორიაზე ბევრია ეგზირდოვანი ცხელი წყალი, რომელიც მოსახლეობის მიერ ადრევე გამოიყენებოდა საბანაოდ და სამკურნალოდ. თბილი წყლის გამო ქალაქს თბილისი ეწოდა. ვახტანგის ანდერძით, ქალაქის მშენებლობა მისმა მემკვიდრემ დაჩიმ დაასრულა და დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანა.

მეფობის გაუქმება ქართლში. ქართლი VI საუკუნეში

ვასტანგის დაღუპვის შემდეგ მემკვიდრეები - დ ა ჩ ი და გ უ რ გ ე ნ ი განაგრძობდნენ მის პოლიტიკურ კურსს: საქართველოს ტრადიციულ ორიენტაციას ბიზანტიაზე და ირანის აგრესიის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას. მაგრამ შეცვლილი საგარეო და საშინაო ვითარება უაღრესად აძნელებდა ამ პოლიტიკის განხორციელებას.

VI საუკუნის დასაწყისისათვის ბიზანტიის იმპერიამ და სასანიდურმა ირანმა თავი დააღწიეს მწვავე სოციალურ რყევებს, მოიგერიეს ველური ტომების შემოტევები და ახალი ძალით განაახლეს ერთმანეთს შორის ომი. ომის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კვლავ ამიერკავკასიის დაუფლება იყო. ორივე მხარე ცდილობდა დაკავშირებოდა გაძლიერებულ ფეოდალებს და ამ გზით მიეღწიათ თავიანთი მიზნისათვის. ამ მხრივ უფრო მეტი წარმატებები ირანს ჰქონდა. როგორც ცნობილია, სომხეთში მეფობის გაუქმება ირანელებმა სწორედ ად-

ყილობრიეი ნახარარეების დახმარებით შეძლეს. 510 წელს ასევე საბოლოოდ გააუქმეს მეფობა ალბანეთში. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ადგილობრიეი სამეფო ხელისუფლება, საქართველო იყო. ირანმაც მთელი თავისი ძალები ქართლისა და ეგრისის საბოლოო ლაუფლებისაკენ მიმართა.

506 წელს დადებული ზავით ბიზანტია ირანის მიმართ მთელ რიგ დათმობებზე წავიდა. ამით გათამამებულმა ირანის შაჰმა უფრო მეტად გააძლიერა დაწოლა ქართლის სამეფოზე. ირანელებმა გაიხსენეს თავიანთი ძველი პოლიტიკა და ქართლში მაზდეანობის ძალად დანერგვა მოინდომეს. როგორც ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი გადმოგვცემს, 523 წელს ირანის შაჰმა კავადი I-მა (488-531) ქართლის მეფე გურგენს შემოუთვალა, რომ მიცვალებულები ქრისტიანულად მიწაში კი არ დაემარხათ, არამედ ზოროასტრული წესით მგაცებელი ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეგლოთ. გურგენ მეფე არ აპირებდა ამ ბრძანების შესრულებას და შაჰისადმი დამორჩილებას, მაგრამ მარტო თავისი ძალებით ირანის გამკლავება არ შეეძლო, მით უმეტეს, რომ ბევრი დიდაზნაური აშკარად ირანისაკენ იხრებოდა. ამიტომ სან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა იუსტინე კეისართან (518-527). ბიზანტიის იმპერატორმა ქართლის მეფეს დახმარება აღუთქვა, მაგრამ როცა ირანელთა ლაშქარი ქართლში შემოიჭრა, ბიზანტიელებმა მხოლოდ მცირერიცხოვანი რაზმი მიაშველეს. მეფე გურგენს სხვა არაფერი დარჩენოდა, რომ თავისი ოჯახითა და მომხრე დიდებულებით ეგრისისთვის შეეფარებინა თავი. გაქცეულ ქართლის მეფეს ირანელები დაედევნენ და ქართლის საზღვართან მდებარე ეგრისის 2 ციხე - სკანდა და შორაპანი ხელში ჩაიგდეს, უფრო წინ წაწევა ამათ ამჯერად ვერ შეძლეს. ქართლი კი მტკიცედ დაიკავეს.

როგორც პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, ამის შემდეგ ირანის შაჰი ქართველებს ნებას აღარ აძლევდა, საკუთარი მეფე ჰყოლოდათ. ირანელებმა ქვეყანა თავისთვის დაიჭირეს და იგი ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად აქციეს. კავკასიის ქვეყნები მათ გააერთიანეს ჩრდილოეთის კუსტაკში, რომლის სათავეშიც საგანგებო დიდმოხელე - სპასპეტი ჩააყენეს. ცალკეულ ქვეყნებს ანუ შაჰრებს კი მარზპანები განაგებდნენ. ამის შემდეგ ქართლის სათავეშიც იდგა ასეთი მარზპანი, რომელსაც დიდი ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებები ჰქონდა. ქართლის მნიშვნელოვან ქალაქებში ირანელთა ჯარები ჩააყენეს და ეს ქალაქები ირანელ ციხისთავებს დაუმორჩილეს. ირანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კავკასიონის გადმოსასვლელებს. მათი დაცვა და გამაგრება თავიანთ ხელში აიღეს და იქ ახალი ციხესიმაგრეები ააშენეს. ამით ირანელებმა ქართველებს ჩრდილო კავკასიის ვრცელ ველებში მომთაბარე ტომებთან დაკავშირების და მათგან დახმარების მიღების საშუალება მოუსპეს.

ქართლში ირანის ბატონობის უზრუნველსაყოფად მარტო სამხედრო ძალა საკმარისი არ იყო. ამიტომ შაჰის კარი სოციალური დემაგოგიის პოლიტიკას განაგრძობდა. როგორც აღნიშნული იყო, ქართლის სამეფო ხელისუფლებასა

და დიდაზნაურებს შორის დაპირისპირების ძირითადი მიზეზი იყო ამ უკანასკნელთა მისწრაფება, უმაღლესი საშოსელეო თანამდებობანი, მაგალითად, ერისთავობა, სელშეუვალად ჰქონოდათ და მემკვიდრეობითად ექციათ. ირანელებმა ქართლის ერისთავებს ასეთი უფლება მიანიჭეს და სათანადო სიყვარულებით დაუმტკიცეს კიდეც. მათ, აგრეთვე, შეცვალეს დამოკიდებულება ქართული ეკლესიისადმი. ირანელთა სელშეწყობითა და მსარდაჭერით ქართულ ეკლესიაში გაძლიერდა ბიზანტიური ორთოდოქსალური (დიოფიზიტურ-ქალკედონიტური) მრწამსის საწინააღმდეგო (მონოფიზიტურ-ანტიქალკედონიტური) მიმდინარეობა. ამის შემდეგ მათ არა მარტო შეწყვიტეს ქრისტიანობის დევნა, არამედ საქართველოს ეკლესია-მონასტრებს ფართო უფლებები და შეღავათები მიანიჭეს. ასეთი გზით ირანელებმა მოიმაღლიერეს ქართლის გავლენიანი წრეები და ქართველი დიდაზნაურებისა და ქართული ეკლესიის ლოიალობას მიაღწიეს. ქართლის მოსახლეობის ფართო ფენებს კი დიდი სარკი და სამხედრო ბეგარა მძიმე ტვირთად აწვებოდა.

VI საუკუნეში დაწერილი ქართული პაგიოგრაფიული თხზულებიდან („ევსტათი მცხეთელის წამება") კარგად ჩანს, რომ ქართლის მარზპანი ქვეყნის მმართველობას ახორციელებდა ქართლის დიდაზნაურებისა და უმაღლესი საეკლესიო წრეების დახმარებით. სპარსელების სამსახურში დგანან, მაგალითად, ქარლლის პიტიახში, ქართლის მამასახლისი, ქართლის ერისთავი და თვით ქათლის კათალიკოსიც კი. მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ირანელთა ბატონობით უაღრესად შეეწროებული იყო და აქ დამპყრობთა წინააღმდეგ აჯანყების ცეცხლი არასოდეს დამცხრალა.

დიდი ომიანობა ეგრისში

V ს-ის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველო ქართლისა და, მისი მემეკვეობით, ირანის ქვეშევრდომობაში იყო მოქცეული. ბიზანტია ცდას არ აკლებდა დასავლეთ საქართველოზე თავისი ბატონობა აღედგინა, მაგრამ მან მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ლაზიკის მეფე გუბაზ I მეფობიდან გადამდგარიყო და ტახტი თავისი შვილისთვის დაეთმო. ეს გუბაზი 465 წელს დემონსტრაციულად სპარსულად ჩაცმული და, მიდიელთა წესისამებრ, მცველთა რაზმის თანხლებით კონსტანტინოპოლში ჩავიდა. მართალია, გუბაზი იქ საყვედურებით აავსეს, მაგრამ მან თავისი მჭევრმეტყველებით მოხიბლა კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარი. მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალი ირანს გადაუდგა და ბიზანტიაზე აიღო ორიენტაცია, ბიზანტიელებს იმედი მიეცათ, რომ საქართველოზე აღადგენდნენ თავიანთ გავლენას, მაგრამ ვახტანგის დაღუპვის, განსაკუთრებით კი ირანთან 506 წელს დადებული ზავის შემდეგ, ირანმა კვლავ შეინარჩუნა თავისი პოლიტიკური გავლენა მთელ საქართველოზე. VI ს-ის ბიზანტიელი ქრონოგრაფის იოანე მალალას ცნობით, ლაზთა მეფე წათე I სპარსეთის შაპის კავადის მოთხოვნით წარმართობაზე გადავიდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ლაზიკა კვლავ ირანის ქვეშევრდომი ხდებოდა. ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ქართლის მეფე გურგენის აჯან-

ყების წელსვე (523 წ.) წათე ჩავიდა კონსტანტინოპოლში და ქრისტიანობა მიიღო. ამავე დროს ცოლად შეირთო იქაური სეფე ქალი და სამეფო ნიშნებით აღიჭურვა. ამით მან საჯაროდ უარყო თავისი დამოკიდებულება ირანზე და კელაე ბიზანტიის მოკავშირედ თუ ქვეშევრდომად აღიარა თავი.

ამასობაში ბიზანტია თანდათან წელში გაიმართა. საიმპერატორო კარმა შეძლო მიეღწია ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის. ბარბაროს ტომთა დამპყრობლურმა ტალღამ დასავლეთით ვადაინაცვლა. ეკონომიკურმა აღმავლობამ, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ იმპერატორ ანასტასის (491-518) დროს, ბევრად განაპირობა იმპერიის ის არაჩვეულებრივი საგარეო და საშინაო პოლიტიკური წარმატებები და ბრწყინვალება, რასაც ადგილი ჰქონდა იუსტინიანეს იმპერატორობის პერიოდში (527-565).

იუსტინიანეს დროს ბიზანტია ხანგრძლივი ბრძოლებით დაეუფლა დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიის დიდ ნაწილს: ვესტგუთებიდან დაიბრუნა სამხრეთ-დასავლეთი ესპანეთი, ოსტგუთებისაგან - იტალია, ვანდალებისაგან - ჩრდილოეთ აფრიკა და მცირე ხნით თითქმის აღადგინა რომის იმპერიის ძველი პოლიტიკური საზღვრები ჰერკულესის სვეტებიდან (პიბრალტარიდან) ლაზიკამდე. ევროპა აღმოსავლეთში, სასანიდური ირანთან ომებისას, მისი წარმატებანი უფრო მოკრძალებული იყო.

იუსტინიანეს გამეფების წელსვე ბიზანტიამ დაიწყო პირველი ომი ირანთან, რომელიც დამთავრდა 532 წლის ე. წ. „უვადო ზავით", ე. ი. მუდმივი, საუკუნო მშვიდობის ჩამოგდებით. საზავო მოლაპარაკების დროს მწვავედ იდგა ირანელთა მიერ დაკავებული სკანდისა და შორაპნის ციხეების საკითხი. ბოლოს და ბოლოს მხარეები მაინც იმაზე შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს ომში დაპყრობილი ადგილები გაუცვალეს და ირანელები იძულებულნი გახდნენ, ეგრისის დასახლებული ციხეები დაეცალათ. ამრიგად, ამ ზავის ძალით, დასავლეთ საქართველო მთლიანად ბიზანტიელთა სუვერენიტეტის ქვეშ გადავიდა, ხოლო კონსტანტინოპოლმა აღიარა ირანის ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოზე.

„უვადო ზავის" დადების შემდეგ ბიზანტიელებმა თავიანთი გარნიზონები შემოიყვანეს დასავლეთ საქართველოში, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვიეს. ქვეყნის სამხრეთ საზღვარზე, სადაც ზავი ზღვის სანაპიროთი გზა შემოდიოდა ეგრისში, იუსტინიანეს ბრძანებით, აშენებულ იქნა ციხე-ქალაქი, რომლის შიდა ციხე აგებული იყო მაღალ კლდეზე და სახელად ეწოდა პეტრა (πέτρα ბერძნულად კლდეს ნიშნავს). აქ იუსტინიანემ ჩააყენა მთავარი გარნიზონი. აქვე იჯდა ეგრისში განლაგებული ბიზანტიელთა ჯარების სარდალი - სტრატეგოსი. მასვე ევალებოდა თვალყური ედევნებინა ეგრისის მეფის მოქმედებისათვის.

ბიზანტიელი მოხელენი ცნობილნი იყვნენ თავიანთი სიხარბით, მომსვეჭველობითა და თაღლითობით. უცსო ქვეყნების მოსახლეობას ხომ ისინი დაუნდობლად ძარცვავდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოუჩენია ეგრისში ჩაყენებული ბიზანტიელთა ჯარის სარდალსა და იმპერატორის წარმომადგენელს, სტრატეგოს იოანე ციბეს. ამ ბიზანტიელ დიდმოხელეს, ეგრი-

სის მოსახლეობისაგან ფულის გამოძალვის მიზნით, საკაჭრო მოსოპოლია დაუწესებია. მისი ნებართვის გარეშე ეგრისელებს არც რაიმის შემოგანის უფლება ჰქონდათ და არც რაიმე საქონლის უცხოეთში გაგანისა. მათმე ფასს თვითონ იოანე ციბე აწესებდა და თან ეგრისელებს აიძულებდა, შეეძინათ ის საგნები, რაც მათ სულ არ სჭირდებოდათ. ასეთი გზით იგი თავისთვის დიდ ფულს იხეკდა.

ეგრისის ეკონომიკაში ვაჭრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ საკმაოდ გაცხოველებული საკაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ შავი ზღვის სანაპირზე მდებარე ქვეყნებთან - პონტოსა და ყირიმთან და, რა თქმა უნდა, თვითონ ბიზანტიასთან; ასევე მეზობელ ქართლთან, მისი მეშვეობით ირანთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან. ეგრისში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ უცხოური საქონელი: ძვირფასი ქსოვილები, იარაღი, ჭურჭელი, ზოგიერთი პროდუქტი, განსაკუთრებით, მარილი. ეგრისიდან გაქონდათ სხვადასხვა ნელეული, ტყავეულობა, ბეწვეული, ხე-ტყე, გაჰყავდათ მონებიც, ძირითადად ჩრდილო კავკასიელი ტყვეები. ზოგიერთი ადგილობრივი მთავარი, მაგალითად, აბაზგიისა, საკუთარი ქვეშევრდომების გაყიდვასაც არ თაკილობდა. ვაჭრობას უმთავრესად თვითონ ეგრისის მეფე და წარჩინებულები ეწეოდნენ, ამიტომ ციბეს მიერ შემოღებულმა საკაჭრო მონოპოლიამ შეაკავწროვა ეგრისის მეფე და დიდებულები. ბიზანტიელები თავიანთი აღვირახსნილი თვითნებობითაც დიდად აწუხებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ეგრისის მეფეს დამოუკიდებელი მოქმედების თითქმის ყოველგვარი საშუალება წართმეული ჰქონდა. ეს მეტად შეურაცხყოფდა ამაყ ეგრისელებს და მათ ბიზანტიელთა წინააღმდეგ განაწყობდა.

ამ დროს ეგრისის მეფე იყო გ უ ბ ა ზ II, რომელმაც გადაწყვიტა ეგრისიდან ბიზანტიელთა გასაძევებლად ირანელები გამოეყენებინა და ირანის შაქს ხ ო ს რ ო I ა ნ უ შ ი რ ვ ა ნ ს (531-579) ფარულად ელჩები გაუგზავნა. ეგრისის წარმომადგენლებმა ხოსროს აღუთქვეს, რომ თუ იგი დაეხმარებოდა ეგრისელებს ბიზანტიელების წინააღმდეგ ომში, ირანელებს მიეცემოდათ თავისუფალი გასასვლელი შავ ზღვაზე და ამით ისინი ბიზანტიელებს და მათ დედაქალაქს ზღვიდანაც დაემუქრებოდნენ. ეგრისის ტერიტორიით შესაძლებელი იქნებოდა ბიზანტიისათვის იმიერკავკასიელი მეომარი ტომებიც მიესიათ. ელჩები შეახსენებდნენ ირანის შაქს, რომ „ლაზების ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა". ამას გარდა, გუბაზის წარმომადგენელთა თქმით, ირანის შაჰი ეგრისთან დამეგობრებით - სპარსელების ძალას გაბრლიდა უძველესი სახელმწიფოთი (ე. ი. ეგრისით) და მისი საშუალებით განდიდდება თქვენი ხელმწიფის ღირსებაცო.

ირანის შაჰი ხოსრო I კმაყოფილებით შესვლა ეგრისელთა წინადადებას. ეგრისთან დაკავშირება და მით უმეტეს, მისი დაუფლება, ირანს დიდ სარგებელს მოუტანდა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ასეთ შემთხვევაში იბერიაც სავსებით მორჩილი გახდებოდა, რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი, განდგომის შემთხვევაში, თავს გადაირჩენდნენ.

542 წელს ხოსრო ანუშირვანი ჯარით ქართლიდან ეგრისში გადავიდა. სპარსელებს თვითონ ლაზები მეგზურობდნენ. შუა კოლხეთში ირანის შაქს გუბაზ

მეფეც შესვლა ეგრისელთა ჯარით. სპარსელ-ეგრისელთა გაერთიანებულმა ძალებმა პირველი იერიში ციხე-ქალაქ პეტრაზე მიიტანეს. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ პეტრა აიღეს და შიგ სპარსელთა გარნიზონი ჩაყენა. ამ ბრძოლაში დაიღუპა თვით ბიზანტიელთა სტრატეგოსი, ეგრისელთათვის აგრე საძულველი, იოანე ციბე. ირანელებმა დაიკავეს სხვა ციხეებიც, მაგრამ მოვიდა ცნობა, რომ ბიზანტიელთა სარდალი ველიზარი ირანში შეჭრილიყო. ხოსრო I იძულებული გახდა სასწრაფოდ უკან გაბრუნებულიყო. 545 წ. ირანსა და ბიზანტიას შორის დადო ზაავი 5 წლით. ეს შესვენება სულის მოსათქმელად, უპირველესად, ბიზანტიას სჭირდებოდა, ამიტომ იუსტინიანემ, მშვიდობის ჩამოგდების სამაგიეროდ, 2.000 ლიბრი ოქრო გადაუხადა ირანის შაჰს.

ეს ზაავი ხოსრო ანუშირვანმა იმისთვის გამოიყენა, რომ საბოლოოდ დამკვიდრებულიყო დასავლეთ საქართველოში. მისი მიზანი იყო, ძალიანად აეყარა ეგრისის მოსახლეობა და იქ ირანელები და მისი ერთგული სხვა ტომები დაესახლებინა. ამისთვის აუცილებელი იყო, გუბაზ მეფის თავიდან მოცილება. ეს საქმე მან თავის სარდალს დააკალა, სარდალმა კი, თავის მხრივ, ერთი წარჩინებული ლაზის გამოყენება სცადა, რომელსაც მეფე გუბაზთან დიდი მტრობა ჰქონდა. მაგრამ ამ ლაზმა დიდკაცმა, ფარსანსმა, როდესაც სპარსელების ვერაგული განზრახვა გაიგო, დაივიწყა პირადი მტრობა, სამშობლოს ინტერესი თავის პირად ამბიციებზე მაღლა დააყენა და ყველაფერი მეფე გუბაზს შეატყობინა. ამის შემდეგ ეგრისელთა ირანის მხარეზე დარჩენა უკვე შეუძლებელი იყო, ამიტომ მეფე გუბაზმა ისევ იუსტინიანე კეისარს მიმართა, მოინანია თავისი წინანდელი საქციელი და ბიზანტიას ისევ მოკავშირეობა შესთავაზა. საქმის ასეთი შემობრუნებით იუსტინიანე დიდად კმაყოფილი დარჩა და ბრძანება გასცა, ეგრისში ახალი ჯარები გაეგზავნათ. 549 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის ეგრისისათვის ომი ახალი ძალით გაჩაღდა. ამჯერად წარმატება უკვე ბიზანტიელების მხარეს იყო, რადგან მათ მხარს უჭერდნენ და მათთან ერთად იბრძოდნენ ეგრისელები.

550 წელს ხოსრო ანუშირვანმა ეგრისში ახალი დიდი ჯარი გამოგზავნა, მაგრამ ეგრისელთა და ბიზანტიელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ირანელები სასტიკად დაამარცხა. ბრძოლაში მოკლეს ირანელთა სარდალი და ათასობით მეომარი, სხვებმა კი გაქცევით უშველეს თავს. მოკავშირეებმა სპარსელთა მთელი ბანაკი ჩაიგდეს ხელთ. ამის შემდეგ სპარსელების ჯარი მხოლოდ პეტრაში იყო დარჩენილი. ეგრისელები მოითხოვდნენ, რომ ციხისთვის დაუყოვნებლივ შეეტიათ, მაგრამ ბიზანტიელთა სარდალი დაგისთე ამაზე არ თანხმდებოდა. ეგრისელთა მოთხოვნით, იმპერატორმა დაგისთე კონსტანტინოპოლში გაიწვია და იქ ცისეში ჩააგდო, სოლო ეგრისში ახალი სარდალი ბ ე ს ს ა გამოგზავნა.

ამასობაში მდგომარეობა გართულდა აბაზგიაში. ჯერ კიდევ V საუკუნიდან აბაზგია უშუალოდ ბიზანტიის სამფლობელოდ ითვლებოდა. ბიზანტიელები ცდას არ აკლებდნენ მის საბოლოოდ დასაუფლებლად, მაგრამ მათი მოხელეების ძალადობით ადგილობრივი მოსახლეობა იმდენად იყო შეწუხებული, რომ აჯანყებას აპირებდა და ირანელებთან ცდილობდა დაკავშირებას. იმპე-

რატორის ბრძანებით, ბიზანტიელთა სარდალი ბესსა აბაშგიაში შეიჭრა და ბრძოლით აიღო ტ რ ა ქ ე ა ს ციხე (ახლანდელი გაგრა). ბიზანტიელებმა ხელთ იგდეს აღგილობრივ მთავართა ცოლები და შვილები, ციხის გალავანი კი მიწასთან გაასწორეს და მთელი მიწა-წყალი უდაბნოდ აქციეს. სპარსელები ცდილობდნენ, აბაზგიის მეზობელ აფშილეთში გამაგრებულიყვნენ. მათ წებელდას ციხეც კი ჩაიგდეს ხელთ, მაგრამ ირანელი სარდლის უღირსმა საქციელმა (მან შეურაცხყოფა მიაყენა ციხისთავის ცოლს) აფშილები მათ წინააღმდეგ აიჯანყა და აქ შემოსული სპარსელები პირწმინდად ამოჟლიტეს. ბიზანტიელთა ჯარი აფშილეთში შევიდა და იგი კელავე მეფე გუბაზს დაუმორჩილა.

551 წელს სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ბიზანტიელებმა აიღეს პეტრას ციხესიმაგრე და იგი საძირკველამდე დაანგრიეს. ამის საპასუხოდ ირანელებმა ალყა შემოარტყეს ეგრისის დედაქალაქ ციხე-ჯოჯს ანუ არქეოპოლისს, მაგრამ ქალაქში მყოფმა ბიზანტიელთა ჯარმა ისინი სასტიკად დაამარცხა. სპარსელებმა ამ ბრძოლაში 4000 ჯარისკაცი და 3 სარდალი დაკარგეს.

სპარსელები ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ, რასაც, ბუნებრივია, ქვეყნის აოხრება და განადგურება მოსდევდა. ბიზანტიელთა სარდლები უაღრესად უნიათოდ მოქმედებდნენ, ისინი უფრო ნადავლის შოვნასა და გამდიდრებაზე ფიქრობდნენ, ვიდრე ომის საბოლოო გამარჯვებით დამთავრებაზე. 552 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის ისევ დიდო ღროებითი ზავი, რომლის პირობითაც ბიზანტიელებს კვლავ ფულადი სუბსიდია უნდა გადაესადათ ირანელთათვის.

გუბაზ მეფე ბიზანტიელთა ასეთ წარუმატებლობას მათი სარდლების უნიჭობასა და ანგარებას აბრალებდა და ამ ამბავს იმპერატორს ატყობინებდა. ეს არაფრად მოეწონათ თავგასულ სარდლებს და გადაწყვიტეს, მეფე გუბაზი თავიდან მოეშორებინათ. მათ თავისთან მიიწვიეს ქართველი მეფე, თითქოსდა ონოგურისის ციხის აღებასთან დაკავშირებით სათათბიროდ და ვერაგულად მოკლეს (554 წ.). ამის შემდეგ ბიზანტიელები ონოგურისის ასაღებად გაემართნენ, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ.

მეფე გუბაზის ვერაგულმა მკელელობამ მთელი ლაზიკა აღაშფოთა. ხალხი განრისხებული იყო ბიზანტიელ სარდლებზე. ეგრისელი დიდებულები შეიყარნენ ამ საქვეყნო საქმეზე მოსალაპარაკებლად. შეკრებაზე ორი აზრი გამოიკვეთა. ერთს დაჟინებით იცავდა კოლხი დიდებული აიეტი, რომელიც რომაელთა ძველი მტერი და სპარსელების მომხრე იყო. მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ჩაწერილი აქვს ისტორიკოს აგათიას. „გაქრა კოლხების ძველი ღირსება, - ამბობდა აიეტი, - და ღღეიდან უკვე ჩვენ სხვებზე ვეღარ ვიბატონებთ... მე ვინატრიდი, რომ კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი წინანდელი ძლიერება, რომ მას არ სჭირდებოდეს უცხოელების დახმარება გარედან, რომ როგორც ომის, ისე მშვიდობის ღროს იგი მსოლიდ თავისთავს ეყრდნობოდეს, მაგრამ როცა ჩვენ ჟამთა ვითარების გამო ან ბედის უკუღმართობის წყალობით ანდა ორივე მიზეზით ისე დავუძლურდით, რომ სსვისი ხელქვეითი გავხდით, ისევ სჯობია იმის ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილმსურველია, ვინც დაურღვევლად იცავს კეთილ განწყობას თავისიანებთან და მოკავშირეებთან“-ო. აიეტმა ეგრისელებს მოუწოდა შურისძიებისა და მეფე გუ-

ბაბის სისხლის აღებისაკენ. აიეტის ბრწყინვალე ორატორულმა გამოსვლამ ისე აანთო შეკრებილნი, რომ ერთსმად იგრიალეს, სპარსელებს მიეემხროთო. მაგრამ მოწინააღმდეგე პარტიის მეთაურმა, ფ ა რ ტ ა ძ ე მ , რომელსაც დიდი პატივისცემა და გაელენა ჰქონდა კოლხეთში მოსვეჭილი, არანაკლებ ბრწყინვალე გამოსვლით შეაჩერა სალხი და დაუსაბუთა ასეთი მოქმედების უგუნურობა. თვითონ მეფე გუბაზიც რომ აქ იყოს, ისიც არ მოგვეწონებდა ასეთ მოქმედებას, - აღნიშნავდა ორატორი. „სასოწარკვეთილებასა და გრძნობათა ღელვას კი არ უნდა აეყვეთ და მონებივით კი არ უნდა გავიქცეთ, არამედ უნდა გავიმსჭვალოთ კოლხის თავისუფლების შეგნებით, ეაკეკაცურად უნდა გადავიტანოთ უბედურება და არ ჩავიდინოთ არაფერი ულირსი და მამაპაპური წესის შემბღალველი“. ფარტაძე საბს უსვამდა, რომ გუბაზის მოკელა აქაური სტრატეგოსების საქმეა და კეისარი აქ არაფერ შუაშიაო. შეეატყობინოთ კეისარს, რაც მოხდა და ენახოთ, რა პასუხს მოგვცემს. რომაელები მაინც უფრო მისაღები არიან, რადგან სპარსელები ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან, რომ ჩვენ სხვადასხვა სარწმუნოება გვაქვსო.

საბოლოოდ, ფარტაძის აზრმა გაიმარჯვა. იუსტინიანესთან გაიგზავნა ლაზ დიდებულთა დელეგაცია. რომელმაც ბიზანტიის იმპერატორს მკვლელების ღასჯა მოსთხოვა, ამავე დროს ეგრისის მეფედ გუბაზის უმცროსი ძმის წათეს ღამტკიცება ითხოვეს. წათე ამ დროს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. იუსტინიანემ ეგრისელთა ყველა მოთხოვნა შეასრულა. წათე II ეგრისის მეფედ დაამტკიცეს, მეფობის ყველა ნიშნით აღჭურვეს და სამშობლოში გამოისტუმრეს. მასვე მოაყვებოდა თავისი პატიოსნებით ცნობილი სენატორი ათანასე, რომელსაც გუბაზის მკვლელობის ამბავი უნდა გამოეძიებინა და დამნაშავენი დასჯა.

წათე II-ს საზეიმო შესვედრა მოუწყეს ეგრისში. გუბაზის მკვლელი სარდლები დაუყოვნებლივ დააპატიმრეს, შემდეგ საჯაროდ გაასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. ლაზებთან ერთად ბიზანტიელებმა არაერთსეულ დაამარცხეს სპარსელები, ბოლოს და ბოლოს აიძულეს სოსრო ანუშირვანი, საბოლოოდ დათმო ეგრისი და 562 წელს ქ. დარაში ბიზანტიელებთან ზავი დაადო 50 წლით. ირანი ხელს იღებდა ეგრისზე და ბიზანტიის კეისარს უიმედოდ. სადავოდ რჩებოდა მხოლოდ სვანეთის საკითხი, მაგრამ უფრო გვიან ეს დაეაც ბიზანტიის სასარგებლოდ გადაწყდა.

ქართლის გათავისუფლება ირანელთა ბატონობისაგან და ერისმთავრის ხელისუფლების დაწესება

მას შემდეგ, რაც ირანელები ეგრისში დამარცხდნენ, მათ წინააღმდეგ ბრძოლა ქართლშიც გააქტიურდა. თუკი თავდაპირველად ქართლის დიდაზნაურები დაკავშირებული იყვნენ დამპყრობლებთან, ახლა, როდესაც ქვეყანაში ფართოდ გაიშალა სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ისინი განზე ვერ დარჩებოდნენ და მალე ამ მოძრაობის სათავეშიც კი მოექცნენ.

ეროვნული ხელისუფლების აღდგენის იდეა ქართლის მოსახლეობაში მუდამ ცოცხლობდა, რაც უცხოელ დამკვირვებლებსაც კარგად შეუნიშნავთ. პროკოპი კესარიელი აღნიშნავდა, რომ „იბერები ნებაყოფლობით არ ემორჩილებიან სპარსელებს... ცხადია, რომ იბერებს ილაჯი გაწყვეტილი აქვთ და ისინი აპირებენ აჯანყებას უახლოეს მომავალში, თუ მოსერხებულ დროს შეურჩევენ". ასეთი დროც მალე დადგა. 571 წელს ირანის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო მეგობელ სომხეთში. 572 წელს ქართველები აღგილობრივი ერისთავის გ უ რ გ ე ნ ი ს (თუ გვარამის) მეთაურობით მიეშველნენ სომხებს. აჯანყების თავკაცებს კარგად ესმოდათ, რომ მარტო მათი საკუთარი ძალებით ირანელებს საბოლოოდ ვერ დაამარცხებდნენ, ამიტომ მაშინვე მიმართეს იმპერატორ იუსტინე II-ეს (565-578) დახმარების თხოვნით. კეისარი აჯანყებულთა თხოვნას კმაყოფილებით შეხვდა და დახმარება აღუთქვა. მართლაც, ბიზანტიელთა თანადგომით, აჯანყება დიდ სახალხო მოძრაობად გადაიქცა და ამიერკავკასიის ხალხებისთვის წარმატებით განვითარდა. ქართლი თანდათან გათავისუფლდა სპარსელთა ბატონობისაგან. აღგილობრივი ერისთავები, თავიანთი შეხედულებითა და წესით, ქვეყნის მართვა-გამგეობის მოწყობას შეუდგნენ. ძველებური მეფობის აღდგენა მათ აღარ სურდათ. ამიტომ ერისთავებმა და დიდაზნაურებმა ქართლის უმაღლეს ხელისუფლად - ე რ ი ს მ თ ა ვ რ ა დ , აირჩიეს ამ აჯანყებაში მათი მეთაური, ქართლის ძველი სამეფო გვარის შთამომავალი, გ უ რ გ ე ნ ი . ეს აქტი ბიზანტიის იმპერატორმაც ცნო და გურგენ ერისმთავარს თავისი საკარისკაცო ტიტული, კურაპალატობა მიანიჭა. თავის მხრივ, ქართლის ერისთავებმა მტკიცე დაპირება მიიღეს, რომ ეს ახალი მმართველი არ წაართმევდა მათ საერისთავოების მემკვიდრეობით მართვის უფლებას. ეს პირობა იმპერატორმაც დაამტკიცა. ამრიგად, ასლად გაჩენილი ერისმთავრის ხელისუფლება იყო სამართალმემკვიდრე ქართლის მეფის გაუქმებული ხელისუფლებისა, მაგრამ ეს არ იყო ძველი, შეუზღუდველი უფლებების მქონე სუვერენი, იყო მხოლოდ ერისთავთა მეთაური, რომელიც მათ ხელისუფლებას საერისთავოებში არ შეზღუდავდა. მემატიანეს შენიშვნით, ერისმთავრებმა მეფის სახელის მიღება ვერ იკადრეს (ანუ ვერ შეძლეს), რადგან ამის უფლებას არ აძლევდნენ არც ბიზანტიელები, არც ირანელები და არც საკუთარი ერისთავები. ქართლის დიდაზნაურებს ისეთი ხელისუფალი აწყობდათ, რომელიც მათ შორის მხოლოდ პირველი იქნებოდა და არა შეუზღუდველი მონარქი, ისინი ერისმთავრის მხოლოდ „მორჩილნი" იყვნენ. ამ ვითარებას ლაკონიურად გადმოგვცემს მემატიანე: ქართლის პირველივე ერისმთავარმა გურგენმა (თუ გუარამმა) „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვიდრობისათვის საერისთავოთა მათთა, არამედ იყვნეს მორჩილებასა გურამ კურაპალატისასა".

ირანელები ქართლსა და სომხეთს ადვილად ვერ თმობდნენ. ბრძოლები გრძელდებოდა მთელი 70-80-იანი წლების მანძილზე. ბიზანტიას ამ ომის წარმოება ძალიან უჭირდა და იძულებული გახდა, ქართლი კვლავ ირანისთვის დაეთმო. თავის მხრივ, შაპის კარიც გარკვეულ დათმობებზე წავიდა და, ქარ-

1 2 3

ქარიოელ-სასანური დრაპები. VI ს. პირველზე ამოტვიფრულია ერისმთავარ გურგენის მინიატურამა, მეორეზე - მაზდეანურ საკერეხეველზე ცეცხლის მაგივრად ჯვარია აღმართული, მესამეზე უკვე ჯვარითან ერთად სტეფანოზის სახელია სრულად მოცემული.

თლის მოსახლეობის გულის მოსაგებად, დათანხმდა, ეცნო აღგილობრივ დიდაზნაურთა მიერ გაჩენილი ერისმთავრის სელისუფლება. ამ აქტის მატერიალური დადასტურებაა 586 წელს გურგენ ერისმთავრის მიერ მოჭრილი მონეტები, რომელზედაც ირანის შაპის ჰ ო რ მ ი ზ დ IV-ის (579-590) უხეში გამოსახულება და მაზდეანური ემბლემა - ცეცხლია აღბეჭდილი, მაგრამ ქართული ასოებით აწერია გურგენის სახელი და ქრისტიანული ჯვარიცაა გამოსახული.

ქართლის ერისმთავრის სელისუფლება კიდევ უფრო ჩამოყალიბებულ სახეს იღებს გურგენის მემკვიდრის, ს ტ ე ფ ა ნ ო ზ I-ის დროს. სტეფანოზს მ ა ვ რ ი კ ე კეისრისაგან (582-602) პატრიკიოსის ტიტული ებოძა, ხოლო მის ძმას დემეტრეს და შვილს - აფარნასეს - ვიპატოსის ტიტულები.

589 წელს ირანის შაპი ჰორმიზდ IV ტახტიდან ჩამოაგდო მისმა სარდალმა ბაჰრამ ჩუბინმა. შაპის მემკვიდრე ხოსრო II ფარვიზი ბიზანტიაში გაიქცა და მაურიკე კეისრის დახმარებით 591 წელს დაიბრუნა ტახტი. ამ დახმარების სანაცვლოდ მან ბიზანტიას დაუთმო სომხეთის დიდი ნაწილი და ქართლი. ქართლმა ფაქტობრივად აღიდგინა დამოუკიდებლობა. ბიზანტია მისგან მხოლოდ მოკავშირეობას და სარწმუნოებრივ ერთიანობას მოითხოვ-

მცხეთის ჯვრის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი რელიეფური გამოსახულებებით. ცენტრში ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილია სტეფანოზ პატრიკიოსი.

და. ქართლმა უარყო მონოფიზიტობა და დაადგა ბიზანტიურ ორთოდოქსალ-ურ დიოფიზიტობას.

604 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის დაიწყო ახალი ომი, რომელშიც ბიზანტიამ მარცხი განიცადა და ქართლი ისევ ირანის ხელში გადავიდა. ამის მიუხედავად ქართლმა შეინარჩუნა ფართო შინაგანი თვითმმართველობა და სარწმუნოებრივი თავისუფლება. იგი, განსხვავებით სომხეთისაგან, სადაც ძირითადად მონოფიზიტური მრწამსი იყო გავრცელებული, მტკიცედ დადგა დიოფიზიტურ ქრისტიანობაზე, რაც ქართველებსა და სომხებს შორის სარწმუნოებრივი განსხვავების მიზეზად იქცა.

ამ მოვლენებში დიდ როლს თამაშობს ქართლის კათალიკოსი კ ი რ ი ო ნ ი ანუ კ ი რ ო ს ი. მან ქართლის კათალიკოსის ტახტი დაიკავა 599 წელს, მანამდე კი სომხეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი წარმოშობით ჯავახეთიდან იყო, ეკუთვნოდა ქართლის ერისთავთა საგვარეულოს. ერმობისას იგი ბერძნებს წაუყვანიათ მძეულად ქალაქ ნიკოპოლში, სადაც 12 წელი გაატარა და საკმაოდ ღრმა ბერძნულ-ქრისტიანული განათლება მიიღო. დავიკავებული კირიონი სომხეთში გადავიდა, ქალაქ დვინში, დაუახლოვდა სომხეთის კათალიკოსს მოსე ელიეარდელს, რომლის შემწეობითაც მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი გახდა. მან დიდი აეტორიტეტი მოიპოვა საეკლესიო წრეებში. ქართლის კათალიკოსის, ბართლომეს გარდაცვალების შემდეგ იგი მცხეთაში მიიწვიეს კათალიკოსად. კირიონი არაჩვეულებრივად ძლიერი და მკაცრი პიროვნება აღმოჩნდა. იგი აქტიურად ერეოდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. ამ დროს ქართლის ერისმთავარი იყო სპარსული ორიენტაციისა და მონოფიზიტური მრწამსის მქონე სტეფანოზი, მაგრამ კირიონმა აიძულა იგი გადამდგარიყო და მის ადგილას თავისი ერთგული პირი ა დ ა რ ნ ა ს ე დასვა. კირიონმა კურსი ბიზანტიისკენ აიღო და ქართლი მტკიცედ დააყენა დიოფიზიტურ მრწამსზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ სხვა სექტები იდევნებოდა. ქართლში რჩებოდნენ მონოფიზიტი ეპისკოპოსები და საეპისკოპოსოებიც, ასევე ნესტორიანელები. ქართლის კათალიკოსი უაღრესად ტოლერანტული იყო და სხვადასხვა სექტებისა თუ მიმდინარეობების ურთიერთშეთანხმებასა და გაერთიანებას ცდილობდა. კირიონმა ქართლის ტერიტორიაზე სავალდებულო სამღვდელმსახურო ენად ქართული გამოაცხადა, რის საფუძველზეც წარმოიშვა კონფლიქტი მასსა და ცურტავის ეპისკოპოს მოსეს შორის.

605 წელს ცურტავის ეპისკოპოსმა მოსემ, რომელიც წარმოშობით სომეხი იყო, ანტიქალკედონური ქადაგება და დიოფიზიტი ქართველების მხილება გააჩაღა. მან ასეთი მოქმედება სომხეთის ეკლესიის წაქეზებით წამოიწყო, მაგრამ მისი ქადაგება სრული მარცხით დამთავრდა და იძულებული გახდა სომხეთში გაქცეულიყო. კირიონმა მოსეს ნაცვლად ცურტავის ეპისკოპოსად სხვა დაადგინა და, ამას გარდა, ცურტავის თემში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სომხები შეადგენდნენ, სავალდებულო გახადა მღვდელმსახურების ქართულ ენაზე აღსრულება. ამ მიზეზით სომხეთის ეკლესიის მესვეურებმა ქართულ ეკლესიათან ფართო წერილობითი პოლემიკა წამოიწყეს. სომ-

მცხეთის ჯვრის გაძრის (VI-VII სს.) ხელი.

ხებს მხარს უჭერდა შაპის ხელისუფლებაც, რომელიც მოწადინებული იყო კავკასიის ქვეყნებში ანტიქალკედონური, ე. ი. ბიზანტიის საწინააღმდეგო ქრისტიანობა დამკვიდრებულიყო. კათალიკოსი კირიონი მტკიცედ იცავდა დიოფიზიტურ მრწამსს, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ 608 წელს სომეხთა კათალიკოსმა აბრამმა გამოსცა „საყოველთაო ეპისტოლე", რომლითაც თავის ქვეშევრდომ სომხებს აუკრძალა ქართველებთან და ალბანელებთან ყოველგვარი კავშირი, გარდა ყიდვა-გაყიდვისა. ეს უაღრესად უარყოფითი მნიშვნელობის აქტი იყო, რადგან ამიერიდან გაწყდა ქართველებსა და სომხებს შორის სარწმუნოებრივი კავშირი, რომელიც აქამდე მათ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში აერთიანებდა.

მალე შეიცვალა ირანის სარწმუნოებრიეი ლმობიერების პოლიტიკაც. ირანის შაპმა ხოსრო II-მ (591-628), სისხლისმღერელი ბრძოლებით, ბიზანტიელები განდევნა მესოპოტამიიდან და სირიაში შეიჭრა. 611 წ. მან აიღო ანტიოქია, 613 წ. - დამასკო, ხოლო 614 წ. - იერუსალიმიც; მოიწვია ქრისტიანული საეკლესიო კრება, რომელმაც დაადგინა, რომ ირანის ქვეშევრდომობაში მყოფ ყველა ქრისტიანს ანტიქალკედონიტური ანუ მონოფიზიტური, ე. ი. სომხური სარწმუნოება უნდა მიეღო. ამის შემდეგ კათალიკოს კირიონს ქართლში აღარ დაედგომებოდა. იგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქ ფაზისის მიტროპოლიტი გახდა. ერისმთავარმა ადარნასემ კი კახეთს შეაფარა თავი. მის მაგივრად ქართლის ერისმთავრად სპარსელებმა ე ა რ ს ა - მ უ ს ე დაამტკიცეს.



ატენის სიონი VII ს.

ბიზანტიისთვის ასეთ მძიმე ვითარებაში, კეისრის ტახტზე ადის ენერგიული და ნიჭიერი მსედართმთავარი ჰ ე რ ა კ ლ ე (610-641), რომელმაც მთელი რიგი სასელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარებით შეძლო ქვეყნის კრიზისული მდგომარეობის გამოსწორება. 622 წელს იგი ირანის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა და 623 წელს უკვე ამიერკავკასიაში შემოიჭრა. ამ ლაშქრობაში მისი მოკავშირეები იბერიელები, ეგრისელები და აბაზგები იყვნენ. ჰერაკლემ დახმარებისათვის ხაზარებსაც მიმართა. საზართა ხაკანი, დიდი ნადავლის ხელთ გდების იმედით, დაუყოვნებლივ გამოემართა ამიერკავკასიისაკენ. საზარებმა გაანადგურეს დარუბანდი და ალბანეთში შეიჭრნენ. აქედან კი თბილისისაკენ გამოემართნენ. როგორც იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი წერს: „დაიძრა ნიადაგარი მოვარდნილი და მდინარე ადიდებული ქართველთა ქვეყნისაკენ, ვარს შემოადგა და ალყა შემოარტყა ნებიერს, მოვაჭრეს და სახელგანთქმულ დიდ ქალაქ ტყილისს". თბილისთან საზარებს ლაზიკიდან დიდი ჯარით გადმოსული ჰერაკლე შეეგება. იმპერატორმა მოკავშირეების პატივსაცემად ნადიმი გადაისადა, ხოლო შემდეგ სანადიმო ძვირფასი ჭურჭლეულობა საზართა ხაკანს მიუძღვნა და, ამავე დროს, თავისი ულამაზესი ქალიშვილის ცოლად მიცემაც აღუთქვა. ამის შემდეგ მოკავშირეებმა გაერთიანებული ძალებით შეუტიეს თბილისს, რომელსაც ქართლის ერისმთავარი ვარსამუსე და ირანელთა სარდალი შარგაპაგი იცავდნენ. თბილისის დამცველებმა საზარებსა და ბიზანტიელებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ბიზანტიელები ქალაქს ლოდსატყორცნი მანქანებით ლოდებს უშენდნენ, მეციხოვნეები კი დაბზარულ და დანგრეულ კედლებს ხელახლა აშენებდნენ და კელავ განაგრძობდნენ ბრძოლას. მოალყეებმა მტკვარი დააგუბეს და წყალი ქალაქზე მიუშვეს, მაგრამ თბილისის დამცველთა წინააღმდეგობა მაინც ვერ გატეხეს. წარმატე-

ბით გათამამებულმა მეცისოფენ ქართველებმა და სპარსელებმა ჰერაკლე კეისარსა და ხაზართა ხაკანს დაცინვა დაუწყეს: ციხის გალავანზე გალმოდგებოდნენ თურმე და ბიზანტიელებს მისძახოდნენ - თქვენს მეფეს თხის წვერი და ეაციფით კისერი აქვსო; ხაზარებს კი ეუბნებოდნენ დიდ კვახს, რომელზეღაც დაცინვით აღამიანის სახე იყო გამოსახული და უყვიროდნენ, აი, თქვენი ჯიბლუ ხაკანიო. კეისარი და ხაკანი მძვინვარებდნენ, მაგრამ თბილისის დამცველებს მაინც ვერაფერი დაეკლეს და იძულებული შეიქნენ ქალაქისთვის ალყა მოეხსნათ. ჰერაკლე კეისარი ხაზარებს შეუთანხმდა, რომ ერთი წლის შემდეგ უფრო დიდი ძალით გამოილაშქრებდა თბილისის ასაღებად. თვითონ კი შუაგულ სპარსეთისაკენ გაემართა. იქ, ქ. ნინევიასთან გადამწყვეტ ბრძოლაში მან სასტიკად დაამარცხა ირანელები. ამასობაში შაჰის კარზე გადატრიალება მოხდა. ხოსრო II მოკლეს და ტახტი მისმა შვილმა კ ა ვ ა დ მ ა დაიკავა. ახალმა შაჰმა ბიზანტიასთან დაუყოვნებლივ დაიწყო საზავო მოლაპარაკება, რომელიც 628 წლის აპრილში ზავის დადებით დამთავრდა.

ირანში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ჰერაკლე კეისარი საქართველოსაკენ გამოეშურა. ამასობაში ხაზარებს, ორი თვის ალყის შემდეგ, თბილისიც აეღოთ. ხაზარებმა ქალაქი საშინლად აოხრეს, მცხოვრებნი შეუბრალებლად გაჟლიტეს და უთვალავი სიმდიდრე იგლეს ხელთ. მემატიანეს ცნობით, ხაზარებს მოქმედებდა განძით სავსე ყუთები და თავიანთი მბრძანებლის წინაშე ერთმანეთზე ასვავებდნენ. ოქროსა და ვერცხლის ფულებით და თვალმარგალიტით შემკული ნივთების ისეთი გროვა ყოფილა, რომ თვალებსაც კი წყალი ელეოდა მათ ცქერაში. ხაზარებმა ტყვეენ იგლეს შაჰის რაცვალიც და ქართლის ერისმთავარიც. ტყვეები ჰერაკლე კეისარს მიეგვარეს, რომელმაც მათ ჯოჯოხეთური სატანჯველი გადაუწყვიტა. მათ ჯერ თვალები დასთხარეს, შემდეგ ჩამოახრჩვეს, ტყავი გააძრეს, თიკით გატენეს და ქალაქის კედელზე გალმოკიდეს.

ჰერაკლე კეისარმა ქართლში თავისი მოწინააღმდეგეების მიმართ სასტიკი რეპრესიები განახორციელა. მან წარმართნი და ცეცხლისმსახურნი, რომლებმაც ქრისტიანობა არ მიიღეს, შეუბრალებლად ამოახოცინა. არ დაისდო არც მონოფიზიტი ქრისტიანები და, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, „ეკლესიათა შინა მღინარენი სისხლისანი დიოდეს". ამის შემდეგ საქართველოში ბიზანტიელთა ბატონობა დამყარდა. ქართლის სათავეში ისევ ერისმთავარი იდგა. ჰერაკლემ ერისმთავრად კვლავ აღარნასე დააბრუნა, რომელიც ადრევე ბიზანტიური ორიენტაციისა იყო. იმპერატორი ხელს უწყობდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების გაძლიერებას. ეს თუნდაც იმიტომ, რომ ამ შორეულ სასაზღვრო ქვეყანაში ერთგული და ძლიერი მოკავშირე მმართველი ჰყოლოდა. დასავლეთ საქართველოში კი, პირიქით, აქ თანდათანობით გააუქმეს ადგილობრივი მეფის ხელისუფლება. VI საუკუნის ბოლოს ლაზიკის ანუ ეგრისის მეფე აღარც ისსენიება და ქვეყნის მმართველი უკვე პატრიკიოზის ბიზანტიურ ტიტულს ატარებს.

VI საუკუნის ბოლოს ბიზანტიელებმა ეგრისის სამეფოდან ცალკე გამოყვეს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელიც აბაზგიის (ქართ. აფხაზეთის)

სახელით შეეიდა უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში. მას სათაეეში ერისთავი ჩაუყენეს. ამის შემდეგ ბერძნული ტერმინი „აბაზგია“ და მისი შესატყვისი ქართული „აფსაზეთი“ აღნიშნავდა დასავლეთ საქართველოს ჩრდილო შაეიბლეისპირა ნაწილს, სადაც მოსახლეობდნენ როგორც ქართველური (შეგრულ-ჭანური, სვანური და სხვ.), ისე, შესაძლებელია, არაქართველური ტომები. მაგალითად, აფშილები, რომლებსაც მკვლევარია ნაწილი ლეეანდელი აფსაზეების მოსათესავე ტომად თვლის.

ტერმინი „აბაზგია“, როგორც ეს სპეციალური გამოკვლევით დაადგინა აკად. თ. გამყრელიძემ, ქართული „აფსაზეთის“ ბერძნული გამოთქმაა. იგი წარმოდგება ერთ-ერთი დასავლურ-ქართული ტომის - აფსაზის სახელწოდებიდან, რომელიც შემდეგ იქცა ჯერ დასახლებული საერისთაეოს, ხოლო VIII-X საუკუნეებში - მთელი დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად.[1] XI-XII საუკუნეებში უცხოურ წყაროებში აფსაზეთი მთელ საქართველოსაც ეწოდება. ტოპონიმ „აფსაზეთის“ შინაარსის ასეთი გაფართოება გარკვეული ისტორიული პროცესის შედეგია, რომელსაც ქვემოთ განეიხილავთ.

IV-VII საუკუნეების ქართული კულტურა

ქრისტიანულმა საქართველომ ანტიკური სანიდან მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა მიიღო. ამდენად, ადრეფეოდალური სანის ქართული კულტურა წინა პერიოდის ტრადიციებს ემყარება. მას მჭიდრო კავშირი პქონდა მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების - ბიზანტიის, ირანის, სომხეთის - კულტურასთან, რაც მნიშვნელოვნად ამდიდრებდა ქართულ კულტურას და ხელს უწყობდა მის წინსვლას. თავის მხრივ ქართულ ეროვნულ კულტურასაც შეპქონდა წვლილი მეზობელი ხალხების კულტურულ განვითარებაში.

ქრისტიანულმა რელიგიამ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა წარმართულ მსოფლმხედველობასა და წეს-ჩვეულებებს. ამის შედეგად მოისპო წინაქრისტიანული კულტურის არაერთი ძეგლი. ფიქრობენ, რომ ამ დროს განადგურდა წარმართობის დროინდელი ქართული დამწერლობის ძეგლებიც. თვითონ ქართულმა დამწერლობამ, ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

ქრისტიანული მღვდელმსახურება აუცილებლად მოითხოვდა დამწერლობის ფართოდ გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით ქართული ანბანი უფრო დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა. ბერძნულის მისედვით ყველა სმოვანისათვის განსაკუთრებული ნიშანი იქნა შემოღებული. ასოთა თანამიმდევრობაც ქართულ ანბანში ბერძნულის მიხედვით გაიმართა და თითოეულ ასოს რიცხვითი მნიშვნელობა მიენიჭა.

უძველესი სახე ქართული დამწერლობისა არის ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი ანუ მ რ გ ლ ო ვ ა ნ ი დამწერლობა. V-VII საუკუნეებში მრგლოვან დამწერლო-

---

1 მკვლევარ ქ. ლომსიაშვილის კარაულად, ბერძნული „აბაზგია“ უნდა მომდინარეობდეს ოსურიდან, კერძოდ, აფხაზურ „აბაზა“-ს უნდა დამატებოდა ოსური შეძართიანელი „-აგ“ სუფიქსი და ასეთი ფორმით შესულიყო ბერძნულში.



ქართული ასომთავრული ანბანი რიცხვითი მნიშვნელობებით.

ბას ხმარობდნენ როგორც ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, ისე ძველ წიგნებშიც. თვითონ ანბანი იმდენად ჩამოყალიბებული და სრულყოფილი სახისაა, რომ იგი აუცილებლად გულისხმობს განვითარების რამდენიმესაუკუნოვან წინა პერიოდს. ასო-ნიშნებიც, გრაფიკული მოსაზღვლობით, საკმაო არქაულობასა და მსგავსებას ამჟღავნებს თვით ფინიკიურ ანბანთან. ბუნებრივია, წარმოიქმნა მოსაზრება, რომ ქართული ანბანი უკვე ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულში ენდა შექმნილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უძველესი პერიოდიდან ქართული დამწერლობის არც ერთი ძეგლი (გარდა ცალკეული ასო-ნიშნებისა) არ არის აღმოჩენილი. ჯერჯერობით ქართული ასომთავრული დამწერ-



ბოლნისის სიონის აღმოსავლეთის ფასადის ასომთავრული რელიეფური წარწერა (494 წ.) „ქ[რისტ]ე ფ[აეო]თ ე[ს]ოპოსი კრებ[უ]ლითურთ და ამის ეკლესია[ს]ა შინა შენდა მიმართ თაე-ყანისმცემელნი შეიწყალენ. და [მმრ]თ

ელსა ამას ეკლე[სიასა ში]ნა შეხეწეე. ი[�]ეს, ი[ESUS]“.



უძველესი ქართული ასომთაერული წარწერები პალესტინიდან.

ზემოთ: ტექსტები:
„წმიდაო თეოდორე მარტან და ბერძენ-[მიპრ]...ენ ამის ე...“

ქვემოთ:
„და ძუძეული მაოინი ბაკურ და გრი-ორმიზდ და ნაშობნი მაოინი ქრისტე . შეიწყალენ. ამინ.“

ლობით შესრულებული ყველაზე ძველი წარწერა V ს-ის 30-იან წლებს განეკუთვნება. ეს არის პალესტინაში აღმოჩენილი, მოზაიკით შესრულებული წარწერა, რომელიც იქ არსებული ქართული მონასტრის იატაკზეა შემორჩენილი. საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი, 473-494 წლებით დათარიღებული წარწერა გვაქვს ბოლნისის ტაძარზე. ასევე ძველი წარწერებია შემორჩენილი წყისეს ქვის სტელაზე (VI ს.), მცხეთის ჯვრის ტაძარზე და სხვა ძეგლებზე. უკანასკნელ ხანს, სოფელ დაევადთან (არაგვის ხეობა), აღმოჩნდა ქვის სტელა ასომთა

და მოწამებრივად აღესრულა. ეს ლიტერატურული ნაწარმოები დაწერილია მოქნილი, მდიდარი და მაღალმხატვრული ენით. აქაც იგრძნობა წინა პერიოდის მდიდარი ლიტერატურული ტრადიციები, რაც, აგრეთვე, იმაზე მიუთითებს, რომ ამ ნაწარმოებამდე უკვე არსებობდა სხვა, ქართულად შესრულებული უფრო ძველი თხზულებანი. „შუშანიკის წამება" ძვირფასია, აგრეთვე, როგორც ისტორიული წყარო ამ პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. VI საუკუნის ასეთივე ქანრის თხზულებაა უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის წამება", რომელშიც აღწერილია ქართლის ეთნარება სპარსელთა ბატონობის პერიოდში, მარზპანთა მმართველობის დროს.

იმდროინდელი ქართული პოეტური და ფილოსოფიური მწერლობიდან ჩვენამდე თითქმის არაფერია შემორჩენილი, თუმცა, არაპირდაპირი მონაცემებით, მათ შესახებ მაინც გარკვეული წარმოდგენა გვექმნება. IV საუკუნეში ეგრისელებს არაერთსელ უსახელებიათ თავი მჭევრმეტყველებით ბერძენთა საღღესასწაულო კრებებზე. იბერიასა და კოლხეთში გავრცელებული იყო ძველი ბერძნული განათლება, ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და პოეზიის ცოდნა. IV საუკუნეში კოლხეთში, ქ. ფაზისის მახლობლად არსებობდა ფილოსოფიური სკოლა, სადაც სათანადო განათლების მისაღებად ახალგაზრდებს აგზავნიდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის სხვა, შორეული ადგილებიდან. კოლხეთის ფილოსოფიურ სკოლაში (აკადემიაში) უსწავლიათ იმდროინდელ გამოჩენილ რიტორებს ე ვ ე ნ ი ო ს ს ა და მის შვილს, თ ე მ ი ს ტ ი ო ს ს. აი, რას წერდა ამის შესახებ თემისტიოსი: „მე რიტორიკის ნაყოფი მოვწყვიტე... პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან წამოსულმა დაისადგურა... მე იქ ჩავედი არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე იქ გამგზავნა ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი... მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა". ასეთი განათლებამიღებულნი იყვნენ მემოთ დასახელებული ეგრისელი რიტორები ა ი ე ტ ი და უ ა რ ტ ა ძ ი, რომელთა ბრწყინვალე ორატორული სიტყვები ჩაწერილი აქვს VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოს ა გ ა თ ი ა ს.

ქართული ფილოსოფიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელია პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი (411-491). იგი წარმოშობით ქართლის სამეფო გვარს ეკუთვნოდა. მისი აღმზრდელი იყო ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი მ ი თ რ ი დ ა ტ ე ლ ა ზ ი. 423 წელს 12 წლის უფლისწული ბიზანტიაში, იმპერატორ თეოდოსი II-ის კარზე წაიყვანეს მძევლად. აქ მისი სწავლა-აღზრდის საქმეს, მითრიდატე ლაზთან ერთად, ხელმძღვანელობდა დედოფალი ეედოკია. ქართველ უფლისწულს, რომლის საერო სახელი მურვანოსი იყო , დიდი ნიჭი გამოუჩენია და ბრწყინვალე განათლებაც მიუღია. როდესაც სრულწლოვანი შეიქნა, მან მიატოვა სასახლის ნებიერი ცხოვრება და თავის აღმზრდელთან ერთად გადასახლდა პალესტინაში, სადაც ბერად აღიკვეცა და პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი დაირქვა. მან შემოიარა ბევრი ქვეყანა და, საბოლოოდ, ქ. ღაზის მახ-

ლობლად. მაიუმში დამკვიდრდა. იგი ეწეოდა აქტიურ ფილოსოფიურ-იდეოლოგიურ მოღვაწეობას. 452 წელს პეტრე იბერი ეპისკოპოსად აირჩიეს. მას არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოსთან. პეტრე იბერმა იერუსალიმსა და მის გარშემო უდაბნოში აამენა ქართველთა მონასტრები და შექმნა სკოლა, რომლის ბირთვს სირიაში მყოფი ქართველები შეადგენდნენ. ამათთაგან უნდა ყოფილიყო ის 13 სირიელი მამა, რომლებიც უფრო გვიან საქართველოში დაბრუნდნენ და აქ ნაყოფიერი კულტურულ-ქრისტიანული მოღვაწეობა გააჩაღეს.

პეტრე იბერი ბრწყინვალედ იცნობდა ანტიკურ ფილოსოფიას, რომელიც უარყოფილი იყო ქრისტიანული თეოლოგიის მიერ. მან იტვირთა შეკად მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე - სათანადოდ გადაემუშავებინა ანტიკური ფილოსოფია ისე, რომ დაეახლოებინა ქრისტიანობის პრინციპებისათვის. ეს ამოცანა მან წარმატებით გადაჭრა. მისი ფილოსოფია რომ უფრო მისაღები ყოფილიყო ქრისტიანული წრეებისათვის, თავისი ტრაქტატების ავტორად პირველი საუკუნის მოღვაწე დიონისე არეოპაგელი გამოაცხადა. ეს საიდუმლო მხოლოდ უკანასკნელ ხანს გაისმნა. ამ დასკვნამდე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ორი მკვლევარი მივიდა: ქართველი ფილოსოფოსი შ. ნუცუბიძე და ბელგიელი მეცნიერი ერნსტ პონიგმანი.

ქართული ქრისტიანული კულტურის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა მწვავე დოგმატიკური ბრძოლა ქრისტიანობის შიგნით წარმოქმნილ სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის. საქართველოში ყველა ამ მიმდინარეობას ეხვლებოდა, მაგრამ პოლიტიკური სიტუაციების ცვლილებასთან ერთად, იცვლებოდა მათი მნიშვნელობა და გავლენა. მაგალითად, ბიზანტია ძირითადად ორთოდოქსალურ დიოფიზიტურ მიმდინარეობას უჭერდა მხარს, განსაკუთრებით 451 წლის ქალკედონის საეკლესიო კრების შემდეგ, რომელმაც ერთადერთ ჭეშმარიტ მრწამსად დიოფიზიტობა, ე. ი. ქრისტეს ორბუნებიანობის (ადამიანურისა და ღვთაებრივის) აღიარება გამოაცხადა. ამის საპირისპიროდ, ირანმა მხარი დაუჭირა მონოფიზიტ-ქრისტიანებს და ისინი თავის მფარველობაში აიყვანა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. როდესაც ძლიერდებოდა ირანის პოლიტიკური გავლენა, მაგალითად, VI საუკუნის ქართლში, გაბაგონებულ მღვომარეობას იკავებდნენ მონოფიზიტები, მაგრამ ბიზანტიის გავლენის მრდასთან ერთად, მონოფიზიტებს დიოფიზიტები ცვლიდნენ. საბოლოოდ, საქართველოში დიოფიზიტურმა ქრისტიანობამ გაიმარჯვა, საპირისპიროდ სომხეთისა, სადაც უფრო ძლიერი იყო მონოფიზიტობა. ამის ნიადაგზე, როგორც აღვნიშნეთ, 608 წელს მოხდა ქართული და სომხური ეკლესიების გათიშვა და ნაყოფიერი კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარება ამ მეზობელ ხალხებს შორის უაღრესად შეფერხდა. ამ რელიგიურ-დოგმატური ბრძოლების შედეგად დაიწყო ბევრი თხზულების ტენდენციური გადაკეთება, ანდა სრული მოსპობაც კი, რაც უსათუოდ უარყოფით გავლენას ახდენდა ორივე ხალხის კულტურულ ცხოვრებაზე.

ადრექრისტიანული ხანის ქართულ კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხელოვნებას. ამ დროს ვითარდება და მხატვრული სიმწიფის ღონეს აღწევს ხუროთმოძღვრება და სასვეთი ხელოვნების თითქმის ყველა დარგი.



ციხე-ქალაქ უჯარმის (V ს.) რესტავრაციული სქემა.

IV-VII საუკუნეებიდან საერო ხუროთმოძღვრების ძეგლების შედარებით მცირე რაოდენობაა მოღწეული. არქეოლოგიური გათხრები აღასტურებს იმ-დროინდელ საქართველოში საცხოვრებელ შენობათა და საფორტიფიკაციო ნაგებობათა ფართო მშენებლობას. იმ დროს გაშენდა მთელი რიგი ახალი ქა-ლაქები: თბილისი, უჯარმა, ჭერემი, დმანისი. გარკვეული მშენებლობა წარ-მოებდა ძველ ქალაქებშიც - მცხეთაში, ურბნისში, უფლისციხეში, რუსთაველში, ციხე-გოჯში, ბიჭვინთაში და სხვ. ამ ნაგებობათაგან ჩვენამდე მხოლოდ ნან-გრევებია მოღწეული, ამიტომ ძნელი წარმოსადგენია მაშინდელი ხუროთმოძ-ღვრული შემოქმედების მთელი მრავალფეროვნება. შედარებით უკეთაა შე-მონახული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები. თავდაპირველი ეკლე-სიები თუ მცირე ზომისაა, V საუკუნიდან ისინი მონუმენტურ სახეს იძენენ. ასე-თი ეკლესიების ნიმუშად აღებულ იქნა პალესტინური „ბაზილიკები“ - წაგრძე-ლებული, ორფერდასახურავიანი, უგუმბათო ნაგებობანი, რომლებიც ზოგჯერ სვეტების მწკრივებით „ნავებად“ იყო დაყოფილი. ბაზილიკური ტიპის ნაგებო-ბებიდან აღსანიშნავია ბ ო ლ ნ ი ს ი ს სიონი (478-493), უ რ ბ ნ ი ს ი (VI ს.), თ ბ ი ლ ი ს ი ს „ ა ნ ჩ ი ს ხ ა ტ ი“ (VI ს.), კ ა წ ა რ ე თ ი ს სა-მება (VI ს.), ე ა ვ ი ს უ ბ ა ნ ი (VI ს.) და სხვ. საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის სპეციფიკური ტიპი - სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელშიც „ნავე-ბი“ ერთმანეთისაგან კედლებითაა გამოყოფილი. ესენია: ქ ვ ე მ ო ბ ო ლ-ნ ი ს ი ს, ნ ე კ რ ე ს ი ს და დ მ ა ნ ი ს ი ს ეკლესიები (V-VII სს.), VI სა-

ჯვარშის კედლის წყობის ნიმუში.

უკუნიდან ბაზილიკების გვერდით თანდათან ერეოლება გუმბათოვანი ეკლესიებიც. სწორედ ისინი გამოსაგავს ყველაზე უკეთ ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების არსს, რომელმაც თავისი დაგვირგვინება ჰპოვა ჯვრის ტიპის საყოველთაოდ ცნობილ ნაგებობებში (მცხეთის ჯვრის ტაძარი, 586-605 წწ., ატენის სიონი, VII ს., მარტვილი, ძველი შუამთა). მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლები ცნობილია სომხეთშიც, მაგრამ ქართული ძეგლებისაგან ისინი განსხვავდება გეგმის დეტალებითა და პროპორციებით, აგრეთვე საშენი მასალითა და ფასადი ია დამუშავებით.

ჯვრის ტიპის ნაგებობაც ემდგომ განვითარებას წარმოადგენს წრომის ტაძრის არქიტექტურა (VII ს.), სადაც გუმბათი უკვე დაყრდნობილია არა კედლებზე, როგორც ეს ჯვრის ტიპის ნაგებობებში გვაქვს, არამედ შუაში მდგარ ოთხ სვეტზე. არქიტექტურული ფორმებით საინტერესოა იშსანისა და ბანას ტაძრები (VII ს.) სამხრეთ საქართველოში.



მცხეთის ჯვრის ტაძარის (586-605) გეგმა.



ბოლნისის სიონი. V ს.

ლაბგური მხატვრობა და ქანდაკება შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისათვის საერთოდ უცნობია. ქანდაკების დარგთაგან განვითარებული იყო მხოლოდ რელიეფი ქვაზე, ხეზე, ლითონზე. რელიეფებით ამკობდნენ ეკლესიების ფასადებს, ცალკეულ ხუროთმოძღვრულ დეტალებს, ხის კარებს, აგრეთვე სტელებს. რელიეფური სკულპტურის ბრწყინვალე ნიმუშები გვაქვს შემორჩენილი მცხეთის ჯვრის ტაძარზე, ბოლნისის სიონის სვეტისთავებზე და სხვ.

 წრომის ტაძარი (VII ს.).







ბანას ტაძრის (VII ს.) ნანგრეუები და გეგმა-რესტაურაცია.

ეკლესიების კედლების მოხატულობიდან თითქმის არაფერია შემორჩენილი, შედარებით გადარჩა კედლისა და იატაკის მოზაიკის ფრაგმენტები. მაგალითად, წრომის (VII ს.) კედლის მოზაიკის ფრაგმენტები, ბიჭვინთის V-VI სს. ტაძრის იატაკის მოზაიკა, რომელზეც გამოსახულია საინტერესო კომპოზიცია „სიცოცხლის შადრევანით", სხვადასხვა ცხოველებით და ფრინველებით, გეომეტრიული ფიგურებით და სსვ. მკვლევართ მიაჩნიათ, რომ მოზაიკა შესრულებული უნდა იყოს ადგილობრივი ოსტატების მიერ.

არაბთა ბატონობა საქართველოში

VII საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს საზღვრებთან გამოჩნდნენ არაბები. მათ კარგად ისარგებლეს იმით, რომ ირანი და ბიზანტია დასუსტებულნი იყვნენ ერთმანეთთან ხანგრძლივი ბრძოლებით, დაამარცხეს ირანი და ამიერკავკასიისკენ გამოემართნენ.

არაბები დაპყრობილ კულტურულ ხალხებთან შედარებით საშოგადოებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ, მაგრამ პყავდათ მრავალრიცხოვანი, კარგად ორგანიზებული და ფანატიკურად განწყობილი სამხედრო ძალა, რომელიც ადვილად ამარცხებდა მოწინააღმდეგეთა ზოგჯერ უკეთ შეიარაღებულ და გამოცდილ, მაგრამ სუსტად დისციპლინირებულ არმიებს.

არაბების სამშობლო იყო არაბეთის ნახევარკუნძული, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ პატრიარქალურ-თემური წყობილებით ცხოვრობდა და მომთაბარე მესაქონლეობას, ძირითადად აქლემებისა და თხების, შემდეგ კი ცხვრისა და ცხენების ჯოგების მოშენებას მისდევდა. არაბეთის ნახევარკუნძულის ზღვისპირა ზოლში, სავაჭრო-საქარავნო გზაზე მდებარეობდა ქალაქები - მექა და მედინა. ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი ნახევრადუდაბნოებსა და მშრალ სტეპებს ეკავა, მაგრამ ოაზისებსა და სამხრეთ ზღვისპირა ნაწილში (იემენში) სოფლის მეურნეობაც იყო განვითარებული.

არაბი ტომები VII ს-ის დასაწყისში გაერთიანა მექელმა ვაჭარმა მუჰამედმა, რომელმაც, ამავე დროს, შექმნა ახალი რელიგია - ისლამი. ისლამი მონოთეისტური რელიგია იყო და იუდაიზმისა და ქრისტიანობის გაელენას განიცდიდა. ისლამის მიმდევრების ერთ-ერთი ვალდებულება იყო ომი (ჯიჰათი, ჰაზავათი) მათი სარწმუნოების გავრცელებისათვის. ისლამი არაბთა დაპყრობითი ომების იდეოლოგიად იქცა. მისი პრინციპები ჩამოყალიბებულია „წმინდა წიგნში" - ყურანში, რომლის მისედვითაც უცხო ქვეყნებში შეჭრილ მუსლიმან მეომრებს სრული უფლება პქონდათ დაეხოცათ და დაეტყვევებინათ „არამართლმორწმუნენი", მონებად ექციათ ქალები და ბავშვები, მიეტაცათ მათი ქონება. „სარწმუნოებისათვის ომში" დაღუპულებს ყურანი სამოთხეში მოსვეედრას აღუთქვამდა. ასეთი უფლებები დიდ სტიმულს აძლევდა არაბ მეომრებს ახალ-ახალი ქვეყნების დასაპყრობად.

მუჰამედის გარდაცვალების (632 წ.) შემდეგ მისი საქმე განაგრძეს მისმა მოადგილეებმა - ს ა ლ ი ფ ე ბ მ ა, რომლებმაც ფართო დაპყრობითი ომები დაიწყეს. უკვე მეორე ხალიფა ო მ ა რ ი ს დროს (634-644) არაბებმა დაიმორჩილეს სირია, პალესტინა, ირანის დიდი ნაწილი. ამის შემდეგ მათ გზა გაეხსნათ ამიერკავკასიისაკენ. მართლაც, არაბთა პირველი რაზმები სომხეთში უკვე 640 წელს გამოჩნდნენ და ამ ქვეყნის დედაქალაქი დ ვ ი ნ ი დაიპყრეს. 642-643 წლებში არაბები ქართლსაც მოადგნენ, მაგრამ ქართველებმა ისინი დაამარცხეს და უკუაქციეს. 50-იანი წლებისათვის არაბებმა შედარებით მტკიცედ მოიკიდეს ფესი სომხეთში. 654 წელს მათ სასტიკად დაამარცხეს ბი-

ბანტიელი სარდალი მავრიანოსი, რომელმაც ქართლს შეაფარა თავი. არაბები გაქცეულ მტერს დაედევნენ და ქართლის საზღვრებში შემოვიღნენ.

ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ II-მ, რომელიც პატრიკიოსის ტიტულს ატარებდა, არაბებს თავისი ელჩი მიაგება საჩუქრებით და მათგან ზავი და მშვიდობა ითხოვა. როგორც ჩანს, ქართლის ერისმთავარმა საღად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და არაბთა უზარმაზარი და აქამდე დაუმარცხებელი ძალის წინააღმდეგ ომის წამოწყებას მშვიდობიანი შეთანხმება არჩია. არაბთა სარდალი ჰ ა ბ ი ბ ი ბ ნ - მ ა ს ლ ა მ ა კმაყოფილი დარჩენილა ერისმთავრის მოქმედებით, მირთმეული საჩუქრები მომავალი სარკის ანგარიშში ჩაუთვლია და, ელჩთან მოლაპარაკების შემდეგ, საზავო ხელშეკრულების ტექსტი შეუდგენია. ეს არის ე. წ. „დაცვის სიგელი", რომელშიც ჩამოთვლილია როგორც ქართველების, ისე არაბების უფლება-მოვალეობანი. კერძოდ, არაბები პირდებოდნენ ქართველებს ოჯახების, ქონების, ეკლესიებისა და ქრისტიანული სალოცავების ხელშეუხებლობას იმ პირობით, თუ ქართველები სცნობდნენ „დამცირებას ჯიზიით" და ყოველ კომლზე გადაიხდიდნენ სარკს (ჯიზიას) ერთი დინარის რაოდენობით. ამასთანავე ქართველებს ეკრძალებოდათ კომლების გაერთიანება ჯიზიას შესამცირებლად, ხოლო არაბებს არ ჰქონდათ უფლება კომლების ხელოვნური გაყოფისა კომლობრივი გადასასადის - ჯიზიას გაზრდის მიზნით. ქართველებს ეეალებოდათ არაბებისადმი დახმარება მათი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე, თუ რომელიმე მუსლიმანი თავის ნაწილს ჩამოშორდებოდა, მისთვის უნდა აღმოეჩინათ ყოველნაირი შემწეობა და მიეყვანათ „მორწმუნეთა" უახლოეს რაზმამდე. ქართველთაგან ის, ვინც მიიღებდა ისლამს, ილოცებდა და ზაქათს (მუსლიმანთა სამოწყალო-საქველმოქმედო გადასახადი) გაიღებდა, არაბთა ძმად გამოცხადდებოდა, სოლო ის, ვინც უარს იტყოდა მშვიდობაზე, ისლამზე და ჯიზიაზე, ალაჰის მტრად იქნებოდა მიჩნეული.

ამ ხელშეკრულებით ქართველი ელჩი არაბთა წარმომადგენელთან ერთად უკან გაბრუნებულა და თან წაუღია ჰაბიბ იბნ-მასლამას წერილი თბილისის მცხოვრებლებისადმი, რომელშიც იგი მშვიდობას ჰპირდებოდა მათ, თუ ისინი ზავის პირობებს შეასრულებდნენ. ასეთივე ხელშეკრულებები დადებულ იქნა ქართლის ცალკეულ თემებთანაც, ნახევრად დამოუკიდებელ საფეოდალოებთან, რომლებიც ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ ჩამოყალიბდნენ და მოპოვებული ჰქონდათ საკმაოდ დიდი უფლებები როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეთა გადაწყვეტაში.

თავდაპირველად არაბთა ბატონობა საქართველოში არ იყო მყარი. მალე სახალიფოში არეულობა და სამოქალაქო ომი დაიწყო. ქართველები, სომხები და ალბანელები არაბებს გადაუდგნენ და ხარკის მიცემა შეუწყვიტეს. ქართლის ერისმთავარმა ნ ე რ ს ე ჰ დაამარცხა და განდევნა სომხეთში მდგარი არაბთა ჯარის სარდალი ბარაბა. მაგრამ ახლა თავი წამოპყო ბიზანტიამ და მორჩილება და ხარკი მოითხოვა. იმპერატორმა ი უ ს ტ ი ნ ი ა ნ ე II-მ

(685-694) აქეთკენ თავისი სარდალი ლ ე ო ნ ტ ი გამოგზავნა, შემდეგ თვითონაც ილაშქრა, ეს ქვეყნები აიკლო და მძიმედ დასარკა. ქართლის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მას ჩრდილოეთიდან საზართა საკანატი ესაზღვრებოდა. საზარებიც სარგებლობდნენ ქართლის მძიმე მდგომარეობით და თავს ესხმოდნენ გასაძარცვავად. არაბებს საზართა წინააღმდეგ მუდმივი ომი ჰქონდათ და ამის გამო საქართველო და ალბანეთი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პლაცდარმს წარმოადგენდა. არაბები ცდილობდნენ მტკიცედ დაეკავებინათ დარუბანდისა და დარიალის გასასვლელები, ამიტომ აქეთკენ გამუდმებით აგზავნიდნენ ჯარებს.

VII საუკუნის ბოლოს არაბები დასავლეთ საქართველოშიც გადავიდნენ. 697 წელს ისინი მიიწვია ბიზანტიელთა ძალმომრეობით შეეიწროებულმა აღგილობრივმა პატრიკიოსმა ს ე რ გ ი ბ ა რ ნ უ კ ი ს ძ ე მ. მაგრამ ამჯერად არაბებმა დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც მთელს ამიერკავკასიაში, ფესვი ვერ მოიკიდეს. ამიერკავკასიაში არაბების წინააღმდეგ აჯანყებები გრძელდებოდა.

ხალიფა ა ბ დ - ა ლ - მ ა ლ ი ქ მ ა (685-705) აჯანყებული ამიერკავკასიის წინააღმდეგ გამოგზავნა თავისი ძმა მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ მ ა რ ვ ა ნ ი, რომელიც დანიშნული იყო აზერბაიჯანის, არმენიის და ალ-ჯაზირის (მესოპოტამიის) განმგებლად. მან ცეცხლითა და მახვილით განვლო მთელი სომხეთი, აღმოსავლეთ საქართველო და ალბანეთი, გაძარცვა და გადაბუგა ეკლესია-მონასტრები, საცხოვრებელი სახლები, დაატყვევა და ამოხოცა მოსახლეობა. ამ ლაშქრობის შემდეგ არაბებმა ცალკე ერთეულად ჩამოაყალიბეს პროვინცია „არმინია“, რომელშიც შედიოდა სომხეთი, საქართველო, ალბანეთი. არაბი ამირა ქ. დვინში იჯდა და აქედან აკონტროლებდა ამ სამფლობელოს.

716-717 წწ. არმინიის განმგებელი მ უ ჰ ა მ ე დ ი ბ ნ - მ ა რ ვ ა ნ ი დასავლეთ საქართველოში გადავიდა; ბრძოლით აიღო და დაანგრია ეგრისის სამგალავნიანი დედაქალაქი ც ი ხ ე - გ ო ჯ ი; შემდეგ გადალახა კლისურის კედელი, დაანგრია ქალაქი ც ხ უ მ ი (სოხუმი) და მიადგა ა ნ ა კ ო ფ ი ი ს ციხეს, სადაც გამაგრებულნი იყვნენ ქართლიდან გამოძეებული ერისმთავრის ს ტ ე ფ ა ნ ო ზ III-ის შვილები მ ი ჰ რ ი და ა რ ჩ ი ლ ი. ისინი ქართლის მეფეთა ძველი საგვარეულოს - სოსროიან-ფარნავაზიანთა შთამომავლები იყვნენ და აქ დიდი ამალითა და ტაძრეულებით (მოლაშქრეებით) მათი ჯალაბობითურთ, იყვნენ გადმოსულნი. ქართლის ერისმთავრებმა აფსაზეთის ერისთავ ლ ე ო ნ I-თან ერთად ბიზანტიის იმპერატორს აცნობეს დასავლეთ საქართველოში არაბთა შემოჭრის შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დასმარება ითხოვეს. ამ დროს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ასალი ასული იყო ლ ე ო ნ I I I ი ს ა ვ რ ი ე ლ ი (717-740), რომელიც არაბთაგან თვითონაც დიდად იყო შეეიწროებული. არაბებმა სწორედ ამ დროს შემოარტყეს ალყა კონსტანტინოპოლს. ამდენად, იმპერატორი ლეონი კარგად ხედავდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს არაბების წინა-

აღმდეგ ბრძოლაში და თუკი აქამდე ბიზანტიის იმპერატორები ცდებას არ რთავ-დნენ ქართლის ერისმთავრებს ეტარებინათ ქართველთა მეფის ტიტული, ამ-ჯერად მან, ქართველი მემატიანეს მტკიცებით, თვითონ სცნო მათი „მეფობა“ და მიპრისა და არჩილს სამეფო გვირგვინებიც კი გამოუგზავნა. ამავე დროს ლეონ ისაერიელმა ლეონ I-ს მემკვიდრეობით უბოძა აფხაზეთის ერისთავობა და ქართლის მეფეების, როგორც სიუზერენთა, მორჩილება დააკისრა.

იმავე მემატიანის ცნობით, ქართველებმა და აფხაზებმა, გაერთიანებული ძალით, ანაკოფიასთან სასტიკად დაამარცხეს არაბები. საბოლოოდ მომხდურ-ნი იძულებულნი გახდნენ დასავლეთ საქართველოდან გასულიყვნენ. არაბებ-თან ბრძოლაში სასიკეთოდ დაიჭრა მიპრი და შემდეგ ამ ჭრილობისაგან გარდაიცვალა კიდეც. არჩილმა შეასრულა მიპრის ანდერძი და მისი ქალიშვი-ლები დააქორწინა ერისთავებზე, რომლებსაც მზითვად გადასცა მათიცე საე-რისთავოები. ამით ერისთავებმა მიაღწიეს თავიანთ საუკუნოვან მიზანს - ხელ-შეუვალ საკუთრებად დაიმკვიდრეს საერისთავოების ტერიტორია. არჩილმა მოიწვია აფხაზეთის ერისთავი ლეონ I და მასაც მიპრის ქალიშვილი გურან-დუხტი შერთო ცოლად. ლეონმა თავი აღიარა არჩილის ვასალად, ფიცით აღუთ-ქვა, რომ მათ შორის არ იქნებოდა მტრობა და რომ იგი არჩილის მორჩილი ქვეშევრდომი იქნებოდა. ამის შემდეგ არჩილი გაემოვიდა ეგრისში, მიპრის ანდერძის მისდევით, ეგრისიც, ისევე როგორც სვანეთი, თაკვერი, არგვეთი და გურია, მისი უშუალო სამფლობელო („საუსუცესო“) იყო. მან განაგო აქაუ-რი საქმეები, ააშენა დანგრეული ციხესიმაგრეები, მოაწესრიგა საქალაქო ცხოვრება და, საკმაოდ სანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, კვლავ აღმოსავ-ლეთ საქართველოში დაბრუნდა.

აღმოსავლეთ საქართველომ ამასობაში დიდი უბედურება გადაიტანა. ჯერ იყო და, იგი დაარბიეს და დახარკეს საზარებმა, მაგრამ 723 წელს ხალიფა ი ა ზ ი დ II-მ (720-724) „არმინიის“ განმგებლად დანიშნა ა ლ - ჯ ა რ ა ჰ ი ბ ნ ა ბ დ ა ლ ლ ა ჰ ა ლ - ჰ ა ქ ი მ ი და დაავალა საზარების წინააღმ-დეგ გადამწყვეტი ბრძოლა. ალ-ჯარაჰი დიდი ჯარით შემოვიდა ამიერკავკა-სიაში. ხაზარებმა უბრძოლველად დატოვეს აღმოსავლეთ ამიერკავკასია. არა-ბები ჩრდილო კავკასიაშიც გადავიდნენ და რამდენჯერმე დაამარცხეს საზა-რები. 729 წელს ჯარაჰი მეორედ შემოვიდა ქართლში. თბილისში ყოფნისას ქალაქის მოსახლეობამ არაბთა სარდალს წარუდგინა ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“ და მისი განახლება ითხოვა. ჯარაჰმა აღნიშნული სიგელი დაამტკიცა, მაგრამ შიგ დამატებითი პირობები შეიტანა, კერძოდ, გადიდებულ იქნა საარაბო ხარკი - ჯიზია და დაემატა საადგილმამულო გადასახადი - სა-რაჯა. თბილისიდან ალ-ჯარაჰი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა, დაამარ-ცხა საზარები და დიდი ალაფით დატვირთული უკან გამობრუნდა. საპასუხო ლაშქრობა ხაზარებმა მეორე წელსვე მოაწყვეს და პირწმინდად გაანადგუ-რეს ალ-ჯარაჰის ჯარი. თვითონ არაბი სარდალიც ამ ბრძოლას შეეწირა.

ხალიფა ჰ ი შ ა მ მ ა (724-743) დიდი ჯარი გამოგზავნა საზართა წინა-

აღმდეგ მუკამელ იბნ-მარვანის სარდლობით, ამავე დროს დაიწყო სამხედრო კონსტანტინოპოლზე ასალი შეტევისათვის. მან ხმელთაშუა ზღვაში დიდი რაოდენობის საზღვაო ძალების მოუყარა თავი, მაგრამ 732 წელს ეს არაბული „დიდი არმადა“ უეცრად ამოვარდნილმა ქარიშხალმა კონსტანტინოპოლის კარიბჭესთან მთლიანად მოსპო. ამავე წელს არაბები დამარცხდნენ ევროპაშიც. ფრანკთა მეფემ კარლოს მარგელმა 732 წლის 4 ოქტომბერს საფრანგეთის ქ. პუატიესთან გაანადგურა ესპანეთიდან შემოჭრილი არაბთა არმია და ამით შეაჩერა მათი წინსვლა ევროპის სიღრმეში. ამის შემდეგ არაბებმა ძირითადი ძალები მიმართეს საზარების წინააღმდეგ, რომლებიც ბიზანტიელთა ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ. მანამდე კი ამიერკავკასიის სრული დამორჩილება იყო საჭირო. ამ მიზანს ისახავდა ხალიფა

ეშამის ბიძაშვილი მ ა რ ვ ა ნ ი ბ ნ - მ უ ჰ ა მ ე დ ი , რომელიც 120-ათასიანი არმიით შემოიჭრა ამიერკავკასიაში და სასტიკად გაუსწორდა აღგილობრივ აჯანყებულ მოსახლეობას (735).

ქართველი მემატიანეები აგვიწერენ ამ არაბი სარდლის შეუბრალებლობასა და გულქვაობას, რის გამოც სალსმა მას „ყრუ“ შეარქვა. როგორც ჩანს, გვიანდელ მატიანეში გაერთიანებულია მუკამედ იბნ მარვანისა და მარვან იბნ მუკამედის ლაშქრობანი და ორივე ამ უკანასკნელის ანუ მურვან ყრუსადმია მიწერილი.

მურვან-ყრუმ, უპირველეს ყოვლისა, დარიალისა და დარუბანდის გადასასველელები დაიპყრო, აილო და მიწასთან გაასწორა საქართველოს ქალაქები და ციხეები, დიდი რაოდენობით ამოხოცა და დაატყვევა მოსახლეობა. მისი ეს სისხლიანი თარეში ორ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა. ბოლოს, 737 წ. არაბთა ლაშქარი, დარიალისა და დარუბანდის გზებით, ერთდროულად საზარეთისაკენ დაიძრა. თვითონ მურვანი მთავარი ძალებით დარიალის გადასასელელით გაემართა. ეს იყო არაბების უკანასკნელი წარმატებული ლაშქრობა კავკასიის მთებს გადაღმა. საზარები დამარცხდნენ, იძულებულნი გახდნენ, დამორჩილებოდნენ არაბებს და მუსლიმანობაც კი მიეღოთ.

ამ ლაშქრობიდან მცირე ხნის შემდეგ, 740 წელს იმპერატორმა ლეონ ისავრიელმა გენერალურ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა არაბები, რაც ბიზანტია-არაბეთის ურთიერთობაში გარღვევის მომენტად იქცა. ამის შემდეგ არაბები უკან ისევენ, ბიზანტიელები კი თანდათან იბრუნებენ ტერიტორიებს მცირე აზიასა და სირიაში. არაბებმა უკან დაიხიეს საზარეთიდანაც. საზარებმა უარყვეს მუსლიმანობა და აღადგინეს კავშირი ბიზანტიასთან.

მოვლენების ასეთი განვითარების შემდეგ არაბებმა გადაწყვიტეს მტკიცედ მოეკიდათ ფეხი საქართველოში და ამისთვის ძალას აღარ იშურებდნენ. არაბებმა შეცვალეს ქართლის მმართველობის ფორმა და იგი ცალკე საამიროდ გამოაყვეს. ქართლის მმართველი ა მ ი რ ა ც ამის შემდეგ თბილისში იჯდა. მას ჰყავდა მოხელეთა მთელი შტატი, არაბთა გარნიზონები ჩააყენეს თბილისსა და სხვა ქალაქებში - რუსთავში, დმანისში. რა თქმა უნდა, ამ გარნიზო-

ნებ.ცა და სამოხელეო შტატის შენასვა ადგილობრივ მოსახლეობას მძიმე ტვირთად დაეკისრა.

მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ ერთსანს მშვიდობა ჩამოვარდა და ქვეყანას საშუალება მიეცა, მიყენებული ჭრილობები მოეშუშებინა. ამ დროს არჩილი დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში და კახეთ-ჰერეთის ტერიტორიაზე, რომელიც მისი საუფლისწულო მამული იყო, დიდი საამშენებლო მუშა-ობა გააჩაღა. იგი ცდილობდა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებასა და ფეოდალური ურთიერთობების მოწესრიგებას. მაგალითად, კახეთში დაბრუნებული არჩილის ერთ-ერთი უპირველესი ღონისძიება იყო მისი რაზმელების ანუ ტაძრეულების დასმა აზნაურებად, ე. ი. მან თავის ერთგულ მსასურ-ტაძრეულებს დაურიგა მიწის სამფლობელოები ზედ მსხდომი გლეხებითურთ და ამის სამაგიეროდ, მათ სამსეფრო სამსახურის შესრულება დააკისრა. არჩილმა სცადა მშვიდობის განმტკიცება არაბებთან. ამ მიზნით იგი ეახლა არაბთა სარდალს და ქრისტიანობის ხელშეუსებლობა ითხოვა. არაბთა სარდალმა იგი შეიპყრო და მაპმადიანობაზე გადასვლა მოსთხოვა. არჩილმა ამაზე მტკიცე უარი განუცხადა. 745 წ. იგი სიკვდილით დასაჯეს. ქართულმა ეკლესიამ არჩილი წმინდანად შერაცხა.

750 წელს სახალიფოში ასალი, აბასიდების დინასტია გაბატონდა. ამ დროიდან კიდევ უფრო გაიზარდა საარაბო სარკი, რაც მოსახლეობას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდა. საქართველოში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ხალხის გულისწყრომა და სიძულვილი უცხოელი დამპყრობლების მიმართ. არ წყდებოდა აჯანყებები და დიდი მსხვერპლის მომტანი ბრძოლები.

დამპყრობლებმა ქართულ საზოგადოებაში რამდენადმე მნიშვნელოვანი დასაყრდენი ვერ გაიჩინეს და მათ თავიანთი ბატონობის განსორციელება შიშველი ძალებით უხდებოდათ. ამით იყო გამოწვეული ის სისასტიკე, რომლითაც არაბები ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გატეხვასა და დამორჩილებას ცდილობდნენ. მიუხედავად დიდი მცდელობისა, არაბებმა მთელი საქართველოს დაპყრობა ვერ მოასერხეს, მათი შიშველი ძალა მხოლოდ ქართლის შიდა ოლქში მაგრობდა, რაც შეეხება განაპირა ოლქებს, იქ არაბები დრო და დრო მარბიელად მოდიოდნენ, მაგრამ საკადრის პასუხსაც იღებდნენ ხოლმე.

არაბებისათვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა ხაზარების საკითხიც. ხაზარები არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ბუნებრივი მოკავშირენი იყვნენ, მაგრამ ეს მოკავშირეობა საქართველოს ძვირად უჯდებოდა. ხაზარები არც საქართველოს ინდობდნენ, ძარცვავდნენ და არბევდნენ „მოკავშირის" მოსახლეობასაც. საგულისხმო ამბავს მოგვითხრობს ძველი ქართველი მემატიანე. 764 წ. ხაზარებს მოკლე ხნით თბილისიც დაუჭერიათ. ქართლის ერისმთავარს ჯუანშერს ძალიან ლამაზი და პყოლია, სახელად შუშანი. ხაზართა ხაკანმა ქართლის ერისმთავარს, არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში მოხმარების სამაგიეროდ, ეს შუშანი მოსთხოვა ცოლად, მაგრამ შუშანი და მისი დედა ციე უარზე იდგნენ. გაგულისებულმა ხაკანმა თავისი სარ-

დალი ბლუჩანი გამოგზავნა ქართლის წინააღმდეგ და შუშანი და ჯუანშერი ტყვეულ წაიყვანა, მაგრამ გულის წადილს მაინც ვერ ეწია. შუშანმა საწამლავი შესვა და თავი მოიკლა. წარმართი საკანის არასასურველ ცოლობას ქართველმა ქალმა სიკვდილი არჩია. დამწუხრებულმა საკანმა გულისწყრომა თავის სარდალს დააგვეხა თავს. იგი წამებით მოაკელვეინა, ჯუანშერი კი დასაჩუქრებული გამოისტუმრა უკან.

772-773 წწ. ქართლის ერისმთავარი ნერსე ხალიფა ალ-მანსურმა (754-775) ბაღდადში დაიბარა და იქ სამ წელიწადს პატიმრად ამყოფა. მიზეზი ის იყო, რომ ქართველები აჯანყებულ სომხებს ეხმარებოდნენ. არაბთა ბატონობა სომხეთში უფრო მძიმე იყო, ამიტომ აჯანყებების ცეცხლი იქ უფრო მეტის ძალით გიზგიზებდა. ქართველები თანაუგრძნობდნენ მეზობელ სომხებს და თავშესაფარს აძლევდნენ დევნილთ. ეს აღიზიანებდა არაბებს და ქართლსაც თავიანთ რისხვას აგებდნენ თავს.

არაბების წინააღმდეგ მოძრაობას ქართლში თავისი მქადაგებლები და იდეოლოგები ჰყავდა. VIII ს-ის მწერალმა ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე მ აღწერა ერთი საგულისხმო ფაქტი. არაბული წარმოშობის ჭაბუკმა ა ბ ო მ, ქართლის ერისმთავრის მსახურმა, უარყო ისლამი და ქრისტიანობა მიიღო. ამის გამო არაბებმა იგი აწამეს. საბინისძემ აბოს წამების ამბავი გამოიყენა თავის თანამემამულეებში ერთიანული სიამაყის გრძნობის გასაღვივებლად: აი, როგორია ჩვენი რჯული და ქვეყანა, თვით დამპყრობელი ხალხის შვილიც კი ჩვენსკენ გადმოდის და თავსაც სდებს ახალი სამშობლოსათვისო. ქრისტიანულმა ეკლესიამ აბო წმინდანად შერაცხა. ასევე წმინდანად შერაცხეს არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული არგვეთელი მთავრები - დ ა ვ ი თ ი და კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე, ერისმთავარი ა რ ჩ ი ლ ი. მათი მაგალითი კიდევ უფრო აღვივებდა ქართველებში დამპყრობლების წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლის ცეცხლს. იოანე საბანისძისა და მისი მსგავსი მქადაგებლების მოწოდება ამაღლებდა ქართველების თვითშეგნებას, აკაკებდა სამშობლოსათვის მებრძოლთა სულისკვეთებას.



IV თავი

განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისი საქართველოში

ეკონომიკური და სოციალური განვითარება VIII-IX საუკუნეებში

VIII-IX საუკუნეებში არაბთა უზარმაზარი იმპერია, რომელიც გადაჭიმული იყო შუა აზიიდან პირინეის ნახევარკუნძულამდე, დაშლას იწყებს. ეს ბუნებრივი პროცესი იყო, რადგან სახალიფო ნაძალადევად აერთიანებდა განვითარების სხვადასხვა დონის, სხვადასხვა კულტურისა და განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე ქვეყნებსა და ხალხებს. თვითონ არაბებმაც დაპყრობილი ხალხების დიდი გავლენა განიცადეს. ეს გავლენა თავს იჩენდა როგორც პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, ისე კულტურის სფეროშიც. საყოველთაოდ ცნობილი და საკმაოდ მაღალი დონის, ე. წ. „არაბული კულტურა" ფაქტობრივად იყო დაპყრობილი ხალხების - ირანელების, სირიელების, ბერძნების, კავკასიელებისა და სხვა დიდი ტრადიციების მქონე კულტურების სინთეზი. თვითონ არაბებშიც ფეხს იკიდებდა ფეოდალური ურთიერთობა, თუმცა ეს პროცესი მტკიცენეულად და დიდი დაბრკოლებებით იკაფავდა გზას.

არაბთა ბატონობამ საქართველოში უსათუოდ შეაფერხა ფეოდალური ურთიერთობის ნორმალური განვითარება, მაგრამ მისი შეჩერება ვერ შეძლო. ქვეყანა სოციალური და ეკონომიკური განვითარების გზაზე მაინც წინ მიდიოდა. არაბთა ბატონობა მთელი სიმძიმით აწვებოდა ქართლის ცენტრალურ რაიონებს, სადაც ფეოდალური ურთიერთობა უკვე საკმაოდ მაღალ საფესურზე იყო ასული. არაბთა ბატონობის სიმძიმის გამო იქიდან მოსახლეობა მასობრივად იყრებოდა და გადადიოდა ქვეყნის პერიფერიებში, სადაც შეექონდა უფრო განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის წესები, ერთიანი ქართული ქრისტიანული იდეოლოგია, ქართველთა ერთიანობის თვითშეგნება და ქართული სალიტერატურო ენა.

არაბთა ბატონობის შესუსტების პირობებში ქვეყანაში დაიწყო სამეურნეო-ეკონომიკური აღმავლობა, სოფლის მეურნეობის და საქალაქო ცხოვრების სწრაფი განვითარება. IX-X სს.-ში ეკონომიკური აღმავლობა აღინიშნება მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. არაბთა სახელმწიფოს დაშლას ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობა მოჰყვა. საქართველო ამ საერთო პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული.

VIII ს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოში ინტენსიურად იწყება აოხრებული და დაუსახლებელი აგდილების ხელახალი დასახლება-მოშენება, ახალი საცხოვრებელი აგდილების ათვისება, ტყეების გაკაფვა, კორდის გატეხვა, სამიწათმოქმედო ფართობების გაზრდა. ყოველივე ეს, საგარეო პირობების გამოსწორებასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებასთან იყო დაკავშირებული. ფართოდ ინერგება ახალი, გაუმჯობესებული სახვნელი იარაღი - გუთანი, რომელშიც 8-10 უღელი სარ-კამეჩის შებმა შეიძლებოდა. ასეთი დიდი ქართული გუთნით იოლდებოდა ყამირი მიწის გატეხვა, აგრეთვე, შეიძლებოდა ნიადაგის უფრო ღრმად დამუშავება, რაც აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით მშრალი ჰაეის პირობებში მარცვლეულის მოსავლიანობის გაზრდას უწყობდა ხელს. განსხვავებულ ბუნებრივ პირობებსა და ნიადაგებში გამოყენებული იყო სხვადასხვა სახვნელი იარაღი: ერქვანი, აჩაჩა, კავი. მარცვლეულის მეურნეობასთან ერთად კიდევ უფრო ეითარდებოდა მევენახეობა-მეღვინეობა. ვენახი ქართველი კაცის მეურნეობის აუცილებელი ელემენტი იყო. მის ინტენსიურ განვითარებასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს ის საგულისხმო ფაქტი, რომ სწორედ IX საუკუნიდან სშირდება ვაჩის ფოთლისა და ყურძნის მტევნების გამოსახულებანი ქართულ მხატვრობასა და კედლის რელიეფურ ქანდაკებაში. ასევე მნიშვნელოვანი აგდილი ეჭირა მეურნეობაში მებაღეობა-მებოსტნეობას.

საქართველოში უძველესი დროიდან იყო განვითარებული მესაქონლეობაც. ამ პერიოდში მეურნეობის ეს დარგი დიდ აღმავლობას განიცდიდა. საქართველოში გამოყვანილი ცხენის, ძროსის, ცხვრისა და თხის აგდილობრივი ჯიშები საუკეთესო თვისებებით ხასიათდებოდნენ და განთქმული იყვნენ მთელს წინა აზიაში. საქართველოში განვითარებული იყო, აგრეთვე, მეფუტკრეობა, ტექსიკური კულტურების (განსაკუთრებით სელის) წარმოება და დამუშავება, იმდენად, რომ თაფლი, ცვილი და სელის ნაწარმი ფართოდ გაჰქონდათ უცხოეთში საექსპორტოდ.

საქართველოს ეკონომიკა ემყარებოდა განვითარებულ სოფლის მეურნეობას, რისი საფუძველიც მიწა იყო. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის საკუთრების ფორმებს. ამ დროს მიწის მუშა-მეურნეთა დიდ ნაწილს გლეხები შეადგენდნენ. გლეხი ეწოდებოდა თავისუფლებადაკარგულ მეურნეს, რომელიც ფეოდალის მიწაზე იჯდა. მას მფლობელობაში მიცემული ჰქონდა მიწის ნაკვეთი - საკომლო ანუ „ფუძე". ფუძე გარკვეული რაოდენობის იყო და შედგებოდა საყანე მიწის, ვენახისა და ბაღ-ბოსტნისაგან, აგრეთვე, საცხოვრებელი და სამეურნეო-სათავსო (სახლ-კარი, კალო, საბძელი და სხვ.) აგდილებისაგან. ფუძე დაბეგრილი იყო საბატონო ვალდებულება-გადასახადებით,

რაც გულისხმობდა შრომით ვალდებულებასაც და ნატურალურ-ფულად გადასახადსაც. გლეხთა ასეთი ინდივიდუალური მფლობელობის გარდა ზოგან შემორჩენილი იყო საერთო-სასოფლო, თემური მიწისმფლობელობაც, ძირითადად, სახნავ-სათეს მიწებზე და ტყე-საძოვრებზე. მაგრამ ამ საერთო-სამფლობელო მიწის მესაკუთრე მაინც ესა თუ ის ფეოდალი-მებატონე იყო. მიწათმოქმედთა გარკვეულ ნაწილს კვლავ შეადგენდნენ მდაბიორები (ერისგანნი). მდაბიორები წვრილი მეურნენი იყვნენ. მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ სოციალური თავისუფლება და სახელმწიფოს მიმართ გადასახადებსა და სამხედრო ვალდებულებას იხდიდნენ.

მიწის ფეოდალი-მესაკუთრენი იყვნენ: მეფის (მთავრის) სახლი ანუ საგვარეულო, აზნაურები და ეკლესია. ფეოდალური მიწის საკუთრება რთული იერარქიული სტრუქტურით სასიათდებოდა. ყველაზე დიდი მესაკუთრე-მფლობელები მეფე და დიდი მთავრები იყვნენ. მათი სამფლობელოების დიდი ნაწილი გადაცემული იყო მათ ქვეშევრდომ სსვადასსვა რანგის აზნაურებზე. მიწის (რა თქმა უნდა, ზედ მცხოვრები გლეხებითურთ) გადაცემა ხდებოდა „წყალობის" სახით. „შეწყალებული" მოვალე იყო გარკვეული ვალდებულება შეესრულებინა შემწყალებლის მიმართ. ეს სამფლობელო უკვე მემკვიდრეობითი იყო, გადაეცემოდა მამიდან შვილს და ამიტომ მას „მამული" ეწოდებოდა. იგი გვაგონებს ევროპულ „ფეოდს", ე. ი. ფეოდალური მიწათმფლობელობის ძირითად, ტიპურ ფორმას.

სამეფო ან სამთავრო სახლების სამფლობელოთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადაცემული იყო ეკლესია-მონასტრებზე, „შეწირული" მიწების სახით. დანარჩენი მიწები უშუალო მფლობელობაში ჰქონდათ დატოვებული მეფე-დიდ მთავრებს.

აზნაურთა უმაღლესი ფენა დიდი ანუ „დიდებული აზნაურები" იყვნენ. მათი სამფლობელო შედგებოდა როგორც ასეთი „წყალობის მამულისაგან", ასევე საგანმგებლო-სამეფო ტერიტორიისა და უშუალო საკუთარი (ნასყიდი, ნამზითვი, სმლით ნაშოვნი) მამულისაგან. საგანმგებლო სამეფო ტერიტორია - საერისთავო, საციხისთავო და სსვა სამფლობელო მათ უკვე მემკვიდრეობით ან საკუთრად ჰქონდათ დაჩემებული.

განვლილი ორი საუკუნის (VI-VII სს.) მანძილზე დიდაზნაურებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს მფლობელობა ყოფილ საერისთავო და სხვა საგანმგებლო ტერიტორიებზე. ირანისა და ბიზანტიის ბატონობის პირობებში ერისთავებმა მიაღწიეს ორივე მხარის მიერ მათი მემკვიდრეობით მფლობელობის ფორმალურ აღიარებასაც. როგორც მემატიანე შენიშნავდა, ქართლის ერისთავებს „სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვიდრობისათვის საერისთაოთა მათთა".

ამრიგად, ისინი განმგებელ ერისთავებიდან იქცნენ ერისთავ-მთავრებად, რომლებიც თავიანთ სამფლობელო ტერიტორიაზე საჯარო ხელისუფლებასაც ხელშეუვალად ფლობდნენ, ე. ი. ისინი თავიანთ, უკვე მემკვიდრეობით სამფლობელო ტერიტორიაზე მცირე ხელმწიფე-მთავრებად გადაიქცნენ. ამიტომ იყო, რომ არაბთა სარდალმა ჰაბიბ იბნ-მასლამამ „დაცვის სიგელი" გააფორ-

მა არა მხოლოდ ერისმთავართან, არამედ ცალკეულ მთავრებთანაც. ასეთები კი, არაბული წყაროს ცნობით, საკმაოდ ბევრნი იყვნენ.

თავდაპირველად არაბები ქვეყნის საშინაო საქმეებსა და მმართველობაში არ ერეოდნენ. ეს ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ქართლის შემდგომი ფეოდალური განეითარებისათვის. როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის დროს, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში ბატონობს ე. წ. „მეუფტის კანონი" ანუ პრინციპი, რომ მართალია ის, ვინც ძალას ფლობს. ქვეყნის შიგნით სამთავროებს შორის მუდმივი ბრძოლაა სამფლობელო ტერიტორიისა და გლეხების თუ მდაბიორების დაუფლებისათვის. ამაზე პირდაპირ მიუთითებს ამ ამბების მომსწრე ქართველი მემატიანე: „იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნა მტერ ურთიერთას". საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდის საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა ფეოდალური ცხენოსანიმგრეების მშენებლობა. ცხენოსანიმგრეთა მომრავლება მოწმობს, ერთი მხრივ, მათ მფლობელთა გაბატონებას იმ ტერიტორიის მოსახლეობაზე და, მეორე მხრივ, ურთიერთშორის ბრძოლას მამულისა და ყმა-გლეხობის დაუფლებისათვის. ამ ურთიერთმტრობისა და ბრძოლის ვითარებაში მცირე ან უფრო სუსტი მთავარი იძულებული იყო უფრო ძლიერი მთავრის მფარველობაში შესულიყო. ძლიერი მთავარი უფრო სუსტს იქვემდებარებდა, მათ შორის პატრონყმური ურთიერთობა მყარდებოდა. სშირად პატრონყმური ურთიერთობა ფორმდებოდა ნებაყოფლობის გზითაც. უფრო სუსტი და დაუცველი ფეოდალი იძენდა ძლიერ მფარველს და მის ყმობაში ნებაყოფლობით შედიოდა. მცირე სამთავრო უფრო დიდ სამთავროს ნაწილი ხდებოდა. ამ პროცესზე საგანგებოდ მიუთითებს აკად. ნ. ბერძენიშვილიც: „მცირე „მთავარი" თავისი სასახლით, ცხენით და მიგატეებულ-მითვისებული მიწებით და დაბა-სოფლებით უფრო ძლიერი მფლობელის, „დიდი მთავრის" „მფარველობაში" შედიოდა. ეს მცირე მთავრები ამიერიდან „დიდ-მთავარს" „ასლდნენ", მის ამალას შეადგენდნენ. იქმნებოდა სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის დანიშნულება ის იყო, რომ გამკლავებოდა როგორც მდაბიორებს და გლეხობას კლასობრივ ბრძოლაში, ისე მეზობელი მთავრების მტაცებლურ ბრასვებს". ასე თანდათან ყალიბდებოდა პატრონყმური სისტემა, რომელიც დასავლეთ ევროპული სიუზერენ-ვასალის ურთიერთობის ანალოგიური იყო.

ამგვარად, VIII საუკუნისათვის საქართველოში ყოველისმომცველად იქცევა ისეთი იერარქიული სისტემა, რომლის დროსაც აზნაურთა დიდი ნაწილი ყოფილი ერისთავის ან სხვა გამთავრებული აზნაურის მფარველობაში (ყმობაში) არის შესული. ეს უკანასკნელნიც, თავის მხრივ, უფრო ძლიერი მთავრის პატრონობას ეძებენ. ასეთი მთავრებიც, თავის მხრივ, რომელიმე უფრო დიდი მთავრის ან მეფის პატრონობას (მფარველობას, უფლობას) აღიარებენ. ეს მთავრები ტრადიციით ისევ ატარებენ ერისთავის ან სხვა დიდმოსელის (მაგ., პიტიახშის) სახელს. ამ დროსვე შემოდის ერისთავებზე მაღლა მდგომი ერისთავთ-ერისთავის წოდებაც და „ერისთავთ-ერისთავთა უფლის" ინსტიტუტიც. მაგალითად, ატენის სიონის წარწერაში, რომელიც VIII საუკუნით თარიღდე-

ბა, მოიხსენიება „მამფალი სტეფანოზ, ღმრთისა მიერ ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი". აქ ჩანს მთელი იერარქია პატრონყმური ურთიერთობისა. სტეფანოზ მამფალს ექვემდებარებიან ერისთავთ-ერისთავნი. ასეთები მას ჰყავს არა მარტო ქართლში, არამედ დასავლეთ საქართველოშიც. ერისთავთ-ერისთავებს, იგულისხმება, ყმობენ ცალკეული ერისთავები (გამთავრებული), რომლებსაც ასევე ყმებად უნდა ჰყავდეთ უფრო წერილი აზნაურები. ესენი არიან ამ დროის წყაროებში დადასტურებული „წინაშემდგომელნი" და „საკუთარნი". ამათზე დაბლა იდგნენ „ტაძრეულნი" და „მსახურნი", პირადად თავისუფალი მდაბიორები, ყოფილი „ერისგაწნი", რომლებსაც ნაწილობრივ შენარჩუნებული ჰქონდათ პირადი სოციალური თავისუფლება და რომლებიც სამხედრო ან სხვა სამსახურს ეწეოდნენ თავიანთი პატრონის წინაშე. ეს გარდამავალი სოციალური ფენა იყო, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი ასრულებდა გააზნაურებას, ხოლო დიდი ნაწილი კი საბოლოოდ გლესდებოდა.

ასეთი პატრონყმური ურთიერთობის დამყარების გიპერ სურათს გვაძლევს ქართველი მემატიანე, როდესაც ქართლის ერისმთავრისა და აფხაზთა ერისთავის ურთიერთობას გადმოგვცემს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, როდესაც ქართლის ერისმთავრის მიპრის და აფხაზთა ერისთავის ლეონ I-ის გაერთიანებულმა ძალამ ანაკოფიის ციხესთან დაამარცხა და უკუაქცია არაბთა ჯარი, ბიზანტიის იმპერატორმა ამ დამსახურებისათვის ლეონ აფხაზთა ერისთავს მემკვიდრეობით უბოძა აფხაზეთის ერისთავობა. ერისმთავარი მიპრი ამ ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან თავის ძმას არჩილს ანდერძად დაუბარა, რომ მისი 7 ასული დაექორწინებინა თავის ქვეშევრდომ ერისთავებზე (აქამდე ეს წესად არ ყოფილა) და საერისთავოები მათთვის „ნამზითვად", ე. ი. ხელმეუვალ საკუთრებად დაემტკიცებინა. არჩილმა შეასრულა ძმის ანდერძი და ერისთავებს „ნამზითვად" გადასცა მათი საერისთაოები. ამის შემდეგ არჩილს მოუწვევია ლეონ აფხაზთა ერისთავი და მისი კეთილი მასპინძლობის სამაგიეროდ შეუთავაზებია, მოეთხოვა სათანადო საზღაური. ლეონი არჩილს მხოლოდ ყმობაში მიღებას თხოვს: „შემრთე მეცა მოსათა შენთა თანა, რომელნი ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენადვე იყოს". ე. ი. აფხაზთა ერისთავი ყმობაში მიღების სამაგიეროდ თავის სამთავროს, რომელიც უკვე „მკვიდრობით" ეკუთვნის მას „მიუკუნისამდე", საკუთრებაში უთმობს ქართლის ერისმთავარს, ხოლო თავისთავს მის „მონად" (ყმად) აღიარებს. მათ შორის მყარდება პატრონყმური ურთიერთობა, რომელიც გარეგნულად მამისა და შვილის ან უფროს-უმცროსი „ძმების" ურთიერთობის სახეს ატარებს. ამ ურთიერთობის განმტკიცების მიზნით არჩილი ლეონს ცოლად შერთავს მიპრის მეშვიდე ქალიშვილს - გურანდუხტს. ამის შემდეგ „ერჩდეს (ემორჩილებოდა) ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა".

ასეთი „მამაშვილური" ანუ პატრონყმური ურთიერთობა კარგად შეესაბამებოდა ქრისტიანობის პრინციპებსაც: შვილი უნდა ემორჩილებოდეს მამას, მამა უნდა მფარველობდეს შვილს.

ქართული დიდი და მცირე სამთავროების ასეთი ურთიერთშეკავშირების ტენდენციას აპირობებდა ის გარემოებაც, რომ არაბების წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელი იყო ძალების გაერთიანება. ყოველივე ამის შედეგად VIII საუკუნის ბოლოსა და IX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით წარმოიქმნენ შედარებით მსხვილი პოლიტიკური ერთეულები - ქართული სამეფო-სამთავროები.

ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა

1. კახეთის სამთავრო. საქართველოს განაპირა რაიონებში არაბებს განსაკუთრებით უჭირდათ ბრძოლა წ ა ნ ა რ ე ბ თ ა ნ . წანარები ეწოდებოდათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ნაწილის, მდინარეების - თერგის, არაგვისა და იორის სეობების მემო წელზე და სათავეებთან მცხოვრებ მთიელებს - მოხევეებს, მთიულებს, ფხოველებს. ისინი ჯერ კიდევ პატრიარქალურ-თემური წყობილების საფეხურზე იდგნენ, მაგრამ არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ და ერთიანი ძალით ებრძოდნენ მომხლურებს. არაბთა ცხენოსან ჯარს უჭირდა მთის ტყიან ფერდობებზე და ვიწრო სეობებში ბრძოლა. აღგილობრივ პირობებს შეჩვეული ამაყი მთიელები შამაცურად ებრძოდნენ და მესრს ავლებდნენ დამპყრობლებს. მტრისგან შედარებით დაცულ ამ მხარეს თავს აფარებდნენ არაბთა ბატონობით შევიწროვებული ბარელებიც. წანარებთან კავშირს ესწრაფოდნენ უშუალო მეზობელი ქვეყნების ფეოდალი მფლობელებიც. წანარებს ბარის მეზობელ რაიონებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდათ. მთაში ძირითადად განვითარებული იყო მესაქონლეობა. მესაქონლეობას კი, განსაკუთრებით მეცხვარეობას, სჭირდებოდა ბარის საზამთრო საძოვრები. ასევე, მთის მოსახლეობას სჭირდებოდა ბარში მოწეული პროდუქტი (პური, ღვინო), აგრეთვე, მესაქონლეობის პროდუქტის გასაღება. ყოველივე ამის შედეგად იქმნებოდა საფუძველი ამ რაიონების ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად - სამთავროდ ჩამოყალიბებისა.

წანარებს მმართველობის თავისებური, მათი წყობის შესაბამისი ფორმა ჰქონდათ. კერძოდ, მათ სათავეში იდგა არჩეული წინამძღოლი, ე. წ. სვეისბერი, რომელიც საერთო საერო და სასულიერო ხელისუფლებას ასორციელებდა. მმართველობის ასეთი ფორმა ამ რეგიონის მთის მოსახლეობაში დიდხანს იყო შემორჩენილი. სვეისბერი რამდენიმე თემის, ხევის ან ხეობის მიერ აირჩეოდა უმაღლეს ხელისუფლად და თემის უხუცესებთან ერთად ეწეოდა საერო და სასულიერო მმართველობას, წარმართაედა ხატობებსა და სხვა რელიგიურ დღესასწაულებს. ქრისტიანობის მიღების შემდეგ (ქრისტიანობა კი მთაში აღგილობრივი ტრადიციებისა და წარმართული რელიგიის დიდ გავლენას განიცდიდა) ამ ხელისუფლებასაც თავისებური სახე მიეცა. მას ქრისტიანული მღვდელმთავრის - ქორეპისკოპოსის სახელი დაერქვა. აღნიშნული ხელისუფლება თეოკრატიული ხასიათისა იყო და აერთიანებდა უმაღლეს საერო და სასულიერო მმართველობას. ამ სამთავროს შემადგენლობაში შეეიდნენ მეზობელი ბარის რაიონებიც: კახეთი - კუსეთი - გარდაბანი, რომელთა მთავრები

ხალისით უჭერდნენ მსარს არაბების წინააღმდეგ ასე წარმატებით მებრძოლ წანარების ქორეპისკოპოსებს და მათის მფარველობაშიც შედიოდნენ. ამრიგად, ქორეპისკოპოსი დიდ მთავრად იქცა, სხვა მთავრები მისი ყმა-ვასალები გახდნენ.

პირველი დიდი მთავარი, რომელიც VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან დამოუკიდებელ ქორეპისკოპოსად ჩანს, იყო გ რ ი გ ო ლ ი (787-827). მისი სამთავრო უკვე გამოყოფილია ქართლის საერისმთავროსგან და ცალკე ერთეულად არის ჩამოყალიბებული. გრიგოლ ქორეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ დინასტიური ცვლილება მოსდა და ქორეპისკოპოსის ხელისუფლება ყარღაბანელმა მთავრებმა იგდეს ხელთ. ამ სამთავროს ძირითადი პროვინცია კახეთი იყო, ამიტომ მას ერთიანად კახეთი ეწოდებოდა, ცენტრი კი ქ. თიანეთში იყო. აქ უფრო გვიან კახეთის ქორეპისკოპოსებმა ააშენეს დიდებული სასახლე - ბოდოჯი, რომელიც XI საუკუნეში განადგურდა. კახეთის სამთავრო აქტიურად ჩაება ერთიანი საქართველოსთვის წარმოებულ ბრძოლებში.

2. ჰერეთის სამთავრო. კახეთის აღმოსავლეთით, ძირითადად იორისა და ალაზნის აუზის შუა და ქვემო წელზე, ჩამოყალიბდა ჰერეთის სამთავრო. ქართლის სამეფოს არსებობის ხანაში ჰერეთი ცალკე საერისთავო იყო და მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი სამეფო დომენს წარმოადგენდა. მეფობის გაუქმების შემდეგ აქ დამკვიდრდნენ სამეფო საგვარეულოს შთამომავლები, როგორც ამ კუთხის ერისთავები. ერთ-ერთი ამათთაგანი, ა დ ა რ ნ ა ს ე , ჰერაკლე კეისარმა ქართლის ერისმთავრად დასვა (VII ს.). ამ ადარნასეს უშუალო შთამომავლები იყენენ მიჰრი და არჩილი (VIII ს.). როგორც აღნიშნული იყო, თავისი ერისმთავრობის ბოლო წლებში არჩილი აქ აქტიურად მოღვაწეობდა: ააგო ეკლესიები, ციხეები, ციხე-ქალაქი ნუსპატი, დანიშნა ერისთავები და მთავრები, წარმართობაზე დარჩენილი მოსახლეობა იძულებით მონათლა და ა. შ.

ჰერეთის ცალკე სამთავროდ გამოყოფა მოსდა არჩილის მემკვიდრეების, იოანესა და ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ, VIII ს-ის 80-იან წლებში. ჰერეთის მთავრები გახდნენ აქ დამკვიდრებული ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლები. მათ შორის გამორჩეულია ს ა პ ლ ს უ მ ბ ა ტ ი ს ძ ე , რომელმაც ილაშქრა მტკვრის მარჯვენა ნაპირის ალბანეთის მფლობელი მიპრანიდების წინააღმდეგ, დაამარცხა და ამოსოცა ისინი და დაიპყრო მათი სამფლობელო. ამის შემდეგ საპლ სუმბატისძე იწოდებოდა „არანშაჰად". IX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ჰერეთში მთავრობდა გ რ ი - გ ო ლ - ჰ ა მ ა მ ი , რომლის ხელისუფლება იმდენად გაძლიერდა, რომ 893 წ. მან მიიღო ჰერეთის მეფის ტიტული. ამრიგად, VIII ს-ის ბოლოსა და IX ს-ში საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთით ჩამოყალიბდა ჰერეთის სამთავრო, რომელიც IX საუკუნის ბოლოს უკვე სამეფოდაც იწოდებოდა. იგი მეტოქეობას უწევდა მეზობელ კახეთის საქორეპისკოპოსოს. კახეთთან დაძაბული ურთიერთობა აპირობებდა ჰერეთის მეფე-მთავართა ურთიერთობას არაბებთან, კერძოდ, კახეთის საპირისპიროდ ისინი ცდილობდნენ მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდათ არაბებთან და ამ მხრივ მათ გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს.

3. ეგრის-აფხაზეთის სამეფო. განსხვავებულ პირობებში ჩამოყალიბდა ახალი ქართული სამეფო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. არაბთა ბატონობისგან განთავისუფლების შემდეგ აქ მოსახლეობამ სწრაფად იწყო მომრავლება. აქეთკენ მასობრივად მოემართებოდა აღმოსავლეთ საქართველოდან დაძრული ემიგრანტთა ტალღა, რაც ბუნებრივად იწვევდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურულ და ეთნიკურ დაახლოებასა და შერწყმას. დასავლეთ საქართველოში ფართოდ ვრცელდება ქართული სალიტერატურო ენა. იგი საყოველთაოდ ინერგება სახელმწიფო საქმისწარმოებასა და საეკლესიო მღვდელმსახურებაში. აღგილობრივ მოსახლეობაში განუხრელად იზრდება მცხეთის საკათალიკოსოს გავლენა და ავტორიტეტი, სწრაფად ვითარდება ფეოდალური ურთიერთობა და ყალიბდება მისი შესაბამისი ინსტიტუტები. აღგილობრივი ერისთავები, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, აქაც ფეოდალ-მთავრებად არიან ქცეულნი და მათ შორის პატრონყმური (სიუზერენ-ვასალური) ურთიერთობა მკვიდრდება.

ბიზანტიელთა ბატონობა დასავლეთ საქართველოში სულ უფრო სუსტდებოდა და ზედაპირული ხდებოდა. საიმპერატორო კარი იმასაც ცდილობდა, რომ ასლად წარმოქმნილ მთავრებზე დაყრდნობით, ქვეყანა დაექაქსა და ასეთი გზით შეენარჩუნებინა ბატონობა. როგორც აღნიშნული იყო, ჯერ კიდევ VI საუკუნეში ბიზანტიის ხელისუფლებმა ეგრისის სამეფოდან გამოპყვეს ა ბ ა ზ გ ი ა და იგი უშუალოდ დაიქვემდებარეს. ეგრისს ასევე გამოეყო მ ი ს ი მ ი ა ნ ე თ ი (ს ვ ა ნ ე თ ი), ს ა ნ ი გ ე თ ი (ჭ ა ნ ი კ ე თ ი), ა ფ შ ი ლ ე თ ი და სხვა წვრილი პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც ფეოდალურ სამთავროებად ჩამოყალიბდნენ. ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური წინსვლა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარება ღღის წესრიგში აყენებდა პატრონყმური ურთიერთობის საფუძველზე ქვეყნის უფრო მსხვილ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანებას. ამასვე მოითხოვდა საგარეო-პოლიტიკური ვითარებაც. ერთიან ეროვნულ სახელმწიფოდ გაერთიანება აუცილებელი იყო როგორც არაბთა ახალი შემოსევების აღსაკვეთად, ისე ბიზანტიის ბატონობის თავიდან მოსაშორებლად.

ეგრისში მეფობის გაუქმების შემდეგ დასავლეთ საქართველოს სამთავროებს შორის ყველაზე მეტად დაწინაურდა აბაზგიის ყოფილი საერისთავო, რომელიც ქართულ წყაროებში ა ფ ს ა ზ ე თ ა დ იწოდება. მისი დაწინაურების მიზეზი იყო ის, რომ ამ სამთავრომ ნაკლებად განიცადა როგორც ირანელთა, ისე არაბთა დამარბეველი შემოსევები. ამავე დროს მის გაძლიერებას თავდაპირველად ხელს უწყობდა ბიზანტიის იმპერიაც. აფსაზეთის ერისთავე-მთავრები სარგებლობდნენ ხელსაყრელი ვითარებით და პატრონყმობის (ვასალიტეტის) პირობით იქვემდებარებდნენ მეზობელ, შედარებით სუსტ სამთავროებს; ასე დაიქვემდებარეს, მაგალითად, მათგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სანიგეთი, ასევე სამხრეთით - აფშილეთის დიდი ნაწილი და მისიმიანეთი. აფსაზეთის მთავრები მოსერსებულად და წინდასედულად მოქმედებდნენ. მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ როგორც ბიზანტიასთან, ისე არაბების წინააღმდეგ მებრძოლ ქართლის ერისმთავრებთანაც. ისინი დაბრკოლებას არ უქმნიდნენ ქართლიდან შემოსულ ემიგრანტებს, პირიქით, ხალისით იღებდნენ

თაეიანთ სამსახურში მოლაშქრეებად, რომლებსაც ა ბ ზ ნ ა ურ ე ბ ა დ ს ს ა მ დ ნ ე ნ თ ა ე ი ა ნ თ ი ს ა მ თ ა ვ რ ო ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ბ ზ ე. მარტო მიჰრსა და არჩილს 1000-ზე მეტი ასეთი მოლაშქრე-ტაძრეული ახლლა თან. ისინი იქ ოჯახებით იყენენ გადმოსულნი, მათი დამკვიდრება დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე სელს უწყობდა იქ უფრო დაწინაურებული ქართული ფეოდალური ურთიერთობისა და კულტურის, ქართული ენისა და ქართული ქრისტიანული ტრადიციების გავრცელება-დამკვიდრებას. მით უმეტეს, რომ ეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფრო ახლობელი, გასაგები და მისაღები იყო, ვიდრე იძულებით თავსმოსვეული ბერძნულ-ბიზანტიური. ბუნებრივია, ამის შემდეგ ქართული ენა იქცა აქ მოსახლე სსვადასხვა დიალექტებსა და ენებზე მოლაპარაკე ეთნიკური ჯგუფებისათვის საერთო ურთიერთობის, ქრისტიანული მღვდელმსახურების, სახელმწიფო საქმის წარმოებისა და კულტურის ენად. ეს პროცესი ხელს უწყობდა იქ მცხოვრები ქართველური თუ არაქართველური ეთნიკური ჯგუფების უფრო მეტ კონსოლიდაციასა და ერთიან ქართველ ხალხად ჩამოყალიბებას.

აფხაზეთის სამთავროს გაძლიერება-გაფართოებისთვის განსაკუთრებით აქტიური მოღვაწეობა გააჩაღა ლეონ I-ის ძმისწულმა ლეონ II-მ. მან ყმადლაფიცობის პირობით დაიქვემდებარა („იპერა") დასავლეთ საქართველოს (ყოფილი ეგრისის სამეფოს) მთავრები და თავისი სამფლობელო ტერიტორია გაანავრცო ჩრდილოეთით ნიკოფსიიდან (დღევანდელი ქ. ტუაფსეს მახლობლად) სამხრეთით მდ. ჭოროსამდე და აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე. ისარგებლა რა VIII ს-ის მიწურულში ბიზანტიის დასუსტებით, რაც რელიგიური ბრძოლებითა და არეულობით (საგთმებრძოლეობა) იყო გამოწვეული, მან დაიხმარა ხაზართა ხაკანი, რომლის ასულის წულიც იგი იყო და ეგრის-აფხაზეთი გაათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან. მას შემდეგ, რაც არჩილი და მისი შვილები, რომლებსაც, ქართველი მემატიანის მტკიცებით, ბიზანტიის იმპერატორისაგან მიღებული ჰქონდათ მეფის წოდება და ნიშნები, უმემკვიდრეოდ გადაშენდნენ, ლეონ II-მ თავი მეფედ გამოაცხადა და „აფხაზთა მეფედ" იწოდა. სამეფო ტახტი მან ქუთაისში დაიდგა.

ტერმინი „აფხაზეთი" მაშინ სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რასაც ღლეს ვეწოდებთ. დღევანდელი გაგებით „აფსაზები" და მათი წინაპრები თავიანთ თავს „აფსუა"-ს, ხოლო ქვეყანას „აფსნი"-ს უწოდებენ. ძველქართულად მათ „აფსარნი" ეწოდებოდათ. აფხაზეთი კი ქართული სასელწოდება იყო დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილისა, რომელიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიონის ქედს შორის მდებარეობდა, მდ. ღალიძგის დასავლეთით. აქ აფსარების (დღევანდელი გაგებით აფხაზების) წინაპრებს გარდა მოსასლეობდნენ დასავლურ-ქართული ტომები: აბაზგები ანუ აფხაზები, სანიგები ანუ ჭანები, მისიმიანები ანუ სვანები და სსვა დღეს უკვე გამქრალი ქართული ეთნიკური ჯგუფები. როგორც დავინახეთ, მათი გაერთიანება მოხდა ჯერ აფხაზეთის (ანუ ბერძნულად აბაზგიის) სამთავროში, ხოლო შემდეგ ამ სამთავროს ჰეგემონიით ერთ სასელმწიფოდ გაერთიანდა მთელი დასავლეთი საქართველოც. ამ სახელმწიფოს სათავეში იდგნენ ყოფილი აფხაზეთის ერისთავები ანუ მთავ-

რები და მათი შთამომავლები, ამიტომ ამ დასავლურ ქართულ სამეფოს „აფხაზეთის სამეფო“ ეწოდა. სომეხი ისტორიკოსები ტრადიციულად ამ სამეფოს ეგრისის სამეფოს უწოდებდნენ. ამრიგად, VIII ს-ის ბოლოსა და IX ს-ის დასაწყისში წარმოქმნილი „აფხაზეთის სამეფო“ დასავლურ ქართული სამეფოა, რომლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქართველები (ქართები, ეგრები, სვანები და სხვ.) შეადგენდნენ. მისი დედაქალაქი - ქუთაისი ქართული კულტურის უძველესი ცენტრი იყო. აფხაზეთის სამეფოს სახელმწიფო და კულტურულ-ლიტერატურული, შემდეგ კი საეკლესიო ენაც ქართული იყო. აფხაზეთის მეფეების ენერგიული მეცადინეობით აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც IX საუკუნემდე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შედიოდა, გამოეყო მას და უშუალოდ მცხეთის საკათალიკოსოს დაექვემდებარა. ამის შემდეგ აფხაზეთის სამეფოში მღვდელმსახურების ენა მხოლოდ ქართული იყო. აფხაზეთის მეფეებმა გააუქმეს ბიზანტიის დასაყრდენი ბერძნული საეპისკოპოსო კათედრები - ფოთის, გულაყვის და სხვ. მათ მაგიერ დააარსეს ახალი ქართული საეპისკოპოსოები - ჭყონდიდის, მოქვის, ბედიის. ეს საეპისკოპოსოები წარმოადგენდნენ ქართული კულტურის ცენტრებს.

ბიზანტიის ქვეშევრდომობიდან გათავისუფლების შემდეგ აფხაზეთის მეფეები აგარებდნენ ზოგად ქართულ პოლიტიკას და აქტიურად იყენენ ჩართულნი ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნისათვის ბრძოლაში.

4. ტაო-კლარჯეთის სამთავრო (ქართველთა საკურაპალატო). როგორც აღნიშნული იყო, არაბთა ბატონობის მთელი სიმძიმე ძირითადად ქართლის ცენტრალურ რაიონებს დააწვა, მაგრამ იქაც მათი ბატონობა უკანასკნელ დღეებს ითელიდა. VIII ს-ის ბოლო და IX ს-ის დასაწყისი, ქ ა რ უ ნ ა რ - რ ა - შ ი დ ი ს ხალიფობის პერიოდი (786-809), მართალია, ჯერ კიდევ არაბთა სახალიფოს გარეგნული ბრწყინვალების ხანაა, მაგრამ ამ დროს უკვე თავს იჩენს მოახლოებული პოლიტიკური კრიზისის პირველი ნიშნები. ეს განსაკუთრებით ამიერკავკასიაში შეინიშნება. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ მალ-მალე იცვლებიან ხალიფატის მიერ დანიშნული მმართველები. მაგალითად, ჰარუნ არ-რაშიდის დროს, 23 წლის მანძილზე კავკასიაში, იმის გამო, რომ იქ არ წყდებოდა აჯანყებები, 17 მმართველი შეიცვალა. არაბი მმართველები სასტიკ რეპრესიებს მიმართავდნენ. არაბი ისტორიკოსის ი ა კ უ ბ ი ს ცნობით, კავკასიის მმართველად დანიშნულმა ჰუზაიმა იბნ-ჰაზიმმა თავისთან გაიწვია ქართლის პატრიკიოსები და სეფეწულები (ე. ი. ქართლის მთავარნი), დახოცა ისინი მასვილით და საერთოდ იქცეოდა ისე სასტიკად, რომ ხელახლა გამოიწვია აჯანყება ჯურზანში (ქართლში) და სანარიაში (წანარეთში, კახეთში). ქართლში აჯანყებები გრძელდებოდა და ამ ბრძოლების ორგანიზატორი იყო ქართლის ერისმთავარი ა შ ო ტ I ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი.

ბაგრატიონების განთქმული საგვარეულო წარმომობით ძველისძველი ქართული თემიდან - ს ა ე რ ი დ ა ნ (მდ. ჭოროხის ხეობა, ახლანდელი ისპირი - თურქეთში) იყო. თავიანთი ენერგიული, წინდახედული და მოქნილი მოქმედებით ბაგრატიონებმა დიდი გავლენა მოიპოვეს VI-VIII საუკუნეებში. ერთი მათი შტო სომხეთში დაწინაურდა, მეორე - ქართლში, ორივეგან ბაგრატიო-

ნებმა მთავრობასა და მეფობას მიაღწიეს. საქართველოში მათ მეფობა XIX ს-ის დასაწყისამდე შეინარჩუნეს. როგორც აღნიშნული იყო, ქართლის პირველი ერისმთავარი გურგენ-გუარამი ბაგრატიონთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. მათი გვერდითი შტოს წარმომადგენლები იყვნენ პერეთის ერისთავები, რომლებიც შემდეგ დამოუკიდებელი მთავრები გახდნენ და მეფის ტიტულიც მიიკუთვნეს. უფრო ადრე „ქართველთა მეფის" ტიტული მიიღეს ტაო-კლარჯეთში დამკვიდრებულმა ბაგრატიონებმა (ადარნასემ, 888 წ.).

ოფიციალური ვერსიით, რომელიც დაფიქსირებულია თვით ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის ნაშრომში (X ს.), ბაგრატიონები ღვთიური წარმოშობის საგვარეულოა, კერძოდ, შთამომავალნი არიან დ ა ე ი თ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს ა, ამიტომ ენათესაებიან თვით მარიამ ღვთისმშობელს. თავიანთ თავს საქართველოს მეფეები უწოდებდნენ „იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონებს".

ამოტ I ბაგრატიონი ქართლის ერისმთავარი იყო VIII ს-ის ბოლოსა და IX ს-ის დასაწყისში. თავდაპირველად მას დიდი წარმატებები მოუპოვებია და თავისი ძალაუფლება გაუფრცელებია თბილისიდან ბარდავამდე, მაგრამ არაბებთან ბრძოლაში დამარცხებულა და იძულებული გამხდარა თავისი ოჯახითა და ამალითურთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, შავშეთსა და კლარჯეთში გადახვეწილიყო. ეს ტერიტორია უშუალოდ ბიზანტიას ესაზღვრებოდა და ბიზანტიელები მასზე ოფიციალურად აცხადებდნენ პრეტენზიას. ბიზანტიის სელისუფლებმა მფარველობაში მიიღეს არაბების წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი ქართლის ერისმთავარი, ყოველმხრივ შეუწყეს ხელი მის გაძლიერებას და ბოლოს, უმაღლესი საკარისკაცო პატივი კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ო ბ ა მიანიჭეს. ამოტმა კარგად გამოიყენა ეს ვითარება თავისი სამთავროს შესაქმნელად. იქაური ტერიტორიის დიდი ნაწილი არაბთა შემოსევების შედეგად აოსრებული და განადგურებული, მოსახლეობა კი უკიდურესად შემცირებული იყო. ამოტმა დაიწყო ამ ტერიტორიების სხვადასხვა გზით დაუფლება: ზოგი სოფელი იყიდა, ზოგი ახლად ააშენა, ზოგი კი ძალით დაიკავა, ადგილობრივ ფეოდალთა - მთავართა და აზნაურთა დიდი ნაწილი ყმობის პირობით დაიქვემდებარა. ამრიგად, ამოტმა ვრცელი საბატონო ერთეული - დიდი სამთავრო შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ძველი ქართული პროვინციები: შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ნიგალი, აჭარა, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი. მან თავის რეზიდენციად აქცია ჯერ კიდევ ეახტანგ გორგასლის დროს აშენებული ციხე-ქალაქი ა რ ტ ა ნ უ ჯ ი, რომელიც მაღალ კლდეზე მდებარეობდა და იმჟამად არაბთა შემოსევების შედეგად დანგრეული იყო. ამოტმა განაახლა არტანუჯის ციხე და მის ძირშივე დაიწყო ქალაქის მშენებლობა. ზედაციხეში მან წმინდა მოციქულების პეტრესა და პაველს სახელობის ტაძარი ააშენა და თავის სასაფლაოდ და კარის ეკლესიად აქცია. ახლად გაშენებული ქალაქი არტანუჯი დიდი მნიშვნელობის საეაჭრო გზების შესაყარზე მდებარეობდა, ამიტომ მალე დაწინაურდა და სამხრეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს ქალაქად იქცა.

ამოტი განაგრძობდა არაბების წინააღმდეგ ბრძოლას და ქართლის კვლავ დაუფლებას ცდილობდა. ერთ-ერთი ბრძოლისათვის სამზადისის დროს, რო-

დესაც მოლაშქრეებს აგროვებდა, მას არაბები დაესხნენ თავს. დეეხილი აშოტი ღალატით მოკლეს ნიგალის სევის ერთ-ერთ ეკლესიაში 826 წელს. ამით ისარგებლეს არაბებმა და კვლავ დაიკავეს ქართლი. აშოტს სამი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი დარჩა. მემკვიდრეებმა მხოლოდ გვიან შეძლეს თავიანთი სამთავროს სიძლიერის კვლავ აღდგენა.

5. თბილისის საამირო. აშოტ ბაგრატიონის აჯანყებისა და ქართლიდან გადასვეწის შემდეგ არაბებს სხვა არავინ დაუნიშნავთ ქართლის ერისმთავრად. ქართლის განმგებლობა მთლიანად ხელში აიღო თბილისის ამირამ. თბილისის ამირას ხელისუფლება, როგორც აღნიშნული იყო, დაწესდა VIII ს-ში. იგი ქართლს განაგებდა ერისმთავრის დასმარებით. თბილისის ამირას უშუალოდ სალიფა ნიშნავდა და იგი თანამდებობრივად ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის მმართველს, „არმინიის ვალის". მისი მთავარი მოვალეობა იყო სალიფას სასარგებლოდ სარკის აკრეფა და ქართლში არაბთა ბატონობისა და ხელისუფლების უბრუნველყოფა. არაბებს თავისი გარნიზონები ჰყავდათ ჩაყენებული თბილისსა და ქართლის სხვა ქალაქებში (რუსთავში, ლმანისში). საქართველოში საყოველთაო ანტიარაბულმა, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ახალი, დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნამ, არაბთა სასალიფოში დაწყებულმა დაშლის პროცესმა მკვეთრად შეცვალა თბილისის ამირების დამოკიდებულება სასალიფოს ცენტრისადმი. მათაც დაიწყეს განდგომა; ქვეყნიდან აკრეფილ სარკს ცენტრში აღარ აგზავნიდნენ და თვითონ ითვისებდნენ. მათ განდგომას მსარს უჭერდნენ ქართველი მეფე-მთავრები. ფაქტობრივად თბილისის საამიროც ჩვეულებრივ ქართულ სამთავროდ იქცა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მის სათავეში არაბული წარმოშობის ამირა იდგა თავისი არაბი მოხელეებით. თბილისის საამიროს ტერიტორია საკმაოდ შემცირებული იყო. იგი მთელ ქართლს აღარ მოიცავდა და ძირითადად თბილისით, თბილისის სანახებითა და ქვემო ქართლით იფარგლებოდა. ამ ტერიტორიის მოსახლეობის დიდ ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. სოციალური წყობა და მიწათმფლობელობის ფორმებიც ქართული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი სტრუქტურით იყო წარმოდგენილი. აქაური მცირე მთავრების სიუზერენი თბილისის ამირა იყო. არაბი ხალიფები ვერ ეგუებოდნენ სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ქართლის დაკარგვას და აქეთკენ კვლავ აგზავნიდნენ დამსჯელ ჯარებს.

თბილისის ამირებიდან თავისი ურჩობით განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ისჰაკ იბნ ისმაილ იბნ შუაბის, რომელსაც ქართული წყაროები ამირა საპაკს უწოდებენ. მისი ურჩობა 15 წელს გაგრძელებულა. მას ზურგს კახელები უმაგრებდნენ. არაბებმა მის წინააღმდეგ რამდენჯერმე გამოგზავნეს დამსჯელი ჯარი, მაგრამ დამარცხდნენ. ბოლოს ხალიფა მუთაჟაქილმა (847-861) დიდი ლაშქარი გაამზადა და მას სათავეში ჩაუყენა ცნობილი სარდალი ბუღა თურქი, რომელსაც ადრე თავი გამოეჩინა აზერბაიჯანში აჯანყებული ბაბეკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბუღა თურქი თბილისს შემოადგა 853 წლის აგვისტოში. არაბი ავტორების ცნობით, თბილისი საკმაოდ კეთილმოწყობილი და დაწინაურებული ქალაქი ყოფილა. იგი შე-



აგენის სიონის წარწერა: „თთუესა აგუსტოსსა კ-სა, დღესა შაბათისა, ქორონიკონსა ოგ-სა, ისმაიტელთა წელსა სლთ-სა, ქალაქი ტფილისი დაწუა ბული და შეიპყრა ამირაჲ საპაკ და მოკლა. და მასვე თთუესა აგუსტოსსა კ-სა დღესა შაბათსაკე ზირაქ შეიპყრა კახაჲ და ძმ მისი თარხუჯი".

მობღუდული იყო გალავნით, რომელსაც 5 კარი პქონდა დატანებული. ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფდა მდ. მტკვარი, რომელზედაც სიდი იყო გადებული. მტკვარზე აგებულ მცურავ წისქვილებში ფქვავდნენ სორბალსა და სხვა პურეულ კულტურებს. თბილისში კვლავ მოქმედებდა გოგირდოვანი, ბუნებრიული ცხელი წყლის აბანოები; გაჩაღებული ყოფილა ვაჭრობა და მოსახლეობაც დიდი რაოდენობით ჩანს. ნაგებობანი ძირითადად ხისგან იყო.

ქალაქის დამცველებმა გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ბუღა თურქს, ამიტომ მან საგანგებო ღონისძიებას მიმართა. მისი ბრძანებით ქალაქს დაუშინეს ცეცხლმოკიდებული ისრები, რამაც ქალაქში ხანძარი გააჩინა. ქარმა კიდევ უფრო გააძლიერა იგი. ამის შემდეგ არაბთა სარდალმა შეძლო ქალაქის აღება. თბილისში დაღუპულა 50.000 კაცი. თვითონ ამირა საპაკიც შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ასეთი რეპრესიების მიუხედავად, თბილისის ამირები IX ს-ის დამლევიდან ფაქტობრივად აღარ ემორჩილებოდნენ ხალიფებს. გარეგნული მორჩილების გამოსაგულება მხოლოდ ის იყო, რომ თბილისის ამირები ერთი ხანობა ფულს კიდევ ხალიფას სახელით ჭრიდნენ.



თბილისში მოჭრილი არაბული ვერცხლის დრამები.

სამეფო-სამთავროების ბრძოლა საქართველოში პირველობისათვის

ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნისთანავე იწყება მათ შორის ბრძოლა პირველობისათვის. ბუნებრივია, ყველა მათგანისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლში გაბატონებას. ქართლი საქართველოს ისტორიულ ცენტრს წარმოადგენდა. აქ ერისმთავრობის გაუქმების შემდეგ ადგილობრივი ქართული სელისუფლება აღარ არსებობდა. როგორც დავინახეთ, თბილისის ამირას ხელისუფლება მხოლოდ თბილისზე და ქვემო ქართლზეღა ვრცელდებოდა. ამიტომ ქართლის დანარჩენი ნაწილის დაუფლება აღნიშნულ სამეფო-სამთავროთა მესვეურთათვის პირველი რიგის ამოცანად იქცა. ასეთივე სამეფო-სამთავროები ჩამოყალიბდა სომხეთის ტერიტორიაზეც. სომეხი მეფე-მთავრებიც აქტიურად იწყებენ ჩარევას ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ბრძოლაში. ეს იმის გამოც, რომ ამ პერიოდის პოლიტიკოსების წინაშე ისახებოდა მთელი კავკასიის ერთიან ფეოდალურ სახელმწიფოდ გაერთიანების რეალური ამოცანა. ამას მოითხოვდა კავკასიის კულტურული ხალხების როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ინტერესები.

ქართლის დაუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო კახეთის პირველმა მთავარმა გრიგოლ ქორეპისკოპოსმა. მან დაიკავა მდ. ქსნის ხეობა და მისგან დასავლეთით მდებარე შიდა ქართლის დანარჩენი ტერიტორია. კახეთის მთავრის ასეთი მოქმედება არაფრად მოსწონებია აშოტ კურაპალატს, რომელიც, როგორც ყოფილი ერისმთავარი, თავის თავს ქართლზე კანონიერი უფლების მქონედ თვლიდა. მან დაიხმარა აფსამეთის მეფე თეოდოსი, ლეონ II-ის ძე, ხოლო გრიგოლ ქორეპისკოპოსის მსარე დაიჭირა თბილისის ამირამ. აშოტ კურაპალატმა დაამარცხა კახეთის მთავარი და შიდა ქართლი თვითონ დაიჭირა, მაგრამ მალე იძულებული გასდა უკან დაესია. როგორც აღნიშნული იყო, 826 წ. ქართლში არაბები შემოვიდნენ, უკუქცეული აშოტი კი ღალატით მოკლეს. აშოტის მცირეწლოვან შვილებს არაბებმა არა მარტო ქართლი ჩამოართვეს, არამედ თვით მათი უშუალო სამფლობელო შავშეთ-კლარჯეთიც დახარკეს. როდესაც აშოტის მემკვიდრეები წამოიმარდნენ, ბიზანტიის იმპერატორმა კურაპალატის ტიტული შუათანა ძმას ბ ა გ რ ა ტ ს მიანიჭა, ხოლო ორი დანარჩენი ძმა, ადარნასე და გუარამი, მას დაუქვემდებარა.

ბაგრატი უნარიანი და წინდახედული მმართველი გამოდგა. იგი მოხერხებულად იყენებდა ბიზანტიის დახმარებასაც და არაბების ძალასაც თავისი პოლიტიკური მეტოქეების წინააღმდეგ. მან თითქმის მთლიანად აღადგინა მამისდროინდელი მფლობელობა და ქართლიც დაიკავა. ბუღა თურქის ლაშქროაისას იგი თბილისის ამირას წინააღმდეგ გამოვიდა, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელს ემსრობოდა აფხაზეთის მეფე, რომელიც, თავის მხრივ, ქართლის დაკავებას ცდილობდა. ბაგრატმა, არაბების სარდალთან ერთად, შეძლო აფხაზთა მეფის დამარცხება და ქართლიდან უკუქცევა. ამით ბრძოლა ქართლისათვის არ დამთავრებულა. ყველა ამ ბრძოლის აღწერა მორს წაგვიყვანს, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სწრაფად იცვლებოდა ძალთა შეფარდება.

გუშინდელი მოკავშირენი შეიძლებოდა სვალ მტრად ქცეულიყვნენ და პირუკუ. ბრძოლები იყო სამთავროებს შიგნითაც. მაგალითად, აფხაზეთის სამეფოში ლეონ II-ის უმცროსი ვაჟის გიორგის შემდეგ დროებით ტახტი დაიკავეს სხვა გვარის წარმომადგენლებმა - შავლიანებმა (861-881), კახეთში ქორეპისკოპოსად შეიქნენ გარდაბანელი მთავრები დონაურთა გვარიდან, თეიმონ აშოტ ბაგრატიონის შთამომავლებს შორისაც სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა. აშოტის შვილიშვილმა ნასრ გუარამის ძემ ღალატით მოკლა თავისი ბიძაშვილი დავით ბაგრატის ძე (881 წ.), რომელსაც კურაპალატის ტიტული ჰქონდა. ამას მოჰყვა ხანგრძლივი ბრძოლა სახლიკაცებს შორის. ნასრს მხარს უჭერდა აფხაზეთის მეფე ბაგრატ დემეტრეს ძე და ოსთა მთავარი ბაყათარი. მათ უკან ბიზანტია იდგა და დახმარებასა და მხარდაჭერას არ აკლებდა. ამ ალიანსის წინააღმდეგ გამოვიდა მოკლული დავით კურაპალატის ძე აღარნასე, რომელმაც, თავის მხრივ, სომხები დაიხმარა. აღარნასემ მდ. მტკვრის პირას დაამარცხა მოწინააღმდეგენი, გაქცეულ ნასრს, მისი მამის მკელელს, დაედევნა და სამცხეში ს. ასპინძასთან მოუსწრაფა სიცოცხლე. ამ გამარჯვების შემდეგ აღარნასემ 888 წელს თავი ქართველთა მეფედ გამოაცხადა. ეს დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი იყო. ჯერ ერთი, აღარნასე ბაგრატიონი აცხადებდა თავის ერთადერთ უფლებას ქართლზე, რომლის დაკავებაშიც სხვა ქართველი თუ არაქართველი ხელისუფალნი ეცილებოდნენ და, მეორე მხრივ, ეს იყო ბაგრატიონთა სახლის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რაც ბიზანტიის კეისრის დიდმპყრობლური პრეტენზიების წინააღმდეგ იყო მიმართული. მალე აღარნასე, ქართველთა მეფე და კურაპალატი, სომხეთის საქმეებშიც ჩაერია. 891 წელს გარდაიცვალა მისი ერთგული მოკავშირე, სომხეთის მეფე აშოტი. იგი მაშინვე გაემგზავრა სომხეთს, სამგლოვიარო ცერემონიალის დამთავრებისთანავე აშოტის მემკვიდრეს სუმბატს თალსები გაასდევინა და სამეფო სამოსი ჩააცვა. ეს ამბავი იწყინა სუმბატის ბიძამ აბასმა, რომელსაც თეიმონ სურდა სომხეთში გამეფება, ამიტომ უკან გამობრუნებული აღარნასე შეიპყრო და ციხეში გამოჰკეტა. სომეხთა მეფე სუმბატმა დიდი გამოსასყიდი გაიღო თავისი მოკავშირის, ქართველთა მეფის გასათავისუფლებლად.

904 წელს კონსტანტინე აფხაზთა მეფემ ქართლი დაიკავა. მის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გამოვიდნენ აღარნასე ქართველთა მეფე და სომეხთა მეფე სუმბატი. მოკავშირეებმა დაამარცხეს კონსტანტინე, დაატყვევეს კიდეც და ანისში გაგზავნეს. ოთხი თვის ტყვეობის შემდეგ სომეხთა მეფემ გაათავისუფლა კონსტანტინე აფხაზთა მეფე და გუშინდელი მტრები ამჯერად უკვე მოკავშირედ იქცნენ. ეს ამბავი არაფრად მოეწონა აღარნასეს, მაგრამ სამაგიეროს გადასახდელად მოხერხებულ დროს უცდიდა. მართლაც, 914 წელს სომხეთში და შემდეგ ქართლში შემოვიდა არაბთა სარდალი აბულ კასიმი. აღარნასემ არაბების მხარე დაიჭირა. შეშინებულმა სუმბატმა სცადა აფხაზეთის მთებისთვის შეეფარებინა თავი, მაგრამ უკან დადევნებულმა ამირამ იგი შეიპყრო და ქ. დვინში ძელზე ჩამოჰკიდა.

აბულ კასიმის 914 წლის შემოსევა არაბთა უკანასკნელი დიდი ლაშქრობა იყო საქართველოში. მან აიღო უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები, მოაოსრა

სამცხე და ჯავახეთი. ეს მოწმობს იმას, რომ არაბები კელავ მკაცრი რეპრესიებით აპირებდნენ თავიანთი ბატონობის აღდგენას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, მაგრამ ვერც ამ ლაშქრობამ უშველა სალიფეს და მათი გაელენა X ს-ის შუა წლებიდან სრულიად გაქრა. როგორც აღნიშნული იყო, დარჩნენ მხოლოდ ამირები, რომლებიც ადგილობრივი ფეოდალებისგან თითქმის აღარაფრით გამოირჩეოდნენ.

აბულ კასიმის შემოსევამ კონსტანტინე აფხაზთა მეფეს დროებით უკან დაახევინა, მაგრამ მალე იგი კელავ შეუდგა ახალი ტერიტორიების დაპყრობას და ახლა საამისოდ კახეთის მთავრებს დაუკავშირდა. მოკავშირეებმა პერეთი დაიპყრეს და გაინაწილეს.

აფხაზთა სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა კონსტანტინეს შვილის გ ი ო რ გ ი ს (927-957) დროს. გიორგიმ კახეთის ნაწილი თავის გაელენას დაუმორჩილა. მან იმიერკავკასიელ ტომებზეც გააკრცელა თავისი გაელენა. მისი თაოსნობით ალანებმა ქრისტიანობა მიიღეს. ასევე ძლიერი იყო აფხაზეთის სამეფო გიორგის შვილის ლეონის დროსაც, მაგრამ ლეონის სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის დიდი უთანხმოება და შფოთი ჩამოვარდა და ეგრის-აფხაზეთის სამეფომ პირველობა უკვე ტაო-კლარჯეთს დაუთმო.

ტაო-კლარჯეთი X საუკუნეში. ეგრის-აფხაზეთის მეფეების მთავარი მეტოქეები საქართველოში პირველობისათვის ბრძოლაში იყვნენ ტაო-კლარჯეთის მფლობელი ბაგრატიონები. X საუკუნის პირველ ნახევარში მათი სამფლობელოები უკვე მდ. არაქსის ზემო ხეობამდე აღწევდა და აქვე ესაზღვრებოდა ბიზანტიის სამფლობელოებს. სამთავროს შემქმნელი აშოტ I დიდი ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა და, როგორც დავინახეთ, იგი სწორედ ბიზანტიის ხელშეწყობით მომძლავრდა. შემდგომში კი ტაო-კლარჯეთის მფლობელების დამოკიდებულება ბიზანტიის სამეფო კარისადმი თანდათანობით შესუსტდა და მხოლოდ ფორმალურ ხასიათსღა აგარებდა. მაგალითად, ბაგრატიონთა საგვარეულოს ცალკეული წარმომადგენლები ბიზანტიის იმპერატორისაგან იღებდნენ სსვადასხვა მაღალ საკარისკაცო ტიტულებს - კურაპალატობას, მაგისტროსობას, პატრიკიოსობასა და სხვ. სხვა მხრივ ისინი ფაქტობრივად დამოუკიდებელნი იყვნენ. ამ ამბავს საზი გაესვა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღარნასე კურაპალატმა „ქართველთა მეფის" ტიტული მიიღო. ბიზანტიის საიმპერატორო კარი მაინც ცდილობდა ჩარეულიყო სამთავროს საშინაო საქმეებში და ამ გზით იქ თავისი გავლენა გაეძლიერებინა. ტაო-კლარჯეთის სამთავროს ანუ „ქართველთა სამეფოს" პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურა ტიპობრივად პატრონყმური იყო, იერარქიულ-ვასალიტეტური სისტემით. „ქართველთა მეფეს" იერარქიულად მოსდევდნენ ერისთავთ-ერისთავები და ერისთავები. ესენი უმეტესწილად ბაგრატიონთა სახლიშვილები იყვნენ. ცალკე იდგნენ „მამფლები" ანუ მამაუფლები, რომლებსაც სამფლობელოები მოეპოვებინათ არა მხოლოდ მემკვიდრეობით, როგორც აშოტ დიდის შთამომავლებს, არამედ თვითონაც შეეძინათ ხმლითა თუ სხვა გზით. ფეოდალურად განვითარებული ქვეყანა ფაქტობრივად დანაწილებული იყო ცალკეულ ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა და მამფალთა, ამ თითქმის შეუზღუდავი ხე-

ლისუფლების მქონე ფეოდალთა სამფლობელოებად და მათ ნომინალურად აერთიანებდა მხოლოდ აშოტ დიდისაგან საერთო წარმომაელობა. თეორიულად ტაო-კლარჯეთის მფლობელ ბაგრატიონთა შორის ძირითადი მტო იყო ბაგრატ I-ის შთამომაველობა, რომლებმაც დაიმკვიდრეს „ქართველთა მეფის“ წოდებაც, მაგრამ მათ შორისაც ზოგჯერ პირველობდა არა ის, ვისაც ეს წოდება ჰქონდა, არამედ ის, ვისაც რეალური ძალაუფლება და ავტორიტეტი გაჩნდა. ასეთი იყო, მაგალითად, X საუკუნის მეორე ნახევარში ტაოს მფლობელი დავით III, ერისთავთ-ერისთავი და კურაპალატი. მის დროს „ქართველთა მეფის“ წოდებას აგარებდა ბაგრატ II „რეგვენად“ წოლებული, მაგრამ მისი გაველენა გაცილებით უმნიშვნელო იყო, ვიდრე დავით III „დიდად“ წოდებულისა.

დავით III-ს დიდი სახელი ქქონდა გავარდნილი მთელს აღმოსავლეთში. მისი თანამედროვე სომეხი მემატიანე სტეფანოზ ტაროსელი წერდა: „დიდი კურაპალატი დავით ჩვენი დროის ყველა სელმწიფეს აღემატებოდა თავისი ლმობიერებითა და მშვიდობისმოყვარე გულით. დავითმა დაამყარა მშვიდობა და კეთილწესიერება ყველა აღმოსავლეთის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. მან შეწყვიტა ომები, რომლებიც გამუდმებით ჩნდებოდა ყოველი მხრიდან და გაიმარჯვა ყველა გარშემო მცხოვრებ სალხზე“.

მისი ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან მონაწილეობა მიიღო იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში. 976-978 წლებში მცირე აზია სამოქალაქო ომის ასპარეზად იყო ქცეული. ახალგაზრდა იმპერატორ ბასილ II-ს (976-1025) აუჯანყდა მცირე აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სარდალი ბარდა სკლიაროსი, რომელმაც რამდენჯერმე დაამარცხა საიმპერატორო ჯარები და თავი იმპერატორადაც კი გამოაცხადა. აჯანყებულები დავითის სამფლობელოების მახლობლადაც დათარეშობდნენ. ეს საფრთხეს უქმნიდა მის ქვეყანასაც, ამიტომ დავითმა დაუყოვნებლივ თანხმობა განაცხადა, მონაწილეობა მიეღო აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მით უმეტეს, რომ იმპერატორი მას დიდ ტერიტორიულ საზღაურს ჰპირდებოდა. საიმპერატორო კარმა დახმარების თხოვნის წიგნით (წერილით) მასთან გამოგზავნა ათონის მონასტერში ბერად შემდგარი იოანე, რომელიც ადრე საქართველოს ცნობილი სარდალი იყო თორნიკეს საერო სასელით. დავით III-მ გაამზადა 12.000-იანი ცხენოსანი ჯარი და მისი სარდლობა იმავე თორნიკეს და ჯოჯიკს დაავალა. 978 წელს მდ. ჰალისის ნაპირზე, პანკალეასთან, ბიზანტიელთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მეამბოხე ბარდა სკლიაროსი, რომელმაც გაქცევით უშველა თავს. ქართველებმა დიდძალი სიმდიდრე იგდეს სელთ ნადაელის სახით, რომლის შემწეობითაც შემდეგ თორნიკე-იოანემ ააშენა ცნობილი ქართული მონასტერი ქალკედონში, ათონის მთაზე. ამას გარდა იმპერატორმა დავით კურაპალატს გადასცა დიდი მიწა-წყალი, რომელთა ნაწილი ბიზანტიის მფლობელობაში იყო, ნაწილი კი მაჰმადიანებს ეკავათ და დავითს ნება ეძლეოდა, ეს მიწები ძალით დაეკავებინა. ეს ქვეყნები იყო: კარინი ანუ არზრუმის მხარე, ბასიანის ქვეყანა მთლიანად, კლისურები, სევუქის ციხე მარდალიაში, ჰარქისა





დავით III კურაპალატის ჯვარი წარწერით: „ქრისტე, აღიქე ლეკვრძელობითა
დავით კურაპალატი. ამინ.".

და აპაჰუნიის მხარეები ვანის ტბასთან, ხალტო-არჭიშის ციხე და სხვ. დავითმა მართლაც შემოიერთა აღნიშნული ქვეყნები, მაგრამ მათი ფლობა მალე საეჭვო გახდა, რადგან იგი ძალაუნებურად ჩართული აღმოჩნდა რთულ პოლიტიკურ პერიპეტიებში. 986 წელს ბარდა სკლიაროსი კელაე გამოჩნდა ასპარეზზე. ბასილ II-მ მის წინააღმდეგ ძლიერი მხედრობა გამოიყვანა ცნობილი სარდლის ბარდა ფოკას მეთაურობით. ბარდა ფოკამ კელაე დავითს უსმო დასახმარებლად. ბარდამ მოტყუებით დააპატიმრა სკლიაროსი, მაგრამ იმპერატორსაც უღალატა და თავისი ჯარით ქართველებთან ერთად კონსტანტინოპოლისკენ დაიძრა. შეძრწუნებულმა ბასილ II-მ დასახმარებლად მიმართა კიევის დიდ მთავარს ელადიმირს და მისგან 6000-იანი მხედრობა მიიღო. მაგრამ ყველაფერი მოულოდნელად გადაწყდა. ბრძოლის დაწყების წინ ბარდა ფოკა უეცრად გარდაიცვალა და ბასილ II-მ იოლად მოიპოვა გამარჯვება. იგი თავისი მხედრობით ტაოსაკენ დაიძრა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი დავითი იძულებული გახდა მოლაპარაკება დაეწყო და პირობა მიეცა იმპერატორისათვის, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ტაოს მიწები ბიზანტიის საკუთრებაში გადავიდოდა. შემდგომ წლებში დავით კურაპალატის მემკვიდრეობის საკითხზე ხანგრძლივი დავა იყო ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის. ამჯერად კი პოლიტიკური წონასწორობა ამ ორ ქვეყანას შორის დროებით აღდგა.

დავით კურაპალატის მონეტა.

X ს-ის 90-იან წლებში დავითი განაგრძობს შეტევას მეზობელი მაპმადიანი მფლობელების წინააღმდეგ. არაბთა მფლობელობის სანაში სომხეთის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ თურქები. სომხეთის ისეთ მნიშვნელოვან ქალაქებში, როგორიც იყო მანასკერტი, ხლათი, ბერკერი, არჭეში და სხვ. მაპმადიანი ამირები ისხდნენ. 990 წელს დავითმა აიღო მდიდარი სავაჭრო ქალაქი მანასკერტი, 997 წელს ალყა შემოარტყა ქ. ხლათს (ვანის ტბის ჩრდ.-აღმ.). 998 წელს მის წინააღმდეგ გამოიყიდა მაპმადიანთა 100.000-იანი კოალიციური ლაშქარი ამირა მამლანის მეთაურობით, მაგრამ ქართველთა და სომეხთა გაერთიანებულმა ჯარმა გაბრიელ ოჩოპინტრეს ძეს სარდლობით სასტიკად დაამარცხა მომხდურნი. დამარცხებულ მტერს ქართველებმა არჭეშამდე სდიეს.

დავით III-ის ხელისუფლების სიძლიერეს მოწმობს მის დროს აშენებული შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები (ბანა, ოშკი). დავითის მოქრილია ვერცხლის ფული ქართული წარწერით: „ქრისტე, შეიწყალე დავით კურაპალატი". იგი ენერგიულად იღვწოდა ქართული კულტურის განვითარებისა და აყვავებისათვის. მისი დაკვეთით იქმნებოდა და ქართულად ითარგმნებოდა წიგნები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ათონის მთაზე მოღვაწე ქართველმა მწიგნობრებმა „მრავალნი წიგნი წარსცეს წინაშე დავით კურაპალატისა", ხოლო დავით კურაპალატი „ზედაისზედა მოუწერნ, რაითა თარგმნიდეს და წარსცმიდეს". მისი ასეთი ზოგადქართული პოლიტიკა იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოს გაერთიანების მესვეურებმა სწორედ იგი აირჩიეს ამ დიდი საქმის მოთავედ.

ქართული კულტურა VIII-X საუკუნეებში

არაბთა ბატონობამ რამდენადმე მნიშვნელოვანი კვალი ვერ დააჩნია ქართული კულტურის განვითარებას. მიუხედავად უაღრესად არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარებისა, იგი თავის ეროვნულ თვითმყოფად სახეს მაინც მტკიცედ ინარჩუნებდა. ამ მძიმე პერიოდში ქართულ კულტურას მოწინავე პოზიციები ეკავა არაბობის წინააღმდეგ და ქართველი ხალხის ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, ხოლო არაბთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ იგი განუხრელად დაადგა აღმავლობის გზას. თანდათან ქართული კულტურა იმ დონეზე ავიდა, რომ არა მარტო მხარს უსწორებდა მსოფლიო ცივილიზაციის უმთავრეს მესვეურს - ბიზანტიას, არამედ მეტოქეობასაც კი უწევდა მას.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში ბიზანტიური კულტურის ნიადაგზე ვითარდებოდა არა მარტო წინა აზიის ქრისტიანული ქვეყნების, არამედ დასავლეთ ევროპის კულტურაც. საქართველოშიც ფართოდ ითვისებდნენ ბიზანტიურ კულტურას. ქართულად ითარგმნებოდა ღირსშესანიშნავი თხზულებანი თეოლო-

გიაში, ფილოსოფიასა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში, როგორიცაა: იურისპრუდენცია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრამატიკა, ასტრონომია, ისტორია. ეს იმ მხრივაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ბიზანტიური მწერლობის და მეცნიერების ბევრი ნიმუში, რომლის ბერძნული ლექსი დაკარგულია, შემორჩენილია მხოლოდ ქართული თარგმანის სახით. მაგალითად, იპოლიტე რომაელის რიგი თხზულებანი, ე. წ. „იერუსალიმის განჩინება" ან „კანონი", არაერთი ჰაგიოგრაფიული თხზულება და სხვ. გარდა ბერძნული ენისა, ქართულად თარგმნიდნენ სხვა კულტურული ენებიდანაც, განსაკუთრებით არაბულიდან.

VIII-X საუკუნეების საქართველოში იქმნება ბევრი ორიგინალური ლიტერატურული და სამეცნიერო თხზულება. ქართული ლიტერატურიდან უკვე დასასელებული იყო ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ი ს „აბო ტფილელის წამება", მასთან ერთად უნდა დასასელდეს შესანიშნავი ჰაგიოგრაფიული თხზულებანი: ბ ა ს ი ლ ზ ა რ ზ მ ე ლ ი ს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", უცნობი ავტორების „ილარიონ ქართველის ცხოვრება", „კონსტანტი კასას მარტვილობა", „ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა", „წმ. ნინოს ცხოვრება", ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი ს „გობრონის მარტვილობა" და განსაკუთრებით გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე ს „გრიგოლ სანძთელის ცხოვრება". ეს ჰაგიოგრაფიული თხზულებანი ამავე დროს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული წყაროებიცაა. მათი საშუალებით წარმოჩინდება იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრება, მეურნეობა, საზოგადოებრივი წყობა და კულტურის დონე. ეს ძეგლები მოწმობაა იმისა, თუ რა მაღალ დონეზე იყო ასული ქართული სალიტერატურო ენა. აღსანიშნავია, რომ უკვე IX საუკუნეში ქართული ენა იყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში, პერეთსა და ეგრის-აფხაზეთის სამეფოში. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გავრცელდა ჩრდილო კავკასიაშიც, უპირველეს ყოვლისა, ჩერქეზებსა და ალანებში. ქართულის ასეთმა გავრცელებამ და მისი მწერლობის აყვავებამ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს ჩაუნერგა ღედაენის დიდი ღირებულებისა და ღირსების შეგნება. X ს-ის მწერალმა ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე მ აღტაცებული შესსმა, ოდა უძღვნა ქართულ ენას - „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ". ამ პიმნში ავტორი განსაკუთრებულ როლს აკისრებს ქართულ ენას მსოფლიო ენათა შორის. ამ დროის სასულიერო პოეზიის ანუ ჰიმნოგრაფიის შესანიშნავი წარმომადგენლები არიან მ ი ქ ა ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი, ი ო ა ნ ე მ ი ნ ჩ ხ ი, ი ო ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი. მათ შორის მიქაელ მოდრეკილმა (X ს.) შეადგინა ჰიმნოგრაფიული კრებული, საგანგებო სამუსიკო ნიშნებით, რომელნიც უთითებენ საგალობლის შესრულების დროს ხმის აწევასა და დაწევაზე, შესრულების რიტმზე.

ამ ხანიდან არსებობს ქართული საერო მსატვრული ლიტერატურაც როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური, მაგრამ მათგან მხოლოდ მცირე ნაწყვეტებმა მოაღწიეს ჩვენამდე. ისტორიოგრაფიული თხზულებებიდან შემორჩენილია უცნობი ავტორის „მოქცევაჲ ქართლისაჲ" რამდენიმე რედაქციით, რო-

სამშვილდის კარის (VIII ს.) ნანგრევები.

მელშიც მოკლედ გადმოცემულია საქართველოს ისტორია ქართლის სამეფოს წარმოქმნის დროიდან IX საუკუნემდე. ამ პერიოდის ქართულ საისტორიო-ლიტერატურულ-ფილოსოფიური თხზულება, როგორიცაა „სიბრძნე ბალავარისა". ეს იყო არაბულიდან თარგმნილი, ქრისტიანულად გადამუშავებული აღმოსავლური თქმულება ბუდას შესახებ. „ბალავარის სიბრძნე" თავისი ღრმა ამრეკლებისა და წარმტაცი მსატვრული თხრობის წყალობით ცნობილი გახდა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ ეფთიმე ათონელმა XI საუკუნეში ეს ნაწარმოები ქართულიდან ბერძნულად გადაიღო, ხოლო ბერძნულიდან იგი იმავე საუკუნის პირველსავე ნახევარში გადაითარგმნა ლათინურადაც და მთელს ევროპას მოედო.

განსილულ პერიოდში საქართველოში არსებობდა სასულიერო სკოლები, სადაც ახალგაზრდებს ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვასა და სპეციალურ საგნებს. ჩვეულებრივი იყო დიდებულთა მიერ ბავშვების აღსაზრდელად ცალკეულ კერძო პირებზე გაბარება. უფრო სრულყოფილი და უმაღლესი განათლების მისაღებად ახალგაზრდებს აგზავნიდნენ ძირითადად უცხოეთში. საქართველოში სწავლა-განათლებისა და მეცნიერების ცენტრები იყო მონასტრები, რომლებიც მრავლად დაარსდა უკვე VI საუკუნიდან.

განსაკუთრებით მძლავრად გაიშალა სამონასტრო მოძრაობა VIII ს-ის დამლევიდან ტაო-კლარჯეთში. იქ ამ მოძრაობის მეთაურად გვევლინება გრიგოლ სანძთელი და მისი მოწაფეები. სწორედ ამ დროს ჩნდება ტაო-კლარჯეთში ისეთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-კულტურული ცენტრები, როგორიც იყო: ოპიზა, შატბერდი, იშსანი, წყაროსთავი, ტბეთი, ოშკი, ბერთა, პარხალი, ბანა, სანძთა და სხვები.

ქართული მონასტრები მრავლად იყო უცხოეთშიც. ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა პალესტინაში არსებულმა



გურჯაანის ორგუმბათიანი ეკლესია (VIII ს.).

საბაწმინდის ლავრამ. VIII-X საუკუნეებში აქ ინტენსიურად მიმდინარეობდა დიდი ლიტერატურული მუშაობა. ასევე მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო X საუკუნეში სინას მთაზე დაარსებული ქართველთა სამონასტრო კოლონია. სინას მთაზე ამჟამადაც დაცულია ჩვენი უძველესი ხელნაწერები.

VIII-X საუკუნეებში დიდად დაწინაურდა ქართული ხელოვნება, განსაკუთრებით არაბთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ. ამ პერიოდში შექმნილ ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლებთან ერთად უკვე შეგვიძლია დავასახელოთ მონუმენტური მხატვრობის არაერთი ნიმუში. ქართული მხატ-

ოპიზის ტაძარი (VIII-X სს.).

ოშკი (X ს.)

ერობა თავისი საერთო სასიათით, პროგრამით, ძირითადი სტილისტიკური ნიშნებით უფრო ახლოა ბიზანტიურ სელოვნებასთან, ვიდრე ხუროთმოძღვრება, რომელიც საესებით დამოუკიდებლად ვითარდებოდა და სშირად უფრო მაღალ მწვერვალებსაც აღწევდა, ვიდრე იმ დროის ბიზანტიის არქიტექტურა.

ამ პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელია თემებისა და ფორმების დიდი მრავალფეროვნება, რაც კლასიკური ფორმების ძიების პროცესისათვის ჩვეულებრივი მოელენაა. მაგალითად, ს ა მ შ ვ ი ლ დ ი ს ს ი ო ნ ს (ქვემო ქართლი, VIII ს.) ეტყობა აშკარა კავშირი წრომის ტაძრის არქიტექტურასთან; გ უ რ ჯ ა ა ნ ი ს ყ ვ ე ლ ა წ მ ი ნ დ ა შ ი (კახეთი, VIII-IX სს.) უკვე იგრძნობა პროპორციების შეცვლა: სიგანესთან შედარებით სიმაღლის მომატება, აზიდულობა, რაც შემდგომში კიდევ უფრო აშკარა გახდა. აქვე პირველად გესხდება ორი გუმბათი, რაც ერთადერთ შემთხვევად დარჩა. ორგუმბათიანი ტაძრის თემა საქართველოში არ განვითარებულა.

სამხრეთ საქართველოსა და აფსაზეთში ამ დროს შენდება ბევრი ტაძარი, რომლებშიც ჩანს ახალი ფორმებისა და სტილის თანდათან შემუშავება. ასეთია ო პ ი ზ ი ს მონასტრის ეკლესია, ე ქ ე ქ ი ს და დ ო ლ ი ს ყ ა ნ ი ს ეკლესიები ტაო-კლარჯეთში (X ს.), ბ ი ჭ ვ ი ნ თ ი ს დიდი ტაძარი აფსაზეთში (Xს.). ამავე პერიოდში შემუშავდა ექვსაბსიდიანი, ცილინდრული ფორმის ეკლესიები (კ ა ც ხ ი არგვეთში, X ს., ბ ო ჭ ო რ მ ა კახეთში). მომდევნო ეპოქის მიჯნაზე დგას კ უ მ ურ დ ო ს ტაძარი, აგებული ჯავახეთში 964 წელს. შენობას შიგნით აქვს 5 აბსიდი და დასავლეთის სწორკუთხა მკლავი, გარედან ჯვრისებრი მოხაზულობით. მაღლააზიდულ ექვს ბოძზე დამყარებულია თაღები, რაც დიდ სივრცეს ქმნის და გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. X ს-ის ბოლო ათეული წლებიდან უკვე საბოლოოდ ყალიბდება ასალი სტილი, დამახასიათებელი განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრე-



სახელი (X ს.)

ბისათვის. მშენებლობას ფარითო გასაქანი ეძლევა, შესლება დიდი საეპისკოპოსო ტაძრები. გაბატონებულ ადგილს იკავებს წაგრძელებული, სწორკუთხა-გეგმიანი, გუმბათიანი ტაძრები, რომლებიც გეგმაში ჯვრის სახეს ქმნიან. მაღალ ყელზე შესმულია ოთხ სვეტზე დაყრდნობილი გუმბათი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფასადების მორთულობას ჩუქურთმებითა და დეკორაციული თაღებით. ამ სტილის ბრწყინვალე ძეგლებია იმავე X ს-ის ბოლო ათწლეულში აშენებული ო შ კ ი ს ა და ხ ა ხ უ ლ ი ს საეპისკოპოსო ტაძრები ტაოში.

საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, - სასახლეები, ციხე-დარბაზები, საქალაქო ნაგებობანი, - ნაკლებადაა შემორჩენილი, მაგრამ რაც არის, ისინიც ნათლად მიგვანიშნებს ამ სახის მშენებლობების ფართო გაქანებაზე განხილული პერიოდის საქართველოში.

შუა საუკუნეების საქართველოში არ განვითარებულა მრგვალი მონუმენტური სკულპტურა. მის მაგიერად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა რელიეფურმა ქანდაკებამ, რომელიც ხუროთმოძღვრების ძეგლების შესამკობად იქმნებოდა. ასევე განვითარდა ოქროსმქანდაკებლობა - ვერცხლისა და ოქროს რელიეფები ხატების, ჯვრებისა და სხვა საეკლესიო ნივთთა შესამკობად. ოქრომჭედლობასთან ერთად გავრცელდა მინანქრის ხელოვნება, ამზადებდნენ უმთავრესად ტიხროვან მინანქარს, რომლებიც გამოირჩეოდა ფერების ულამაზესი შესამებით. IX საუკუნიდან იწყება ხელნაწერი წიგნების მინიატურებით შემკობა. ქართული მინიატურებიც მაღალი ხელოვნებითაა შესრულებული.



V თავი

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა და განმტკიცება

საქართველოს გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები

საქართველოში ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნის პროცესი დაემთხვა არაბთა ბატონობისაგან გათავისუფლების ხანას. არაბთა ბატონობისაგან გათავისუფლებამ და მისი თანმმთხეეი გამანადგურებელი შემოსევების აღკვეთამ (საქართველოს თავს ესხმოდნენ არა მარტო არაბები, არამედ საზარებიც და სხვა იმიერკავკასიელი მომთაბარე ურდოები) საქართველოში ნორმალური სამეურნეო ცხოერების პირობები შექმნა. ქვეყნის საწარმოო ძალები კიდეე უფრო განვითარდა. სოფლის მეურნეობა ინტენსიური გახდა. ამას მოწმობს დიდი სარწყავი არხები და რთული რუსხმულები, ოსტატურად ნაგები წყალსადენები, მრავალგვარი ხორბლეულის ხოდაბუნები, დიდი ცოდნა-გამოცდილებით გაშენებული ზვარ-ვენახები, სეხილისა და თუთის ბაღები, ბაღჩა-ბოსტნები, სათიბები. სოფლის მეურნეობას ცალკე გამოეყო ხელოსნობა და ხელოსნური ნაწარმი სულ უფრო და უფრო ფართო საზოგადოების მოხმარების საგანი გახდა. წარმოიქმნა ასა-

ლი ქალაქები - ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების ცენტრები. IX-X საუკუნეები საქართველოს ისტორიაში ახალქალაქების ხანაა. ასეთი ახალქალაქები იყო, მაგალითად, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი (რამდენიმე), თმოგვი, ოლთისი, ახალციხე, თელავი და სხვ. გამოცოცხლდა და გაძლიერდა ძველი ქალაქებიც - თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, სამშვილდე, სუნანი. ამ ქალაქებში აყვავდა ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა. საქართველოში განეითარდა ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი, რაც კი ცნობილი იყო წინა აზიასა და ბიზანტიაში. გაფართოდა აღებ-მიცემობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ვაჭრობაში ჩართული იყო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქალაქები და მისი ვაჭარ-ხელოსნური მოსახლეობა, რომლებიც აქამდე ფეოდალებისა და საფეოდალოების სამეურნეო ინტერესებით იფარგლებოდნენ, ახლა უკვე გაიზარდნენ, დამოუკიდებელ ძალად იქცნენ და დაუპირისპირდნენ თავიანთ პატრონებს. ვაჭარ-ხელოსანთა და მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ფენა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და ფეოდალური დაქსაქსულობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად იქცა.

ცელილებები ხდება სოციალურ სფეროშიც. აზნაურებმა დაიყმევეს მდაბიორთა დიდი ნაწილი და მათზე თავიანთი ბატონობის შესანარჩუნებლად აუცილებლად სჭირდებოდათ მეფის ძლიერი ხელისუფლება. ამავე დროს წვრილ და მცირე შეძლების აზნაურებს დიდგვაროვნები ჩაგრავდნენ. ერთიანი საქართველოს მეფის სამსახურში ჩადგომა მათ დაწინაურების მეტ პერსპექტივას უსახავდა, ვიდრე დიდებულ აზნაურთა სამსახური და ყმობა. ამდენად, წვრილი და საშუალო შეძლების აზნაურთა მრავალრიცხოვანი ფენა ერთიანი საქართველოს მეფის ძლიერი ხელისუფლების მომხრე, დიდებულ-დიდგვაროვანი აზნაურობა კი მოწინააღმდეგე იყო. მეფის ხელისუფლების გაძლიერება მათ თვითნებობას ფრთებს შეაკვეცავდა, ამავე დროს ჩამოართმევდა იმ სასელმწიფო ყმა-მამულებსაც, რომლებიც მიტაცებული ჰქონდათ საერისთავოებისა თუ სხვა საგამგებლო ტერიტორიების დამკვიდრების შედეგად.

ქვეყნის გაერთიანებას აუცილებელს ხდიდა საგარეო საფრთხეც. დამპყრობლები არა მარტო აშკარა შემოტევით იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ, არამედ რეაქციონერ დიდაზნაურთა წაქეზებითა და ყოველმხრივი ხელშეწყობით ცდილობდნენ ჩაეშალათ საქართველოს გაერთიანების პროგრესული პროცესი.

ამრიგად, საქართველოს გაერთიანებით ყველა პროგრესული ძალა იყო დაინტერესებული, მის წინააღმდეგ კი შეურიგებლად იბრძოდა დიდაზნაურთა მნიშვნელოვანი ნაწილი. საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება ამ შეურიგებელი ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა.

ბაგრატ III - ერთიანი საქართველოს პირველი მეფე. გიორგი I

X საუკუნეში ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ბრძოლა საქართველოში პირველობისათვის მთელი სიმწვავით გაიშალა. აშკარად შეიმჩნეოდა ეგრის-აფსაზეთის სამეფოს უპირატესობა. ეგრის-აფსაზეთის მეფეები, ჯერ კონსტანტინე (893-922), შემდეგ კი მისი მემკვიდრე - გიორგი II (927-957) ქართლთან ერთად კახეთ-ჰერეთის დაკავებასაც ცდილობდნენ, მაგრამ ქართლის დიდაზნაურთა მცდელობით ეს საქმე ჩაიშალა. ამის განსორციელება ვერც ლეონ III-მ (957-967) შეძლო, სოლო მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო სანგრძლივი ბრძოლა ეგრის-აფსაზეთის ტახტისათვის. ბრძოლა მიმდინარეობდა მის ძმებს - დემეტრესა და თეოდოსს შორის. დემეტრემ შეიპყრო თეოდოსი და თვალები ამოსწვა. დემეტრე 975 წელს უშვილოდ გარდაიცვალა. უსინათლო თეოდოსის ერთადერთ მემკვიდრედ მისი დისწული, „ქართველთა მეფის" გურგენის ვაჟი ბაგრატი ითვლებოდა. ბაგრატი ამავე დროს ნაშვილები ჰყავდა დიდ დავით III კურაპალატს. ამრიგად, ბაგრატ გურგენის ძე იყო ამ სამი დიდი ხელისუფლის მემკვიდრე, ამიტომ, ბუნებრივია, მისმა პიროვნებამ საქართველოს გაერთიანებით დაინტერესებულ სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღება მიიპყრო. და აი, ქართლის ერისთავმა იოანე მარუშისძემ მიმართა წინადადებით დავით III კურაპალატს, რათა მას ან თვითონ აეღო ხელთ ქართლში ძალაუფლება, ან ხელი შეეწყო მისი აღზრდილისა და შვილობილის ბაგრატის გამეფებისათვის.

დავითმა უყოყმანოდ თავისი შვილობილის გამეფებას დაუჭირა მხარი და მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატი ჯერ კიდევ სრულწლოვანი არ იყო, საჩქაროდ თავისი ჯარით ქართლისაკენ გაეშურა (975 წ.). ამ დროს უფლისციხეს, ქართლის პოლიტიკურ ცენტრს, კახელთა ქორეპისკოპოსი კვირიკე II შემოსდგომოდა. მან შეიტყო თუ არა დავით კურაპალატის ქართლში შემოსვლის ამბავი, დაუყოვნებლივ გაეცალა ქართლს. უფლისციხესთან დავით კურაპალატს იოანე მარუშისძე მიეგება. აქვე შეიკრიბნენ ქართლის დიდაზნაურები, რომლებსაც დავითმა ბაგრატისადმი მორჩილება უბრძანა. არასრულწლოვან ბაგრატს დავითმა თანაგანმგებლად მისივე მამა გურგენი დაუნიშნა.

ეგრის-აფსაზეთში უსინათლო თეოდოსის მეფობისას შინაარეულობა გრძელდებოდა, ამიტომ თვითონ ადგილობრივ აზნაურთა თხოვნით ბაგრატმა ქუთაისის ტახტი დაიკავა, უსინათლო თეოდოსი კი თავის მამობილთან, დავითთან გაგზავნა. 980 წლიდან უკვე სრულწლოვანი ბაგრატი დამოუკიდებლად შეუდგა მეფობას.

ბაგრატის მეფობის დასაწყისშივე თავი იჩინა უთანხმოებამ მეფესა და ქართლის დიდგვარიან აზნაურებს შორის. ქართლის დიდაზნაურები შიშობდნენ, რომ მეფის გაძლიერება გამოიწვევდა მათი მამულების შეუვალობის (იმუნიტეტის) აღკვეთას, ამავე დროს მეფე მოიკითხავდა სახელმწიფო მიწებს, რომლებიც მათ ჰქონდათ დაჩემებული. ამიტომ, როდესაც ბაგრატ მეფემ დასავლეთ საქართველოდან ქართლში გადმოსვლა მოინდომა, მას საზღვართან

ბაგრატის კარიერი ქუთაისში (XI ს-ის დასაწყისი).

დასუდნენ ქართლის დიდგვარიანი აზნაურები ქ ა ე თ ა რ ტ ბ ე ლ ი ს მეთაურობით და ომი აუტეხეს. ბაგრატი მათ შეებრძოლა, დაამარცხა და მიმოფანტა. იგი ქართლში გადმოვიდა, უფლისციხეს დადგა და ქვეყნის მართვა-გამგეობას თვითონ შეუდგა. თრიალეთის პატრონი და კლდეკარის ერისთავი რ ა ტ ი ბ ა ღ ვ ა შ ი მეფეს მაინც არ ემორჩილებოდა. 989 წელს ბაგრატმა ისიც დაამარცხა და დაიმორჩილა. მეფემ მტკიცე ადმინისტრაციული ღონისძიებებით მთელს ქვეყანაში წესრიგი დაამყარა.

1001 წელს გარდაიცვალა ბაგრატ III-ის მამობილი, ტაოს მეფე დავით III კურაპალატი. ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II ჯარით დაუყოვნებლივ გამოეშურა ტაოსკენ. აქვე მოვიდნენ ქართველთა ჯარით მეფე ბაგრატი და მისი მამა გურგენი. ბასილ კეისარმა დავითის სამფლობელო ტაო თავისთვის დაიჭირა. ამრიგად, დავითის სამფლობელოების შემკვიდრეობით მიღება მხოლოდ ომით შეიძლებოდა, მაგრამ ბაგრატმა და გურგენმა წინდასვლა გამოიჩინეს და ბიზანტიის იმპერატორს ამჯერად ომი არ აუტეხეს. ბასილ II-მ მამა-შვილს ბიზანტიური ტიტულები - კურაპალატობა და მაგისტროსობა მიანიჭა, ესეც უფროს-უმცროსობის წესის დარღვევით, მაგ-

ბაგრატ III-ის დრაამა.

რამ ბაგრატმა და გურგენმა ამჯერად დათმობა ამჯობინეს და იმპერატორის ეს წყალობა მადლობით მიიღეს.

1008 წელს ბაგრატის მამა, გურგენ მეუე გარდაიცვალა და მის უშუალო განმგებლობაში მყოფი შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი ბაგრატ III-ის საბრძანებელს შემოუერთდა. **ამის შემდეგ ბაგრატი იწოლებოდა „აფხაზთა და ქართველთა მეფედ“**, სოლო 1010 წლიდან, როდესაც მან ძალით ჯერ პერეთი (რანი) და შემდეგ კახეთიც დაიკავა, უკვე იწოლებოდა „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“.

კახეთისა და პერეთის შემოერთება ბაგრატს ბრძოლით მოუხდა. კახეთის ქორეპისკოპოსს დავითს (976-1010) ქართლის ციხეები ჰქონდა დაკავებული. ბაგრატმა კახეთის მთავარს მოსთხოვა ამ ციხეების დაცლა. მაგრამ უარი მიიღო. ბაგრატმა თიანეთის მხრიდან დაიწყო კახეთის წინააღმდეგ შეტევა და ბრძოლით დაიკავა პერეთი, სადაც მთავრად დასვა თავისი „ერთგული და მისანდობელი“ პირი აბულალი.

კახეთში ლამქრობის წინ ბაგრატ III-მ რადიკალური ღონისძიებები განახორციელა თავის სამეფოში სელისუფლების განმტკიცების მიზნით. მემატიანე აღტაცებულია მეფის მოქმედებით და მის საქმიანობას მენავეთმოძღვრის, ე. ი. სომალდის კაპიტნის, სელოვნებას ადარებს: „ეითარცა ხელოვანმან მენავეთმოძღუარმან განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა; რამეთუ მცირედ ამსილოს ყოველთა, ვინ უკუე პოვის ურჩი და მისსა ადგილსა, განადიდოს ერთგული და მისანდობელი თეისი“. პატრონყმობის დროს ყმის ნებაყოფლობით ერთგულებას პატრონისადმი, პატრონი-სიუზერენის სიძლიერისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ყმას შეეძლო წასელოდა თავის პატრონს და სხვას ყმობოდა. ბაგრატმა დაარღვია ეს პრინციპი და ყმა-მთავრებისგან უსიტყვო მორჩილება მოითხოვა. უფრო მეტიც, მან ასეთ ურჩ მთავრებს ჩამოართვა სამფლობელოები და თავის „ერთგულ და მისანდო“ პირებს გადასცა. პერეთში თავდაპირველად ბაგრატს არ განუხორციელებია ასეთი რადიკალური გარდაქმნები. არ ჩანს, რომ მას ადგილობრივი დიდებული ფეოდალები შეეზღუდოს ან მათთვის სამფლობელო-საფეოდალოები ჩამოერთმიოს. ქვეყანა მან მხოლოდ ყმადნაფიცობის პირობით დაიქვემდებარა და მის სათავეში თავისი „ერთგული და მისანდობელი“ ყმა-მთავარი, აბულალი დასვა. მაგრამ პერეთის მსხვილი ფეოდალები (მთავარ-სენიორები) შიშობდნენ, რომ ბაგრატი საბოლოოდ აქაც ისეთივე ღონისძიებებს განახორციელებდა, როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, ე. ი. მცირე ურჩობისათვის გადააყენებდა, ჩამოართმევდა სამფლობელოს (სამთავრო-სენიორიას) და მათ ადგილზე თავის ერთგულ და მისანდო მოხელეებს - ახალ ერისთავებს დასვამდა. ამიტომ ბაგრატის პერეთიდან წასელისთანავე „მიიქციეს კაცნი პერეთისანი და მიერთნეს დავითს; აღიღო დავით ჰერეთი“. ჰერმა დიდებულებმა არჩიეს უფრო მცირე შეძლების დავით ქორეპისკოპოსი ჰყოლოდათ პატრონად, ვიდრე „თვითმპყრობელი“ ხელისუფლებისაკენ მტკიცედ მაეალი, ერთიანი საქართველოს ისეთი ძლიერი მეფე. როგორიც ბაგრატ III იყო.

ბოჭორმის ციხის ნახვრეტები

ამის შემდეგ ბაგრატმა ხელახლა დალაშქრა ჰერეთი და ქვეყნის შემოსილ-ერიებლად გადამწყვეტი ღონისძიებები განახორციელა. მან ძალით დაიკავა არა მარტო ჰერეთის, არამედ კახეთის ციხეებიც, აიღო ბოჭორმის ციხეც, სადაც თავშეფარებული იყო კახეთის ახალი დიდი მთავარი, ქორეპისკოპოსი კვირიკე III (1010-1037); ორი წლის ბრძოლების შემდეგ „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წამოიყვანა კვირიკე და დაიჭირა თვისსა კარსა შელა". ახლად შემოერთებულ კახეთ-ჰერეთში ბაგრატმა თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად ისეთივე ღონისძიებები განახორციელა, როგორც ადრე დასავლეთ საქართველოში, სადაც „ურწნი თვისნი შეცვალა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა". ისინი იყვნენ მის მიერ დანიშნული **ახალი ერისთავები, ერისთაეობა კი უბრუნდებოდა თავის ძველ შინაარსს, ე. ი. მოხელეობას. ბაგრატის მიერ დანიშნული ერისთავები იყვნენ საერისთაოთა განმგებელი მოხელეები (მოსაკარგაევნი) და არა სენიორი-მფლობელები (მთავრები).**

ასე, თანდათან ერთიანდებოდა საქართველო ძლიერ სახელმწიფოდ. მისი გაერთიანება-გაძლიერება არაფრად მოსწონდათ არაბ დამპყრობთა დარჩენილ ხელისუფალთ ამიერკავკასიაში. მაგალითად, განძის ამირა ფ ა დ ლ ო ნ ი განუწყვეტლივ თავს ესხმოდა კახეთ-ჰერეთის ტერიტორიას და აქედან ბაგრატის განდევნას ცდილობდა.

ბაგრატ მეფემ დაიხმარა სომხეთის მეფე გ ა გ ი კ I (991-1020) და ფადლონის წინააღმდეგ საერთო ლაშქრობა წამოიწყო. 1011 წელს მოკავშირეები საამიროში შეიჭრნენ და ქვეყანა დაარბიეს. მათ ალყა შემოარტყეს და აი-

ბელის ტაძარი

ღეს ქალაქი შანქორი. 1012 წელს განძის ამირა ფადლონი ძალებული გახდა, ყმადნაფიცობის პირობით, ბაეი ეთხოვა. საქართველოს მეფემ განძის ამირას ყოველწლიური ხარკის გადახდა დააკისრა და, საქიროების შემთხვევაში, ქართველთა სასარგებლოდ ლაშქრობა დააეალა.

ბაგრატ III 1014 წელს გარდაიცვალა. მისი ნეშტი მის მიერვე აგებულ ბელის ტაძარში მიაბარეს მიწას.

ბაგრატ III-მ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გაერთიანებას. მართალია, თბილისის საამიროს ტერიტორია ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ რჩებოდა, მაგრამ მისი დღეებიც დათვლილი იყო. საჭირო იყო წინდახედული მოქმედება. სამწუხაროდ, მის მემკვიდრეს, გ ი ო რ გ ი I - ს (1014-1027) ასეთი წინდახედულობა არ აღმოაჩნდა. მან მთელი ყურადღება ბიზანტიის მიერ მიტაცებულ დავით კურაპალატის სამფლობელოების დაბრუნებაზე გადაიტანა, მაგრამ ვერც ეს შეძლო და შემოერთებული კახეთ-ჰერეთიც დაკარგა. კახეთ-ჰერეთის დიდგვნაურებმა შეიპყრეს ბაგრატის მიერ დანიშნული ერისთავები და მეფე გიორგი აიძულეს კახეთის დატყვევებული მეფე კ ვ ი რ ი კ ე გაეთავისუფლებინა. ამრიგად, კახეთ-ჰერეთი კვლავ ჩამოშორდა ერთიან საქართველოს და იქ კვირიკე III (1010-1037) გამეფდა

ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II 1014-1016 წლებში ბულგარელებს ეომებოდა. ამით ისარგებლა გიორგი I-მა და ტაო დაიკავა. ბასილ კეისარმა ბულგარელები სასტიკად დაამარცხა (ამისთვის მიიღო მან ბულგართმელეტის სა-

ხელი) და მთელი თაეისი ძალით საქართველოს კენ წამოვიდა. 1021 წელს სოფ. შ ი რ ი მ ნ თ ა ნ მოხდა გადამწყეეტი ბრძოლა, რომელშიც ქართველები დამარცხდნენ. 1022 წელს გიორგი მეფე იძულებული გახდა დათანხმებოდა ზაეის მეტად მძიმე პირობებს: საქართველოს მეფე ბიზანტიას უბრუნებდა დავით კურაპალატის სამფლობელოებს და 3 წლით მძეელად აძლეედა თაეის მცირეწლოეან შვილს ბაგრატს. 1027 წელს გიორგი I მოულოდნელად გარდაიცვალა.

ბაგრატ IV. გიორგი II. საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარება XI საუკუნეში

1027 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანეს 7 წლის ბ ა გ რ ა ტ IV. მეფის მცირეწლოეანობით ისარგებლეს დიდგვარიანმა აზნაურებმა და კიდეე უფრო აიშეეს თავი. ისინი მტრის მხარეზე გადასელასაც არ ერიდებოდნენ. 1028 წელს საქართველოში ტაო-კლარჯეთის მხრიდან ბიზანტიის ჯარი შემოეიდა და ბეერმა დიდაზნაურმა მტერს უბრძოლეელად გადასცა თაეისი ციხესიმაგრე. ბიზანტიელების მხარეზე გადავიდა ზოგიერთი მღვდელმთავარიც. ამ მძიმე ეითარებაში მაინც გამოჩნდნენ პატრიოტები, რომლებმაც მტრის შეეოტევას სამშობლოსთეის თავგანწირეა დაუპირისპირეს. მათ შორის გასსაკუთრებით ისახელა თავი ეპისკოპოსმა ს ა ბ ა მ ტ ბ ე ე ა რ მ ა, რომელმაც ტ ბ ე თ შ ი (შავშეთში) ციხე ააგო, იქაური მცხოვრებლებისაგან ჯარი შექ-



ოშკის ტაძრის კედელზე შემორჩენილი ფრესკა, რომელიც ასახავს ბანას ტაძარში ბაგრატ IV-ის მეუღლე კურთხეეის ცერემონიალს.

ᲛᲜᲐ და ᲛᲒᲔᲠᲡ ᲛᲔᲓᲒᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲡᲕᲓᲐ. ᲛᲐᲚᲔ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲚᲝᲑᲝ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ, ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ Ⲙ Ⲁ Ⲣ Ⲓ Ⲁ Ⲙ Ⲓ ᲓᲐ ᲛᲪᲔᲡᲗᲘᲡ ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ Ⲙ Ⲉ Ⲗ Ⲥ Ⲓ Ⲥ Ⲉ Ⲇ Ⲉ Ⲕ Ⲓ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲛᲐ ᲑᲐᲒᲠᲐᲢ IV-Ს ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲜᲔ ᲛᲘᲐᲗᲮᲝᲕᲐ ᲪᲝᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲑᲐᲕᲔᲓᲜᲔᲜ. ᲡᲐᲛᲬᲣᲗᲐᲠᲝᲓ, ᲔᲚᲔᲜᲔ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲘᲨᲚᲐ. ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲜᲢᲠᲘᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲩᲐᲦᲔᲡ. ᲛᲐᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲣᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲗᲥᲛᲘᲗ, ᲒᲐᲓᲐᲘᲑᲘᲠᲔᲡ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲡ ᲜᲐᲡᲣᲤᲐᲠᲫᲛᲐ Ⲇ Ⲓ Ⲙ Ⲓ Ⲧ Ⲣ Ⲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲝᲓ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ Ⲁ Ⲛ Ⲁ-Ⲕ Ⲟ Ⲫ Ⲓ Ⲓ Ⲥ ᲪᲘᲮᲔ ᲐᲤᲣᲡᲐᲫᲔᲗᲨᲘ. ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐᲗ. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲛᲔᲤᲣᲡ. ᲘᲒᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲮᲓᲐ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲪᲘᲪᲔᲣᲚᲘᲧᲝ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ, ᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲝ ᲪᲘᲡᲔ-ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲜᲐᲙᲝᲤᲘᲐ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲣᲠᲗᲣᲚᲓᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜᲐᲪ. ᲒᲐᲜᲫᲘᲡ ᲐᲛᲘᲠᲐᲛ ᲣᲐᲠᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲛᲐᲓᲜᲐᲬᲘᲪᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲢᲔᲕᲐᲨᲘᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲔᲛᲫᲘᲕᲘᲓᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲯᲐᲠᲗᲛᲐ, ᲙᲚᲓᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ Ⲗ Ⲓ Ⲡ Ⲁ Ⲣ Ⲓ Ⲧ Ⲗ Ⲓ Ⲡ Ⲁ-Ⲣ Ⲓ Ⲧ Ⲓ Ⲥ ᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ Ⲓ Ⲉ Ⲁ Ⲛ Ⲉ Ⲁ Ⲃ Ⲁ Ⲁ Ⲃ Ⲁ Ⲥ ᲫᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲗ, ᲣᲠᲩᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲣᲐᲥᲪᲘᲐ. ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔᲬᲚᲝᲕᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲔᲡ ᲓᲘᲓᲒᲕᲐᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲗᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲝᲓᲐᲗ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲚᲘᲞᲐᲠᲘᲢ ᲚᲘᲞᲐᲠᲘᲢᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲐᲡᲘᲐ-ᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲚᲝᲑᲘ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲡ ᲓᲘᲓ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲗᲔᲘᲗᲝᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲚᲝᲓ.

1032 ᲬᲔᲚᲡ ᲚᲘᲞᲐᲠᲘᲢ ᲚᲘᲞᲐᲠᲘᲢᲘᲡ ᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲐᲑᲐᲖᲐᲡ ᲫᲔᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲘᲠᲐ Ⲯ Ⲁ Ⲫ Ⲁ Ⲣ Ⲓ ᲓᲐᲐᲢᲧᲔᲕᲔᲗᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲡ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝ ᲓᲐᲔᲙᲐᲕᲔᲑᲘᲜᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲨᲘᲜ Ⲯ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲚᲔᲯ ᲛᲪᲘᲠᲔᲬᲚᲝᲕᲐᲜᲛᲐ (13 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲝ) ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲛᲐ, ᲡᲡᲕᲐ ᲓᲘᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲠᲩᲔᲕᲘᲗ, ᲐᲛᲘᲠᲐ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐ ᲓᲐ ᲧᲛᲐᲓᲜᲐᲤᲘᲪᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲥᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲐ. ᲐᲛᲐᲜ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲚᲘᲞᲐᲠᲘᲢ ᲚᲘᲞᲐᲠᲘᲢᲘᲡ ᲫᲔ ᲣᲐᲔᲠᲔᲡᲐᲓ ᲒᲐᲐᲜᲐᲬᲧᲔᲜᲐ. ᲡᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲛᲐ, ᲙᲚᲓᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲗ, ᲒᲐᲜᲘᲖᲠᲐᲮᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲘᲠᲝᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲐᲚᲧᲐ ᲨᲔᲛᲝᲐᲠᲒᲧᲐ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲚᲧᲐ ᲝᲠ Ⲯ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲐᲡᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲛᲐ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲚᲧᲐ ᲛᲝᲡᲡᲜᲐ ᲓᲐ, ᲙᲚᲓᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲙᲘᲗᲡᲐᲕᲐᲓ, ᲐᲛᲘᲠᲐᲡ ᲓᲐᲔᲑᲐᲐ (1040 Ⲯ.). ᲐᲛ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲚᲘᲞᲐᲠᲘᲢᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲔᲛᲢᲔᲠᲐ ᲐᲡᲐᲚᲒᲐᲑᲠᲓᲐ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲛᲒᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲘᲓ ᲝᲛᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ.

1045 Ⲯ ᲬᲔᲚᲡ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲐᲐᲣᲥᲛᲔᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲐᲡ ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲡ. ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲝᲛᲔᲡᲛᲐ ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ Ⲁ Ⲛ Ⲓ Ⲥ Ⲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲓᲐ, ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ, ᲡᲝᲛᲔᲡᲗᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲡᲔᲚᲔᲥᲔᲠᲘᲛᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲛᲐ ᲐᲜᲘᲡᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲔᲚᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲘᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲐᲧᲔᲜᲐ. ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ Ⲯ ᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲘᲧᲝ. ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲛᲐ ᲐᲜᲐᲙᲝᲤᲘᲘᲡ ᲪᲘᲡᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲔᲚᲕᲔᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ; ᲐᲡᲔᲕᲔ ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘᲡ ᲑᲚᲕᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲪᲘᲡᲔ Ⲩ Ⲫ Ⲁ Ⲧ Ⲓ Ⲥ ᲓᲐᲡᲐᲞᲧᲠᲝᲑᲐᲓᲐᲪ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ

ბაგრატ IV-ის მონეტა.

მოულოდნელად მისი ყურადღება სულ სხვა, უფრო მნიშვნელოვანმა ამბებმა მიიპყრო.

1046 წელს თბილისის ამირა ჯაფარი უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა და თბილისის მოქალაქეთა თაეკაცებმა ქალაქი მეფე ბაგრატს გადასცეს. ბაგრატმა ანაკოფიის ციხესთან სხვა სარდალი დატოვა, თვითონ კი თბილისისკენ გაემართა. თბილისის მცხოვრებლებმა ბაგრატს ქალაქის მისადგომთან საზეიმო შეხვედრა მოუწყეს და დიდი ამბით საქართველოს დედაქალაქში შემოიყვანეს. მაგრამ თბილისის მოქალაქეთაგან საქართველოს მეფისთვის თბილისის გადაცემა ყველას როდი სურდა. ისინი ძირითადად ქალაქის მაპმადიანური ფენის წარმომადგენლები იყვნენ. მათ ჩააგდეს ხიდი და მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ი ს ნ ი ს ციხეში გამაგრდნენ. ბაგრატმა საზეიმოდ ჩაიბარა ქალაქის კლიტენი და შეუდგა ბრძოლას ისნის ციხეში გამაგრებულთა წინააღმდეგ. მან საალყო მანქანები - ფილაკავანნი მიუყენა ისნის ციხეს და ლოდები და ისრები დაუშინა. ისნის ციხესთან ბრძოლის დროს მეფესთან გამოცხადდა კახეთის მეფე გ ა გ ი კ ი თავისი დიდებულებით და მშვიდობა ითხოვა. ბაგრატი ამჯერად დათანხმდა კახეთის მეფის წინადადებას და განაგრძო ბრძოლა ისნის ასაღებად. ბრძოლა მთელი ზაფხული გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში ლიპარიტის მოღალატურმა მოქმედებამ ბაგრატს ანისიც დააკარგვინა და თბილისიც სელიდან გამოაცალა.

ლიპარიტმა ღალატით შეიპყრო ანისის მმართველად დატოვებული ქართველი ერისთავები, რის შემდეგაც სომეხთა კათალიკოსმა პეტროსმა ანისი ანგარებით ბერძნებს გადასცა. ბაგრატმა თბილისიც დატოვა და ლიპარიტის წინააღმდეგ გაემართა. ამის შემდეგ ატყდა დაუნდობელი ბრძოლა მეფესა და გამდგარ კლდეკარის ერისთავს შორის. ეს ბრძოლა ათ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. ლიპარიტი თვითონაც ძლიერი ფეოდალი იყო და მას ბიზანტიის კეისარიც ენერგიულად უჭერდა მხარს. ბიზანტია გაძლიერებულ საქართველოში ხედავდა თავის მეტოქეს, რომელიც მას აღმოსავლეთიდან განდევნას უპირებდა, ამიტომ იგი ყველა საშუალებით ცდილობდა ჩაეშალა საქართველოს გაერთიანება. აჯანყებული კლდეკარის ერისთავი ბიზანტიელი პოლიტიკოსებისათვის შესანიშნავ იარაღად იქცა. მათი დახმარების შედეგად იყო, რომ ბაგრატ მეფესთან ბრძოლაში მეტწილად ლიპარიტი იმარჯვებდა. ლიპარიტმა ბაგრატ მეფეს ბევრი ენება მიაყენა, იმდენად, რომ ღონემისდილი მეფე ბაგრატი 1054 წელს იძულებული გახდა ლიპარიტთან შესარიგებლად ბიზანტიაში გამგზავრებულიყო და კეისრის შუამდგომლობა ეთხოვა. კეისარმა ბაგრატ IV და

მისი ურჩი ყმა დააზაეა. ბაგრატს მსოლოდ სახელადღა შერჩა მეფობა, ლიპარიტი კი მთელი სამხრეთ საქართველოს მთავრად აღიარეს. მან ისარგებლა ბაგრატის საქართველოში არყოფნით და მეფედ აკურთხა ბაგრატის მცირეწლოვანი შვილი გიორგი. თავისი თავი კი მის მბრუნველად დაინიშნა. ამრიგად, საქართველოს ფაქტობრივი მართვა-გამგეობა მთლიანად ლიპარიტის ხელში გადავიდა. მაგრამ მისი ასეთი განდიდება სხვა ფეოდალებმა ვერ აიტანეს. მესხმა აზნაურებმა ს ულ ა კ ალ მ ა ს ე ლ ი ს მეთაურობით ლიპარიტი და მისი ძე ივანე შეიპყრეს და მეფეს მიპგვარეს. მეფემ ლიპარიტი იძულებით ბერად აღკვეთა და საქართველოდან გააძევა, მაგრამ მისი ძე ივანე დაინდო, ჩამოართვა მსოლოდ კლდეკარის ერისთავობა, საგვარეულო მამულები კი შეუნარჩუნა და სპასალარადაც დანიშნა. ბაგრატისა და ივანეს შერიგების შემდეგ მეფე ბაგრატ IV კვლავ გაძლიერდა და წარმატებით ილაშქრა კახეთ-ჰერეთში, რომლის საქართველოსთან საბოლოო შემოერთება ჰქონდა განზრახული. მაგრამ ეს განძრახვა თ ურ ქ - ს ე ლ ჩ უ კ ე ბ ი ს შემოსევებმა ჩაშალა.

თურქ-სელჩუკების შემოსევები საქართველოში. XI საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს დიდი საფრთხე დაემუქრა. შუა აზიიდან დაძრული ტალღა თურქთა მრავალრიცხოვანი ტომებისა, რომელთა სათავეშიც სელჩუკთა საგვარეულო იდგა, სტიქიურ უბედურებასავით დაატყდა თავს მთელს წინა აზიას. თურქთა ეს მომთაბარე-მეჯოგე ურდოები, დედაწულიანად აყრილნი და დასავლეთისკენ დაძრულნი, ცეცხლითა და მახვილით იპყრობდნენ ქვეყნებს, თავიანთი საქონლისათვის ყიშლაღ-იალაღებად აქცევდნენ კულტურული მეურნეობით დაკავებულ მხარეებს. მათი იდეური დროშა ისლამი იყო, ამიტომ განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ ქრისტიან მოსახლეობას. თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს ირანი, მესოპოტამია, სირია, პალესტინა, შეიჭრნენ იერუსალიმში, მიაღწიეს სმელთაშუა ზღვას. გადმოცემით, თურქთა სულტანმა მ ა ლ ი ქ - შ ა ჰ მ ა (1072-1092) ხმელთაშუა ზღვის ტალღებში შეაგდო ცხენი და ალაპს მადლობა უძღვნა ესოდენ დიდი წყალობისათვის.

თურქ-სელჩუკებმა სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიაც, სოლო 1071 წელს მანასკერტის ბრძოლაში თვით იმპერატორი რომანოზ დიოგენი დაატყვევეს. ბიზანტია იძულებული იყო თავისი აღმოსაელური პროვინციების დიდი ნაწილი თურქებისათვის დაეთმო. ამრიგად, საქართველო მარტოდმარტო აღმოჩნდა თურქთა უზარმაზარი ძალის წინაშე.

პირველად საქართველოში თურქ-სელჩუკები, სულტან ა ლ ფ - ა რ ს ლ ა ნ ი ს (1063-1072) მეთაურობით, 1064 წელს შემოიჭრნენ. მათ მოარბიეს სამხრეთ საქართველო, აიღეს ჯავახეთის ასალქალაქი, გაძარცვეს და დიდძალი მოსახლეობა ამოხოცეს. თურქებმა მოაოხრეს, აგრეთვე, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო. გადმოგვცემენ, რომ დახოცილთა სისხლით მტკვარი წითლად იყო შეღებილი. თურქები ამჯერად დაზავების გარეშე გაეცალნენ საქართველოს. თურქთა ამ ლაშქრობას საქართველოს მეფე ბაგრატ IV საგონებელში არ ჩაუგდია. პირიქით, მან განაგრძო ბრძოლა კახეთის დასაკავებლად და თვით შარვანსაც შეუტია, რომლის მფლობელი ფ ა რ ი ბ ურ ზ შ ა რ ვ ა ნ შ ა ჰ ი თურქებს დაემორჩილა და ხარკიც იკისრა.

1068 წელს სელჩუკთა სულტანი ალფ-არსლანი კელაე დაიძრა საქართველოსკენ. ამჯერად მან აღმოსავლეთის მხრიდან შემოუტია. თურქია სულტანს მორჩილებით მიუეიღნენ როგორც ფარიბურზ შარვანშაჰი, ისე კასეთის გამაპმადიანებული მეფე აღსართანი, სომეხთა მეფე კეირიკე და თბილისის ამირა. თურქებმა სასტიკად დაარბიეს ქართლი და შემდეგ არგვეთიც. მხოლოდ ზამთრის სიფიცხემ აიძულა სულტანი, ბავის დაუდებლად საქართველოდან წასულიყო. წასვლის წინ მან თბილისი და რუსთავი განძის პატრონს ფ ა ღ ლ ო ნ ს გადასცა.

მეფე ბაგრატ მაინც შეუპოერად მოქმედებდა. საქართველოდან თურქ-სელჩუკთა წასვლისთანავე მან სულტნის მიერ აქ დატოვებულ ფადლონსა და მის ჯარს მუსრი გაავლო და შემდეგ თვით ფადლონიც შეიპყრო. ასევე, თბილისის ამირაც დაამარცხა, ცისველი ჩამოართვა და საამირო ყმადნაფიცობის პირობით დაიქვემდებარა, ყოველწლიურად 44.000 დრაკანი სარკი შეაწერა. ბაგრატ IV 1072 წელს გარლაიცვალა ისე, რომ მას თურქთა წინაშე ქედი არ მოუხრია და არც სარკი უკისრია.

სულ სხვა პოლიტიკას დაადგა მისი მემკვიდრე გ ი ო რ გ ი II (1072-1089). იგი შედარებით სუსტი ნებისყოფის მმართველი იყო და შექმნილ ვითარებაში ვერ იღებდა მოქმედების სწორ გეგმს. ვერც საგარეო და ვერც საშინაო ასპარეზზე მან წარმატებას ვერ მიაღწია. ჯერ იყო და მას აუჯანყდნენ დიდგვარიანი ამნაურები და ქვეყანა საშინლად არიეს. მაგალითად, ნ ი ა ნ ი ა ქ ვ ა ბ უ ლ ი ს ძ ე მ თვით ქუთაისიც კი დაიკავა, სახელმწიფო საჭურჭლე ჩაიგდო სელში. მეორე დიდგვარიანმა ვ ა რ დ ა ნ სვანთა ერისთავმა ეგრისი დაარბია. მეფეს განუდგა ი ვ ა ნ ე ლ ი პ ა რ ი ტ ი ს ძეც, რომელმაც თურქების მსარე დაიჭირა.

მეფე გიორგი II-მ დასჯის მაგივრად, ისინი წყალობით ააცსო და თითოეულ მათგანს სამფლობელოები გაუდიდა. ასეთმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაათამამა მეამბოხენი, სოლო მეფეს ავტორიტეტი დაუკარგა. ამასობაში თურქები კელაე გადმოვიდნენ შეტევაზე. მართალია, გიორგი მეფემ ფარცსისთან ბრძოლაში დაამარცხა თურქთა სარდალი, მაგრამ ბიზანტიასთან დადებული ბავის შემდეგ თურქ-სელჩუკებმა საქართველო დაიმარგოხელეს და უკვე მის საბოლოოდ დასაპყრობად დაიძრნენ. 1080 წლიდან დაიწყო თურქთა დიდი შემოსეევები, რომელსაც ქართულ წყაროებში „ დ ი დ ი თ უ რ ქ ო ბ ა“ ეწოდება. სულტანმა მალიქ-შაპმა საქართველოში დიდძალი თურქული ტომები შემოიყვანა. მეფე გიორგიმ თავი დამარცხებულად სცნო, მორჩილების გამოცხადებით სულტანს ისპაპანში ეახლა და ყოველწლიური სარკიც იკისრა. ამის მიუსედავად, გრძელდებოდა საქართველოში თურქ-მომთაბარეთა სულ ასალი და ასალი ურდოების ჩამოსახლება, შეეიწროვებულ ქართულ მოსახლეობას გადაშენების საფრთხე ელოდა. საქართველოს სამეურნეო ფართობის დიდი ნაწილიც მომთაბარე თურქმანებს დაეპყრათ და ესეც ქართული მიწათმფლობელობისა და ძირძველი კულტურული მეურნეობის აღმოფხვრას გამოიწვევდა. ერთადერთი, რაც გიორგიმ მალიქ-შაპისაგან მიიღო, ეს იყო დამხმარე ჯარი, თითქოსდა კასეთისა და ჰერეთის დასაკაეებლად, მაგრამ ეს საქ-

მეც საქართველოს მეფემ ბოლომდე ვერ მიიყვანა. იგი თურქების ჯართან ერთად პერეთის ერთ-ერთ მთავარ ციხეს ე ე ჯ ი ნ ს შემოადგა, მაგრამ გაახსენდა, რომ იმერეთში (აჯამეთის გვეში) ნადირობის სეზონი დაწყებულ, მიატოვა ვეჯინი, მტრის ჯარს „საჭმელად" ივრისპირა კახეთი დაანება და თვითონ დასავლეთ საქართველოსკენ გაეშურა. ასეთი პოლიტიკისი მძიმე მდგომარეობაში მყოფ საქართველოს ვერ გამოადგებოდა. 1088 წელს საქართველოში საშინელი მიწისძერა დაწყო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და რომელმაც დიდძალი ციხე-ქალაქი და სოფელი იმსხვერპლა. ამას დაერთო მკაცრი ზამთარი, გაზაფხულს კი საშინელი წყალდიდობა მოაყვა. ამ სიძნელეებს, რა თქმა უნდა, გიორგი II თავს ვერ გაართმევდა.

მეფე დავით IV აღმაშენებელი

1089 წელს საქართველოს სამეფო კარზე მოხდა პოლიტიკური გადატრიალება. ქვეყნის მომაველით დაინტერესებულმა სახელმწიფო მოღვაწეებმა აიძულეს გიორგი II გადამდგარიყო და მეფობა თავისი 16 წლის ვაჟისთვის - დ ა ვ ი თ ი ს თ ვ ი ს დავთმო. დ ა ვ ი თ IV-ის გამეფებით და ქვეყნის სამეფოსთან ამ პროგრესულ მოღვაწეთა დასის მოსაზლით სრულიად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური კურსი როგორც თურქების, ისე დიდგვარიანი აზნაურების მიმართ. დავით მეფის ყოველ მოქმედებაში და ყოველ ნაბიჯში ჩანდა წინდახედულება და შორს გამიზნულობა. რა თქმა უნდა, ეს ამ ქვეყნისათვის თავდადებულ პირთა გამოცდილება და დამსახურება იყო, რომლებიც ერთგულად ამოუდგნენ მსარში ახალგაზრდა მეფეს. მათ სათავეში იდგა დავითის აღმზრდელი და მისი უფროსი თანამოღვაწე გ ი ო რ გ ი მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ს უ ც ე ს ი. თვითონ დავითიც იმთავითვე იჩენდა ძლიერ ნებისყოფას, დიდ ნიჭსა და მსედართმთავრობის შესანიშნავ უნარს.

ქვეყნის წინაშე გადაუდებელ ამოცანად იდგა უძლიერეს ფეოდალთა თვითნებობის აღკვეთა და თურქი დამპყრობლების საქართველოდან განდევნა. მეფე, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ძალის რეორგანიზაციას შეუდგა. მრავალრიცხოვან დამარცხებათა შედეგად ქართველთა ლაშქარი დეზორგანიზებული და მორალურად გატეხილი იყო. დავითმა წვრილი და საშუალო აზნაურებისაგან ჩამოაყალიბა მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად გაწვრთნილი სამხედრო რაზმები. მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა და მტკიცდებოდა. ამ ერთგულთა რაზმებით იგი თავს ესხმოდა და ანადგურებდა მოთარეშე თურქებს, ამავე დროს ავიწროებდა ჩამოსახლებულ თურქმანებს და მათ ციხეებიდან გარეთ გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა. დაზავების პირობის მიხედვით სარკის კეთილსინდისიერად გადახდით იგი სულტნის კარისაგანაც მოითხოვდა, რომ თურქებს ადგილობრივი მოსახლეობა არ შეევიწროებინათ. ამ პირობის დამრღვევებს იგი მუსრს ავლებდა და თურქ მომთაბარეებსაც აიძულებდა თანადათან საქართველოს ტერიტორია დაეტოვებინათ. ქართველ მოსახლეობას შამა-პაპათა ნასახლარებზე დაბრუნების საშუალება მიეცა. თანდათან ქვეყნის დიდ ნაწილში ნორმალური ცხოვრებისა და მეურნეობის აღ-

დავითი აღმაშენებელი. გელათის ფრესკა.

დგენის პირობები შეიქმნა, რამაც დაუყოვნებლივ გამოიღო შედეგები. ქვეყანაში გამოცოცხლდა ეკონომიკური ცხოვრება და მოსახლეობაც მომრავლდა. დავითი ასევე მტკიცე ხელით შეუდგა უძლიერეს ფეოდალთა ნახევრად დამოუკიდებელი საფეოდალოების გაუქმებას და დიდგვარიანი აზნაურების ურჩობის ალაგმვას. მათ შორის კვლავ პირველობდა კლდეკარის ერისთავი ლ ი - პ ა რ ი ტ ბ ა ღ ვ ა შ ი , იმ ლიპარიტის შვილიშვილი, რომელმაც სიცოცხლე გაუმწარა ბაგრატ IV-ს. დავითმა წინდასწული მოქმედებით ყველას დაანახა, რომ აუცილებელი იყო მისი და მისი მსგავსების მკაცრად დასჯა. მან გამო-

უსწორებელი ერისთავი შეიპყრო და საქართველოდან გააძევა, მისი სამფლობელო საერისთავო კი კვლავ სახელმწიფო საკუთრებად აქცია. ასევე დაუნდობლად გაუსწორდა იგი მეამბოხე ძ ა გ ა ნ ა ბ უ ლ ე თ ი ს ძ ე ს. ამ უძლიერეს ფეოდალთა დამარცხებით მეფემ დასძლია დიდგვარიან აზნაურთა ყოველგვარი ურჩობა და წინააღმდეგობა.

დავითმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გააგარა მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის. მან მაღალი თანამდებობიდან გადააყენა გვარიშვილობით დაწინაურებული და მეფის აშკარად თუ ფარულად მოწინააღმდეგე დიდმოხელენი და მათ ადგილას თავისი ერთგული და ქვეყნის სამსახურში თავგამოჩენილი აზნაურები დააწინაურა.

ამასობაში თურქ-სელჩუკთა დიდ, ერთიან სახელმწიფოს ღლე დაელია. 1092 წელს სულტანი მალიქ-შაჰი გარდაიცვალა და მის ძმასა და შვილებს შორის აგყდა დაუნდობელი შინაომი ძალაუფლებისათვის. მასში მონაწილეობას იღებდნენ ცალკეულ მხარეთა მმართველი ამირები თუ ათაბაგები. შედეგი ის იყო, რომ ნაძალადევად და ხელოვნურად გაერთიანებული თურქთა იმპერია დაიშალა მრავალ ურთიერთმოქიშპე პოლიტიკურ ერთეულად, ყოველივე ეს საქართველოს მათ წინააღმდეგ ბრძოლას უადვილებდა.

ამავე დროს დაიწყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდი ომი თურქების წინააღმდეგ ქრისტიანთა წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად. ეს იყო, ე. წ. ქრისტიანული ქვეყნების „ჯვაროსნული ლაშქრობანი" თურქ მაჰმადიანთა წინააღმდეგ. ამ ლაშქრობებმა თურქების ყურადღება დასავლეთისაკენ გადაიტანა, თანაც თავდაპირველად მათ მარცხი მარცხზე განიცადეს. 1097 წელს ევროპელმა ჯვაროსნებმა ძლიერ შეავიწროვეს თურქები მცირე აზიასა და სირიაში, ხოლო 1099 წელს სელთ იგდეს პალესტინა - იერუსალიმი. გამხნევებულმა ბიზანტიამაც შეუტია დამპყრობელ თურქებს. ამრიგად, საქართველოს მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა - თურქთა პირისპირ ის უკვე მარტო აღარ იყო.

დავით მეფემ სწორად შეაფასა შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, მტკიცედ დაიჭირა ჯვაროსანთა მხარე და იერუსალიმთან მებრძოლ ევროპელებს ჯარიც კი მიაშველა, სულტანს სარკის ძლევა შეუწყვიტა და ქართულ მიწა-წყალზე მომთაბარე თურქთა წინააღმდეგ გადამჭრელი შეტევა დაიწყო.

დავითის მონეტა

ბრძოლის საბოლოო გამარჯვებამდე მისაყვანად აუცილებელი იყო საქართველოს ძალთა სრული მობილიზება, ქვეყნის ისეთი დიდმნიშვნელოვანი მსარე კი, როგორიც იყო კახეთ-ჰერეთის სამეფო, განზე იდგა და საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განმათავისუფლებელ ომში მონაწილეობას არ იღებდა. აუცილებელი იყო მისი შემოყვანა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში.

კახეთ-ჰერეთის ყველა დიდგვარიანი ფეოდალი როდი იყო საქართველოსთან გაერთიანების მომხრე. მათი ნაწილი თავიანთი „დიდგვარიანული" ინტერესების დასაცავად და ფეოდალური „შეუვალობის" შესანარჩუნებლად მტრის მსარეზე გადასელასაც არ თაკილობდა. მაგრამ ადგილობრივი აზნაურების პროგრესული ნაწილი უფრო ძლიერი იყო და ისინი გადაჭრით მიემხრნენ საქართველოს მეფის გამაერთიანებელ პოლიტიკას. 1104 წელს კახეთის აზნაურებმა ქ ა ვ თ ა რ მ ა, ა რ ი შ ი ა ნ მ ა და ბ ა რ ა ბ მ ა შეიპყრეს თავიანთი გამაპმადიანებული მეფე აღსართანი და საქართველოს მეფეს ბიძგვარეს. დავითმა დაიკავა კახეთის ტერიტორია, მისი დიდი ნაწილი სამეფო დომენად აქცია, სოლო განმგებელ-მოსაკარგავედ ა რ ი შ ი ა ნ ი დანიშნა. თურქთა სულტანი მეტად შეაწუხა ისეთი მნიშვნელოვანი მოსარკე ქვეყნის დაკარგვამ, როგორიც კახეთ-ჰერეთი იყო, ამიტომ მან შემდეგ წელსვე გამოგზავნა დიდი ლაშქარი განძის ათაბაგის მეთაურობით. მტერს მოღალატე დიდაზნაურებიც მიუვიდნენ, მაგრამ 1105 წელს ე რ წ უ ხ თ ა ნ ბრძოლაში დავითმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თურქთა ლაშქარზე. როგორც ამ ამბების თანამედროვე ისტორიკოსი გადმოგვცემს, მეფე დავითი მოწინავეთა რიგებში იბრძოდა, მას 3 ცხენი მოუკლეს და მეოთხეზე ამხედრებულმა გასასრულა ეს დიდმნიშვნელოვანი ომი. კახეთ-ჰერეთის შემოერთებამ შესამჩნევად გაზარდა საქართველოს ეკონომიკური და სამხედრო ძალები.

საქართველოს გაერთიანების დამთავრებისა და მეფის ხელისუფლების განმტკიცებაში ერთ-ერთი ძირითადი როლი ეკლესიას ეკუთვნოდა, მაგრამ საქართველოს ეკლესიის მმართველობის საჭე ხელთ ეპყრათ დიდგვარიან აზნაურთა სასლიშვილებს და ისინი თანაუგრძნობდნენ უფრო რეაქციულ დიდფეოდალთა ფრთას, ვიდრე ქვეყნის პროგრესისთვის მებრძოლ სამეფო ხელისუფლებას. აუცილებელი იყო ეკლესიაში ძირეული გარდაქმნების განხორციელება. ასეთი გარდაქმნების მოთხოვნებს აყენებდნენ ფართო საეკლესიო წრეები, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებს გამოხატავდნენ. მოწინავე საეკლესიო მოღვაწენი იმთავითვე იბრძოდნენ ეკლესიის მმართველობაში დიდგვარიან-ფეოდალთა განუყოფელი ბატონობის, საეკლესიო კათედრების მემკვიდრეობით ან ქრთამის გაღების გზით დაუფლების წინააღმდეგ. მაღალი საეკლესიო თანამდებობების დაკავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მისცემოდა პირად ღირსებას და არა გვარიშვილობას. ასეთ შეხედულებებს აყენებდა ჯერ კიდევ XI საუკუნეში ცნობილი ქართველი მეცნიერი და საეკლესიო მოღვაწე გ ი ო რ გ ი ა თ ო ნ ე ლ ი.

ეკლესიის საკითხების მოწესრიგება საეკლესიო კრების საქმე იყო. ამ მიზნით, მეფის ბრძანებით, 1105 წელს მოიწვიეს სრულიად საქართველოს საეკ-

ლესიო კრება, რომელიც მიმდინარეობდა ქართლში, რ უ ი ს ი ს ა და უ რ ბ ნ ი ს ი ს საეკლესიო კათედრალებში. ამიტომ ეს კრება ცნობილია რ უ ი ს - უ რ ბ ნ ი ს ი ს ს ა ე კ ლ ე ს ი ო კ რ ე ბ ი ს სახელწოდებით. კრების გადაწყვეტილებით ეკლესიიდან დაუნდობლად გააძევეს უღირსი მღვდელმთავრები და მათ ადგილზე „ჭეშმარიტნი მწყემსნი" დაადგინეს. კრებამ მიიღო „ძეგლის დება" (ე. ი. დადგენილება), რომლითაც აღმოფხვრა ის უწესობანი, რაც დასადგურებული იყო ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. რუის-ურბნისის კრების მნიშვნელობა დიდზე დიდია. მან, უპირველესად, დიდგვარიანთა რეაქციულ ოპოზიციას ჩამოამორა დიდი ძალისა და ზეგავლენის მქონე მოკავშირე - ეკლესია და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივ განმტკიცებას, ისე ერის მნეობრივ განწმენდას. ეს იყო ამავე დროს მეფის ხელისუფლების დიდი პოლიტიკური გამარჯვებაც, რის სამუდამოდ უზრუნველსაყოფად დაეითმა საგანგებო ღონისძიებები გაატარა.

მეფის უახლოესი მრჩეველი და მისი სამწიგნობროს (კანცელარიის) განმგებელი იყო მწიგნობართუხუცესი (კანცლერი), რომელიც, ჩვეულებრივ, უბრალო ბერი იყო სოლმე. მაგრამ იგი თავისი მდგომარეობით უაღრესად განსწავლული და სახელმწიფო საქმეებში კარგად ჩახედული პიროვნება იყო. განსხვავებით სხვა დიდგვარიან დიდმოხელეთაგან, მას როგორც ბერს, საკუთარი სამამულო და სამემკვიდრეო ინტერესები არ გააჩნდა, ამიტომ უაღრესად ერთგული იყო მეფისა და ქვეყნისა. დავითმა ეს უბრალო ბერი ქვეყნის სათავეში მოაქცია და სხვა საეპიროების თავმჯდომარეობა დააკისრა. ამავე დროს მას შეუთავსა ერთ-ერთი უმაღლესი საეკლესიო თანამდებობა - ჭყონდიდის ეპისკოპოსობა - ჭყონდიდელობა. ამრიგად, იგი მეფის უმაღლესი მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც. შემდგომში მწიგნობართუხუცესებს სხვა საეპისკოპოსოებიც გადაეცემოდათ სოლმე, მაგალითად, ბედიელ-ალავერდელობა, უჯარმელობა და ა. შ. ასეთი გზით მეფე აკონტროლებდა ეკლესიის საქმიანობასაც.

პირველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო მეფის აღმზრდელი და პოლიტიკური მრჩეველი გ ი ო რ გ ი მ ო ნ ა ზ ო ნ ი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩატარებაში. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ევალებოდა საეკლესიო საქმეების მეთვალყურეობა. ამავე დროს იგი ჩაყენებულ იქნა უზენაეს სასამართლო ორგანოს - „საჯო კარის" სათავეშიც. მასვე ჰქონდა მეფისადმი არა მარტო რჩევის მოვალეობა, არამედ რჩევის უფლებაც: მის უკითხავად ქვეყნის მართვა-გამგეობაში არაფერი კეთდებოდა. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ყველგან და ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი. იგი მეფის „მამად" და „ვაზირად" იწოდებოდა და მისი თანამდებობა ამკარად დიდგვარიან დიდმოხელეთა საპირისპიროდ იყო მიმართული, ამიტომ, ბუნებრივია, რომ დიდგვარიან აზნაურებს სძულდათ ესოდენ გაძლიერებული ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და ყველა საშუალებით ებრძოლნენ მის ხელისუფლებას.

ქვეყნის შიგნით მდგომარეობის განმტკიცებისთანავე დავით მეფემ გააძლიერა საქართველოში ჩამოსასლებულ თურქთა წინააღმდეგ ბრძოლა. 1110 წელს მან აიღო უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი ს ა მ შ ვ ი ლ დ ე , რის შემდეგაც თურქებმა უბრძოლველად დატოვეს ქვემო ქართლის დიდი ნაწილი. 1115 წელს ქართველებმა ქალაქი რ უ ს თ ა ვ ი ც გაათავისუფლეს. დამპყრობელთა ხელში რჩებოდა საქართველოს დედაქალაქი თ ბ ი ლ ი ს ი , მაგრამ იგი ასლა ყოველი მხრით გარშემორტყმული იყო ქართველთა ძალებით.

1117 წელს აღებულ იქნა ჰერეთის უკიდურესი აღმოსავლეთის განაპირა ქალაქი გ ი შ ი . დავით მეფე ზედიზედ გამანადგურებელ დამარცხებებს აყენებდა თურქ დამპყრობლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 1118 წელს ქართველებმა თურქებს ხელიდან გამოგლიჯეს უძლიერესი ციხესიმაგრე ლ ო რ ე , რომელიც თურქთა დასაყრდენი იყო სამხრეთ საქართველოში.

საქართველოდან მტერი თითქმის განდევნილი იყო, მაგრამ მათი ხელახალი შემოჭრის საფრთხე მანამ არ აღმოიფხვრებოდა, სანამ ისინი საქართველოს უშუალო მეზობელ ქვეყნებში, როგორიც იყო შარვანი და სომხეთი, რჩებოდნენ. აუცილებელი იყო თურქების განდევნა მთლიანად ამიერკავკასიიდან. ეს პროგრესული მისია საქართველოს უნდა ეკისრა. ეს მეტად დიდი და რთული ამოცანა იყო და იგი საგანგებო ღონისძიებებსა და სამზადისს მოითხოვდა. საჭირო იყო საქართველოს სამხედრო ძალის მნიშვნელოვანი გაზრდაც. მარტო ადგილობრივი ძალებით ეს ვერ მოხერხდებოდა. დავითმა და მისმა კარმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოეყენებინათ ისეთი მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა, როგორიც ჩრდილო კავკასიაში მომთაბარე ყივჩაღთა მეომარი ტომები იყვნენ. საქართველოს აქამდეც გადმოპყავდა იმიერკავკასიიდან დაქირავებული ჯარი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. გადაწყდა საქართველოში ჩამოესახლებინათ ყივჩაღთა მრავალრიცხოვანი ურდო, რომელიც რუსეთის მთავრის ელადიმერ მონომახის მიერ შევიწროებული და გამოდევნილი იყო სამხრეთ რუსეთის ველებიდან იმიერკავკასიაში. ქართველები კარგად იცნობდნენ ყივჩაღებს და მათთან ცხოველი ურთიერთობაც ჰქონდათ. დავითის მეორე მეუღლე ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანისძის ასული იყო. საქართველოს მეფემ მოლაპარაკება გამართა მათთან და საქართველოში გადმოსვლაზე დაითანხმა.

1118 წელს დავით მეფე და მისი მწიგნობართუხუცესი გიორგი დარიალის გზით იმიერკავკასიაში გაღავიდნენ. მათ დაიმორჩილეს ოსები, რომელთაც ყივჩაღებთან მტრობა ჰქონდათ, დაიჭირეს ოსეთის ციხეები, აიყვანეს მძევლები და უბრუნველყვეს ყივჩაღთათვის მშვიდობიანი გზა. ამის შემდეგ ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახი საქართველოში გადმოვიდა. დავითმა ისინი საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში ჩაასახლა, მიუჩინა საცხოვრებელი და სამეურნეო ადგილები და თითოეულ ოჯახს თითო შეიარაღებული მხედრის გამოყვანა დაავალა. ამრიგად, ყივჩაღთაგან დავითს 40.000 ცხენოსანი ლაშქარი ჰყავდა მუდმივად, რომელიც უშუალოდ მას ექვემდებარებოდა. ასევე, მეფემ შეიქმნა საკუთარი მუდმივი მცველი ჯარი „მონასპა“, რომელიც 5.000 მეომრისაგან შედგებოდა. მეფის ასე გაძლიერების



გელათი.

შემდეგ, გასაგებია, ქართული ფეოდალური საპატრონყმო ლაშქარიც უფრო საიმედო და სანდო გახდა.

ასე, ყოველმხრივ მომზადებულმა დავითმა 1120 წელს დაიწყო გენერალური შეტევა თურქთა წინააღმდეგ ამიერკავკასიაში. საქართველოს ლაშქარი, დავითის ვაჟის დ ე მ ე ტ რ ე ს წინამძღოლობით, შეიჭრა შარვანში და ქალაქი ყ ა ბ ა ლ ა აიღო. შარვანის მფლობელი ქართველთა მეფის ყმადნაფიცი გახდა.

ქრისტიანული საქართველოს ასეთმა წარმატებებმა შეაშფოთა არა მარტო ამიერკავკასიაში ჩამომსხდარი თურქები, არამედ აქაური მაპმადიანებიც, თვით თბილისისა და დმანისის მოქალაქეთა მაპმადიანური ზედაფენა. მათ დახმარებისათვის მიმართეს სელჩუკთა სულტანს მ ა ჰ მ უ დ ს. სულტანმა საქართველოდან მომდინარე საფრთხე სწორად შეაფასა და კოალიციური ლაშქრობის წამოწყება გადაწყვიტა. მან ქრისტიანული საქართველოს წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლის მოწოდებით მიმართა წინა აზიის მაპმადიან მეფე-მთავრებს და უზარმაზარი ჯარი დარაზმა თავისი დროშის ქვეშ. მაპმუდმა ამ გაერთიანებული ლაშქრის სათავეში ჯვაროსნებთან ბრძოლებში სახელმოხვეჭილი სარდალი, ბაღდადის განმგებელი ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზი ჩააყენა.

1121 წლის ზაფხულში თურქ-მაპმადიანთა მრავალრიცხოვანი, დაახლოებით 300 000 მეომრისაგან შემდგარი ლაშქარი, ქართლში რამდენიმე გზით შემოვიდა და წალკა-მანგლის-თრიალეთის მიდამოებში განლაგდა. ქართველთა ლაშქარი (56.000 მეომარი) მტერს რიცხობრივად რამდენჯერმე ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მათ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ სამშობლოს დამოუკი-

დებლობისა და მომაელისათვის იბრძოდნენ და სათავეში ედგათ ისეთი დიდი მსედართმთავარი, როგორიც დავითი IV იყო. ამ ბრძოლის მნიშვნელობას მოწმობს ის ფაქტი, რომ მისი აღწერა დაცულია არა მარტო ქართულ წყაროებში, არამედ სომსურ, სპარსულ, არაბულ და ევროპულენოვან ქრონიკებშიც. მაგალითად, ეს ბრძოლა დაწვრილებითაა აღწერილი ანტიოქიის ფრანგული სამთავროს კანცლერის გ ო ტ ი ე ს ქრონიკაში, რომელიც დაიწერა ამ ამბების მომდევნო 1122 წელს. გოტიეს თვით დავითის სიტყვაც მოაქვს, რომლითაც მას მიუმართავს ქართველთა ლაშქრისათვის ბრძოლის წინ: „... მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად ღავამარცხებთ. და ერთ რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო დავიხოცებით, ვიდრე გავიქცევით, და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესასველელი, რომლითაც შემოესულვართ, სეთა სშირი ხორგებით შეეკრათ და მტკიცე გულით მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, დაუნდობლად შეეუტიოთ.“

გოტიესვე ცნობით, ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია 200 ევროპელ ჯვაროსან რაინდს, რომლებიც დავითს მოწინავეთა რიგებში დაუყენებია.

ევროპელი რაინდების მონაწილეობა ქართველთა დიდგორის ბრძოლაში შემთხვევითი არ არის. ქართველები თურქების წინააღმდეგ ომში ჯვაროსნებთან ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ. დავითს აქამდეც აქტიური ურთიერთობა პქონდა ჯვაროსნების მეთაურებთან. როგორც ერთი ძველი, ლათინურენოვანი ქრონიკა გვამცნობს, დავით IV ხშირად უგზავნიდა საჩუქრებს იერუსალიმის ჯვაროსანთა მეფე ბალდუინს, ხოლო ცნობა ძლევამოსილი ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით საფრანგეთში. როგორც ცნობილია, იქ დიდი პატივით იქნა იერუსალიმიდან ჩაგანილი დავითის ჯვარი, რომელიც დიდხანს ინახებოდა პარიზის ღვთისმშობლის ძველ ტაძარში. თურქების ასეთი ერთსულოვანი გამოლაშქრება საქართველოს წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს განადგურების გარეშე ისინი მთელ თავის ძალებს ვერ მიმართავდნენ სირია-პალესტინაში დამკვიდრებული ჯვაროსნების წინააღმდეგ. ამას პირდაპირ აღნიშნავს გოტიე, რომ ილღაზი „დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში ლაშქრობა იმისთვის გადაწყვიტა... რათა მისი დაქცევის ანუ განადგურების შემდეგ თავისუფლად და სრული ძალით შეუდგეს იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას.“ მაგრამ დავით IV-მ ჩაშალა თურქ-არაბთა ეს განზრახვა. მან 1121 წ ლ ი ს 12 ა გ ვ ი ს ტ ო ს დ ი დ გ ო რ ი ს ვ ე ლ ზ ე მთლიანად გაანადგურა მაპმადიანთა ეს უზარმაზარი კოალიციური არმია.

დავითმა მტერი აიძულა გადამწყვეტი ბრძოლა მისთვის სრულიად მოუხერხებელ ადგილას გაემართა. დიდგორის ველი თრიალეთის ქედის მაღალ თხემზე მდებარეობდა და თურქთა უზარმაზარ არმიას იქ გაშლისა და მთელი ძალის

გამოყენების საშუალება არ ჰქონდა. ბრძოლაც დაეითის ჩანაფიქრის მისელ-ვით წარიმართა. თავდაპირველად ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი, რო-მელიც მისი სიმცირის გამო თურქებმა მოღალატეებად მიიღეს, გაბედულად შეიჭრა მტრის განლაგებაში და მის რიგებში დასაწყისშივე არეულ-დარეული შეი-ტანა. დაეითის წინამძღოლობით ქართველთა მთავარი ძალის ძლიერ შეტე-ვას დაერთო ზურგიდან დეშეტრე უფლისწულის მეთაურობით ჩასაფრებული ჯარის დარტყმაც, რამაც საბოლოოდ გატეხა თურქთა წინააღმდეგობა. ჟანი-კით მოცულმა მტერმა ბრძოლის ველიდან გაქცევა იწყო. თვით არაბი ისტო-რიკოსი ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი ასე აღწერს ბრძოლის ფინალს: „მუსლიმან-თა ჯარების წინა რაზმები აირიენენ. უკან მდგომ რაზმებს ეგონათ, დაემარ-ცხდითო და გაიქცნენ. თავდავიწყებით გარბოდნენ მუსლიმანები და ისე ეჩქა-რებოდათ განსაკ,ღელიდან თავის დაღწევა, რომ ერთმანეთისე გადადიოდნენ და ბევრიც დაისოცა“. სომეხი ისტორიკოსი მ ა თ ე ურ ჰ ა ე ლ ი წერს: „იმ დღეს იქნა სასტიკი და საშინელი ამოწყვეტა თურქთა ჯარებისა და აღიე-ნენ გვამებით მდინარენი და მთათა ხეკები და ყოველნი მთათა ქარაფნი და-იფარნენ.“ ქართველებმა ტყვეებიც ბევრი ჩაიგდეს ხელთ. მათ შორის სახე-ლოვანი სარდლები და ამირები. დაეითის ისტორიკოსი აღფრთოვანებული წერ-და, რომ თვით გლეხებსაც კი არაბთა მეფეები მოპყავდათ დატყვეებულნი, სოლო ტყვედ წამოყვანილ სხვა გოლიათებზე სიტყვის თქმა რაღა საჭიროთა. თვითონ ილ-ღაზი, თავში დაჭრილი და შერცხვენილი, მხოლოდ ოცოდ მხელ-რის ამარა დაბრუნდა თავის ქვეყანაში. ქართველებმა ანისის საბრძოლამდე სღ-ეს დამარცხებულ მტერს და თითქმის მთლიანად გაანადგურეს იგი.

დიდგორის ველზე მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებას უდიდესი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ფეოდალური საქარ-თველოს შემდგომი განვითარებისათვის. თურქების კოალიციური ლაშქრო-ბის განადგურებით ქართველმა ხალხმა თავიდან აიცილა დიდი საფრთხე, რაც მას მოელოდა მომთაბარე თურქმანთა საბოლოო გაბატონებით. საქარ-თველოში და საერთოდ, ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკთა გაბატონება ნიშ-ნავდა ამ ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური წყობის არსებით შეცვლას, მის დაქვეითებას, დაკნინებას. ფეოდალური ურთიერთობა ამ პერიოდის სა-ქართველოში მაღალ საფეხურზე იყო ასული და პროგრესულად ვითარდე-ბოდა, თურქები კი თავიანთი განვითარების დონით - ეკონომიკით, ექსტენ-სიური-მომთაბარული მეურნეობით, თუ კულტურით მკვეთრად ჩამოუვარ-დებოდნენ საქართველოსა და კავკასიის ქვეყნებს. მათი გაბატონება, გარდა მასობრივი ხოცვა-რბევისა და ნგრევისა, დაპყრობილ ქვეყნებში ეკონომი-კის მოშლასა და ინტენსიური მეურნეობის დაცემას, კულტურის დაქვეითება-სა და საზოგადოების განვითარების შეფერხებას გამოიწვევდა. მსოფლიოს ისტორიამ არა ერთი შემთხვევა იცის, როცა განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ დამპყრობელს მაღალი განვითარების ქვეყნები დაცემის იმ დონემდე მიუყვანია, რომ საჭირო ყოფილა ყველაფრის თავიდან დაწყება. სწორედ ასე-თი საფრთხის წინაშე იდგა საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები მომ-

თაბარე მეურნეობის მეტად დაბალი სისტემის მქონე თურქ-სელჩუკთა მოძალების შედეგად.

ამრიგად, საქართველო თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში გამოდიოდა როგორც პროგრესის წარმომადგენელი, როგორც მოწინააღმდეგე ჩამორჩენილობისა და რეგრესისა. დიდგორის ბრძოლამ არა მარტო საქართველო, არამედ არსებითად მთელი ამიერკავკასია იხსნა თურქ-სელჩუკთა მომთაბარე მეურნეობის, მათი სოციალურ-სასელმწიფოებრივი წყობის გაბატონებისაგან.

დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებას, გარდა ასეთი ზოგადი პროგრესული მნიშვნელობისა, პქონდა უფრო კონკრეტული სასიათის პოლიტიკური შედეგებიც, რაც არანაკლები მნიშვნელობისა იყო საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შემდგომი განვითარებისათვის. დიდგორის ველზე გამარჯვების შემდეგ სწრაფად აღიგავა ყველა ის დაბრკოლება, რაც წინ ეღობებოდა საქართველოს საბოლოო გაერთიანების საქმეს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ჯერ კიდევ საქართველოს ფარგლებში არ იყო შემოყვანილი ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიც იყო თ ბ ი ლ ი ს ი და დ მ ა ნ ი ს ი. ეს ქალაქები თავიანთ დამოუკიდებლობას სწორედ თურქთა მსარდაჭერით ასერხებდნენ და თურქთა ეს კოალიციური ლაშქრობაც ამ ქალაქების მაპმადიანური შედგენის მოწყვეთით იყო მოწყობილი. დიდგორის ომში გამარჯვების შემდეგ, საქართველოს ძლევამოსილ მეფეს ეგზა სსნილი პქონდა თბილისისაკენ და მართლაც, მტრის ლაშქრის დამარცხების, მისი საკმაოდ ხანგრძლივი დევნისა და განადგურების შემდეგ, დავითი თბილისს შემოადგა, ხოლო 1122 წლის დასაწყისში იგი საბოლოოდ დაიმორჩილა. დავითის ისტორიკოსი წერს: „ სოლო მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ მონებული სპარსთა და დუმკვიდრა შვილთა თეისთა საჭურჭლედ და სახლად თეისად საუკუნოდ. ქორონიკონი იყო 342.“

VIII საუკუნის დასაწყისიდან, არაბთა ბატონობის დროიდან, 400 წლის მანძილზე თბილისი მოწყვეტილი იყო დედასამშობლოს და, არა ერთი პოლიტიკური მოღვაწის მცდელობის მიუხედავად, ქართული სახელმწიფოებრიობის გარეთ რჩებოდა. მსოლოდ დიდგორის ომში გამარჯვების შემდეგ შეძლო დავით აღმაშენებელმა თბილისის დაკავება და საქართველოს დედაქალაქის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანა.

რამდენიმე სნის შემდეგ აიღეს ქალაქი დმანისიც. საქართველოს ფარგლებს შიგნით სელჩუკებზე სრული გამარჯვებისა და მათი ძალების დაქსაქსვა-დასუსტების შემდეგ საქართველოს სამეფო ხელისუფლებას დიდი შესაძლებლობა მიეცა ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ უფრო ფართო მასშტაბით საქართველოს ფარგლებს გარეთაც ეწარმოებინა. ამას ხელს უწყობდა მეზობელ ქვეყნებში დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობა. მეზობელი სომეხი და აზერბაიჯანელი სალსები საქართველოში თავიანთ მხსნელ და განმათავისუფლებელ ძალას ხედავდნენ.

ჯერ კიდევ დიდგორის ომამდე დავით აღმაშენებელი, ესმარებოდა რა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის - შარვანის მოსახლეობის დიდი ნაწილის თურქ დამპყრობთა საწინააღმდეგო განწყობილებასა და მოძრაობას, აგრეთვე, ითვა-

ლისწინებდა რა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას თურქობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასორციელებდა მთელ რიგ პოლიტიკურ ღონისძიებებს ამ ქვეყნის თავის მსარეზე დასაყენებლად. 1105-1106 წლებში დავითმა თავისი უფროსი ქალი თამარი დააქორწინა შარვან-შაპის ტახტის მემკვიდრე მანუჩეჰრ აფრიდუნის ძეზე, ისევე, როგორც მომდევნო ქალიშვილი კატა (ეკატერინე) ბიზანტიის იმპერატორის რძლად გაგზავნა.[1] ეს ნაბიჯიც ღრმად მოფიქრებული პოლიტიკური აქტი იყო. როგორც დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს (დავითმ.), „ასული თავისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისა. რამეთუ პირველ ამისა პირმშო ასული თავისი თამარ გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რამათა ეითარცა ორნი მნათობნი - ერთი აღმოსავალს, და ერთი დასავალს, ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი."

მაგრამ, როცა ასეთი ნაბიჯი საკმარისი არ გამოდგა და შარვანის მმართველ წრეებში, განსაკუთრებით, მაპმადიანურ არისტოკრატიაში საღი პოლიტიკური აზრის საპირისპიროდ ჯერ კიდევ ძლიერი იყო თურქოფილური განწყობილება, დავითმა ძლიერი შეტევა დაიწყო. როგორც უკვე ითქვა, 1117 წელს ქართველმა ჯარმა დემეტრე უფლისწულის სარდლობით შარვანი დალაშქრა: „და გაგზავნა ძე თეისი დემეტრე შარვანს სპითა ძლიერითა ლაშქრად. ხოლო მან ქმნა ომნი საკვირველნი, რომლითა განაკვირნა მხილველნი და მსმენელნი: გამოიღო ციხე ქალაძორი და ძლევა-შემოსილი მოვიდა წინაშე მამისა თვისისა, საესე ალაფითა და ტყვითა ურიცხვითა." ხოლო 1120 წელს ქართველებმა ქ. ყაბალაც აიღეს. დავითის მოთხოვნით, შარვანის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყო დარუბანდის მმართველმაც. ამ ბრძოლებში დაიღუპა თურქ-სელჩუკების ორიენტაციაზე მდგარი შარვან-შაპი აფრიდუნი. დავითმა შარვანში ბრძოლები მაშინვე შეწყვიტა და შარვანის ტასტზე ახალი, მისთვის სასურველი კანდიდატი დასვა, რომელმაც თავი საქართველოს ყმადნაფიცად გამოაცხადა.

ამრიგად, შარვანში საქართველოს პოლიტიკური გაელენა დამყარდა. ასეთ ვითარებას თურქ-სელჩუკები იოლად ვერ შეეგუებოდნენ და დიდგორის ომის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო.

დიდგორის ომში სასტიკი მარცხისა და საქართველოში ფესის ამოკვეთის შემდეგ თურქ-სელჩუკებმა შარვანის უკან დაბრუნება სცადეს. 1122 წლის ნოემბერში სულტანი მაპმუდი თავრიზში, ხოლო 1123 წლის გაზაფხულზე შარვანში შეიჭრა, აიღო მისი საგახტო ქალაქი შ ა მ ა ხ ი ა , შეიპყრო ქართველი მეფის ყმადნაფიცი შარვან-შაპი და დავით მეფეს დაემუქრა: „შენი ყმადნაფიცი ხელთა მყავს, ხარაჯას ვართმევ, შენ კი ან ძღვენი გამომიგზავნე ან თუ გინდა შენი ტყიანი ქვეყნის სამალავიდან გამოდი და მნახეო." გათავსებედებული სულტანის წინააღმდეგ დავით მეფე დაუყოვნებლივ დაიძრა თავისი ლაშქრით. როგორც კი გაიგო სულტანმა დავით აღმაშენებლის ასე სწრაფად მოს-

---

1 დავითის ასული კატა 1118 წელს დააქორწინეს იმპერატორ ალექსი კომნენოსის უმცროს ძეზე - ისააკზე. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეპოლში ჩასული ქართველი პატარძლის ამალის დახმარებით იმპერატორი გახდა ისააკის უფროსი ძმა - იოანე. ამის შემდეგ დავითისათვის „მეფე ბერძენთა იყო ვითარცა სახლეული თვისი."

ელა, „ძალი და სიმრავლე სპათა“, ქალაქში ჩაიკეტა და „მრავალი ლღის შიმშილითა და წყურვილით შეეიწროებულმა, მრავალი ეელრების, ძღვენისა თუ მუდარის შეთვლით, როგორც მონამ გაჭირვებულმა არა თუ ძღვენი და ომი, არამედ გასაქცევი გზა ითხოვა, ფრიად სიმდაბლით და არასულგანურად.“ ხოლო, როცა დავითმა შემასაში ჩაკეტილი სულგნის დასახმარებლად წამოსული რანის ათაბაგი სასტიკად დაამარცხა, ბაქია სულგანი „მასვე ღამესა გაიპარა და სასდუნით (მწვირის გასადენი საკანალიზაციო ხვრელით) მეოტი სხვით გზით წარვიდა სოფლად თვისად.“ ერთი თვეც არ იყო გასული ამის შემდეგ, დავითი „კვალად წარვიდა შარვანს, აღიღო გულისტანი... მოირთო (შემოიერთა) შარვანი“, გაწმინდა ის თურქ-სელჩუკებისაგან და საქართველოს სამეფო ხელის უფლებას უშუალოდ დაუმორჩილა. ამგვარად, მეგობელი შარვანი (ჩრდილოეთ აზერბაიჯანი) ამჯერად გადაურჩა თურქ დამპყრობთა გამანადგურებელ ბატონობას, რის კეთილისმყოფელმა შედეგებმა მალე იჩინა თავი. ამ პერიოდის აზერბაიჯანის ეკონომიკა და კულტურა საყოველთაოდ ცნობილ აყვავებას აღწევს, რაშიც მცირე მნიშვნელობა როლი ჰქონდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირს.

1123 წელსვე აგვისტოში გათავისუფლებულ იქნა სომხეთის მთავარი ქალაქი ა ნ ი ს ი. საქართველოს მეფე აქ სომხების განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა მოწვევით მოვიდა. ქალაქი ანისი და მისი „მიმდგომნი ქვეყანანი“ ნახევარ საუკუნეზე მეტი იყო, რაც მაჰმადიანებს ეკავათ. მათე ურჰაელის სიტყვით, „ ქალაქი ანისი თურქთა მონობაში იყო სამოცი წელი.“ დამპყრობთა ბატონობით შეეიწროებულმა ანელებმა ისარგებლეს თურქ-სელჩუკთა დიდი მარცხით და საქართველოში მათი სიძლიერის საერთო შესუსტებით, აუჯანყდნენ დამპყრობლებს და დახმარებისათვის დავით აღმაშენებელს მიმართეს. ანისის გასათავისუფლებლად მეფე დავითი სამოცი ათასი მსედრით მოვიდა, მაგრამ ქალაქის აღება უბრძოლველად მოხერხდა, რადგან აჯანყებულმა ანელებმა ქართველთა მეფეს ქალაქის კარი გაუღეს. იმავე მათე ურჰაელის სიტყვით: „იქმნა სისარული ყოველსა სახლსა სომეხთასა, როცა ნახეს მონობისაგან განთავისუფლებული ანისი და მისი სიწმინდენი.“ ამას გარდა ქართველთა მეფემ ძლევამოსილი ლაშქრობით თურქთაგან „აიღო ცისენი სომხეთისანი გაგნი, ტერუნაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანსაგომნი და ტალინჯაქარი.“

ამრიგად, ისახებოდა საქართველოს მეთაურობით ამიერკავკასიის ხალხთა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისა და კონსოლიდაციის პროგრესული პროცესი, რასაც ეს ხალხები უნდა აეყვანა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე.

მოპოვებულმა წარმატებებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა საქართველოს პოლიტიკური საზღვრები და გაზარდა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. საქართველოს სამეფო, იმდროინდელი წყაროების მიხედვით, ერცელდებოდა „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოესეთითგან სოერად და არეგაწამდე“.

საქართველოს მეფე იწოდებოდა „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაპ და შაპინშაპ“, რაც ნიშნავდა აფხაზთა ანუ დასავლეთ საქართველოს, ქართველთა ანუ ქართლისა და მესხეთის, რანთა ანუ პერეთის, კახთა ანუ კახეთის, სომეხთა ანუ ლორეს (შირაკის) სომხური სამეფოს, შარვანშაპ ანუ შარვანის, შაპინშაპ ანუ ანისის სომხური სამეფოს უზენაეს მფლობელობას. ამ ტიტულატურაში ჩანს საქართველოს მეფის ხელისუფლების თანამიმდევრული ზრდაც. ამაკე დროს საბი ესმებოდა მის ღვთაებრივ წარმოშობასა და ღვთის მიერ მინიჭებულ უფლებას. მაგალითად, დავითი იწოდებოდა „მ ე ს ი ი ს მ ა ს ვ ი ლ ა დ.“ მის მიერ მოჭრილ მონეტაზე არაბულად აწერია „მეფეთა მეფე დავით, ძე გიორგისი, მესიის მასვილი.“ ამით ის აცხადებდა, რომ მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს, ხოლო თავის მონეტაზე არაბულად ამ ფორმულის ამოკვეთით (ეს მონეტა ხომ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ბაზარზე გადიოდა) მაჰმადიანებს მათსავე ენაზე ეუბნებოდა, რომ დავითი „მესიის მასვილია“, რომ ის ქრისტიანთა მცველი და ქომაგია და ისინი უნდა ძრწოდნენ შიშით მის წინაშე. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ბაგრატიონები იწოდებოდნენ იესიან-დავითიან-სოლომონიანებად და ამით ოფიციალურად ცხადდებოდა მათი საგვარეულოს ღვთაებრივი წარმოშავლობა და უფლება მეფობაზე. აღსანიშნავია, რომ დავითმა უარყო ყოველგვარი ბიზანტიური ტიტულები, რასაც ასე საპატიოდ ატარებდნენ მისი წინაპარი მეფეები და თავი თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ა დ გამოაცხადა. დავითის მეფობა გარდატეხის ხანა იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. მისი დროშა, რომელიც „დავითიანად“ იწოდებოდა, ისევე როგორც ვახტანგ გორგასალის დროშა „ვახტანგიანი“ ანუ „გორგასლიანი“, საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების სიმბოლოდ იქცა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს დავითის პოლიტიკა ჩრდილო კავკასიის ხალხების მიმართ. ჩრდილო კავკასიაზე საქართველო ადრიდანვე ახორციელებდა თავის კულტურულ გავლენას იქ მოსახლე ხალხებში ქრისტიანობის შეტანა-გავრცელებით. ჩრდილო კავკასიის ხალხებიც დაინტერესებულნი იყვნენ განვითარებული მეურნეობის მქონე და ძლიერ საქართველოს სახელმწიფოსთან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირით. ტრადიციულად, ქართველი მეფეები ფართოდ იყენებდნენ ჩრდილო კავკასიის ხალხებიდან გამოყვანილ დამსმარე სამხედრო ძალას. იმიერკავკასიაში ვრცელდებოდა ქართული კულტურა, ქართული ფეოდალიზმი, ქართული ქრისტიანობა. ამას მოწმობს იქ ბოლო დრომდე შემორჩენილი ეკლესიები ქართული წარწერებით, სოციალური ტერმინოლოგია და სხვ. დავით IV დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელი გზების გამაგრებასა და კონტროლს. ჯერის გადასასვლელისა და დ ა რ ი ა ლ ი ს ხ ე ო ბ ი ს გამაგრების გარდა, საქართველოს მეფემ დიდი ყურადღება მიაქცია კავკასიონის ქედზე არსებულ სხვა გადასასვლელებსაც, განსაკუთრებით დ ა რ უ ბ ა ნ დ ზ ე გამავალ გზას და დარუბანდის მფლობელი თავის ყმადნაფიცად აქცია. ასევე საქართველოს ყმადნაფიცები (ვასალები) იყვნენ იმიერკავკასიელი მთავრები. ამრიგად, საქართველო იქცა მთელი კავკასიის შემკრებ-გამაერთიანებელ სახელმწიფოდ, რო-

მელსაც პოლიტიკური სიძლიერით მახლობელი აღმოსავლეთის ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეედრებოდა.

მეფე დავითის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კულტურულ ღონისძიებებს. უკვე კარგა ხანია დიდი კულტურული მუშაობა წარმოებდა ქართულ სამეცნიერო ცენტრებში, ძირითადად საზღვარგარეთის ქართულ მონასტრებში (ქალკედონში - ათონის მთაზე, ანტიოქიასთან - შაფი მთის ქართულ ეკლესია-მონასტრებში, პალესტინაში - წმინდა საბას და ჯვრის მონასტრებში, პეტრიწონში და სხვ.).

ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კულტურული მუშაობა თვით საქართველოს ტერიტორიაზეც. დაარსდა არაერთი უმაღლესი სამეცნიერო-კულტურული ცენტრი (გ ე ლ ა თ ი ს და ი ყ ა ლ თ ო ს აკადემიები და სხვ.). ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ პერიოდის საქართველო თვით ბიზანტიასთანაც კი იწყებდა მეგოქეობას აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში პირველობისათვის და ამ მეტოქეობაში პირველობის მოპოვება ქართველ მოწინავე პოლიტიკოსებს ესმოდათ არა მხოლოდ პოლიტიკური წარმატებების სახით, არამედ კულტურული ტრადიციების ათვისებისა და განვითარების სახითაც. საქართველო მოწოდებული იყო, ყოფილიყო ღირსეული მემკვიდრე როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის საუკეთესო კულტურული შენაქმისა. ამას აღნიშნავდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როდესაც აღწერდა გელათის დაარსებას, „რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოველისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწაულად ყოველისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისა, სსუად ათინად...“ აქ დავით აღმაშენებელმა თავი მოუყარა სახელგანთქმულ ქართველ მოღვაწეებს: ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსებს, მთარგმნელ-კომენტატორებს, ფილოლოგებს. გელათში მოღვაწეობდა, მაგალითად, პეტრიწის მონასტრიდან მოსული დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწონელი და სხვ.

გელათის აკადემია. შესასვლელი.

ქართული ფეოდალური საზოგადოება მჭიდრო კულტურულ კავშირს ამყარებდა მეზობელ ქვეყნებთან, მიუხედავად იმისა, თუ რა სარწმუნოებისანი იყვნენ ისინი. ასეთი კავშირი უსათუოდ დადებითი მნიშვნელობისა იყო ორივე მხარისათვის. ეს მათ კულტურას კიდევ უფრო ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა. ეს კარგად შეინიშნება, განსაკუთრებით, ლიტერატურაში. ამ დროიდან საქართველოში აღორძინდა საერო

მხატვრული მწერლობა და პოეზია. მეზობელ ხალხებთან კულტურული ურთიერთობის ნიადაგზე საქართველოში თანდათან გაერცელდა აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურა, მეცნიერება.

საქართველოს სამეფო კარი დიდად მფარველობდა კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეებს. მიუხედავად მათი ეროვნული წარმომავლობისა და სარწმუნოებისა. ცნობილია, მაგალითად, რომ დავით მეფემ თბილისში მუსლიმანი პოეტებისათვის სპეციალური სასახლე ააგებინა. თვითონ დავით მეფე დიდად განათლებული პიროვნება იყო. მას ღრმად ჰქონდა შეთვისებული როგორც ქართული ქრისტიანული თუ საერო მწერლობა და მეცნიერება, ისე აღმოსავლური და ანტიკური მეცნიერებისა და მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. მან საფუძვლიანად იცოდა არაბული და სპარსული ენები. თვით არაბი ისტორიკოსების ცნობით, დავითი კარგად იცნობდა ისლამსაც და ზოგჯერ ყურანის საკითხებზე ეკამათებოდა მუსლიმან რჯულისმეტყველებსაც. დავით აღმაშენებლის ინტერესების არეში შედიოდა ეარსკვლავთმრიცხველობაც. მაგრამ ყველაზე მეტად დავით მეფეს ისტორიული მეცნიერება იზიდავდა. მან შესანიშნავად იცოდა ძველი ისტორიული მწერლობა და მსოფლიოს ისტორია შემთხვევითი არ არის, რომ მის დროს საქართველოში ასე დაწინაურდა ქართული საისტორიო მეცნიერება. ამის თვალსათელი მოწმობაა თვით მისი ანონიმი ისტორიკოსის ბრწყინვალე შრომა „ცხოვრება მეფეთა მეფე დავითისი" და, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ მის დროს ჩაეყარა საფუძველი ქართული საისტორიო თხზულებების კრებულს „ ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს ", როელიც შემდეგ სასელმძღვანელო წიგნად იქცა და საუკუნეების განმავლობაში გადაეცემოდა თაობიდან თაობას, როგორც „წმინდა წიგნი".

საქართველოს სამეფო კარი წინდახედულად მოქმედებდა არაქართველ მოსახლეობასთან ურთიერთდამოკიდებულებაშიც. მათ მთელი რიგი შეღავათები ენიჭებოდათ და სრულიადაც არ გრძნობდნენ თავს უარესად აქ, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში. არაქართველი მოსახლეობისადმი ასეთი ყურადღება და მათი სარწმუნოებისადმი შეღავათები დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკის ნაწილი იყო. შექმნილ ვითარებაში საქართველო მოწოდებული იყო გამსდარიყო ხელმძღვანელ ძალად ქართველი და მისი მეზობელი კულტურული ხალხების პროგრესული განვითარების პროცესში. ამ წინდახედული პოლიტიკით სდებოდა კავკასიის ხალხების კიდევ უფრო დაახლოება და შეკავშირება. ამ პროგრესული პროცესის ბოლომდე მიყვანისათვის აუცილებელი იყო არსებული ისტორიული პირობების სანგრძლივი შენარჩუნება.

დავით აღმაშენებლის ეპოქამ მყარი საფუძველი შეუქმნა ფეოდალური საქართველოს შემდგომ აღმავალ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას. თვითონ მეფე დავითს კიდევ ბევრი ჩანაფიქრი და გეგმა ჰქონდა განსახორციელებელი, მაგრამ მოულოდნელად, 52 წლის ასაკში, 1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს მის მიერვე დაარსებულ გელათის მონასტერში. მადლიერმა შთამომავლობამ მეფე დავითს, როგორც ახალი საქართველოს სახელმწიფოს მშენებელს - ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი უწოდა. აი, რას წერს ამის შესახებ XVIII ს-ის დიდი ქართველი ისტორიკოსი ვ ა ხ უ შ -

დავით აღმაშენებლის საყლაპიოს ქვა გელათის მონასტერში წარწერით: „ქ. ესე არს განსასუ-ენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე (რამეთუ მონაეს ესე) ამას დაეცემ, ეიდრი მე“.

ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი: „ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ეს სრულიად ოხერი; ამან განაესნა და აღაშენნა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე ღეთისა, გლახაკთა, ქურივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსასური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი.“

დავითის პიროვნება აღტაცებას იწვევდა შემდგომ თაობებში, უპირველეს ყოვლისა, მის მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი გარდაქმნების გამო. იგი გაბედულად უკუაგდებდა დრომოჭმულსა და ქვეყნის განვითარების შემაფერხებელს და დაუცხრომლად ნერგავდა ახალსა და პროგრესულს. უაღრესად პროგრესული იყო მის მიერ შემოღებული სახელმწიფოს მმართველობის უწყებრივი სისტემა. დავით აღმაშენებელმა ქვეყნის მმართველობის თითოეულ დარგს სათავეში ჩაუყენა უმაღლესი მოხელე - ვაზირი[1] ანუ უხუცესი, რომლის თანამედროვე ექვივალენტი, ალბათ, მინისტრი იქნებოდა. ასეთები იყვნენ: მწიგნობართუხუცესი - კანცლერი, რომლის ფუნქციებზე და მნიშვნელობაზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი; მანდატურთუხუცესი - ანუ შინაგან საქმეთა და წესრიგის დაცვის მინისტრი; მეჭურჭლეთუხუცესი - ქვეყნის ფინანსებისა და სამეფო ქალაქების განმგებელი; ამირსპასალარი - სამხედრო უწყების სელმძღვანელი. ამ ვაზირთა ანუ მინისტრთა საბჭოს სათავეში მან ჩააყენა მწიგნობართუხუცესი და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მასვე ჩააბარა ეკლესიის მედამხედველობა და უმაღლესი სასამართლო ორგანოს „სააჯო კარის“ თავმჯდომარეობა.

ადგილზე გამრიგე მოხელეებად, ე. ი. ცალკეული კუთხეების განმგებლებად ერისთავების გვერდით და მათ შემცვლელად განაწესა მ ო ს ა კ ა რ გ ა ვ ე ნ ი, ე. ი. მოხელე-განმგებელნი, რომელთაც ანაბღაურება (ჯამაგირი) მეფის ხაზინიდან ეძლეოდათ. მოსაკარგავეობას დავით აღმაშენებელი

1 ვაზირი არაბული წარმოშობის სიტყვაა და მრჩეველს ნიშნავდა, მაგრამ საქართველოში მას განსხვავებული შინაარსი მიეცა.

ფართოდ ნერგაედა, უპირველესად, სამეფო დომენად ქცეულ ტერიტორიაზე, მეფის დომენის მმართველობა კი უნდა ქცეულიყო იმ ძირითად უჯრედად, რომელიც უნდა გაზრდილიყო და უნდა მოეცვა მთელი ქვეყანა.

მეფე დავითის დროს, მართლაც უაღრესად გაიზარდა სამეფო დომენი. მან გაბედულად შეუტია ნასეერად დამოუკიდებელ მთავარ-ერისთავებსა და თავგაღრეკილ დიდაზნაურებს, ფაქტობრივად აღკვეთა მათი სამფლობელოების შეუვალობა, სოლო ურჩებს ჩამოართვა მამულები და სამეფოდ (სახასოდ) აქცია. ასევე სამეფოდ იქნა ჩარიცხული ჰერეთ-კახეთის მეფისა და თბილისის ამირას ყოფილი ქვეყნები, აგრეთვე, თურქთა მიერ დატოვებული ქართული მიწა-წყალი ქართლსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ასეთივე იყო დავითის პოლიტიკა ახლადშემოერთებული ქვეყნების - სომხეთისა და შარვანის მიმართ. ამრიგად, საქართველოს მეფის განკარგულებაში აღმოჩნდა მიწის უზარმაზარი ფონდი, რომელსაც დავით მეფე სამემკვიდრეო სამფლობელოდ კი არ გასცემდა, და არც საერისთავოდ, არამედ საკარგავად (ე. ი. სამოსელეო განსაგებლად) უწყალობებდა თავის ერთგულს და ქვეყნის სამსახურში თავგამოჩენილ პირებს. ასეთი პოლიტიკა ამზადებდა ნიადაგს ქვეყნის წინაბურჟუაზიული გაერთიანებისათვის. ასე იშვებოდა ფეოდალური ურთიერთობის ახალი, უკანასკნელი საფეხური.

ასე იყო დასავლეთ ევროპაშიც. იქაც მეფის ხელისუფლების გაძლიერება და თვითმპყრობელურ (აბსოლუტურ) ხელისუფლებად გადაქცევა დამოუკიდებელი და ნახევრად დამოუკიდებელი სენიორიების შებღუდვა-გაქრობისა და სამეფო დომენის ზრდის გზით ხდებოდა, იქაც ძლიერდებოდა ცენტრალური სამოსელეო აპარატი, იქმნებოდა მმართველობის ერთიანი სისტემა... ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი იყო და მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდებოდა. საქართველოს კი, მისი საგარეო-პოლიტიკური პირობების გართულების გამო, არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა იგი.

საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს. დემეტრე I, გიორგი III

სიძნელეებმა თავი იჩინა უკვე დავითის მემკვიდრეების დროს. დიდგვარიანებმა გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს დაკარგული უფლებებისა და მდგომარეობის დასაბრუნებლად. ამის მისაღწევად ისინი ყველა საშუალებით იბრძოდნენ. დავითის მემკვიდრეები ისეთი წარმატებით ვეღარ ახორციელებდნენ დაწყებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს და ზოგ შემთხვევაში უკანაც კი იხევდნენ. ამის მიუხედავად, ქვეყნის წინსვლა მაინც თვალნათლივ შეინიშნებოდა. დ ე მ ე ტ რ ე I-ს (1125-1156) საშინაო ვითარების გართულების პირობებში უხდებოდა თურქთა დაკინებული შემოტევების მოგერიება. იგი იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზეც წასულიყო. შარვანი კვლავ გამოეყო საქართველოს და მის აღმოსავლეთ ნაწილში აღდგა ადგილობრივი შარვან-შაპის ხელისუფლება. შარვანი ამის შემდეგ საქართველოს დაექვემდებარა, როგორც ყმადნაფიცი ქვეყანა.

ასევე ანისის წინააღმდეგ მაჰმადიან მფლობელთა შემოტევების შედეგად საქართველოს სამეფო კარი იძულებული გახდა დათმო და ანისი კვლავ მაჰმადიან მფლობელთა, შედდადიანთა მმართველობაში გადაეცა, მხოლოდ ყმადნაფიცობის პირობით. იყო ცალკეული წარმატებებიც. მაგალითად, 1138 წელს დემეტრემ აიღო ქ. განძა, გამარჯვების ნიშნად ქალაქს მოსსნა რკინის კარები, საქართველოში წამოიღო და გელათის მონასტერს შესწირა, სადაც იგი დღესაც დაცულია.



განძის რკინის კარი გელათის მონასტერში.

საქართველოს ასეთი შედარებით წარუმატებლობანი საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე აიხსნება ამ პერიოდში დაძაბული საშინაო ეითარებითა და შინაფეოდალური ბრძოლებით. თავისი მეფობის ბოლოს დემეტრე იძულებულიც კი გახდა მეფობიდან გადამდგარიყო და ტახტი თავისი მეამბოხე შვილის დ ა ვ ი თ V-სთვის (1155 წ.) დათმო. დავითმა მცირე ხანს იმეფა (6 თვეს). დემეტრე კვლავ დაბრუნდა სამეფოს სათავეში და ტახტზე თანამოსაყდრედ აიყვანა თავისი მომდევნო ვაჟიშვილი გიორგი.

გიორგი III. ბეთანიის ფრესკა.

დემეტრეს მემკვიდრე გ ი ო რ გ ი III (1156-1184) უფრო მეტი ენერგიით იბრძოდა საქართველოს საშინაო და საგარეო მტრების წინააღმდეგ. მან ხელახლა აიღო ქ. ანისი და ილაშქრა სომხეთის ძველ დედაქალაქ დვინზე, ილაშქრა შარვანშიც (1167 წ.). იგი მკაცრი ღონისძიებებით ასერსებდა დიდგვარიანთა თვითნებობის ალაგმვას, რაც ამ უკანასკნელთა უმაყოფილებას იწვევდა. ეს უკმაყოფილება 1177 წელს დიდ ამბოხებაში გადაიზარდა. ამბოხებას მეთაურობდა საქართველოს ამირსპასალარი ი ო ა ნ ე ო რ ბ ე ლ ი. იოანე ორბელს სურდა თავისი სიძე, გიორგის უფროსი ძმის დავითის ვაჟი დემეტრე ანუ დემნა ბატონიშვილი გაემეფებინა. გიორგი III-მ შეძლო ამ აჯანყების ჩახშობა და აჯანყების მე-

თამარი და გიორგი III ვარძიის ფრესკა. XII ს.

თაურთა შეპყრობა. მან სასტიკად დასაჯა ამბოხების მონაწილენი: „შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი.“ დემნა უფლისწულს თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. მეფობის მაძიებელმა ვერ გაუძლო წამებას და გარდაიცვალა. ასევე თვალები დასთხარეს იოანე ორბელს, სიკვდილით დასაჯეს მისი უმცროსი ძმა ქავთარ ორბელი და მისი შვილი სუმბატი. დამნაშავეთა ნაწილს ჩამოართვეს მეფის წყალობა და საქართველოდან გააძევეს. ეს სასჯელი მეფემ დარბაზის გადაწყვეტილებით გამოიტანა და ეკლესიამ შეჩვენებით დაამტკიცა. მეამბოხეთათვის ჩამორთმეული მამულები და თანამდებობანი მეფემ თავის ერთგულებს გაუნაწილა. მეფემ რადიკალური ნაბიჯი გადადგა. მან დიდგვარიანების ადგილას გაბედულად დააწინაურა დაბალი წარმოშობის პირები - „უგვაროები“. მაგალითად, ნაყივჩაღარმა ყუბასარმა ამირსპასალარობა მიიღო, აშნაურის ნაყმევმა აფრიდონმა - მსახურთუხუცესობა,

გიორგი III-ის მონეტები ქართული და არაბული წარწერებით:
„მეფე მეფეთა, გიორგი ძე დიმიტრისა, მესიის მახელი."

მოქალაქეთა წრიდან გამოსული ყოფილი დიდვაჭარი ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთუხუცესად დაინიშნა და სხვ. აღნიშნული ღონისძიებანი იმას ნიშნავდა, რომ მეფის ხელისუფლება ცდილობდა ძირითადად დაყრდნობოდა არა დიდგვარიანებს და მსხვილ ფეოდალებს, არამედ ასალ საზოგადოებრივ უფნებს: მოქალაქეებსა და მსასურეულ აზნაურობას, აგრეთვე, დაბალი წარმოშობის პირებს. დიდგვარიანები იძულებულნი იყვნენ დროებით მაინც შერიგებოდნენ მეფის ამ ღონისძიებებს, მაგრამ მოხერხებულ დროს ისინი არ დააყოვნებდნენ კვლავ თავი წამოეყოთ და თავიანთი ტრადიციული უფლებებისა და მდგომარეობის აღდგენა მოეთხოვათ. გიორგი III ამ რთულ ვითარებაში იძულებული იყო ზოგიერთ დათმობაზე მაინც წასულიყო. საეკლესიო კრების მოთხოვნით მან აღადგინა ეკლესიის საგადასახადო შეუვალობა, რაც აღრე თვითონვე გააუქმა.

გიორგი III-ს აფიქრებდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. მას ვაჟიშვილი არა ჰყავდა და შიშობდა, რომ ამ ამბავს დამარცხებული დიდგვარიანები ახალი ამბოხებისათვის გამოიყენებდნენ, ამიტომ გადაწყვიტა თანამოსაყდრედ სამეფო ტახტზე აეყვანა თავისი უფროსი ქალიშვილი თამარი. 1178 წელს თამარი მისმა მამამ საზეიმოდ აკურთხა მეფედ. ამის შემდეგ მამა-შვილმა ერთად თითქმის 6 წელი იმეფა. თამარი ეჩვეოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის რთულ ხელოვნებას. ამ პერიოდში გამოიცა კანონი მეკობრეობის წინააღმდეგ, რომელიც მკაცრ სასჯელს აწესებდა დამნაშავეთა მიმართ. გიორგი III გარდაიცვალა 1184 წლის 27 მარტს.

VI თავი

საქართველოს „ოქროს ხანა“

თამარის მეფობა

გიორგი III-ის შიში გამართლდა. დიდგვაროვნებმა არ დააყოვნეს და მისი გარდაცვალებისთანავე სცადეს საქართველოს სამეფო ტახტზე დარჩენილი ახალგაზრდა ქალისათვის თავს მოეხვიათ თავიანთი ნება. ჯერ იყო და მათ საეჭვო გახადეს სამეფო ტახტზე ქალის დასმის საკითხი. სამეფო ლარბაზმა მსოლოდ ხანგრძლივი კამათის შემდეგ მისცა დასტური თამარს ერთპიროვნულად მეფედ კურთხეულიყო და ეს კურთხევაც გარკვეული ცერემონიალით ჩაატარეს, რომლის დროსაც ხაზს უსვამდნენ იმას, რომ მეფე თამარი თავის უფლებას მათგან, საქართველოს დიდებულთაგან იღებდა და არა „ღვთისაგან“, როგორც ეს თეორიულ ნორმად იყო განწესებული დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის დროიდან.

საქართველოს დიდგვაროვნები თამარის გამეფებას თანხმლებოდნენ იმ იმედით, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მეფე ქალის ყოფნის დროს შეძლებდნენ თავიანთი დაკარგული უფლებების აღდგენას.

დაგვირგვინების ცერემონიალისა და ზეიმის დამთავრებისთანავე მათ თამარ მეფეს კატეგორიული პირობები წაუყენეს: უმაღლესი სამოხელეო თანამდებობებიდან გადაეყენებინა „უგვარონი“ და ეს დიდებანი[1] ისევ დიდგვაროვნებისთვის დაებრუნებინა.

1 დიდება - მაღალი თანამდებობა გარკვეული ყმა-მამულის წყალობით.

თამარი იძულებული შეიქნა დიდგვაროვანთა ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებინა. ამავე დროს საქართველოს კათალიკოსმა, მიქელმა, მირიანისძეთა დიდაშნაურული გვარის წარმომადგენელმა, მიიგაცა საქართველოს პირველი ვაზარის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა და ამით გააერთიანა რიგორც უმაღლესი საეკლესიო, ისე საერო ხელისუფლება.

თამარ მეფე ყინწვისის ფრესკა

სამეფო კარი იძულებული გახდა უკან დაეხია რეაქციონერ დიდგვაროვანთა წინაშე. მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მათ ქვეყნის შიგნით განუყოფელი ბატონობა ჰქონდათ. დიდგვაროვანების ასეთი გაფანტრებული მისწრაფება ქვეყნის მართვა-გამგეობის სადაოების ხელთგდებისაკენ იმითაც იყო განპირობებული, რომ ისინი შეშობდნენ, მათი როლი საბოლოოდ არ დაკნინებულიყო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და შიმობდნენ საფუძველიანადაც, რადგან პროგრესული ძალები სულ უფრო და უფრო აქტიურობდნენ.

ამ მწვავე ბრძოლების დროს თავი იჩინა ერთმა მეტად საყურადღებო პოლიტიკურმა მოძრაობამ, რომელიც საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის ანუ ფინანსთა მინისტრის — ყუთლუ-არსლანის სახელთან არის დაკავშირებული.

ყუთლუ-არსლანმა თამარ მეფეს შემდეგი მოთხოვნები წაუყენა: მეფეს აღარ უნდა ჰქონოდა უფლება „წყალობისა და შერისხვისა", მაღალ თანამდებობებზე პირთა დანიშვნისა და გადაყენებისა, საერთოდ, სახელმწიფო კანონების გამოცემისა. ეს უფლებები უნდა გადასცემოდა სპეციალურ დაწესებულებას, „კარავს", სადაც მსხდომნი იქნებოდნენ „გამგებელნი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი" და შემდეგ „ეკადრებდეთ და ეაცნობებდეთ თამარ მეფესა და დედოფალსა და მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენია". ამრიგად, ამ მოთხოვნებით მეფეს რჩებოდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება. საკანონმდებლო უფლებები კი გადადიოდა ამ „კარავის" ხელში, რომელიც უფრო გვიან დასავლეთ ევროპაში აღმოცენებული პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა ყოფილიყო. ყუთლუ-არსლანი გამოდიოდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მომხრეების სახელით. მის მხარეზე იდგნენ ძირითადად მოქალაქენი და მსახურეული აზნაურობა, იყვნენ, აგრეთვე, არისტოკრატიის წარმომადგენლებიც, რომლებიც ამ შინაპოლიტიკურ ბრძოლაში თავისთვის მეტი უფლებების მოპოვებას ცდილობდნენ. ამრიგად, დღის წესრიგში დგებოდა ფეოდალური ქვეყნის პოლიტიკური წყობილების ძირეული გარდაქმნა.

თამარმა ბრძანება გასცა, ყუთლუ-არსლანი დაეპატიმრებინათ, მაგრამ ამ ღონისძიებამ „კარავიელთა“ მოძრაობა კიდევ უფრო გაამწვავა. აღნიშნული პოლიტიკური მოთხოვნების მომხრეებმა იარაღი აიხსნეს და მეფის სასახლეზე თავდასხმა გადაწყვიტეს: „შეიყარნეს და უკუეგდეს“ მეფის კარს, „განემზადეს ისნისაცა შემობმად“ - გადმოგვცემს ამ ამბების მომსწრე ისტორიკოსი. ამრიგად, ყუთლუ-არსლანის დასელებმა იარაღის ძალით გადაწყვიტეს თავიანთი მოთხოვნების განხორციელება.

შეშფოთებულმა სამეფო კარმა აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად ორი კეთილშობილი მანდილოსანი-კარავი ჯაყელი და სვაშაქ ცოქალი გაგზავნა. ქალების ელჩად წარგზავნა გარკვეული დიპლომატიური ნაბიჯი იყო. ცნობილია, რომ ძველ საქართველოში სშირად, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობის დროს, მოსალაპარაკებლად და მშვიდობის ჩამოსაგდებად ქალს აგზავნიდნენ სოლმე. ქალის შუამავლობას განსაკუთრებული პატივისცემით უყურებდნენ (გავიხსენოთ ბიზანტიასთან მოსალაპარაკებლად ბაგრატ IV-ის დედის, დედოფალ მარიამის გაგზავნა და სხვ.). ამჯერადაც ამ ორმა მანდილოსანმა შეძლო აჯანყებულთა დაშოშმინება. საქმე ორმხრივი დათმობითა და შეთანხმებით დამთავრდა. თამარმა აღუთქვა, რომ ყუთლუ-არსლანის გარდა არავის დასჯიდა. ამ ვაგირსაც მთელი სიმკაცრით არ მოეპყრობოდა, ამავე დროს გაითვალისწინებდა აჯანყებულთა მოთხოვნებს და მოქალაქეთა წარმომადგენელს სამეფო-სათათბირო ორგანოში, დარბაზში შეიყვანდა, სამაგიეროდ, აჯანყებულებს შეიარაღებულ გამოსვლაზე ხელი უნდა აეღოთ.

მართლაც, ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ დარბაზის უფლებები მნიშვნელოვნად გაფართოებულია და მისი ერთ-ერთი მთავარი წევრია მოქალაქეთა მაღალი ფენის წარმომადგენელი, თბილისის თავი ანუ ამირათ-ამირა ა ბ უ ლ - ა ს ა ნ ი.

შინაპოლიტიკური ბრძოლები ამით არ დამთავრებულა. სხვა ცნობები ამ ახალი ძალების პოლიტიკური გამოსვლების შესახებ, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია, თუმცა საამისო ტენდენციები მაშინდელ საქართველოში სხვაც უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ, არა ერთი ცნობა გვაქვს რეაქციონერ დიდგვაროვ-

თამარის დროინდელი სპილენძის ფულები (1187 წ.). მონეტის შუბლზე, ცენტრში თამარის ხელრთვა, გარშემო ასომთავრული წარწერა: „სახელითა ღმერთისაჲთა, იქმნა ფეფალ ეერეფსლისი ამის ქორონიკონსა 407“. ზურგზე არაბული წარწერა: „დედოფალი დიდებული, შეენიბა ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძალუანი მისნი“. გარშემო რკალად არაბულადვე: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“.

ვანთა გამოსყიდვის შესახებ. ისინი არ აყოვნებდნენ და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში აწყობდნენ გამოსყიდვას მეფის ხელისუფლებაზე თავიანთი გაჟღენის განსამტკიცებლად. ყველაზე დიდი გამოსყიდვა დაკავშირებულია თამარის პირველი ქმრის საკითხთან.

საქართველოს სამეფო დარბაზმა თამარის ქმრად, სანგრძლივი კამათისა და თათბირის შემდეგ, შეარჩია რუსი უფლისწული გიორგი, როსტოვ-სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი (გიორგი მას საქართველოში შეარქვეს, მისი ნამდვილი სახელია ი უ რ ი). აღსანიშნავია, რომ რუსი უფლისწულის კანდიდატურა წამოაყენა დარბაზის ახალმა წევრმა, თბილისის ამირათ-ამირა აბულ-ასანმა, რომელმაც თვითონვე იკისრა იური ანდრიას ძის საქართველოში ჩამოყვანა.

ქართველი ღიღებულების შეხედულებით, გიორგი უფლისწული საესებით შესაფერისი იყო თამარის ქმრობისა, ვინაიდან იგი, ჯერ ერთი, მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო და მეორეც, საქართველოში ის ვერ გააგარებდა თავისი ქვეყნის ინტერესებს, რადგან როსტოვ-სუზდალიდან გამოძევებული იყო მისი ბიძის, ვსევოლოდის მიერ. ამიტომ ბევრი აღარ დაუყოვნებიათ, იური სასწრაფოდ ჩამოიყვანეს საქართველოში და თამარზე დააქორწინეს. ეს ქორწინება ვერ გამოდგა ღღებედნიერი. რუსმა უფლისწულმა ბევრი უარყოფითი თვისება (ლოთობა, ბილწსიტყვაობა, სოდომური ცოდვა) გამოამჟღავნა. მალე იგი თამარს გააბეზრეს და, სათანადო ქაღიეთ, საქართველოდან გაისტუმრეს. რუსმა უფლისწულმა ბიზანტიას შეაფარა თავი. 1189 წელს თამარს მეორე ქმარი შერთეს, საქართველოს სამეფო კარზე გაზრდილი, დედით ბაგრატიონთა შთამომავალი და ოსთა მეფის შვილი დ ა ვ ი თ ს ო ს ლ ა ნ ი .

შექმნილი სიტუაცია დიდგვარიანმა აზნაურებმა ახალი ამბოხებისათვის გამოიყენეს. თითქოსდა გაძევებული რუსი უფლისწულის უფლებების ღასაცავად მათ ახალი აჯანყება მოაწყეს. აჯანყებამ საქართველოს დიდი ნაწილი მოიცვა. მაგრამ სამეფო კარმა შეძლო მისი ჩახშობა. შეპყრობილი გიორგი უფლისწული საქართველოდან ხელახლა გააძევეს, მისი მომხრე მეამბოხე დიდებულებიჟამოსყიდვეო თანამდებობებიდან გადააყენეს და სხვადასხვა სასჯელით დასაჯეს.

აღნიშნული მოვლენები იმის აშკარა მოწმობაა, რომ ამ პერიოდში ფეოდალური საქართველო კვლავ შინაპოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა.

ძველ, ღრმოფესვულ რეაქციულ ძალებსა და ახალ, პროგრესულ ძალებს შორის წინააღმდეგობა უკიდურესად დაიძაბა. ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გარკვეული, თუ ვის სასარგებლოდ გადაწყდებოდა ბრძოლა.

90-იანი წლების დასაწყისისათვის დაპირისპირებული მხარეები ურთიერთდათმობის გზით მორიგდნენ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი ზავი, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო დიდ ბრძოლებში უნდა გადაზრდილიყო.

ქვეყნის შიგნით მშვიდობის დამყარების შემდეგ საქართველომ კვლავ აქტიური საგარეო პოლიტიკა წამოიწყო.

1192 წელს თამარს ვაჟი შეეძინა, რომელსაც გიორგი-ლაშა უწოდეს. ტახტის მემკვიდრის დაბადების აღსანიშნავად ბარდავის მიმართულებით დიდი ლაშქრობა მოეწყო. ლაშქრობის შედეგად ხელთ ჩაგდებული 30000 ტყვე

„ათაბეგისუფლეს... დღეგრძელობისათვის თამარისა და ძისა მისისა". დიდი ლაშქრობები მოეწყო სხვა მიმართულებითაც. საქართველოს მსედრობის წარმატებებს აპირობებდა ის გარემოებაც, რომ თურქ-სელჩუკთა უბარმაგარი იმპერია ამ დროისათვის უკვე დაშლილი იყო ცალკეულ სასულტნოებად, საემიროებად თუ საათაბაგოებად და საქართველო ადვილად ამარცხებდა ამ შედარებით მცირე პოლიტიკურ ერთეულებს. ქართველებმა დაიმორჩილეს და ყმადნაფიცად აქციეს საქართველოს უშუალო მეზობელი თითქმის ყველა მაპმადიანი მმართველი. ისახებოდა გეგმები უფრო შორეული ლაშქრობისთვისაც. შემფოთებულმა თურქებმა ერთიანი ძალით გადაწყვიტეს საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრება. ამ მზადებას სათავეში ჩაუდგა ადარბადაგანის ათაბაგი აბუ-ბექრი, რომელმაც თავისი დროშის ქვეშ გააერთიანა თურქთა სამსედრო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი. მას დახმარებისათვის მაპმადიანური მსოფლიოს სულიერ მეთაურს - ბაღდადის ხალიფასაც მიმართა. ბაღდადის ხალიფამ ენერგიულად დაუჭირა მხარი ამ ლაშქრობას. მან უხვად გაიღო ფული და ლოცვა-კურთხევაც; ახლო და შორეულ მუსლიმანურ მფლობელებს ბრძანებები დაუგზავნა, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს წინააღმდეგ განზრახულ კოალიციურ ლაშქრობაში და ბოლოს, უძლეველობის ნიშნად, თავისი ხალიფური დროშაც კი გამოაგზავნა, რომელიც უნდა წასძღოლოდა „მორწმუნეთა ლაშქარს" ქრისტიანი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ადარბადაგანის ამირა აბუ-ბექრი, უბარმაგარი არმიით, ამიერკავკასიაში შემოიჭრა. მას განზრახული ქქონდა ჯერ დასჯა საქართველოს ყმადნაფიცი შარვანის შაპი აღსართანი, რომელიც საქართველოს ერთგული იყო, შემდეგ კი საქართველოც დაელაშქრა. აღსართან შარვან-შაპმა საქართველოს მეფეს მიმართა დახმარებისათვის.

საქართველოს სამეფო დარბაზმა გადაწყვიტა, კარს მომდგარი მტრის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ მოეწყო ლაშქრობა. ქართველთა ჯარს სათავეში დავით სოსლანი ჩაუდგა.

ბრძოლა მოხდა 1195 წლის 1 ივნისს ქალაქ შამქორთან. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს თურქები. თვითონ აბუ-ბექრიმ გაქცევით უშველა თავს. ქართველთა ლაშქარს 12000 ტყვე და დიდძალი ნადავლი დარჩა ხელთ. მათ შორის იყო ის ღაზო დროშაც, რომელიც ხალიფამ გამოუგზავნა ათაბაგს უძლეველობის ნიშნად. გამარჯვებულ ქართველებს დანებდა შამქორიცა და განძაც.

XIII საუკუნის დასაწყისში ფეოდალურმა საქართველომ თავისი პოლიტიკური სიძლიერის ზენიტს მიაღწია. შამქორის ომში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს გავლენა და ავტორიტეტი მეზობელ ქვეყნებში. ქართველები დაუბრკოლებლივ უტევდნენ მოსაზღვრე

ბინეტის შუბლზე დაკრავებული „თაბარ, დავით. ქორონიკონი 420". ზურგზე არაბული წარწერა: „დიდოფალთ დიდოფალი, მეფენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თაბარი, ასული გიორგისა, მესხის თაყვანისმცემელი".

მაპმადიანურ სამფლობელოებს და ზედიზედ იმორჩილებდნენ მათ. საქართველოს პოლიტიკოსთა ყურადღება უპირატესად შემბოელი სომხური მიწების შემოერთებისა და სომეხი ხალხის თურქთა ბატონობისაგან საბოლოო გათავისუფლებისკენ იყო მიპყრობილი. XII საუკუნის მიწურულში ქართველებმა საბოლოოდ მოშალეს შედგადიანთა მმართველობა ანისში და ეს სომხური ქალაქი და მისი სანახები საქართველოს შემოუერთეს (1199 წ.). თურქები დამარცხდნენ გელაქუსსა და ამბერდშიც. 1201 წელს აღებულ და შემოერთებულ იქნა ბიჯნისიც. ქართველებმა სამხედრო მოქმედება გადაიტანეს უფრო სამხრეთით. მალე მათ სომხეთის ძველი დედაქალაქი (ე ი ნ ი) გაათავისუფლეს თურქთა ბატონობისაგან და საქართველოს შემოუერთეს. თურქთა წინააღმდეგ შეტევა წარმატებით გრძელდებოდა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. საქართველომ დაიბრუნა ძველი ქართული თემები და აღგილები: (ო შ კ ი , ს ა ს უ ლ ი , ბ ა ნ ა).

საქართველოს ასეთი გაძლიერება დიდ საგონებელში აგდებდა თურქ მფლობელებს. გადაწყდა, საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთხელ დიდი კოალიციური ლაშქრობის მოწყობა. თურქთა ამ გამოლაშქრებას სათავეში ჩაუდგა რუმის ანუ იკონიის სულტანი (რ უ ქ ნ ა დ - დ ი ნ ი) (1196-1204).

რუმის სასულტნო მცირე აზიაში ყველაზე დიდი თურქული სახელმწიფო იყო. რუქნ ად-დინი მთელს თურქულ სამყაროში პირველობაზე ოცნებობდა. ამიტომ ჩაუდგა იგი სათავეში მაპმადიანთა გაერთიანებულ ლაშქრობას საქართველოს წინააღმდეგ. თვითონ მაპმადიანური წყაროების მოწმობით, რუქნ ად-დინის დროშის ქვეშ უზარმაზარი არმია გაერთიანებულა. თურქთა კოალიციური ლაშქარი 400 ათასზე მეტ კაცს ითვლიდა. რუქნ ად-დინს თავის გამარჯვებაში ეჭვიც კი არ ეპარებოდა. ამიტომ, გადმოლახა რა საქართველოს საზღვარი, დაბანაკდა საქართველოს სამხრეთ პროვინცია (ბ ა ს ი ა ნ შ ი) და აქედან ელჩი გაუგზავნა თამარ მეფეს უსიტყვო მორჩილების მოთხოვნით. თამარისდროინდელი ისტორიკოსი ასე გადმოგვეცემს რუქნ ად-დინის ელჩობის ამბავს: „ვითარ მოვიდა მოციქული და შეიყვანეს მეფის თამარის წინაშე, წიგნი მისცა, წარდგა და იწყო არასაკადრებელთა სიტყუათა თქუმად: „უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს სარჭად სულტნისა!“ ვინათგან ამპარტავნად იტყოდა სიტყვათა ამათ, წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და უსეთქა სელითა პირსა და, ვითარცა მკუდარი, დაეცა და იდვა. ვითარ აზიდნეს და ამართეს და ცნობად მოვიდა, პრქუა ზაქარია: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენის ალმოკვეთა იყო შენი სამართალი და მერმეღა თავისა...“

ქართველებმა მარჯვედ ისარგებლეს რუქნ ად-დინის ასეთი ზედმეტი თვითდაჯერებულობით. საქართველოს ჯარი სასწრაფოდ შეიყარა და უკან გაბრუნებულ ელჩს ფეხდაფეს მიჰყვა. თვითონ თამარმა ქართველთა ჯარი (ე ა რ - ძ ი ა მ დ ე) მიაცილა.

თურქთა მბრძანებელი არ მოელოდა საქართველოს ჯარის ასეთ სწრაფ გამოჩენას. (ბ ა ს ი ა ნ შ ი) ბანაკად მდგარ რუქნ ად-დინს დარაჯებიც კი არ დაეყენებინა. ქართველთა სწრაფმა შემოტევამ თურქებს თავგარი დასცა. სა-

ქართველოს ჯარს დაეით სოსლანი მსედართმთავრობდა, სოლო „წინამძღოლად იყო ბაქარია მსარგრძელი ამირსპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ასალციხელი - შალვა და ივანე".

სანგრძლიეი, სისხლისმღერელი ბრძოლის შემდეგ მტრის უბარმაგბარი ლაშქარი დამარცხდა: „ტყეთა მსგავსი ლაშქარი ისილეებოდა ლტოლვილი".

ბასიანის ომში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს (1202 წ. 27. VII.). საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი უზომოდ გაიზარდა. მისი სიძლიერის სასელი მთელს მაშინდელს მსოფლიოს მოეფინა. საქართველოს ზედიზედ უსაღებდნენ მორჩილებას ასლობელი თუ შორეული თურქული სამთავრო-სასელმწიფოები (მაგ., ერზინჯის სასულტნო და არზრუმის საამირო).

ამ პერიოდის წარმატებებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ციხე-ქალაქ კ ა რ ი ს აღებას. კარი (ღღეანდელი ყარსი) თურქ დამპყრობთა ერთ-ერთი საყრდენი იყო ამიერკავკასიაში. მას დიდი სტრატეგიული და საეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. ამიტომ, 1204 წელს მეფე თამარმა საგანგებო ჯარი გაგზავნა და ამ ქალაქის ასაღებად მებრძოლ ბიზანტიელ ერისთავებს მიაშველა. ქართველთა ჯარმა ეს მაგარი ციხე-ქალაქიც გატეხა. ითვალისწინებდა რა მის მნიშვნელობას, თამარ მეფემ კარი წყალობად კი არ გასცა, როგორც ანისი ან დვინი, არამედ უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილა და მის მმართველად მონაპირე ერისთავი, ბასიანის ციხე-ქალაქიც ეიანე ასალციხელი დასვა.

ქართველი სამეფო კარის უდავოდ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური წარმატება იყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვართან ბუფერული სასელმწიფოს, ტრაპიზონის სამეფოს შექმნაც.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრებოდა ბიზანტია, რომელიც აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს მეთაურობას იჩემებდა. დაეით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული აღმაველობის გზაზე დამდგარი საქართველო ბიზანტიის მეტოქედ გამოდიოდა. ამ პერიოდში კი ბიზანტიის სიძლიერე და საერთო მდგომარეობა მეტისმეტად შეირყა: დასავლეთევროპელმა ჯვაროსნებმა ისარგებლეს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტისთვის ატეხილი შინადინასტიური ომებით და აქტიურად ჩაერიენენ მის საშინაო საქმეებში. 1204 წლის 12 აპრილს ჯვაროსნებმა იერიშით აიღეს და სასტიკად გაძარცვეს იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი. იმპერიის ტერიტორიაზე რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა.

ქართველ პოლიტიკოსებს არ დაუყოვნებიათ სათანადო ღონისძიების გატარება. თამარ მეფის ბრძანებით ქართველთა ლაშქარმა დაიკავა ბიზანტიის ყოფილი შავიზღვისპირა პროვინციები, ქალაქები: ტრაპიზონი, ლიმნია, სამსონი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა და პერაკლეა. ეს ტერიტორია, რომელიც ჭანეთად ანუ ლაზისტანად იწოდებოდა, ძირითადად ქართული ტომებით იყო დასახლებული და, ბუნებრივია, ადრიდანვე ქართველ პოლიტიკოსთა ყურადღებას იქცევდა. დაპყრობილ ტერიტორიაზე თამარმა ცალკე სახელმწიფო შექმნა, რომელსაც ტ რ ა პ ი ზ ო ნ ი ს ი მ პ ე რ ი ა უწოდა, ხოლო ახალ სა-

იმპერატორო ტასტეს დასეეს თამარის სათესაეი და საქართველოს სამეფო კარზე გაჩრდილი, ბიზანტიაში დამსობილი კომნენოსთა დინასტიის კანონიერი მემკვიდრე ალექსი კომნენოსი.

აღნიშნული ღონისძიება ქართველ პოლიტიკოსთა შორის გამიზნული ნაბიჯი იყო. როგორც ცნობილი რუსი ბიზანტიოლოგი აკად. კუნიკი შენიშნავდა - „კომნენოსები [ალექსი და დავითი] ჯერ კიდევ მცირეწლოვნები იყვნენ, საქართველოში რომ მოხვდნენ, სადაც ისინი აღიზარდნენ. მათი დედაენა ქართული იყო... ისინი ყველგან ქართული ცხოვრებისა და ქართული შეხედულებების გავლენის ქვეშ იყვნენ, ასე რომ, ისინი უთუოდ ქართველ დიდებულებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ბიზანტიელთ“. აკად. უსპენსკი კი საბს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ტრაპიზონის იმპერია სასიათლებოდა „მოსახლეობის ეთნოგრაფიული განსხვავებულობით და ისტორიის თავისებურებით, რომელშიც ელინიზმს (ე. ი. ბერძნულ გავლენას) გაბატონებული ადგილი არ სქერია“. კერძოდ, იგი აღნიშნავდა, რომ „არ შეიძლება წინ არ წამოეწიოთ და განსაკუთრებით საზი არ გაეუსვათ იმ პირობებს, რომელნიც XIII საუკუნის დამდეგს და იმპერიის შექმნის შემდეგ თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში მიუთითებენ ადგილობრივი, ლაზური ტენდენციების ბატონობაზე ტრაპიზონში, რომელთაც ზურგს უმაგრებენ თბილისიდან და მხარს უჭერს თვით ტრაპიზონელი მეფეები სულისკვეთება“.

მართლაც, საქართველოს წყალობით დაარსებული ტრაპიზონის იმპერია, უპირველესად ქართული მოსახლეობითა და გაქართველებული დინასტიით სათავეში, ფაქტობრივად საქართველოს მონარქიის ნაწილს წარმოადგენდა. და თუ ქართველი პოლიტიკოსები ხელს უწყობდნენ ამ სახელმწიფოს მაინც დამოუკიდებელ არსებობას და უშუალოდ საქართველოს არ უერთებდნენ, ეს უპირველესად დიდი პოლიტიკური წინდახედულებით უნდა აიხსნას.

ქართველ პოლიტიკოსებს სურდათ მთელი მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ, რომ ლათინთა მიერ დამსობილი ბიზანტიის იმპერია, კანონიერი დინასტიით სათავეში, განაგრძობდა არსებობას ტრაპიზონის სახელმწიფოს სახით, რომ გაღარჩენილ საიმპერატორო კარს და მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს საქართველო მფარველობდა, და, ფაქტობრივად, ბიზანტიის მემკვიდრე ეს სახელმწიფო საქართველოს გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. მართლაც, საქართველოს მიერ დაფუძნებულმა ტრაპიზონის იმპერიამ საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო ისტორიაში და თავისი არსებობის ორნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოს საიმედო მოკავშირეს წარმოადგენდა.

1206 წელს გარდაიცვალა თამარის მეუღლე დავით სოსლანი და თამარმა თანამოსაყდრედ თავისი ეაეი ლაშა-გიორგი აიყვანა. თამარის მეფობის ბოლო წლებში საქართველო განაგრძობდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას. ქართველთა ჯარმა ძლევამოსილი ლაშქრობა მოაწყო ირანში, დაიმორჩილა ირანის ტერიტორიის დიდი ნაწილი, ბრძოლით აიღო ქალაქები: მარანდი, თაერიზი, მიანა, ზენჯანი, ყაზვინი. ქართველებმა თვით რომ-გურამდე მიაღწიეს.

თამარი და მისი ძე ლაშა-გიორგი. ბეთანიის ფრესკა.

ამრიგად, თამარის მეფობის უკანასკნელ ხანაში საქართველოს ემორჩილებოდნენ როგორც ყმაღნაფიცნი: ერზინკის სულტანი, არზრუმის ამირა, განძის ათაბაგი, შარვან-შაჰი, დარუბანდის მთავარი და სხვა არაერთი შაპშადიანი მფლობელი.

საქართველოს ემორჩილებოდა თითქმის მთელი იმიერკავკასიაც. საქართველოს გაელენის გავრცელება იმიერკავკასიის მთიანეთში პროგრესული მნიშვნელობის მოვლენა იყო ამ ხალხებისათვის. საქართველოს იქ შეპქონდა უფრო მაღალი კულტურა, საზოგადოებრიეი წყობა და ხელს უწყობდა კავკასიის ქვეყნების უფრო მტკიცე კულტურულ-ეკონომიკური კავშირის შეკვრას. იმიერკავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში, მაგალითად, ოსებში, ჩერქეზებში, ღუნძებში და სხვა ტომებში უფრო მეტი ინტენსიეობით ერცელდებოდა ქართული ფეოდალური კულტურა, ქართული დამწერლობა, ქრისტიანობა და ეს ხდებოდა არა ძალდატანებით, არა იძულებით, არამედ თვით ამ სალხების პროგრესული განეითარების ინტერესების შესაბამისად, ადგილობრიეი მოწინავე წრეების მხარდაჭერითა და სურვილით.

თამარის პოლიტიკა არაქართული ქვეყნებისა და მოსახლეობის მიმართ გამოირჩეოდა დიდი წინდახედულობითა და სამართლიანობით. ამას საგგასმით აღნიშნავს მისი თანამედროვე ისტორიკოსი ბასილ ეგოსმოძღვარი: „და წა-

მებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თვისი, რაოდენნი განლევნილნი სამეფოდეე თვისად კუალად აგ-ნა... და ამის მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოე-სთა, ქაშაგთა, კარნუ ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფ-ლებითსა ცხოერებასა ამის მიერ იყენეს და მტერთაგან უშრუნველობასა". რო-გორც ვხედავთ, აქ მაგალითად ჩრდილო კაეკასიის ხალხებთან (ღუნძთა, ოე-სთა, ქაშაგთა) ურთიერთობაცაა მოტანილი.

ასეთი პოლიტიკის გამოძუშაეებაში და განხორციელებაში დიდ როლს თა-�შობდა თეთრის თამარის პიროვნება, რომლის აღტაცებულ დახასიათება-საც იძლეევიან მაშინდელი ქართული და უცხოური წყაროები.

თამარ მეფე გამორჩეული თვისებების პიროვნება იყო. მას ახასიათებდა სასიათის სიმტკიცე და შემწყნარებლობაც, საკითხების გადაწყვეტისას სიღრმ-ჯე და წინდახედულება. იგი ყოველთვის ცდილობდა მოწინააღმდეგეებთან შე-თანხმებასა და მშვიდობიანი მოლაპარაკებით დაყოლიებას. ქვეყანაში წეს-რიგს მარტო ძალით და სიმკაცრით არ ამყარებდა. ასეთ ზომებს მხოლოდ უკი-დურეს შემთხვევაში მიმართავდა. თანამედროვეთა დახასიათებით, თამარ მე-ფე ლმობიერი და სათნო პიროვნება ყოფილა, მოწყალე და განურისხებელი, ძალმომრეობისა და მიმძლავრების წინააღმდეგი. რაც უნდა დაუჯერებლად ჩანდეს, ფაქტია, რომ შუა საუკუნეების სიმკაცრითა და სისასტიკით მოცულ მსოფლიოში, სადაც ძალაუფლება მოსახლეობის მკაცრი სასჯელითა და ში-შით დათრგუნვას ემყარებოდა, საქართველოს მეფე-ქალი წინააღმდეგი იყო ასეთი სიმკაცრისა და თვით სიკვდილით დასჯისაც კი. თავისი ხანგრძლივი მეფობის პერიოდში არა თუ ვინმეს ფიზიკური დასჯა, თუნდაც მათრახის დაკ-ერა უბრძანებია („არცა თუ ტანჯგანაკი (ე. ი. მათრახი) უბრძანა ვისადმე დაკ-ერად"), არამედ სარგებლობდა თავისი უზენაესი უფლებით და სასჯელის შემ-სუბუქებას ცდილობდა. მაგალითად, საქართველოში მოქმედი კანონის ძალით, როდესაც დამნაშავე სიკვდილით ან თვალთდაბნელებით, ან სხეულის რომე-ლიმე ნაწილის მოკვეთით, უნდა დასჯილიყო, განაჩენის ასრულებისათვის მე-ფის თანხმობა და დამტკიცება იყო საჭირო. თამარ მეფე სარგებლობდა ამ უფ-ლებით, სასამართლოს განაჩენს „მოწყალებით" არ ამტკიცებდა და ამ გზით, ფაქტობრივად, ყველა ამგვარი სასჯელი მოსპო და გააუქმა. „შეწყალებული" დამნაშავენი კი შედარებით მსუბუქად ისჯებოდნენ.

თამარ მეფე უაღრესად ღვთისმოსავი და მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო. იგი ბევრს ლოცულობდა. თვით სამეფო კარის ეკლესიაში „საეკლესიო ლოცვა და წესი ლოცვისა დაუკლებლად აღესრულებოდის", როგორც ამას სა-ეკლესიო განწესება მოითხოვდა („ვითარ ტიპიკონი მოასწავებდა განწესება-სა პალესტინისასა"). მისი მაგალითით სამეფო კარზე მყოფნიც „წირვად ეერ-ვინ დააკლდებოდა". უნდა უსათუოდ აღინიშნოს, რომ თამარ მეფე მხოლოდ ასეთი გარეგნული მორწმუნეობითა და ლოცვის აღსრულებით არ კმაყოფილ-დებოდა და უმთავრეს ყურადღებას ქველმოქმედებას აქცევდა, თანაც გლა-საკთადმი მოწყალების გაცემასა და სხვა ქველმოქმედებას საკუთარი შრო-

თამარ მეფე. ვარძიის ფრესკა.

მით შენაძენი ფულით ეწოდა. სახელმწიფო საქმეებიდან თავისუფალ დროს მეფე ქალი მსოლოდ შრომაში ატარებდა. მემატიანე გადმოგვცემს, რომ თამარს თავისი ხელით მოქსოვილი კვართით 12 მღვდელი შეუმოსავს. მემატიანე იმასაც აღნიშნავს, რომ მისთვის განკუთვნილ საკვებსაც თამარი თავისი შრომის მონაგებით ანაზღაურებდა: „ამასცა შურებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მისი ფას-რაოდენ დღე შეჭამოს, ხელით-საქმარი მისი განყიდის და ეგოდენ ფასი გლახაკთა ახელსაქმრის და მისცის არა სამეფოდ შემოსაეალთაგან“.

ჩვენამდე თამარ მეფის 4 ფრესკული სურათია მოღწეული, რომლითაც თვალნათლივ დასტურდება მისი გარეგნული მშვენიერებაც. აქვე გვინდა მოვიტანოთ ახალი ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის, აკად. ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „ვინ არ იცის, რომ ბუნებამ გასაოცარის სილამაზით შეამკო დიდებული თამარ მეფე და ამ მხრივაც იგი ქართული განთქმული სილამაზის საუკეთესო, სწორუპოვარი წარმომადგენელი იყო. ქართველი ერისათვის მაშინაც და შთამომაველობისთვის დიდი თამარის სახელი იმიტომ იყო

სათაყვანებელი, რომ მესთაბუნებრიეის ძალით მასში შეერთებული იყო ქალის მომსიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული. მარტო ის რაღა ღირდა, რომ საქართველოს უუმწეერეალეს სამხედრო ძლიერების დროს ისტორიამ ნაზს და სათუთს არსებას, უმშვენიერეს ქალს არგუნა მეფობა, რიმელმაც საქართველოში დამნაშაეეთა სიკედილად დასჯა ამოიკვეთა და ლამასახიჩრებელი სასჯელები მოსპო!"

თამარის ასეთი კეთილშობილებისა და მოწყალების სახელი შორს გავარდნილა. გარდა საქართველოს უშუალო მოსაზღვრე ქვეყნებისა, თამარის ქება-დიდება ზღვის იქით ქვეყნებამდეც აღწეეღა. თამარის ქების ამბავი თვით ფრანგ, ე. ი. დასაელეთ ევროპელ მეზღვაურებსაც გაუტანიათ: მემატიანეს მტკიცებით, „ფრანგი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენაეენი, ნიავ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდიან".

ლაშა-გიორგის თანამოსაყდრედ გამოცხადების შემდეგ თამარს დიდსანს აღარ უცოცხლია. ქართველი და უცხოელი ავტორები თამარის გარდაცვალების სხვადასხვა თარიღს უჩვენებენ, ამიტომ მკვლეეართა შორის არ არის ერთიანი აზრი ამ თარიღის შესახებ. ნაწილს მიაჩნია 1207, ნაწილს - 1210, ნაწილს - 1213 წ. თამარი დაუკრძალაეთ გელათის მონასტერში. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად გამოაცხადა.

გიორგი IV (ლაშას) მეფობა

ლაშა-გიორგი. ბეთანიის ფრესკა.

თავისი სახელოვანი დედის გარდაცვალების შემდეგ სრულიად ახალგაზრდა მეუე გიორგი-ლაშა დამოუკიდებლად შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას. მალე სერიოზულმა გართულებებმა იჩინა თავი როგორც სამინაო, ისე საგარეო ასპარეზზე. გიორგი-ლაშას მეფობა მისი დედის კარზე დაწინაურებულ დიდგვაროვნებთან კონფლიქტით დაიწყო, რაც შემდგომში კიდეე უფრო გამწვავდა. ამ კონფლიქტის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, დიდგვაროვანთა მცდელობა შეენარჩუნებინათ თავიანთი განუყოფელი გავლენა სამეფო კარზე და მეორე მხრივ, ლაშა-გიორგის მისწრაფება, თავი დაეღწია ამ გავლენისაგან და თავისი ხელისუფლება შეუზღუდველ თვითმპყრობელობად ექცია. მისი მიზანი იყო კვლავ აღედგინა დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის მტკიცე კურსი, რაც ქვეყნის პროგრესულ განვითარებას მეტ გასაქანს მისცემდა. დიდგვაროვნები თავიანთ პოზიციებს სა-

ხელმწიფის მმართველობასა თუ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში აღვილად არ თმობდნენ და ყველა საშუალებით ებრძოდნენ ახალგაზრდა მეფეს. ისინი მეფეს დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას არ აძლევდნენ და თვით მის პირად ცხოვრებაშიც კი ერევოდნენ. მაგალითად, მათ ნება არ დართეს ლაშა-გიორგის, დაქორწინებულიყო დაბალი წარმოშობის ქალზე, რომელიც მას თავდავიწყებით უყვარდა. მასთან ლაშა-გიორგის ვაჟიშვილიც კი შეეძინა, რომელსაც დ ა ვ ი თ ი დაარქვეს, მაგრამ დიდგვაროვნებმა იგი მეფის კანონიერ მემკვიდრედ არ სცნეს. ლაშა ერთგული დარჩა თავისი სიყვარულისა და სხვა ქალი აღარ შეურთავს.

ლაშა-გიორგი ცდილობდა სამეფო კარიდან ჩამოეცილებინა ეს უზომოდ გაძლიერებული დიდებულები და მათ მაგივრად თავისი თანამოაზრენი და თანამოსაკეენი დაეწინაურებინა. ეს, ბუნებრივია, ამ დიდებულ-დიდგვაროვანთა უკმაყოფილებას იწვევდა.

ასეთ დაძაბულ საშინაო ვითარებას საგარეო გართულებაც დაერთო. საქართველოდან განდგომა იწყეს ყმადნაფიცმა ქვეყნებმა, მაგრამ ახალგაზრდა მეფემ გადამწყვეტი მოქმედებით ისინი კვლავ დაიმორჩილა. საქართველო კვლავ უძლიერეს ქვეყნად ჩანდა. მისი ავტორიტეტი მსოფლიო ასპარეზზე საკმაოდ მაღალი იყო. ამ პერიოდში ლაშას რომის პაპ ჰონორიუს III-საგან ეპისტოლე მოუვიდა, რომელშიც პაპი საქართველოს მეფეს პალესტინის გასათავისუფლებლად ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას სთხოვდა. ჯერ კიდევ გრძელდებოდა ევროპელ ჯვაროსანთა ბრძოლები ქრისტიანთა წმინდა ადგილების მაჰმადიანთაგან გასათავისუფლებლად, მაგრამ ჯვაროსანთა V ლაშქრობა (1217-1221), რომელიც ეგვიპტის წინააღმდეგ იყო მიმართული, უშედეგოდ დამთავრდა. ჯვაროსნებს წარმატების იმედად საქართველოდან წამოსული ლაშქრის დასმარება მიაჩნდათ. ჯვაროსანთა შორის გავრცელდა კიდეც ხმა, რომ საქართველოს მეფემ ეს ლაშქრობა დაიწყო. ამას აღნიშნავდა ფრანგი რაინდი გ. დე-ბუა ბეგანსონის არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილ თავის წერილში:

„გავიგეთ და სანდო მაცნეთა წყალობით ჭეშმარიტად მოვითვალეთ, რომ ვინმე ქრისტიანები იბერიიდან, რომელთაც გეორგენებს უწოდებენ, ღვთის შემწეობით შეგონებულნი, უთვალავი მეომრით უშიშრად აღსდგნენ ურწმუნოთა წინააღმდეგ, აიღეს 300 ცისესიმაგრე და 9 დიდი ქალაქი; ამათგან უმტკიცესნი ხელუხლებლად დატოვეს და თვითონ დაიკავეს, ღანარჩენი კი ნაცარტუტად აქციეს. დასახელებულ ქალაქთაგან ერთ-ერთი, ევფრატზე მდებარე, ურწმუნოთა ქალაქებს შორის ყველაზე ცნობილი და დიდი იყო. მბრძანებელი ამ ქალაქისა - ბაბილონის სულთანის ძე ზემოხსენებულმა ქრისტიანებმა შეიპყრეს და თავი მოკვეთეს, თუმცა იგი მათ აურაცხელ ოქროს ფულს აღუთქვამდა. კიდევ რა უნდა ვთქვა დაწვრილებით? ისინი, რომლებიც მოვიხსენიე, მოდიან წმინდა იერუსალიმის გასათავისუფლებლად და დაიმორჩილებენ ურწმუნოთ. სახელგანთქმული მათი მეფე 16 წლისაა და მსგავსია ალექსანდრესი (მაკედონელისა) შემართებით და მოკრძალებით, რწმენით კი არა. ამ ახალგაზრდას მოაქვს დედამისის - უძლიერესი დედოფლის თამარის ძვლები, ვინაიდან

თამარს მისთვის სიცოცხლეში ანდერძად დაუტოვებია, როცა მოკვდებოდა, იერუსალიმში წაესვენებინათ და მისი ძვლები უფლის საფლავის ახლო დაეკრძალათ. ლეღის სურვილის ღრმად პატივისმცემელს, მას გადაუწყვეტია, დანაბარების აღსრულება და ლეღის ნეშტის წმინდა ქალაქში დამარხვა ურწმუნოთა ნება-სურვილის მიუხედავად".

როგორც ჩანს, ლაშა-გიორგის, მართლაც, დაუწყია სამშადისი და მოქმედება ჯვაროსნების დასახმარებლად, მაგრამ სწორედ ამ დროს საქართველოს საზღვრებთან გამოჩნდნენ თათარ-მონღოლები, რომლებმაც არათუ ამ ლაშქრობის გეგმა ჩაშალეს, არამედ მკვეთრად შეცვალეს საქართველოს მთელი შემდგომი ისტორიული განვითარება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XI-XII საუკუნეებში

საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო X ს-ის ბოლოდან XIII ს-ის დასაწყისამდე განუსრულად ვითარდებოდა აღმავალი გზით. საქართველომ წარმატებით მოიგერია ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა შემოტევები, ქვეყანა პოლიტიკურად გაერთიანდა და მთელს კავკასიაში ხელმძღვანელ ძალად იქცა. ყოველივე ამის საფუძველი და შედეგი იყო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაწინაურება.

ქვეყნის ეკონომიკა პროგრესულად ვითარდებოდა. სოფლის მეურნეობის დაწინაურებას მოწმობს ამ დროს გაყვანილი დიდი სარწყავი არხები: ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში, შიდა კახეთში და გაღმა მსარში. შიდა კახეთის (ალაზნის) არხი 119 კმ სიგრძისა იყო და 53000 ჰექტარ მიწას რწყავდა; 20 კმ სიგრძე ჰქონდა სამგორის არხს და ა. შ. მეურნეობის ინტენსიფიკაცია ზრდიდა მოსავლიანობას, უფრო პროდუქტიული ხდებოდა მეფუტკრეობა, მესილეობა-მებაღეობა, ბამბის და ბრინჯის მოყვანა. გაფართოვდა ხელის წარმოება, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა. საქართველოში მრავლად იყო ცხვარი, ღორი, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. საქართველო განსაკუთრებით განთქმული იყო საუკეთესო ჯიშის ცხენებით, რომლებიც მრავლად გაჰყავდათ უცხოეთშიც.

ამ პერიოდის საქართველოში დიდ დაწინაურებას მიაღწია ხელოსნურმა წარმოებამ. ყმა ხელოსნები თავიანთ კარზე ჰყავდათ მეფეს და მსხვილ ფეოდალებს (ეკლესია-მონასტრებს, დიდაზნაურებს), მაგრამ მათი დიდი ნაწილი ქალაქებში იყო თავმოყრილი, რომლებიც ძირითადად ბაზრისთვის ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმს. ესენი იყვნენ: მეთუნე-მეკეცენი (თიხის ჭურჭლის მკეთებელნი), მინის ოსტატები, მეაბჯრენი, მეხამლენი, მემშვილდენი, მეავეანდე-მეუნაგირენი, ხუროები, კალატოზები, მემაძნეები, მჭედლები, ოქრომქანდაკებლები, ფეიქრები, მღებრები, ეტრატის (საწერი ტყავის) დამამზადებელნი, წიგნების გადამწერნი, ფერწერის ოსტატები, ოქრონემსულის მოხელსაქმენი და სხვ. ხელოსნური ნაწარმი მაღალი სელოვნებით იყო დამზადებული, რაც მოწმობს როგორც სელოსანთა სანგრძლივ, თაობიდან თაობამდე დაოსტატე-

ბას, ისე მათ შორის კონკურენციას და მომსმარებელთა განეითარებულ გემოვნებას. საფიქრებელია, რომ ქალაქების ხელოსნები ამქრებად იყენენ გაერთიანებულნი.

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური წარმოების განეითარება ბუნებრივად იწვევდა ვაჭრობის გაცხოველებას. ვაჭრობა-აღებ-მიცემობა წარმოებდა როგორც ქვეყნის შიგნით, ცალკეულ კუთხეებს შორის, ისე უცხო ქვეყნებთან. ყალიბდებოდა ვაჭართა ამხანაგობანი, რომლებიც დიდ საქარავნო ვაჭრობას აწარმოებდნენ ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან: ირანთან, ერაყთან, სირიასთან, ეგვიპტესთან, სორეზმთან, ინდოეთთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან, ყივჩაღეთთან და სხვა უფრო შორეულ ქვეყნებთანაც. შემოიქონდათ: ძვირფასი ქსოვილები, ძვირფასი ჭურჭელი, იარაღ-საჭურველი, სამოსელი, ბეწვეული, ძვირფასი თვლები და მარგალიტი, ნელსაცხებლები, სანელებლები და სხვ. გაიქონდათ: აბრეშუმი, ღვინო, კაკალი, ბამბა, ხელოსნური საწარმი, ცხენები, თაფლი და ცვილი, სინდიყი და ნაკთობიც კი.

XI-XIII საუკუნეებში ქალაქების რიცხვმა საქართველოში სწრაფად იმატა. გარდა იმისა, რომ ეს ხელოსნობისა და აღებ-მიცემობის განვითარების ბუნებრივი შედეგი იყო, საქართველოს მეთაურობით ამიერკავკასიის გაერთიანების შედეგად მის ფარგლებში მოექცა დიდი სახელოსნო და საეკლესიო ცენტრები სომხეთისა (ანისი, დვინი, კარი), რანისა (განძა, ბარდავი, ბაილაკანი), შარეანისა (შამახია, ყაბალა, დარუბანდი) და სხვა მრავალი შედარებით მცირე ქალაქი.

ქალაქი თანდათან ფეოდალური არისტოკრატიის განსაკუთრებული ყურადღებისა და ინტერესის საგანი გახდა. ისინი ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ და შეენარჩუნებინათ დიდშემოსაელიანი ქალაქები. ქალაქის შემოსავალმა, ვაჭრებისა და ხელოსნების სამსახურმა თანდათან დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ფეოდალურ ეკონომიკაში. ქალაქების დაუფლებას უფრო მეტად ცდილობდა სამეფო ხელისუფლებაც. გარდა ეკონომიკური მნიშვნელობისა, მისთვის ქალაქების მოსახლეობას (ბიურგერულ ფენებს) ძირითადი პოლიტიკური საყრდენის მნიშვნელობაც ჰქონდა დიდგვარიან აზნაურთა თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქვეყნის მტკიცე ერთიანობის შენარჩუნებისთვის.

ნაქალაქარი თმოგვი.

XIII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველომ სოციალურად ფეოდალიზმის უმაღლეს საფეხურს მიაღწია, მანამდე კი მან უკვე განელო განვითარებული ფეოდალიზმის პირველი ეტაპი, როდესაც ჩამოყალიბდნენ სამთავრო-სენიორიები იერარქიულ-ვასალიტეტური სისტემით (პატრონყმობა), საგადასახადო და სასამართლო შეუფალობით (იმუნიტეტით). ასეთი სამთავრო-სენიორიები იყო VIII-IX საუკუნეების საერისთავოების დიდი ნაწილი და ძალიან გვაგონებენ დასავლეთ ევროპის მსგავს ინსტიტუტებს. XI საუკუნიდან იწყება ამ დიდი და მცირე სამთავრო-სენიორიების შეგლუდვა-გაქრობა, რაც საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის წარმოქმნისა და მეფის თვითმპყრობელურ-ცენტრალისტური ხელისუფლების განმტკიცების აუცილებელი თანმხლები პროცესი იყო.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება მზარდი ფეოდალური სახელმწიფოს საერთო-ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი შედეგი იყო. მტკიცე, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ყველა ფეოდალურ ქვეყანაში საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. საქართველოშიც ეს პროცესი თანამიმდევრულად და, სხვა ქვეყნების ანალოგიურად, ნელა და ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. უმთავრესი დაბრკოლება ამ გზაზე მსხვილი ფეოდალური სენიორიების სიძლიერე იყო.

XI-XII სს-ის საქართველოში მეფის ცენტრალური ხელისუფლება იბრძვის უძლიერესი ფეოდალების სენიორული უფლებების შეგლუდვისა და საბოლოო გაუქმებისათვის. მეფე მთავარ-სენიორებს უტევს და მთავრები თავს იცავენ, გამოსვლა-აჯანყებების გზით ცდილობენ დაიცვან თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, დიდი სნის წინათ მოპოვებული უფლებების ხელუხლებლობა და სიმტკიცე. სამეფო ხელისუფლების მიერ მოპოვებულ საერთო წარმატებებთან ერთად ეს პროცესი ბოლომდე არ იყო მიყვანილი. ამ-ღენად, გასაგებია, რომ ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ კრიზისული ვითარებაა. დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ უშუალოდ დიდგვაროვნული არისტოკრატიის უფლებების შეგლუდვას, ასევე სახელმწიფოს პოლიტიკური წყობის შეცვლასა და პროგრესული ძალების წინ წამოწევას, უსათუოდ ხელს უწყობდა ამ პროცესის წარმატებით დაგვირგვინებას. მაგრამ ეს საქმე შესამჩნევად შეფერხდა თამარის მეფობის დასაწყისში წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისის პერიოდში, როდესაც დიდგვაროვნებმა შეძლეს სამეფო კარის მთლიანად თავიანთი გაველენის ქვეშ მოქცევა. ამ დროიდან გაძლიერდა სამამულო შეწყალების, სამოხელეო თანამდებობებისა და სახელო ქვეყნების საშვილიშვილოდ გაცემის ტენდენცია. ქვეყანაში თანდათან კელავ წარმოიშენენ დიდი ერისთავთ-ერისთავნი, მთელი ქვეყნების „უცილობლად მქონენელნი". აგრე გაძლიერებული ერისთავთ-ერისთავნი ისევ იწყებენ ბრძოლას გახელმწიფება-გამთავრებისთვის, მაგრამ მათ უპირისპირდებიან საშუალო და წვრილი მსახურეული აზნაურობა (მოსაკარგავენი), უგვარო-ახალკაცები, მოქალაქენი, რომლებიც პროგრესის ძალებს განასახიერებდნენ. დიდგვაროვნებს თავიანთ სამფლობელო-სამთავროებში გახელმწიფების საშუალებას არ აძლევდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორიც, რომ ქვეყნის ეკონომიკა აღმავლობას განიცდიდა და თითოეული კუთხე ერთმა-

ნეთთან მრავალნაირად იყო დაკავშირებული. ბრძოლა პროგრესულ (გამაერთიანებელ, ცენტრალისტურ) ძალებსა და რეგრესულ (დეცენტრალისტურ) ძალებს შორის ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ საბოლოო წარმატება პროგრესის მსარეზე იქნებოდა. სამწუხაროდ, XIII საუკუნიდან ამ გამწვავებულ საშინაო ვითარებაში აქტიურად ჩაერია ჩამორჩენილი საგარეო ძალა და საფუძველშივე შეცვალა ქვეყნის აღმავალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება.

საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ყმა-გლეხები შეადგენდნენ. ისინი იყვნენ მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებელნი. თითქმის მთლიანად გაქრა მდაბიორ-მოლაშქრეთა ნახევრად თავისუფალი ფენა. მდაბიორ-მოლაშქრენი წერილი მეურნენი იყვნენ, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდათ პირადი თავისუფლება, მაგრამ კაცადათ თავიანთი „პატრონები", „მფარველები" (მეფე, ეკლესია-მონასტერი, დიდი თუ მცირე აზნაური), რომელთა წინაშეც ისინი სამსედრო სამსახურს იხდიდნენ. თანდათან ეს სამხედრო სამსახური (მოლაშქრეობა) სულ უფრო ძნელი შესასრულებელი ხდებოდა, რადგან იგი საკმაო მატერიალურ სახსარსა და დიდ დროს მოითხოვდა. სამხედრო სამსახურისათვის აუცილებელი აღჭურვილობა უაღრესად ძვირი იყო და იგი სულ უფრო ძნელად ხელმისაწვდომი ხდებოდა მდაბიორთათვის. ამავე დროს სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმულ მოსახლეობას ძლიერ უჭირდა საომარ ოპერაციებში ხშირი მონაწილეობა, მით უმეტეს, რომ შეიარაღების გართულება სისტემატურ სამხედრო წერთნასა და ვარჯიშს მოითხოვდა. ეს დიდ დროს ართმევდა მიწათმოქმედ მეურნეს, რაც მის მდგომარეობაზე გადამწყვეტ გავლენას ასდენდა. მდაბიორთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა გასძღოლოდა მეურნეობასაც და სამხედრო სამსახურიც შეესრულებინა. ისინი შეძლებული მეურნენი იყვნენ, რომლებიც სოციალური კიბის ზემოთ მიიწევდნენ, მეურნეობაში სხვის შრომას იყენებდნენ და აზნაურნი ხდებოდნენ, მდაბიორთა დიდი ნაწილი კი თავის სამხედრო მოვალეობას საჭირო წესით ვეღარ ასრულებდა, ვალებში ვარდებოდა, „პატრონს" სთხოვდა ნივთიერ დახმარებას და, საბოლოო შედეგად, ან ყმა-გლეხად იქცეოდა, ან მეკობრეობას (ყაჩაღობას, მძარცველობას) და, უკიდურეს შემთხვევაში, გლახაკობას (მაწანწალობას, მათხოვრობას) იწყებდა. დამახასიათებელია, რომ XII საუკუნეში დიდად მომრავლდა როგორც მეკობრეთა, ისე გლახაკთა რაოდენობა, რაც სახელმწიფო ხელისუფლებას დიდ პრობლემებს უქმნიდა. როგორც აღნიშნული იყო, მეკობრეთა წინააღმდეგ სამეფო კარმა მკაცრი კანონი გამოსცა - ვინც ამ დანაშაულში შენიშნული იქნებოდა, მათ ჩამოხრჩობა მიესჯებოდათ. განსაკუთრებით საშრუნავი იყო მომრავლებული გლახაკობა. სახელმწიფომ დაკანონა, რომ ქვეყნის შემოსავლის მეათედი გლახაკთათვის გაეცათ. ეს ღონისძიებანი სრულიადაც არ იყო საკმარისი და ცხოვრების მკაცრი სინამდვილე მდაბიორ-მოლაშქრეთა უდიდეს ნაწილს ყმა-გლეხთა რიგებში მიერეკებოდა.

ამრიგად, XI-XII საუკუნეებში ძირითადად დასრულდა დიდი სოციალური პროცესი - ყმა-გლეხთა ფენაში გაერთიანდა ქვეყნის მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა მიწათმოქმედი ნაწილი. მიწა, რომელზეც გლესი მეურ-

ნეობდა (ფ უ ძ ე) ფეოდალის (პატრონის) საკუთრება იყო და გლეხი მას მხოლოდ მემკვიდრეობით, საშვილიშვილოდ ფლობდა, ამისთვის იგი მებატონეს ბ ე გ ა რ ა ს უხდიდა. გლეხი მიწაზე იყო მიმაგრებული ისევე, როგორც მიწა გლეხზე. ე. ი. გლეხს მიწიდან (ფუძიდან) წასვლის უფლება არა ჰქონდა, მაგრამ არც მებატონეს ჰქონდა უფლება გლეხი აეყარა, მიწიდან მოწყვეტით გაეყიდა ან სხვა გვით გაესხვისებინა. ქართულ ფეოდალიზმს, ე. ი. ურთიერთობას მებატონესა და მებეგრე-გლეხს შორის თავისი დროისთვის პროგრესულ სასიათს აძლევდა ის, რომ ბეგარა მიწაზე იყო შეწერილი და მოსაველიანობის გაზრდის შემთხვევაში გლეხს ბეგარა არ უდიდდებოდა. ეს გლეხს მეურნეობის წარმოებისა და გაზრდა-გაფართოების სტიმულს აძლევდა. ასევე გლეხს ფუძის შიგნით მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული. მეურნეობის რომელი დარგიც უნდოდა, იმას მოპკიდებდა ხელს. ესეც მის მეურნეობას ინტენსიურ სასიათს აძლევდა და ბაზართან აახლოებდა.

გლეხობა წარმომაველობით თუ მებატონესთან ურთიერთობის წესით (ტრადიციით) მრავალრიცხოვან კატეგორიად იყოფოდა. გლეხები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ეკონომიკური მდგომარეობითაც. ამ უკანასკნელის საფუძველს მაინც საგლეხო ფუძის (საკომლოს) რაოდენობა ქმნიდა. იყვნენ სრულფუძიანი გლეხები, მაგრამ უმრავლესობას ფუძის მეტი ან ნაკლები რაოდენობა ეპყრა. ეს ბუნებრიეი შედეგი იყო საგლეხო კომლების გამრავლებისა, ანდა მეურნეობის უნარიანად წარმართვისა.

ცალკე უნდა აღინიშნოს მთის მოსახლეობის მდგომარეობა. იგი, სოციალური განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს ბარის მოსახლეობას ჩამოუვარდებოდა. აქაური მოსახლეობა ფეოდალური ულლისაგან ჯერ კიდევ ძირითადად თავისუფალი იყო, შემორჩენილი იყო თემური ურთიერთობის წესები, მაგრამ რაც უფრო ინტენსიურად ეითარდებოდა საქართველოს ბარში ფეოდალური ურთიერთობანი, მით უფრო მეტად აქცევდა მთას თავისი გაულენის ქვეშ და იქაც შეჰქონდა ამ ურთიერთობის წესები. მთის თავისუფალი მოსახლეობა ებრძოდა ამას, მაგრამ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო მკაცრი ზომებით ასშობდა მათ წინააღმდეგობას. მაგალითად, თამარის მეფობის ბოლო წლებში დიდი აჯანყება მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და მხოლოდ სამთვიანი სასტიკი ბრძოლებით მოსერხდა ამ აჯანყების ჩახშობა.

ფეოდალური კლასი შედგებოდა მეფის საგვარეულოსა და სხვადასხვა რანგის აზნაურებისაგან. XI-XII საუკუნეების მანძილზე დიდი ცვლილებები მოხდა აზნაურთა უმაღლესი ფენის - დიდგვაროვანი აზნაურების ანუ მთავრების სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში. საქართველოს გაერთიანება ცალკეული სამეფო-სამთავროებისა და სხვა ნახევრად დამოუკიდებელი საფეოდალოების (სენიორიების) გაუქმების, ანდა მათი პოლიტიკური უფლებების მკვეთრი შეზღუდვის გზით მიმდინარეობდა. ცალკეული მეფეების (მაგალითად, ეგრის-აფხაზეთის მეფის, ქართველთა მეფის, რანთა და კახთა მეფის, ლორე-ტაშირის მეფის) ხელისუფლება ერთი მეფის - „ყოველი საქართველოს“ მეფის ხელისუფლებაში გაერთიანდა, ხოლო ძველი სამეფო საგვარეულოების შთამომავლებმა, უკეთეს შემთხვევაში, ერთიანი საქართველოს უმაღლესი არისტოკრატიის შემადგენლობა შეავსეს. ასევე, ძველმა ნახევრად და-

მოუკიდებელმა მთავრებმა (გამთაერებული ერისთავთ-ერისთავები, ერისთავები და ა. შ.), რომლებიც საქართველოს თვითმპყრობელი მეფის მსახვრალ ხელს გადაურჩნენ და იძულებულნი გახდნენ შერიგებოდნენ გარდაუვალ სინამდვილეს, შეიცვალეს თავიანთი ორიენტაცია. ახლა ისინი უკვე დამოუკიდებელი (შეუვალი) სამფლობელოების შენარჩუნებისათვის კი აღარ იბრძოდნენ, არამედ მეფის კარზე პრივილეგიებისა და დიდი თანამდებობების მოპოვებას ცდილობდნენ. წინა პლანზე წამოიწიეს დიდებულმა ანუ „დიდების" მქონე აზნაურებმა. „დიდება" დიდ სამოხელეო თანამდებობას ნიშნავდა სათანადო სარგო-სამფლობელოთი. ამის შემდეგ ერისთავობა ან ერისთავთ-ერისთავობა უკვე მთავრობას კი აღარ ნიშნავდა, არამედ მეფის მოხელეობას, რომელიც „მოსაკარგავეობას" უახლოვდებოდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო მიყვანილი და ბრძოლა ამ პროგრესულ ტენდენციებსა და მის საწინააღმდეგო რეაქციას შორის კვლავ გრძელდებოდა.

ფეოდალური კლასის დიდ უმრავლესობას წვრილი და საშუალო აზნაურები შეადგენდნენ, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ მეფის ვასალები (ყმები) იყვნენ, ნაწილი კი სხვადასხვა პატრონების ყმებად (ვასალებად) ითვლებოდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა სამხედრო სამსახური იყო. აზნაურები იყვნენ ციხიანნი და უციხონი. ციხის ქონება დიდი სოციალური და პოლიტიკური უპირატესობა იყო. ზოგიერთებს ეკავათ სხვადასხვა სამეურნეო-ადმინისტრაციული თანამდებობანი. მათი სამსახური პატრონისადმი განსაძღვრული იყო არა მარტო ეკონომიკური დამოკიდებულებით, არამედ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებით, ფეოდალური წეს-ჩვეულებებით.

საქართველოში, ევროპის მსგავსად, დამკვიდრდა რ ა ი ნ დ ო ბ ი ს ინსტიტუტი. გამომუშავებული იყო რაინდობის ეთიკეტი (ზრდილობა) და უფლება-მოვალეობანი. თვითონ ტერმინი რაინდიც, ფრანგულის მსგავსად, თავდაპირველად მსედარს აღნიშნავდა. რაინდის აღსანიშნავად XI-XII სს-ის საქართველოში იხმარებოდა ტერმინები - „ჭაბუკი", „ყმა" ან „მოყმე".

რაინდობა, როგორც ჩანს, საქართველოში სამთავრო-სენიორიების წარმოქმნის დროიდანვეა საგულვებელი, მაგრამ მან განსაკუთრებულ გაქანებას მიაღწია XI-XII საუკუნეებში. საშუალო და წვრილი ფეოდალები - რაინდი-აზნაურები ცდილობდნენ მეფის სამსახურში ჩადგომას. ამას ხელს უწყობდა თვით მეფის პოლიტიკაც. მაგალითად, საქართველოს პირველი გამაერთიანებელი მეფის ბაგრატ III-ის გარშემო შემოკრებილნი ჩანან ფეოდალთა ფართო მასები და სწორედ მათი სახით, კარგად გაწვრთნილი და მრავალრიცხოვანი რაინდული ლაშქრის მეშვეობით, ბაგრატ მეფე აღწევს დიდ წარმატებებს როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე. რაინდული ლაშქრის ორგანიზებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დავით აღმაშენებელმა. იგი თვითონ წვრთნიდა და სელმძღვანელობდა მათ, უმაღლებდა დისციპლინასა და საბრძოლო სულისკვეთებას.

ფართო გასაქანი მიეცა რაინდობას XII ს-ის მეორე ნახევარში, გიორგი III-ის და თამარის მეფობის დროს. ამ პერიოდის საქართველოს წარმატებული ომები უდავოდ რაინდული ლაშქრის კარგად ორგანიზებულობის შედეგია.

განხილული პერიოდის საქართველოში ქალაქების რაოდენობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი ეკონომიკური და პოლიტიკური

მნიშვნელობა. საქართველოს ქალაქების მოსახლეობა ძირითადად ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან შედგებოდა. ქალაქების მოსახლეობა, რა თქმა უნდა, არ იყო ერთგვაროვანი. ესენი იყვნენ სოციალურად თავისუფალნიც და ფეოდალ-მებატონეთა ყმებიც.

თავისუფალ ვაჭართა პრივილეგირებულ ზედა ფენას შეადგენდნენ დიდ-ვაჭრები. მათგან ინიშნებოდნენ ქალაქის მოსახლეობისათვის მოსამართლე და სხვა მაღალი თანამდებობის პირები. ვაჭართა გარკვეულ ორგანიზაციულ გაერთიანებას სათავეში ედგა ვაჭართუხუცესი. დიდვაჭრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ როგორც ქალაქის მმართველობაში, ისე ქვეყნის პო-ლიტიკურ ცხოვრებაში. მეფის ხელისუფლება მათთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. გარდა იმისა, რომ დიდვაჭართაგან საგინას საკმაოდ კარგი შემოსავალი ჰქონდა, ისინი ასრულებდნენ მნიშვნელოვან სახელმწიფო დავალებებს, როგორიც იყო უცხოეთიდან სათანადო ინფორმაციის შემოტანა, გარკვეული დიპლომატიური დავალებები და სხვა.

ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ უფრო დაბალი შეძლების ვაჭრები, რომელთა უმრავლესობა მეფის, მსხვილი და წვრილი აზ-ნაურების ან ეკლესიის ყმები იყვნენ. მათი ნაწილი ახერხებდა თავდახსნას.

ქალაქში მცხოვრები ხელოსნები ასევე იყვნენ თავისუფალნიც და მებატონეთა ყმებიც. ხელოსნური ნაწარმი მზადდებოდა როგორც დაკვეთით, ისე ბაზ-რისათვის. არის ვარაუდი, რომ ცალკეული დარგის ხელოსნები გაერთიანე-ბულნი იყვნენ ამქრების მსგავს კორპორაციებში, რომელთაც სათავეში უფრო-სები („უხუცესები") ედგათ. მაგალითად, ამ პერიოდის წყაროებში დასახელე-ბულია: „გალატოზთუხუცესი", „მკერვალთუხუცესი", „მსატვართუხუცესი", „მშარეულთუხუცესი" და სხვა.

ქალაქების მოსახლეობას ცხოვრების თავისი წესი ჰქონდა. მათში ზოგჯერ ფეოდალური იდეოლოგიისა და მენტალობისაგან განსხვავებული შეხედულე-ბებიც ვრცელდებოდა. მაგალითად, XIII ს-ის დასაწყისის თბილისში გავრცე-ლებული ყოფილა სუფიურ-მისტიკური მიმდინარეობა — **რინდობა**, რომელიც უპირისპირდებოდა ოფიციალურ ორთოდოქსულ რელიგიებს. რინდობის მრწამსის მიმდევარი ყოფილა თვითონ საქართველოს მეფე ლაშა-გიორგიც.

ქალაქის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შეადგენდნენ „ქალაქის ღარი-ბები", გლასაკნი, სხვადასხვა დეკლასირებული ელემენტები, რომელთა მომ-რავლება მეფის ხელისუფლებას მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნიდა.

სახელმწიფო წყობილება XI-XII საუკუნეების საქართველოში

XI-XII საუკუნეებში ისევე, როგორც XIII საუკუნის დასაწყისისათვის, სა-ქართველოს გაერთიანებისა და მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან ერთად ყალიბდებოდა სახელმწიფოს მმართველობის ერთიანი სისტემა. გა-ერთიანებული სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე, რომლის უფლებებიც კა-ნონით შეუზღუდველი იყო. თეორიულად იგი ქვეყანას განაგებდა „ნებითა ღვთისათა"; ოფიციალურად იწოდებოდა „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რან-თა, კახთა და სომეხთა, შარვან-შაჰ და შაპინშაჰ და ყოელისა აღმოსავლეთი-სა და დასავლეთისა თვითფლობით მპყრობელად". ამ ფორმულის შინაარსი

ზემოთ, დაეით აღმაშენებლის ხელისუფლების განხილვისას, უკვე გვქონდა განმარტებული, აქ მხოლოდ იმას აღნიშნავთ განმეორებით და დაეუმატებთ, რომ საქართველოს მეფის ამ ტიტულატურაში ქვეყნების დასახელების რიგი იმეორებს მათი ერთ სახელმწიფოში გაერთიანების ისტორიულ თანამიმდევრობას. მი კჯერ, უცხოურ წყაროებში (სპარსულში, არაბულში, რუსულში) საქართველოს სამეფოს შემოკლებით ამ ტიტულატურაში პირველ ადგილზე მდგომი ქვეყნის სახელის მიხედვით მარტივად ა ფ ხ ა ზ ე თ ა დ მოიხსენიებენ.[1] ტიტულატურაში „აღმოსავლეთისა და დასავლეთის“ მპყრობელობა მიუთითებს აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ სამეყაროში პირველობას, რისი პრეტენზიითაც გამოდიოდა საქართველოს სამეფო კარი ბიზანტიის საპირისპიროდ და მეტოქედ. ამავე პერიოდში თავს იჩენს მეფის პიროვნების გალმერთების ტენდენციაც. გარდა იმისა, რომ ოფიციალურად სამი ესმებოდა თეორიას ბაგრატიონთა იესე-დავით-სოლომონისაგან წარმომავლობის შესახებ, გიორგი III-ის თანამედროვე და მეხოტბე ისტორიკოსები არ სჯერდებოდნენ იმის მტკიცებას, რომ გიორგი მეფე თეთი ღმერთმა მოუვლინა მის ქვეშევრდომებს თავის მსგავსება ხელმწიფედ („ღრმთისაგან მის სახედ ჩენილი პატრონი“), არამედ უკვე მის ასულს, თამარ მეფეს ეწოდება წმიდა სამების მეოთხე წევრი („სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“), „აღლესტიანი“, ღვთაებრივად სრულყოფილი. ოფიციალურად, დოკუმენტებში თამარს, ისევე, როგორც ბიზანტიის იმპერატორებს, „ღვთის სწორი“ ეწოდებოდა.

ასეთი თეორიული ნორმების მიუხედავად, საქართველოს მეფის ხელისუფლებას მნიშვნელოვნად ზღუდავდნენ დიდგვაროვანნი. თუ დავით აღმაშენებლის ან გიორგი III-ის ხელისუფლება თითქმის აბსოლუტური (თეოთპატრიარქული) ხასიათისა იყო, თამარი იძულებული გახდა ერთგვარ დათმობაზე წასულიყო და გარკვეულად შეებღუდა თავისი ძალაუფლება დიდგვაროვანთა სასარგებლოდ. მეფე ყველა მნიშვნელოვან საკითხს მხოლოდ დ ა რ ბ ა ზ ი ს „თანადგომითა და ერთნებაობით“ წყვეტდა.

დარბაზი საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო. იგი შედგებოდა „დარბაისელთაგან“, რომელშიც შედიოდნენ ვაზირები და მათი ხელქვეითი მოხელენი, საქვეყნოდ გამრიგენი (ერისთავნი) და უმაღლესი საეკლესიო პირნი. დარბაზი ანუ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ბ ჭ ო იკრიბებოდა მეფის თავმჯდომარეობით, როგორც სათათბირო ორგანო. სხდომის დროს მკაცრად იცავდნენ გარკვეულ ეთიკეტს, უფროს-უმცროსობას. დარბაისელთა ერთ ნაწილს ჯდომის უფლება ქქონდა, მეორე ნაწილს კი — არა, იგი ფეხზე უნდა მდგარიყო. ვაზირები ოქროჭედილ სელებზე (სავარძლებზე) ისხდნენ, ზოგნი სასთაულით (ე. ი. ბალიშებით), ზოგნი უსასთაულოდ, ზოგნი ნაგით (გადასაფარებლებით), ზოგნი უნაგოდ. ჯდომის წესის ამ გარეგნულ გამოხატულებაში აისახებოდა თვით მოხელეთა იერარქიული წყობაც.

ქვეყნის მართვა-გამგეობას სამეფო კარი საეაზიროს საშუალებით ახორციელებდა. ვაზირი სათაეეში ედგა მმართველობის ცალკეულ დარგს. ეაზირ-

1 ამას მოყვა ხაბაბი ზოგიერთი ეთ-ტეტნიერსა და ეთ-ეილოგეოლის თანამედროვე აფხაზეთში, რომ ეტყვიდნენა, თითქოს ე. წ. აფხაზია (მათი მტკიცებით თანამედროვე აფხაზია წინარეების) ძალური სახელმწიფო უკვე არსებობდა IX-X საუკუნეებიდან. ისინი უბრალოდ, სადაც კი გვრცნია აფხაზია ხსენება (მათი ნაშლილი შინაარსის უგულებელყოფით) ეშეალოდ თავიანი წინაპრებს გულისხმობენ.

თა გაერთიანება კი ქმნიდა ეგზირთა საბჭოს, რომელსაც თავმჯდომარეობდა მეფის უახლოესი პირი და „ეგზირთა შორის უპირველესი“ - მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, რომლის წარმოშობაზე და შინაარსზე ბემოთ უკვე გვქონდა საუბარი. მწიგნობართუხუცესი (კანცლერი) სათავეში ედგა მეფის სამწიგნობრის (კანცელარიას), რომელიც 26 მწიგნობრისგან (მდივნისგან) შედგებოდა. ესენი, როგორც წესი, ბერები იყვნენ. თეითონ მწიგნობართუხუცესიც უეჭველად მონაზონი (ბერი) უნდა ყოფილიყო, ამიტომ, სხვა ეგზირებისაგან განსხვავებით, მისი ხელი (თანამდებობა) მიწათმფლობელობასთან არ იყო დაკავშირებული. მას არც მემკვიდრეები გააჩნდა და არც თავისი მდგომარეობის „მამულობით“ (ე. ი. მემკვიდრეობით) შენარჩუნებით იყო დაინტერესებული. ამიტომ მწიგნობართუხუცესი არსებითად მეფის უეროგულესი მოხელე იყო და მისი სიძლიერე მხოლოდ და მხოლოდ მეფეზე იყო დამოკიდებული.

მწიგნობართუხუცესის გარეშე არ წყდებოდა არცერთი სახელმწიფოებრივი საქმე, მაგრამ მეფის გარეშე რაიმე გადაწყვეტილების მიღება მას დამოუკიდებლად არ შეეძლო. იგი იყო მეფის უახლოესი მრჩეველი, მართლმსაჯული, სამეფო სასისა და მეფის პირადი ქონების მმართველი. როგორც აღნიშნული იყო, იგი სათავეში ედგა უზენაეს სასამართლო ორგანოს - „ს ა ა ჯ ო კ ა რ ს “, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და სხვადასხვა ფენებიდან მომდინარე სარჩელებს ისმენდა. ამ უმაღლეს მოხელეს, რომელიც ამავე დროს ეპისკოპოსიც (ჭყონდიდელი, ბედიელ-ალავერდელი და სხვ.) იყო, საეკლესიო საქმეებიც ეკითხებოდა. ამრიგად, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ხელთ გაერთიანებული იყო უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლება.

მომდევნო მნიშვნელობის ეგზირი იყო ა მ ი რ ს პ ა ს ა ლ ა რ ი . თანამედროვე ტერმინოლოგიით იგი სამხედრო მინისტრი იყო და ლაშქრობის საქმეს განაგებდა. როცა მეფე ომში არ იყო, ჯარის წინამძღოლობა და სარდლობა ამირსპასალარს ევალებოდა. მასვე ევალებოდა ლაშქრობის გეგმის შედგენა, მშვიდობიანობის დროს ჯარის მშაობა (წვრთნა, აღრიცხვა) და თადარიგის დაჭერა. მეფის მიერ საგამგეო ქვეყნის გაცემა, ანდა მამულის წყალობა მისი მონაწილეობით ხდებოდა. მისი ხელქვეითი მოხელენი იყვნენ: ა მ ი რ ა ს ო რ ი (მეცხენეობის განმგებელი) და მ ე ა ბ ჯ რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი (შეიარაღების განმგებელი). მათ ექვემდებარებოდნენ აჩუსჩი (სამეჯინიბოს მოხელე), ამირჩქარი (მიკრიკოთუხუცესი) და მერემეთუხუცესი. მათივე განსაგებელი იყო ბარდასანა ანუ სამეფო აბჯარ-იარაღის საწყობი და ა. შ.

ქვეყნის შიგნით წესრიგს, სამეფო დარბაზობას, ცერემონიებს განაგებდა მ ა ნ დ ა ტ ურ თ უ ხ უ ც ე ს ი . მისი ხელქვეითი მოხელენი იყვნენ ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი (ცერემონმაისტერი) და გ ა ნ მ გ ე ბ ე ლ თ უ ხ უ ც ე ს ი . მასვე ექვემდებარებოდნენ მ ა ნ დ ა ტ ურ ე ბ ი (300 სასლი ანუ კომლი საქართველოს სხვადასხვა ნაწილში), მ ს ტ ო ვ ა რ - ა გ ე ნ ტ ე ბ ი , აგრეთვე, სხვა წვრილი მოხელენი.

ფინანსთა მინისტრს უდრიდა მ ე ჭ ურ ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი ს სახელო. იგი მეფის საჭურჭლის ანუ საგინის განმგებელი იყო. მას ექვემდებარებოდნენ საჭურჭლის ნაცვალი, მუშრიბი (ქალაქთა ბაჟის, საეაჭრო გადასახადის ამკრეფი მოხელე) და სხვ. მასვე ექვემდებარებოდნენ ძველი სამეფო ქალაქები.

XIII საუკუნეში ამ საეგზიროებს დაემატა ა თ ა ბ ა გ ი ს ა და მ ს ა ხ ურ თ უ ს უ ც ე ს ი ს ხელი. ათაბაგობა ქართული ინსტიტუტი არ არის და

იგი შემოიღეს მეგობელი მაჰმადიანური ქვეყნების ანალოგიით, სადაც ათაბაგს ფორმალურად ტახტის მემკვიდრის აღზრდა ეევალებოდა, სინამდვილეში სულტნის პირველი მრჩეველი და მოხელე იყო. ათაბაგობა, როგორც ჩანს, ქართული მწიგნობართუხუცესის საპირისპირო ინსტიტუტია და შემდგომში მას მართლაც ასეთი მნიშვნელობა მიენიჭა. მსახურთუხუცესი კი სამეფო სახლის პირადი მეურნეობისა და სახასო მამულების განმგებელი მოხელე იყო. მასვე ეევალებოდა მეფის „შეკაზმა“ (საზეიმო მორთვა) და ა. შ.

ადგილებზე ქვეყნის მართვა-გამგეობის, ჯარის გამოყვანისა და სხვა ფუნქციებს ასრულებდნენ „საქვეყნოდ გამრიგე მოხელენი“: ერისთავთ-ერისთავები, ერისთავები, ხევისთავები, ციხისთავები. XII საუკუნეში საერისთავოები და საერისთავთ-ერისთავოები უკვე ძველი მნიშვნელობის სამთავრეოები კი აღარ იყვნენ, არამედ სამოხელეო-განსაგებლებს წარმოადგენდნენ. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი საერისთავთ-ერისთავოები იყო: 1. სვანთა (ერისთავი ბარამ ეარდანის ძე), 2. რაჭა-თაკვერის (კახაბერ კახაბერის ძე), 3. ცხუმის (ოთაღო შარეაშიძე), 4. ოდიშის (ბედიანი), 5. არგვეთის (ამანელისძე), აღმოსავლეთ საქართველოში: 1. ქართლის (ერისთავი რაგი სურამელი), 2. კახეთის (ბაკურ ძაგანის ძე), 3. ჰერეთის (ასათ გრიგოლის ძე), 4. სამცხის (ბოცო ჯაყელი). იქვე აგრეთვე, სანაპირო-საერისთავოები ანუ სასაზღვრო ციხეს საერისთავოები. შინაპირე ერისთავის მოვალეობა უპირატესად მეზობელი მტრის ქვეყნის სამსედრო დაზვერვა იყო. შინაპირეს განკარგულებაში იყო შესაფერისი სამსედრო ძალა, რომლითაც ის თავის სანაპიროს იცავდა მტრის მცირე თარეშისაგან. XII ს-ის ბოლოს საქართველოში თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართული 6-7 ასეთი სანაპირო-საერისთავო იყო.

ქართული კულტურა XI-XII საუკუნეებში

XI-XII საუკუნეები არა მარტო ქართული სახელმწიფოებრიობის აღმავლობისა და გაძლიერების სანაა, არა მარტო სოციალური და ეკონომიკური დაწინაურების ეტაპია საქართველოს ისტორიაში, არამედ ქართული კულტურის ბრწყინვალე აყვავების პერიოდიცაა. იგი ბუნებრივი შედეგია წინა პერიოდის ქართული კულტურის განვითარებისა, მით უმეტეს, რომ არც ამაზე აღრე და არც შემდგომ მას ნორმალური განვითარებისათვის ასეთი ხელსაყრელი პირობები აღარ ჰქონია. XI-XII საუკუნეებში დიდ დაწინაურებას მიაღწია ქართული კულტურის თითქმის ყველა დარგმა, უპირველეს ყოვლისა, ქართულმა მეცნიერებამ.

საქართველოში მეცნიერება სახელმწიფო პოლიტიკის რანგამდე იყო აყვანილი. ისეთმა დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, როგორიც იყო დავით აღმაშენებელი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოში მეცნიერების დიდმნიშვნელოვანი კერების შექმნას. მან დააარსა **გ ე ლ ა თ ი ს ა** და **ი ყ ა ლ თ ო ს** აკადემიები, სადაც თავი მოუყარა საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს და შემოქმედებითი მუშაობისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. გელათის აკადემიას ხელმძღვანელობდა **მ ო ძ ღ ვ ა რ თ - მ ო ძ ღ ვ ა რ ი**, რომელიც უდიდესი პაგივისცემით სარგებლობდა მთელს საქართველოში და საქართველოს საეკლესიო კარზე. მაგალითად, დარბაზობაზე მოწვეულ მოძღვართ-მოძღვარს მე-

გელათი. მარცხნივ აკადემიაში შესასვლელი.

ფე უფრო მეგი ქაკიეით ხელებოდა, ვიდრე თუნდაც კათალიკოსს, ანდა ჭეონ-დიდელს. ფელათისა და იყალთოს აკადემიებში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერი- ფილოსოფოსები, როგორიც იყვნენ ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, ა რ ს ე ნ ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი, ი ო ა ნ ე ტ ა რ ი ჭ ი ს ძ ე და სხვ.

XI-XII საუკუნეებში, საქართველოში არსებული სამეცნიერო ცენტრების გარდა დიდი მეცნიერული მუშაობა წარმოებდა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ მონასტრებში. ასეთები იყო ათონის მთაზე უკვე X საუკუნიდან დაარსებული იერიის მონასტერი, სადაც მოღვაწეობდნენ ი ო ა ნ ე, ე ქ ვ თ ი მ ე დ ა გ ი ო რ გ ი ათონელები. ამ მონასტერს ათონის აკადემიაც ეწოდებოდა; შავი მთის მონასტერი, ანტიოქიის მახლობლად, სირიაში. აქ მოღვაწეობდა დიდი მეცნიერი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე ; ჯვრის მონასტერი პალესტინაში, იერუსალიმის მახლ ობლად, რომელიც აგებული იყო პ რ ო ხ ო რ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს მიერ XI საუკუნის 40-50-იან წლებში. იგი მალე იქცა არა მარტო უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ლიტერატურული მუშაობის ცენტრად, არამედ მას საერთაშორისო ასპა-

ათონის იერიის მონასტრის თანამედროვე ხედი.



ჯრუჭის ოთხთავის ილუსტრირებული ჯვარედი (XII ს.).

რეშეზე გაჰქონდა ქართული კულტურის მონაპოვარიც. ევროპელ ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებისა და იქ იერუსალიმის სამეფოს შექმნის შემდეგ (1099-1187 წწ.), მიუხედავად იმისა, რომ ლათინებმა მართლმადიდებლური ტაძრების უმრავლესობა დაისაკუთრეს, ჯვრის მონასტერი კვლავ ქართველთა ხელში დატოვეს. 1187 წელს იერუსალიმის მუსლიმანთა მიერ დაპყრობის შემდეგ თამარ მეფემ იქ საგანგებო ელჩობა მიაელინა და უბრუნველყო იერუსალიმის ქართული საავანების შეუვალობა.

განსაკუთრებით დიდი როლი ეკუთვნის ქართული კულტურის განვითარებაში პეტრიწონის ქართულ მონასტერს, რომელიც 1083 წელს აშენებული იყო ბიზანტიის გამოჩენილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, „დასავლეთის დიდი დომესტიკოსის", ქართველი დიდებულის გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ. იგი მდებარეობდა ქ. ფილიპოპოლის (დღეგანდელი პლოვდივი) მახლობლად და მხოლოდ ქართველებისთვის იყო განკუთვნილი. იქ მთელი 20 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელიც ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსების-მისეულ ფსელოსისა და იოანე იტალოსის მიმდევარი იყო. ამას გარდა, არაერთი მომავალი ქართველი მეცნიერი იღებდა განათლებას კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიასა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ბერძნული ენის სრულყოფილი ცოდნა ქართველ მეცნიერებს საშუალებას აძლევდა საფუძვლიანად აეთვისებინათ ელინური კულტურის მემკვიდრეობა. ამ პერიოდის ქართული კულტურის თავისებურება, დასავლეთის ამავე პერიოდის კულტურასთან შედარებით, ის იყო, რომ საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, საშუალება ჰქონდა გასცნობოდა და აეთვისებინა არაბულ-სპარსული კულტურაც და თავისი მწერლობა და ხელოვნება კიდევ უფრო გაემდიდრებინა.

XI-XII საუკუნეების საქართველოში დიდი მთარგმნელობითი მუშაობა წარმოებდა. ქართველ მეცნიერთა და ლიტერატორთა წინაშე იდგა ამოცანა: ქართულ ენაზე გადმოეღოთ მთელი ის სამეცნიერო თეოლოგიურ-ქრისტოლოგიური, აგრეთვე მხატვრული ლიტერატურა, რაც ბერძნულად და აღმოსავლეთის კულტურულ ენებზე არსებობდა. ქართულად ითარგმნებოდა არა მარტო პაგიოგრაფიულ-ლიტურგიული ლიტერატურა, არამედ ანტიკური და ქრისტიანული სანის ბერძენი ფილოსოფოსების თხზულებანიც. აღმოსავლურიდან ძირითადად საერო სასიათის ძეგლები გადმოჰქონდათ.

მეცნიერების დარგებიდან XI-XII საუკუნეებში და XIII საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით განეითარდა ქართული ისტორიოგრაფია. შეიქმნა საის-

ტორიო თხზულებანი, რომლებშიც შესწავლილი და გაანალიზებული იყო ცალკეული გამოჩენილი მეფეების ცხოვრება და მოღვაწეობა, იყო ცდა, პასუხი გაეცათ მაშინდელი ქართული საზოგადოებისათვის საინტერესო ისეთ საკითხებზე, როგორიც იყო ქართველი ხალხის წარმოშობა და კავკასიის სხვა ხალხებთან მონათესაურობა, ქართული სახელმწიფოებრიობის აღმოცენება და ურთიერთობა ახლობელ და შორეულ სახელმწიფოებთან, საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომავლობა და დამკვიდრება საქართველოში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს „ყოველი საქართველოს“ წარმოქმნა, გაძლიერება და სხვ. ამ პერიოდში შეიქმნა ქართული საისტორიო თხზულებების კრებული, რომელიც იწოდებოდა „ქართლის ცხოვრება“. მასში შესულია ისტორიკოსების: ლეონტი მროველის, ჯუანშერ ჯუანშერიანის, სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონის თხზულებანი, აგრეთვე უცნობი ავტორების „მატიანე ქართლისაჲ“, „ცხოვრება მეფეთა-მეფე დავითისი“, „ისტორიანი და აზმანი შარაყანლელთანი“, „ცხოვრება მეფეთა-მეფე თამარისი“ და სხვ.

ლეონტი მროველი (XI ს.), რომელსაც ეკუთვნის საქართველოს უძველესი პერიოდის ისტორიის შედგენა, სარგებლობდა როგორც მისი დროისთვის არსებული წერილობითი წყაროებით, ისე ზეპირგადმოცემებითა და მითებით. იგი ქართველთა წარმომავლობას უკავშირებდა ბიბლიურ პერსონაჟებს და კავკასიის ხალხების საერთო მამამთავრად მიაჩნდა ნოეს მესამე ძის იაფეტის შთამომავალი თარგამოსი. მიუხედავად იმისა, რომ მის თხზულებაში ბევრია ზღაპრულ-ლეგენდარული, მასში მაინც დაცულია ძვირფასი ცნობები, რომლებიც სხვა მონაცემებითაც დასტურდება. მანვე გადააბუშავა და თავის თხზულებაში შეიტანა ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა, აგრეთვე, წმ. არსენილის წამება და სხვ.

ასევე XI საუკუნის ავტორია ჯუანშერ ჯუანშერიანი, რომელმაც აღწერა ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა და შემდგომი პერიოდი VIII საუკუნის 40-50-იან წლებამდე. მის თხზულებაშიც, წერილობით წყაროებთან ერთად, უხვადაა გამოყენებული სალხური გადმოცემები და საგმირო ეპოსი.



მხედრულით შესრულებული ბაგრატ IV-ის სიგელი (XI ს.).

სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონის თხზულება „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ ეძღვნება საქართველოს სამეფო დინასტიის ბაგრატიონთა ვინაობისა და წარმომავლობის გარკვევას, მათ თაეგადასავალს საქართველოში მოსელიდან ბაგრატ IV-ის მეფობამდე. საქართველოს ისტორიას VIII საუკუნიდან XI საუკუნის 80-იან წლებამდე აღწერს სხვა ისტორიკოსიც, რომლის ვინაობაც

უცნობია, მაგრამ იგი აშკარად მაღალი მეცნიერული ღონის ისტორიკოსია. მისი თხზულება „მატიანე ქართლისაჲ“ გამოირჩეევა უხვი ფაქტობრივი მასალით, ზუსტი ქრონოლოგიით, მოვლენების რეალისტური შეფასებით.

განსაკუთრებით მაღალი მეცნიერული ღირსებისაა, ასევე უცნობი ავტორის, შესანიშნავი საისტორიო თხზულება „ცხოვრება მეფეთა-მეფე დავითისი“, რომელიც დაწერილია 1123-1126 წლებში.

სასოგბო-პანეგერიკული ხასიათისაა, მაგრამ რეალურ ფაქტებთან ახლოს არის თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (XIII ს-ის დასაწყისი). მისი ავტორი ღრმად განათლებული პიროვნებაა, რომელიც კარგად იცნობს როგორც ელინურ-ბიზანტიურ, ისე აღმოსავლურ (სპარსულ-არაბულ) ლიტერატურას, ხშირად შედარებისათვის მოაქვს ადგილები პომეროსისა და პლუტარქეს თხზულებებიდან, ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ნააზრევიდან. მისი თხზულება მოწმობს მაშინდელი საქართველოს მკითხველი საზოგადოების მაღალ გემოვნებასა და განათლებას.

საინტერესო და უხვი ფაქტების შემცველია თამარის მეორე ისტორიკოსის, რომელსაც პირობითად ბ ა ს ი ლ ე ვ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ს უწოდებენ, თხზულება „ცხოვრება მეფეთა-მეფე თამარისი“. მიუხედავად იმისა, რომ მისი მხოლოდ დასაწყისი ნაწილი იყო შემორჩენილი, მეცნიერებმა აღადგინეს ამ თხზულების სრული ტექსტი და ამკამად იგი ერთ-ერთი ძირითადი წყაროა XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს ისტორიისათვის.

ამავე პერიოდში შეიქმნა არაერთი ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათის თხზულება, რომლებშიც აღწერილია ცნობილი საეკლესიო მოღვაწეების ცხოვრება. მაგალითად, გიორგი ათონელის (1009-1065) „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი“, გიორგი მცირეს (XI ს.) „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ და სხვ. ცნობილმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე მ (XI ს.) დაგვიტოვა საისტორიო თხზულებაც „უწყებაი მიზებისა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოისსენების“ და ა. შ. ამ თხზულებებში მათი ავტორების მიერ კონკრეტულად დასახულ საკითხებთან ერთად გადმოცემულია საქართველოს ისტორიის არაერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი, განსაკუთრებით საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობიდან.

ამ პერიოდის საქართველოში მეცნიერების დარგებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ფილოსოფიამ. ქართული საზოგადოების დაინტერესებას ფილოსოფიით და ფილოსოფოსებით მოწმობს ის ფაქტი, რომ ცნობილი ფილოსოფოსების სახელები გვხვდება არა მხოლოდ ფილოსოფიურ შრომებში, არამედ ლიტერატურულ და საისტორიო თხზულებებშიც. ფართოდ ითარგმნება ანტიკური და შემდგომდროინდელი ფილოსოფოსების: პ ლ ა ტ ო ნ ი ს, ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს, პ ლ ო ტ ი ნ ი ს, პ რ ო კ ლ ე ს, ფ ს ე ე დ ო-დ ი ო ნ ი ს ე ს ანუ იგივე პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ს, ნ ე მ ე ს ი ო ს ე მ ე ს ე ლ ი ს, ჰ ე რ მ ი ა ს ი ს, ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს, ა ნ ა ს ტ ა ს ი ა ს ი ნ ა ე ლ ი ს, მ ი ქ ა ე ლ ფ ს ე ლ ო ს ი ს და სხვათა შრომები. მათი ზოგიერთი დედანი დაკარგულია და მხოლოდ ქართული თარგმანითაა შემორჩენილი.

ამ პერიოდის ქართულ საზოგადოებაში ფართოდ ვრცელდება ჰუმანისტური იდეები, რის საფუძველსაც ქმნიდა ქვეყნის საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და იდეოლოგიური აღმავლობა, საერო კულტურის მძლავრი განვითარება. ჰუმანიზმის ერთ-ერთი ძირითადი იდეაა ამქვეყნიუ-

შალვა რესიფელის პორტრეტები პალესტინის ჯვრის ძმისაგრილან და ეფესელისეული ხელნაწერიდან (XVII ს.)

რი სინამდვილის ღირებულებების აღიარება, რაც გულისხმობს შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მიწისა და ზეცის ღვალიზმის დაძლევას. ამ იდეის თეორიულ დასაბუთებას იძლევა თავის შრომებში ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი. ეს ამოცანა მის ფილოსოფიურ ნაშრომში გადაწყვეტილია ნ ე ო პ ლ ა ტ ო ნ ი ზ მ ი ს საფუძველზე. თუ არეოპაგიტიკულმა მოძღვრებამ, რომლის ავტორადაც, როგორც აღნიშნული იყო, ითვლება პეტრე იბერი (V ს.) და რომელიც წარმოადგენდა ნეოპლატონიზმის ქრისტიანულ გადამუშავებას, გააღვიძა ინტერესი ანტიკური ფილოსოფიისადმი, იოანე პეტრიწის (XI-XII) ფილოსოფიური მსოფლმხედველობა პროკლეს (410-485), ნეოპლატონიზმის ამ უკანასკნელი დიდი სისტემატიზატორის, მოძღვრების საფუძველზეა ჩამოყალიბებული და იძლევა მის ორგანულ განვითარებას. იოანე პეტრიწის ერთ-ერთი ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომია: „განმარტებაჲ პროკლესათვის დიადოხოსის და პლატონურისა ფილოსოფიისათვის". მასვე ეკუთვნის არისტოტელეს, ნემესიოს ემესელის, ამონიოს ჰერმიასის და სხვათა ქართული თარგმანები. პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის" პეტრიწისეული თარგმანი უძველესად ითვლება პროკლეს თხზულებათა მსოფლიოში ცნობილ თარგმანთა შორის.

ნეოპლატონიზმის გვერდით XI-XII სს-ის ქართულ ფილოსოფიაში წარმოდგენილია მეორე მიმდინარეობა, რომელიც მონოთეიზმისა და დოგმატიზმის პრინციპებს ავითარებდა. მისი წარმომადგენელია ა რ ს ე ნ ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი. მისი მთავარი ნაშრომია კომპენდიუმი „დოგმატიკონი", რომლის ძირითად მიზანს ორთოდოქსალური (ქალკედონიტური) მიმდინარეობის დაცვა წარმოადგენდა. სხვა თხზულებათა შორის კომპენდიუმი შეიცავდა პოლემიკურ თხზულებებს მაპმადიანური და ებრაული რელიგიების, ასევე ქრისტიანობის შიგნით წარმოქმნილ სხვადასხვა მწვალებლური (ერეტიკული) მიმდინარეობების წინააღმდეგ.

XI-XII საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრის მოწინავე მიმდინარეობას აგრძელებს გენიალური ქართველი პოეტი შ ო თ ა რ უ ს თ ე ე ლ ი,

რომლის პოემა „ეეფხისტყაოსანი", მაღალპოეტურ ღირსებებთან ერთად, საინტერესო ფილოსოფიური იდეების შემცველი ნაწარმოებიცაა. იგი ამყარებს ნეოპლატონიზმის, კერძოდ კი, არეოპაგიტული მოძღვრებისა და იოანე პეტრიწის ფილოსოფიის დიდ გავლენას. მის ძირითად იდეურ შინაარსს ჰუმანიზმი წარმოადგენს. ეს არის ფაქტობრივად სინთეზი შუა საუკუნეების ქართული იდეურ-კულტურული და ფ ილოსოფიური განვითარებისა. „ეეფხისტყაოსანში" ჰუმანიზმი და ნეოპლატონიზმი გაერთიანებულია და ერთმანეთს ასაბუთებს. რუსთველის შემოქმედებაში ფილოსოფიურ დასაბუთებას პოულობს იდეური შემობრუნება ზეციური სამყაროდან ხილული სინამდვილისა და ადამიანისაკენ. სამართლიანად არის მიჩნეული, რომ შოთა რუსთაველის პოემა მამინდელი **საქართველოს პოეტური და ფილოსოფიური აზროვნების და შემოქმედების გვირგვინია.**

„ეეფხისტყაოსანში" აღწერილია XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების რეალიები, კერძოდ, ქალის გამეფება, გამეფება მეფე-მამის სიცოცხლეშიეე თვით ამ მეფე-მამის მიერ, რაც ამ დროის საქართველოში მართლაც მოხდა მეფე გიორგი III-ის მიერ თამარის თანამოსაყდრედ გამოცხადებისას. პოემაში ნათლადაა ასახული საქართველოს სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილება, რაინდობის ინსტიტუტი, ქალის მდგომარეობა, პატრონყმობის სისტემა და ა. შ. ამ დიდებული პოემის ღირსებანი მრავალმხრივია: შეუდარებელი ლექსთა წყობა და მუსიკალობა, მოწინავე საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნება, პატრიოტიზმი და ხალხთა შორის მეგობრობის მოწოდება. ყოველივე ეს, ზემოაღნიშნულ ჰუმანისტურ იდეებთან ერთად, მას აყენებს მსოფლიო პოეტური და ფილოსოფიური შედევრების რიგში. უფრო მეტიც - „რუსთაველმა - გენიალურმა მოაზროვნემ და შემოქმედმა - დიდად გაუსწრო თავის დროსაც და თავის წარმომქმნელ საზოგადოებასაც, იგი აღრეული რენესანსის მოციქულად გეეელინება" (ნ. ბერძენიშვილი).

ამ ეპოქაში რუსთაველი მარტო არ არის. მას გვერდს უმშვენებენ მაღალი რანგის პოეტები - ჩ ა ხ რ უ ს ა ძ ე და ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი. მათი შემოქმედებაც ფილოსოფიურ-პოეტური ელერადობისაა და გამსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებით. ცნობილი მეცნიერი ნ ი კ ო მ ა რ ი, რომელმაც შეისწავლა აღნიშნული პოეტების შემოქმედება, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს პატრიოტიზმი არ არის გამოგონილი, ტენდენციური პატრიოტიზმი. მთელი ის ეპოქა, როდესაც ცხოვრობდნენ აღნიშნული პოეტები, იყო ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის უმაღლესი განვითარებისა და სამხედრო დიდების ეპოქა და იგი ძალაუნებურად გადმოსცემდა მისი თანამედროვე მოწინავე ქართული საზოგადოების განწყობილებას.

ქართული ლიტერატურა, გარდა ბრწყინვალე პოეტური ძეგლებისა, ამ ეპოქაში წარმოდგენილია შესანიშნავი პროზაული ნაწარმოებით, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანით." ეს არის ერცელი რაინდული რომანი, შედგენილი ცალკეული ნოველებისაგან, რომლებშიც მოთხრობილია რაინდების გმირული მოქმედებანი და თავგადასავლები. რომანის მთავარი გმირი ამირანი და სხვა ჭაბუკები დაჯილდოებულნი არიან ძლიერი ფიზიკური ძალით, ისინი ერ-



ბაგრატის ტაძარი ქუთაისში. რეკონსტრუქცია.

თგულად ემსახურებიან თავიანთ სიუზერენს ანუ პატრონს, თავდადებით მრუნავენ ქვეყნის საკეთილდღეოდ, მტკიცედ იცავენ რაინდულ წესებს. რაინდი მოვალეა იყოს საგრფოსათვის თავდადებული, ერთგული, უშიშარი, სუსტთა და ჩაგრულთა დამცველი, სიმართლისათვის მებრძოლი. თხზულების ავტორი თავისი სოციალურ-პოლიტიკური იდეებით ფეოდალური, ცენტრალიზებული სასელმწიფოს ინტერესების ერთგულია.

როგორც აღნიშნული იყო, XI-XII საუკუნეების საქართველოში ინტენსიურად ითარგმნებოდა არა მსოლოდ სამეცნიერო-თეოლოგიური ნაწარმოებები, არამედ მხატერული ლიტერატურაც. XII საუკუნეში ითარგმნა, მაგალითად, სპარსულიდან ლექსად დაწერილი სამიჯნურო რომანი „ვისრამიანი", რომელიც, მიუსედავად იმისა, რომ ქართველ ავტორს თხზულება პროზად აქვს თარგმნილი, თავისი მხატერული ღირსებებით არაფრით ჩამოუვარდება სპარსულ დედანს.

XI-XII საუკუნეები ქართული სუროთმოძღერებისა და სახეითი ხელოვნების განეითარების დიდი ეპოქაცაა. ამ დროს შეიქმნა საერო და საეკლესიო არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, ხელნაწერთა მორთულობისა და მინიატურების, ოქრომქანდაკებლობის, დეკორატიული სკულპტურის მრავალი ღირსშესანიშნაეი ნაწარმოები. ბევრი მათგანი თავისი მხატერული ღირებულებით თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ მამინდელი მსოფლიოს ხელოვნების მოწინავე ნიმუშებს.

XI საუკუნეში შეიქმნა შუა საუკუნეების საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი ტაძრები, რომლებიც თავისი ფორმითა და გრანდიოზულო-

მცხეთის სვეტიცხოველი

ბით კარგად შეესაბამებოდა ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბების პროცესს. ესენია: ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, საკათალიკოსო კათედრალი სვეტიცხოველი მცხეთაში, ალაევერდის ტაძარი კახეთში და სამთავისისა - ქართლში. მათ გარდა უნდა დაეასახელოთ სამთავროს კათედრალი მცხეთაში, ნიკორწმინდის ტაძარი რაჭაში, სავანე, ქორეთი იმერეთში და სხვა მრავალი. ყველა ისინი XI საუკუნის ძეგლებია. XII საუკუნეში კი შეიქმნა გელათის დიდებული ტაძარი შესანიშნავი ფრესკებითა და მოზაიკით. ფრესკებიცა და მოზაიკაც მხატვრული შემოქმედების შედევრებს განეკუთვნება.

XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის დასაწყისში შენდება შედარებით მცირე ზომის ტაძრები. ისინი, განსხვავებით კათედრალური ტაძრებისაგან, დასახლებული ცენტრებისაგან დაშორებით, სშირად ტყიანი ხეობების სიღრმეში არიან აშენებულნი, ძირითადად, ამქვეყნიური შფოთიანი ცხოვრებისაგან გარიდებული, ბერად აღკვეცილი ფეოდალების მიერ. ასეთი ძეგლებია:

ალაევერდის ტაძარი კახეთში.

კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი „ვარძია“.

იკორთის, ბეთანიის, ქვათა-სეეის, ფიტარეთის ეკლესიები. ქართული საეკლესიო სუროთმოძღვრება შემდგომ განვითარებას აღწევს XIII საუკუნის დასაწყისში, მაგრამ შემდეგ, პოლიტიკური ვითარების გართულების შედეგად, ეს აღმავლობა ჩიხში ექცევა, იწყება დაცემა-დაქვეითების პერიოდი.

XI-XII საუკუნეების საქართველოში შეიქმნა რამდენიმე კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი: დავით-გარეჯა, ვაჟანი, ვარძია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს უკანასკნელი ძეგლი, ვარძიის ანსამბლი, რომელიც ფაქტობრივად, კლდეში ნაკვეთი ქალაქი-მონასტერია. მისი სამუშაოები დაუწყია გიორგი III-ს და დაუმთავრებია თამარ მეფეს. აქ, შვეულ კლდეში რამდენიმე ასეული სენაკი და სათავსია გამოკვეთილი, რომელნიც რამდენიმე სართულად არიან ერთმანეთზე განლაგებულნი. კლდეშივე გამოკვეთილია დიდი მომის ეკლესია, რომელიც შესანიშნავი ფრესკებით არის მოსატული. აქ არის გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტული გამოსახულებანი.

ამ დროის საერო ძეგლებიდან ძემორჩენილი გვაქვს გეგუთის სასახლის ნანგრევები ქ. ქუთაისთან. ამ სასახლეში სდებოდა საპატიო სტუმრების საგეიმო მიღება. წერილობითი წყაროების ცნობებით, სასახლის კედლები მოსატული ყოფილა სხვადასხვა ისტორიული კომპოზიციით. უფრო დიდი და მნიშვნელოვანი სასახლეების მხოლოდ მცირე ნაშთებია შემორჩენილი და მათი თავდაპირველი სახის აღდგენა შეუძლებელია. ამავე პერიოდში შენდებოდა ბევრი დიდებული ციხესიმაგრე თუ ციხე-ქალაქი, მაგრამ მათგანაც მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი.



გელათის სასახლის ნანგრევები. ზემოთ - რეკონსტრუქცია.

დიდი ყურადღება ექცეოდა გზებისა და ხიდების მშენებლობას. დღემდე შემორჩენილია ბ ე ს ლ ე თ ი ს ა (სოხუმთან) და ღ ა ნ ღ ა ლ ო ს (აჭარაში) ხიდები.

XI-XII საუკუნეები ქართული სასვითი ხელოვნების მძლავრი აღმაფლობის ხანაა. უმაღლეს ღონეზეა ასული საფასადო სკულპტურა. ეკლესიები შემკულია შესანიშნავი რელიეფური ქანდაკებებითა და ჩუქურთმებით, კანკელებზე გამოსახულია მთელი სცენები სახარებიდან და რეალური ისტორიული ცხოვრებიდან. ასევე ბრწყინვალე განვითარებას აღწევს ოქრომჭანდაკებლობა. საეკლესიო ნიეთები, ჯვრები და საგები დაფარულია ოსტატურად შესრულებული კომპოზიციებითა და ფიგურული გამოსახულებებით, ძვიდარი ორნამენტებით. მაგალითად, შუა საუკუნეების მსოფლიო ოქრომჭედლობის გამორჩეული ნიმუშია ს ა ს უ ლ ი ს ს ა ტ ი გელათის მონასტრიდან. ამ პერიოდის ქართული ოქრომჭანდაკებლობის ვირტუოზი ოსტატები არიან ბ ე შ ქ ე ნ და ბ ე ქ ა ო პ ი ზ ა რ ნ ი.

ხერხეულის ციხე.

ამავე პერიოდში აღმავალ განვითარებას განიცდის მინანქრული ხელოვნება. ქართული მინანქრული ხელოვნება და მონუმენტური მხატვრობა ბიზანტიურის გავლენას ამჟღავნებს, თუმცა თავისი ორიგინალურობითაც ხასიათდება.

ხიდი მდ. ბეჭლეთზე, სოხუმთან, ქართული ასომთავრული წარწერით.

ამ დროის საქართველოში ფერწერის რამდენიმე აღგილობრივი სკოლაა დადასტურებული: ტაო-კლარჯეთის, რაჭა-სვანეთის, დაეით გარეჯისა და სხვ. შესანიშნავი ფრესკებია ატენის სიონის ტაძარში, გელათში, ბეთანიაში, ყინწვისში, ბერთ ებანში. ფრესკები გამოირჩევა მონუმენტურობით, სწორი პროპორციებით, ძლიერი და შეტყველი სახეებით, შესანიშნავი ფერთა შეხამებით. ჩვეულებრივი სარწმუნოებრივი სიუჟეტებისა და წმინდანების გამოსახულებებს გარდა, ფრესკებზე აღგილი აქვს დათმობილი ისტორიული პირების პორტრეტებს. მაგალითად, თამარის ოთხი პორტრეტია შემორჩენილი, მასთან ერთად გამოსახულნი არიან გიორგი III და ლაშა-გიორგიც. გელათში შემორჩენილი გვაქვს დაეით აღმაშენებლის პორტრეტი, უფრო გვიან განახლებული და

ბექა ოპიზარის მიერ მოჭედილი წყაროსთავეის ოთხთავეის ყდა (XII ს.). მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებათა შორის წარწერაა: „ქრისტე, შეიწყალე ოქრომჭედელი ბექაᲲ ოპიზარი“.

ვაბრიელ მთავარანგელოზი. ატენის სიონის ტაძრის მხატვრობა (XI ს.)

ყინწვისის ანგელოზი (ფრესკა)

ხელახლა მოხატული. იშვრიალინდელ მხატვრობაში ეხელებით ღრმა ადამიანურობისა და ლირიზმის ნიშნებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ანგელოზის ფიგურა ყინწვისის ტაძარში. უაღრესად დახვეწილი და მაღალმხატვრული ღონისაა ქართული ხელნაწერების მინიატურებიც. ამ მცირე მხატვრობით გაფორმებულ საეკლესიო შინაარსის წიგნებთან ერთად შემორჩენილია ზოდიაქოს ნიშნებით შესანიშნავად დასურათებული ასტრონომიული ტრაქტატი (XII ს.).

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე ქართულ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ „მე-11-12 საუკუნეების ქართულ ხელოვნებას ახასიათებს მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპაში საფუძველად დაედო ევროპეთწოდებულს „რენესანსის (აღორძინების) სახას".[1]

ლაზარეს აღდგინება. მინიატურა XI ს. სეინაქსრიდან

ამრიგად, ფეოდალური საქართველოს ცხოვრების ყველა მხარემ XI საუკუნიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე არნახულ აყვავებას მიაღწია, ამიტომ ამ ეპოქას ქართველმა ხალხმა საქართველოს ისტორიული განვითარების „ო ქ რ ო ს ხ ა ნ ა" უწოდა.

1 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ. 1948, გვ. 232.

მეორე ნაწილი

ფეოდალური საქართველოს დაქვეითება-დაცემის პერიოდი (XIII-XVIII სს.)

I თავი

მონღოლთა ბატონობის სანა

მონღოლთა პირველი გამოჩენა და ჯალალ ედ-დინის შემოსევები

1. მონღოლები. XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან მკეეთრად შეიცვალა საქართველოს ისტორიული განვითარება. ამის მიზეზი იყო საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პირობების გაუარესება, რაშიც უპირველესი როლი მონღოლებმა შეასრულეს.

მონღოლები ცენტრალური აზიის ვრცელ ველებში მომთაბარე, ჯერ კიდევ პირველყოფილ-პატრიარქალურ საფეხურზე მდგომი ტომები იყვნენ. ნაწილი მონღოლებისა, ე. წ. ტყის მონღოლები, ბაიკალის ტბის მიდამოებში და სამხრეთ ციმბირის ტაიგაში ცხოვრობდნენ, სადაც ისინი ძირითადად მონადირეობას, ველის მონღოლები კი - მომთაბარე მესაქონლეობას (მსსვილფეხა რქიანი საქონლის, ცხვრის, აქლემების და ცხენების მოშენება) მისდევდნენ.

მათი ცხოვრების წესი და კულტურა უაღრესად პრიმიტიული იყო: არ ჰქონდათ არც ქალაქები, არც სოფლები, არ ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას, არ იცოდნენ წერა-კითსვა; რელიგიაც უმარტივესი - შამანური ჰქონდათ. ქართველები მათ ველურებს, ე. ი. ველიდან მოსულებს, უწოდებდნენ. ქართულ ენაში ველური ამავე დროს ყველაზე ჩამორჩენილს, უკულტუროს ნიშნავს. მონღოლები, შეჩვეულნი ცხოვრების მკაცრ პირობებს: სიცხეს, სიცივეს, შიმშილს, გაჭირვებას, ლაშქრობაში უაღრესად ამტანები, ყველა სიძნელეს ადვილად უძ-

ჩინგიზ ყაენი. ძველი ჩინური გრავიურა.

ლებდნენ. ისინი შესანიშნავი მოისარნი და ცსენოსანნი იყვნენ, შეეძლოთ სწრაფი მანევრირება და გადაადგილება. მათ ლაშქარს თან მიჰყვებოდა მთელი ურდო, მათი ჯალაბობა, ცოლ-შვილი, საქონლის ჯოგები. ამიტომ მებრძოლთა მომარაგებაც ადვილი იყო და მეომართა დანაკლისის შევსებაც. ეს მათ დიდ უპირატესობას ანიჭებდა ფეოდალთა მოუქნელ რაინდულ ლაშქართან შედარებით. მით უმეტეს, რომ ფეოდალები ლაშქრობის პერიოდშიც ფუფუნებით ცხოვრებას არ ეშვებოდნენ და ყოველგვარი სიძნელე-გაჭირვება მათზე დიდ ზემოქმედებას ახდენდა. ფეოდალთა ლაშქარში, როგორც წესი, გაერთიანებულნი იყვნენ ერთმანეთის მოქიშპე დიდებულები, რომლებიც თავიანთ უთანხმოებას არც ბრძოლის ველზე ივიწყებდნენ. პატრონყმულ ლაშქარში ყოველთვის როდი იყო „პატრონყმური სიყვარული" პატრონსა და ყმას შორის.

მონღოლი ტომები გააერთიანა თემუჩინმა, რომელიც 1206 წ. მონღოლი თავკაცების ყრილობამ - ყურულთაიმ უზენაეს მბრძანებლად აირჩია და ჩ ი ნ - გ ი ზ ყ ა ე ნ ა დ იწოდა. ჩინგიზ ყაენმა მკაცრი დასციპლინა დაამყარა თავის ქვეშევრდომთა შორის და კარგად ორგანიზებული სამხედრო ძალა შექმნა. მან გვაროვნული წყობილების ტრადიციები შეუთანხმა მონღოლთა ლაშქრის ასლებურ სამხედრო ორგანიზებას. მონღოლი მოლაშქრენი დაყოფილნი იყვნენ ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად, ათიათასეულებად. ათეულის მეთაურს თვითონ ამ ათეულის წევრები ირჩევდნენ, ასეულისას - ათეულის მეთაურები და ა. შ. ათეულის წევრთაგან თუ ვინმე ბრძოლის ველიდან გაიქცეოდა ან ტყვედ ჩავარდებოდა, მთელ ათეულს სიკვდილით სჯიდნენ. ეს აპირობებდა მონღოლების თავდადებულ, შეუპოვარ ბრძოლას ყველა სიტუაციაში. ამავე დროს, ისინი წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენდნენ და დაუნდობლად სპობდნენ ყველას, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა; ქალაქებს, სოფლებს მიწასთან ასწორებდნენ; უდაბნოდ აქცევდნენ კულტურული მეურნეობით დაკავებულ, აყვავებულ ტერიტორიებს. ასეთი სისასტიკით ისინი შიშის ზარს სცემდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს.

პირველად მონღოლებმა ჩინეთის იმპერიას შეუტიეს და ადვილად გაანადგურეს იგი. 1215 წელს მათ პეკინიც აიღეს. შემდეგ ჩინგიზ ყაენმა დასავლეთისკენ აიღო გეზი და ასევე დაამარცხა მაჰმადიანთა უძლიერესი სასელმწიფო შუა აზიაში, ს ო რ ე ზ მ ი ს სამეფო. სორეზმ-შაჰი მუჰამედი ირანისაკენ გაიქცა, მონღოლთა მბრძანებელმა მას თავისი ორი ცნობილი სარდალი-ჯებე და სუბუდაი დაადევნა 30000 მხედრით. ამავე დროს მათ დაავალა დასავლე-

თის ქვეყნების დაბეერეაც. მონღოლთა ეს მზეერაეი ლაშქარი პირველად 1220 წ. შემოიჭრა საქართველოში. ქართველთა ჯარი ლაშა-გიორგის მეთაურობით რამდენჯერმე დამარცხდა მათთან შეტაკებისას, მაგრამ მონღოლებს მაშინ საქართველოს დაპყრობა არ უცდიათ. მათ მოითარეშეს საქართველოს აღმოსაელეთი საზღვრისპირა მსარეები - შარეანი, დარუბანდი და იმიერკავკასიაში გადავიდნენ. იქ მათ დაამარცხეს რუსთა და ყიეჩაღთა გაერთიანებული ლაშქარი (1223 წ., ბრძოლა მდ. კ ა ლ კ ა ზ ე) და კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან შემოელით შუა აზიაში, თავიანთ მბრძანებელთან დაბრუნდნენ. შუა აზიის დაპყრობის შემდეგ ჩინგიზ ყაენმა დაგეგმა უფრო დასაელეთით ლაშქრობა, მათ შორის საქართველოს დაპყრობაც.

1223 წ. იანვარში ლაშა-გიორგი გარდაიცვალა, როგორც ჩანს, მონღოლებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობის გამო. მას კანონიერი მემკვიდრე არ დარჩენია, ამიტომ საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანეს მისი და რ უ ს უ დ ა ნ ი (1223-1245). რუსუდანის მეფობის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა დიდგვაროვანთა გაელენა საქართველოს სამეფო კარზე და მეტისმეტად შესუსტდა მეფის ცენტრალისტური ხელისუფლება. ამ ამბის უარყოფითმა შედეგებმა მალე იჩინა თავი როგორც სორეზმ-შაპ ჯ ა ლ ა ლ ე დ-დ ი ნ თ ა ნ, ისე საქართველოს დასაპყრობად წამოსულ მონღოლთა ლაშქართან ბრძოლებში.

2. ჯალალ ედ-დინის შემოსეევები. მუჰამედ ხორეზმ-შაპის მემკვიდრე ჯალალ ედ-დინი მონღოლებს გამოექცა და ირანში მათ წინააღმდეგ ძალების შეგროვებას შეუდგა. ჯალალი შესანიშნავი სარდალი, მაგრამ ბეცი პოლიტიკოსი იყო. მან წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა, როდესაც მიზნად დაისახა, უპირველეს ყოელისა, საქართველოს დაპყრობა და მის წინააღმდეგ მაპმადიანი მბრძანებლების დარაზმვას შეუდგა. მოუქნელად მოქმედებდა საქართველოს სამეფო კარიცა და სარდლობაც. არაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ჯალალ ედ-დინის ეს შემოსეევა თავიდან აეცილებინათ, ხოლო, როდესაც მტერი საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა, სამსედრო ძალების მობილიზება ქართველებს დამთავრებული არცა პქონდათ.

გადამწყეეტი ბრძოლა ქ. გარნისთან მოხდა 1225 წლის აგვისტოში. ქართველთა ჯარის მთავარსარდალმა ივანე ათაბაგმა დროზე არ მიაშველა იერიშზე გადმოსული მტრის წინააღმდეგ მებრძოლ მეწინავე ლაშქრის სარდლებს-ივანე და შალვა ახალციხელებს დამხმარე ჯარი. უთანასწორო ბრძოლაში ივანე ახალციხელი დაიღუპა, ხოლო მისი ძმა შალვა ტყვედ ჩავარდა. უკუქცეული ქართველთა ჯარის შეჩერება შეუძლებელი შეიქნა და ივანე მხარგრძელმა დამარცხებულმა დატოვა ბრძოლის ველი. მომდეენო, 1226 წლის 9 მარტს ჯალალ ედ-დინმა, თბილისის ზოგიერთი მაპმადიანი მცხოვრების ღალატით, საქართველოს დედაქალაქიც აიღო.

საქართველოს სამეფო კარი სრულ უუნარობას იჩენდა. მტრის თბილისისაკენ წამოსელისთანავე რუსუდანმა ქალაქი დატოვა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა; ქალაქის დაცვა კი ძმებს-მემნა და ბოცო ჯაყელებს დაავალა. მემნა ჯაყელი ღალატით მოკლეს. ქართველთა ჯარი ბოცოს მეთაურობით ისნის ციხეში ჩაიკეტა, მაგრამ, რუსუდანის ბრძანებით, ისიც უომრად გაე-

ცალა ამ მნიშვნელოვან ციხეს. ქალაქს ხვარაზმელები დაეპატრონნენ და მშვიდობიანი მოსახლეობის სოცვა-ჟლეტასა და დარბევას შეუდგნენ. დაუნდობლად სოცავდნენ ყველას, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს. მემატიანის გადმოცემით, ჯალალ ედ-დინის ბრძანებით სიონის ეკლესიის გუმბათი მოანგრიეს და იქ მისთვის დადგეს საჯდომი ტახტი, საიდანაც თვალყურს აღევნებდნენ ქალაქის აოსრებასა და აწიოკებას. მდ. მტკვრის სიდის თავში იესო ქრისტეს და ღვთისმშობლის სატები დაყარეს და ქართველ ქრისტიან მოსახლეობას აიძულებდნენ მათზე ფეხით შემდგარიყვნენ. ვინც ამას არ შეასრულებდა, თავს ჰკვეთდნენ და მტკვარში ჰყრიდნენ. მრავალმა თბილისელმა მოწამეობრივი სიკვდილი არჩია ასეთ ღვთისგმობას. სულ თბილისში 100000-ზე მეტი მცხოვრები ამოუსოცავი.

ჯალალ ედ-დინმა თბილისში უზარმაზარი სიმდიდრე იპოვა ხელთ. მისი ისტორიკოსის ან-ნესევის სიტყვით, ამ სიმდიდრის აღსაწერი ნუსხების შესადგენად გრაგნილთა მთებიც არა კმაროდა. ძარცვა-რბევის დროს სვარაზმელებს თბილისელი მაპმადიანებიც არ დაუნდვიათ და ამ უკანასკნელთ სასანებლად გაუსდათ ქარ[illegible]ველებისადმი ღალატი.

თბილისის [illegible]ლება საქართველოს დაპყრობას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა. მტრის მარბიელ ლაშქარს ქართველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამეფო კარსა და მთავარსარდლობას სრული დაბნეულობა ეტყობოდათ, ხვარაზმელებმა საქართველოს ძირითადი ციხეების აღება ვერ შეძლეს. 1227 წ. ქართველებმა თბილისი კვლავ გაათავისუფლეს, ასევე ძალების შეგროვებას შეუდგნენ ჯალალის წინააღმდეგ ახალი, გა[illegible]ამწყვეტი ბრძოლის გასამართავად. მათ ჩრდილო კავკასიიდან გადმოიყვანეს ოსნი, ღურძუკნი და სხვა მთიელები, აგრეთვე, ყივჩაღები, მოკავშირედ მოუხმეს ჯალალის მოწინააღმდეგე მაპმადიან მფლობელებსაც, მაგრამ ვიდრე მოკავშირეები ძალებს თავს მოუყრიდნენ, ჯალალ ედ-დინმა ისევ დაასწრო და ქართველთა ჯარს ბრძოლა გაუმართა ქ. ბოლნისთან. ბრძოლის ბედი კვლავ ღალატმა გადაწყვიტა. სორეგმ-შაპმა ყივჩაღები მოისყიდა და, პირობისამებრ, მათ ბრძოლის წინ ქართველები მიატოვეს. საბოლოო გამარჯვება და ქვეყნის დამორჩილება ჯალალ ედ-დინმა მაინც ვერ შეძლო. საქართველოში მისი თარეში 5 წელიწადს გაგრძელდა და ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა. ბოლოს მან მიიღო ცნობა, რომ მონღოლთა ჯარმა მდ. ამუდარია გადალახა და ადარბადაგანისაკენ მიემართებოდა. ჯალალ ედ-დინი იძულებული გახდა საქართველოდან უკან გაბრუნებულიყო. იგი ყველა მოკავშირემ მიატოვა და, ბოლოს, 1231 წელს სადღაც ქურთისტანში დაიღუპა.

ჯალალ ედ-დინის ხუთწლიანი თარეშის შემდეგ, ვიდრე მონღოლები უშუალოდ საქართველოს დაპყრობას შეუდგებოდნენ, ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ რუმელი თურქები და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველოს სამხრეთის ტერიტორიები მოარბიეს. რუსუდანი იძულებული გახდა რუმის სულტანთან ზავი დაედო და, მშვიდობის საფასურად, თავისი ქალიშვილი, თამარი სულტნის მემკვიდრე მელიქ ყიას ედ-დინ ქეიხუსრევზე დაექორწინებინა.

საქართველომ ყერ მოასწრო მიყენებული ჭრილობების მოშუშება, რომ მის საზღვრებთან გამოჩნდნენ უკვე ქვეყნის დასაპყრობად წამოსული მონღოლები. მონღოლებმა შედარებით მოკლე დროში დაიპყრეს თითქმის მთელი ირანი და 1235 წელს ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ. მათ აიღეს ქალაქები: განძა, შანქორი, გარდაბანი. ამ საერთო კრიტიკულ ვითარებაში საქართველოში არ იგრძნობოდა ერთიანი ხელმძღვანელობა, არსად ჩანდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი გეგმა. მეფე რუსუდანი, რომელიც ჯალალ ედ-დინის წასელის შემდეგ თბილისში ასალი დაბრუნებული იყო, როგორც კი მონღოლთა საქართველოში შემოჭრის ამბავი შეიტყო, ისევ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ერთი სიტყვით, განმეორდა ის, რაც ჯალალ ედ-დინის შემოსვლებისას მოხდა. მონღოლები კი საქართველოს წინააღმდეგ მარტო სამხედრო ძალით როდი მოქმედებდნენ. ამ მძიმე მომენტში ქართველ დიდგვაროვან ფეოდალებში არ იყო თანხმობა. კიდევ უფრო გამწვავებული იყო საადგილმამულო და შინაფეოდალური ბრძოლები. საქართველოს დაპყრობის დროს მონღოლთა სარდლობამ კარგად გამოიყენა მისთვის ერთობ ხელსაყრელი ქვეყნის საშინაო-პოლიტიკური ვითარება. ერთი მხრივ, ქართულ ფეოდალურ საგვარეულოებს შორის მწვავე სამამულო ბრძოლა და, მეორე მხრივ, მეფესა და დიდგვაროვნებს შორის დაძაბული ურთიერთობა კარგ ნიადაგს უქმნიდა დამპყობთა წარმატებებს. მონღოლებმა ზედიზედ დაიკავეს ქალაქები: ლორე, დმანისი, სამშვილდე, ანისი. ამის შემდეგ მათ გზა სსნილი ჰქონდათ თბილისისაკენ, მაგრამ თბილისიც, რუსუდან მეფის ბრძანებით, დაცლილი და გადამწვარი დახვდათ. ასე რომ, საქართველოს დედაქალაქიც მათ უომრად დაიკავეს.

ქართველ დიდებულთა დიდი საწილი, მათ შორის, საქართველოს ამირსპასალარი ავაგ მსარგრძელი, მონღოლებს უბრძოლველად დანებდა და მათ სამსახურში ჩადგა. მთავართა ასეთი ღალატის მიუხედავად, ქართველი ხალხი შეურიგებლად ებრძოდა შემოსეულ მტერს და ქვეყანაში ფეხის მოკიდების საშუალებას არ აძლევდა. მონღოლები სასტიკად უსწორდებოდნენ ქართველ პატრიოტებს. მემატიანეს გადმოცემით, „ყოველი ქუეყანა მწარესა ოხრებასა შინა იყო: არბევდეს, ტყვე ჰყოფდეს, სრეიდეს მამაკაცთა, ეიდრე დედათა და ყრმათა ტყუედ წარიყვანებდეს". მტერს არ დაემორჩილა სამცხის მთავარი ყვარყვარე ჯაყელი და მხოლოდ რუსუდან მეფისაგან მიღებული ნებართვის შემდეგ შეწყვიტა ბრძოლა. სამცხის დაკავების შემდეგ მონღოლებმა დასავლეთ საქართველოშიც სცადეს შეჭრა, მაგრამ ეს ვერ შეძლეს. საქართველოში ბრძოლები გრძელდებოდა.

დასავლეთ საქართველოში გადახვეწილმა რუსუდანმა სცადა ევროპასთან დაკავშირება. მან რომის პაპს მიმართა სპეციალური წერილით და ევროპის ქვეყნების დამხმარე ჯარის მოშველიება ითხოვა. ასეთი თხოვნის მორალური უფლება მას უსათუოდ ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ ცოტა ხნის წინ სწორედ ევროპამ და რომის პაპმა საქართველოს მიმართეს თხოვნით იერუსალიმის გათავისუფლებაში მონაწილეობის მიღების შესახებ. როგორც აღნიშ-

ნული იყო, ლაშა-გიორგი აპირებდა ამ თხოვნის შესრულებას, მაგრამ მონღოლების პირველმა გამოჩენამ ეს ამბავი ჩაშალა. ამჟამად საქართველოს, როგორც ქრისტიანულ, თუმცა სხვა, მართლმადიდებლური მრწამსის ქვეყანას, ძალიან უჭირდა წარმართი მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლა. ევროპისაგან დახმარების მიღების შემთხვევაში ქართველთა მეფე პირობას იძლეოდა, რომ კათოლიკურ მრწამსზე გადავიდოდა და რომის პაპის უზენაესობას აღიარებდა. საპასუხო წერილში, რომელიც 1240 წ. გამოიგზავნა, რომის პაპი გ რ ი გ ო ლ IX თავის გასაჭირსა და უსუსურ მდგომარეობაზე მიუთითებდა და სინანულს გამოთქვამდა, რომ არ შეეძლო საქართველოსადმი სამხედრო დახმარება.

ევროპიდან დახმარების მიღების ჩაშლის შემდეგ ერთადერთ იმედად ისღა რჩებოდა, რომ მონღოლებს მოელოდათ დიდი ბრძოლა რუმის სელჩუკთა სახელმწიფოსთან, რომლის სულტანიც, ყიას ედ-დინი, რუსუდანის სიძე იყო, მაგრამ 1243 წ. მონღოლებმა რუმელებიც დაამარცხეს და საქართველოს სამეფო კარს სხვა აღარა დარჩენოდა რა, რომ მათგან ზავი ეთხოვა.

ზაეის ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო საქართველოს ერთიანობისა და მეფის ხელისუფლების შენარჩუნება. რუსუდანს განსაკუთრებით აინტერესებდა მემკვიდრედ მისი შვილის, დავითის დამტკიცება. მონღოლები ამ პირობებს დათანხმდნენ. საქართველოს ეკისრებოდა ყოველწლიური ხარკი 50000 პერპერის რაოდენობით, აგრეთვე, მონღოლთა მოთხოვნით, ჯარის გამოყვანა. საქართველოს ჩამოაცილეს მისი ყმადნაფიცი ქვეყნები, სომხეთი კი მის ფარგლებში დატოვეს. ამავე დროს აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ძალით დაპყრობილ ქვეყანაში, მონღოლთა ჯარი და მონღოლი ნოინები იდგებოდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოში მათი ჯარი არ იქნებოდა შეყვანილი. შეთანხმებისამებრ, რუსუდანის ვაჟი დავითი ტახტის მემკვიდრედ დასამტკიცებლად ყაენის ურდოში გაიგზავნა. მის შესახებ საქართველოში დიდხანს არ ჰქონდათ რაიმე ცნობა. ამდენი უბედურების გადამტანი რუსუდანი დაავადდა და 1245 წელს გარდაიცვალა.

მონღოლთა ბატონობის პირველი პერიოდი საქართველოში

რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, ეიდრე ახალ მეფეს დაამტკიცებდნენ, მონღოლებმა საქართველო, თავიანთი წესის მიხედვით, საგამგებლო ერთეულებად - დუმნებად[1] დაყვეს.

მართალია, ამ დუმნების სათავეში ქართველი ფეოდალები ჩააყენეს, მაგრამ მაინც აშკარა იყო, რომ ამით ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართულ ფეოდალურ წყობილებას გადაშენების საფრთხე ემუქრებოდა. ამას თვით მონღოლთა სამსახურში ჩამდგარი ქართველი დიდგვაროვნებიც მალე მიხვდნენ და აჯანყებისათვის სამზადისს შეუდგნენ.

---

1 დუმანი მონღოლური სიტყვაა და 10000-ს ნიშნავს.

ქართველი დიდებულები სამცხეში, კ ო ხ ტ ა ს თ ა ვ ს (ასპინძასთან) შეიკრიბნენ და დაიწყეს ბჭობა მონღოლთა წინააღმდეგ ერთიანი გამოსვლის მოსაწყობად. შეთქმულება გასცეს. მონღოლები შეთქმულებს მოულოდნელად თავს დაესხნენ და დააპატიმრეს. გადარჩა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ორი დიდებული — ცოტნე დადიანი და კახაბერ კახაბერის ძე, რომლებიც აღრეევ წასულიყვნენ თავიანთ საგამგებლო ქვეყნებში ჯარის შეკრიბვების თაღარიგის დასაჭერად.

კოსტასთავის ციხე. რეკონსტრუქცია.

შეპყრობილი ქართველი თავკაცები ასისში მიიგვარეს მონღოლთა სარღლებს და იქ დაკითხვა და წამება დაუწყეს. ქართველი დიდებულები ერთპირად იდგნენ და თავიანთი შეკრების სამდეგილ მიზეზს არ აცხადებდნენ. მონღოლთა სარღლის ბრძანებით შეთქმულები, გამოტეხის მიზნით, გააშიშვლეს და მსარმეკრულები უპაგიოდ დაჭყარეს მცხუნვარე მზის ქვეშ. ასე გრძელდებოდა მრავალი ღღის განმავლობაში. მათ არაადამიანური წამებით სიკვდილი მოელოდათ. ცოტნე დადიანმა ეს ამბავი შეიტყო და გადაწყვიტა თანამემამულეები გადაერჩინა. იგი 2 მსახურის აშარა გამოცხადდა მონღოლთა სარღლებთან, უბრძანა მსლებლებს მისთვისაც მსრები შეეკრათ და წამებული ამხანაგების გვერდით დაჯდა. როდესაც გაკვირვებულმა მონღოლებმა ამ საქციელის მიზეზი კკითხეს, ცოტნემ უპასუხა, რადგან თქვენ უბრალოდ შეურაცხყოფთ და სჯით ჩემს ამხანაგებს, რომლებსაც „თვინიერ ჩემსა არა რა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოკკლე. უკეთუ ცხოვნდნეს, მეც მათ თანა ვიყო"-ო. მონღოლები გააოცა ცოტნეს თავდადებამ, ისინი დააფიქრა ქართველთა ასეთმა ერთსულოვნებამ, აიძულა დაეჯერებინათ მათი „უდანაშაულობა" და ყველანი გაათავისუფლეს.

ცოტნეს თავდადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მის თანამედროვეებზე. ქართველ საზოგადოებას ჯერ კიდევ თვალწინ პქონდა არაერთი მაგალითი საქართველოს დიდებულთა მიერ ქვეყნის ღალატისა და თავის გადარჩენის მიზნით დამპყრობელთა მხარეზე გადასვლისა. ეს თითქოს ფეოდალისათვის არც თუ ისე საძრახისი გახდა, მაგრამ ცოტნეს თავდადებით და ამ ფაქტის წარმოჩენით ქართველი პატრიოტები მოუწოდებდნენ ყველას მონღოლთა წინააღმდეგ სამშობლოს გათავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ.

ორმეფობა საქართველოში და დავით ნარინის განდგომა. კოსტასთავის შეთქმულების ამბავი ფართოდ გასმაურებულა და უკვე 1246 წელს მონღოლთა ურდოს ცენტრში — ყარაყორუმშიც ჩაუღწევია. ამ დროს იქ იმყოფებოდა რომის პაპის ელჩი პ ლ ა ნ ო კ ა რ პ ი ნ ი, რომელიც წერს, რომ როგორც გავიგე, ქართველები აჯანყებას აპირებენო.

მონღოლთა სარდლობა შეაშფოთა ქართველთა შესაძლო აჯანყებამ. მათ მიბანშეწონილად ჩათვალეს საქართველოში აღგილობრივი მეფის ხელისუფლების აღდგენა და, რადგან დავით რუსუდანის ძის შესახებ არავითარი ცნობა არა ჰქონდათ, დათანხმდნენ ყაენის ურდოში მეფობის ახალი კანდიდატი გაეგზავნათ. მეფობის ეს ახალი კანდიდატი იყო ლაშა-გიორგის უკანონო შვილი დავითი, რომელიც რუსუდანმა თავისი სიძის, რუმის სულტანის კარზე გაგზავნა და იქ ტყვეობაში იმყოფებოდა. დავით გიორგის ძე საქართველოში ჩამოიყვანეს და ისიც ურდოში გაგზავნეს მეფედ დასამტკიცებლად.

ყარაყორუმში ჩასულ დავით გიორგის ძეს და მის ამალას მოულოდნელად ცოცხალი დასვდათ დავით რუსუდანის ძე, რომელიც დაღუპული ეგონათ. დავით რუსუდანის ძე მეფედ იმიტომ არ იყო დამტკიცებული, რომ 1241 წელს გარდაცვლილი უგედეის შემდეგ ახალი დიდი ყაენი ჯერ კიდევ არ იყო არჩეული. 1246 წელს ყურულთაიმ დიდ ყაენად აირჩია ჩინგიზ ყაენის შვილიშვილი გუიუქი (1246-1248). გუიუქმა, მონღოლური ჩვეულებისამებრ, ორივე დავითი დაამტკიცა საქართველოს მეფედ, მხოლოდ უფროს მეფედ დავით გიორგის ძე განაწესა, ხოლო უმცროსად — დავით რუსუდანის ძე. დავით გიორგის ძეს ზედმეტ სახელად ულუ (ულუ მონღოლურად უფროსს ნიშნავს), ხოლო მეორე დავითს — ნარინი (ნარინ — უმცროსს, მცირეს ნიშნავს) უწოდეს. სამეფო ტახტზე ორი მეფის დამტკიცებით საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობას აშკარა საფრთხე შეექმნა, რაც მალე საქართველოს ორ სამეფოდ გათიშვით დამთავრდა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ორივე დავითი ერთსანს თბილისში იჯდა და ერთად განაგებდა ქვეყანას. რა თქმა უნდა, მათი დაბრუნების შემდეგ ქვეყნის ღუმნებად დაყოფა გაუქმდა, მაგრამ ორი მეფის მეფობა მაინც არანორმალურ ვითარებას ქმნიდა. ნაწილი დიდებული ფეოდალებისა დავით ულუს ირგვლივ იყო დაჯგუფებული, ნაწილი კი — დავით ნარინისა. ეს უკანასკნელი ვერაფრით ეგუებოდა მონღოლთა განწესებას, რომლის ძალითაც იგი თავის „უკანონო“ ბიძაშვილს დაუქვემდებარეს. ამას გარდა, დავით რუსუდანის ძე განსაკუთრებით განიცდიდა თავისი ქვეყნის ბედს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ აყვავებულ და უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა მთელს წინა აზიაში და რომლის კანონიერ მეფედ თავის თავს თვლიდა. როგორც ჩანს, იგი ფარულად ძალებს ამზადებდა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებისათვის. მონღოლებმა ეჭვი აიღეს და დავით ნარინი დააპატიმრეს, მაგრამ მან მოახერხა გაქცევა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მონღოლებმა ვერც ამჯე-

ეერეხლის დრამა დავით ულუსა და დავით ნარინის გამოსახულებით.

რად გაბედეს იმერეთში გადასვლა. ამრიგად, დასავლეთ საქართველო მოწყდა ერთიან საქართველოს და იქ დამოუკიდებელი სამეფო შეიქმნა დავით ნარინით სათაურით (1249 წ.). დასავლეთ საქართველოს ასეთ განსაკუთრებულ მდგომარეობას აღნიშნავს გუილიომ რუბრუკვისი, საფრანგეთის მეფე წმ. ლუი IX-ის ელჩი მონღოლთა ყაენის კარზე, რომელმაც 1253 წ. გაიარა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი და აღწერა შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების მდგომარეობა. იგი პირდაპირ წერდა, რომ იმერეთი, რომელიც საქართველოს პროვინციაა, თავისუფალია მონღოლთა ბატონობისაგან. უკან დაბრუნებისას მან გამოიარა დარუბანდი, აზერბაიჯანი და საქართველოს სამხრეთი პროვინციები. აქ იგი შეხვდა ქართველ დიდებულს შანშე მსარგრძელს და აღწერა მასთან სტუმრობა. რუბრუკვისის გადმოცემით - „ეს შანშე წინათ მეტად ძლიერი ქართველი დიდებული ყოფილა, მაგრამ ღვეს ხარკს აძლევდა თათრებს, რომელთაც ყველა მისი ციხესიმაგრე გაუნადგურებიათ. მე ვისადილე შანშესთან, - წერს რუბრუკვისი, - და როგორც მან, ისე მისმა მეუღლემ და მისმა ვაჟმა ზაქარიამ დიდი თავაზიანობა გამოიჩინეს ჩემს მიმართ. ზაქარია ლამაზი და ჩინებული ჭაბუკია. მან მთხოვა, რომ თუკი ის თქვენთან (ე. ი. მეფე ლუი IX-სთან) მოვიდოდა, მე რეკომენდაცია გამეწია მისთვის, რათა ის თქვენს სამსახურში მიგეღოთ. ეს ყმაწვილი ისე იტანჯება თათრების ბატონობის გამო, რომ, თუმცა ყოველივე უსვად აქვს, ურჩევნია უცხო ქვეყანაში ისეტიალოს, ვიდრე ქედი მოიდრიკოს მონღოლთა უღლის ქვეშ“. აქედან კარგად ჩანს საქართველოს ამ ორი ნაწილის მდგომარეობა XIII ს-ის 50-იანი წლებისათვის. დასავლეთ საქართველო, მართალია, თავისუფალი იყო მონღოლთა ბატონობისაგან, მაგრამ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა უკულტურო და ველური მონღოლების გაბატონებით. ეს მდგომარეობა ყოველწლიურად სულ უფრო აუტანელი ხდებოდა.

მონღოლები საქართველოში თავიანთი ბატონობის უმრუნველსაყოფად ცდილობდნენ გამოეყენებინათ ადგილობრივი მ ე დ რ ო ვ ე ნ ი, რომლებიც კარგად შეეგუნენ უცხო ძალას და მათ სამსახურში ჩადგნენ. ბევრმა მათგანმა ისარგებლა ამ მდგომარეობით და დიდი სიმდიდრეც დააგროვა. დაპყრობილი ქვეყნების მართვა-გამგეობის საქმეში მონღოლები ძირითადად ასეთ მედროვეებს ეყრდნობოდნენ, რადგან თვითონ სათანადო გამოცდილება და ცოდნა არ ჰქონდათ.

საქართველოს აღწერა მონღოლთა მიერ და მონღოლური საგადასახადო სისტემა. დავით ულუს აჯანყება

1254-1256 წლებში მონღოლებმა მთელი საყაენო აღწერეს. ამ აღწერის მიზანი იყო გაერკვიათ, თუ რა რაოდენობის ჯარის გამოყვანა შეეძლოთ ამა თუ იმ ქვეყნიდან და განესაზღვრათ გადასახადების მაქსიმალური რაოდენობა. აღწერილ იქნა საქართველოს ის ნაწილიც, სადაც მონღოლებს ხელი მიუწვდებოდათ. ქვეყანას დაეკისრა 90000 მოლაშქრის გამოყვანა, 9 სრულფუ-

ძიან გლესზე ერთი მეომრის გამოყვანის ანგარიშით. ამის მიხედვით ირკვევა, რომ მაშინდელ საქართველოში 5-6 მილიონი მცხოვრები უნდა ყოფილიყო. აღწერის მონაცემების მიხედვით მონღოლებმა დაბეგრეს მეურნეობის ყველა დარგი, რაც კი რაიმე შემოსავალს იძლეოდა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის (მალის) რაოდენობა მოსავლის მიხედვით განისაზღვრებოდა და დასლოებით მოსავლის 2/3-ს უდრიდა. გლესი ისდიდა პირუტყვის ყოლისათვის საბალასე გადასასადს (ყაფჩერი), მასვე ევალებოდა სალაშქროდ მიმავალი მეომრის შომარაგება (ყალანი), გზების გაყვანა, მოელა და სპეციალური სადგურების, იამების, ცხენებით მომარაგება (საიამე ბეგარა), აგრეთვე, ადგილებზე ჩაყენებული მონღოლი მოლაშქრეებისა და მოხელეების ულუფით უზრუნველყოფა და მრავალი სხვ. მონღოლებმა დაწესეს სავაჭრო გადასახადიც (დამღა). ისედაც მძიმე გადასახადები გლესებისათვის კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა მათი აკრეფის სრული მოუწესრიგებლობის გამო. წერა-კითხვისა და ანგარიშის უცოდინარი მონღოლები გადასასადების აკრეფას ანდობდნენ მედროვეებს, რომლებიც ამით სარგებლობდნენ და განუკითხავად ძარცვავდნენ მოსახლეობას. რა თქმა უნდა, ხელუსლებელი რჩებოდა ადგილობრივი ფეოდალური გადასახადები, ზოგი უფრო დამძიმდა კიდეც. მებატონეები თავიანთი შემცირებული შემოსავლის ანაზღაურებას გადასახადების გაზრდით ცდილობდნენ.

ამრიგად, ორმაგი ექსპლოატაცია გლესის მდგომარეობას აუტანელს ხდიდა. მისთვის მეურნეობის წარმოება აზრს კარგავდა, ამიტომ იგი გარბოდა, ტოვებდა მამა-პაპეულ საცხოვრებელს და შედარებით მიუვალ ადგილებში აფარებდა თავს. ამით მწარმოებელი გლეხი ინტენსიურ მეურნეობას წყდებოდა, რაც ქვეყნის ეკონომიკას სრული განადგურებით ემუქრებოდა. გლესებისაგან დაცლილი მამულები ფეოდალებსაც მძიმე ტვირთად აწვებოდა, რადგან მათ სამფლობელოზე დაწესებული გადასახადისათვის მონღოლების წინაშე პასუხისმგებელნი ისინი იყვნენ. ქართველმა აზნაურებმა მასობრივად დაიწყეს თავიანთი მამულების გაყიდვა, რომელიც ხელში უვარდებოდათ მედროვეებს. ფეოდალები იმითაც იყვნენ უკმაყოფილონი, რომ მათ გამუდმებით უსდებოდათ მონღოლთა შორეულ ლაშქრობებში მონაწილეობა, რაც აგრეთვე დიდ ხარჯსა და მსხვერპლს მოითხოვდა.

ჩინგიზ-ყაენის გარდაცვალების შემდეგ მონღოლთა ერთიანი იმპერია თანდათან დაშალა მთელ რიგ საყაენოებად. საქართველოს სამხრეთით, ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ილხანთა მონღოლური სახელმწიფო, რომლის პირველი ყაენი იყო ჩინგიზის შვილიშვილი ჰ ულ ა გ უ. საქართველო უშუალოდ ამ საყაენოს ემორჩილებოდა. ჰულაგუ ყაენი განაგრძობდა დაპყრობით ბრძოლებს და ქართველებიც ძალაუნებურად მონაწილეობდნენ ამ ბრძოლებში. რა თქმა უნდა, ეს დიდ მსხვერპლსა და მატერიალურ ზარალს იწვევდა. ჰულაგუმ ახალი გადასახადებით დაბეგრა დაპყრობილი ქვეყნები. ამან მის წინააღმდეგ უკმაყოფილება კიდევ უფრო გაზარდა.

1260 წელს დავით ულუ განუდგა მონღოლებს და მორჩილებაზე უარი განუცხადა. მონღოლებმა დიდი ჯარი გამოგზავნეს მის წინააღმდეგ. დავით ულუს

ქართველ დიდებულთა დიდმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა. მის ერთგულად ბოლომდე მხოლოდ სამცხის მთავარი ს ა რ გ ი ს ჯ ა ყ ე ლ ი დარჩა. პირველ ბრძოლაში აჯანყებულებმა სარგის ჯაყელის მეთაურობით მონღოლთა მეწინავე ჯარი დაამარცხეს, მაგრამ ძირითად ძალასთან შებმისას მონღოლებმა გამოიყენეს თავიანთი ცნობილი ხერხი — უკუქცევა და მოწინააღმდეგის შეტყუება თავიანთ განლაგებაში. ამ ხერხით მათ ქართველები დაამარცხეს, თუმცა მონღოლთა ზარალიც იმდენად დიდი იყო, რომ დამხმარე ძალის გარეშე ბრძოლის გაგრძელება ვეღარ გაბედეს.

დავით ნარინი. ბულლიის ფრესკა.

მეფე და მისი ერთგული ყმა სამცხეში გადავიდნენ. მომდევნო 1261 წელს მონღოლთა სოინი ა რ ღ უ ნ ი ახალი ჯარით შეესია სამცხეს. სამცხის რბევა-აწიოკება 20 დღეს გაგრძელდა, თუმცა მთავარი ციხესიმაგრის ც ი ხ ი ს ჯ ვ რ ი ს აღება მონღოლებმა ვერ შეძლეს და კელავ უკან გაბრუნდნენ. ამის მიუხედავად დავით ულუ და სარგის ჯაყელი დარწმუნდნენ, რომ მათი სამცხეში დარჩენა და ბრძოლის გაგრძელება უიმედო იყო, ამიტომ გადაწყვიტეს, დასავლეთ საქართველოში გადასულიყვნენ. დავით ნარინმა ისინი სათანადო პატივით მიიღო.

დავით ულუს დასავლეთ საქართველოში გადასვლით იქ თავისებური ვითარება შეიქმნა. კვლავ დაისვა საკითხი ამ ორი მეფიდან რომელს უნდა ჰქონოდა უპირატესობა. ამის გამო აგდა ცილობა დიდებულთა ცალკეულ დაჯგუფებებს შორის. დავით ულუ და მისი მომხრეები დარწმუნდნენ, რომ მათ წარმატების ნაკლები შანსი ჰქონდათ და ისევ მონღოლებთან შერიგება სცადეს. პოლიტიკური ვითარება ამის იმედს იძლეოდა.

60-იანი წლებიდან დაიძაბა ურთიერთობა ოქროს ურდოს[1] ჩრდილოეთის მონღოლურ სახელმწიფოსა და ილხანების ირანს შორის.

საქართველო მათ შორის მდებარეობდა, ამიტომ ორივე მხარისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვის მიემხრობოდნენ ქართველი მეფეები. ამ მიზეზით ჰულაგუ ყაენმა აპატია დავით ულუს მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება და კელავ დაუბრუნა აღმოსავლეთ საქართველოს მეფობა.

ომი ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის 1262 წელს დაიწყო. საქართველო და მისი მიმდებარე ტერიტორია ამ ბრძოლების ასპარეზად იქცა, რაც, რა თქმა უნდა, ამ ქვეყნებს გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა. მაგალითად, 1265 წ. ოქროს ურდოს მონღოლთა ჯარებმა საშინლად მოაოხრეს მდ. იორსა

1 ოქროს ურდო ეწოდებოდა მონღოლთა საყაენოს, რომელიც ჩამოყალიბებული იყო რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიებზე.

და მტკვარს შორის მდებარე ტერიტორია. ეს ადგილები ამის შემდეგ უდაბნოდ იქცა. ილსანებმა დარუბანდის გადმოსასელელთან გამაგრებული სანგრები (სიბა) შექმნეს, რომლის დაცვაც მონღოლებთან ერთად ქართველებსაც ევალებოდათ. ბანაკად მდგარ მონღოლებში ხშირად იფეთქებდა ხოლმე ეპიდემიები, რაც საქართველოშიც ერცელდებოდა და მოსახლეობის დიდ მსხვერპლს იწვევდა.

1265 წ. უთანხმოება ჩამოვარდა დავით მეფესა და მის ერთგულ ყმას სარგის ჯაყელს შორის. ეს უთანხმოება ხელოვნურად გააღვივეს ილსანებმა, რაც იმით დამთავრდა, რომ ყაენმა სამცხე ჩამოაშორა საქართველოს მეფის ქვეშევრდომობას და უშუალოდ თვითონ დაიქვემდებარა. ამან საქართველოს პოლიტიკური დაშლა კიდევ უფრო გააღრმავა. დავით ულუ 1270 წელს გარდაიცვალა.

დემეტრე II თავდადებული

ბრძოლები მონღოლთა წინააღმდეგ XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისში

მონღოლებმა საქართველოს მეფედ დავით ულუს 11 წლის ვაჟიშვილი დ ე მ ე ტ რ ე II (1270-1289) დასვეს და მეურვედ დაუნიშნეს ყაენის ნდობით აღჭურვილი პირი სადუნ მანკაბერდელი.

სადუნი ტიპური მედროვე იყო. მან, გაიძვერობითა და მონღოლთა წინაშე მლიქვნელობით, მსარგრძელთა ყმა-აზნაურობიდან საქართველოს ათაბაგობამდე მიაღწია. დემეტრეს მცირეწლოვნობის დროს ეს მედროვე ფაქტობრივად განაგებდა ქვეყანას და პირად სიმდიდრესაც განუზომლად გრდიდა. მისი ასეთი აღზევება და უმსგავსო მოქმედება ქართველთა მოწინავე წრეებში დიდ აღშფოთებას იწვევდა, ამიტომ იყო, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ დემეტრემ ათაბაგობა მის შვილს ყუთლუ-ბუღას აღარ მისცა და ამით სადუნის მემკვიდრე საბოლოოდ გადაიმტერა.

დემეტრე II-ის სამფლობელო მხოლოდ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილსღა მოიცავდა. დასავლეთ საქართველოში დავით ნარინი მეფობდა და მონღოლებს არ ემორჩილებოდა. სამცხე კი, როგორც აღნიშნული იყო, მონღოლებმა ცალკე გამოყვეს და უშუალოდ ყაენს დაუქვემდებარეს. ამრიგად, დემეტრეს მხოლოდ ქართლ-კახეთი და სომხეთის ნაწილი ექვემდებარებოდა.

ახალგაზრდა მეფე ცდილობდა როგორმე გამოესწორებინა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და შეემსუბუქებინა მონღოლთა მიერ ქართველი სალხის ჩაგვრა.

ქვეყნისათვის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, დემეტრე ყაენის კართან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. მეფე ქართველთა ლაშქრით მონაწილეობდა მონღოლთა გაუთავებელ ლაშქრობებში, რომლებიც სულ უფრო ხშირად მარცხით მთავრდებოდა და ათასობით ქართველთა სიცოცხლეს იწირავდა.

მეტეხის ტაძარი თბილისში, აგებული დემეტრე თავდადებულის მეფობაში.

XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ილხანთა სასელმწიფო მუდმივმა შინაომებმა მოიცვა და საქართველოც ძალაუნებურად ამ ომებში იქნა ჩათრეული. ყაენების წინააღმდეგ არაერთი შეთქმულება მოეწყო, რასაც რეპრესიები და ურთიერთ სოცვა-ულეტა მოსდევდა. დემეტრეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა არღუნ ყაენის პირველ ვაზირთან — ბ უ ღ ა ს თ ა ნ , მაგრამ 1288 წელს ბუღას ყაენის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა დაბრალდა და სიკვდილით იქნა დასჯილი. დემეტრე მეფეც ყაენის კარზე დაიბარეს. იქ მის წინააღმდეგ ინტრიგის ქსელს ხლართავდა მასზე განაწყენებული გულბოროტი სადუნის ნაშიერი ყუთლუ-ბუღა. ამდენად, ყაენის კარზე დემეტრეს სიკვდილით დასჯა მოელოდა, თუ არ გამოცსადდებოდა, მონღოლები საქართველოს ერთიანად ააოსრებდნენ. დემეტრემ გადაწყვიტა თავი გაეწირა და სამშობლოსათვის აეცილებინა მოსალოდნელი უბედურება. როგორც ყამთაღმწერელი გადმოგვცემს, დემეტრესათვის დარბაზს ერთხმად ურჩევია მთიულეთისათვის შეეწირებინა თავი, მაგრამ საქართველოს მეფე ამაზე არ დათანხმდა და თავისი ნებით გამოცხადდა მონღოლთა ყაენთან. 1289 წლის 12 მარტს მონღოლებმა დემეტრე II სიკვდილით დასაჯეს. მადლიერმა შთამომავლობამ ქვეყნისათვის თავგანწირულ მეფეს თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი უწოდა.

XIII საუკუნის ბოლოსათვის სამხედრო ძალადობაზე დამყარებული მონღოლთა სახელმწიფო დაცემას იწყებს. მონღოლებმა რეფორმების გატარებითა და გაღასახადების მოწესრიგებით სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, მათ სარწმუნოებაც კი შეიცვალეს და სახელმწიფო რელიგიად ისლამი გამოაცხადეს, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, მათი სახელმწიფო დაქვეითების გზით მიექანებოდა. ასეთ ვითარებაში მონღოლებს აღარ დაემორჩილა და აჯანყდა საქართველოს მეფე დავით VIII დემეტრეს ძე. აჯანყება ორავალ წელს გრძელდებოდა. დავით VIII-ის დასამორჩილებლად ყაენი სხვადასხვა გზას მიმართავდა. ხან მოლაპარაკების გზით მშვიდობას ჰპირდებოდა, ხან, აჯანყებულის საპირისპიროდ, საქართველოს მეფეებად მის ძმებს სვამდა და ძლიერი ფეოდალების გადაბირებას ცდილობდა, მაგრამ მონღოლებმა მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს, რადგან მეფეს ერთგულად უჭერდა მსარს უბრალო ხალხი. ბართალია, ამჯერად მონღოლთა ბატონობისაგან ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება ვერ მოხერხდა, მაგრამ აჯანყებულთა თავდადებულმა ბრძოლებმა მნიშვნელოვნად შეარყია უცხო ძალის ბატონობა საქართველოში.

საქართველოს გათავისუფლება მონღოლთა ბატონობისაგან. გიორგი V ბრწყინვალე

მონღოლთა მრავალწლიანმა ბატონობამ მეტად მძიმე შედეგები მოუტანა ქვეყანას. როგორც დავინახეთ, მათი ბატონობის პერიოდში თითქმის არ შეწყვეტილა ქართველი ხალხის ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ, რასაც რეპრესიები, ქვეყნის რბევა-აოხრება და მოსახლეობის მასობრივი სოცვა-ყლეტა მოსდევდა. დიდი მსხვერპლი გაიღო ქართველმა მოსახლეობამ მონღოლთა გამუდმებულ ლაშქრობებში ძალდატანებითი მონაწილეობისას, ქვეყანა ნადგურდებოდა ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის ბრძოლის დროსაც, ათასობით მცხოვრები შეეწირა მონღოლთა მიერ შემოტანილ სხვადასხვა ეპიდემიებს. ასე რომ, მონღოლთა ბატონობის დასასრულისთვის საქართველოს მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა, გავერანდა სოფლები და ქალაქები, მოიშალა რთული სარწყავი ნაგებობანი, განადგურდა კულტურულ-სამეურნეო ცენტრები. მონღოლთა საგადასახადო სისტემამ ძირს დასცა ფეოდალური ქვეყნის ეკონომიკა, უზომო გადასახადებით წელგაწყვეტილი გლეხობა მასობრივად გარბოდა მამა-პაპეული ადგილებიდან და ინტენსიურ მეურნეობას წყდებოდა. ფეოდალთა დიდმა ნაწილმა დაკარგა თავისი ძლიერების ეკონომიკური საფუძველი - მიწა-მამული, რომელიც მედროვეებსა და გადამთიელებს ჩაუვარდათ ხელში.

უკიდურესად შესუსტდა საქართველოს მეფის პოლიტიკური ხელისუფლება. მონღოლები ნებას არ აძლევდნენ მეფეს, რომ დაესაჯა ან გადაეყენებინა ურჩი ერისთავები თუ სხვა დიდმოხელენი. ამით დიდგვარიანულმა რეაქციამ ფართოდ გაშალა ფრთები. მოიშალა ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება.

ბზარი გაუჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთიანობასაც. დასავლეთ საქართველო დავით ნარინის აჯანყების შემდეგ დამოუკიდებელ სამე-

ფოდ გამოიყო. ცალკე ერთეულად გამოიყო სამცხე, რომელიც უშუალოდ ყაენმა დაიქვემდებარა, სოლო XIII საუკუნის ბოლოს აჯანყებული დავით VIII-ის საპირისპიროდ მონღოლებმა საქართველოს სამეფო ტახტზე მისი უმცროსი ძმები — ვახტანგი (1297 წ.) და გიორგი (1299 წ.) დასვეს მეფეებად. ამდენად, ერთდროულად დროს მარჯვე აღმოსავლეთ საქართველოში სამი მეფე აღმოჩნდა სამეფო ტახტზე. ცალკე მეფე იყო დასავლეთ საქართველოში და ცალკე მმართველი — სამცხეში.

გამწვავდა მთისა და ბარის ურთიერთობა. ამიერ და იმიერ კავკასიის მთის მოსახლეობამ, რომელიც აღრე საქართველოს ძლიერი მეფის ხელისუფლების ქვეშევრდომობაში იყო მოქცეული, მონღოლთა წაქეზებით ურჩობა იწყო. მთიელებმა ამოსთიცეს ან გამოაძევეს მეფის მოხელეები და ეკლესიის მსახურნი. ბოლოს შეტევაზეც გადმოვიდნენ და დაიწყეს მონღოლთა მიერ გაპარგასებული საქართველოს ბარის ტერიტორიაზე ჩამოსახლება. მაგალითად, შიდა ქართლში, ქსნისა და ლიახვის ხეობებში იმიერკავკასიიდან ჩამოსახლდნენ ალან-ოსები. მათ თვით ქალაქი გორიც კი დაიკავეს.

ღიღად დაქვეითდა ქართული კულტურაც. უაქტობრივად შეწყდა ქართული მეცნიერებისა და მწიგნობრობის განვითარება. ქართველებშიც უკულტურო მონღოლთა წესებმა გაიღგა ფესვები. ამგვარად, მონღოლთა ბატონობის შედეგად მკვეთრად შეფერხდა უფოდალური საქართველოს ნორმალური განვითარება საშოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

XIV საუკუნის დასაწყისში მონღოლთა საყაენოს, დაქვეითება-დასუსტების მიუხედავად, ჯერ კიდევ შესწევდა საკმაო ძალა, რომ საქართველო იძულებით მორჩილებაში ჰყოლოდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა შეცვალეს მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და ქვეყნის გათავისუფლების ახალი გეგმა შეიმუშავეს.

ამ მხრივ აღსანიშნავია მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი V დ ე მ ე ტ რ ე ს ძის (1299 / 1318 — 1346) მოღვაწეობა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა. საამისოდ გიორგი მეფემ თვით მონღოლების გამოყენება სცადა და თავისი მოღვაწეობა მათდამი ერთგული სამსახურით დაიწყო. ქართლის აჯანყებებით თავმობეზრებული თათრები გიორგის ერთგულებას დიდად აფასებდნენ. საილსანოს შიგნით გაშლილი ბრძოლების დროს საქართველოს სამხედრო ძალას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყაენის კარისათვის, ამიტომ ისინი ძალაუნებურად საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების წინააღმდეგნი აღარ იყვნენ. გიორგი V-მ ურდოში დაიმეგობრა თათარი ღიღაცები, განსაკუთრებით პირველი ემირი ჩობან ნოინი, რომელიც ყაენის მცირეწლოვნების დროს საყაენოს ფაქტობრივი განმგებელი იყო. ამის მეოხებით საქართველოს მეფემ მნიშვნელოვანი შეღავათები მოუპოვა თავის ქვეყანას. საქართველოში სარკის აკრეფას ამიერიდან თვითონ მეფე განაგებდა და არა ურდოს ბასკაკი ან მოიჯარადრე მოხელე. ამავე დროს ყაენის კარისგან გიორგი მეფემ საქართველოს სხვადასხვა ნაწილის ერთ სამეფოდ გაერთიანების თანხმობა მიიღო (1318 წ.); ხერხიანი მოქმედებით ადვილად შემოიერთა დასავლეთ საქართველო; კვლავ დაიქვემდებარა სამცხეც, სადაც ღედის ხაგით

გერგეტის სამების ტაძარი დაბა ყამბეგთან, აგებული XIV საუკუნის პირველ ნახევარში.

მისი პაპა-ბიძები მთაერობდნენ, მტკიცე ხელით დაიმორჩილა სხვა გამდგარი მთაერები თუ ერისთავები და მკაცრი ზომებით აღკვეთა მათი თვითნებობა. ყოველივე ამის გამო გიორგის „ ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე " ეწოდა.

გიორგი ბრწყინვალემ სცადა საქართველოს მთიანეთში ფეოდალური წესრიგის განმტკიცება და ჩამოსახლებული გადამთიელების განდევნა. მან, 3 წლის დიდი ბრძოლების შემდეგ, აიღო ქ. გორი, ქსნისა და ლიახვის სეობებიდან განდევნა ალან-ოსები და აქ კვლავ აღადგინა ქართველ ფეოდალთა მფლობელობა. გიორგი V-მ საქართველოს მთის მოსახლეობისათვის სპეციალური სამართლის წიგნი „ძეგლისდება" შეადგინა.

ქვეყნის გაერთიანებისა და განმტკიცების შემდეგ გიორგი ბრწყინვალე ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური წყობილების რესტაურაციას შეუდგა. მას აღადგინა მონღოლთა ბატონობამდელი მმართველობის სისტემა. ჩვენამდე მოღწეულია მის დროს შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგება", რომელშიც განსაზღვრულია მეფის კარის მოსელეების უფლება-მოვალეობანი და სხვადასხვა ცერემონიალის ჩატარების წესები. ამავე პერიოდში შეიქმნა და, როგორც ჩანს, მთელს საქართველოში მოქმედებდა სამართლის წიგნი: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე", რომელიც შედგენილი იყო სამცხის მთაერის ბ ე ქ ა ს მიერ. უფრო გვიან ეს სამართლის წიგნი შეავსო ბექას შვილიშვილმა ა ღ ბ უ ღ ა მ , ამიტომ იგი ცნობილია ბექა-აღბუღას სამართლის სახელწოდებით.

მეფის ხელისუფლება ენერგიულ ღონისძიებებს ახორციელებდა ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისათვის, ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას, აწესრიგებდა საქალაქო ცხოვრებას.

გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს საქართველოში მონღოლთა ბატონობა თანდათანობით შესუსტდა, XIV საუკუნის 30-იანი წლებიდან კი, ფაქტობრივად, გადავარდა კიდეც. როდესაც ყაენმა ჩობან ნოინი მოაკვლევინა, საილხანოში შიდაფეოდალური ომები ატყდა. ამით ისარგებლა გიორგი მეფემ და გააძევა საქართველოში მყოფი მონღოლთა 10000-იანი ლაშქარი.

დიდი წარმატებები მოიპოვა გიორგი ბრწყინვალემ საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზეც. მან ურთიერთობა დაამყარა ილხანების მოწინააღმდეგე სახელმწიფოებთან — ოქროს ურღოსთან და ეგვიპტის სასულტნოსთან. ეს სახელმწიფოებიც, თავის მხრივ, დაინტერესებული იყვნენ საქართველოსთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებით. ამიტომ იყო, რომ ეგვიპტის სულტანმა მთელი რიგი შეღავათები მიანიჭა იქ ჩასულ ქართველ ვაჭრებსა თუ მლოცველ-მოგზაურებს; საქართველოს დაუბრუნა მაპმადიანების მიერ მიტაცებული ეკლესია-მონასტრები.

სამცხის მთავრები: სარგის I (სიბა), ბელა I მანდატურთუხუცესი და სარგის II სამცხის სპასალარი. საყვარის წმ. სიბას ეკლესიის ფრესკა (XIV ს.)

გიორგი ბრწყინვალემ კვლავ აღადგინა საქართველოს გაელენა ტრაპიზონის იმპერიაზე და ბიზანტიის მიმართაც აქტიური პოზიცია დაიკავა. საქართველომ ინტენსიური საგაჭრო ურთიერთობა დაამყარა იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან — ვენეციასა და გენუასთან. ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას მოწმობს ის ფაქტიც, რომ კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო ცენტრი ქალაქ სმირნაღან თბილისში იქნა გადმოტანილი.

მონღოლთა ბატონობის გადაეარღნამ ცხოველმყოფელი გაელენა მოახდინა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. მოსახლეობა გათავისუფლდა მონღოლთა ძალმომრეობის, მძიმე ხარკისა და სხვადასხვა იძულებითი შრომითი თუ სამხედრო ბეგარა-ვალდებულებისაგან. ამან ხელი შეუწყო განადგურებული მეურნეობის აღდგენას, ინტენსიური დარგების (მებაღეობა-მევენახეობის, სარწყავი მიწათმოქმედების და სხვ.) განვითარებას, გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა. არაერთი ქალაქი კვლავ აღდგა. განსაკუთრებით აყვავდა თბილისი, რომელიც იმ დროის ევროპულ წყაროებში მოხსენიებულია „მეტად შესანიშნავ, ხალხმრავალ, მარჯვე და მდიდარ ქალაქად“. იმ დროის საქართველოში რამდენიმე ზარაფხანაა დადასტურებული. თვითონ გიორგი V-მ მონღოლური ფული თავისი საკუთარი მოჭრილი ვერცხლის ფულით შეცვალა, რომელსაც წყაროებში „გიორგაული თეთრი“ ეწოდება. ქვეყნის ეკონომიკური მოღონიერება შეფის კარის გარეგნულ ბრწყინვალებასა და კომფორტშიც გამოჩნდა.

ამ დროს ხდება მნიშვნელოვანი სოციალური ძვრებიც. გიორგი მეფემ დიდგვაროვან ფეოდალთა თვითნებობას ფრთები შეაკვეცა. მაგრამ ქვეყნის გადაყვანა განვითარების შეწყვეტილ გზაზე, რომელსაც ქართული ფეოდალური საზოგადოება წინაბურჟუაზიული გარდაქმნებისკენ მიჰყავდა, უკვე შეუძლებელი იყო. დიდად დაკნინებული იყო ის პროგრესული ძალები (მოქალაქე-

ნი, მსახურეული აზნაურობა, თავისუფალი მაწათმოქმედი მოსახლეობა), რომლებსაც ამ მსვლელობაში წამყვანი როლი უნდა შეესრულებინათ. აზნაურთა ფეოდალური კლასი უკვე წოდებრივ უფლებად იყო მკვეთრად გამიჯნული. მათ შორის უძლიერესნი — დიდებულები თავიანთი საგამგებლო-საპყრობილოების ისევ ნასყიდად დამოუკიდებელ საფეოდალოებად (სამთავროებად, სათავადოებად) გარდაქმნისკენ მიისწრაფოდნენ და სამეფო აზნაურებისა და გლეხების კვლავ დაუფლება-დაპყრობას ეშურებოდნენ. გლეხობაც ერთიანად ბატონყმობის ძმიმე უღელქვეშ იყო მოქცეული. ისინი, მართალია, გათავისუფლდნენ მონღოლთა სასარგებლოდ გაწესებული გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან, მაგრამ ფეოდალები ამ გადასახადების ნაწილს, ამჯერად უკვე თავის სასარგებლოდ, მაინც ახდევინებდნენ ქვეყანა თავის ძველ კეთილდღეობას რომ დაბრუნებოდა, საჭირო იყო სანგრძლივი მშვიდობიანი განვითარება, მაგრამ, სამწუხაროდ, მშვიდობა მაინც არ იყო მტკიცე. მონღოლთა ცალკეული მბრძანებლები ჩვენს ქვეყანას კვლავ თავს ესხმოდნენ, ხოლო XIV საუკუნის ბოლოს საქართველოს შემოესია ახალი საშინელი მტერი, რომელმაც მისი განვითარების ჩარხი კვლავ უკუღმა დააგრიალა.

ამ მცირე ხნით შესვენებისას გამოცოცხლდა საქართველოს კულტურული ცხოვრებაც. ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი კვლავ თბილისი გახდა, სადაც თავს იყრიდნენ როგორც ქართველი, ისე მეზობელი ხალხების კულტურის მოღვაწენი, მწერლები და მეცნიერები, რომლებიც ერთმანეთს თავიანთ მიღწევებსა და შემოქმედებას უზიარებდნენ. მეცნიერების დარგებიდან უნდა დავასახელოთ საისტორიო მწერლობა. გიორგი ბრწყინვალის დროს მოღვაწეობდა ისტორიკოსი, რომელსაც პირობითად ქ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს უწოდებენ და რომელმაც აღწერა ლაშა-გიორგის მეფობა და მონღოლთა ბატონობის სანა. ამ საუკუნის ბოლოს შეიქმნა ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“, რომლის ავტორი იყო ნიჭიერი მწიგნობარი, კალიგრაფი და მხატვარი ა ვ ე ვ ა რ ო ბ ბ ა ნ დ ა ი ს ძ ე . იგი მოღვაწეობდა ლარგვისის მონასტერში (ქსნის ხეობაში).

ლარგვისის ტაძარი ქსნის ხეობაში



„საიერუსალიმო ხელოვნება". ეფესელ. „ბაბილონის მოსაგვალობა (XIV ს.)

ქართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრად კვლავ მონასტრები რჩებოდა როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. მართალია, მონღოლთა ბატონობამ მნიშვნელოვნად დააქვეითა სწავლა-განათლების საქმე, მაგრამ იგი საესებით მაინც არ ჩამკვდარა. მაგალითად, XIV საუკუნის დასაწყისში მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში 7 სკოლა იყო, სადაც ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, საქართველოს ისტორიასა და სხვა საგნებს ასწავლიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ქართული განათლება და კულტურა, ქრისტიანობასთან ერთად, ჯერ კიდევ მძლავრ ნაკადად იჭრებოდა იმიერკავკასიის მთიელთა ცხოვრებაში. დაღესტნის ტერიტორიაზე მ ოკვლეულია ამ პერიოდის ქართულწარწერიანი ეკლესიები.

ქართული საზღვარგარეთული სამეცნიერო ცენტრებიდან XIV საუკუნეში კვლავ მოქმედებდა პალესტინაში იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, სადაც შეიქმნა ქართული ორიგინალური თხზულებანი: ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობანი, ასევე. მოქმედებდა პეტრიწონის ქართული მონასტერი, სადაც მოღვაწეობდნენ გაოელი ძმები-ათანასი და ოქროპირ ეგნატაშვილები და სხვ.

შექმნილი მძიმე პირობების მიუხედავად, ქართული ხელოვნება მაინც არ ჩამკვდარა. ამ პერიოდის სურათმოძღვრული ძეგლების დიდი ნაწილი სამცხეშია აგებული (საფარა, ბარზმა, ჭულე), რომლებიც ცნობილი ფრესკებითაა მოსატული. ამ დროსვეა აგებული მეტეხის ტაძარი თბილისში და გერგეტის სამება დაბა ყაბზეგთან. ფრესკული ძეგლებიდან აღსანიშნავია უბისის მხატვრობა, ხოლო ოქრომჭედლობის ხელოვნებიდან ანჩისხატის კარედის შიდა პირის მოჭედილობა. მაგრამ ეს შედარებით მცირერიცხოვანი ძეგლები, წინა პერიოდის ბრწყინვალე ქართულ ძეგლებს მსგავსული დონით შესამჩნევად ჩამოუვარდებოდა.

თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში
და მისი შედეგები

XIV საუკუნის ბოლოს საქართველოს თაეს დაეტყდა უდიდესი უბედურება. დაიწყო მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი და უსასტიკესი დამპყრობელის თემურ-ლენგის შემოსევები. შუააზიე ე მინლოლთა შთამომავალმა თემურმა კვლავ გააერთიანა მონღოლთა მომთაბარე ურღოები, შექმნა უძლიერესი არმია და მიზნად დაისახა ^ღედგინა ჩინგიზ-ყაენის გადაშენებული იმპერია. იგი მკაცრად უსწორდებოდა თაეის მოწინააღმდეგეებს. მას არაფრად მიაჩნდა მთელი ხალხების ფიზიკური განადგურება, აყვავებული ქალაქებისა და სოფლების მიწასთან გასწორება. სწირად მისი ბრძანებით აღამიანთა მოკეეთილი თავებისაგან ათეულობით კოშკებს აგებდნენ, ათასობით ადამიანს მიწაში ცოცხლად მარხავდნენ, ანდა კედლებში ატანდნენ დეღაბთან ერთად. ასეთი სისასტიკით აპირებდა იგი მორჩილებაში პყოლოდა დაპყრობილი ხალხები. ბიზანტიელი ისტორიკოსის დუკას მოწმობით, სადაც კი თემურის ჯარი გაიელიდა, იქ მსოლოდ უკაცრიელი უდაბნო და აკვამლებული ნასასლარები რჩებოდა, აღარ ^ა^ისმოდა არც ძაღლის ყეფა, არც მამლის ყიეილი და ჩვილ ბავშეოა ტირილი.

აი, ასეთი მტარვალი დამპყრობელი საქართველოს რეა^ჯერ შემოესია და ეელურის ენერგიით ცდილობდა ქვეყნის საბოლოო დამორჩილებას ან მოს^ოიბას.

პირველ^ად თემურ-ლენგი[1] საქართველოში 1386 წ. შემოიჭრა.

თემურ-ლენგის პორტრეტი, აღდგენილი თაეის ქალის მ..ოეღ-ეით აკად. გერასიმოეის მიერ.

იგი ებრძოლა ოქროს ურღოს მბრძანებელს თოხთამიშ ხანს, რომელიც მას აზერბაიჯანს ეცილებოდა. საქართველოს მეფე ბაგრატ V (1360-1393) თავდაპირველად თოხთამიშს უჭერდა მხარს, ამიტომ იყო, რომ თემური აზერბაიჯანის დალაშქერის შემდეგ მთელი თაეისი ძალით საქართველოს წინააღმდეგ წ^ამოეიდა და თბილისს შემოადგა. თბილისი კ^არგად გამაგრებული ქალაქი იყო. თემური თეითონ ჩაუდგა სათაეეში მოიერიშე ჯარს და სასტიკი ბრძოლების შემდეგ 1386 წ. 21 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქი აიღო. აქ მან ტყეედ ჩაიგდო თეითონ ბაგრატ მეფე და მისი ოჯახი. გამარჯვებული თემური ქალაქის გაძარცვის შემდეგ საქართველოს გაეცალა და თან მეფე ბაგრატიც წაიყვანა.

---

1 „ლენგ" ^პარსულად კოჭლს ნიშნაეს. თემური თაედაპირველად ეაჩაღია ბრბის მეთაური იყო. ერთ-ერთი თაედასხმის დროს იგი ფეხში დაიჭრა და სამუდამოდ დაკოჭლდა, ამიტომ შეარქეეს მას „ლენგ" (კოჭლი), მაგრამ აქ მარტო მისი ფიზიკური ნაკლი კი არ იგულისხმებოდა, არამედ, უპირეელესად, სულიერი სიმახინჯე.

ყარაბაღში[1] დებანაკებულმა თემურ-ლენგმა ბაგრატი აიძულა მაპმადიანობა მიეღო და საქართველოს გამაპმადიანებასაც შეპპირებოდა.

უკან გამობრუნებულ საქართველოს მეფეს დამპყრობელმა თან 12000-იანი მონღოლთა ლაშქარი გამოაგანა. მაგრამ მეფე ბაგრატი ასე ადვილად არ აპირებდა თავისი ეროვნული სარწმუნოებისა და დამოუკიდებლობის დათმობას. იგი ფარულად შეუთანხმდა თავის შვილებს და საქართველოში შემოსული მონღოლთა ლაშქარი მთლიანად გაანადგურებინა. ეს თემურის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა. გაბრისხებული თემური, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სხვა მიმართულებით აპირებდა გალაშქრებას, კვლავ საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდა. ქართველები მომზადებული დახვდნენ: მოსახლეობა მთებში დახიზნეს, გაამაგრეს ციხეები და ჯარიც გაამზადეს. ქართველებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს 1387 წლის გაზაფხულზე ხელმეორედ შემოჭრილ მტერს და დიდი ვნებაც მიაყენეს მას. მართალია, ბრძოლის ველზე ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ მტერმა ამჯერად საქართველოს დაპყრობა ვერ შეძლო, თანაც თემურს აცნობეს, რომ აზერბაიჯანში თოხთამიში შემოჭრილიყო. დიდად დაზარალებული თემურ-ლენგი იძულებული გახდა საქართველოს გასცლოდა.

1394 წლამდე თემურ-ლენგი დაკავებული იყო ირანსა და აზერბაიჯანში ბრძოლებით, გართულებული ჰქონდა საქმე შუა აზიაშიც, კვლავ გრძელდებოდა ბრძოლები თოხთამიშ სანის წინააღმდეგ. თემურმა ყველა თავისი მოწინააღმდეგე დაამარცხა და კვლავ საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა. იგი ამჯერად საქართველოში სამცხის მხრიდან შემოიჭრა, აქედან არაგვის ხეობაში გადავიდა და იქ სასტიკი ბრძოლები გააჩაღა დარიალის გზის ხელში ჩასაგდებად. მას მეფეარ წინააღმდეგობას უწევდა საქართველოს მეფე გიორგი VII (1393-1407). მტერს ძალიან უჭირდა არაგვის ეიწრო ხეობაში მოქმედება, ამას გარდა მოსახლეობა მიუყალ ციხეებსა და მაღალ მთებში გამაგრებულიყო. ცალკეული წარმატებების მიუხედავად, თემურმა დარიალის გადასასვლელის ხელთ გდება ვერ შეძლო.

ამასობაში თოხთამიშ სანი, დარუბანდის გადმოსასვლელით, ამიერკავკასიაში გადმოვიდა. თემურმაც თავი მიანება არაგვის ხეობას და მის წინააღმდეგ გაემართა. 1395 წელს თემური დაედევნა უკან გაბრუნებულ თოხთამიშს და თერგის პირას სასტიკად დაამარცხა. გამარჯვებული თემურ-ლენგი შუა აზიაში დაბრუნდა და მოემზადა ინდოეთში სალაშქროდ. გიორგი მეფე კი შეტევაზე გადავიდა, თემურის მიერ ჩაყენებული ჯარები საქართველოსა თუ აზერბაიჯანში დამარცხა და გააძევა.

ინდოეთიდან მობრუნებული თემური მთელი თავისი ძალით საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდა. 1399-1403 წლებში მან სუთჯერ დალაშქრა იგი და ბრძოლის ველური ხერხებით ცდილობდა ქვეყნის საბოლოო დამორჩილებას ან ერთიანად განადგურებას. მისმა ბრბოებმა სასტიკად ააოხრეს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე: ჰერეთ-კახეთი, თრიალეთი, ქვემო და შიდა ქარ-

---

1 ქვეყანა ძვ. მტკვარსა და არაქსს შორის.

თლი, იმერეთი. ისინი ყველგან უმოწყალოდ ხოცავდნენ, ამაპმადიანებდნენ და ტყვედ მიერეკებოდნენ საქართველოს მცხოვრებლებს. ისინი ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, სასახლეებს, სოფლებსა და ქალაქებს, ანადგურებდნენ სარწყავ არხებს, ჩეხავდნენ ბაღ-ვენახებს, იტაცებდნენ ღოვლათს, რაც კი გადარჩენილიყო. გადამთიელმა სეიბარმა თავის მიზანს მაინც ვერ მიაღწია, მან ვერც ქართველი ხალხის წინააღმდეგობა გატეხა და ვერც გიორგი მეფე დაიმოჩილა, თუმცა ქვეყანა სასტიკად გააავერანა. 1403 წელს თემურ-ლენგმა ბაღი ღადო გიორგი VII-თან და დიდი ზეიმით აღნიშნა საქართველოში ბრძოლების დამთავრება. მაგრამ ეს იყო მისი უკანასკნელი წარმატება. 1405 წლის დასაწყისში იგი გარდაიცვალა და ამდენი სისხლითა და მსხვერპლით შეკოწიწებული მისი იმპერია მაშინვე დაიშალა.

ამიერკავკასიის ხალხებმა დაუყოვნებლივ გადაიგდეს დამპყრობთა მორჩილების უღელი და განმათავისუფლებელი ბრძოლების ცეცხლი გააჩაღეს. ამ ბრძოლების მედროშე საქართველოს მეფე გიორგი VII იყო.

მონღოლთა ამ უკანასკნელი ნაშიერის მრავალწლიან სისხლიან თარეშს უაღრესად მძიმე შედეგები მოპყვა საქართველოსთვის. კატასტროფულად შემცირდა მოსახლეობა, დანგრეული და გავერანებული იყო ქალაქები და სოფლები, ციხე-სასახლეები და ეკლესია-მონასტრები, მოშლილი იყო სარწყავი არხები და სხვა სამეურნეო ნაგებობანი, მიწასთან იყო გასწორებული ერთ დროს აყვავებული ზეკარ-ხოდაბუნები. საქართველოს გაუმეზობლდნენ სხვადასხვა მომთაბარე თურქმანი ტობები, რომლებიც დაცემულ-დასუსტებულ ქვეყანას განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ. მათთან ბრძოლაში დაიღუპა ორი მეფე - გიორგი VII (1407 წ.) და კონსტანტინე I (1412 წ.).



II თავი

საქართველო XV საუკუნეში. სამეფო-სამთავროებად დაშლა

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XV საუკუნეში და სათავადოთა სისტემის აღმოცენება

თემურ-ლენგის შემოსევებმა და მრავალწლიანმა სისხლიანმა თარეშმა უაღრესად მძიმე შედეგები გამოიღო. ქვეყანამ მონღოლთა თითქმის ასწლიანი ბატონობით მიყენებული ჭრილობების მოშუშება ვერ მოასწრო, რომ ეს სტიქიური უბედურების მსგავსი კატასტროფა დაატყდა თავს. თემურ-ლენგი თავისი მრავალგზისი შემოსევების დროს ქვეყნის ერთიანად მოსპობას ცდილობდა. მართალია, მან ამ მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე და სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა საბოლოოდ დასცა და დააკნინა. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „ამ ხანის საბუთებში ქალაქის, სოფლის, ფუძის, სახლისა და ეენახის გვერდით ჩნდება და ხშირად გვსვდება ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნაფუძარი, ნასახლარი, ნაეენახარი, პარტახი და სხვა ამის მსგავსი ტერმინები. ცხოვრების სინამდვილემ წარმოშვა ეს ქვეყნის გაოხრების მომასწავებელი სიტყვები, ურომლისოდაც საქართველოს მაშინდელი მდგომარეობისა და მეურნეობის პირობათა დასუ-

რათება შეუძლებელი იყო". საქართველოს მოსახლეობა რიცხობრივად მნიშვნელოვნად შემცირდა, გავერანდა, და მოიშალა სარწყავი არსები. გაკაფული ბალ-ვენახებისა და სამეურნეო ნაგებობების აღდგენას საკმაო რაოდენობის მუშახელი და სანგრძლივი მშვიდობა სჭირდებოდა, საამისო საგარეო და საშინაო პირობები კი არ იყო. დაეცა კულტურული მეურნეობის დონეც. გამუდმებით ომისა და თავდასხმების მომლოდინე მიწის მუშა მეურნეობის რთული დარგების წარმოებას აღარ კკიდებდა ხელს და მხოლოდ მოსავლიანობის მინიმუმით კმაყოფილდებოდა.

უკიდურესად მოიშალა და დაქვეითდა საქალაქო ცხოვრებაც. ერთ დროს აყვავებული და უმდიდრესი ქალაქი თბილისი XV საუკუნეში დანგრეული და დაცარიელებული იყო. მცირე ქალაქებად იქცნენ ქუთაისი, ახალციხე, ახალქალაქი, ატენი და სხვ. შავიზღვისპირა ქალაქები: ბათუმი, ფოთი, სოხუმი მხოლოდ უმნიშვნელო ციხესიმაგრეებად ან უბრალოდ დაბებად გადაიქცნენ, სოლო ისეთი სახელგანთქმული ქალაქები, როგორიც იყო სამშვილდე, თმოგვი, დმანისი, ყინვალი - ამ დროისათვის საბოლოოდ გაქრნენ როგორც ქვეყნის ეკონომიკური, სელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრები. თითქმის მთლიანად შეწყდა ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობანი. მეურნეობა უკიდურესად ნატურალური სასიათისა გახდა.

აღნიშნულ საშინაო-ეკონომიკურ მდგომარეობას უაღრესად არახელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებაც დაემთხვა. საქართველოს მეზობელ ამიერკავკასიის ქვეყნებში და ირანის ტერიტორიაზე XV საუკუნიდან სხვადასხვა მომთაბარე თურქმანი ტომები მომძლავრდნენ. მათთან მეზობლობა ქვეყანას კარგს არაფერს უქადდა. უკულტურო თურქმანები საქართველოსათვის მშვიდობიან სავაჭრო პარტნიორებად ვერ გამოდგებოდნენ. პირიქით, ისინი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ძარცვასა და საბოლოო დაპყრობას ეშურებოდნენ. ამავე საუკუნის შუა წლებში (1453 წ.) თურქ-ოსმალებმა ბოლო მოუღეს ბიზანტიის იმპერიასაც. მათ თავიანთი ბატონობა და გავლენა გააერცელეს შავი ზღვის სამხრეთ და ჩრდილოეთ სანაპიროებზე, აგრეთვე, იმიერკავკასიაზე. ამან საქართველოს გასასვლელი დაუსშო ევროპის ქვეყნებისაკენ. შეწყდა ასე დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა იტალიის ქალაქებთან თუ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან. კულტურული და მაღალგანვითარებული ბიზანტიის მაგივრად უკულტურო და აგრესიული თურქ-ოსმალეთის მეზობლობამ ასევე გააუარესა საქართველოს მდგომარეობა დასავლეთის მხრიდანაც. ყოველივე ამან შექმნა პირობები ქვეყნის შიგნით მთელი რიგი უარყოფითი სოციალური და პოლიტიკური მოვლენების აღმოცენება-განვითარებისათვის.

ქვეყნის საზოგადოებრივი ფენებიდან ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მაინც ყმაგლეხობა იყო. მისი რაოდენობა, გაბატონებულ კლასებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მათი ექსპლოატაცია. რამდენჯერმე გაიზარდა გლეხთა ძირითადი საბატონო გადასახადი „თავი ბეგარა", მასვე დაემატა ახალი გადასახადებიც, ე. წ. „სხვა ბეგარა".

თაეი ბეგარის გაზრდა ხდებოდა, ძირითადად, არაპირდაპირი გზით, ზომა-საწყაოების გაზრდის საშუალებით. მაგალითად, ზომა-წონის ერთეულები (ლიტრა, კოკა, ჯოდი) XII საუკუნესთან შედარებით, XV საუკუნისათვის 5-6-ჯერ გაიზარდა. ასეთი გზით გადასახადების ზრდა შემდგომშიც გრძელდებოდა.

საგლეხო გადასახადების ასეთი პირდაპირი და არაპირდაპირი ზრდა გლეხთა სასტიკ წინააღმდეგობას იწვევდა. ამ წინააღმდეგობის დასათრგუნავად მებატონეები სხვადასხვა გზას მიმართავდნენ. ეს იყო გლეხთა მრავალფეროვანი კატეგორიების შენარჩუნება, რაც ითიშავდა მათ ინტერესებს და ასუსტებდა კლასობრივ ბრძოლას. ასევე, კლასობრივი წინააღმდეგობის დათრგუნვის აუცილებლობა აიძულებდა გაბატონებულ კლასს გარკვეული თვითორგანიზაციისათვის მიემართა. სამეფო ხელისუფლება ამ პერიოდის საქართველოში ერთიან დასუსტებული იყო. იგი ვერ ასრულებდა თავის ძირითად ფუნქციებს — ყმაგლეხობის მორჩილებაში ყოლასა და ქვეყნის შიგნით წესრიგის დაცვას. მას თანდათან ეცლებოდა ხელიდან თავისი ძალაუფლების სოციალური და ეკონომიკური დასაყრდენი — მოლაშქრე მიწათმოქმედთა ფენა, რომლის ძირითადი მოვალეობა მეფისადმი სამხედრო სამსახური იყო. ეს ფენა თანდათან იბეგრებოდა და ამ დროისათვის უკვე თითქმის მთლიანად ცალკეული მებატონეების ყმაგლეხებად იქცა. ასევე წვრილი აზნაურობაც, რომელიც მანამდე მეფის ხელისუფლების დასაყრდენი იყო საშინაო თუ საგარეო მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში, თანდათანობით მსხვილ ფეოდალთა ყმობაში მოექცა და მეფის საწინააღმდეგო ძალად გადაიქცა. საბოლოოდ გაქრა თავისუფალ მოქალაქეთა ფენაც, რომელიც ასევე მეფის დასაყრდენი იყო თვითმპყრობელური ხელისუფლების წარმოქმნისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის დროს. მეფე კარგავდა კონტროლს ყოფილი სახელმწიფო და სამეფო-სასახლო მიწების დიდ ნაწილზეც, რომლებიც დიდებულ აზნაურებს პქონდათ გადაცემული საგანმგებლოდ (საერისთავოებად) ან დროებით სამფლობელოდ. ამ მიწებზე მეფეს ფაქტობრივად ხელი აღარ მიუწვდება. ამავე დროს მსხვილი ფეოდალები თავიანთ მამულებში თითქმის სრულ შეუვალობას (იმუნიტეტს) იბრუნებდნენ. მეფეს აღარ შეეძლო ამ მამულებში არც სამართლის წარმოება და არც სხვა რამ გზით მის საშინაო საქმეებში ჩარევა. ყოველივე ამის შედეგად საქართველოს დიდ ნაწილში აღმოცენდა ს ა თ ა ე ა დ ო ე ბ ი .

XV საუკუნიდან თავადობა ფეოდალთა კლასის უმაღლესი და უძლიერესი ფენის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა, როდესაც ეს ფენა ცალკე წოდებად ჩამოყალიბდა. ამავე დროს შეინიშნება ერთი საგულისხმო მოვლენა. ჯერ კიდევ აკად. ი. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ამ დროისათვის ფეოდალური სახლების „გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესს უთმობს ადგილს“. შექმნილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აღარ იძლეოდა საშუალებას, რომ განვითარებულიყო კერძო-ინდივიდუალური მიწათმფლობელობა და მეურნეობა. ასეთი პროგრესული პროცესი კი ადრევე იყო დაწყებული და, ფეოდალური საზოგადოების აღმავლობის სანაში, საყოველთაო ხასიათი პქონდა მიღებული. იგი ეკონომიკური წინსვლის შედეგიც იყო და თვითონაც უწყობდა ხელს სამეურნეო პროგრესული ფორმების დანერგვას. კერძო-ინ-

დიეიდუალური მიწათმფლობელობა და მეურნეობა ვრცელდებოდა საერთო-საგვარეულო ფეოდალური მიწათმფლობელობის საპირისპიროდ. ეს პროცესი XII საუკუნის საქართველოში საერთო პროგრესული განვითარების ორგანული ნაწილი იყო, რაც ამშაღებდა ნიადაგს უფრო მაღალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ელემენტების ჩასახვისათვის. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა: "ქვეყნის სამეურნეო განვითარება, მამულების ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარება ქმნის პირობებს იმისათვის, რომ უფრო განვითარდეს ინდივიდუალური მეურნეობა, არ განმტკიცდეს სასახლო-საგვარეულო მეურნეობა, არ წარმოიშვას ჩაკეტილი სათავადო, არამედ შემზადდეს ქვეყანა წინაბურჟუაზიული გაერთიანების საბოლოო გამარჯვებისათვის". ძლიერი მეფის ხელისუფლების არსებობის პირობებში, როდესაც ცენტრი წარმატებით ასრულებდა თავის ფუნქციებს, ფეოდალურ საგვარეულოთა ერთიანობის შენარჩუნებას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოიშალა ის საფუძვლები (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური), რაც აღნიშნულ პროგრესულ პროცესს კეებავდა, ქვეყნის განვითარება ჩიხში მოექცა. უფრო მეტიც, სრულიად საწინააღმდეგო პროცესმა იჩინა თავი. მეფის ხელისუფლების შესუსტებამ და სხვა, უკვე აღნიშნულმა, მიზეზებმა მსხვილ ფეოდალებს საშუალება მისცა, ახალი ფორმით აღედგინათ ძველი, უკვე დრომოჭმული და ისტორიულად განვლილი საფეოდალოები (როგორც ვიცით, ასეთი სამთავრო-საფეოდალოები საქართველოში XII საუკუნეში გაუქმდა დავით აღმაშენებლისა და მის მემკვიდრეთა ღონისძიებების შედეგად). მისკენ დაბრუნება ქვეყნის უკუსვლა იყო, მოვლენა კი — რეაქციული. მაგრამ, შექმნილი პირობების შედეგად, ეს პროცესი გარდაუვალი გახდა. მსხვილმა ფეოდალებმა, თავიანთი რეაქციული მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად, კელავ აღადგინეს საგვარეულო ერთიანობა (შეყრილობა). მეფის ხელისუფლება იძულებულია ხელიც კი შეუწყოს ამ პროცესს და თავისი ფუნქციებისა და პოლიტიკური პრეროგატივის ნაწილი მათ გადაულოცოს, თუმცა ეს მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დასუსტებას იწვევს. ასე წარმოიქმნა ს ა თ ა ვ ა დ ო ე ბ ი და კელავ აღმოცენდა მსხვილი ს ა მ თ ა ვ რ ო ე ბ ი.

სათავადოთა სისტემის აღმოცენება უაღრესად უარყოფითი მოვლენა იყო. იგი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური რეგრესის შედეგიც იყო და შემდგომში თვითონაც წარმოადგენდა ამ რეგრესის ხელშემწყობ პირობას. სათავადოების კარჩაკეტილი მეურნეობა ხელს უშლიდა ფართო სამეურნეო კავშირების კვლავ აღორძინებასა და განვითარებას. სათავადოების სათავეში მდგომი ფეოდალები მიისწრაფოდნენ კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობისაკენ, სრული თვითნებობისაკენ, ამდენად, ისინი მეფის ძლიერი ხელისუფლების მოწინააღმდეგენი იყვნენ და მსარს უჭერდნენ ცალკეულ მთავრებსა თუ განცალკევების მსურველ უფლისწულებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ცენტრალური ხელისუფლება ამ ბრძოლაში მარცხდება, რის შედეგადაც საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებად. ამ შინაპოლიტიკურ პროცესში ხალისით ერევა საგარეო ძალაც, რაც კიდევ უფრო აჩქარებს ქვეყნის დამლასა და ცალკეული

სამეფო-სამთავროს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბებას. საქართველოს დაშლის მიზეზების აღნიშვნისას არ უნდა დავიიწყოთ ის გარემოებაც, რომ მიუსედავად გიორგი ბრწყინვალეს მიერ საქართველოს ერთიანობის აღდგენისა და მის მიერ განსორციელებული ღონისძიებებისა, საბოლოოდ ვერ მოხერხდა მონღოლთა მიერ გაგლეჯილი საქართველოს პოლიტიკური სხეულის სრული გამთლიანება. ამას გარკვეული პირობები და ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა. საქართველოს კი ეს არ დასცალდა და შექმნილი მძიმე ვითარების შედეგად ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელი შეიქნა.

საქართველო XV საუკუნის I ნახევარში. საგარეო-პოლიტიკური პირობების გაუარესება

თემურ-ლენგის სიკვდილითა და მის მემკვიდრეებს შორის ატესილი ომით კარგად ისარგებლა გიორგი VII-მ და მონღოლ-ჩაღატაელთა წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. მან ილაშქრა სასიჩევანსა და განჯაზე, დაამარცხა მის წინააღმდეგ გამოგზავნილი მონღოლთა სარდლები და ისინი მარანდამდე განდევნა. საქართველოს მეფემ დაარბია მოსაზღვრე ტერიტორიები და თვით თავრიზამდე მიაღწია. მან დაამარცხა აგრეთვე მონღოლთა ასალი ჯარი, რომელიც ალატაღის მიდამოებში იყო დაბანაკებული, მაგრამ მისი წარმატებანი მალე ტრაგედიით შეიცვალა. საქართველოს წინააღმდეგ დაიძრნენ შავბატკნიან (ყარა-ყოინლუს) თურქმანთა ურდოები, რომლებთანაც ბრძოლაში 1407 წელს გიორგი VII დაიღუპა. ამავე წელს გამეფდა მისი ძმა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე I, რომელიც ასევე შეეწირა ყარა-ყოინლუს თურქმანებთან ბრძოლას.

თემურ-ლენგის სიკვდილის შემდეგ ირანის ტერიტორიაზე შავბატკნიანი თურქმანები (ანუ თურქულად ყარა-ყოინლუ. ასე ეწოდებოდათ იმის გამო, რომ ალამზე გამოსახული ჰქონდათ შავი ბატკანი) გაბატონდნენ. მათმა მბრძანებელმა ყ ა რ ა - ი უ ს უ ფ მ ა იქ ძლიერი სახელმწიფო შექმნა. ყარა-იუსუფმა მორჩილება მოსთხოვა შარვანშაჰ შეიხ იბრეიმს. შარვანშაჰმა დახმარებისათვის საქართველოს მეფეს მიმართა. მეფე კონსტანტინე დაუყოვნებლივ გამოვიდა საქართველოს ყოფილი ყმადნაფიცი ქვეყნის დასაცავად. იგი 2000-იანი ლაშქრით გაემართა შარვანში. მდ. მტკვრის პირას, ჩალაღანთან დაბანაკებულ მოკავშირეებს ღამით თავს დაესხა ყარა-იუსუფი და მეფე კონსტანტინე, შეის იბრეიმთან ერთად, დაატყვევა. სპარსელი მემატიანის ცნობით, მეფე კონსტანტინეს თავი მეტად ამაყად ეჭირა, რის გამოც გაღიზიანებულმა ყარა-იუსუფმა საქართველოს მეფე და ქართველი ტყვეები დაახოცინა. ეს მოხდა 1412 წელს.

კონსტანტინე I-ის ტასტი დაიკავა მისმა შვილმა ალექსანდრე I-მა, რომელსაც შთამომავლობამ „დიდი" უწოდა, ალბათ, იმ ენერგიული ღონისძიებების გამო, რის გატარებასაც ეს მეფე ცდილობდა როგორც ქვეყნის აღდგენის, ისე თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მიზნით. მეფე ალექსანდრე გამეფების პირველსავე წლებში იძულებული იყო მოეგერიებინა თურქმანთა თავდასხმე-

ბი. მხოლოდ 1416 წლიდან ქვეყანაში შედარებით მშვიდობა დამყარდა და მეფეს საშუალება მიეცა მიეხედა ქვეყნის აღდგენითი სამუშაოებისათვის. სახელმწიფო საგნისა საამისო სახსრები არ გააჩნდა, ამიტომ მან 1425 წელს შემოიღო სპეციალური გადასახადი კომლზე 40 თეთრის რაოდენობით, რომლის შემოსავლითაც შეაკეთა სვეტიცხოველი, რუისის ტაძარი და ზოგიერთი სხვა ციხე, საყდარი და მონასტერი.

მეფე ალექსანდრე I ცდილობდა აღდგინა საქართველო ადრინდელ საზღვრებში. 1431 წელს მან შემოიერთა ციხე-ქალაქი ლორე და ლორეს ველი, სადაც თურქმანი მომთაბარეები დამკვიდრებულიყვნენ. შემოერთებულ ტერიტორიაზე აღადგინა ქართველ აზნაურთა მიწათმფლობელობა. 1434-1435 წწ. ალექსანდრემ შემოიერთა სივნიეთი (ახლანდელი ყარაბაღი და მისი მეზობელი რაიონები). ამან საქართველოს შეთხელებულ მოსახლეობას 60000-ზე მეტი კომლი შესძინა. მეფე ალექსანდრე ხელს უწყობდა აგრეთვე სომეს ლტოლვილთა ჩამოსახლებას საქართველოში.

ალექსანდრე I-მა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული ეკლესიის გაძლიერებას: აღადგინა შერყეული საეკლესიო მიწათმფლობელობა; გააასლა უცხოეთის ქართული მონასტრები, ასევე მტკიცე ხელით ალაგმა ურჩი მთავრები — დადიანი, შარვაშიძე, სამცხის ათაბაგი, ზოგიერთი ერისთავთ-ერისთავი გადააყენა და მათ ადგილზე თავისი შვილები — ვახტანგი, დიმიტრი, გიორგი დანიშნა. მაგრამ ამან საპირისპირო შედეგი გამოიღო. ბატონიშვილები, რომელთა როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალიან გაიზარდა, მამის სიცოცხლეშივე „მეფეებად" იწოდებოდნენ და მამას ნაკლებად ემორჩილებოდნენ. მათ მოქმედებას ძირითადად განსაზღვრავდნენ დიდგვარიანი უძლიერესი ფეოდალები — მთავრები და თავადები. სამეფო ოჯახში წარმოქმნილი უთანხმოების შედეგად 1442 წელს ალექსანდრე I-მა მეფობას თავი დაანება და ბერად აღიკვეცა. მის უშუალო მემკვიდრეს ვ ა ხ ტ ა ნ გ IV-ს ღიღსანს არ უმეფია. იგი 1446 წელს გარდაიცვალა და მეფობა ხელთ იგდო მისმა ძმამ გ ი ო რ გ ი VIII-მ (1446-1466), რომლის დროსაც ქვეყნის შიგნით ანარქია და ბრძოლები უკიდურესად გამწვავდა, რასაც საბოლოოდ მოჰყვა ერთიანი საქართველოს დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად.

კონსტანტინოპოლის აღება თურქ-ოსმალთა მიერ და მისი შედეგები. 1453 წლის 29 მაისს თურქ-ოსმალთა სულთანმა მეჰმედ II-მ აისრულა მისი და მისი წინაპრების ოცნება და იერიშით აიღო ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი. მის, თითქმის 200-ათასიან, მოიერიშე არმიას უპირისპირდებოდა ქალაქის დამცველთა მხოლოდ 5000-იანი რაზმი და 2000-მდე უცხოელი დაქირავებული. თურქების 400-ხომალდიანი ფლოტის წინააღმდეგ ბიზანტიამ შეძლო მხოლოდ 25 გემის გამოყენება. თურქ-ოსმალებს მაინც უკიდურესად გაუჭირდათ და მხოლოდ შემთხვევით ღიად დარჩენილ კერკოპორტას კარიდან და კონსტანტინოპოლის ჩრდილოეთის გარღვეული კედლიდან შეძლეს ქალაქში შეჭრა. ქალაქის დაცვას ღირსეულად ხელმძღვანელობდა ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე XI-პალეოლოგი, რომელიც დანიშნული იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII-ის ქა-

ლიშვილზე. კონსტანტინე XI ქალაქის დამცველებთან ერთად გმირულად დაიღუპა უკანასკნელ ბრძოლაში. მის საცოლედ გამზადებული გიორგი VIII-ის ქალიშვილი უფრო გეიან არაგვის ერისთავის ვამიყ შაბურის ძის ვაჟზე დააქორწინეს.

კონსტანტინოპოლის დაცემა და ბიზანტიის იმპერიის განადგურება საქართველოსთვის უაღრესად უარყოფითი მნიშვნელობის ფაქტორი იყო. საქართველოს გადაეკეტა გასასვლელი დასავლეთ ევროპისაკენ და, როგორც აღნიშნული იყო, დასავლეთიდან მაღალკულტურული ბიზანტიის ნაცვლად გაუმეზობლდა უკულტურო და აგრესიული ოსმალეთის იმპერია, რომელიც თავის მეზობლებს მხოლოდ ჩასანთქავად უყურებდა. ევროპასაც ჩაეკეტა პირდაპირი გზა აღმოსავლეთისაკენ, რომელიც შავ ზღვაზე და საქართველოზე გადიოდა. ამიტომ ორივე მხარე შეეცადა შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას. ინიციატივა რომის პაპმა გამოიჩინა. 1459 წელს საქართველოში ჩამოვიდა რომის პაპის პიუს II-ის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელმაც დაითანხმა ქართველი მეფე-მთავრები მონაწილეობა მიეღოთ კონსტანტინოპოლის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. ლუდოვიკო ბოლონიელს საქართველოდან გაპყვა დიდი ელჩობა, რომელიც 1460 წ. დეკემბერში ჩავიდა რომში, მაგრამ, სამწუსაროდ, რომის პაპმა მათ აცნობა, რომ ევროპის ხელმწიფენი ვერ დაითანხმა თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღებაზე, ამიტომ საქართველოს ელჩებს ურჩია, თვითონ მიემართათ ევროპელ ხელისუფალთათვის. 1461 წლის მაისში ქართველი ელჩები წარუდგნენ საფრანგეთის მეფე შარლ VII-ს (1422-1461), ასევე გაემგზავრნენ ქ. გენტში ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე კეთილთან (1409-1467), მაგრამ ორივესაგან უარი მიიღეს. მათი იქ ყოფნისას გარდაიცვალა მეფე შარლ VII. ქართველი ელჩები დაესწრნენ საფრანგეთის ახალი მეფის ლუი XI-ის საზეიმო კორონაციას (1461 წლის აგვისტოში) და მასაც მიმართეს წინადადებით, მოეწყოთ ერთობლივი კოალიციური ლაშქრობა თურქების წინააღმდეგ. საფრანგეთის სამეფო კარი მაშინ დაკავებული იყო რთული საშინაო-პოლიტიკური პრობლემებით, ამიტომ ეს დიპლომატიური წამოწყება უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ საქართველო ხანგრძლივი დროით მოწყდა დასავლეთ ევროპის დიდ პოლიტიკას და თავის საკუთარ საშინაო და საგარეო პრობლემების რთულ ჯაჭვში გაიხლართა.

საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად

ევროპაში ელჩობის უშედეგოდ დამთავრებას მოჰყვა ქვეყნის შიგნით მეფე-მთავრებს შორის ბრძოლის ახალი ძალით აფეთქება. ბრძოლა მესხეთის მთავარმა ყვარყვარე ჯაყელმა დაიწყო. ჯერ კიდევ 50-იან წლებში მან სცადა სამცხის ეკლესია ჩამოეშორებინა ერთიანი ქართული ეკლესიისაგან და ამ მიზნით წინ წამოსწია აწყურის ეპისკოპოსი, რომელსაც, მცხეთისაგან დამოუკიდებლად, მესხეთის ეპისკოპოსები დაუქვემდებარა. უმაღლეს საეკლესიო თანამდებობაზე თავის სამთაეროში იგი თვითნებურად, მცხეთის კათალიკოს-პატრიარქის დამტკიცების გარეშე, თავის ერთგულ პირებს ნიშნავდა. ყვარ-

ყვარეს ასეთ მცდელობას წინ აღუდგა საქართველოს პატრიარქი დ ა ვ ი თ ი, რომელმაც ამჯერად შეძლო ათაბაგის ეს განზრახვა აღეკვეთა.

ანტიოსმალური კოალიციის ჩაშლის შემდეგ ყვარყვარე ათაბაგი აშკარად დაადგა საქართველოს მეფეთა-მეფის წინააღმდეგ ბრძოლის გზას. 1461 წელს თურქმანთა მბრძანებლის უ ზ უ ნ - ჰ ა ს ა ნ ი ს დახმარებით მან თავისი მეფე დაამარცხა. უზუნ-ჰასანის ეს დახმარება უანგარო როდი იყო. ამის შემდეგ მისი მეციხოვნეები ლორეს ციხეში ჩადგნენ და ლორეს ყელიც თურქმანმა მომთაბარეებმა დაიკავეს.

მეფე გიორგის მარცხით ისარგებლა დასავლეთ საქართველოს ხელისუფალმა ბ ა გ რ ა ტ მ ა (იგი იყო ალექსანდრე I-ის ძმის, გიორგის ძე) და მის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება. 1462 წ. გიორგი VIII ბაგრატის დასასჯელად იმერეთში გადავიდა. ბაგრატს ერთგულად დაუჭირეს მხარი დასავლეთ საქართველოს მთავრებმა — გურიელმა, დადიანმა, შარვაშიძემ, აგრეთვე ყვარყვარე ჯაყელმა. გიორგის სელქეეთ მყოფ ჯარშიც ყველა როდი იყო მეფის გამარჯვების მოსურნე. ყოველივე ამის შედეგად გიორგი ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ჩისორთან მოხდა, დამარცხდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მემატიანე შენიშნავს, რომ „მეფეთ ყმობისაგან განთავისუფლდნენ მთავარნი: დადიანი, ათაბაგი, გურიელი და შარვაშიძე“-ო, ე. ი. ბაგრატი იძულებული იყო მის მხარეზე ერთგულად მყოფი მთავრები „მეფეთ ყმობისაგან გაენთავისუფლებინა“. ამრიგად, ეს იყო არა იმდენად მეფობის მაძიებელი ბაგრატის გამარჯვება, რამდენადაც საქართველოს დაშლის მომხრე ძალების წარმატება.

გიორგი VIII-ს ფარ-ხმალი არ დაუყრია. მან სასტიკად დასაჯა ბაგრატის მხარდამჭერი ქართლის თავადები, სათანადოდ მოემზადა და 1465 წელს სამცხის მთავრის დასამორჩილებლად გაილაშქრა. ყვარყვარე ჯაყელიც ჯარშეყრილი დახვდა მეფეს ფ ა რ ა ვ ნ ი ს ტბასთან. ბრძოლის წინა დღეს მეფის ბანაკში შეთქმულება გამომჟღავნდა. ამ არეულობით ისარგებლა ყვარყვარემ, თავს დაესხა მოწინააღმდეგეს და მეფე, ამალასთან ერთად, დაატყვევა. ტყვეობას თავი დააღწია გიორგის ძმისშვილმა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე დ ი მ ი ტ რ ი ს ძემ, რომელმაც გორის ციხეს შეაფარა თავი, შემდეგ კი ქუთაისის ციხეში გამაგრდა. მეფის დატყვევების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლა ძირითადად კონსტანტინე დიმიტრის ძესა და ბაგრატ გიორგის ძეს შორის გაჩაღდა. ქართლისა და იმერეთის თავადები ძირითადად ამ ორი პრეტენდენტის გარშემო დაჯგუფდნენ. კახეთის ერისთავებმა კი თავიანთი მთავარი გაიჩინეს — ერთ-ერთი ადგილობრივი ერისთავთაგანი — დ ა ვ ი თ ი. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამით უფრო მეტ „თავისუფლებას“ მოიპოვებდნენ. ამ თავისუფლებაში კი გულისხმობდნენ თავიანთი საერისთაოები სათავადოებად გარდაექმნათ, ე. ი. მოეპოვებინათ სრული შეუვალობა, დაექვემდებარებინათ ადგილობრივი წვრილი და საშუალო ფეოდალები (აზნაურები) და გათავისუფლებულიყვნენ მეფის მტკიცე ხელისუფლებისაგან.

სრულიად საქართველოს მეფეთ მეფის ტახტისათვის ბრძოლაში ბაგრატ VI-ს უფრო მეტი მომხრეები აღმოაჩნდა, ამიტომ კონსტანტინემ დათმობა ამჯობინა. მათ შორის მოხდა შეთანხმება. კონსტანტინემ ბაგრატი ცნო მეფეთა

მეფედ, თუმცა თეითონ „მეფობაზე“ ხელი არ აუღია. ბაგრატი იძულებული იყო შეგუებოდა ასეთი ნასეერად დამოუკიდებელი მეფეებისა თუ მთავრების არსებობას. მისი წარმატების საფუძველიც სწორედ ასეთი დათმობიანი პოლიტიკა იყო. ბაგრატმა კახეთის დამორჩილებაც სცადა, მაგრამ ვერ [illegible].

ყვარყვარე ათაბაგი დარწმუნდა, რომ გიორგი მეფის დატყვეებით [illegible] მაინცდამაინც ვერაფერს მიაღწია. გიორგის მაგიერად საქართველ[illegible] [illegible] ტახტზე დაჯდა სხვა მეფე, რომელიც მის მიმართ უფრო [illegible] [illegible] იქნებოდა, ამიტომ გადაწყვიტა ტახტზე ისევ მეფე გიორგი VIII [illegible]. მან დატყვეებულ მეფეს ცოლად შერთო თავისი ქალიშვილი — თამარი, [illegible] ჯარი გამოატანა და ქართლში დაბრუნა. ქართლის [illegible] გიორგი მეფის მტრულად შესვდნენ. ბუნებრივია, ისინი შიშობდნენ, რომ მეფე ღალატისა და ბაგრატის მიმსრობისათვის [illegible] [illegible] [illegible] [illegible], ამიტომ ისევ ბაგრატის ერთგულება ამჯობინეს. გიორგი VIII-მ ქართლში ბრძოლა წააგო და იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო, სადაც უფრო მეტი მომხრეები ეგულებოდა.

კახეთის ცალკე სამეფოს ჩამოყალიბება

კახეთის ერისთავები და წარჩინებულები, რა თქმა უნდა, აქ გამთავრებული დაეითიც, გიორგი VIII-ს მტრულად შესვდნენ, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი, წვრილი და საშუალო ფეოდალები — აფხაურობა საქართველოს კანონიერი მეფის მხარეზე დადგა. როგორც ეახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს, „მაშინ კუალად დაუტეევეს ჰერ-კახთა დავით და მიერთუნენ მეფესა გიორგის და დაიპყრა მეფემან გიორგი ჰერ-კახნი“. დამარცხებული დაეითი დედაწულიანად დიდოეთში გადაიხეეწა. იქიდან იგი ერთ ხანს კიდეე განაგრძობდა ბრძოლას სელისუფლების დასაბრუნებლად, მაგრამ ამაოდ.

საქართველოს დანარჩენ ნაწილშიც მდგომარეობა არასტაბილური იყო. თანხმობა ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის მალე დაირღვა. 1470 წელს კონსტანტინემ ბაგრატისაღმი დამოკიდებულებისაგან თავი გაითაეისუფლა და საბეიმოდ მეფედ ეკურთხა. ბაგრატ VI მხოლოდ დასაელეთ საქართველოს მეფედღა დარჩა. ქართლისა და იმერეთის პოლიტიკურ გათიშვას მალე აღმოსაელეთ-დასაელეთ საქართველოს საეკლესიო გათიშვა მოპყვა. ამ საქმის ინიციატორი დასაელეთ საქართველოს უძლიერესი მთავარი **შ ა მ ა დ ა ვ ლ ე დ ა დ ი ა ნ ი** იყო. ბაგრატ VI-მაც მხარი დაუჭირა ამ აქტს. მათ დასაელეთ საქართველოს ეკლესიის მეთაურად — „აფხაზეთის კათალიკოსად“ წამოსწიეს აქამდე ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი **ი ო ა კ ი მ ე**. ამ დროს იმერეთში იმყოფებოდა ანტიოქელ-იერუსალიმელი პატრიარქი **მ ი ხ ე ი ლ ი**, რომელმაც იკისრა ამ იოაკიმეს მცსეთისაგან დამოუკიდებელ კათალიკოსად დამტკიცება. ეს აქტი გაფორმდა საგანგებო დოკუმენტით, რომელსაც „ცხენ-ბაჟ სასჯულოჲ“ ეწოდება.

შინაპოლიტიკური ბრძოლები საქართველოში ამის შემდეგაც გრძელდებოდა. კახეთში კვლავ მერყეევი მდგომარეობა იყო. ერისთავ-წარჩინებულნი არ ემორჩილებოდნენ გიორგი მეფეს და კვლავ დაეითის გამთავრებას ცდილობ-

დნენ. გიორგის წინააღმდეგ ისინი კონსტანტინესაც კი უკავშირდებოდნენ და მის ქეეშეერდომობაში გადასელას არჩევდნენ. მათი ასეთი სიმპათიები კონსტანტინესადმი გასაგებია: კონსტანტინეს სელქვეითი მყოფ ქართლში სათავადოთა სისტემა განმტკიცდა. ქართლის თავადებმა დაიმკეიდრეს მათ სელთ მყოფი საერისთავო (ე. ი. საგანმგებლო), თუ დროებითი სამფლობელო ტერიტორიები და მეფეც მათი ნების უსიტყვო აღმსრულებელი გახდა. ამას კი კახეთის მსვილი ფეოდალები გიორგი მეფის ხელისუფლების პირობებში ვერ ახერხებდნენ. გიორგი კახეთის ერისთავ-წარჩინებულთა წინააღმდეგ ეყრდნობოდა კახეთის წერილ ფეოდალებს და ამავე დროს დაუკავშირდა ბაგრატს. ამ უკანასკნელს, თავის მსრივ, სჭირდებოდა გიორგის მსარდაჭერა კონსტანტინეს წინააღმდეგ. ამრიგად, ერთ დროს შეურიგებელ მოწინააღმდეგეებს შორის შეიკრა კავშირი, რომლითაც ორივე მსარემ კარგად ისარგებლა. გიორგიმ შეძლო კახეთში თავისი ხელისუფლების განმტკიცება, სოლო ბაგრატმა აიძულა კონსტანტინე ქართლს გაცლოდა. ამ დროის კვინკლოსურ მინაწერში ვკითხულობთ: „ქ'სა: რ-სა: (1472 წ.) აქა ქართლი დაიჭირა ბაგრატ მეფემ და კონსტანტინე გარდააგდო".

კახეთის სახელმწიფოებრივი მოწყობა

გიორგი მეფემ კახეთში ხელისუფლების განმტკიცებისა და ერისთავ-წარჩინებულთა დამარცხების შემდეგ ამ უკანასკნელთ ჩამოართვა მათი საგანმგებლო ტერიტორიები და სამმართველოდ მოურავებს გადასცა. როგორც ვახუშტი აღნიშნავს: „მაშინ მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარცა არიან დღემდე: მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდა-ყვარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხვანიცა". ვახუშტის ეს ცნობა დასტურდება გვიანდელი ვითარებით. ამრიგად, ერისთავებს ჩამოერთვათ სამეფო-სახასო ტერიტორიის განმგებლობა, იგი უფრო მცირე ერთეულებად დაიყო და სამმართველოდ მოურავებს გადაეცა. ამით აღიკვეთა დიდებულ ფეოდალთა მცდელობა, დაესაკუთრებინათ სამეფო-სახასო მიწები. მცირე ტერიტორიის განმგებელი მოურავები მეფის ურჩობას ვერ გაბედავდნენ, განსხვავებით მსხვილი საერისთავოების მფლობელი ერისთავებისაგან, რომლებიც სულ უფრო მეტი დამოუკიდებლობისა და ხელმწიფობისაკენ მიისწრაფოდნენ. ქართლში და საქართველოს სხვა ნაწილებში ცალკეული საერისთავოები სათავადოებად გარდაიქმნენ, მაგ.: არაგვის საერისთავო, ქსნის საერისთავო, რაჭის საერისთავო და სხვ. კახეთში კი ეს პროცესი, მეფის ხელისუფლების აღნიშნული ღონისძიების შედეგად, შეჩერებულ იქნა. განსხვავებით საქართველოს სხვა ნაწილებისაგან XV-XVI საუკუნეებში მეფის ხელისუფლება კახეთში ეკონომიკურად და პოლიტიკურად საკმაოდ გაძლიერდა. ამას ხელი შეუწყო კახეთში გატარებულმა სამხედრო რეფორმამაც.

ერთიანი საქართველოს პირობებში კახეთ-ჰერეთი წარმოადგენდა ერთ სადროშოს ანუ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს , საიდანაც გამოსული

ლაშქარი ერთი დროშის ქვეშ დგებოდა. კახეთის დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბების შემდეგ თეიმურაზ კახეთი ოთხ საეროშოდ დაიყო და ამ საეროშოების სათავეში ეპისკოპოსები იქნენ ჩაყენებული. მაგალითად, მეწინავე საეროშოს, რომელიც მოიცავდა ქიზიყის ტერიტორიას, სათავეში ედგა ბოდბელი ეპისკოპოსი; მემარჯვენე საეროშო მოიცავდა გაღმა მხარსა და ენისელს და ნეკრესელი ვეთაურობდა, მემარცხენე-რუსთველის საეროშო იყო და აერთიანებდა მარტყოფ-საგურამოსა და გარე-კახეთს - ქიზიყამდე. დანარჩენი ტერიტორია სამეფო საეროში იყო. კახეთში ეპისკოპოსებს მეფე ნიშნავდა და, ამდენად, ისინი მეფის ერთგულნი იყვნენ. ქართლში და იმერეთში კი საეროშოების სათავეში დიდებული თავადები აღმოჩნდნენ და ამან მათი ძალაუფლება და გავლენა კიდევ უფრო გაზარდა.

თეთრბატკნიან (აღ-ყოინლუს) თურქმანთა ლაშქრობანი საქართველოში

1472 წელს საქართველოდან გაძევებული კონსტანტინე თავის მომხრეებთან ერთად აღ-ყოინლუს თურქმანთა მბრძანებელ უზუნ-ჰასანთან გამოცხადდა. უზუნ-ჰასანს ამ დროს უკვე ირანის დიდი ნაწილი ჰქონდა დაკავებული და ოსმალეთთან ომისთვის ემზადებოდა. 1473 წელს იგი დამარცხდა ოსმალეთთან ომში და თავისი ზარალი ცოტათი მაინც რომ აენაზღაურებინა, საქართველოზე გამოილაშქრა. თურქმანებმა სასტიკად ააოხრეს საქართველო, ბაგრატ მეფეს ხარკი შეაწერეს და დიდძალი ნადაელით დაბრუნდნენ ირანში.

1477 წელს უზუნ-ჰასანი ხელახლა გამოემართა საქართველოს წინააღმდეგ. საქართველომ სათანადო წინააღმდეგობის გაწევა ვერც ამჯერად მოასერხა. მოსახლეობამ მხოლოდ გახიზნვა მოასწრო და, ამდენად, თავდამსხმელს სოფლები და ქალაქები დაცარიელებული დახვდა. თურქმანები თბილისსაც შემოადგნენ. მოსახლეობისაგან ისიც დაცლილი იყო. უზუნ-ჰასანმა უბრძოლველად დაიკავა ქალაქი. ბაგრატ VI-მ და ყვარყვარე ათაბაგმა თურქმანთა მბრძანებელთან მოლაპარაკება გამართეს და დათანხმდნენ ერთდროულად 16000 დუკატი გადაეხადათ, ყოველწლიურად კი ხარკი გაეგზავნათ. უზუნ-ჰასანმა თბილისში თავისი გარნიზონი დატოვა, 5000 ტყვე გაირეკა და საქართველოს გაეცალა.

თეთრბატკნიანთა ხელში თბილისი დიდხანს არ დარჩენილა. 1478 წელს უზუნ-ჰასანი გარდაიცვალა და მის სახელმწიფოში არეულობა დაიწყო. თურქმანებმა უომრად დატოვეს თბილისი და დედაქალაქი კვლავ ბაგრატის მფლობელობაში გადავიდა. ამავე წელს გარდაიცვალა ბაგრატ VI და ქართლ-იმერეთის ტახტი კონსტანტინე დიმიტრის ძემ დაიკავა. ბაგრატის მემკვიდრე ალექსანდრე რაჭა-ლეჩხუმში გამაგრდა. ამის შედეგად საქართველოში დაძაბული ვითარება კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

1482 წელს სამცხეს თურქმანთა ახალი მბრძანებელი იაყუბ-ყაენი შემოესია. მან აიღო ასალციხე, აწყური და აიძულა ყვარყვარე ათაბაგი, ხარაჯა ეკისრა.

ასეთი გაბრდილი საგარეო საფრთხის მიუხედავად ქვეყნის შიგნით ბრძოლები არ წყდებოდა და ძალების გაერთიანება ვერ ხერხდებოდა. 1483 წელს ყვარყვარე ათაბაგმა არაბეთთან ბრძოლაში დაამარცხა კონსტანტინე დიმიტრის ძის მომხრეთა ოთხასიანი ჯარი. ამით ისარგებლა რაჭა-ლეჩხუმში შესიბნულმა ალექსანდრე ბაგრატის ძემ, აიღო ქუთაისი და 1484 წელს მეფედაც ეკურთხა. ამრიგად, ქართლ-იმერეთის ერთიანობას კვლავ ემუქრება საფუძველი. მართალია, ალექსანდრე ბაგრატის ძემ ამჯერად ვერ შეძლო ქუთაისის ტახტზე დამკვიდრება, რადგან მას წინ აღუდგა სამეგრელოს მთავარი ლიპარიტ დადიანი, მაგრამ ხუთ მალე, გართულებული საგარეო ვითარების პირობებში. ალექსანდრეს კვლავ მტკიცედ დაიჭირა ქუთაისის ტახტი. ეს ამბავი დაკავშირებულია იაყუბ-ყაენის საქართველოში მეორედ შემოსევასთან.

1487 წლიდან იაყუბ-ყაენმა დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ მეთოდური შემოტევა. მისი ბრძანებით თურქმანებმა დაიკავეს ქვემო ქართლი და აქ აღჯაყალისა და ქაოზიანის ციხეები გაამაგრეს. მათ თბილისამდე მოაღწიეს, მაგრამ ქართველთა თავგანწირულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. უკიდურესულ მტერს კუმოლის ბოლოს ქართველებმა დაესხნენ თავს და სასტიკად დაამარცხეს.

1488 წელს იაყუბ-ყაენმა ქართველოს წინააღმდეგ „საღვთო ომის“ დაწყება ბრძანა. თურქმანთა უზარმაზარი ლაშქარი ხალილ-ბეგის მეთაურობით თბილისისაკენ დაიძრა. ქალაქის მისადგომებთან მათ აიღეს კოჯრის ციხე და თბილისსაც შემოარტყეს ალყა. მეფე კონსტანტინე თავისი ჯარით ნიჩბისთან იდგა და აქ ცდილობდა დამხმარე ძალების მოკრებას. მან წინადადებით მიმართა სამცხის მთავარსა და კახეთის მეფეს, რომ მტრის წინააღმდეგ შეერიებელი ძალით გამოსულიყვნენ, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ კონსტანტინე მეფემ თურქმანებთან ზავის ჩამოგდება სცადა. მან ხალილ-ბეგთან მოსალაპარაკებლად თავისი დედაც კი გაგზავნა, მაგრამ ვერაფერს გახდა. 1489 წლის თებერვალში თურქმანებმა თბილისი დაიკავეს. ხალილ-ბეგმა აქ თავისი კარნიბონი დატოვა და თეიმურაზ ყაენის კარზე დაბრუნდა.

კონსტანტინეს ამ მარცხმა კიდევ უფრო გააააქტიურა ქვეყნის დამშლელი ძალები. ალექსანდრე ბაგრატის ძემ ქუთაისი კვლავ დაიკავა და ლიხთ-იმერეთიც თავის მფლობელობას დაუქვემდებარა. ამით იმერეთი საბოლოოდ ჩამოშორდა ქართლს და დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბდა (1489 წ.).

1490 წელს იაყუბ-ყაენი გარდაიცვალა და ირანი კვლავ შინაომმა მოიცვა. ასეთ ვითარებაში კონსტანტინემ შეძლო თურქმანთა განდევნა როგორც თბილისიდან, ისე საერთოდ ქართლიდან. მეფემ აიღო და დაარღვია თურქმანთა შემოტევის ბაზად ქცეული აღჯაყალისა და ქაოზიანის ციხეები. ქართლის გათავისუფლების შემდეგ კონსტანტინე აპირებდა ბრძოლა დაეწყო კახეთისა და სამცხე-იმერეთის კვლავ შემოსაერთებლად. ამ მიზნით მოიწვია სამეფო დარბაზის სხდომა, რომელზეც დასვა საკითხი „თუ რაი ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კეკალად მეფობასაევ თვისსა“. დარბაზმა ერთხმად ურჩია, რომ ხელი აეღო ამ ბრძოლებზე: „ვინაითგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არა გაგიბრახავთ ბრძოლასა, რამეთუ

მრე (ე. ი. მომრევი) ეექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამეულ ეაცადოთ ქამი, უკუეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასა შენსა". ასეთი გადაწყვეტილება არსებული ძალადომარეობისადმი შეგუებას ნიშნავდა. ამრიგად, 1490 წელს დარბაზის გადაწყვეტილებით საქართველოს დაშლა სამეფოსამთავროებად იურიდიულადაც გაფორმდა.

ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის ბოლოს

1. დასავლეთ ევროპა, რუსეთი და მახლობელი აღმოსავლეთი XV ს-ის ბოლოს. იმ დროს, როდესაც აღნიშნული, უაღრესად მძიმე საშინაო და საგარეო პირობების გამო საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფო პოლიტიკურად იშლებოდა და ქუცმაცდებოდა, დასავლეთ ევროპასა და რუსეთში სრულიად საწინააღმდეგო პროცესები ეითარდება. ამ პერიოდში ევროპის დიდ ნაწილში მთავრდება ერთიანი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება და ეს ქვეყნები განუხრელად ადგანან პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის გზას. ამ პროცესს ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ფაქტობრივად არ განუცდიათ ჩამორჩენილი - ველური ძალების შემოტევა და ბატონობა, რაც ასეთი სისტემატური ხასიათისა იყო საქართველოსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ცხოვრებაში. XV ს-ის ბოლოს, 1480 წელს, რუსეთმაც დაიწყია თავი თათარ-მონღოლთა სანგრძლივ ბატონობას და მტკიცედ დაადგა ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზას.

საქართველოს მეზობლად ორი უძლიერესი და აგრესიული სახელმწიფო ჩამოყალიბდა: სამხრეთ-დასავლეთით -ოსმალეთის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთით - ჯერ თეთრბატკნიან (აღ-ყოინლუს) თურქმან მომთაბარეთა ძლიერი გაერთიანება, ხოლო შემდეგ, მის ნანგრევებზე, სეფიანთა ყიზილბაშური სახელმწიფო. ორივე ეს სახელმწიფო, როგორც ოსმალეთის იმპერია, ისე თეთრბატკნიანთა, თუ ყიზილბაშური ირანი მეჯოგე-მომთაბარეთა ექსტენსიური მეურნეობის მქონე ტომების ბატონობას ემყარებოდა და შიშველი ძალადობის საფუძველზე იყვნენ აღმოცენებულნი. მეზობელ ხალხებთან მათ მშვიდობიანი ურთიერთობა არ შეეძლოთ და ამ ქვეყნებს მსოლოდ დასაპყრობად და გასაძარცვავად უყურებდნენ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკა ძირითადად ამ ბარბაროსულ სახელმწიფოთა აგრესიისაგან თავდაცვის გზების ძიებისკენ იყო მიმართული.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ შეუძლებელი იყო ერთიანი სახელმწიფოებრივი საგარეო პოლიტიკის წარმოება. თითოეულმა ქართულმა სამეფომ თუ სამთავრომ თავისი დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური კურსი გამოიმუშავა. დასავლეთ საქართველოს ოსმალეთის აგრესიული სახელმწიფო უახლოვდებოდა, მაგრამ მისი უშუალო შემოტევა მხოლოდ XVI საუკუნიდან დაიწყო. ქართლის სამეფო და სამცხის სამთავრო კი მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა თურქმანთა შემოსევების წინააღმდეგ. დამ-

პყრობლებმა რამდენჯერმე თბილისიც დაიკავეს, მაგრამ, საბოლოოდ, საქართველოს ამ ნაწილებში ფეხის მოკიდება ვერ შეძლეს, თუმცა როგორც ქართლი, ისე სამცხეც არაერთხელ სასტიკად ააოხრეს და გაძარცვეს. ეს იყო თურქმან მომთაბარეთა შემოტევის მსოლოდ დასაწყისი ეტაპი. შემდგომისათვის ისინი ქვეყნის საბოლოო დაპყრობას, აქ თავიანთი ურდოების ჩამოსახლებას, თავიანთი მიწათმფლობელობისა და მმართველობის წესების შემოღებას გეგმავდნენ, როგორც ეს მეზობელ სომხეთში განახორციელეს.

საქართველოს ტერიტორიაზე თურქმან ტომთა ჩამოსახლება და მომთაბარეთა ბატონობის დამყარება უდიდესი უბედურება იყო ინტენსიური მეურნეობის მქონე ქვეყნისათვის. ფეოდალური საქართველოს ნატურალურ-ბატონყმური მეურნეობა თავისი საუძვლებით გაცილებით უფრო პროგრესული იყო, ვიდრე მომთაბარეთა ექსტენსიური მეურნეობა. ქართული ფეოდალური მეურნეობა ემყარებოდა მიწათმფლობელობის განვითარებულ ფორმებს, რაც აუცილებელი იყო მისი მაღალკულტურული დარგების (მეევნასეობა, მებაღეობა, მემინდვრეობა) წარმოებისათვის. იგი ემყარებოდა აგრეთვე ქართველი გლეხის მაღალ, ტრადიციულ სამეურნეო კულტურას, რაც თაობიდან თაობაზე გადმოცემულ მდიდარ გამოცდილებას გულისხმობდა. ქართული ფეოდალური ურთიერთობა გარკვეულად შეფარდებული იყო ამ აუცილებელ მოთხოვნებთან. მომთაბარეთა ჩამოსახლება და გაბატონება კი უსათუოდ გამოიწვევდა ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის წესის შეცვლას ჩამორჩენილი მომთაბარული მიწათმფლობელობით, ინტენსიური მეურნეობა პოზიციებს დაუთმობდა ექსტენსიურს, ხოლო მწარმოებელი საზოგადოება მოექცეოდა თურქმანთა სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის მტაცებლური ექსპლოატაციის ქვეშ. ქართველებისათვის საამისო თვალნათელ მაგალითს წარმოადგენდა მეზობელი სომხეთი, სადაც თურქმან მომთაბარეთა გაბატონების შედეგად უკიდურესად დაეცა კულტურული მეურნეობა, სოლო ადგილობრივ მიწათმფლობელთა კლასი თანდათან განადგურდა და მათი ადგილი დაიკავა თურქმანთა სამხედრო-ნომადურმა არისტოკრატიამ. სომეხი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა მოშორებოდა მშობლიურ მიწა-წყალს და მასობრივად გადასახლებულიყო მეზობელ საქართველოსა თუ სხვა ქვეყნებში. ქართველი ხალხის თავდადებული წინააღმდეგობის გამო მომთაბარე თურქმანებმა ამჯერად საქართველოში დამკვიდრება ვერ შეძლეს, რაც ძირითადად ქართლის სამეფოს დამსასურება იყო. კახეთის მმართველი წრეები კი ცდილობდნენ უფრო სხვა გზით ეხსნათ თავი მომთაბარეთა შემოტევისაგან. სწორედ ამ პერიოდიდან ილებს სათავეს კახეთის მეფეების ტრადიციული საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომ ყოველგვარი ღონისძიებით (მოხერხებული დიპლომატიით, გარკვეული დათმობებით, ფორმალური ყმობით, მცირე სარკით და სხვ.) მიეღწიათ იმისათვის , რათა ძლიერი დამპყრობელი თავიანთი ქვეყნის ფარგლებში არ შემოეშვათ.

2. ურთიერთობა რუსეთთან. ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის პირველი, რომელმაც ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან, იყო კახეთის სამეფო. კახეთი გეოგრაფიულად ახლოს მდებარეობდა იმ გზებთან, რომელიც აბრე-

შუმის წარმოების დიდმნიშვნელოვან ცენტრებს - გილანს, მაზანდარანს, აგრეთვე შაქი-შარეანის ქვეყნებს კასპიის ზღვითა და ვოლგის სანაოსნო გზით მოსკოვთან და შემდეგ დასავლეთ ევროპასთანაც აკავშირებდა. შარვან-შაპმა ფარუს იასარმა 1465 წელს თავისი ელჩობა გააგზავნა მოსკოეში. შემდეგ წელსვე მოსკოვმაც საპასუხო ელჩობა გამოგზავნა. კახეთის მმართველი წრეებისათვის უცნობი არ დარჩენილა მეზობელი ქვეყნის მიერ რუსეთთან დამყარებული ურთიერთობის ფაქტი.

1480 წელს რუსეთმა საბოლოოდ გადაიგდო თათარ-მონღოლთა ბატონობის უღელი და მტკიცედ დაადგა გაძლიერების გზას. უფრო მეტიც, ბიზანტიის განადგურების შემდეგ რუსმა პოლიტიკოსებმა საგარეო პოლიტიკაში წარიმძღვარეს თეზისი „მოსკოეი - მესამე რომია" და ამით იკისრეს აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების მფარველობისა და ხელმძღვანელობის მისია. საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მოსკოვის ეს მისია აღიარა და ცნო.

1483 წელს მოსკოვში ჩავიდა კახეთის მეფე ალექსანდრეს ელჩობა ნარიმანის, დამიანეს და შაქელი ეაჭრის ხოზემარუმის შემადგენლობით. კახეთის ელჩებმა მოსკოვის დიდ მთავარს, ივანე III-ს მიართვეს წერილი, რომელშიც ალექსანდრე კახთა მეფე რუსეთის დიდ მთავარს ქრისტიანული ქვეყნების მფარველსა და სარწმუნოების სიმტკიცის იმედს უწოდებს. რუსი პოლიტიკოსებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი უძველესი ქრისტიანული ქვეყნისა და დიდი აეტორიტეტის მქონე ეკლესიის მიერ, როგორიც საქართველო და ქართული ეკლესია იყო, რუსეთის ასეთი მისიისა და უზენაესობის აღიარებას, ამიტომ ამ ფაქტს მოსკოეში სათანადო ყურადღებით მოეპყრნენ.

მალე ამ ელჩობას საქართველოდან მეორე ელჩობაც მოჰყვა. რუსულ მატიანეში დაცულია ცნობა, რომ 1492 წლის ზამთარში მოსკოეის დიდ მთავართან ჩამოვიდა საქართველოს მეფის ალექსანდრეს ელჩი, სახელად მურატი. სხვა ცნობა ამ ელჩობის შესახებ არ შემონახულა, მაგრამ არაპირდაპირი მონაცემებით აშკარა ხდება, თუ რა დიდი ინტერესით შეხვდნენ ამ ელჩობებს მოსკოეში. მაგალითად, ქართველი ელჩების მონათხრობის საფუძველზე რუსეთში შეიქმნა საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული ძეგლი „თქმულება დინარ დედოფალზე", სადაც ასახულია საქართველოს სახელოვანი ისტორიული წარსული და ქართველი ხალხის სამაგალითო ბრძოლა ურწმუნო დამპყრობთა წინააღმდეგ.

3. ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან. ქართლის სამეფო კარი, განსხვავებით კახეთისაგან, მაპმადიან აგრესორთა წინააღმდეგ მოკავშირეებს დასავლეთში ეძებდა. კონსტანტინე ქართლის მეფე ირანიდან მოძალებულ თურქმანთა წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც არ იეიწყებდა იმ დიდ საფრთხეს, რაც საქართველოს დასავლეთის მხრიდან უახლოედებოდა თურქ-ოსმალთა სახით. მართალია, ოსმალო თურქების უშუალო შემოტეეა საქართველოზე ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო, მაგრამ მათ უკვე მიეტაცნათ კონსტანტინოპოლი, ტრაპიზონი, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი და საქართველოსთვის გადაეკეტათ გზა დასავლეთისაკენ. ამ გზის გახსნა ჯერ კიდევ 1459-1461 წლებში სცადა მეფე გიორგი VIII-მ და სხვა ქართველმა მთავრებმა ევროპის ქვეყნებ-

თან ერთიანი გამოსელით, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ქართველი ელჩების მოგზაურობა იტალიასა თუ საფრანგეთ-ბურგუნდიაში უშედეგო აღმოჩნდა. თურქების წინააღმდეგ განზრახული კოალიციური ლაშქრობის გეგმა მაშინ ვერ განხორციელდა. შემდგომშიც ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ თურქეთის გაძლიერებით შეშფოთებულ ვენეციის სასელმწიფოსთან. ამჯერად კი ქართლის მეფე კონსტანტინეს ყურადღება მიიპყრო ესპანეთმა, საიც სწორედ ამ დროს დამთავრდა ქვეყნის გაერთიანება და ბოლო მოეღო არაბთა ბატონობის ნაშთებსაც.[1] საამისო ცნობა კონსტანტინე მეფეს ჩამოუტანა მისმა ელჩმა კირ-ნილოსმა. კირ-ნილოსი იერუსალიმში შესდა იქ მყოფ ესპანელ ელჩებს. ეათგან მან შეიტყო ესპანეთიდან არაბების საბოლოო განდევნის ამბავი და საჭიროდ ჩათვალა ეს ელჩები საქართველოში წამოეყვანა. კონსტანტინე მეფემ საკმაოდ შორს მიმავალი გეგმები დაუკავშირა დასავლეთ ევროპაში შექმნილ ამ ახალ ვითარებას. მან კვლავ სცადა იმ გეგმის განხორციელება, რომელიც თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს ერთობლივ გამოსვლას ითვალისწინებდა და დასაყრდენ სასელმწიფოდ ამჯერად გაძლერებული ესპანეთი მიიჩნია. მან 1495 წელს იგივე კირ-ნილოსი გააგზავნა ესპანეთის დედოფალ იზაბელასთან, თან დააყალა გზად ევროპის ქვეყნების მესვეურთათვისაც გაეცნო მათი მიზანი. კირ-ნილოსმა ეს დავალება გულმოდგინედ შეასრულა. ვარშავის არქივში აღმოჩნდა კონსტანტინე მეფის ესპანეთში გაგზავნილი წერილის ასლი (თარგმანი). როგორც ჩანს, პოლონეთზე გავლისას საქართველოს ელჩმა ლიტვა-პოლონეთის პოლიტიკოსებსაც გააცნო თავისი მოგზაურობის მიზანი და მეფის წერილიც. შეიძლებოდა პოლონეთსაც გამოეთქვა სურვილი თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ მომავალ ომში მონაწილეობის მიღებისა. პოლონეთი არანაკლებად იყო შეშფოთებული თურქ-ოსმალების გაძლიერებითა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გაბატონებით. მას უკვე რამდენიმე სამხედრო შეჯახება, თანაც წარუმატებელი, ჰქონდა მათთან. ამდენად, პოლონეთის ჩაბმა ოსმალეთის საწინააღმდეგო მომავალ კოალიციაში უსათუოდ რეალური ჩანდა.

ესპანეთში ჩასულმა საქართველოს მეფის დესპანმა დედოფალ იზაბელას გადასცა კონსტანტინე მეფის წერილი, რომლითაც ქართლის მეფე ულოცავდა ესპანეთის დედოფალს დიდ გამარჯვებას და თან თავისი ქვეყნის მძიმე მდგომარეობას აცნობდა: „უღეთო სპარსთაგან მარად ჟამს წამებულნი ვართ და მრავალი ბოროტება მოგვაგეს ჩვენ, - ეკითხულობთ ამ წერილში, - სამ რამეს ითხოვენ ისინი ჩვენგან: ან უზომო დიდი ხარკი გვაძლიეთო, ან ჩვენთან ერთად იბრძოლეთ, ანდა ჩვენს სარწმუნოებაზე მოექეცითო. ისინი მრავალი არიან. კონსტანტინოპოლისა, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანულ ქვეყანათაგან

---

1 1492 წელს აღებულ იქნა ციხე-ქალაქი გრანადა, ესპანეთში არაბთა ბატონობის უკანასკნელი საყრდენი. ამით დამთავრდა ე. წ. რეკონკისტა ანუ ესპანეთის განმათავისუფლებელი ბრძოლა არაბების წინააღმდეგ. უფრო ადრე, 1479 წელს დამთავრდა ესპანეთის გაერთიანება, როდესაც არაგონიის მეფე გახდა ფერდინანდი, რომელიც დაქორწინებული იყო კასტილიის დედოფალ იზაბელაზე.

ჩვენ მარტო დაერჩით და ძალიან მცირენი ვართ"-ო. თავის მხრივ, კონსტანტინე მეფე კისრულობდა, რომ მთელი ძალით გამოვიდოდა ოსმალთა წინააღმდეგ. წერილი დათარიღებულია 1495 წლის 10 მარტით.

ეს გეგმა, ისევე როგორც პირველი წამოწყება, იმთავითვე განუსორციელებელი ჩანდა. ესპანეთი, მართალია, დიდი გულმოდგინებით ეძებდა გზას აღმოსავლეთისაკენ და მოხარული იქნებოდა, თუ ოსმალეთს ამ გზიდან ალაგმავდა, მაგრამ ეს მის ძალებს აშკარად აღემატებოდა. ევროპის ქვეყნების ძალების გაერთიანება, მათ შორის არსებული დიდი წინააღმდეგობის გამო, ამჯერად შეუძლებელი იყო. ამას გარდა, ეს ქვეყნები უკვე თურქებთან მორიგების გზას დასდგომოდნენ. ამიტომ ესპანეთმა სხვა მიმართულებით დაიწყო გზის ძიება აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ - დასავლეთით, დედამიწის გარშემოვლით და, როგორც ცნობილია, ამ ძიებამ ესპანეთიდან გაგზავნილ ქრისტეფორე კოლუმბს მართლაც, მიაკელევინა „ინდოეთი", რომელიც სრულიად ახალი კონტინენტი - ამერიკა აღმოჩნდა. ესპანელი და დასავლეთევროპელი პოლიტიკოსების ყურადღება ამის შემდეგ, დიდი ხნით ატლანტის ოკეანეს გადალმა იქნა გადატანილი.



III თავი

საქართველო XVI საუკუნეში

საქართველოს მეზობლები XVI საუკუნეში

ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XVI საუკუნეში უაღრესად მძიმე იყო. დასავლეთის მხრიდან საქართველოს გაუმეზობლდა თურქ-ოსმალეთის ‹.ახელმწიფო, რომელმაც 1461 წელს დაიპყრო ტრაპიზონის იმპერია, ხოლო 1475 წელს ყირიმიც დაიმორჩილა. ამის შემდეგ ოსმალეთმა თავისი გავლენა მთლიანად გაავრცელა ჩრდ. შავი ზღვისპირეთზე. ამრიგად, თურქ-ოსმალთა იმპერია საქართველოს მიუახლოვდა როგორც სამხრეთ-დასავლეთის, ისე ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან და მისი აგრესიის საგნად, უპირველეს ყოვლისა, სამცხის სამთავრო და აფხაზეთი იქცა. XVI საუკუნე ოსმალეთის უმაღლესი ძლიერების სანაა, როდესაც მან, დაპყრობითი ომების შედეგად, თავისი სამფლობელო სამ კონტინენტზე განაერცო. ამავე პერიოდში მან თავისი პოლიტიკური გავლენა გაავრცელა მთელს ჩრდილოეთ კავკასიაზე, რამაც გამოიწვია იმიერკავკასიის მთიელების დაპირისპირება საქართველოსადმი. ამ ფაქტმა უაღრესად უარყოფითი როლი შეასრულა შემდგომი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაში.

არანაკლებ მძიმე იყო საქართველოს მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდანაც. აქ, XVI საუკუნის დასაწყისისათვის აღ-ყოინლუს თურქმანული სახელმწიფოს ნანგრევებზე, ჩამოყალიბდა არანაკლებ აგრესიული და ძლიერი სახელმწიფო - ყიზილბაშური ირანი სეფიანთა დინასტიით სათავეში. სეფიანები იყვნენ არდებილელი შეიხების შთამომავლები, რომლებმაც ყიზილ-

ბაშთა მომთაბარე თურქმან ტომებზე[1] დაყრდნობით ირანის ტერიტორიაზე ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო შექმნეს.

სეფიანი შაჰების ცენტრალისტური პოლიტიკა ძირითადში მიწათმფლობელობის თიულდარულ სისტემას ეყრდნობოდა. ისინი ირანის შიგნით თუ დაპყრობილ ქვეყნებში ამ სისტემის საყოველთაო დანერგვას ცდილობდნენ.

„თიულდარული" სისტემა ქართული „სამამულო" მიწათმფლობელობისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. თიული პირობითი, არასამემკვიდრეო მიწათმფლობელობა იყო. თიულდარს (თიულის მფლობელს) მიწა დროებით, გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდა და იგი თიულიდან შემოსული რენტა-ხარკის მთლიანად ან ნაწილობრივი მითვისების უფლებით სარგებლობდა. თიულის მფლობელი ყიზილბაში ამირები ადგილობრივ მიწათმოქმედ გლეხთა (ირანში რაიათის) შეუზღუდავად ექსპლოატაციას ეწეოდნენ. დროებითი და პირობითი მფლობელობის გამო თიულის მფლობელნი (ე. ი. თიულდარები) დაინტერესებულნი არ იყვნენ მათი სამფლობელოს შემდგომი ბედით და მისგან მხოლოდ მაქსიმალური შემოსავლის ძიღება სურდათ. მიწათმფლობელობის ასეთი „ყიზილბაშური" სისტემა ინტენსიური მეურნეობის მოშლასა და ქვეყნის გაპარტახებას იწვევდა.

საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ყიზილბაშები დაჟინებით ცდილობდნენ აქ „ქართველობის" (ე. ი. ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობისა და სოციალური წყობის, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქრისტიანობის) მოსპობას და „ყიზილბაშობის" (ე. ი. ყიზილბაშური მიწათმფლობელობის, მმართველობის სისტემის, შიიტური მუსლიმანობის) შემოღებას. ამ მიზანს მათ ნაწილობრივ მიაღწიეს საქართველოს მეზობელ სომხეთში, ამისთვის იბრძოდნენ შაქიშარეანის სახანოებშიც. თიულის ანალოგიური იყო თიმაროიტული სისტემა ოსმალეთში. თიმარიც მიწის დროებით, პირობით სამფლობელოს ეწოდებოდა, რომელიც ეძლეოდათ ოსმალო მხედრებს (სიფაპიებს) სამხედრო სამსახურის სამაგიეროდ. ამ სისტემის დანერგვას, ე. ი. „ოსმალობის" შემოღებას ცდილობდნენ ოსმალები მათ მიერ დაპყრობილ საქართველოს ტერიტორიაზეც.

XVI საუკუნეში ეს ორი მტაცებელი ერთმანეთს დაუპირისპირდა და 1514 წლიდან მათ შორის დაიწყო სისხლისმღვრელი მრავალწლიანი ომი. ორივე მხარე ცდილობდა საქართველოში გაბატონებას და ამისთვის ძალას არ იშურებდა. ქართულმა სამეფო-სამთავროებმა დამპყრობლებთან ბრძოლისა თუ ურთიერთობის სხვადასხვა ფორმები და მეთოდები გამოიმუშავეს.

ქართლის სამეფო XVI საუკუნის I მეოთხედში. დავით X

1505 წლიდან ქართლში მეფობდა დავით X. მას უხდებოდა როგორც საგარეო მტრების, ისე მეზობელი ქართული სამეფოების შემოტევების მოგერიება. თავდაპირველად დავით მეფეს შემოუტია იმერეთის მეფე ალექსანდრე ბაგრატის ძემ, რომელმაც დაიკავა ქართლის დასავლეთი ნაწილი თვით ქალაქ

1 სეფიანთა ქვეშევრდომ თურქმან ტომებს ყიზილბაშებს (ე. ი. წითელთაეიანებს) იმიტომ ეძახიან, რომ ისინი აგარებდნენ წითელსარქველიან თაესაბურაევებს.

გორითურთ, მაგრამ 1510 წელს იმერეთში თურქ-ოსმალების შემოჭრის გამო ალექსანდრემ ჯარი გამოიყვანა ქართლიდან. 1511 წლიდან კი ქართლის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო კახეთის მეფე გიორგი II-მ, რომელმაც გამეფებას სისხლიანი გზით მიაღწია (მან მოკლა თავისი მამა ალექსანდრე I და ძმას, დიმიტრის თვალები ამოწვა). ამიტომ იყო, რომ ისტორიამ მას აე-გიორგი უწოდა. თავდაპირველად ქართლის მეფე ვერ ასერსებდა აე-გიორგის თარეშის ალაგმვას, მაგრამ მეფის ძმის, ბაგრატის ინიციატივით გატარდა სამხედრო რეფორმა, რომელმაც მალე სასურველი შედეგი გამოიღო.

ერთიანობის სანაში საქართველოს ძირითად სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს საერისთაოო წარმოადგენდა, მაგრამ ამჟამად მათი მდგომარეობა და ფუნქცია რადიკალურად შეცვლილი იყო. ეს საგანმგებლო ტერიტორიები ქართლის დიდებულმა ფეოდალებმა დაისაკუთრეს და თავიანთ სათავადოებად გადააქციეს. ამიტომ ძნელი იყო ამ სათავადოებიდან, როგორც ნასევრად დამოუკიდებელი საფეოდალოებიდან, ორგანიზებული ჯარის გამოყვანა. ბაგრატის ინიციატივით ქართლი 4 საერეშოდ დაიყო: მემარჯვენე საერეშო იყო ზემო ქართლი, ამილასორების მეთაურობით, მეწინაე - ქვემო ქართლი, ბარათაშვილების სარდლობით, მემარცხენეში გაერთიანებული იქნა ქსნისა და არაგვის საერისთაოები მთიულ-მოხეევებითურთ. ამ საერეშოს თვითონ ბაგრატ ბატონიშვილი მეთაურობდა, რომელმაც საუფლისწულოდ მიიღო მუსრანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ეს დაედო საფუძვლად ასალი სათავადოს - სამუხრანბატონოს ჩამოყალიბებას. მეოთხე საერეშო - მეუკანავე - მეფისა იყო, რომელიც ქართლის დანარჩენ ნაწილს მოიცავდა. მის სარდლობას მეფე რომელიმე თავადს უბოძებდა ხოლმე. საერეშოს სარდლებს ევალებოდათ არა მხოლოდ ჯარის გამოყვანა და სარდლობა ომიანობის დროს, არამედ პასუხისმგებელნი იყვნენ მეფის წინაშე მოლაშქრეთა აღრიცხვისა და მომზადების საქმეში. ამ რეორგანიზაციას თავდაპირველად არ შეეძლო დადებითი შედეგი არ გამოეღო. მართლაც, მალე ბაგრატმა შეძლო აე-გიორგის თარეშის აღკვეთა და მისი შეპყრობაც კი. მეტიც; ახლა თვით ქართლმა სცადა კახეთის შემოერთება.

აე-გიორგის მემკვიდრედ მცირეწლოვანი ლევანი დარჩა, მაგრამ 5-წლიანი ბრძოლებისა და მცდელობის მიუხედავად დავით X-მ ვერ შეძლო მისი სელთ გდება. საგარეო გართულებებთან ერთად ქართლის მეფისთვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცა როგორც კახელი ფეოდალების, ისე საკუთარი თავადების აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართლის დიდებულმა თავადებმა საერეშოების სისტემა თანდათან თავიანთ საკარგებლოდ გარდაქმნეს. საერეშოების სათავეში მდგომმა თავადებმა საერეშოების მეთაურობა უპირველესად თავიანთი ძალაუფლების კიდევ უფრო გასაძლიერებლად გამოიყენეს. ქართლის მეფე ფაქტობრივად ხელს ვერ უშლიდა თავადთა ასეთ გაძლიერებას.

ამასობაში გრძელდებოდა ირან-ოსმალეთის ომი. 1514 წელს ოსმალეთის სულთანმა სელიმ I-მა სასტიკად დაამარცხა ირანის პირველი სეფიანი შაპი ისმაილ I. ოსმალებმა თვით ირანის დედაქალაქი თავრიზიც კი აიღეს, მაგრამ,

ამ გამარჯვების მიუხედავად, მათ ბრძოლები შეწყვიტეს და უკან გაბრუნდნენ. მეორე დიდი ბრძოლა მოხდა 1516 წლის დასაწყისში. ესეც ყიზილბაშთა დამარცხებით დამთავრდა. ამის შემდეგ შაჰ-ისმაილმა საქართველოში თავისი პოზიციების განმტკიცება სცადა. მან ისარგებლა ათაბაგ მზეჭაბუკის მემკვიდრეებს შორის ატესილი ბრძოლით და აქ თავისი ჯარი გამოგზავნა ცნობილი სარდლის დივ-სულტანის მეთაურობით. ყიზილბაშთა შემოსევის საფრთხე ქართლსაც შეექმნა. ამის გამო იყო, რომ ქართლის მეფე დავით X-მ შეწყვიტა კახეთში ლაშქრობა და ქართლში დაბრუნდა. მან თავისი ეაკიშვილი რამაზი მდიდრული საჩუქრებით დივ-სულტანს აახლა. დივ-სულტანმა ქართველი ბატონიშვილი შაჰ-ისმაილთან გაგზავნა. ირანის შაჰი ამჯერად დასჯერდა ქართლის მეფის სიტყვიერ აღთქმას მორჩილებისა და ყოველწლიური ხარკის მიცემის შესახებ და თავისი ლაშქარი უკან გაიწვია.

დავით X ისევ კახეთს მიუბრუნდა. მისმა ჯარმა ალყა შემოარტყა მაღრაანის ციხეს, სადაც თავშეფარებულნი იყვნენ კახეთის დედოფალი ელენე და ტახტის მემკვიდრე ლევან ბატონიშვილი. ხანგრძლივი ალყით შეწუხებული ელენე დედოფალი დანებებას აპირებდა, რომ მეფე დავითმა ცნობა მიიღო სამცხეში ოსმალთა შემოსევის შესახებ. დავითი იძულებული გახდა კახეთი დაეტოვებინა და ქართლისათვის მიეხედა. მემატიანის გადმოცემით, მან ციხეში შეგზავნა თავისი მოციქულები-ამილახვარი და სამთავნელი მთავარეპისკოპოსი და კატეგორიულად მოითხოვა ციხის დანებება. დედოფალი ციხის დათმობაზე უკვე თანასმა იყო, მაგრამ მთავარეპისკოპოსმა ფარულად აცნობა, რომ ქართლის მეფე იმ ღამითვე წასვლას აპირებდა. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ციხის დამცველები ქართლის მეფეს აღარ დანებდნენ. ეს ცნობა ადასტურებს, რომ კახეთის შემოერთებითა და მეფის გაძლიერებით ქართლის გავლენიანი ფეოდალები დაინტერესებულნი არ იყვნენ.

თურქები სამცხეში დამარცხდნენ და მათი ჯარის ნაწილი, რომელიც ქართლისკენ იყო გამოგზავნილი, დავით მეფემ უკუაქცია. დავითმა კვლავ გაილაშქრა კახეთში, მაგრამ ლევანი ამჯერად მომზადებული დახვდა და მაღაროსთან ბრძოლაში შეძლო ქართლის მეფის დამარცხება (1518წ.) ამის შემდეგ დავით X საბოლოოდ გაეცალა კახეთს, ხოლო ლევანი ბოდბის მონასტერში საზეიმოდ ეკურთხა კახეთის მეფედ. დავითი იძულებული იყო შეგუებოდა ამ ფაქტს და ეცნო ლევანის კახეთში გამეფება. მალე მათ შორის დაიდო შეთანხმება გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ასეთი კავშირი ორივე მხარისათვის აუცილებელი იყო საგარეო საფრთხის მკვეთრი ზრდის გამო.

ქართლის სამეფოსა და ყიზილბაშურ ირანს შორის დადებული შეთანხმების მიუხედავად ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გაძლიერდა მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლება, ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება და გამოდევნა. ყიზილბაშურ ტომებს კულტურულ მიწათმოქმედ მოსახლეობასთან მშვიდობიანი მეზობლობა არ შეეძლოთ. ისინი მათ მხოლოდ დასაპყრობად და საძარცვავად უყურებდნენ, მათი შემოსევის საფრთხე მუდმივად იყო. ქართველი პოლიტიკოსები სწორად აფასებდნენ აღნიშნულ საფრთხეს და სათანადო

ზომების მიღებას ცდილობდნენ. დავით X-მ ისარგებლა შაჰ-ისმაილის ოსმალებთან ბრძოლებში დამარცხებითა და ყიზილბაშთა მოსარკეობისაგან გათავისუფლება და ქართლის სამხრეთ საზღვრებში ჩამოსახლებული თურქმანების განდევნა სცადა. ამის საპასუხოდ შაჰ-ისმაილი მთელი თავისი ძალით ქართლისაკენ დაიძრა. იგი გაჩერდა აღჯაყალის ციხესთან და მისი გამაგრება დაიწყო. დავით მეფემ დასახმარებლად კახეთის მეფესა და სამცხის ათაბაგს მოუხმო, ასევე, დაიქირაეა იმიერკავკასიელი მთიელები, გაამაგრა ქ. თბილისი და ქართლის სხვა ციხეები. შაჰ-ისმაილმა მის წინააღმდეგ სასწრაფოდ დაძრა თავისი ჯარის რჩეული ნაწილები. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1520 წელს თ ე ლ ე თ თ ა ნ . ამ ბრძოლაში თავი გამოუჩენია დავითის ასალგაზრდა მემკვიდრეს ლუარსაბს. მიუხედავად თავდაპირველი წარმატებისა, თელეთთან ბრძოლაში საბოლოოდ ყიზილბაშებმა მაინც გაიმარჯვეს და თბილისს ასაღებად შემოადგნენ.

თბილისის ციხისთავი მოღალატე გამოდგა. მან, აღთქმული ქრთამით დაბრმავებულმა, მტერს ციხის კარი გაუღო და თურქმანთა ურდოები ქალაქში შემოუშვა. ღედაქალაქში შემოჭრილმა მტერმა უმოწყალოდ იწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა და სოცვა-დატყვევება. მომხდურებმა შებილწეს სიონის ეკლესია და ქართველთა სხვა სამლოცველოები. მეტეხის სიდის ყურეში მაპმადიანური სამლოცველო - მეჩეთი იქნა აგებული, სოლო თბილისის ციხეში ყიზილბაშებმა ეარნიზონი ჩააყენეს. შაჰ-ისმაილს ამჯერად ქვეყნის სრული დაპყრობა პქონდა გადაწყვეტილი. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გაძლიერდა თურქმანთა ჩამოსახლება. ყიზილბაშებმა იქ თავიანთ დასაყრდენ პუნქტად აღჯაყალის ციხე აქციეს და შიგ მეციხოვნეები დააყენეს. ამ ღონისძიებების მიუხედავად, შაჰ-ისმაილმა ამჯერად ქართლის საბოლოო დაპყრობა მაინც ვერ შეძლო. ქართველები ბრძოლას განაგრძობდნენ და მტერს ქვეყანაში .ფეხის მოკიდების საშუალებას არ აძლეედნენ.

1524 წელს შაჰ-ისმაილი გარდაიცვალა და ირანი გაუთავებელმა შინაომმა მოიცვა. ეს ბრძოლები 40-იან წლებამდე გაგრძელდა. ასეთ ვითარებაში ქართველებს ყიზილბაშთა დამარცხება და ქართლიდან განდევნა არ გაძნელებიათ. დავით X-მ აიღო ქ. თბილისი და მტრის გარნიზონი ერთიანად გაანადგურა. აღებულ იქნა აღჯაყალის ციხეც და შემოსახლებული თურქმანებიც განდევნეს საქართველოს ტერიტორიიდან.

ამ წარმატებების მიუხედავად, 1525 წელს დავით X-მ მეფობას თავი დაანება და ბერად აღიკვეცა. წყაროებში არ არის აღნიშნული მიზეზი, მაგრამ, რადგან ამის შემდეგ მეფედ ხდება არა მისი მემკვიდრე ლუარსაბი, არამედ ძმა - გიორგი IX, საფიქრებელია, რომ დავითმა თავისი ნებით კი არ დატოვა ქართლის ტახტი, არამედ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად.

ქართლის მეფე ლუარსაბ I

გიორგი IX-ს დიდხანს არ უმეფია და უკვე 1527 წელს ახლა მას მოუსდა ტახტის დათმობა ქართლის კანონიერი მემკვიდრის ლუარსაბ I-თვის (1527-1556). ლუარსაბს ქართლის ტახტის დაბრუნებაში ეხმარებოდა იმერეთის მე-

ფე ბაგრატ ალექსანდრეს ძე, რომლის ქალიშვილი თამარიც მან ცოლად შეირთო. პოლიტიკური კავშირი ამ ორ მეფეს შორის შემდგომში კიდევ უფრო განმტკიცდა. 40-იანი წლებიდან ქართლი ჩაება უძლიერესი დამპყრობლების წინააღმდეგ უთანასწორო და სისხლისმღვრელ ბრძოლებში. ირან-ოსმალეთის ომი კვლავ გრძელდებოდა. ორივე მხარე ცდილობდა საქართველოში გაბატონებას.

1541 წელს შაჰ-ისმაილის მემკვიდრე შაჰ-თამაზ I დიდი ჯარით ყარაბაღში შემოვიდა და ქართველი მეფე-მთავრები თავისთან დაიბარა. კახეთის მეფე ლევანი და სამცხის ათაბაგის შვილი ქაიხოსრო შაჰს ეახლნენ და მორჩილება გამოუცხადეს, მხოლოდ ლუარსაბ I-მა არ იკადრა ყიზილბაშთა მბრძანებელთან გამოცხადება. შაჰ-თამაზმა თავისი ჯარიდან 12000 მხედარი გამოპყო და თბილისზე ლაშქრობა უბრძანა. მტრის ჯარი თბილისს ღამით მოადგა. ლუარსაბი დედაქალაქში არ იმყოფებოდა. მას მცირეწლოვანი შვილი გარდაცვლოდა და მცხეთაში დასაკრძალავად იყო წასული. თბილისის ციხისთავი გულბათი სულმოკლე გამოდგა და შიშით დამფრთხალმა ციხე მტერს უომრად ჩააბარა. შაჰ-თამაზმა თბილისის ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენა, დანარჩენი ჯარი კი ორ ნაწილად გაპყო და ლუარსაბის შესაპყრობად გაგზავნა.

ამ მძიმე ვითარებაში მეფე ლუარსაბი სულით არ დაცემულა. მტერთან პირისპირ შესაბმელად მას ძალები არ ყოფნიდა, ამიტომ პარტიზანულ ბრძოლებზე გადავიდა და მტერი დიდადაც დააზარალა. შაჰ-თამაზი იძულებული გახდა ბრძოლები შეეწყვიტა და თავისი შეთსელებული ლაშქრით უკან გაბრუნებულიყო.

მეფე ლუარსაბ I თავისი მოღვაწეობისას მარტო ქართლის სამეფოს ინტერესებით არ იფარგლებოდა. იგი ყოველთვის გვერდით ედგა დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ მეფე-მთავრებს. ამ დროს სამცხეს თურქ-ოსმალოთაგან დიდი საფრთხე დაემუქრა. სამცხე იმერეთის მეფემ დაიკავა. მას ზურგს ლუარსაბ I უმაგრებდა. იმერეთის მეფემ ლუარსაბს სამცხის აღმოსავლეთ ნაწილი - ჯავახეთი დაუთმო. 1545 წელს, როდესაც იმერეთის მეფე ბაგრატმა ოსმალეთის წინააღმდეგ სოხოისტასთან დიდი ბრძოლა გადაიხადა, მასთან მხარდამხარ ლუარსაბიც იბრძოდა. ამ ბრძოლაში ქართლ-იმერეთის მეფეები დამარცხდნენ და სამცხის დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს. მართალია, ოსმალებმა სამცხის მთავრად რენეგატი ქაიხოსრო გამოაცხადეს, მაგრამ იგი მალე მიხვდა, რომ ოსმალები მას ქვეყანას არ დაანებებდნენ და ასლა ირანის მსარეს დაღგომით სცადა თავისი ხელისუფლების აღდგენა. მან დახმარებისათვის ირანის შაპს მიმართა და თან ლუარსაბის ხელთ შერჩენილი ჯავასეთის მისთვის დაბრუნება ითხოვა. შაჰმა სიამოვნებით მიიღო ეს თხოვნა. მას საშუალება ეძლეოდა კიდევ ერთხელ ეცადა ლუარსაბ მეფის დამორჩილება და 1547 წლის იანვარში შარეანიდან მესხეთისკენ გამოეშურა. მან აიღო ჯავახეთის ახალქალაქი და ლუარსაბის მომსრე თავადების - დიასამიძეების მამულები მოარბია. აქედან იგი ქვემო ქართლში გადმოვიდა. ლუარსაბი მტრის უზარმაზარ ჯარს პირისპირ ვერ შეება, მაგრამ გამუდმებული თავდასხმებით აიძულა ირანის შაპი საქართველოდან გასულიყო. ამრიგად, შაჰ-თამაზმა ვერც

ამჯერად შეძლო ლუარსაბის დამორჩილება, ხოლო ბარალი კი დიდი ნახა. რო-გორც მემატიანე აღნიშნავს, ქართველებმა სხვადასხვა შეტაკებებში „მრა-ვალნი ყიზილბაშნი ამოწყვიტეს". უკან მიმავალ შაპს იმერეთის მეფე ბაგრა-ტი და კახეთის მეფე ლევანი ეახლნენ. ქართლის დაუმორჩილებლობით გაწ-ბილებული ირანის მბრძანებელი იძულებული გახდა ისინი მდიდრულად დაე-საჩუქრებინა და მათ სიტყვიერ ერთგულებას დასჯერებოდა.

მესამეულ შაპ-თამაზი ქართლს 1551 წელს შემოესია. ამ დროს ოსმალეთი სამცხე-საათაბაგოს უტევდა და ციხე-ქალაქ არტანუჯის დაკავებაც შეძლო. სამ-ცხის თავადების დიდი ნაწილისთვის აშკარა შეიქნა, თუ საით მიპყავდა სამ-თავრო ქაიხოსრო ათაბაგის ბეგ პოლიტიკას, ამიტომ მათ ქართლის მეფე ლუ-არსაბის მხარე დაიჭირეს. ლუარსაბი თავისი ჯარით საათაბაგოში შევიდა და მისი აღმოსავლეთი ნაწილი - ჯავახეთი, სამცხე, არტაანი და კოლა დაიკავა. ქაიხოსრო ათაბაგმა ლუარსაბის წინააღმდეგ დახმარებისათვის შაპ-თამაზს მიმართა. ამ დროს ირანის შაპი შაქში ლაშქრობდა და ქაიხოსროს მოწვევის მილებისთანავე სასწრაფოდ ჯავახეთში შემოიჭრა. სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, ყიზილბაშები „მთასა და ველს მოედვნენ და ყოველი მთა და ფერ-დობი, სადაც სალხის თავშესაფარი იყო, მიწასთან გაასწორეს და ვერც ერ-თმა ურჯულომ ცოცხალმა ვერ გააღწია ბრძოლის ველიდან. მოკლულთა ცოლ-შვილი და ქონება გადაეცა (ირანელ) მკვლელებს, როგორც კანონიერ მემ-კვიდრეთ, ფერიების მსგავსი ქართველი ლამაზმანები ტყვედ წაიყვანეს". მეს-ხეთის მცხოვრებთა ერთი ნაწილი ვარძიის კლდეში ნაკვეთ მონასტერში გა-მაგრდა და მედგრად იცავდა თავს. დიდი მსხვერპლის ფასად ყიზილბაშებმა შეძლეს ციხესიმაგრის აღება. შაპ-თამაზმა სიკვდილით დასჯა ლუარსაბის მომხრე თავადები, რომლებიც შაპს ტყვედ დანებდნენ და მათი სამფლობელო-ები - ლორე, ბამბაკი და აღჯაყალა ქაიხოსრო ათაბაგს გადასცა. ამით შაპმა ქართლში შემოსასვლელი უმნიშვნელოვანესი გზები თავის კონტროლს და-უქვემდებარა. სამცხიდან იგი ქართლში გადმოვიდა და ქვეყნის მოთარეშებას შეუდგა, მაგრამ მოსახლეობის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. მისი მო-თარეშე არაერთი რაზმი ქართველებმა სასტიკად დააზარალეს და უკუაქციეს. ქართლში საბოლოო წარმატებას შაპ-თამაზმა ვერც ამჯერად მიაღწია და იძუ-ლებული გახდა, ყარაბაღში გაბრუნებულიყო. „გამარჯვებულ" ქაიხოსრო ათა-ბაგს კი დაქცეული და გაუკაცრიელებული ქვეყანა შერჩა.

შაპ-თამაზის ძირითადი ძალების გასვლისთანავე ლუარსაბ მეფემ ქართლში ჩაყენებული ყიზილბაშები გაწყვიტა და თბილისიც გაათავისუფლა. ლუარსა-ბის ასეთი წარმატებით შეშფოთებული შაპ-თამაზი 1554 წელს ქვემო ქარ-თლში, საბარათიანოში შეიჭრა. მისი მიზანი იყო ლუარსაბის შეპყრობა. ქვე-მო ქართლის მოთარეშების შემდეგ ყიზილბაშები შიდა ქართლში გადავიდ-ნენ. მათ დიდი ბრძოლებით ხელახლა დაიკავეს თბილისი, ააოხრეს მცხეთა, შემუსრეს გორის ციხე, მაგრამ ლუარსაბის ხელთ გდება მაინც ვერ შეძლეს. შაპ-თამაზმა ჯარები გორის მახლობელ ციხეებს შეუსია. მან აიღო წედისის ციხე და მთელი ძალით ატენისაკენ დაიძრა, რადგან შეიტყო, რომ იქ თავშე-ფარებული იყო ლუარსაბის დედა და ბევრი თავადის ცოლ-შვილი. ამათი ხელთ-გდებით იგი თვით მეფის დამორჩილებასაც ეარაუდობდა.

აგენის ციხე მიუვალ კლდეზე მდებარეობდა და მისი აღება იერიშით შეუძ-ლებელი იყო. ციხის ბედი ერთი სულმოკლე ქართველის ღალატმა გადაწყვი-ტა. მან ყიზილბაშებს უჩვენა წყაროს სათავე, რითაც ციხე წყლით მარაგდე-ბოდა. წყლის მიწოდების შეწყვეტის შემდეგ მეციხოვნეები იძულებული გახ-დნენ მტერს დანებებოდნენ. ძვირფასი ტყვეების ხელთ გდებით გახარებული შაჰ-თამაზი აიყარა და სასწრაფოდ თავისი ქვეყნისკენ გაეშურა. მას თან 30 ათასი ტყვე, ძრაველ თავად-აზნაურის ოჯახობა და მეფის მოსუცი ლედა მიპ-ყავდა. შაჰს იმედი ჰქონდა, რომ ამ ტყვეებით მეფე ლუარსაბზე და ქართველ პოლიტიკოსებზე ზემოქმედებას მოახდენდა, ქართლს ბოლოს და ბოლოს დაი-მორჩილებდა. ლუარსაბ მეფე დაელევნა უკან გაბრუნებულ მტერს, რამდენ-ჯერმე შეება კიდეც მტრის არიერგარდს, მაგრამ დატყვევებული ლედის - ახ-სნა მაინც ვერ შეძლო. ლუარსაბის დედამ, ქართლის ლეოფალმა ნესტან-დარეჯანმა თავი მტერს თავისი სამშობლოს წინააღმდეგ მაინც არ გამოაყენე-ბინა. მან საწამლავი შესვა და თავი მოიკლა. შაჰ-თამაზს ლუარსაბის დაშორ-ჩილების ეს ცდაც ჩაეშალა.

1. **ქართლი ამასიის ზავის შემდეგ.** 1555 წლის 29 მაისს ირანსა და ოსმა-ლეთს შორის ქ. ამასიაში დაიდო ზავი, რომლითაც დამთავრდა ამ ორ ქვეყა-ნას შორის თითქმის 40-წლიანი ომი. ამ ზავის პირობით ქართლი და კახეთი ასევე სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი, ირანმა ირგუნა, ხოლო დასავლეთი სა-ქართველო და სამცხის დასავლეთი ნაწილი - ოსმალეთმა. ქართველ ხალხს ირან-ოსმალეთის ეს გარიგება არ უცნია. აგრესორთა ბიერ განაწ ლებული საქართველო, ფაქტობრივად მათ მიერ დაპყრობილი არ ყოფილა. ქართველი ხალხი განაგრძობდა შეურიგებელ ბრძოლას მოძალადეთა წინააღმდეგ, მაგ-რამ ამასიის ზავის შემდეგ ეს ბრძოლა კიდევ უფრო გაძნელდა, რადგან ქარ-თველ პოლიტიკოსებს აღარ შეეძლოთ გამოეყენებინათ ის წინააღმდეგობა, რაც აქამდე ამ ორ ქვეყანას შორის არსებობდა. ამის შემდეგ როგორც ირანი, ისე ოსმალეთი ერიდებოდა მეორე მხარის „კუთვნილ“ ქვეყნის ამბებში ჩა-რევას. ამას გარდა, საქართველოს ერთიანობის აღდგენაც თითქმის შეუძლე-ბელი გახდა, ვინაიდან არც ირანი და არც ოსმალეთი არ დაუშვებდა, რომ მისი „კუთვნილი“ საქართველოს ნაწილი მეორის „კუთვნილ“ ნაწილს შეერთებოდ-და. ქართველ მეფე-მთავართა დიდი ნაწილი თანდათან ძლიერ დამპყრობლებ-თან მორიგების გზას დაადგა, მხოლოდ ლუარსაბ მეფე იყო, რომელიც ბრძო-ლას განაგრძობდა. მან უფრო მეტის ენერგიით შეუტია შიდა და ქვემო ქარ-თლში შემოსახლებულ ყიზილბაშებს და თანდათან, ხელიდან გამოიგლიჯა მათ-მიერ დაკავებული ციხესიმაგრეები. ასევე მეტისმეტად შეავიწროვა [illegible] ში ჩაყენებული ყიზილბაშური გარნიზონი.

1556 წელს შაჰის ბრძანებით ლუარსაბის წინააღმდეგ დიდი ჯარი [illegible] მართა ყარაბაღის მმართველი შაჰვერდი სულტანი. ბრძოლა მოხდა მ[illegible] (ხრამის) ხეობაში სოფ. გარისთან. ამ ბრძოლის დიდ მნიშვნელობას [illegible] ის, რომ მისი აღწერილობა მოეპოვებათ როგორც ქართველ, ისე სპარსულ ისტორიკოსებს. ლუარსაბ მეფემ, ამ დროს უკვე ხანდაზმულმა, სარწმუნობა თა-ვის უფროს ვაჟიშვილს სიმონს ჩააბარა, თვითონ სხვა დარბაისლებთან და

მღვდელმთავრებთან ერთად ერთ-ერთ მომაღლო გორაკზე დაბანაკდა და ბრძოლის დამთავრების ამბავს ელოდა. სიმონმა ქართველთა ჯარით თავდადებით შეუტია მტერს და დიდად დაზარალებული გაპფანტა. შაჰვერდი სულტანმა გაქცევით უშველა თავს. ასევე გაიფანტნენ მისი სარდლები. ერთ-ერთი ყიზილბაში სარდალი თავისი გადარჩენილი რაზმით ტყეში დამალულიყო და აქედან უჩუმრად აპირებდა გაქცევას, რომ მოულოდნელად გადააწყდა გორაკზე დაბანაკებულ ლუარსაბ მეფესა და მის ამალას. მოხუცები არ შედრკნენ და მტრის რაზმთან ბრძოლაში მხნედ ჩაებნენ. ლუარსაბ მეფე ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა, ვიდრე იარაღი სულ მთლად არ შემოემტვრა და მის ცხენსაც შემთხვევით ფესი თხრილში არ ჩაუვარდა. ძირს დაცემული მეფე ყიზილბაშებმა სასიკვდილოდ დაჭრეს. ამასობაში გამოჩნდა გამარჯვებული და მტერს ... სიმონიც, მაგრამ ამ დიდი გამარჯვების სიხარულს გმირი მეფის ტრაგიკული დაღუპვა აყენებდა მწუხარების ჩრდილს. გადმოცემით, სიკვდილის წინ ლუარსაბ მეფეს უთქვამს, ჩემს გლოვას შეეშვით და ქვეყნის შერახვას გაუფრთხილდითო. მეფე, მისი ანდერძისამებრ, მცხეთას, სვეტიცხოველის ტაძარში დაკრძალეს.

2. ლუარსაბ I-ის მეთაურობით ქართლის ბრძოლის მნიშვნელობა. ქართლის ამ მრავალწლიან, შეურიგებელ ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ ქართლისათვის, არამედ მთელი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ეს შეურიგებელი ბრძოლა იყო მიზეზი იმისა, რომ მტერი იძულებული ხდებოდა, დაეთმო საქართველოს სხვა ნაწილებისათვის და მათ შედარებით შეღავათიანი პირობებით მორჩილებას დაპყაბულებოდა. ლუარსაბი ისედაც მარტო ქართლის დასაცავად რომ იბრძოდა, არამედ ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც საქართველოს რომელიმე მხარეს უჭირდა. ამიტომ შენიშნავდა ბერი ეგნატაშვილი, რომ „უკეთუმცა მეფესა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არა ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ და რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნივე ხრმლისა მისისაგან არიან“. ფარსადან გორგიჯანიძე კი წერდა: „ლუარსაბ მეფე მამაცობაზედ ნაქებია ყოვლის საქართველოს მეფეთა და თავადთ ზედან ძველით ახლებამდისინ. თავად კარგი სარდარი იყო და მერმე გულოვანი, უხვი და უშურველი... ომში კოსტა და უშიშარი, მაგარი ქრისტიანი, ურუმთა და ყიზილბაშთა ნამეტნავად მისგან ეშინოდათ. მეზობელნი ვითაც ყმანი ემსახურებოდნენ და თვითონ სხვათა ყმობის თქმა არ იკადრა“. სამართლიანად შენიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომ „ლუარსაბი საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის თავდადებული ბრძოლის დროშად იქცა ირან-ოსმალეთის მოძალების შავბნელ ხანაში“.

იმერეთის სამეფო და სამცხის სამთავრო XVI საუკუნის პირველ ნახევარში

XVI საუკუნის დასაწყისიდან იმერეთის სამეფოსა და სამცხის სამთავროს ოსმალეთის მხრივ უშუალო დაპყრობის საფრთხე დაემუქრა. ქვეყნისათვის ამ მძიმე დროს სამცხის მთავრები თავიანთი ბეცი და წინდაუსედავი პოლიტი-

კით მტერს მიზნის მიღწევას უადვილებდნენ. იმის შიშით, რომ ერთიანი საქართველოს მეფეთა დაქვემდებარებაში არ მოხვედრილიყვნენ, ისინი სულ უფრო და უფრო აღრმავებდნენ გათიშულობას და, საბოლოო შედეგად, ოსმალებისა და ყიზილბაშების ლუკმად იქცნენ.

1510 წელს ოსმალთა დიდი ჯარი სულთნის მემკვიდრე სელიმ-ფაშას მეთაურობით სამცხეში შევიდა. მზეჭაბუკ ათაბაგმა (1500-1515) თავისი სამფლობელოს დარბევისაგან გადარჩენის მიზნით მტერს უბრძოლველად მორჩილება გამოუცხადა და დაუბრკოლებლად დაუთმო გზა იმერეთისაკენ. ოსმალები ზეკარის გადასასვლელით იმერეთში შეიჭრნენ და ქვეყანა სასტიკად მოარბიეს. იმერეთის ასალგაზრდა მეფემ ბაგრატ ალექსანდრეს ძემ (1510-1565) მოულოდნელად შემოსული მტრისაღმი სათანადო წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწრო. ოსმალებმა აიღეს და გადაწვეს ქუთაისი, გელათი, მოარბიეს სოფლები და დიდძალი ტყვეებითა და ნაალაფვევით დატვირთულნი ქვეყანას გაეცალნენ. მართალია, ოსმალების ეს შემოსევა ჯერ კიდევ ქვეყნის დაპყრობას არ ისახავდა მიზნად, მაგრამ აშკარა იყო, რომ მალე ისინი იმერეთს დასაპყრობათაც შემოადგებოდნენ. სამცხის გარდა ოსმალები დას. საქართველოს შავიზღვისპირეთითაც უახლოვდებოდნენ. შავიზღვისპირეთის სამხრეთით მათ ჭანეთი დაიკავეს და იქ ოსმალური წესების შემოღება დაიწყეს, მდ. ჭოროხის შესართავთან გაამაგრეს გონიოს ციხე და გურიისა და აჭარის წინააღმდეგ შემოტევის პლაცდარმად აქციეს. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მათი გავლენა გავრცელდა ჯიქთა აფსაზურ ტომზეც, საიდანაც გახშირდა ყაჩაღური თავდასხმები გურია-ოდიშ-აფსაზეთის შავიზღვისპირა ტერიტორიაზე.

1533 წელს იმერეთის მეფე ბაგრატის თაოსნობით სამეგრელოსა და გურიის მთავრებმა მოაწყეს ერთობლივი ლაშქრობა ჯიქეთზე, მაგრამ ეს ლაშქრობა მარცხით დამთავრდა.

იმერეთს რეალური საფრთხე მაინც სამცხის მხრიდან მოელოდა, რადგან აშკარა იყო, რომ ოსმალები საქართველოდან განმდგარ ამ ქვეყანას მალე დაიკავებდნენ და ამის შემდეგ მთელი დასავლეთ საქართველოს დაპყრობაც არ გაუძნელდებოდათ. სამცხის მთავარი ყვარყვარე III (1516-1535) იმერეთის მეფესთან კავშირის წინააღმდეგი იყო, ყველაფრიდან ჩანდა, რომ იგი ოსმალეთის მსარეზე გადასვლას აპირებდა.

1535 წლის აგვისტოში იმერეთის მეფე ბაგრატი, გურიისა და სამეგრელოს მთავრების თანხლებით, სამცხეში შევიდა. 12 აგვისტოს ასალქალაქის მასლობლად სოფ. მ უ რ ჯ ა ხ ე თ თ ა ნ ბრძოლა იმერეთის მეფის სრული გამარჯვებით დამთავრდა და მან თვით ყვარყვარეს დატყვევებაც შეძლო. სამცხის თავადებმა ყვარყვარეს ვაჟიშვილი ქაიხოსრო ოსმალეთში წაიყვანეს და სულთანს შეაყვედრეს. ოსმალეთის სულთნის კარმა ეს მდგომარეობა კარგად გამოიყენა. მან რამდენჯერმე გამოგზავნა ჯარი სამცხიდან იმერეთის მეფის გასადევნად. 1543 წელს აქ შემოვიდა არზრუმის განმგებელი მუსა-ფაშა 22-ათასიანი ლაშქრით და ევროპული არტილერიით, მაგრამ ბაგრატ მეფემ, მოჩვენებითი მოლაპარაკებითა და მორჩილების გამოცხადებით, ოსმალთა სარდლის ყურადღება მოადუნა და შემდეგ სოფელ ქარაღაჯთან მთლიანად გაანადგურა



ალექსანდრეს ძე და ლეონიანელი ელენე. ფალეთის ფრესკა.

ძომხლურთა ლაშქარი. თურქებისათვის წართმეული მარბაგნები ბაგრატ მეფემ ქუთაისში გაგზავნა.

1545 წელს ოსმალთა ახალი, უფრო მრავალრიცხოვანი ჯარი არზრუმისა და ყარაბექირის ფაშების სარდლობით საქართველოსკენ დაიძრა. ბაგრატმა მეგრის წინააღმდეგ გამოსელისათვის მოუწოდა გურიისა და სამეგრელოს მთავრებს. გურიელი მეფეს ეახლა, დადიანმა კი უარი განაცხადა მეგრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში. ბაგრატ მეფემ ქართლის მეფე ლუარსაბსაც სთხოვა დახმარება. ლუარსაბი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ამ მოწოდებას. ბრძოლა მოხდა სამცხის სამხრეთ საზღვართან, ბასიანში, ს ო ხ ო ს ტ ა ს ველზე. ბრძოლის ბედი მესხ აზნაურთა ღალატმა და მეგრის რიცხობრივმა უპირატესობამ გადაწყვიტა. ამის მიუხედავად, ქართველებს დიდი თავდადებით უბრძოლიათ. „ქმნეს სახელი დიდი და შემუსრეს ყოველი საომარი საჭურველი და ესრეთ დარჩნენ, რომ საბრძოლველი იარაღი აღარა ჰქონდათ და იყო ომი ძლიერი დილითგან ვიდრე მწუსრისამდე". - წერს ქართველი მემატიანე. დამარცხებული მეფეები თაყიანთ სამფლობელოებში დაბრუნდნენ, ქაიხოსრო კი ათაბაგობას ელირსა, მაგრამ, სინამდვილეში, სამცხეში ოსმალები გაბატონდნენ. მხოლოდ ჯაყეთი რჩებოდა კელავ ლუარსაბ მეფის ხელში.

ქაიხოსრო ათაბაგი საწადელს მაინც ვერ ეწია. მისი მფლობელობა სამცხეში ფიქტიური იყო. ამ მდგომარეობის გამოსწორება ქაიხოსროს ყიზილბაშებთან დაკავშირებით სცადა, მაგრამ ამას მისი სამთავროს ახალი აოხრება მოჰყვა.

თურქებმა უფრო გააძლიერეს აგრესია მესხეთის მიმართ. 1549-1550 წლებში მათ ტაოს ქვეყანა უშუალოდ მეუერთეს ოსმალეთს. როგორც აღნიშნული

იყო, მათ გურიელს წაართვეს ჭანეთი და იქაც ოსმალური წესები შემოიღეს. 1551 წელს ოსმალებმა მგკერის ზემო წელი ქ. არტაანითურთ დაიპყრეს და სამცხის დასავლეთ ნაწილი მთლიანად ხელში ჩაიგდეს. აღგილობრივი თავადების დიდმა ნაწილმა აშკარად იგრძნო ის დიდი საფრთხე, რაც მათ ოსმალთა გაბატონებით მოელოდათ, ამიტომ განუდგნენ ქაიხოსროს და ლუარსაბ მეფეს მოუწოდეს. ლუარსაბმა დაიკავა აღმოსავლეთი მესხეთის დიდი ნაწილი. გზაბნეულმა ქაიხოსრომ შაქ-თამაზს მიმართა დახმარებისთვის. ირანის შაჰი დაუყოვნებლივ გამოემართა სამცხისკენ და სასტიკად მოარბია ლუარსაბის მომხრე თავადების მამულები, აიღო და დაანგრია ციხე-ქვაბები, სასიზრები, უწყალოდ გაელიტა მშვიდობიანი მოსახლეობა. ამ დროს განადგურდა ეარძიის მონასტრის ბრწყინვალე ანსამბლი. როგორც სპარსული ისტორიკოსი გადმოგცემს, ბრძოლის დასასრულს თვით შაქ-თამაზი მოსულა კლდეში ნაკეთი ქალაქ-მონასტრის სანახავად. მისი ბრძანებით ტყეულ ჩაგდებული ბერებიც კი უწყალოდ დაუხოციათ. მტერმა ეარძიიდან დიდძალი სიმდიდრე, მათ შორის ძვირფასი წიგნი გაგზიდა. აოხრებული და გავერანებული ქვეყანა შაქმა ქაიხოსროს გადასცა.

როგორც აღნიშნული იყო, ირან-ოსმალეთის ომი 1555 წლამდე გაგრძელდა. ქაიხოსრო ათაბაგი ამჯერად ირანის მხარეს იდგა და დაზავების პირობით, მისი სამფლობელო, სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი, ირანმა ირგუნა, ხოლო სამცხის დასავლეთი ნაწილი (ტაო, შავშეთი, კლარჯეთი) ოსმალეთმა თავის საკუთრებად გამოაცხადა. ქართველები ბრძოლას განაგრძობდნენ და დამპყრობლების ამ გარიგებას არა ცნობდნენ.

შინაპოლიტიკური ვითარება სამცხესა და დას. საქართველოში. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ სამცხისა და დასავლეთ საქართველოს მთავრები, ფაქტობრივად, დამოუკიდებელნი გახდნენ. მეფე მათ საშინაო საქმეებში ვეღარ ერეოდა და მთავრებიც მეფის სასარგებლოდ გამოსაღებს აღარ ისდიდნენ. მთავართა დამოკიდებულება მეფისადმი ფორმალური იყო - ისინი ჯერ კიდევ ატარებდნენ საკარისკაცო ტიტულებს - დადიანები მანდატურთუხუცესისას, გურიელები - ამირსპასალარისას, მაგრამ ეს რეალურ შინაარსს მოკლებული იყო. მათი ვალდებულება შემოიფარგლებოდა იმით, რომ მეფეს პირადად ხლებოდნენ დიდ ბჭობაში, ნადირობასა და ლაშქრობაში, ასევე მეფეს დარჩა უფლება გარდაცვლილი მთავრის ადგილზე ახალი მთავრის დამტკიცებისა, მაგრამ ესეც ფორმალური იყო და ყოველთვის როდი სრულდებოდა. კიდევ უფრო დამოუკიდებლად ეჭირათ თავი სამცხის მთავრებს. როგორც დავინახეთ, იმერეთის მეფე ბაგრატმა ამ სამთავროს სრული გაუქმება და შემოერთება სცადა. თავდაპირველად წარმატებასაც მიაღწია და მთელი 10 წლის განმავლობაში (1535-1545 წწ.) ფლობდა სამცხეს, მაგრამ თურქების და ყიზილბაშების ჩარევის შედეგად იძულებული გახდა სამცხე დაეტოვებინა და ეს ქართული სამთავრო, ფაქტობრივად, ოსმალეთმა და ირანმა დაიკავა. ქაიხოსრო ათაბაგს მხოლოდ გარეგნულად შერჩა მთავრის სახელი. ბოლოს მას, ირანში სამოწყალოდ ჩასულს, იქვე აღმოხდა სული (1573 წ.).

ბაგრატ მეფემ ცდა არ დაიკლო გურიისა და სამეგრელოს სამთავროების დასამორჩილებლად. თავდაპირველად მათ შორის მშვიდობა იყო და ერთობლივადაც მოქმედებდნენ. მაგრამ მალე მეფეს განუდგა სამეგრელოს მთავარი ლევან I დადიანი. მეფემ მისი შეპყრობა შეძლო და გელათის სამრეკლოში გამოკეტა. იგივეს უპირებდა იგი გურიის მთავარსაც, მაგრამ გურიელი მიუსვდა და გაერიდა. მალე დატყვევებული დადიანიც გააპარეს და ამის შემდეგ როგორც ქაიხოსრო ათაბაგი, ისე გურიელიც და დადიანიც იმერეთის მეფეს ოღარ ემორჩილებოდნენ. მათ პატრონ-მფარველად ოსმალეთის სულთანი გაისადეს. ამრიგად, ბაგრატ მეფე მთავრებთან ბრძოლაში დამარცხდა, თუმცა ამ ეს-რგიულ და ნიჭიერ მეფეს არც შემდგომში შეუწყვეტია მცდელობა მთავართა დამორჩილებისა და მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის. აღსანიშნავია ბაგრატ მეფის ღონისძიებანი საეკლესიო სფეროში. მან აღადგინა და დააარსა ახალი საეპისკოპოსო ცენტრები, მაგალითად, გელათის, ხონის და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოები, რომელთა სათავეში თავისი ერთგული პირები დააყენა, ამავე დროს ძველ მოქმედ კათედრებზეც თავისი მომხრეები დანიშნა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ოსმალების შემოღწევისა და მთიელთა ჩამოსახლების შედეგად გაძლიერებულიყო წარმართულ-მუსლიმანური გავლენა. შესუსტებულიყო ქართული კულტურა და ქართული ქრისტიანობა. ამის გამო იმერეთის მეფემ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ცენტრი ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანა. XVI ს-ის შუა ხანებში ბაგრატმა მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც უაღრესად საჭირბოროტო საზოგადოებრივი საკითხები განიხილა. კრებამ მიიღო დადგენილება ქვეყანაში ასე გავრცელებული ტყვის სყიდვის, ქურდობა-ავაზაკობის, მკელელობის, ეკლესიების ძარცვისა და სხვა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

დასავლეთ საქართველოში მწვავედ იდგა „ტყვის სყიდვის“ (ადგილობრივი ადამიანების უცხოეთში მონად გაყიდვის) საკითხი. ამ სენმა ოსმალების გამეზობლების შემდეგ იქ კატასტროფული ხასიათი მიიღო. ოსმალეთს თავისი იანიჩარების და პატრიარქალური მეურნეობისა თუ ოჯახისათვის (პარამსანებისათვის) დიდი რაოდენობით სჭირდებოდა ტყვე ადამიანები, რომლებიც შემოჰყავდათ საქართველოდან, იმიერკავკასიიდან, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან, ყუბანიდან, ყირიმიდან, უკრაინიდან და დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნებიდან. თურქ ვაჭრებს შემოჰქონდათ მრავალი პირველმოსმარების საქონელი, აგრეთვე, ფუფუნების საგნები, რომლის მომსმარებლებიც ძირითადად ფეოდალები იყვნენ. ოსმალო ვაჭრები ამ საქონლის სამაგიეროდ მხოლოდ ტყვეებს მოითხოვდნენ. საქართველოში ტყვის მოტაცებას და გაყიდვას მისდევდნენ არა მხოლოდ გადამთიელი ყაჩაღები, არამედ ადგილობრივი მებატონეები და ზოგჯერ „გააბრაგებული“ გლეხებიც. ამ ბოროტებას ბაგრატ მეფემ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა. აღნიშნულმა საეკლესიო კრებამ მკაცრად დაადგინა, რომ სიკვდილით უნდა დასჯილიყო ყველა, ვინც კი შემჩნეული იქნებოდა ტყვის მოტაცებასა და გაყიდვაში.

ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება, სათავადოთა სისტემის ბატონობის ვითარებაში, ერთობ ძნელი განსახორციელებელი იყო. ბაგრატ მეფის

სიცოცხლეში ეს დადგენილება ასე თუ ისე სრულდებოდა, მომდევნო მეფეების დროს ეითარება შეიცვალა. ადგილობრივი თავადები და მით უმეტეს სულთნის კარი ტყვის სყიდვის აკრძალვას გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ. დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის გაელვნის გაძლიერებასთან ერთად ტყვის სყიდვა სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იღებდა.

კახეთის სამეფო XVI საუკუნეში

სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისაგან განსხვავებით კახეთის სამეფო XVI საუკუნეში შედარებით მშვიდობიანად ეითარდებოდა. მას შემდეგ, რაც კახეთის სამეფო გასტეზე ლევან გიორგის ძე დამკვიდრდა და ბოდბის მონასტერში საზეიმოდ მეფედ ეკურთხა (1518 წ.), იგი განუხრელად დაადგა თავისი პაპის ალექსანდრე I-ის საგარეო-პოლიტიკურ გეზს, კერძოდ, მოხერხებული დიპლომატიით, ფორმალური ყმობის აღიარებითა და მცირე სარკის გაღებით ქვეყნის გადარჩენას აგრესორთა დამარბეველი შემოსევებისაგან. დამპყრობლებიც იმის შიშით, რომ კახეთი მებრძოლ ქართლს არ შეერთებოდა, იძულებულნი იყვნენ, დაეთმოთ და ამ ფორმალურ მორჩილებას დაკმაყოფილებოდნენ.

როგორც აღნიშნული იყო, მას შემდეგ, რაც ქართლის მეფე დაეით X-მ ცნო კახეთში ლევანის გამეფება, მათ შორის დაიდო შეთანხმება გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, მაგრამ ეს კავშირი არ იყო მტკიცე და შემდგომში კახეთისა და ქართლის ძალების გაერთიანება ძნელად ხერხდებოდა. ქართლში შაპ-თამაზის შემოსევების დროს კახეთი განზე იდგა და შაპისადმი მორჩილების გამოცხადებით ცდილობდა ყიზილბაშთა ურღვევი კახეთში არ შემოეშვა.

ლევანი აქტიურ პოლიტიკას ატარებდა თავისი აღმოსაელეთელი მეზობლების მიმართ. შაქი-შარვანის ქვეყნები ირანის შაპის ვასალებად ითვლებოდნენ, მაგრამ ფაქტობრივად დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ასორციელებ-

ლევან კახთა მეფე. ფრესკა გრემის მთავარანგელოზის ეკლესიიდან.

ლნენ. ისინი ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ყიზილბაშების მსრიე მათი ქვეყნების სრული დაპყრობა და ამიტომ ხშირად თურქ-ოსმალების მხარეს იხრებოდნენ. ოსმალების წაქეზებით ისინი კახეთს, როგორც ირანის ხელქვეით ქვეყანას და მოკავშირეს, დრო და დრო თავს ესხმოდნენ. ამ საბაბით ლევან მეფემ არაერთხელ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. ამ ლაშქრობებს სხვა მიზეზებიც აპირობებდა. შაქისა და შარვანის სახანოები XV-XVI საუკუნეებში უმდიდრეს ქვეყნებად ითვლებოდნენ. აქ მოპყავდათ მაშინდელ მსოფლიოში საუკეთესო აბრეშუმი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება იყო უცხო ქვეყნებში. 1524 წლის გაზაფხულზე აღმოსაელეთ ამიერკავკასიაში მყოფ შაპ-ისმაილს შაქის მმართველმა ჰასან-ბეგმა საზეიმო შესვედრა მოუწყო. შაპ-ისმაილმა შაქისა და კახეთის საზღვრის მახლობლად მოაწყო გრანდიოზული ნადირობა, რომელშიც შაქელი დიდებულებიც მონაწილეობდნენ. ამით ირანის შაპმა საჯაროდ გამოხატა თავისი კეთილგანწყობილება შაქის მმართველისადმი და კახეთის მეფეს თავისი ძალა უჩვენა. ამის მიუხედავად, უკან გაბრუნებულ შაპ-ისმაილს არდებილთან აცნობეს, რომ ლევან მეფე დიდი ჯარით შეიჭრა შაქში და დაამარცხა ჰასან-ბეკი, რომელიც ამ ბრძოლაში დაიღუპა კიდეც. ამ ამბავმა ირანის შაჰის დიდი რისხვა გამოიწვია. მას გადაწყვეტილი ჰქონდა სამაგალითოდ დაესაჯა კახეთის მეფე, მაგრამ ამ მუქარის განხორციელებას მისმა სიკედილმა შეუშალა ხელი.

შაპ-ისმაილის გარდაცვალებისთანავე ირანში ყიზილბაშ ტომებს შორის დაიწყო ბრძოლები შაპის მცირეწლოვანი მემკვიდრის თამაზის მეურვეობისათვის. ამით ისარგებლეს ქართლ-კახეთის მეფეებმა და ფაქტობრივი დამოუკიდებლობა აღიდგინეს. როგორც აღნიშნული იყო, ქართლის მეფე დავით X-მ თბილისიც აიღო და შემოსახლებული თურქმანები განდევნა ქვემო ქართლიდან. ლევან კახთა მეფეც აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. 1529 წელს მასთან უნგრეთის ელჩიც კი ჩამოდის, რომელსაც ლევან მეფემ აღუთქვა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობა.

1534 წელს დაიწყო ირან-ოსმალეთის ომის ახალი ეტაპი. ოსმალებმა დაიპყრეს სომხეთი და სამხრეთ აზერბაიჯანი ქალაქ თავრიზითურთ. შარვან-შაპმა ოსმალეთის მხარე დაიჭირა, მაგრამ 1535 წელს იგი უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა და ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. ამით ისარგებლა შაპ-თამაზ I-მა და 1538 წელს შარვანი შეიერთა. ამ აქტს უსათუოდ უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთისათვის, რადგან ყიზილბაშთა სახელმწიფო უშუალოდ მიუახლოდა მის საზღვრებს. 1541 წელს, შაპ-თამაზის საქართველოში პირველი ლაშქრობის წინ, ლევან მეფემ უმჯობესად ჩათვალა ირანის შაპს „შერიგებოდა“ და მდიდრული ძღვენ-მისართმევლით ეახლა. შაპ-თამაზი იმის შიშით, რომ ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ ბრძოლებში კახეთი ქართლს არ მიმხრობოდა, დაპყაბულდა ლევანის „ძღვენსა და ფეშქაშს“ და მისი სიტყვიერი მორჩილება იკმარა.

ქართლის წინააღმდეგ მოწყობილი შემდგომი ლაშქრობების დროსაც ლევან მეფე განზე იდგა და ირანისადმი მოჩვენებითი მორჩილების გზას არ უხვევედა. ქართლის მიერ წარმოებული შეურიგებელი ომის გამო ირანის შაჰი

იძულებული იყო კახეთის მსოლოდ ასეთი ფორმალური მორჩილებით დაკმაყოფილებულიყო.

ამასობაში ირან-ოსმალეთის ომი გრძელდებოდა და ირანი ამ ომში წარუმატებლობას განიცდიდა. 1548 წელს ოსმალებმა თავრიზი კელაე დაიკავეს, ხოლო შემდეგ წელს სამცხის დასავლეთი ნაწილიც დაიპყრეს. შაქის მმართველი დავრიშ-მაკმად ხანი ირანს ეურჩებოდა და ოსმალეთისაკენ ისრებოდა, ამიტომ შაპ-თამაზმა ამ ქვეყნის სრული დაპყრობა გადაწყვიტა და 1551 წელს თავისი ჯარით შაქის სახანოში შეიჭრა. შაქის წინააღმდეგ გამოვიდა ლევანიც. ამ ბრძოლებში დავრიშ-მაკმად ხანი დამარცხდა და ტყვედაც ჩავარდა. ირანმა შაქიც უშუალოდ შეიერთა. საბოლოო შედეგად ეს კახეთისთვის არ იყო სასურველი, რადგან ამის შემდეგ ყიზილბაშური ირანი მას აღმოსავლეთის მხრიდან უშუალოდ გაუმეზობლდა. კახეთის მეფე, როგორც ირანის ვასალი, მოვალე იყო ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო.

კახეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებას. ამ დროისათვის იქ არსებობდა მრავალი ტომობრივ-ეთნიკური გაერთიანება, რომელთა შორის ყველაზე უფრო გაძლიერდა ყაბარდოს-ყუმუხის საშამხლო. ეს იყო დაღესტნელ ტომთა გაერთიანება, სადაც თანდათანობით ფესს იკიდებდა ოსმალეთის გავლენა. მათი სარწმუნოებაც სუნიტური იყო. საშამხლოს ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ყაბარდოს სამთავრო, რომელთანაც მას დიდი ქიშპი და მტრობა ჰქონდა. მეფე ლევანი ცდილობდა, საშამხლოს მთავრები თავის გავლენაში ჰყოლოდა. იგი ერეოდა შამხალის სასლიკაცებს შორის ატეხილ უთანხმოებაში, აგრეთვე, შამხალზე ზეგავლენის მიზნით უკავშირდებოდა მის მოწინააღმდეგე ყაბარდო-ჩერქეზთა მთავარს. ამ უკანასკნელმა, შამხალის საპირისპიროდ, რუსული ორიენტაცია აირჩია. მალე რუსეთთან დაკავშირება კახეთის პოლიტიკოსებმაც სცადეს.

ქართლისა და კახეთის სამეფოები ირან-ოსმალეთის მეორე ომის წინ

ლუარსაბ I-ის დაღუპვის შემდეგ მის პოლიტიკას განაგრძობს მეფე სიმონ I (1556-1600). იგი შეუკავშირდა კახეთის მეფე ლევანს და ამ კავშირის განმტკიცების მიზნით ცოლად შეირთო მისი ასული ნესტან-დარეჯანი. სიმონი ყიზილბაშთა წინააღმდეგ ფართო შეტევისთვის ემზადებოდა. იგი ჯარებს სოფელ ცისელიდთან აგროვებდა. აქვე მოვიდა კახეთიდან გამოგზავნილი დამხმარე ჯარი გიორგი ბატონიშვილის მეთაურობით. ყიზილბაშებმა ამ სამზადისის შესახებ შეიტყვეს და მოულოდნელად დაესხნენ თავს ციხედიდის ბანაკს. ამ ბრძოლაში ქართველთა ლაშქარი დამარცხდა, მოკლულ იქნა გიორგი ბატონიშვილიც. მალე მტრის მხარეზე გადავიდა სიმონ მეფის ძმა დავითი, რომელიც შაპ-თამაზს 1561 წლის 25 დეკემბერს ყაზვინში ეახლა და თავისი სამსახური შესთავაზა. შაპმა იგი გაამაპმადიანა, თბილისისა და ქვემო ქართლის გამგებლობა უბოძა და, დიდად დასაჩუქრებული, საქართველოში გამოისტუმრა. მას ეეალებოდა სიმონ მეფის წინააღმდეგ ბრძოლა. ქართველი ხალხის



გრემის ნაქალაქარი. შიდა ციხე და მსაყირანგელოზის ეკლესია

დიდი ნაწილი კვლავ სამონ მეფის მსარეს იდგა და თავდადებით განაგრძობდა ბრძოლას ყიზილბაშებისა და მოღალატე-რენეგატთა წინააღმდეგ. სიმონ მეფემ რამდენჯერმე დაამარცხა თავისი გამაპმადიანებული ძმა დაულ-სანი და თბილისსაც შემოარტყა ალყა. თავისი ერთგული ყმის დასასმარებლად შაპ-თამაზმა ახალი ჯარი გამოგზავნა. ბრძოლა მოხდა 1569 წელს მდ. ალგეთის პირას, სოფელ ფარცსისთან. ქართველებს ყიზილბაშებთან შედარებით გაცილებით მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდათ. ამის მიუხედავად, მამულიშვილები დიდი თავდადებით შეებნენ მტერს. თვითონ მეფე სიმონი თავისი ჯარის პირველ რიგებში იბრძოდა და არაერთი ყიზილბაში ჩამოაგდო ცხენიდან. ბრძოლაში გართულმა მეფემ ვერ შენიშნა როგორ დაშორდა თავისი ჯარის ძირითად ნაწილს. ყიზილბაშთა ლაშქარში მყოფმა მოღალატე აზნაურმა კახაბერ ყორღანაშვილმა იცნო მეფე და მტრის სარდალს აცნობა. ყიზილბაშებმა სიმონი ალყაში მოაქციეს. თანამებრძოლთა მცირერიცხოვანი ჯგუფი მტერს პირწმინდად შეაკედა, მაგრამ მეფე დატყვევებას მაინც ვერ გადაარჩინა. შაპ-თამაზი ბევრს ეცადა გაემაპმადიანებინა სიმონ მეფე, მაგრამ ვერაფერს გასდა. დატყვევებული მეფე ალამუტის ციხეში გამოპკეტეს.

კახეთის მეფე ლევანი გრძნობდა, რომ საფრთხე მასაც უახლოვდებოდა. ყიზილბაშთა მიერ შაქი-შარვანის დაპყრობის, განსაკუთრებით ოსმალეთთან დაბმის შემდეგ მკვეთრად გაუარესდა კახეთის მდგომარეობა. თუ აქამდე ირანის შაპი კახეთის ფორმალურ ყმობას ჰყაბულდებოდა, ახლა უკვე კახეთის უშუალო დასაპყრობად ამზადებდა ნიადაგს. შაპის კარზე მძევლად იმყოფებოდა ლევანის ვაჟი იესე, რომელიც გაამაპმადიანეს და შაქის მმართველად დანიშნეს. ამ ბატონიშვილს შაპ-თამაზი კახეთის ტახტზე დასასმელად ამზადებდა. ირანის შაპმა კახეთს ჩამოართვა მის მფლობელობაში მყოფი კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მდ. სამურის ზემო წელზე მდებარე წახურის სამთავრო და აქაც მაპმადიანი მფლობელი (ადიკურკულ-ბეგი) დანიშნა.

სწორედ ამ დროს კავკასიის ასპარეზზე აქტიურად გამოჩნდა რუსეთის სახელმწიფო. 1552-1556 წლებში ივანე მრისსანემ შეიერთა ყაზანის და ასტრახანის სახანოები და დაიკავა ეოლგის უმნიშვნელოვანესი სანაოსნო გზა. ივანე IV-მ თავის მხარეზე გადაიბირა და 1557 წელს ოფიციალურად მფარველობაში აიყვანა ყაბარდოს მთავარი თემურყაა, რომლის ქალიშვილიც, მარიამი ცოლად შეირთო. თავისი სიმამრის დასახმარებლად რუსეთის მეფემ შამხალის წინააღმდეგ მეთოფეთა და კაზაკთა რაზმები გამოგზავნა.

1561 წელს მოსკოვში ჩავიდა კახეთის ელჩი, რომელმაც ივანე IV-ს ლევან მეფის სიგელი ჩაუტანა. ასეთი ელჩობანი შემდგომშიც რამდენჯერმე გამეორდა. საფიქრებელია, რომ ლევან მეფე რუსეთს სამხედრო დახმარებას სთხოვდა. მართლაც, ზემოაღნიშნული ლაშქრობების დროს რუსთა რაზმები არაგვის საერისთავოს ფარგლებშიც შემოსულან. ამ დროს არაგვის ერისთავი ქართლის მეფის ყმობიდან კახეთის მეფის ქვეშეერდომობაში იყო გადასული. ეს ის დროა, როდესაც ქართლში მეფე სიმონი მის რენეგატ ძმას ლაუდსანს ებრძოდა. კახეთის სამეფო ამ პერიოდში განსაკუთრებით დაინტერესებულა არაგვის სეობით, რომლითაც გზა გადადიოდა რუსეთში, სოლო არაგვის ერისთავებს ხარბი თვალი კახეთის მთიანეთზე (თუშ-ფშავ-სევსურეთზე) ეჭირათ. ამ ინტერესების დამთხვევამ არაგვის ერისთავები კახეთის მეფეთა ყმობაში გადაიყვანა.

1562-1563 წლებში რუსთა ჯარის იმიერკავკასიაში მოქმედების დროს ლევან მეფემ მათი რაზმები კახეთის სანაპირო ციხეებში ჩააყენა შამხალის თავდასხმებისაგან ქვეყნის დასაცავად, მაგრამ ამან ირანის შაჰის აღშფოთება გამოიწვია. ლევან მეფემ აღარ დააყოვნა და რუსთა ეს რაზმები უკან გაგზავნა. 1564 წელს მოსკოვში კახეთის კიდევ ერთი ელჩობა ჩავიდა იაკობის მეთაურობით, მაგრამ რუსეთი ამჯერად მოერიდა ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის გართულებას, მოშალა ციხე მდ. თერგზე და იმიერკავკასიიდან ჯარი გაიყვანა.

ირან-ოსმალეთის მეორე ომი და საქართველო

სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ დაუდსანს ქართლის დიდი ნაწილი მაინც არ ემორჩილებოდა. იგი, ფაქტობრივად, მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლს განაგებდა.

კახეთში ლევანის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი ვაჟი ალექსანდრე II (1574-1605), რომელმაც სამეფო ტახტი თავის ძმაშვილებთან ომის შემდეგ დაიკავა. ალექსანდრე განაგრძობდა თავისი მამის საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

იმერეთში 1565 წლიდან გიორგი ბაგრატის ძე მეფობს, რომლის დროსაც ერთიანად თავი აიშვეს მთავრებმა და თავადებმა, გაძლიერდა ურთიერთთავდასსმა, ერთმანეთის მამულების აკლება, ტყვეების წასხმა და ოსმალებზე გაყიდვა. ამას 1568 წელს დაერთო დიდი ჟამიანობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა იმერეთის მოსახლეობას.



კახეთის მეფე ალექსანდრე II-სა და ოსმალთა სარდალ მუსტაფა ლალა-ფაშას შორის მოლაპარაკება სარიოქალასთან 1578 წ. სექტემბერში. ძველი ოსმალური მინიატურა.

სამცხეში ქაოსოსროს გარდაცვალების შემდეგ ათაბაგობას ერთმანეთს ეცილებოდნენ ძმები ყვარყვარე და მანუჩარი, სამთავროს კი, ფაქტობრივად, განაგებდა მათი დედა დედისიმედი, რომელმაც მოაკელეინა თავადური რეაქციის თავკაცი ვარაზა შალიკაშვილი, რასაც მოჰყვა გაუთავებელი შინაომი. ასეთ ვითარებაში შეხვდა საქართველო ირან-ოსმალეთს შორის დაწყებულ მეორე ომს.

1578 წელს ოსმალეთმა ისარგებლა ირანში შაქ-თამაზის გარდაცვალების შემდეგ დაწყებული არეულობით, დაარღვია ამასიის ზავი და საქართველოს მიმართულებით დასძრა 300 000-იანი არმია მუსტაფა ლალა-ფაშას მეთაურობით. 9 აგვისტოს ჩილდირის ტბასთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს ყიზილბაშები. გამარჯვებულ ოსმალთა სარდალთან 6000 მოლაშქრით გამოცხადდა მანუჩარი. ყვარყვარე და დედისიმედიც იძულებულნი გახდნენ ოსმალებს დამორჩილებოდნენ. ამის შემდეგ სულთანის ლაშქარი თბილისისაკენ დაიძრა და 24 აგვისტოს უკვე საქართველოს დედაქალაქს შემოადგა. დაულხანმა უბრძოლველად მიატოვა თბილისი, ქალაქი გადაწვა და ლორეს შეაფარა თავი. მუსტაფა ლალა-ფაშამ თბილისსა და გორში მეციხოვნეები დააყენა და კახეთისაკენ გაემართა. კახეთის მეფე ალექსანდრე II მას სართიჭალასთან შეეგება. აქ გაიმართა მოლაპარაკება, სადაც კახეთის მეფემ თავი გამოიჩინა, როგორც დახელოვნებულმა დიპლომატმა და ჭკვიანმა პოლიტიკოსმა. თავდაპირველად ოსმალთა სარდალი კახეთის მეფისაგან მოითხოვდა გამაჰმადიანებას, კომლობრივ გადასახადსა და მონაწილეობას ირანის წინააღმდეგ ომში. ალექსანდრე კახთა მეფემ დაითანხმა ოსმალთა მსარე, რომ იგი ქრისტიანად დაეტოვებინათ კახეთის მეფედ. მართალია, მას უნდა მიეღო ბეგლარბეგის წოდება, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური მხარე იყო. კახეთი ოსმალეთის მოხარკე ქვეყანა ხდებოდა და ფაქტობრივად მხოლოდ პატრონი ეცვლებოდა, ირანის მაგიერად იგი ოსმალეთის ვასალი უნდა გამხდარიყო; რაც შეეხება გამოსაღებ ხარკს, კომლობრივი გადასახადის მაგიერად (ამ პირო-

ბაბე დათანხმება ნიშნავდა ოსმალების მიერ კახეთის აღწერას, ე. ი. ქვეყანაში „ოსმალობის“ დამყარებას) კახეთის მეფემ მხოლოდ წლიური მისართმეველი იკისრა - 30 საპალნე აბრეშუმი, 20 ტყვე და 20 სანაღირო ფრინველი. ირანის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაც მხოლოდ შაქში ლაშქრობით შემოიფარგლა. ესეც კახეთის მეფის ინტერესებში შედიოდა, რადგან ირანის შაპს აქ მისი მეტოქე ძმა, გამაპამღიანებული ისა-ხანი დაესვა მმართველად და ამ უკანასკნელის აქედან განდევნა თეიმურაზ კახეთის მეფეს სურდა. ალექსანდრემ შაქი დაიკავა, ისა-ხანი გააძევა და მის მაგივრად თავისი შვილი ერეკლე დასვა. ამრიგად, კახეთის მეფის დიპლომატიამ გაიმარჯვა - ქვეყანა არა თუ გადაურჩა ოსმალთაგან დაპყრობას და დარბევას, არამედ, ოსმალების გამოყენებით, მისი გავლენა მეზობელ შაქზეც გავრცელდა.

შაქის დალაშქვრის შემდეგ ოსმალებმა შარვანი დაიპყრეს და იქ თავიანთი მმართველობის შემოღება დაიწყეს. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ოსმალთა ეს უგარმაგბარი არმია ბურგს იყო მოწყვეტილი და მის მოსამარაგებლად გამოგზავნილ აღალსა თუ დამხმარე ძალას ქართლის მოსახლეობა თავდასხმებით ანადგურებდა. მუსტაფა ლალა-ფაშა იძულებული გახდა შარვანიდან უკან გაბრუნებულიყო და არმრუმში გამოეგზამთრებინა.

ამასობაში შაპის კარმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. მათ გაათავისუფლეს ირანში ტყვედ მყოფი მეფე სიმონი და ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოში დაბრუნეს, თუმცა ამის პირობად გამაპმადიანება მოსთხოვეს. სიმონი იძულებული იყო ამ პირობას დათანხმებოდა, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლისთანავე უარყო მაპმადიანობა და ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდა. იგი სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ. მის ირგვლივ დირაგმნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველები. ოსმალთა ძირითადი ძალის საქართველოდან გასვლის შემდეგ სიმონ მეფემ დამპყრობელთაგან გაწმინდა გორი, ლორე და 1579 წლის 30 მარტს თბილისს ასაღებად შემოადგა. თბილისის ოსმალური გარნიზონის დასახმარებლად ლალა-ფაშამ არმრუმიდან რამდენჯერმე გამოგზავნა ლაშქარი სურსათითა და სხვა დამხმარე ძალით, მაგრამ ქართველები მათ უსაფრდებოდნენ და დიდ ზარალს აყენებდნენ. თბილისის ოსმალური გარნიზონის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო, ქართლის დიდი ნაწილი სიმონ მეფეს ემორჩილებოდა. ამრიგად, ოსმალებმა ფაქტობრივად დაკარგეს კონტროლი ქართლზე, რაც მათ კავკასიის სხვა ქვეყნებიდანაც ფესის ამოკვეთას უქადდა. ოსმალთა ასეთი წარუმატებლობა იყო იმის მიზეზი, რომ სულთანმა მურად III-მ 1580 წელს სარდლობიდან გადააყენა მუსტაფა ლალა-ფაშა და მის მაგივრად დანიშნა სინან-ფაშა, რომელსაც დიდი ვეზირის თანამდებობაც უბოძა.

ოსმალთა ახალი სარდალი დიდი ჯარით დაიძრა თბილისისაკენ. გზაზედ აიღო ლორე, დმანისი და ქართლში შემოვიდა. აქ მისი მეწინავე რაზმი სიმონს მეფემ გაანადგურა. სინან-ფაშამ თბილისში შესვლა მაინც შეძლო. ოსმალო დამპყრობნი ერთგვარ დათმობაზე წავიდნენ. მათ გადააყენეს თბილისის ოსმა-

ლო ბეგლარბეგი და მის მაგიერად იმერეთის მეფის გიორგის ეაეი იუსუფ-ფაშა დანიშნეს. მათი ასეთი ნაბიჯი ქართველი ხალხის ძალების გათიშვას ისახავდა მიზნად. ეს ნაცადი ხერხი იყო და გარკვეული შედეგებიც მოჰქონდა. მაგალითად, სამცხის მთავრები ყეარყვარე და მანუჩარი მათ სამსახურში იღგნენ. მათ შორის, მანუჩარი გამაჰმადიანებულიყო და მუსტაფა-ფაშას სახელი მიეღო. კახეთის მეფეც, სებით თუ უნებლიედ, ოსმალებს უკრავდა თავს და ამ ბრძოლიდან განზე იდგა. უფრო მეტიც: ალექსანდრე კახთა მეფესა და სიმონს შორის სხვადასხვა მიზეზით აშკარა მტრობა ჩამოეარდნილიყო. ასეთ ვითარებაში ოსმალებმა ქართლს იმერეთიც დაუპირისპირეს. ქართველმა პოლიტიკოსებმა შეძლეს სიმონისა და ალექსანდრეს შერიგება. მალე ოსმალებს მანუჩარიც აუჯანყდა და სიმონ მეფის მხარეზე გადმოვიდა. ოსმალთა ამ საერთო წარუმატებლობის ვითარებაში ირანის შაჰის მოთხოვნით კახეთის მეფე კვლავ ირანის მხარეზე გადავიდა. შაჰმა ალექსანდრე მეფეს მძეულად მოსთხოვა უმცროსი ეაეი კონსტანტინე.

1582 წლის აგვისტოში ოსმალთა 20000-იანი ლაშქარი დიარბექირის ბეგლარბეგის პადიშ მეჰმედ ფაშას მეთაურობით ქართლში შემოვიდა. მისი დახმარება ვეალებოდა სამცხის მთავარს მანუჩარს. მეჰმედ ფაშამ გორი აიღო, შიგ თავისი მეციხოვნეები ჩააყენა და თვითონ კი მტხრანის ველზე დაბანაკდა. აქ ოსმალებს თავს დაესხა სიმონ მეფე და სასტიკად დაამარცხა. ქართველებს დიდი ნადავლი ჩაუვარდათ ხელში. მეჰმედ ფაშამ მხოლოდ ლაშქრის მცირე ნაწილით შეაღწია თბილისში. შერცხვენილმა ოსმალთა სარდალმა თავისი მარცხი მანუჩარს გადააბრალა, სიმონთან მის ფარულ კავშირზე აიღო ეჭვი და მისი ღალატით მოკვლა გადაწყვიტა. ეს ამბავი დაწვრილებით აქვს მოთხრობილი იგალიელ ავტორს ტომაზო მინადოის. მანუჩარი მეჰმედ ფაშამ სამხედრო თათბირზე დაიბარა. მანუჩარმა სათანადო სიფრთხილე გამოიჩინა და თათბირზე 50 შეიარაღებული ქართველი მეომრით გამოცხადდა. სამცხის მთავარი უიარაღოდ შეუშვეს კარავში. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ მეჰმედ ფაშას ნიშანზე ერთმა თურქმა ხმალი იშიშელა, მაგრამ მანუჩარმა დასწრო, სმალი გამოსტაცა და იგი თავიდან მუცლამდე შუაზე გააპო. ამის შემდეგ მეორე ფაშაც დაჭრა და მიეარდა თვით მეჰმედ ფაშასაც, რომელსაც ხუთი ჭრილობა მიაყენა. სმაურზე შემოცეიედნენ მანუჩარის მხლებელი ქართველი მეომრები და თავიანთი პატრონი სამშვიდობოს გაიყვანეს. ამ ამბავს სამცხეში სახალხო აჯანყება მოჰყვა. ოსმალთა ლაშქარი დაუყოვნებლივ აიყარა და ყარსისაკენ გაემართა. მანუჩარმა უარყო მაჰმადიანობა და კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. მან ოსმალთაგან გაწმინდა სამცხის ციხეები და სოფლები, ამავე დროს, სიმონ მეფესთან კავშირის განმტკიცების მიზნით, ცოლად შეირთო მისი ქალიშვილი ელენე.

1583 წელს სიმონ მეფემ დიდი ბრძოლებით ლორეს, დმანისისა და სამშვილდის ციხეები გაათავისუფლა. ზოგიერთი ცნობით, მას თბილისიც დაუკავებია, მაგრამ მცირე ხნით. ოსმალეთი ძლიერ შეაშფოთა სიმონის წარმატებებმა და უკვე შემდეგ წელს საქართველოში გამოგზავნა ახალი მთავარსარდალი ფერჰად-ფაშა, რომელსაც ახლდა დიდი ჯარი და არტილერია. ოსმალებმა სასტიკი ბრძოლით კვლავ დაიპყრეს ლორე, დმანისი და თბილისისაკენ გამოემართნენ.

მტერი საგისოფელთან დაბანაკდა. აქვე მოვიდა სიმონ მეფე თავისი ლაშქრით. აღსანიშნავია, რომ თვითონ მეფე ელჩად გამოწყობილი ეახლა ოსმალთა ჯარის სარდალს, ვითომდა ბაკზე მოსალაპარაკებლად, სინამდვილეში კი მას მტრის ჯარის დაზვერვა ჰქონდა განზრახული. სამწუხაროდ, მან ვერ შენიშნა ოსმალთა ჯარის ნაწილი, რომელიც მთის გაღმა იყო დაბანაკებული. მეორე დილას, უთენია სიმონი თავისი 4000-იანი რაზმით მესიყით დაატყდა თავს ოსმალებს და დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ ოსმალებს ახალი, 10000-იანი ლაშქარი შემოეშველებათ, რამაც ისინი ისსნა სრული განადგურებისაგან. სიმონი იძულებული გახდა ბრძოლის ველს გასცლოდა. ოსმალები განცვიფრებულნი დარჩნენ სიმონისა და მისი მცირე რაზმის არაჩვეულებრივი სიმამაცით. ტომაზო მინალოის სიტყვით, სიმონმა ამ ბრძოლით „დატოვა უეჭველი კვალი თავისი გმირული წინააღმდეგობისა მოკლული და დაჭრილი, სასტად დარჩენილი და გასცვიფრებული მტრების სახით". სიმონი, მართლაც არაჩვეულებრივი სიმამაცის �aci იყო. მისი ბლეარგადაცილებული სიმამაცის გამო თურქებმა მას „ღელი" (გასელებული) სიმონი შეარქვეს.

1587 წელს ოსმალებმა კიდევ ერთხელ სცადეს საქართველოს წინააღმდეგობის გატეხვა და დიდი ჯარი გამოგზავნეს ისევ ფერჰად ფაშას სარდლობით. ჯარის ერთი ნაწილი სამცხეში შევიდა. მანუჩარმა დახმარება სიმონს სთხოვა. ქართლის მეფე დაუყოვნებლივ ახალციხისკენ გაემართა, მაგრამ თურქთა მეორე ჯარი ქართლში შემოიჭრა და სიმონი იძულებული გახდა თავისი სამეფოსთვის მიეხედა. ფერჰად ფაშამ კელავ დაიკავა თბილისი და ქართლის სხვა ციხეებიც ახალი დამატებითი ძალით გაამაგრა. თუმცა თვითონ ქვეყანა მსოლოდ სიმონს ემორჩილებოდა. ოსმალებმა ახალციხეც დაიპყრეს, მანუჩარი აიძულეს, მისი მომხრეებითურთ, სამცხეს გასცლოდა და თავი ქართლისთვის შეეფარებინა.

ამ პერიოდში ოსმალეთს ირანის წინააღმდეგ ომში შესამჩნევი წარმატებები ჰქონდა. 1588 წელს მათ განჯა-ყარაბაღი დაიპყრეს. კახეთის მეფე ალექსანდრეც იძულებული გახდა ისევ ოსმალეთის უზენაესობა ეცნო. ირანი უკვე ოსმალეთთან ზავს ეშურებოდა. შექმნილ ვითარებაში სიმონ მეფემაც დაზავება ამჯობინა. მან მოლაპარაკება გამართა ფერჰად-ფაშასთან და ზაეის საბოლოოდ დასაღებად ელჩობა გაგზავნა სტამბოლში სულთან მურად III-ის კარზე. დაზავების პირობით, სიმონი კისრულობდა ყოველწლიურ ხარკს, სამაგიეროდ ოსმალეთი ცნობდა მას ქრისტიანობით ქართლის მეფედ, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და არ ჩაერეოდა მის საშინაო საქმეებში. ეს, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთი ამჯერად ხელს იღებდა ქვეყნის სრულ დაპყრობაზე და მსოლოდ ვასალური დამოკიდებულებით კმაყოფილდებოდა.

ქართველი სალხის 10 წლის გმირულმა ბრძოლამ ოსმალეთი აიძულა უარი ეთქვა ქართლის გაოსმალებაზე. ეს „ქართველობისათვის" მებრძოლთა დიდი გამარჯვება იყო.

სიმონ I-მა დასავლეთ საქართველოს შემოერთებაც სცადა და 1588-1590 წწ. სამჯერ ილაშქრა იმერეთში, მაგრამ, ადგილობრივ მთავართა და თავადთა წინააღმდეგობის გამო, ეს დიდი საქმე ვერ განხორციელდა.

ოსმალების მიერ ამიერკავკასიის დაპყრობის შემდეგ მაინ მხარეზე დადგა დაღესტნის მფლობელი შამხალი, რომელმაც თავისი ახალი მფარველის მხარდაჭერითა და წაქეზებით დაიწყო შეტევა კახეთზე. ეს იყო ძირითადად ქურდული თავდასხმები ტყეების მოტაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-რბევის მიზნით. ასეთი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა კი მეტისმეტად უჭირდა ფეოდალურ ქვეყანას. ამრიგად, მართალია, ოსმალეთს კახეთი უშუალოდ არ დაუპყრია, მაგრამ მისი ზეგავლენა კახეთისათვის საბედისწერო შეიქნა. ამავე დროს კახეთის მმართველი წრეები კარგად გრძნობდნენ, რომ ოსმალეთი, როგორც კი ირანსა და ქართლში ომს მოათავებდა, კახეთისთვისაც მოიცლიდა და მის ეასალურ დამოკიდებულებას აღარ დასჯერდებოდა.

კავკასიაში ოსმალეთის გაბატონებამ დიდი საფრთხე შეუქმნა რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ოსმალებმა რამდენჯერმე სცადეს თვით ასტრახანის აღებაც. რუსეთისთვის უაღრესად საჭირო იყო, რომ ამიერკავკასიაში ერთგული მოკავშირე პყოლოდა. 1585 წელს კახეთში ჩავიდა რუსეთის მეფის მოციქული, ასტრახანელ მეთოფეთა ასისთავი რუსინ დანილოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, დაეკვერა ვითარება კავკასიაში და დაერწმუნებინა ადგილობრივი ხელისუფალნი, მიემართათ რუსეთისათვის მფარველობის თხოვნით.

ალექსანდრე მეფე კმაყოფილებით შესვდა ამ წინადადებას. ირანი დამარცხებული და ამიერკავკასიიდან გაძევებული იყო და კახეთმე პრეტენზიების თავი აღარა ჰქონდა, პირიქით, იგი რუსეთთან კავშირს თვითონ ეშურებოდა, რათა ეს მძლავრი ქვეყანა თურქეთის წინააღმდეგ გამოეყენებინა. ამრიგად, კახეთის დაკავშირება რუსეთთან ირანის მხრივ პროტესტს ვერ გამოიწვევდა. ყველაზე მოხერხებული გზა, რომლითაც შეიძლებოდა კახეთი ასტრახანს დაკავშირებოდა, დაღესტან-საშამხლოზე გადიოდა. რუსეთის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური კავშირის პრაქტიკული განხორციელებისათვის აუცილებელი იყო ამ გზის გახსნა, ე. ი. რუსეთის მიერ საშამხლოს დაკავება და ამ გზაზე ციხეების ჩადგმა. ეს კი იქნებოდა გარანტია იმისა, რომ შეწყდებოდა დაღესტნელი მთიელების ქურდული თავდასხმები, გაირღვეოდა ბარბაროსული გარემოცვის ავბედითი რკალი.

უკან გაბრუნებულ რუსინ დანილოვს კახეთის მეფემ თავისი ელჩები -იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტა ჩერქეზი გააყოლა.

მოსკოვში ჩასულმა ქართველმა ელჩებმა რუსეთის მეფეს ალექსანდრე კახთა მეფის სიგელები და მოსაკითხი გადასცეს. ამ სიგელებით კახეთის მეფე მოსკოვის სამეფო კარს მფარველობას სთხოვდა და კონკრეტულად აყენებდა საკითხს, რათა რუსეთს თერგზე ციხე-ქალაქი აეგო, შიგ დიდი ჯარი ჩაეყენებინა და დაეჭირა გზა თერგიდან კახეთამდე, რომელიც საშამხლოზე გადიოდა. ამით შამხალის კახეთზე თავდასხმებს ბოლო მოეღებოდა. საჭიროების შემთხვევაში რუსეთი ქმედითად შეძლებდა კახეთისთვის დახმარების გაწევას. მეორე მხრივ, ეს რუსეთისთვისაც მეტად სასარგებლო იქნებოდა, რადგან ასე-

რუსი ელჩები მილბაზე. XVI საუკუნის გრავიურა.

თი ლონისძიებანი შესამჩნეველად გააძლერებდა რუსეთის პოზიციებს კავკასიაში და უზრუნველყოფდა ვოლგის დიდი საეაჭრო გზის („აბრეშუმის გზის“) უშიშროებას.

ქართველ ელჩებს რუსეთის მეფემ თავისი ელჩები-როდიონ ბირკინი და პეტრე პიეოვი გამოაყოლა. მათ ევალებოდათ რუსეთ-კახეთის პოლიტიკური დაკავშირება ოფიციალურად გაეფორმებინათ. 1587 წლის 28 აგვისტოს მეფე თეოდორეს ელჩები უკვე კახეთის მეფის კარზე იყვნენ და დაიწყეს მოლაპარაკება ამ ორ სახელმწიფოს შორის მფარველობა-ხელდებულობის აქტის პირობების შესამუშავებლად. მოსკოვიდან მათ ჩამოიტანეს „ფიცის წიგნის“ ტექსტი, რომელიც კახეთის მეფეს უნდა მიეღო.

ერთი თვის მოლაპარაკების შემდეგ, 1587 წლის 28 სექტემბერს ალექსანდრე მეფემ თავისი შეილებითა და დარბაისლებითურთ მოსკოვის მეფის ხელდებულობის ფიცი მიიღო. თავის მხრივ, რუსეთის მეფე თეოდორემ 1589 წელს გამოგზავნა „წყალობის სიგელი“ და ამით ორივე მხარის მიერ დამტკიცებული იქნა ხელშეკრულების პირობები: რუსეთის მეფე კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში იღებდა და კისრულობდა კახეთის დაცვას საგარეო მტრებისაგან; კახეთის მეფეს. თავის მხრივ, რუსეთის მტრები თავის მტრებად უნდა ჩაეთვალა, ხოლო მოყვარე-მოკავშირენი - თავის მოყვრებად; მოსკოვის მეფეს ციხე უნდა აეგო თერგზე და თერგ-კახეთის გზა დაეჭირა; ამ ციხის გარნიზონის შენახვას თვითონ რუსეთი კისრულობდა, კახეთის მეფეს ყოველწლიურად ძღვენ-მისართმეველი უნდა გაეგზავნა მოსკოვში.

ამრიგად, 1587-1589 წლების აქტი არის პირველი ოფიციალური ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა რუსეთსა და საქართველოს შორის. ამ ხელშეკრულების პირობით რუსეთმა მდინარე თერგზე ციხესიმაგრე ააგო (1588 წ.) და შიგ თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. ამავე დროს დაიწყო სამზადისი შამხალის წინააღმდეგ სალაშქროდ. უფრო გვიან 1593-1595 წწ. ეს ლაშქრობა განსორციელდა კიდეც, მაგრამ ამან ისეთი შედეგი მაინც ვერ მოიტანა, რაც ორივე მხარეს სურდა: რუსეთმა ფეხი ვერ მოიკიდა დაღესტნის ტერიტორიაზე და ვერც ის გზა დაიჭირა, რომლითაც იგი კახეთს დაუბრკოლებლად დაუკავშირდებოდა, ხოლო კახეთის დაკავშირებამ რუსეთთან ოსმალეთი მეტისმეტად გააღიზიანა, და თუ არა ალექსანდრე მეფის მოხერხებული დიპლომატია (ხარკის ყესიერად გადახდა, უფროსი ვაჟიშვილის სტამბულის კარზე გაგზავ-

ნა და სხვ.), სულთნის რისხვას ვერ გადარჩებოდა. კახეთის სამეფო მტკიცედ იდგა რუსეთთან კავშირის განმტკიცების პოზიციაზე. ამის შემდეგ მთელი ოცი წლის განმავლობაში კახეთიდან სისტემატურად იგზავნებოდა ელჩები რუსეთში, ისევე როგორც რუსეთიდან კახეთში, ვიდრე ეს ურთიერთობა ერთი დაკერით არ ჩაშალა ირანის ასალმა მბრძანებელმა შაჰ-აბას პირველმა.

ქართლის ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ XVI საუკუნის 90-იან წლებში

შაჰ-აბასი ირანის ტახტზე 1587 წელს ავიდა და ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად ენერგიულად შეუდგა ღონისძიებების გატარებას. 1590 წლის 21 მარტს მან ოსმალეთთან მიაღწია ზავს, რომლის პირობითაც, მართალია, დათმო დიდი ტერიტორია, მათ შორის მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია, მაგრამ, სამაგიეროდ, მშვიდობა მოიპოვა, რაც აუცილებელი იყო ახალი ომისათვის მოსამზადებლად. შაჰ-აბასმა დაამარცხა უზბეკები, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან თავს ესხმოდნენ ირანს; მკაცრი რეპრესიებით დათრგუნა ყიზილბაში ტომების თვითნებობა, შეამცირა მათი მნიშვნელობა ირანის სამხედრო ძალასა და ქვეყნის მართვა-გამგეობაში; მათ მაგივრად დააწინაურა ირანელი და კავკასიის ქვეყნებიდან გამოსული პირები; შექმნა მუდმივი ჯარი და შაჰის მცველი გვარდია, რომელიც ძირითადად არაყიზილბაშთაგან (აქაც მნიშვნელოვანი ადგილი კავკასიელებს ეკავათ) შედგებოდა; შეიარაღებაში ფართოდ გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი (არტილერია, თოფსანა). მისი ამ ღონისძიებების სულისჩამდგმელი და უახლოესი თანაშემწე ალავერდი-ხანი, წარმოშობით საქართველოელი იყო, გვარად უნდილაძე. იგი უბრალო ტყვედან ყულარაღასობამდე (შაჰის მცველი გვარდიის მეთაური) დაწინაურებულიყო და შემდეგ ფარსის ბეგლარბეგი და ირანის სპასალარი გამხდარიყო.

ირანის შაჰის კარი ოსმალეთის წინააღმდეგ ომის განახლებას არა მარტო საშინაო ღონისძიებების გატარებით ამზადებდა, არამედ ცდილობდა შეექმნა ფართო კოალიცია, რომელშიც ევროპის ქვეყნებთან ერთად რუსეთის ჩაბმაც პქონდათ გამიზნული. ამიტომ იყო, რომ შაჰ-აბასი თავდაპირველად კახეთის რუსეთთან დაკავშირებას დიპლომატიური დუმილით შეხვდა, უფრო მეტიც, მან სწორედ ქართველი ქრისტიანი მეფეების - სიმონისა და ალექსანდრეს - მეშვეობით სცადა ევროპის ქრისტიან ქვეყნებთან საერთო ენის გამონახვა. ევროპის სახელმწიფოებიც, შეშფოთებულნი იმით, რომ 1590 წლის ზავის შემდეგ ოსმალეთი მთელი თავისი ძალით ევროპას მიუბრუნდებოდა, ბედიზედ აგზავნიდნენ თავიანთ აგენტებს ირანსა და საქართველოში და მოუწოდებდნენ მათ ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა განეახლებინათ.

მეფე სიმონი დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ამ მოწოდებას. შემორჩენილია წერილები, რომლებიც მას გაუგზავნია რომის პაპის, გერმანიის იმპერატორისა და ესპანეთის მეფისათვის [ა] რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ ოსმალთა წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ ქართლისა და კახეთის მეფეები და სპარსეთის შაჰი და მზად იყვნენ დაეწყოთ გადამწყვეტი ბრძოლა საერთო საქ-



შაჰ-აბასი შუბარლუნით ხელში. XVII ს. სპარსული მინიატურა.

მისათვის. რა თქმა უნდა, ამას სიმონ მეფე შაჰ-აბასის თანხმობითა და რჩევით წერდა, მაგრამ ამ ბრძოლის განახლება და მისი საბოლოო გამარჯვებით დამთავრება ყველაზე მეტად მის მიზნებში შედიოდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ევროპასთან შეთანხმება ვერ მოხერხდა და ირანიც ომს ჯერ არ წყებდა, 1598 წელს ქართლის მეფემ განაახლა ომი ოსმალეთთან და გორის ციხეს ალყა შემოარტყა.

გორის ციხე ოსმალებს საგულდაგულოდ ჰქონდათ გამაგრებული და მისი აღება გაძნელდა. 9 თვის ალყის შემდეგ, 1599 წლის გაზაფხულზე, ქართველებმა გორი აიღეს. ამის შემდეგ სიმონი თბილისის გასათავისუფლებლადაც იწყებს მზადებას.

ქართლთან ერთად აჯანყდა სამცხეც მანუჩარ ათაბაგის მეთაურობით. აჯანყებულთა წარმატებებით შეშფოთებულმა სულთანმა დიდძალი ჯარი გამოგზავნა საქართველოში. ალგეთთან მოსული მტერი ნახიდურთან დაბანაკდა და თბილისისაკენ წამოსასვლელად ემზადებოდა. სიმონმა ლაშქრის თავმოყრა ვერ მოასწრო და გადაწყვიტა, მის ხელთ მყოფი მცირე ძალებით შებმოდა მტერს.

მემატიანე გადმოგვცემს, რომ ბრძოლის წინ ქართველები ერთმანეთს გამოეშვიდობნენ, ზიარება მიიღეს და სასიკვდილოდ განწირულებმა თავდადებით შეუტიეს მტერს. უთანასწორო ბრძოლა 5 საათს გაგრძელდა. ქართველებმა უკანდახევა დაიწყეს. ფარცხისის ასლოს, ვიწრო გზაზე, შემთხვევით, მეფის ცხენი ტალახის ღრმა საფლობში ჩაეფლო და მისი ამოყვანა გაძნელდა. ამასობაში მას ოსმალებიც წამოეწიენენ. მეფე ბოლომდე მხნედ იბრძოდა და მტერს არ ნებდებოდა. ოსმალების მხარეზე გადასულმა მოღალატეებმა მეფე იცნეს და სარდალს მოახსენეს. ოსმალთა სარდალმა ჯაფარ-ფაშამ მისი ცოცხლად შეპყრობა ბრძანა. დატყვევებული სიმონი სტამბოლს გაგზავნეს.

სომეხი ისტორიკოსის არაქელა თავრიზელის ცნობით, სულთანმა, როდესაც სიმონ მეფის დატყვევების ამბავი შეიტყო, ბრძანა მთელი თავისი იმპერიის ქალაქებში ქუჩები მოერთოთ და 3 დღე-ღამის განმავლობაში ეუქმათ და ეზეიმათ.

სიმონ პირველის ბრძოლა ოსმალო ფაშასთან. ძველი ოსმალური მინიატურა.

1600 წლის 21 ივნისს მეფე სიმონი სტამბოლში ჩაიყვანეს. აქ ქართლის გმირი მეფე გამოკეტეს იეტიყულეს ცნობილ ციხეში, სადაც, ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ, გარდაიცვალა. სამშობლოსათვის თაყდადებული მეფის ნეშტი ქართველებმა, დიდი მცდელობის შემდეგ, ქართლში ჩამოასვენეს და მისი გმირი მამის, მეფე ლუარსაბის გვერდით დაკრძალეს მცხეთაში.

ქართლის ამ მრავალწლიან, შეურიგებელ ბრძოლას ყიზილბაშებსა და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საქართველოსთვის. ამ ბრძოლების შედეგად ქვეყნის დიდი ნაწილი გადაშენებას გადაურჩა. შენარჩუნებულ იქნა ქართული სახელმწიფოებრიობა და სოციალურ-ეკონომიკური წყობა, მაგრამ უძლიერეს აგრესორთა დაკინებულმა შემოტევამ მაინც თავისი გაიტანა და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში ოსმალებმა შედარებით მტკიცედ მოიკიდეს ფესვი.

სამცხე-საათაბაგოს საბოლოო დაპყრობა თურქ-ოსმალთა მიერ

1590 წლის გაზის შემდეგ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამცხე-საათაბაგოში. ამ გაზის პირობით ეს ქართული ქვეყანა მთლიანად ოსმალეთს დარჩა. მანუჩარი და მისი მომხრეები იძულებულნი გახდნენ სამცხე დატოვებინათ. სულთნის ხელისუფლება ენერგიულად შეუდგა აქ ოსმალური მწათმფლობელობისა და მართვა-გამგეობის წესების შემოღებას. სამცხე-საათაბაგო 8 სანჯაყად ანუ ლივად (ოსმალურ ადმინისტრაციულ ერთეულებად) დაყვეს. ესენი იყო: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრას, ფანაკის და დიდი არტაანის ლივები. 1595 წელს ოსმალო მოხელეებმა შეადგინეს საქართველოს ამ ნაწილის აღწერის დავთარი, რომელსაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარი“ ეწოდება. ამ დავთრის მიხედვით სულ სამცხეში აღწერილი იყო 1160 სოფელი, რომლებსაც ოსმალური გადასასადები შეაწერეს. ქვეყანაში თანდათანობით ქართული მიწათმფლობელობა ოსმალური მიწათმფლობელობით იცვლებოდა. ქართული სამამულო-მემკვიდრეობითი მიწათმფლობელობა, რომელიც სოფლის მეურნეობის ტრადიციულ, ინტენსიურ ხასიათს კარგად შეეფარდებოდა, უფრო პროგრესული

იყო, ვიდრე ოსმალური სამსედრო-ლენური. ამდენად, აქ ოსმალური მიწათმფლობელობის ფორმების იძულებით დანერგვა მოასწავებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ დაკნინებას, რეგრესს, რაც ასე თვალნათლად დასტურდება ამ კუთხის შემდგომი საერთო განვითარების მდგომარეობით. ქართველი ფეოდალის წინაშე დგებოდა ალტერნატივა - ან უნდა მიეღო მაჰმადიანობა და შესულიყო ოსმალეთის სამსახურში და ასეთი გზით შეენარჩუნებინა თავისი სამფლობელო, ვინაიდან ოსმალური წესით, მიწის მფლობელი (ისიც დროებითი) შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მსედარი და ისიც მაჰმადიანი, ან უნდა დაეკარგა თავისი მამა-პაპეული მიწა-აღგილი და ქვეყანას გასცლოდა. მის სამფლობელოს ოსმალო მხედარს გადასცემდნენ. ოსმალეთის მთავრობა ისედაც ართმევდა მამულებს იმ ქართველ ფეოდალებს, რომლებიც ოსმალთა წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლებში იყვნენ შენიშნულნი. ოსმალები სასტიკად სდევნიდნენ და აციწროებდნენ ქართულ ეკლესიას, ართმევდნენ მას სამფლობელო მამულებს და ვაკუფად (მუსლიმი სასულიერო პირების სამფლობელოდ) აქცევდნენ. ეკლესიების დიდი ნაწილი მეჩეთებად გადააკეთეს. ქრისტიანად დარჩენილ მოსახლეობას დამატებითი გამოსაღები უნდა გადაეხადა და ა. შ. ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი კიდევ დიდსანს ინარჩუნებდა ქრისტიანობას, ქართველობას და მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალ ხელისუფალთა აღნიშნულ ღონისძიებებს. სულთნის მთავრობა ქართული მოსახლეობის წინააღმდეგობის დასათრგუნავად და გათურქების პროცესის დასაჩქარებლად აქ თურქ მომთაბარეებსა და სხვა ტომებს (მაგ., ქურთებს) ასახლებდა.

აღგილობრივ ქართველ მიწათმოქმედ მოსახლეობას მძიმე გადასასადები დააკისრეს. ამას ემატებოდა რელიგიური და ეროვნული ჩაგვრა და განუკითსაობა. გლეხები ამ მძიმე პირობებსა და გადასასადებს ვერ აუდიოდნენ და მასობრივად გარბოდნენ თავიანთი მიწა-წყლიდან.

თურქეთის მთავრობა იძულებული იყო გარკვეულ დათმობაზე მაინც წასულიყო და ქართველ თავად-აზნაურთა ერთი ნაწილისათვის შეენარჩუნებინა როგორც ქრისტიანობა, ისე მიწის საკუთრებაც. ზოგიერთ გამაპმადიანებულ ქართველ ფეოდალს ქართული წესით უგოვებდნენ სამფლობელოს. ძირითადად იმათ, ვინც გარკვეული სამსახური გაუწია ოსმალებს ქვეყნის დაპყრობის საქმეში. მაგრამ მათი ასეთი შეღავათიანი მდგომარეობაც დროებითი იყო. საბოლოოდ შედეგად მთელს ამ ქვეყანას გათურქება-გაოსმალება მოელოდა.

ამრიგად, XVI საუკუნის მიწურულისათვის ფეოდალური საქართველოს ყველაზე დიდი მარცხი იყო მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილის, სამცხე-საათაბაგოს დაკარგვა და იქ ოსმალთა ბატონობის („ოსმალობის“) დამყარება. „საქართველოს მოწყდა და მისი ეროვნული კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდალური საქართველოს ერთი ყველაზე დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი, - სამშობლო ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა“ (ნ. ბერძენიშვილი).

IV თავი

საქართველო XVII საუკუნეში

შაჰ-აბასის შემოტევა კახეთზე XVII საუკუნის დასაწყისში

XVII საუკუნის დასაწყისიდან ირანის შაჰმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კახეთის სამეფოს. კახეთი იყო ერთადერთი ქართული ქვეყანა, რომელიც ოთქმის საუკუნე-ნახევრის განმავლობაში მშვიდობიანად ვითარდებოდა და საკმაოდაც მომძლავრებულიყო. კახეთის მეფე ალექსანდრე II დიდ იმედს ამყარებდა რუსეთთან კავშირზე. ამავე დროს იგი ოსმალეთთანაც ახერხებდა საერთო ენის გამონახვას. გასაგებია, შაჰ-აბასს არაფრად მოსწონდა კახეთის მეფე და ყველა საშუალებით ცდილობდა მის თავიდან მოცილებას.

1601 წელს კახეთის სამეფოს კარზე გადატრიალება მოხდა. ალექსანდრეს უფროსმა შვილმა დავითმა აიძულა ავადმყოფი მეფე ბერად შემდგარიყო და სამეფო ნიშნები მისთვის გადაეცა. მალე მან დააპატიმრა თავისი მომდევნო ძმა გიორგიც. ამ ამბებში შაჰ-აბასის ფარული ხელი ერია. მაგრამ დავითმა ტახტზე მხოლოდ 1 წელი დაჰყო და 1602 წლის ოქტომბერში მოულოდნელად გარდაიცვალა.

დავითის გარდაცვალებისთანავე ალექსანდრე მეფობას დაუბრუნდა და თანამმართველად გიორგი ბატონიშვილი დაისვა.

ამასობაში შაჰ-აბასმა, საფუძველიანი სამზადისის შემდეგ, დაარღვია ოსმალეთთან ზავი და შეტევაზე გადავიდა. 1603 წელს იგი უკვე ერევნის ციხეს შემოადგა. აქ მან თავისთან დაიბარა ქართლის მეფე გიორგი X სიმონის ძე და კახეთის მეფე ალექსანდრე II. ქართლის მეფე დაუყოვნებლივ გამოცხადდა შაჰთან, მეფე ალექსანდრემ კი, კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ, სამეფოს მმართველად გიორგი ბატონიშვილი დატოვა და თვითონ კახელთა ჯარის ნაწილით შაჰთან გაემგზავრა. შაჰ-აბასმა, რა თქმა უნდა, იწყინა ალექსანდრე მეფის ფეხის ათრევა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და მაინც დიდი პატივით მიიღო.

ერევნის აღების შემდეგ შაჰმა ქართლის მეფე გიორგი უკან დააბრუნა, ხოლო ალექსანდრე თაეისთან დაიტოვა. ალექსანდრეს შაჰის საპატიო ტყვეობიდან დასსნა უკვე საეჭვო ჩანდა, მაგრამ კახეთის მეფემ ამჯერადაც ნახა გამოსავალი. 1604 წლის ბოლოსა და 1605 წლის დასაწყისში ოსმალეთთან ომში ირანი მარცხდებოდა და უკან იხევდა. ირანელებმა ვერ შეძლეს შარვანიდან ოსმალების განდევნა. ამით ისარგებლა ალექსანდრემ და ირანის შაჰს საქართველოში გამოშვება სთხოვა იმ პირობით, რომ იგი შარვანიდან ოსმალებს განდევნიდა. შაჰ-აბასი იძულებული გახდა დათანხმებოდა კახეთის მეფეს, მაგრამ მისდამი ნდობა მაინც არ ქონდა. ამიტომ იყო, რომ ალექსანდრეს თან მისი გამაპმადიანებულ-გასპარსელებული შვილი კონსტანტინე მირზა გამოატანა ყიზილბაშთა ჯარით, რომელსაც დააკალა, თუ მეფე ალექსანდრეს ირანის საწინააღმდეგო რაიმე განსრახვას შეაგვიყობდა - დაუნდობლად ემოქმედა.

კახეთში ამ დროს რუსეთის ახალი ელჩობა იყო ჩამოსული თაეად მიხეილ ტაგიშჩეევის მეთაურობით. ამ ელჩობამ განაახლა რუსეთსა და კახეთს შორის დადებული ხელშეკრულება. ამავე დროს რუსეთის ჯარმა დაიწყო ბრძოლები შამხალის წინააღმდეგ და, პირობისამებრ, კახეთს ეეალებოდა სამხედრო ძალა მიეშველებინა მისთვის. ამას კატეგორიულად წინ აღუდგა კონსტანტინე მირზა, რომელიც კახეთის ჯარის შარვანში გაგზავნას მოითხოვდა. ამ საკითხებზე თათბირის დროს, 1605 წლის 12 მარტს ქ. ძეგამში, მეფის სასახლეში, კონსტანტინეს ბრძანებით, ყიზილბაშებმა ამოხოცეს მეფე ალექსანდრე, გიორგი ბატონიშვილი და მათთან თათბირზე მყოფი კახელი დარბაისლები. კონსტანტინე მირზამ თავი მეფედ გამოაცხადა, მაგრამ კახელებმა მამის მკვლელი ბატონიშვილი თავიანთ მეფედ არ ცნეს და აჯანყებისთვის დაიწყეს მზადება. ამ მზადებას ხელმძღვანელობდა ალექსანდრეს რძალი, მისი უფროსი ეაეის, დაეითის ქერიეი, დედოფალი ქეთევანი.

მიუხედაეად იმისა, რომ კონსტანტინეს ზურგს ძლიერი შაჰ-აბასი უმაგრებდა, მისი „მეფობა" კახეთში მაინც უდღეური გამოდგა. აჯანყებულმა კახელებმა 1605 წლის 18 ოქტომბერს იგი ბრძოლაში მოკლეს. ქეთევან დედოფალმა შაჰ-აბასს მოსთხოეა მეფედ მისი შვილი თეიმურაზი გამოეგზავნა. ოსმალეთთან ომის მსელელობაში შაჰი მოერიდა კახეთში ახალი აჯანყების ცეცხლის დანთებას და დათანხმდა თეიმურაზის ქრისტიანული წესით გამეფებას (1606 წ.). კახეთისათვის სამაგიეროს გადახდა მან შემდგომისთვის გადასდო.

1606 წელს შაჰ-აბასმა ოსმალებს წაართეა ყარაბაღი და განჯა, შემდეგ ქართლში შემოვიდა და აიღო ლორეს, დმანისისა და თბილისის ციხეები. თბილისში მან ქართლის მეფედ უეცრად გარდაცელილი გიორგი X-ის 14 წლის ეაეიშვილი ლუარსაბ II დაამტკიცა. ციხეებში ყველგან თაეისი გარნიზონები ჩააყენა. ამრიგად, ქართლ-კახეთში ოსმალთა ბატონობა ყიზილბაშთა ბატონობით შეიცვალა.

კახეთის აოხრება ყიზილბაშთა მიერ

1612 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც, ძირითადად, 1555 წლის ზავით დადგენილი საზღვრები უნდა აღდგენილიყო, ირანს ოსმალეთისათვის ყოველწლიურად 200 საპალნე აბრეშუმი უნ-

და ეძლია. შაჰ-აბასმა მშვიდობა ქართლსა და კახეთში თავისი ბაგონობის განსამტკიცებლად გამოიყენა. მან, უპირველეს ყოვლისა, კახეთი ამოიღო მიზანში.

კახეთში გამეფების შემდეგ თეიმურაზ I-მა შაპისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება სცადა. როგორც ჩანს, იგი ცდილობდა, რუსეთთან შეწყვეტილი ურთიერთობა აღედგინა. ამავე დროს ლუარსაბ II-ს დაუკავშირდა, რათა ერთობლივად ემოქმედათ. შექმნილ ვითარებაში შაჰ-აბასი აჩქარდა, რადგან რუსეთმა თანდათან თავი დააღწია გართულებულ საშინაო და საგარეო ვითარებას და სანამ კახეთის ეს ქრისტიანი მოკავშირე-მფარველი კავკასიის ასპარეზზე ხელახლა გამოვიდოდა, შეეცადა საქართველო მოესპო. მან ჯერ, ვერაგობითა და ცბიერებით, ხელთ იგდო თეიმურაზის მცირეწლოვანი ვაჟიშვილები და დედა, დედოფალი ქეთევანი, შემდეგ, დემაგოგიური დაპირებებით, გავლენიანი ფეოდალები ჩამოაშორა მეფეს, ხოლო 1614 წელს თითქმის უბრძოლველად დაიკავა მისი სამეფო. მომხრეებშემოცლილი თეიმურაზი იძულებული გახდა თავისი ამალით ქართლში გადასულიყო. ქართლში მას ლუარსაბ II შეუერთდა. როგორც ვაირკვა, ირანთან ბრძოლას ქართლის თავადებიც არ უჭერდნენ მხარს, ამიტომ ორივე მეფე იმერეთს შეეხიზნა.

კახეთში შემოსული ყიზილბაშები თავდაპირველად ფრთხილად მოქმედებდნენ და კახეთის მოსახლეობას თავს მოყვრად აჩვენებდნენ. თეიმურაზის გადასვლის შემდეგ მათ ქვეყნის ძარცვა-რბევას მიჰყვეს ხელი, განსაკუთრებით ერწო-თიანეთი ამოიღეს მიზანში, რადგან იქაურმა მოსახლეობამ ერთგულად დაუჭირა მხარი თეიმურაზს. ერწო-თიანეთიდან მათ 30000-ზე მეტი სული აპყარეს და ირანში გადაასახლეს. ყიზილბაშებმა შეურაცხყვეს და შებილწეს კახეთის ეკლესია-მონასტრები, ხელთ იგდეს და გაიტანეს სამეფო საგანძური, გაძარცვეს აყვავებული სოფლები და ქალაქები. ყველასათვის ნათელი გახდა შაჰ-აბასის ნამდვილი განზრახვა და ქვეყნის ბედი, ამიტომ კახეთის მოსახლეობა ერთსულოვნად დაირაზმა მტრის წინააღმდეგ. თვით შაჰის მიერ მოტყუებული და მის სამსახურში ჩამდგარი კახელი ფეოდალები ამჯერად უკვე ამ მოძრაობის სათავეში ჩადგნენ. აჯანყებამ 1615 წლის სექტემბერში იფეთქა

ალავერდობის დღესასწაულზე მოსული კახელი მლოცველები დავით ჯანდიერის მეთაურობით თავს დაესხნენ ალავერდის მონასტერში გამაგრებულ ყიზილბაშებს, რომლებსაც ეს განთქმული ტაძარი თავიანთ ციხესიმაგრედ და საადგომად ექციათ. აქედან აჯანყება მთელს კახეთს მოედო. აჯანყებულებმა ყიზილბაშები დაამარცხეს და კახეთიდან განდევნეს. აჯანყებულ კახელებს შეუერთდა მეგობელი შარვანის მოსახლეობა, რამაც შაჰ-აბასი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

თეიმურაზი დაუყოვნებლივ დაბრუნდა კახეთში და სათავეში ჩაუდგა განმათავისუფლებელ ბრძოლებს. მისი მეთაურობით კახელებმა სასტიკად დაამარცხეს შაჰ-აბასის მიერ გამოგზავნილი ყიზილბაშთა 15000-იანი ჯარი და დაიწყეს სამზადისი ირანის ასალი ძალების შემოტევის მოსაგერიებლად.

შაჰ-აბასი საშინლად განარისხა მისი არმიის განადგურების ცნობამ და სანგანგებო მომზადების შემდეგ 1616 წლის აღრიან გაზაფხულზე უზარმაზარი ლაშქრით საქართველოსაკენ გამოემართა. იგი ჯერ ქართლში შემოვიდა. მან ქართლის მმართველად დაუდ-ხანის შვილი, ბაგრატ-ხანი დანიშნა. აქედან კი

შაჰ-აბას I.

კახეთში გადავიდა და თანამიმდევრულად შეუტევა მის განადგურებას. ყიზილბაშები ორი მხრიდან შეიჭრნენ კახეთში. ქართლიდან თეიმურაზ შაჰ-აბასი უტევდა. მისი ბრძანებით ყიზილბაშებმა ამ მიმართულებით გზები ჩაკეტეს. ამავე დროს შაჰმა დალესტნელ ყაჩაღებს მოუწოდა, მიეებში შეხიზნული კახელები ექლიტათ და დაეტყვევებინათ. თეიმურაზ I-მა მაინც შეძლო ალვის გარღვევა და თავისი ამალით კვლავ იმერეთში გადავიდა. კახეთის მოსახლეობა კი უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. ირანელთა მეორე ლაშქარი აღმოსავლეთიდან, შარვანის მხრიდან შემოიჭრა. ბრძოლა სანგრძლივი და დაუნდობელი იყო. მოსახლეობა გააფთრებით იცავდა თავის სახლ-კარს, სოფელსა თუ ქალაქს. განსაკუთრებით სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მიმხლურებს ქ. ძეგამის მოსახლეობამ, მაგრამ ძალები უთანაბრო იყო. ყიზილბაშებმა მთლიანად გაძარცვეს და დაანგრიეს კახეთის ეს უმდიდრესი ქალაქი. როგორც სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში წერს, აქ „კვალიც კი არ დატოვეს მოსახლეობისა". მარილაც, ღვინ ამ ქალაქის ნანგრევებიც კი არ ჩანს. ასეთი ბედი ეწია კახეთის მრავალ ქალაქსა და სოფელს. შაჰ-აბასის ჯარები ანადგურებდნენ, ანგრევდნენ, სწვავდნენ სახლებს, ეკლესიებს, ციხეებს — ყველაფერს, რაც კი ხელებოდათ. მისი ბრძანებით ჩეხდნენ ხეხილსა და ზეარ-ყვავილებს, თუთის ხეებს ძირ-ფესვიანად თხრიდნენ. აყვავებული ქვეყნის ადგილ ნაწილი მათ ნანგრევებად აქცევს. თვით სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, ასეთი „ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვეობა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა, რაც კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გამრეწის დროიდან აქამომდე, რომ ასეთი რამ ისლამის ქვეყნების რომელიმე ხელმწიფისაგან მოსელოდეთ მათ და მათი მამული ასე აოხრებულიყო. მოკლულთა რიცხვი 60-70 ათასს სჭარბობდა"... იმავე ავტორის სიტყვით ტყვეები, რომელთა უმრავლესობას „ბოლოისას სილამაზის მქონე ლამაზი ქალწულები", უწვერული ყმაწვილები და ბავშვები შეადგენდნენ, რომლებიც გატარებულ იქნენ მისი უაეგუსტოესობის (ე. ი. შაჰის) წინაშე, 100000-ზე მეტი იქნა აღწერილი, მაგრამ ამ სტრიქონების დამწერის აზრით, 30000 კიდევ სხვა კუთხეს და კიდეში იქნა ტყვედ დაჭერილი, რომლებიც დროის უქონლობის გამო არ ყოფილან აღრიცხული".

ტყვეებითა და ნადავლით დატვირთული ყიზილბაშები იმავე წლის მაფხულში ნანგრევებად ქცეული კახეთიდან გავიდნენ. შაჰ-აბასს აცნობეს, რომ ოსმალთა ჯარი ირანში შესაჭრელად ემზადებოდა და უკვე არმრუმს მიმდგარიყო. ირანის შაჰმა ოსმალთა სარდალი დაზავებაზე დაითანხმა და მთელი ყურადღება კვლავ კახეთს მიაპყრო. მან ახალი ლაშქარი გააამზადა და თავისი ციხის, ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით კახეთისკენ დაძრა. ეს მესამე შემო-

სევა მიზნად ისახავდა დარჩენილი კახელების მოსპობასა და ქვეყნის ბოლომდე განადგურებას.

კახეთის დარჩენილი მოსახლეობა ამჯერადაც უმაგალითო თავდადებით იცავდა თავს და ძვირად უჯღნდა მტერს მისი ქვეყნის აოხრებას. მკაცრი და თოვლიანი ზამთარი იდგა, რაც მოსახლეობის მთაში გასვლას აძნელებდა. კახელები მაინც შედგრად იბრძოდნენ. იგივე ისკანდერ მუნში გადმოგვცემს: „ამ ლაშქრობის დროს 10000-მდე კარგი ეაქკაცი, რჩეული ქართველი, რომელთაც პირველად თავი დაიცვეს და ტყვედ არ ჩაცვენილან, ახლა ძლიერი სიცივისა და დიდი თოვლის გამო, რომლითაც დაფარული იყო გზები, მოძრაობისა და გაქცევის ძალა რომ ვერ მოიკრიფეს, ხელში ჩაუცვიდნენ ყიზილბაშებს... ქართველი მოსახლეობიდან იმ მხარეში აღარაინ დარჩა. რადგანაც ხსენებულ საქართველოს ჩრდილოეთის მხრით დაღესტნის ხალხი მუდამ ჩამოდიოდა იქ საყაჩაღოდ და ტყვეები მიპყავდა. ასლა, როცა ის ქვეყანა ასეთი დაუძლურებული გახდა და დამცველი აღარ ჰყავდა, წინანდელზე ეფრო მეტი ჩამოდიოდა და ტყვეებს ეძებდა მოსატაცებლად... მოკლედ, მოსახლეობის სუნიც კი არსად იყო დარჩენილი იმ ვილაიეთში“.

1617 წლის აგვრიან გაზაფხულზე შაპ-აბასი უკვე მეოთხედ შეიჭრა კახეთში. ამ დროისათვის გადარჩენილი და გაფანტული კახელები ისევ ბობრუნებულიყნენ თავიანთ გაპარტახებულ სოფლებში. ქიზიყის მოსახლეობის დიდი ნაწილი ხორნაბუჯის ცისვში იყო თავშეფარებული. ყიზილბაშებმა ცისვს ალყა შემოარტყეს და იქ მყოფნი დაატყვევეს. მათ ხელასლა დალაშქრეს კახეთი, განსაკუთრებით ქიზიყი და სადაც კი ცოცხალი აღამიანი ნახეს ან დასოცეს, ან ტყვედ წაიყვანეს.

კახეთის სასსენებელი რომ ამოვარდნილიყო, შაპ-აბასმა იგი ორ ნაწილად გაპყო. ივრის აღმოსავლეთი მხარე განჯის მმართველს ფეიქარ-ხანს ჩააბარა, დასავლეთი კი - ქართლის მმართველს ბაგრატ-ხანს. დაცარიელებულ კახეთში შაპმა თურქმანების ჩამოსასლება ბრძანა.

პირსისსლიანი შაპის ამ ლაშქრობების შედეგად კახეთმა თავისი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი დაპკარგა: 100000 მტერს შეაკვდა, 200000-ზე მეტი ირანში გადაასასლეს. მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ირანის სხვადასხვა პროვინციებში. მაგალითად, ფერეიდანში მცხოვრებთ შემორჩენილი აქვთ მშობლიური ქართული ენა და სსოვნა შორეული სამშობლოს შესახებ.

შაპ-აბასმა ამ „ღონისძიებებით“ რამდენიმე მიზნის მიღწევა სცადა. ირანში გადასასლებული კახელები ინტენსიური სოფლის მეურნეობის წარმოებით ირანის ეკონომიკის გამოცოცხლებას შეუწყობდნენ ხელს, კახეთში ჩასასლებული თურქმანები კი შაპის ერთგული დასაყრდენი იქნებოდნენ. რაც მთავარია, კახეთის მოთხრით საქართველოს წინააღმდეგობის ძალა საბოლოოდ გატყდებოდა და თანდათან როგორც კახეთს, ისე ქართლსაც ირანის „გაყიზილბაშებულ“ პროვინციებად აქცევდა. მაგრამ ირანის ძლევამოსილი შაპის ამ მიზნებს განხორციელება არ ეწერა, რადგან ქართველმა სალხმა უმაგალითო, გმირული ბრძოლებით ეს გეგმები ჩაშალა. ამ ბრძოლებში და მოელენების შემდგომ განვითარებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართლის „დიდ მოურავს“ გიორგი სააკაძეს.

გიორგი სააკაძე

გიორგი სააკაძე წარმოშობით ქართლის სამეფო აზნაურთა ფენას ეკუთვნოდა. XVI-XVII საუკუნეების ქართლში აზნაურთა დიდი ნაწილი თავადების ყმებად იყვნენ ქცეულნი. მცირე ნაწილი კი მეფის აზნაურებად იყვნენ დარჩენილნი. აზნაურებს დიდად აეიწროებინენ თავადები, ამიტომ აზნაურები სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებულნი მეფის ხელისუფლების გაძლიერებითა და თავადთა უფლებების შეზღუდვით. მსახურეული აზნაურების წარმატება და კეთილდღეობა მეფის სიძლიერეზე იყო დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, გასაგებია გიორგი სააკაძის მცდელობა, შეეზღუდა თავადების თვითნებობა და განემტკიცებინა ქართლის მეფის ხელისუფლება, ასევე გასაგებია გიორგი სააკაძისადმი ქართლის თავადების შეურიგებელი მტრობაც.

გიორგი სააკაძის მამა-პაპანი უშუალოდ მეფის აზნაურებად ითვლებოდნენ და მათ საკმაოდ მაღალი თანამდებობებიც ეკავათ. მაგალითად, გიორგის ბიძა ზურაბი ქართლის სამეფოს სახლთუხუცესი იყო, ხოლო მამა სიაუში (იგივე შიო) სიმონ მეფის მუსაჰიბი ანუ მრჩეველი ყოფილა და შემდეგ თბილისში მოურავის თანამდებობა ეკავა, რაც მემკვიდრეობით გადავიდა გიორგიზე.

გიორგი სააკაძე ქართლის ისტორიულ ასპარეზზე აქტიურად გამოჩნდა 1609 წლიდან, როდესაც მისი ხელმძღვანელობით ქართველებმა დაამარცხეს თურქოსმალთა მოთარეშე ჯარი. ირან-ოსმალეთის ომი გრძელდებოდა და ამ წელს თურქეთიდან თურქ-ოსმალთა და ყირიმელ თათართა დიდი ჯარი ქართლში შემოიჭრა. მათი მიზანი იყო ქართლის დარბევა და მეფე ლუარსაბის ხელთ გდება. მეფე ლუარსაბი მაშინ იდგა თავის საბაფხულო რეზიდენციაში, ცხირეთის ციხეში, რომელიც თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სააკაძეების მამულის გვერდით მდებარეობდა. ოსმალებმა მანგლისის მახლობლად სოფელ კველთასთან დაატყვევეს ადგილობრივი სუცესი თ ე ვ დ ო რ ე და მეგზურობა უბრძანეს. თეედორემ საკუთარი სიცოცხლის გაწირვა ამჯობინა მეფისა და ქვეყნის მტრის ხელში ჩაგდებას. მან ოსმალები სულ სხვა გზით წაიყვანა და ცხირეთის ციხეს ძალიან დააშორა. როცა ოსმალები მიუხვდნენ, უკვე დაგვიანებული იყო: ქართველებს მტრის შემოსვლა და მოძრაობა შეეტყოთ და სათანადოდ მომზადებულიყვნენ. ოსმალებმა სასტიკად აწამეს თეედორე. იგი სმლებით აკუწეს. გმირმა სუცესმა ასეთი თავგანწირვით ქვეყანა დიდ უბედურებას გადაარჩინა.

ოსმალთა ჯარი ქართველებმა მთლიანად გაანადგურეს ქვიშხეთის ბოლოს, ტ ა შ ი ს კ ა რ თ ა ნ . ამ ბრძოლაში ქართველთა ლაშქარს სარდლობდა გიორგი სააკაძე. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა გიორგი სააკაძის ავტორიტეტი. მან ლუარსაბ მეფის დიდი ნდობა მოიპოვა.

გიორგი სააკაძეს მამის სიკვდილის შემდეგ ოფიციალურად თბილისის მოურავის თანამდებობა ეკავა, მაგრამ, ფაქტობრივად, მთელი ქართლის საქმეების განმგებლობაში ილებდა მონაწილეობას, როგორც მეფის უახლოესი ადამიანი და მრჩეველი. ამიტომ მას უფრო დ ი დ მ ო ურ ა ვ ს ან ქ ა რ თ ლ ი ს მ ო ურ ა ვ ს უწოდებდნენ. გიორგი სააკაძემ ქართლის მეფეს და-

გიორგი სააკაძე. კისტელის ალბომიდან.

უმორჩილა აღრე გამდგარი მთიელები — ლეკები, ოსები და მეფისაგან ქ. ცხინვალისა და ლეკეთის მოურაობაც მიიღო. მან სსვადასსვა ღონისძიებებით აღკეთა ქართლში ფეოდალური ანარქია და შედარებით წესრიგი დაამყარა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქვეყნის მოშენებასა და ეკონომიკურ მოღონიერებას, მოსახლეობის მიმრავლებასა და ძლიერებლობის დროს გადაკარგული გლეხების „სამკეიდროშე“ მობრუნებას. იგი ცდილობდა წესრიგი შეეტანა ბაგონისა და ყმის ურთიერთობაშიც, დაეცვა ე. წ. „ბაგონყმური რიგი“, რათა გლეხს ინტენსიური მეურნეობის წარმოების უნარი და სალისი ჰქონოდა. რა თქმა უნდა, მისი ასეთი ღონისძიებანი დიდებული თავადების თვითნებობის შეკვეცის სარჯზე ხდებოდა, რაც მათ მზარდ უკმაყოფილებას იწვეეა. დიდ თავადებს განსაკუთრებით არ მოსწონდათ გიორგი სააკაძის თანამიმდევრული სწრაფვა მეფის ხელისუფლების გაძლიერებისაკენ.

1611 წელს ლუარსაბ II-მ ცოლად შეირთო გიორგის და. ამნაურის გაღლეოფლებამ კიდევ უფრო გააღიზიანა ქართლის დიდებული თავადები. შადიმან ბარათაშვილისა და ფარსადან ციციშვილის ხელმძღვანელობით გიორგი სააკაძის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება. ცრუ ბრალდებებით და ათასგვარი ჭორით ქართლის დიდებულებმა დაარწმუნეს ყმაწვილი მეფე სააკაძის მოღალატეობაში და გამოუძიებლად მისი სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილება მიაღებინეს. გიორგი სააკაძე იძულებული გახდა ირანში გადასვლილიყო.

შაჰ-აბასმა დიდი პატივით მიიღო საქართველოდან გამოდევნილი მოურავი და საქართველოს მიმართ თავისი გეგმების განსახორციელებლად მისი გამოყენება სცადა. გიორგი სააკაძე გამაჰმადიანდა და შაჰის სამსახურში ერთგულად ჩადგა. მალე მან დიდად გაითქვა სახელი: მონაწილეობა მიიღო ირანის ომებში ინდოეთთან, თავი გამოიჩინა ყანდაჰარის აღების დროს. ასევე იბრძოდა ირანელთა ჯარში ოსმალეთის წინააღმდეგ და დიდი სახელი მოიპოვა ქ. ბაღდადის აღებისას. მის გმირობას ხოტბას ასხამდნენ პოეტები, მის შესახებ სიმღერებს მღეროდნენ შაჰის სასახლესა და ისპაჰანის ქუჩებში.

1614 წელს შაჰ-აბასს საქართველოში ლაშქრობისას თან ახლდა გიორგი სააკაძეც. იგი თავის მამულში დაბრუნდა და გაევრანებული სამფლობელოს აღდგენას შეუდგა. მისი მოწინააღმდეგე თავადები შიშობდნენ, რომ სააკაძე, შაჰის დახმარებით, მათზე შურს იძიებდა. ქაიხოსრო ჯავახიშვილი იმერეთიც კი გაქცეულა. შიშით დამფრთხალი სააკაძის მტრები-შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი, ბერუკა ჯავახიშვილი შაჰს ეახლნენ და თავიანთი სამსახური შესთავაზეს. შაჰმა ისინი კარგად მიიღო და წყალობა აღუთქვა,

თუ ისინი მის ერთგულებას დაამტკიცებდნენ. შადიმან ბარათაშვილი შაჰს ლუარსაბ მეფის იმერეთიდან გაქცევასას დაპირდა.

ლუარსაბი თეიმურაზთან ერთად იმერეთის მეფე გიორგისთან იყო თავშეფარებული. შაჰ-აბასის მოთხოვნაზე - გაეცა თავისი სტუმრები, გიორგი მეფემ უარი შემოთვალა. აი, აქ გამოიჩინა თავი შადიმანმა და ლუარსაბი დაარწმუნა, რომ მას არაეთარი ხიფათი არ მოელოდა, თუ შაჰთან გამოცხადდებოდა. მაგრამ აქ მეორე გარემოებაც არის გასათვალისწინებელი. ლუარსაბში კარგად იცოდა, რომ თუ შაჰ-აბასის მოთხოვნას არ შეასრულებდა, იგი უმოწყალოდ ააოხრებდა მის ქვეყანას, ისევე, როგორც კახეთი გაანადგურა.

ლუარსაბი ეახლა შაჰ-აბასს. შაჰმა იგი ირანში წაიყვანა და იქ გამაჰმადიანება მოსთხოვა. ლუარსაბი მტკიცედ იდგა თავის სარწმუნოებაზე, ვერც მუქარამ და ვერც ცრუ დაყვავებამ იგი ვერ გატეხა. ქართლის თავდადებული მეფე გულაბის ციხეში გამოჰკეტეს, სადაც უფრო გვიან (1622 წ.) მშვილდის საბლით მოაშთეს. ლუარსაბ II ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ქართლის მმართველად შაჰ-აბასმა გამაჰმადიანებული ბაგრატ-ხანი დანიშნა. ბაგრატ-ხანი დაულ-ხანის შვილი იყო, გასპარსებულ-გაყიმილბაშებული. იგი ნაკლებად იცნობდა საქართველოს ვითარებას, ამიტომ ქვეყნის მართვას თავი ვერ გაართვა, მას ქართლის თავადები, უაქტობრივად, არ ემორჩილებოდნენ. ამავე დროს აქტიურად მოქმედებდა იმერეთში გადასულ-წასული თეიმურაზი. მან არაერთხელ მიმართა დასმარებისათვის თურქეთს, ელჩობა გაგზავნა რუსეთში. შეშფოთებულმა შაჰმა ჯავრი უღანაშაულო მძევლებზე იყარა - მან საშინლად აწამებინა თეიმურაზის ეკვები-ლევანი და ალექსანდრე (1620 წ.)

1619 წელს ბაგრატ-ხანი გარდაიცვალა და ქართლის მმართველად შაჰმა მისი ვაჟი სიმონ-ხანი დანიშნა. ახალგაზრდა სიმონ-ხანს უფრო ნაკლებად შეეძლო აშლილი ქართლის მართვა, ამიტომაც მას დამხმარედ ყიზილბაშთა ჯარი და მრჩეველად გამოცდილი გიორგი საკაძე გამოაგზავნა.

გიორგი საკაძე კარგა ხანია მიხვედრილი იყო, რომ ირანის მბრძანებელი მას თავისი მიზნების განხორციელებისათვის არ გამოადგებოდა, რომ პირიქით, ყველაზე უფრო უბოროტესი მტერი ქართველი ხალხისთვის ეს მრისხანე შაჰი იყო, რომელიც თავისი სახელმწიფოს გაძლიერება-გაფართოებისა და თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად საქართველოს ერთიან მოსპობას არ მოერიდებოდა. პირადი განდიდებით დაბრმავებული ქართლის თავადები ძალაუნებურად ხელს უწყობდნენ ირანის შაჰის განზრახვის შესრულებას. საჭირო იყო მეტად ფრთხილი და წინდახედული მოქმედება, საჭირო იყო შაჰთან თვითონ მისი სიახლოვისა და ავტორიტეტის გამოყენებაც. გიორგიმ დაიეიწყა თავისი უზომო შეურაცხყოფა და სცადა ქართლის თავადებთან შერიგება. ეს აუცილებელი იყო ქართლის ძალების გაერთიანებისათვის, აგრეთვე იმისთვის, რომ ქართლის დიდებულ თავადებს თვალები აეხილათ და მათი და მათი ქვეყნის ნამდვილი მომავალი დაენახათ. ეს განსაკუთრებით ძნელი შესასრულებელი იყო შაჰ-აბასის აგენტურის ფართო ქსელისა და მოღალატე-რენეგატთა სიმრავლის ვითარებაში. ამით იყო გამოწვეული დიდი მოურავის მეტად ფრთხილი და თავდაჭერილი მოქმედება.

ლისაბონის „ა გრასას“ მონასტრის კედელზე შესრულებული ფრესკა ქეთევან დედოფლის წამების სცენის გამოსახულებით.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ სიმონ-სანი მთლიანად გიორგი სააკაძის გავლენის ქვეშ მოექცა და ქართლის ფაქტობრივ მმართველად გიორგი სააკაძე იქცა. დიდმა მოურავმა თავისი მდგომარეობა უპირველეს ყოვლისა აჯანყების მომზადებისათვის გამოიყენა.

შაპ-აბასს საქართველოდან მეგად შემაშფოთებელი ცნობები მოსდიოდა. კახეთის მმართველი ფეიქარ-სანი იტყობინებოდა, რომ კახეთში მოსახლეობა ისევ მომრაველებულიყო. იქ დაბრუნებულიყო ცნობილი სარდალი და თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი, კახეთის 1615 წლის აჯანყების მეთაური, დავით ჯანდიერი და აჯანყებისთვის სამზადისს შესდგომოდა. ირანის წინააღმდეგ ერთიანი გამოსვლისათვის ფარულად ქართლიც იკრებდა ძალებს. შაპმა კარგად იცოდა იმ მიმოწერის შესახებ, რასაც ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის სამეფო კართან აწარმოებდნენ, ხოლო რუსეთი დიპლომატიური შეგონებით ცდილობდა, დაერწმუნებინა ირანის შაპი რომ მას აღარ შეეეიწროებინა ქრისტიანული საქართველო. სიტყვიერად შაპ-აბასი რუსეთის მეფეს მეგობრობას ეფიცებოდა და არწმუნებდა, რომ მისი „მეფური უდიდებულესობის სიყვარულისათვის შაპი აღარ დალაშქრავდა იევრიის ქვეყანას“, სინამდვილეში კი გადამწყვეტ ბომებს იღებდა, რომ ქართლ-კახეთი საბოლოოდ ამოეგდო.

შაპ-აბასს არაფრად მოსწონდა რუსეთის მეფის შუამავლობა მის კარზე ტყვედ მყოფი ქეთევან დედოფლის საქართველოში დაბრუნების შესახებ. მან ქართველ დედოფალს კატეგორიულად მოსთხოვა გამაპმადიანება, მაგრამ, რადგან მტკიცე უარი მიიღო, 1624 წლის 12 სექტემბერს საჯარიდ აწამებინა. მას რკინის მაშებით ხორცი დააგლიჯეს და გასურებული შანთებით დადაღეს. დედოფლის გაუტეხელობამ და თავდადებამ შაპ-აბასისთვის საწინააღმდეგო

შელეგი გამოიღო. ქეთევანის წამებამ ქართველი ხალხი სულიერად კი არ გატეხა და შეაშინა, პირიქით, კიდევ უფრო განამტკიცა და ყიზილბაშების წინააღმდეგ შეურიგებლად განაწყო. ქეთევანის სახელი მიელს მაშინდელ მსოფლიოს მოედო. მისი წამების ამსახველი სცენები თვით შორეული ლისაბონის „ა გრასას" მონასტრის კედლებზეაც კი გამოსახეს.

მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები

1624 წლის ბოლოს შაქმა გიორგი სააკაძე და მისი ცოლისძმა, უძლიერესი თავადი ზურაბ არაგვის ერისთავი, ირანში გაიწვია. ირანის შაქს საქართველოში გამოსაგზავნად განემზადებინა უზარმაზარი არმია, რომელსაც ევალებოდა ქართლ-კახეთის საბოლოო ამოგდება, მოსახლეობის ფიზიკური მოსპობა ან ირანში გაძლასახლება. ამ ბრძანების შესრულება შაქმა თავის მთავარსარდალს ყარჩიხა-ხანს დააკალა. მას მრჩეველად გიორგი სააკაძე დაუნიშნა, თუმცა ფრთხილი და ვერაგი შაჰი მოურავს მაინც ბოლომდე ვერ ენდობოდა და თავისთან მძლეველად დაიტოვა მისი უმცროსი ვაჟი პაატა.

1625 წლის აღრე გაზაფხულზე ყიზილბაშთა 60000-იანი არმია ქართლში შემოვიდა და მუხრანის ველზე დაბანაკდა. გადაწყვეტილი იყო, რომ აქ მოტყუებით მოეწვიათ კახელი აზნაურები და ვერაგულად გაეწყვიტათ, მაგრამ ყიზილბაშებს ეს განზრახვა ჩაეშალათ. კახელები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ვიღაცამ გააფრთხილა. ყარჩიხა-ხანმა ეჭვი გიორგი სააკაძეზე აიღო და ეს შაჰსაც შეატყობინა. შაჰმა გამოგზავნა ბრძანება გიორგი სააკაძის მოკლისა და ქართლის სასწრაფოდ აყრის შესახებ. ეს ფირმანი შემთხვევით გიორგი სააკაძეს ჩაუვარდა ხელთ და ამან დიდი სამსახური გაუწია აჯანყების აუცილებლობაში ქართლის თავადების დასარწმუნებლად. ამ დროს ყიზილბაშთა ჯარის დიდი ნაწილი კახეთისა და ქართლის საზღვართან, მარტყოფის ველზე იყო დაბანაკებული. იქ იმყოფებოდა მათი სარდლობა და თვითონ გიორგი სააკაძეც თავისი 4 მხლებლითურთ. ამათ შორის იყო მისი უფროსი ვაჟი ავთანდილი.

შეთანხმებისამებრ, მტრის ბანაკზე თავდასხმა ზურაბ ერისთავს უნდა მოეწყო, ხოლო თვითონ დიდი მოურავი მტრის ბანაკში იმოქმედებდა. სრუბა ღღე (25 მარტი, ახალი სტილით 7 აპრილი) თენდებოდა. ყიზილბაშთა მძინარე ბანაკს აჯანყებულ ქართველთა რაზმები ფრთხილად მიუახლოვდნენ. როდესაც განგაში დასცეს, გიორგი სააკაძე თავისი მხლებლებით მთავარსარდლის კარავთან გამოცხადდა. აქვე თავი მოიყარეს ირანელთა სარდლებმა და იქ, ყიზილბაშთა სარდლებისა და საომრად გამზადებული ჯარის თვალწინ გიორგი სააკაძემ შუბით განგმირა ცხენზე შესაჯდომად გამზადებული ყარჩიხა-ხანი. სააკაძის თანამებრძოლები სარდლებს დაერიენენ. ამასობაში აჯანყებულმა ქართველებმა ზურაბ ერისთავის მეთაურობით მტრის ბანაკს შეუტიეს და დაბნეული და უსარდლოდ დარჩენილი ყიზილბაშთა ჯარი დაუნდობლად გაანადგურეს. ბრძოლა მთელ ღღეს გაგრძელდა. ყიზილბაშთაგან გაქცეევით მხოლოდ 3000-მა კაცმა უშველა თავს.

ქართველი მეომრის შეიარაღება (XVII ს.)

დიდმა მოურავემა სულის მოთქმის საშუალება არ მისცა მტერს. თბილისს დაეცა, ქალაქი აიღო, ციხეს კი ალყა შემოარტყა. სიმონ-სანმა გაქცევით უშველა თავს. საკაძე ბურაბთან ერთად კახეთში გადავიდა და ფეიქარ-სანს დაეხმარა. კახეთი ერთიანად გაწმენდილ იქნა შემოსასლებული თურქმანებისაგან. აქედან გიორგი საკაძე განჯა-ყარაბაღში ჩაყენებულ ყიზილბაშთა ჯარს დაეცა და სასტიკად დაამარცხა. გამარჯვებულმა ქართველებმა ქართლ-კახეთის შეფედ თეიმურაზი მოიწვიეს.

ცნობამ ქართლ-კახეთის აჯანყების შესახებ შაჰ-აბასს თავბარი დასცა. აქამდე მას ასეთი დამარცხება არსად განეცადა. გააფთრებული შაჰის ბრძანებით საკაძის ვაჟს, პაატას თავი მოკვეთეს და „მოლალატე" გიორგი საკაძეს გამოუგზავნეს... შაჰ-აბასმა ახალი არმია განამზადა, რომლის სათავეში თავისი სიძე, ისა-სან ყორჩიბაში ჩააყენა და საქართველოში გამოისტუმრა. ირანელთა არმია იმავე 1625 წლის ივნისის ბოლოს საქართველოში შემოვიდა და მდ. ალგეთის ხეობაში, მარაბდის ველზე დადგა. ქართველთა 20-ათასიანი ჯარი კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში იყო დაბანაკებული.

სამხედრო თათბირზე, რომელიც ბრძოლის წინ ქართველთა ბანაკში გაიმართა, თავადებმა ყველაფერი ილონეს იმისათვის, რომ საკაძე საერთო ხელმძღვანელობიდან ჩამოეშორებინათ. მთავარსარდლობა პატიემოყვარე თეიმურაზ მეფემ იკისრა. თავადებმა არც მოურავის მიერ შემოთავაზებული გეგმა მიიღეს. დიდი მოურავი ითვალისწინებდა მტრის მრავალრიცხოვნობას, მათ უკეთ შეიარაღებას, თანაც იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომ მოწინააღმდეგე შეჩვეული იყო გაშლილ ადგილზე და დიდ სიცხეში ბრძოლას და მოითხოვდა, რომ მტრის შემოტევისთვის დაეცადათ და ყიზილბაშები შემოეტყუებინათ კოჯორ-ტაბახმელას ეიწრო ხევებიან მიდამოებში, სადაც მათ არ ექნებოდათ მთელი ძალების გაშლის და არტილერიის თავისუფალი გამოყენების საშუალება. ეს სავსებით გამართლებული და გონივრული გეგმა იყო, მაგრამ თავადები, განსაკუთრებით, ბარათაშვილები დაჟინებით მოითხოვდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დაუყოვნებლივ დაწყებას.

გადაწყდა, ბრძოლა მტრისთვის მეორე დღესვე გაემართათ. ქართველთა ლაშქარი იმავე ღამით მარაბდის ველზე დაეშვა და მტრის პირისპირ სამხედრო წყობით განლაგდა.

ბრძოლა მარაბდის ველზე 1625 წლის 1 ივლისს მოხდა. მიუხედავად ქართველთა ჯარის უმაგალითო თავდადებისა და თავდაპირველი წარმატებისა, ბრძოლა მაინც ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. ბრძოლის ბედი მტრის

მრავალრიცხოვნობამ, ფეოდალური ლაშქრის უღისციპლინობამ და ქართველთა შედარებით ცუდმა შეიარაღებამ გადაწყვიტა. გამართლდა გიორგი სააკაძის გაფრთხილებაც...



ძველი ციხე-სიმაგრე მარაბდის ბრძოლის გმირია უცვლელად.

მტერს ძვირად დაუჯდა მარაბდის ბრძოლაში „გამარჯვება". ყიზილბაშებმა ბრძოლის ველზე 14 ათასი მოკლული დატოვეს, ქართველთაგან კი 9000 დაიღუპა. სამშობლოსთვის თავი დასდეს ქართველთა სარდალთაგან დავით ჯანდიერმა, თეიმურაზ მუხრანბატონმა, აღათანგ ხერხეულიძემ, ბაადურ ციციშვილმა, ეპისკოპოსებმა რუსთველმა და ხარჭიშნელმა. ბრძოლის ველზე დაეცა 9 ძმა ხერხეულიძე, 9 მაჩაბელი, 7 ჩოლოყაშვილი და სხვა მრავალი. განსაკუთრებით გლეხობა დაზარალდა. ისინი ქვეითად იბრძოდნენ და ბრძოლის ველიდან სწრაფად გაცლის საშუალება არა ჰქონდათ.

ათი დღის განმავლობაში აკავებდნენ უკანდახეული ქართველები მტერს კოჯორ-ტაბახმელას ვიწროებში და არ აძლევდნენ ქვეყნის შუაგულში შემოჭრის საშუალებას, რათა მოსახლეობას გახიზვნა მოესწრო. ერთ-ერთი ასეთი შემოტევის დროს სააკაძემ საარაკო გმირობა ჩაიდინა. მან 60 კაცით მტრის 700 ჯარისკაცი გაწყვიტა. მთელ ქართლში პარტიზანული ბრძოლები გაჩაღდა, რომლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი გიორგი სააკაძე იყო. ერთ-ერთ ბრძოლაში, რომელიც ქსნის ხეობაში გაიმართა მან 12 000 ყიზილბაში ამოხოცა.

მტერმა მაინც შეძლო თბილისისა და მისი მიდამოების დაკავება, მაგრამ იგი იმდენად იყო დაზარალებული, რომ შაპის მთავარი დაეალების - ქართლ-კახეთის მთლიანი მოთხრის - შესრულება აღარ შეეძლო. სააკაძე მაინც იძულებული გახდა თავისი ამალით სამცხეში და შემდეგ იმერეთში გადასულიყო. იმერეთის მეფემ იგი დიდი პატივით მიიღო ქუთაისში და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერა აღუთქვა.

ბაზალეთის ბრძოლა და გიორგი სააკაძის დაღუპვა

შაპ-აბასის ვერაგული გეგმების ჩაშლის შემდეგ მან შეცვალა თავისი პოლიტიკა და ქართველთა შორის განხეთქილების ჩამოგდება სცადა. რადგანაც საქართველოს ერთიანად მოსპობის საფრთხე განელდა, ქართლის თავადები შაჰთან შერიგების გუნებაზე დადგნენ. შაჰმა თვით თეიმურაზთანაც გამართა მოლაპარაკება. იგი მას მეფედ ცნობას აღუთქვამდა, თუ ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლების მეთაურს, გიორგი სააკაძეს, მოიშორებდა.

1626 წლის გაზაფხულზე სააკაძე თავისი მომხრეებით ქართლში გადმოვიდა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა. მისი ქართლში არყოფნისას აქ ვითარება არსებითად შეცვლილიყო. ბევრი თავადი უკვე მტრის მხარე-

ზე გადასულიყო, მათ შორის მისი ცოლისძმა ზურაბი და მისი სიძე იასე ქსნის ერისთავი. ქართლში ანარქია და სრული განუკითხაობა სუფევდა. სააკაძემ უკან მაინც არ დაიხია. მან სცადა ისევ თავის მსარეზე გადმოეყეანა ეს ძლიერი თავადები, ხოლო ვინც ამ მხრივ სანდო არ იყო, მათ წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა წამოიწყო. მან აიღო გორის ციხე და ქართლის დიდი ნაწილი ყიზილბაშთაგან გაწმინდა. ქართლ-კახეთის სათავეში კვლავ თეიმურაზ I იდგა, მაგრამ, ფაქტობრივად ქვეყანას დიდი მოურავი განაგებდა. უცხოელებიც მას სცნობდნენ ქვეყნის მეთაურად და ელჩებსაც მას უგზავნიდნენ. ეს არაფერად მოსწონდა პატივმოყვარე და ეჭვიან თეიმურაზს და მალე მათ შორის უნ-
[illegible]ლობა და მტრობა ჩამოვარდა. ამას ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ქარ-
[illegible]ლის დიდებული თავადები. გიორგი სააკაძის მოწინააღმდეგეთა ბანაკში
[illegible]ლავ გადავიდა ზურაბ ერისთავიც, რომლის მტაცებლურ მადას დიდი მოურავის მტკიცე ხელი ზღუდავდა. სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ერთი ჯგუფი დიდებულებისა და თავადებისა მასზე ეფრო მაღალი გვარისა იყო, მათ სძაგდათ მოურავის ბატონობა და უფროსობა". ასეთ ვითარებაში გიორგი სააკაძემ იმერეთის მეფეს გიორგის მიმართა და აღმოსავლეთ საქართველოში მისი შემკვიდრის გამეფება გადაწყვიტა. ამით ფაქტობრივად მთელი საქართველო გაერთიანდებოდა და სააკაძის ოცნებას ფრთები შეესხმებოდა. სააკაძის მომხრეებსა და თეიმურაზის მომხრეებს შორის ბრძოლა გარდაუვალი შეიქნა.

1626 წლის გვიან შემოდგომით ბაზალეთის ტბასთან გიორგი სააკაძე შეე-
[illegible]ა თეიმურაზ I-ის ჯარს, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა თავის მომ-
[illegible]ხრეებთან ერთად ამჯერად ოსმალეთში გადასულიყო. ეს იყო სააკაძის პოლიტიკური მისწრაფებებისა და იდეების საბოლოო მარცხი. ამასთან დაკავშირებით აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ჩაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც
[illegible]აკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეალია და ურომლისოდაც საქართველ[illegible]ის გაერთიანება-გაძლიერება შეუძლებელი იყო".

[illegible]ოსმალეთში გადახვეწილ დიდ მოურავს, როგორც შაჰის წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლს, სულთანი დიდი პატივით შეხვდა და მას სამმართველოდ ჩააბარა ერთ-ერთი უდიდესი პროვინცია - ყარამანიის ანუ იკონიის ოლქი. მან ხელახლა მიიღო მაპმადიანობა და სულთნის სამსახურშიც დიდი სახელი მოისვეჭა. გიორგი სააკაძემ ირანის წინააღმდეგ არაერთ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და დიდი გამარჯვებაც მოიპოვა, მაგრამ მისი ოცნება მაინც კვლავ საქართველოში დაბრუნება და თავისი მიზნის განხორციელება იყო. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ საქმეში მას ოსმალეთის ძალები არ გამოადგებოდა. შაჰ-აბასის გარდაცვალების (1629 წლის იანვარი) შემდეგ ირანის შაჰის კარზე ვითარება შეიცვალა და იქ უკვე პირველკა-

[illegible]ეიმურაზ I და დედოფალი
[illegible]ორეშან. ქასტელის ალბომიდან.

ცობდა გიორგი სააკაძის მიერ დაწინაურებული და პატიჟღებული ხოსრო-მირზა. საქართველოში დაბრუნებით თითქოს ახალი პერსპექტივები ისახებოდა, მაგრამ მოურავს განზრახვა შეუტყვეს და დააპატიმრეს. ოსმალეთის დიდმა ვეზირმა სუსრეე-ფაშამ, რომელსაც შურის გამო გიორგი სააკაძე მეტად სძულდა. ამ საბაბით დიდი მოურავი სიკვდილით დასჯა.

აი, როგორ აგვიწერს ამ ამბავს თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა: „მოურავს, მის შვილსა და ხელქვეითებს ბორკილები დაადვეს და საფარის თვის მეთოთხმეტე დღეს (1629 წლის 3 ოქტომბერს) ქალაქ ჰალაბს (ალეპოს) მოიყვანეს... მოურავი სპეტაკ-წვერიანი, საშუალო ტანის მოხუცი, სელშებორკილი და ყვითელ ხალათჩაცმული ცხენზე დაესვათ. დიდმა ვეზირმა გასცა ბრძანება თავი მოეკვეთათ მოურავისა, მისი შვილისა და ძასთან მყოფი ორმოცი-ორმოცდაათი მისი ხელქვეითისათვის. ჯერ მოურავის, მერე მისი შვილის და შემდეგ დანარჩენი მისი ხელქვეითების თავები მიწაზე გააგორეს. სუსრეე-ფაშა სისხლისმოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან ხონთქრისათვის შეუტყობინებლად, ვითომდა მოურავი საქართველოში წავაო, მოჰკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ეგოდენ დიდი დამსახურება ჰქონდა... ასეთი ღონისძიებით სუსრეე-ფაშამ სპარსეთის შაჰს შური აძიებინა მოურავზე...

ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უღიდესი მუხანათობაა“, - წერდა თითქმის დანანებით თურქი მემატიანე.

თეიმურაზ I - ქართლ-კახეთის მეფე

საქართველოდან გიორგი სააკაძის განდევნის შემდეგ მეტისმეტად განდიდდა ზურაბ ერისთავი. იგი თეიმურაზსაც აღარ ემორჩილებოდა და მის საპირისპიროდ წინ წამოსწია სიმონ-ხანი. როგორც მემატიანე შენიშნავს, „ესრეთ იყო წადილი ზურაბ ერისთავისა, რათამცა ბატონი თეიმურაზ კახეთსა ზედა უფლობდეს და სეიმონ მეფე ქართლსა ზედა და თვითონ ორთაეე ზედა კადრებდეს და ვერარას მოქმედებდნენ თვინიერ მისსა“.

თეიმურაზმა მაინც შეძლო ზურაბ ერისთავის თავის მხარეზე გადაბირება და 1630 წელს სიმონ-სანი ღალატით მოაკვლევინა, შემდეგ კი თვითონ ზურაბიც მოიშორა თავიდან. ზურაბის მოკვლით მან შაჰის კარის წინაშეც იმართლა თავი და იგი ქართლ-კახეთის მეფედ დაამტკიცეს (1631 წლის 14 მაისს).

თეიმურაზი ქართლში თავს მყარად მაინც ვერ გრძნობდა, ამიტომ აქ მმართველობაში გარკვეული ცვლილებების გატარებას შეუდგა. მეფემ ქართლის თავადების თვითნებობის შეზღუდვა დაიწყო და თავის დასაყრდენად კახეთის თავად-აზნაურობა გამოიყენა. იგი მაღალ თანამდებობებზე, ქართლის თავადების საპირისპიროდ, თავის ერთგულ კახელებს აწინაურებდა, ეს კი ქართლის დიდებული თავადების უკმაყოფილებას იწვევდა.

თეიმურაზი უფრო შორს წავიდა. იგი ირანის ახალი შაჰის წინააღმდეგ დიდ შეთქმულებაში ჩაერთო. მან ჯერ კიდევ 1626-1628 წლებში დასავლეთ ევროპაში გაგზავნა თავისი ელჩი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ევროპაში მას ნიკი-

ქარდინალ-კახეთის მეფე თეიმურაზ I და დე კასტელი.

ფორე ირბახის სახელით იცნობ-დნენ), რომელსაც ესპანეთის მეფეს-თან, ფილიპე IV-თან და რომის პაპ-თან, ურბანოს VIII-თან, ასევე ევ-როპის სხვა ხელისუფლებთან გარ-კვეული პოლიტიკური კავშირი უნ-და შეეკრა. ესპანეთი ამ დროს თვი-თონ იყო დაინტერესებული ასეთი კავშირით. ირანმა ხომ პორტუგა-ლიელებს (პორტუგალია 1581 წლი-დან 1663 წლამდე ესპანეთის შემად-გენლობაში შედიოდა) წაართვა კუნძული ორმუზდი და განაგრძობ-და ბრძოლებს სპარსეთის ყურიდან მათ საბოლოოდ გასადევნად.

შაჰ-აბას I-ის გარდაცვალების (1629 წ. იანვარი) შემდეგ ირანის შაჰის კარზე ქართველების ორი პარტია დაუპირისპირდა ერთმანეთს. აქამდე იქ უდიდესი გავლენით სარგებლობდნენ ალავერდი-ხან უნდილაძის შვილები, ძმები უნდი-ლაძეები; დაულ-ხან უნდილაძე განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი იყო და ახლო ურ-თიერთობა პქონდა თეიმურაზ I-თან, მისი ძმა იმამყულიხან უნდილაძე კი იყო ფარსისა და სხვა მნიშვნელოვანი სპარსული პროვინციების განმგებელი და ირა-ნის ჯარის ყულარაღასი, რომელსაც ევროპული წყაროები სამსრეთ-აღმოსავ-ლეთ ირანის „ვიცე კოროლს“ უწოდებდნენ. ამ უკანასკნელთან იმრდებოდა შაჰ-აბასის ვაჟიშვილი, რომლის გამეფებასაც უნდილაძეები ცდილობდნენ. მაგრამ 1629 წელს შაჰის ტახტზე აყვანილ იქნა აბას I-ის შვილიშვილი სემი-მირზა, რო-მელმაც შაჰ-სეფი I-ის სახელი მიიღო. მის გამეფებაში დიდი როლი ითამაშა ქა-ისოსრო ბატონიშვილმა ანუ ხოსრო-მირზამ, სიმონ I-ის ძმის დაულ-ხანის უკანონო შვილმა, რომელსაც ისპაპანის ტარუღას თანამდებობა ეკავა. ამის შემდეგ ირანის შაჰის კარზე დიდად გაიზარდა ხოსრო-მირზას გავლენა და ავტო-რიტეტი. შაჰ-სეფი I მას ქართლის ტახტზე და-სასმელად ამზადებდა. ყოველივე ამან დაძაბა ურთიერთობა უნდილაძეებსა და ხოსრო-მირ-ზას შორის. არც ირანის ასალ შაჰს მოსწონდა ძმები უნდილაძეების ზომაზე მეტი განდიდება და მათი დამხობა გადაწყვიტა. ჯერ იყო და და-ულ-ხანი შეურაცხყვეს და გააძევეს მეჯლისი-დან. დაულ-ხანი საქართველოში, თეიმურაზ I-თან გაიქცა. ამის შემდეგ თეიმურაზი და და-ულ-ხანი იწყებენ ერთობლივ მოქმედებას ირა-ნის წინააღმდეგ.



თეიმურაზ I-ის ელჩი დასავლეთ ევრო-პაში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკი-ფორე ირბახი). კასტელის ალბომიდან.

1632 წელს თეიმურაზმა დაისმარა იმერეთის ჯარიც და განჯა-ყარაბაღი მოარბია. ამავე წლის დეკემბერში ქართველთა ჯართან ერთად სომხებიც გამოეიღნენ განძასარის სომეხთა კათალიკოსის მეთაურობით. თეიმურაზმა და დაულ-ხანმა ირანის სხვა ამირებსაც მოუწოდეს შაჰ-სეფის წინააღმდეგ გამოსასელელად და იმამყულიხანის კარზე მყოფი მისი შვილობილის, ირანის შაჰობის კანონიერი მემკვიდრის, შაჰ-აბას I-ის ვაჟიშვილის გასამეფებლად. ეს ამბავი შაჰ-სეფისათვის ცნობილი გახდა. ამას გარდა თეიმურაზით უკმაყოფილო ქართლის თავადები ირანის შაჰს საიდუმლოდ ატყობინებდნენ: „თუ გინდათ საქართველოს დაეპატრონოთ, შირაზელი იმამყულიხანი უნდა მოიშოროთ, რადგან მთელი ქართველი ხალხის თავადები მისკენაა მიპყრობილიო". იმამყულიხანი შეიპყრეს და შვილებთან ერთად საჯაროდ სიკვდილით დასჯეს. შაჰს დაულ-ხანის შეპყრობაც სურდა, მაგრამ თეიმურაზმა იგი არ გასცა. განრისხებულმა შაჰ-სეფიმ თეიმურაზი მეფობიდან გაიყვანებულად გამოაცხადა და ქართლის მმართველად ხოსრო-მირზა გამოგზავნა. ამ უკანასკნელისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად მას სახელი შეუცვალეს და როსტომ-ხანი უწოდეს[1].

განჯის ბეგლარბეგი დაულ-ხან უნდილაძე (კასტელი).

1633 წლის თებერვალში როსტომ-ხანი, ყიზილბაშთა დიდი ჯარით, რომელშიც ბლომად იყვნენ ირანში გადახვეწილი და გამაპმადიანებული ქართველებიც, ქართლში შემოვიდა. თეიმურაზს ქართლის თავადების დიდმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა და იგი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. ქართლი და კახეთი ყიზილბაშებმა დაიკავეს.

როსტომ-ხანის მმართველობა

როსტომი ქართლში წესრიგის დამყარებასა და თავისი ხელისუფლების განტკიცებას შეუდგა. ამას იგი მსოლოდ ყიზილბაშთა ჯარის დახმარებით ახერხებდა და მკაცრად უსწორდებოდა მოწინააღმდეგე თავადებს. მან მოაკვლევინა დათუნა არაგვის ერისთავი, თუმცა საერისთავოს დამორჩილება ვერ შეძლო. არაგვის ერისთავი გახდა დათუნას ძმა ზაალი. 1634 წელს ზაალ ერისთავემ, როსტომის მოწინააღმდეგე სხვა თავადებთან ერთად, ქართლ-კახეთის მეფედ კვლავ თეიმურაზი მოიწვია. თეიმურაზ მეფე ჯარით დავალეთის გზით, არაგვის ხეობაში გადმოვიდა, მაგრამ ქართლის დაკავება ვერ შეძლო. იგი კახეთში გადავიდა, გააძევა კახეთის ყიზილბაში განმგებელი სელიმ-სანი და თავისი სამემკვიდრეო ქვეყანა კვლავ დაიკავა. ამის შემდეგ რამდენიმე ხანს კიდევ ებრძოდა როსტომს, მაგრამ ამ უკანასკნელს

1 როსტომი ცნობილი სპარსული ეპოსის „შაჰ-ნამეს" ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია. მისი სახელი ირანში გმირობისა და მამაცობის სიმბოლო იყო.

ამერბაიჯანიდან ყიზილბაშთა დამსმარე ძალები მოუვიდა და თეიმურაზი იძულებული გახდა როსტომ-ხანს შერიგებოდა. ირანის შაჰმაც თეიმურაზს „ათასი თუმანი თეთრი და ათასი თუმნის ხალათი" გამოუგზავნა და კახეთის მეფედ ცნო.

მდგომარეობა მაინც არ იყო მყარი. თეიმურაზი ყველა საშუალებით კვლავ განაგრძობდა როსტომის წინააღმდეგ ბრძოლას. მან რუსეთსაც მიმართა დახმარების თხოვნით. 1638 წელს კახეთში რუსეთის დიდი ელჩობა ჩამოვიდა, მაგრამ სამხედრო დახმარების ნაცვლად მათ მხოლოდ საეკლესიო ნივთები და ეკლესიების მოსახატად საჭირო მოწყობილობა ჩამოიტანეს. ჩამოიტანეს აგრეთვე „ფიცის წიგნის" ტექსტი, რომელიც თეიმურაზ I-ს უნდა განეახლებინა. 1639 წლის 23 აპრილს, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, თეიმურაზ მეფემ ხელი მოაწერა ამ განახლებულ ხელშეკრულებას და ჯვარზე მთხეევით დაადასტურა რუსეთის მეფის ერთგულება. „ფიცის წიგნის" შინაარსი აღრინდელის. ალექსანდრე II-ის მიერ მიღებულის იდენტური იყო, მაგრამ ამ ხელშეკრულებამ როგორც ადრე, ისე ახლაც ვერავითარი რეალური სარგებლობა ვერ მოუტანა კახეთის მეფეს.

1639 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომლის ძალითაც აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, ხოლო დასავლეთ საქართველო — სამცხე-ოსმალეთს. თუ დასავლეთ საქართველო ოსმალებისადმი მხოლოდ ვასალურ დამოკიდებულებას აღიარებდა, სამცხე უშუალოდ ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცეოდა და იქ საბოლოოდ ოსმალური ადმინისტრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური წყობა ანუ „ოსმალობა" დამყარდებოდა. ამის შემდეგ ირანის ხელი აღარ მიუწვდებოდა საქართველოს ამ ნაწილზე. ეს ზავი 1723 წლამდე აღარ დარღვეულა.

როსტომ ხანმა თანდათანობით განიმტკიცა თავისი ხელისუფლება ქართლში. მის წინააღმდეგ კვლავ არაერთი შეთქმულება მოეწყო, მაგრამ მთელი რიგი დათმობებისა და მოწინააღმდეგეებისადმი ლმობიერი მოპყრობით მან თავის მხარეზე გადაიბირა თეიმურაზის მომხრე გავლენიანი თავადები, მათ შორის ზაალ ერისთავის ერისთავი, იოთამ ამილახვარი და სხვ. ისინი შაჰის კარზე გაგზავნეს. ძემორიგებული ქართლის თავადები ირანში დიდი პატივით მიიღეს, დიდადაც დააჯილდოვეს და გაამაჰმადიანეს. თეიმურაზს ქართლში თანდათან ჩამოეცალნენ მომხრეები. ბოლოს, 1648 წელს როსტომი ყიზილბაშთა და ქართლის თავადთა ჯარით კახეთში გადავიდა და თიანეთთან გამართულ ბრძოლაში თეიმურაზი სასტიკად დაამარცხა. ყიზილბაშთა მეორე ჯარი ქიზიყში შეიჭრა. აქ კახელთა ჯარს თეიმურაზის ეაჟი დავითი (დათუნა) ხელმძღვანელობდა. აქაც გამარჯვება ყიზილბაშებს დარჩათ და თეიმურაზის ერთადერთი მემკვიდრე, დავით ბატონიშვილი ბრძოლაში დაიღუპა. თეიმურაზს ისღა დარჩენოდა, რომ როსტომ ხანისათვის შეწყალება ეთხოვა. როსტომმა დიდი გულმოწყალება გამოიჩინა. მან თეიმურაზს იმერეთში გადასაბარგებლად ცხენ-ჯორიც კი გაუგზავნა და გამცილებლად კათალიკოსი ქრისტეფორე გაატანა. კახეთის მეფე იმერეთში, თავის სიძესთან, მეფე ალექსანდრე III-თან შეიხიზნა. თეიმურაზის გაძევებით კმაყოფილმა ირანის შაჰმა კახეთიც სამ-

მართველოდ როსტომ ხანს გადასცა. ამის შემდეგ ქართლ-კახეთში მშვიდობა დამყარდა, რაც ასე აუცილებელი იყო ქვეყნის ეკონომიკური და სამეურნეო აღორძინებისათვის.

როსტომ ხანის საბოლოო გამარჯვება ძირითადად იმან განაპირობა, რომ მან, ფაქტობრივად „ქართველობას", ე. ი. ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას ბრძოლა არ გამოუცხადა. მის მიერ გაგარებული ლონისძიებანი ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შესებია. აქ ყველაფერი უცვლელი დარჩა. მან მხოლოდ ქართლის სახელმწიფო აპარატი გარდაქმნა ყიზილბაშურ ყაიდაზე. სახელმწიფო მოხელეთა ქართული სახელები სპარსულით შეცვალა. მაგალითად, მსახურთუხუცესი ამიერიდან ყორჩიბაშად იწოდებოდა, მეფის მცველი რაზმის უფროსი, მოსათუხუცესი - ყულარაღასად, ჩუხჩარეხი - სუფრაჩად, მანდატურთუხუცესი - ეშიკაღასად, მანდატური - სოქბათიასაულად, მესტუმრეთუხუცესი - მეპმანდარად, მწერალი - მუშრიბად, ეჯიბი - მეითარად და ა. შ.

როსტომმა სპარსეთიდან დიდი რაოდენობით ჩამოიყვანა იქ მყოფი გამაპმადიანებული ქართველები. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა: „ამ გზით სპარსულ-ყიზილბაშური წესები, მნე-ჩვეულებები ფართოდ იკიდებდნენ ფეხს ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში. სპარსულ-თურქული ენები ქართველ ფეოდალთა სამეჯლისოდ სასაუბრო ენებად იქცნენ, მმართველობაში ფეხი მოიკიდეს სპარსულ-ყიზილბაშურმა ინსტიტუტებმა. სპარსულ-თურქული საერო პოეზია უცილობლად გაბატონდა ქართველ ფეოდალთა წრეებში. ქართული წიგნის სამკაული სპარსული მსატვრობა შეიქნა. სპარსულმა ხეროთმოძღვრებამ ქართული ეკლესიების მშენებლობაშიც კი გაიკაფა გზა. სპარსულ-თურქულმა სამოსელმა ქართული ფეოდალური სამოსელი შეცვალა". ასე, თანდათანობით ქართლში გზას იკაფავდა სპარსული გავლენა. როგორც აღნიშნულია ქართლის ცხოვრებაში: „ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძეა, მრუშება, ტყუილი, ხორცი-განსუენება, აბანო, კეკლუცობა უგვანო, მეჩანგე, მგოსანი, რამეთუ ამათ საქმეთაგან მოქმედთაგან კიდე არავის სცემდნენ პატივსა და მიდრკენ, ვიდრე მღვდელ-მთავარნიცა და პყოფდნენ უჯეროთა".

სპარსულ-ყიზილბაშური გავლენის ასეთი მრდის მიუხედავად ქართლის სამეფოში დადებითი ძერებიც შეიმჩნევა. ჯერ ერთი, ქვეყანაში ყიზილბაშსა რბე-



როსტომ-ხანის მიერ აგებული ხიდი მდინარე ხრამზე (ზოგიელი ხიდი).

ვა-თარეში შეწყდა, ამან გამოიწვია ქვეყნის მეურნეობის განვითარებისთვის ნორმალური პირობების შექმნა, როსტომ მეფის ხელისუფლებაც ყოველმხრივ ხელს უწყობდა ქვეყნის სამეურნეო აღწინაურებას, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას. ამ დროს გაყვანილ იქნა და კეთილმოეწყო გზები, აგებულ იქნა ქარვასლები, ხიდები, წესრიგი დამყარდა გზებზე, გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება, აშენდა ახალი ქალაქები. მაგალითად, მდ. თეძამზე, როსტომ მეფის ბრძანებით, აშენდა ახალი ქალაქი - „მეფის ქალაქი", მდ. ხრამზე აშენდა კეთილმოწყობილი ხიდი („წითელი ხიდი"). გაცხოველდა ირანის ქალაქებთან ვაჭრობა. სავაჭრო ურთიერთობა აღდგა დასავლეთ ევროპასთანაც.

ქართლის ქალაქებს შორის განსაკუთრებული აღმავლობა დაეტყო თბილისს, რომლის მოსახლეობამაც ამ ხანებში უკვე 20000-ს მიაღწია. ასევე დაწინაურდნენ ქართლის სხვა, შედარებით მცირე ქალაქებიც: გორი, სურამი, ალი, ცხინვალი, ახალდაბა, ახალგორი და სხვ.

XVII საუკუნის 40-იან წლებში ქართლში აღადგინეს ან ახლად გაიყვანეს არხები: ლიახვის, ძევრის, ტყიურის, კარალეთის, გარეჯის, თორგიზის და სხვ. დაიწყო ზოგიერთი გაუკაცრიელებული სოფლების ხელახალი დასახლება. მაგალითად, საყაფლანიშვილოში ხელახლა დასახლდა 60-ზე მეტი სოფელი. ყოველივე ამას ის დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ქვეყანას საშუალება მიეცა ძალები მოეკრიბა მომავალი განმათავისუფლებელი ბრძოლებისათვის.

პოლიტიკურად როსტომი ირანის შაჰის მოადგილედ, „ვალად" ითვლებოდა. ირანში სულ ოთხი ვალი იყო: არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანისა და ქურთისტანის. ირანის პროვინციების განმგებელ ბეგლარბეგებისა თუ ხანებისაგან განსხვავებით, ვალის მეტი დამოუკიდებლობა ჰქონდა. ისინი ადგილობრივი დინასტიების წარმომადგენლები იყვნენ და შაჰის კარზე დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. ვალი მონაწილეობდა შაჰის ტახტზე კურთხევის ცერემონიალში, ჰქონდა ინვენსტიტურის ნიშნები, ეძლეოდა ჯამაგირი და სხვ. სამაგიეროდ, ევალებოდა შაჰის სასარგებლოდ ხარკ-მისართმეველის გამოღება და შაჰის ლაშქრობაში მონაწილეობა. მის მეთვალყურედ გამოყოფილი იყვნენ შაჰის განსაკუთრებული მოხელეები (ეაბირი, მუსტოუფი, მუნში). ქართლის ციხეებში (თბილისში, გორში, სურამში და სხვ.) ყიზილბაშთა გარნიზონები იდგა. რა თქმა უნდა, ვალი მაპმადიანი უნდა ყოფილიყო. პირადად როსტომი გამორჩეული პატივისცემითა და გავლენით სარგებლობდა ირანში. საქართველოში როსტომს ტრადიციულად მეფეს უწოდებდნენ.

გამეფების პირველ წელსვე როსტომმა ცოლად ითხოვა სამეგრელოს მთავრის, ლევან II დადიანის და - მარიამი. ამ ქორწინებას გარკვეული პოლიტიკური შინაარსი ჰქონდა. კერძოდ, ამ გზით დასავლეთ საქართველოს ეს განდიდებული მთავარი ირანს დაუკავშირდა. ირანის შაპმა მას როსტომის ხელით 50000 მარჩილი გადასცა, თან ყოველწლიურად ჯამაგირი - 2000 თუმანი გაუჩინა. ირანთან და როსტომ-ხანთან კავშირმა დიდად შეუწყო ხელი ლევან II დადიანის შემდგომ გაძლიერებას.

მარიამ დედოფალი ქვეყნის მართვა-გამგებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. იგი, როგორც ქრისტიანი, დიდ მზრუნველობას იჩენდა ქრისტია-

ნული ეკლესიისადმი, მფარველობდა ქართულ მწიგნობრობას, მეცადინეობდა დანგრეული ან დაზიანებული ეკლესია-მონასტრების აღსადგენად. მისი ბრძანებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრება". მას როსტომთან შვილი არა პყოლია, ამიტომ ბოლო წლებში მწუალედ დადგა სამეფო გასტის მემკვიდრეობის საკითხი. 90 წელს მიღწეულ როსტომს ქვეყნის მართვა-გამგეობა უკვე აღარ შეეძლო, ამიტომ მან იშვილა ბაგრატიონთა გვერდითი შტოს წარმომადგენელი ვასტანგ მუხრანბატონი და გაგზავნა ყაენის კარზე მის მემკვიდრედ დასამტკიცებლად. ვასტანგი იქ გაამაპმადიანეს და შაპნავაზ ხანი უწოდეს. როსტომ ხანი 1658 წელს გარდაიცვალა. იგი ირანში, ყუმს წაასვენეს დასაკრძალავად, ქართლის მეფედ კი ვასტანგ V (შაპნავაზი) გამოგზავნეს.

სახალხო აჯანყება კახეთში 1660 წელს

იმერეთში გადახვეწილ თეიმურაზ მეფეს ფარ-ხმალი არ დაუყრია. მან სცადა შეეკავშირებინა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები და გაერთიანებული ძალით დაეწყო ახალი განმათავისუფლებელი ომი ირანის წინააღმდეგ. იგი დიდ იმედს ამყარებდა რუსეთის დახმარებაზე. 1649 წელს თეიმურაზმა დაითანხმა თავისი სიძე, იმერეთის მეფე ალექსანდრე III და ერთობლიეი ელჩობა გააგზავნა რუსეთში. 1651 წელს ალექსანდრე იმერეთის მეფემ რუსეთის ერთგულების ფიციც მიიღო, მაგრამ ამას ქართული მხარისთვის სასურველი შედეგი არ გამოუღია, პირიქით, ირანის შაპს მეგისმეტად აღიზიანებდა ის, რომ რუსეთი ერეოდა კავკასიის ამბებში და ყველა ღონისძიებით ცდილობდა, არ დაეშვა რუსეთის შემოღწევა ამიერკავკასიაში. ირანის შაპი განსაკუთრებით შეაშფოთა თეიმურაზ I-ის მიერ 1653 წელს თავისი შვილიშვილის, ერეკლე ბატონიშვილის რუსეთში გაგზავნამ. იგი შიშობდა, რომ მოსკოვი ამ ბატონიშვილის კახეთში გამეფებას შეეცდებოდა. ამიტომ სასწრაფო ზომებს მიმართა.

1656 წელს როსტომ-სანს ჩამოართვეს კახეთი და იგი სამართავად განჯის სანს, სელიმს გადასცეს. შაპი კახეთში „ყიზილბაშობის" დამყარებას აპირებდა. ქართველი პოლიტიკოსები და, უპირველეს ყოელისა, თეიმურაზი ამ საფრთხეს კარგად ხედავდნენ. საფრთხე იგრძნო კახეთის მოსახლეობამაც. თვით ყიზილბაშების მსარეზე გადასული და გამაპმადიანებული ქართველი ფეოდალებიც კი წინ აღუდგნენ ირანის შაპის ამ განზრახვას და ერთიანი გამოსელისთვის სამზადისი გაშალეს.

შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებით აქტიურობდა კახეთის მთიანეთი. ეს გასაგებიცაა. მთა ორგანული ნაწილი იყო კახეთისა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბართან. იქ, მთაში, თავშესაფარს პოულობდნენ მტრის შემოსევით შევიწროვებული ბარელები. მთა მიუვალ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა, სადაც ხდებოდა ძალების დაგროვება და აქედანვე იწყებოდა გადამწყვეტი შეტევა მომხვდურთა გასადევნად. მთა ბარის ამოუშრეტელი რეზერვი იყო. მთის მეშვეობით ზოგჯერ თითქმის მთლიანად გავერანებული და დაცარიელებული ბარის კახეთი ისევ ივსებოდა მოსახლეობით და ფეხზე დგებოდა. თავის

მსრივ, მთაც სასიცოცხლოდ იყო დაინტერესებული ბართან მჭიდრო კავშირით. მთის მწირი ბუნება ადგილობრიეი მოსახლეობისათვის საკმაო საზრდოს ვერ იძლეოდა. მთიელებს საჭირო პურ-ღვინო ბარიდან შემოპქონდათ. კახეთის ბარში იყო თუშ-ფშავ-ხევსურთა ცხვრის საზამთრო საძოვრებიც. ამაყი მთიელები ვერც მომსვდურთა უმსგაეს საქციელსა და წესებს უყურებდნენ გულგრილად. ამიტომ იყო, რომ კახეთის გათავისუფლებისთვის კახეთის მთიელებმა ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშეს.

1658 წელს მოსკოვში თვითონ თეიმურაზ I ჩავიდა. მოხუცი მეფე რუსეთის სამეფო კარს გაბედულ გეგმას სთავაზობდა, მაგრამ რუსეთმა ეს გეგმა არ მიიღო. ამავე სანებში მოსკოვში ჩაეიდა შაპის ელჩი დაკულ სულტანი, რომელიც შაპს ვითარების დასაზვერვად გამოეგზავნა. როგორც კი ირანის პოლიტიკოსებისათვის აშკარა შეიქნა, რომ რუსეთი იმჟამად საქართველოსთვის რაიმე რეალური დასმარების გაწევას არ აპირებდა, დასწრება გადაწყვეიტეს და კახეთის მიმართ ენერგიული ზომების გატარებას შეულგნენ.

შაპ-აბას II-მ ბრძანება გასცა, კახეთში შემოესახლებინათ მომთაბარე-თურქმანი ტომები და ამით ეს დაუმორჩილებელი ქვეყანა საბოლოოდ ყიზილბაშურ-მაპმადიანურ სახანოდ გადაექციათ. ამის შედეგად რუსეთსაც აღარ ექნებოდა საფუძველი თავი გამოეცხადებინა ამ ქვეყნის მფარველად.

კახეთისათვის უმაგალითოდ მძიმე დღეები დადგა. ჩამოსახლებულმა თურქმანებმა თანდათანობით დაიკავეს ივრისა და ალაზნის ნაყოფიერი ველები, აგებულ ან გამაგრებულ იქნა ციხეები, რომლებშიც ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენეს. განსაკუთრებით საგულდაგულოდ გაამაგრეს ბასტრიონის ციხე. მომხდურებმა ციხედ აქციეს ალავერდის ცნობილი ტაძარიც. „ხოლო თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ და იყუნენ შიგა და სხვაცა მრავალი ადგილი კახეთისა ეპყრათ, ბასტრიონი ციხედ ჰქონდათ. და მრავალი ელი ცოლშეილით ჩამოსახლდნენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდნენ მკვიდრთა კახეთისათა, რამეთუ ენებათ სრულიად კახეთი გასათათრებლად და ელის დასახლება", - აღწერს ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი.

კახეთში შემოყვანილი მომთაბარეები იქ მუდმივად უნდა დაესახლებინათ. კასელ თავად-აზნაურებს მიწებს ართმევდნენ, იმათ გარდა, რომელნიც შაპს ეახლებოდნენ და მისგან მიიღებდნენ მამულის წყალობას სპარსული წესით. კახეთი ორად იქნა გაყოფილი და სამმართველოდ გადაეცათ ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთაზა-ყული ხანსა და ნახჭევანის მმართველს ალი-ყული სან ქენგერლუს. ქვეყანაში „ყიზილბაშობა" დამყარდა. ეს კი ნიშნავდა ქართული ფეოდალური ურთიერთობის საფუძვლების მოშლას; ქართველი გლეხი ან საესებით გაიდევნებოდა აქედან, ან რაიათად გადაიქცეოდა; ქართეელი ფეოდალი მიწაზე სამამულო მფლობელობის უფლებას დაკარგავდა, უკეთეს შემთხვევაში, ყიზილბაშური წესით, ესე იგი დროებით მიწის მჭერად გადაიქცეოდა; ინტენსიური მეურნეობა მოიშლებოდა და უკულტურო თურქმანთა ხელში სოფლის მეურნეობის დარგები უკიდურესად დაქვეითდებოდა. ყოველივე ამან მალე იჩინა თავი: თურქმანები, როგორც წესი, ჩეხავდნენ ბალ-ვენახებს, ანადგურებდნენ კულტურულ ნარგავებს. მათ უფრო ყიშლაღ-იალაღები აწყობდათ,

ეიდრე რთული სამეურნეო დარგებით დაკავებული ადგილები. სალხმა ეს კარგად ასახა ცნობილ ლექსში:

„ბახტრიონს სსელან თათრები,
სიტყვას ამბობენ ძნელსაო:
ასმეტას ჩავსჭრით ყენახსა,
შიგ ჩავასახლებთ ელსაო“.

უკულტურო თურქმანები თავიანთი თავსედური ქცევით საყოველთაო აღშფოთებას იწვევდნენ. ამრიგად, აჯანყებისათვის მიზეზები საკმაოზე მეტიც იყო. შექმნილ ვითარებასთან შეგუება როგორც კახეთის, ისე ქართლის საბოლოო დამორჩილებასა და „გაყიზილბაშებას“ მოასწავებდა. ეს იქნებოდა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარებისა და საბოგალოებრივი ღაქვეითების დასაწყისი...

მაგრამ ქართველმა ხალხმა მრისხანე გამოსელით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი უშრეტი სასიცოცხლო ძალა. 1660 წლის ზაფხულში კახეთში იფეთქა სახალხო აჯანყებამ, რომელმაც საფუძველშიე ჩაშალა მტრის ეს მზაკვრული განზრახვა.

აჯანყების მეთაურად მიჩნეული იყო ზაალ არაგვის ერისთავი. ზაალ ერისთავი სპარსელთა ერთგულ პირად ითვლებოდა. იგი კახეთის მმართველი ხანების მრჩეველადაც იყო დანიშნული, მაგრამ თავისი მდგომარეობით ყველაზე უკეთ ხედავდა მტრის ნამდვილ განზრახვას და ქვეყნისთვის სპარსელთა ბატონობის დამლუპველ შედეგებს. მასთან ერთად გამოეიდნენ შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. როგორც ჩანს, ქართლის მოწინავე წრეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ კახეთის „გაყიზილბაშება“ საბოლოოდ ქართლსაც ასეთსავე შედეგს მოუტანდა. მიუხედავად ქართლსა და კახეთს შორის არსებული პოლიტიკური გათიშულობისა, ქართლმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კახეთიდან თურქმანთა განდევნაში. კახეთის აჯანყების მომზადების სულისჩამდგმელი სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი იყო.

კახეთის დასახმარებლად წამოსული მთიელები დათქმულ დღეს ნაქერალას მთაზე შეიკრიბნენ და იქიდან დაეცნენ თავს ციხეებში გამაგრებულ ყიზილბაშებს.

აჯანყებამ მტრისთვის მოულოდნელად იფეთქა. აჯანყებულთა მოქმედებას უშუალოდ მეთაურობდნენ ზაალ ერისთავის შვილი ზურაბი, ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ერისთავები. ქართველებმა რამდენიმე ადგილას ერთდროულად შეუტიეს თავის მრავალრიცხოვნობას მინდობილ თურქმანებს. აჯანყებულთა ერთი ნაწილი დაეცა ბახტრიონის ციხეს, სადაც სპარსელთა ჯარის მნიშვნელოვანი ძალა იყო თავმოყრილი, მეორე ნაწილმა კი შეუტია ალავერდში გამაგრებულ თურქმანებს. მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული. ხალხური თქმულება გადმოგვცემს, რომ, როდესაც ბახტრიონის ციხეს თუშ-ფშავ-ხევსურნი დაეცნენ, ბარელებმა ალავერდის გალავანს შეუტიეს. ბახტრიონში დამარცხებული თურქმანები თავშესაფარებლად ალავერდისაკენ გაქცეულან, ალავერდიდან კი გადარჩენილნი ბახტრიონისაკენ გამორბოდნენ. ორივე ციხიდან გამოქცეული ყიზილბაშები ქართველებს ალაზნის მარ-

ცხენა ნაპირზე მოუმწყვდევიათ და იქ გაუსწორებიათ მათთვის ანგარიში. ამ ადგილს მოსახლეობა დღესაც „გაწყვეტილას“ ეძახის.

ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ მხოლოდ აჯანყების დიდგვაროვანი ხელმძღვანელების სახელები შემოგვინახა, ხალხურმა გადმოცემებმა კი ხალხის წრიდან გამოსული გმირები არ დაივიწყა. მაგალითად, გადმოცემით, ბასტრიონის აღებაში თუშებს ზეზვა გაფრინდაული მეთაურობდა, სვეტურებს - ნადირა სოშარაული, ფშაველებს - გოგოლაური.

აჯანყებულთა გადამწყვეტი მოქმედებით მტერი სასტიკად იქნა დამარცხებული. თავზარდაცემული თურქმანები კახეთიდან გადაისვეწნენ. კახეთი ერთიანად იქნა გაწმენდილი შემოსახლებული მომთაბარეებისაგან. „სადაც კახეთს თათარი ან ელი ესახლა, ყოველივე ამოწყვიტეს და არა სადა დაშთა, რომ ყოველივე არ მოკლეს. და რომელიმე იელტოდეს, წარვიდეს და განაძეს: კახეთში თათარნი აღარსად იპოვებოდნენ“, - გადმოგვცემს ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი. „ქართველობა“ და საქართველო დიდ საფრთხეს გადაურჩა.

მართალია, სპარსეთის საბოლოო უკუგდება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა, მაგრამ დამპყრობელი იძულებული გახდა, უკან დაეხია და ხელი აეღო საქართველოს „გაყიზილბაშებაზე“. ეს იყო „ქართველობის“ დიდი გამარჯვება.

მტრის გააფთრება უდიდესი იყო, მაგრამ მას ჩაშლილი გეგმის განახლება აღარ შეეძლო. კახეთის მმართველად შაჰმა ყიზილბაში მოხელეები ვეღარ გამოგზავნა და ქვეყანა გადასცა ქართლის განმგებელს, ეახტანგ V-ს. მართალია, ეახტანგ მეფე გამაჰმადიანებული და შაჰის ხელის შემყურე იყო, მაგრამ ეს უკვე იმასაც ნიშნავდა, რომ კახეთში „ქართველობას“ საფრთხე აღარ ელოდა. ვახტანგს კახეთის დაკავება ძალით მოუხდა, მაგრამ ეს უფრო შინაური კონფლიქტის ხასიათისა იყო.

ამ დროს თეიმურაზი რუსეთიდან იმერეთში იყო დაბრუნებული და ყოველმხრივ გულგატეხილს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი ჩაექნია. იგი თაეის ამალასთან ერთად სკანდის ციხეში იყო დასადგურებული, როდესაც ბაალ არაგვის ერისთავისაგან კახეთში მიწვევა მოუვიდა. თეიმურაზმა ახლობელ პირთა დაყინებული რჩევით, უარი შეუთვალა ერისთავს კახეთში დაბრუნებაზე.

ირანის შაჰი აბერბაიჯანში ჯარებს უყრიდა თავს და ახალი შემოსევით იმუქრებოდა. ეახტანგ V-მ ამ ამბით ისარგებლა და მისი შეურიგებელი მოწინააღმდეგე ბაალ არაგვის ერისთავი მის ძმისშვილებს ღალატით მოაკვლევინა. ბაალის ვაჟი ბურაბი კი დაატყვევა და ირანში გაგზავნა. ასეთი გზით მან სცადა ირანის შაჰის მრისხანების დაცხრომა. ხალხური გადმოცემით, ზეზვა გაფრინდაული ტყვედ ჩაუგდიათ სპარსელებს და სიკვდილით დაუსჯიათ. აჯანყების დანარჩენი ხელმძღვანელები - ბიძინა ჩოლოყაშვილი, ბაალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, თავიანთი ნებით ეახლნენ შაჰს, რათა ამით ეხსნათ ქვეყანა გააფთრებული მტრის ახალი შემოსევისაგან. შაჰმა ისინი კახეთში ამოსოცილ თურქმანთა თანამეტომეებს გადასცა, რომლებმაც სამშობლოსთვის თავდადებული გმირები წამებით დახოცეს.

შაპნავაზმა თეიმურაზის შეპყრობაც შეძლო. 1660 წლის სექტემბერში იმერეთში ჯარით შესულა ქართლის მეფე სკანდის ციხეს შემოადგა. აეადმყოფი თეიმურაზ I მას წინააღმდეგობა გაუწეველად დანებდა და შაპის კარზე გაშვება სთხოვა. ყიზილბაშთა წინააღმდეგ აქამდე შეურიგებლად მებრძოლი მეფე თბილისში წამოიყვანეს და შემდეგ ირანში გაისტუმრეს. თეიმურაზის ირანში გამგზავრება ისევე, როგორც ალანყების მეთაურების - ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების გამოცსადება შაპის კარზე, ქვეყნის გადარჩენას ემსახურებოდა. მათმა თაყვანებამ კახეთს მტრის ურღოების ახალი შემოსევა ააცილა.

თეიმურაზი შაპის კარზე თავდაპირველად დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ როცა გამაპმადიანება მოსთხოვეს და მეფემ ამაზე უარი განაცხადა, გამოკეტეს ასტრაბადის ციხეში, სადაც 1663 წელს გარდაიცვალა. თეიმურაზი საქართველოში ჩამოასვენეს და ალავერდის ტაძარში დაკრძალეს.

ქართლისა და კახეთის სამეფოები XVII საუკუნის ბოლოს

ვახტანგ V-ის მეფობით იწყება ქართლში ბაგრატიონ-მუხრანბატონთა საგვარეულოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მმართველობა. ვახტანგ V-მ წარმატებით დაიწყო მოღვაწეობა. მან ისარგებლა იმერეთში მეფე ალექსანდრე III-ის გარდაცვალების (1660 წ.) შემდეგ დაწყებული არეულობით, ჯარით გადავიდა იქ, დაამარცხა მეფობის მოსურნე ვამიყ დადიანი და ქუთაისის ტახტზე თავისი 14 წლის შვილი არჩილი დასვა. ბასტრიონის ამბების შემდეგ კახეთიც მას ემორჩილებოდა. ამრიგად, მისი ძალაუფლება მეტ-ნაკლებად თითქმის მთელ საქართველოზე (სამცხის ჯარდა) ვრცელდებოდა. მისი ხელისუფლების ასეთი ზრდა არც ოსმალეთს. არც ირანს და, მით უმეტეს, ადგილობრივ დიდებულ თავადებს არაფრად მოსწონდათ. ოსმალეთის მოთხოვნით და ირანის შაპის ბრძანებით, ვახტანგმა 1663 წელს არჩილი იმერეთიდან წამოიყვანა და შაპს მიუგვარა. შაპმა არჩილიც გაამაპმადიანა და კახეთის მეფედ დანიშნა.

მეფე არჩილი 1705 წლის გრავიურა.

ვახტანგ V-მ ენერგიულად შეუტია ურჩ თავადებს, მაგრამ ბოლოს ირანის შაპის კარი ჩაერია და ქართლის მეფეს ნება არ მისცა, მოეთოკა თავნება ფეოდალები. მეფე მამა-შვილი, ვახტანგ V და არჩილი მაინც ენერგიულად მოქმედებდნენ. მათ ალაგმეს ლეკთა თარეში, სასტიკად აკრძალეს ადამიანის უცხოეთში გაყიდვა, ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. ისინი ცდილობდნენ მოეზიდათ ევროპელი ვაჭრები და აღედგინათ ევროპა-ინდოეთის საგრანზიტო-სავაჭრო გზა, რომელიც ერთ დროს საქართველოზე გადიოდა. საქარ-

ერეკლე I.

თვალში უკვე მრავალად მოღვაწეობდნენ კათოლიკე მისიონერები, ჩამოდიოდნენ ევროპელი ვაჭრებიც. მაგალითად, 1672-73 წლებში საქართველოში იმყოფებოდა საფრანგეთ-ინდოეთის საგაჭრო კომპანიის წარმომადგენელი, თვითთონაც მსხვილი ვაჭარი და იუველირი ჟან შარლენი, რომელმაც დაგვიტოვა საქართველოში თავისი მოგზაურობის საინტერესო აღწერილობა.

დასავლეთ საქართველოში ჟან შარლენი მოწმე იყო იმ უბედურებისა, რაც აქაურ მოსახლეობას თავს აგდებდა ადგილობრივ ფეოდალთა თვითნებობით, შინაფეოდალური ბრძოლებითა თუ თურქთა შემოსევებით. იგი საკმაოდ მუქ ფერებში აგვიწერს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმძიმეს მდგომარეობას, საშინელ სენტყვეის სყიდვას, რასაც განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი ჰქონდა იმ პერიოდში. აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთში, მისი დაკვირვებით, შედარებით წესრიგი და ეკონომიკური კეთილდღეობაც შეინიშნებოდა.

ვახტანგისა და არჩილის წარმატებული მეფობა არაფრად მოსწონდა ირანის ახალ შაჰს სულეიმანს (1666-1694). ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა მათთვის დაეპირის პირებინა მოსკოვის მეფის კარზე მყოფი თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე, რომელსაც სათანადო სიგელებითა და წერილებით აღუთქვა საქართველოში გამეფება, თუ იგი მოსკოვიდან წამოვიდოდა და მასთან გამოცხადდებოდა. ერეკლე 1675 წელს ჩავიდა ირანში, სადაც მას, გამეფების პირობად, გამაჰმადიანება მოსთხოვეს. ერეკლე ამ ამბის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა.

იმავე წელს ირანში დაიბარეს ვახტანგ V-ც, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა. ამაზე აღრე არჩილი კახეთს გაეცალა და იმერეთში გადავიდა. ირანის შაჰმა ქართლის მეფედ ვახტანგის მომდევნო ვაჟი, გიორგი XI დანიშნა (1675 წ.), კახეთი კი სამმართველოდ ერთ-ერთ მედროვეს, გამაჰმადიანებულ გორჯასპ კახაბრიშვილს (ბეჟან ხანს) გადასცა.

გიორგი XI (1676-1688), რომელმაც, გამაჰმადიანების შემდეგ, ასევე შაჰნავაზი (II) უწოდეს, უფრო ნაკლებად ითმენდა ირანის ბატონობას, ვიდრე მისი მამა ვახტანგ V და აჯანყებისთვის ფარულად ემზადებოდა. იგი კახეთის დაკავებასა და იქიდან ირანელთა მიერ დასმული რენეგატი ხანის გაძევებას აპირებდა. ყოველივე ამის გამო ირანის შაჰმა გიორგი XI გადააყენა და მის მაგივრად ქართლის მეფედ გამოგზავნა ერეკლე I, რომელმაც, ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ, მიიღო მაჰმადიანობა.

ერეკლე I (1688-1703), ნაზარალი-ხანი, რუსეთში იყო გაზრდილი და ნაკლებად იცნობდა ქართულ წესებსა და ზრდილობას. იგი თავიდანვე ვერ შეეგუა ქართველ თავადებს. მან მმართველობაში ზოგიერთი წესის შეცვლა განიზრახა, ასევე შეავიწროვა ძირძველი დიდგვარიანი თავადები. ქართველ საზოგადოებას განსაკუთრებით ერეკლეს მიერ რუსეთში შეთვისებული ბილწ-

სიტყვაობა არ მოსწონდა. ვერ ეგუებოდნენ მის უხეშ, უტაქტო მოქმედებას. ყოველივე ამის გამო ქართველი თავადების დიდმა ნაწილმა ისევ გიორგი XI-ის გამეფება მოინდომა. 1691 წლიდან დაიწყო გაუთავებელი ომი მეფობის ამ ორ პრეტენდენტს შორის („ორი ალიბა"), რაც იმით დამთავრდა, რომ 1703 წელს ორივე ირანის შაპის კარზე გამოცხადდა და იქ ეძიებდა მხარდაჭერას. ირანის უკანასკნელმა სეფიანმა შაპმა სულთან-ჰუსეინმა (1694-1722), რომელსაც გართულებული ჰქონდა მდგომარეობა ირანში, იქ ჯარების სარდლად და ბეგლარბეგად გიორგი XI გაგზავნა, ხოლო ერეკლე I თავისი გვარდიის მეთაურად-ყულარაღასად დანიშნა. ქართლის დროებით გამგებლად ანუ ჯანიშინად მან გიორგის ძმისშვილი, ვახტანგ ლევანის ძე დაამტკიცა, კახეთში კი ერეკლეს უფროსი ეაჟი დავითი (მაჰმადიანობაში იმამყულისანი) გამოგზავნა.

კახეთში ამ დროს დიდი ცვლილებები ხდება. როგორც დავინახეთ, XVII საუკუნეში შაპ-აბასის შემოსევებმა მიწასთან გაასწორა ეს ქვეყანა. ერთ დროს აყვავებული სოფლები და ქალაქები ნანგრევებად იყო ქცეული. მოსახლეობის ნაწილი ამოწყდა, დიდი ნაწილი კი ირანში გადაასახლეს, მაგრამ მეფიდიბიანობის ჩამოგდებისთანავე კახეთი კვლავ მოშენდა და აყვავდა. შაპის კარი კახეთის ძიმართ მაინც განსაკუთრებულ აგრესიულობას იჩენდა, თუნდაც იმის გამო, რომ მისი მმართველი წრეები განუხრელად რუსული ორიენტაციისა იყვნენ. მას შემდეგ, რაც დემაგოგიური დაპირებებით შაპმა ხელთ იგდო კახეთის მეფეთა უკანასკნელი შთამომავალი ერეკლე ბატონიშვილი, კახეთის მმართველებად მაჰმადიანი ხანები ინიშნებოდნენ. ესენი იყვნენ მეგობელი განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგები, რომლებსაც კახეთის ყიზილბაშურ სახანოდ გადაქცევა და იქ თურქმანების ჩამოსახლება ევალებოდათ. ამ მიზნის განხორციელების გასაადვილებლად კახეთის მმართველი ხანები ამკარად ხელს უწყობდნენ ლეკთა ჩამოსახლებას კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში - ჭარში.

შაპ-აბასის მიერ კახეთის აოხრების შემდეგ ჭარში ლეკების ჩამოსახლება გაძლიერდა. ამოწყვეტილი ან ირანში გადარეკილი კახეთის მოსახლეობის ადგილს აქ დაღესტნიდან ჩამოსახლებული მთიელები - ლეკები იკავებდნენ. ეს პროცესი შემდგომშიც გრძელდებოდა. XVII საუკუნის დასაწყისშივე შაპ-აბასმა კახეთს ჩამოაცილა კაკის და ენისელის მსარე, სადაც მმართველებად გამაჰმადიანებული მფლობელები - სულტნები დააყენა.

ასე, თანდათან კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში შეიქმნა კაკისა და ენისელის სასულტნოები, ჭარისა და ბელაქნის „უბატონო თემები" ანუ ლეკური დასახლებანი, რომლებმაც დაიქვემდებარეს დარჩენილი ადგილობრივი ქართული მოსახლეობა და გაამაჰმადიანეს. მათ ეწოდათ „ ი ნ გ ი ლ ო ე ბ ი ", რაც თურქულად მაჰმადიანობაზე ახლად მოქცეულს ნიშნავდა.

ლეკებით დასახლებული აღმოსავლეთ კახეთის ეს ტერიტორია იქცა „ლეკიანობის" ბუდედ ანუ კახეთის მშვიდობიან მოსახლეობაზე დაღესტნელი მთიელებისა და აქ ჩამოსახლებული ლეკების ყაჩაღური თავდასხმების კერად. კახეთის მმართველი მაჰმადიანი ხანები ამ „ლეკიანობას", ე. ი. ლეკების შემოსევებს, კი არ ებრძოდნენ, პირიქით, მათში თავიანთ მოკავშირეებს ხედავდნენ, რათა კახეთის მოსახლეობა საბოლოოდ დაემორჩილებინათ და გადა-

ეგვარებისათ. ამის გამო იყო, რომ ყიზილბაშმა ხანებმა დასაყრდენი ვერ გაიჩინეს კახეთის მოსახლეობის ვერცერთ ფენაში. კახეთის მოსახლეობა დაუცხრომლად ებრძოდა როგორც ამ ყიზილბაში ხანების სელისუფლებას, ისე „ლეკიანობას". ამ შეურიგებელი ბრძოლების გამო იყო, რომ შაჰი სულთან-ჰუსეინი აძულებული გახდა კახეთში ხანების სელისუფლება შეეცვალა და ადგილობრივი ფინასტიის მმართველობა აღიდგინა. როგორც აღნიშნული იყო, კახეთის მეფედ დანიშნული ერეკლე I ირანში იქნა დატოვებული ყულარაღასად და მის მაგიერად კახეთის განმგებლად გამოიგზავნა მისი ეაჟი დავითი (იმამყულისანი, 1703-1722), ისევე როგორც ქართლის მეფედ აღდგენილ იქნა გიორგი XI, მაგრამ მის მაგიერადაც ქართლის მმართველად ანე ჯანიშინად გამოიგზავნა მისი ძმისწული, ვახტანგ ლევანის ძე (1703-1723).

დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში

XVI საუკუნეში დაწყებული ბრძოლა იმერეთის მეფესა და დასავლეთ საქართველოს მთავრებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა XVII საუკუნეში. ამ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა სამეგრელოს მთავარი ლევანი II დადიანი (1611-1657). მან თავისი გავლენა გაავრცელა გურიის სამთავროზეც და არაერთი დამარცხება მიაყენა იმერეთის მეფე გიორგი II-ს (1605-1639). ბოლოს, მეფე ტყვედაც იგდო და დიდი გამოსასყიდის ფასად დაახსნევინა თავი. ლევან დადიანი მეტად მოსერხებულ პოლიტიკას ატარებდა ირან-ოსმალეთის მიმართ. სიტყვიერად ოსმალეთს ემორჩილებოდა, ძაგრამ ფაქტობრივად ირანთან იყო დაკავშირებული და მისგან დიდ დახმარებას იღებდა. როგორც აღვნიშნეთ, მან თავისი ღა, მარიამი ქართლის მაპმადიან მმართველზე როსტომ ხანზე დააქორწინა და ამით კიდევ უფრო განიმტკიცა მდგომარეობა.

ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ გიორგი იმერთა მეფეს დიდხანს აღარ უცოცხლია და 1639 წელს გარდაიცვალა. მისი მემკვიდრის ალექსანდრე III-ის (1639-1660) დროს კვლავ გრძელდებოდა ლევან დადიანის თარეში მთელ დასავლეთ საქართველოში, რასაც ბუნებრივად მოსდევდა მოსახლეობის მასობრივი რბევა-აწიოკება, ტყვედ წაყვანა და შემდეგ ოსმალეთში გაყიდვა. ასე გრძელდებოდა 1657 წლამდე, როდესაც ლევან II დადიანი დაიღუპა და ალექსანდრე იმერთა მეფემ ახლა თვითონ შეუტია სამეგრელოს. მან მთავრად დასვა დადიანთა ნათესავი ვამიყ ლიპარტიანი, ასევე გურიის მთავარიც შეცვალა და გურიელად თავისი ერთგული დემეტრე სვიმონის ძე დანიშნა. მოვლენების ასეთი განვითარებით თითქოს განმტკიცდა იმერეთის მეფის ხელისუფლება, მაგრამ ალექსანდრე მეფის მოულოდნელი გარდაცვალების (1660 წ. 4 მარტს) შემდეგ დასავლეთ საქართველო კვლავ გაუთავებელმა შინაომმა და ანარქიამ მოიცვა.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ იმერეთის ტახტი დაიკავა მისმა ძემ ბაგრატმა, მაგრამ იმავე წელს ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო დედინაცვალმა, დარეჯან დედოფალმა. დარეჯანი თეიმურაზ I-ის ასული იყო. ამ პატივმოყვარე

იმერეთის მეფე ალექსანდრე III.
ეახტანგ ალბაბისდან

ვამიკ ლიპარიანი
ეახტანგ ალბაბისდან

ლედოფალმა თავის გერს, ბაგრატს თეალები ამოწვა, ო

ქართველების მხიარული დრის გარება.
კასტელის ალბომიდან.

მეტად უცნაურად წარიმართა თამარის ბედი. მეფე-მთავრებს შორის ატეხილ ომში იგი ხელიდან ხელში, გამარჯვებულიდან გამარჯვებულზე გადადიოდა. მისი დაკარგვით გახელებული ლევან დადიანი, თუ მისი სილამაზით მოხიბლული გიორგი გურიელი გააფთრებით ებრძოდნენ უსინათლო ბაგრატს და თამარის დაუფლებას ცდილობდნენ.

დადიანი მეფე ბაგრატს ორჯერ შეებრძოლა, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა. ბაგრატმა დამარცხებული მთავარი ფიცით შემოირიგა. 1672 წელს უკვე გურიის მთავარი გიორგი გურიელი გამოეიდა ბაგრატ მეფის წინააღმდეგ. გურიელიც თამარის ტრფობით იყო თავგზააბნეული და არაფერს ერიღებოდა მის ხელში ჩასაგდებად. მან დაიხმარა ასალციხის ფაშა და მასთან ერთად დალაშქრა იმერეთი. ბაგრატმა თავისი ცოლი რაჭაში, კ ვ ა რ ა ს მიუვალ ციხეში გადამალა, თვითონ კი მოწინააღმდეგეთა ჯარს შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. გურიელი და ასალციხის ფაშა კვარას ციხეს შემოადგნენ, თუმცა იგი ვერ აიღეს. ოსმალთა სარდალმა დიდძალი ტყვეები და ნადაელი იგდო ხელთ, ბაგრატს დიდი გამოსასყიდი გადაახდევინა, თან მისი ვაჟი ალექსანდრე მძევლად აიყვანა და ამის შემდეგ უსინათლო მეფე კელავ დააბრუნა იმერეთის ტახტზე. თურქებმა მოარბიეს სამეგრელოც და სამცხეში დაბრუნდნენ.

ოსმალთა წასვლის შემდეგ ბაგრატმა გიორგი გურიელის დასჯა გადაწყვიტა და მის სამფლობელოს შეესია. ქვეყანა კვლავ აოხრდა, განადგურდა, მაგრამ მთავრის საბოლოო დამორჩილება მეფის ძალას აღემატებოდა. ბაგრატმა ის მაინც მოახერხა, რომ გურიელი შემოერიგებინა. დედოფლის მიმართ მისი გრძნობა რომ როგორმე ჩაეხშო, მას ცოლად შერთო თავისი ქალიშვილი, დარეჯანი, რომელიც თამარისგან ჰყავდა.

ამასობაში ისევ გამოჩნდა არჩილი, რომელსაც კახეთი დაეტოვებინა და კელავ იმერეთის ტახტის დასაკავებლად იბრძოდა. მას ერთგულად დაუჭირა მხარი ლევან დადიანმა, მის მხარეზე დადგნენ იმერეთის თავადებიც. 1678 წლის სექტემბერში ბაგრატ მეფე ჩამოაგდეს ტახტიდან და არჩილი გაამეფეს. ბაგრატმა დედოფალი თამარი სკანდის ციხეში გადამალა. არჩილმა აიღო სკანდის ციხე, გამოიყვანა თამარი და მის ყოფილ ქმარს, ლევან დადიანს დაუბრუნა. ახლა გიორგი გურიელი დაეხმარა ბაგრატს.მათ მოიხმეს სამცხის მთავარი ასლან-ფაშა და არჩილს შეუტიეს. მომხრეებშემოცლილმა არჩილმა რაჭას შეაფარა თავი.

ამრიგად, 1679 წელს უსინათლო ბაგრატი უკვე მეოთხედ აეიდა იმერეთის ტახტზე. მან მაშინვე ოღიშში ილამქრა და დაამარცხა ლევანი. გამარჯვებულმა მეფემ კვლავ წაართვა ცოლი დადიანს და ხელახლა შეირთო.

ამის შემდეგ ლევან დადიანი მალე გარდაიცვალა — 1680 წელს. ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა მეფე ბაგრატიც და ასპარეზი გიორგი გურიელს დარჩა. ბაგრატს კანონიერი მემკვიდრე არ დარჩენია, მისი უკანონო შვილი ალექსანდრე კი — ქართლის მეფე გიორგი XI-ის კარზე იმყოფებოდა. გურიის მთავარმა აიძულა იმერეთის თავადები, რომ იგი იმერეთის მეფედ ეცნოთ. მეფედ კურთხევისთანავე გიორგი გურიელი გაშორდა თავის ცოლს, დარეჯანს და თაეისი ძველი საგრეფო და სიდედრი, დარეჯანის ლელა — თამარი შეირთო. მისმა ამ საქციელმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

1683 წელს ქართლის მეფე გიორგი XI-ის წინადადებით და ხონთქრის თანხმობით იმერეთის ჯარით შემოეიდა სამცხის ფაშა იუსუფი და მეფედ დასვა ბაგრატის უკანონო შვილი ალექსანდრე IV (1683-1695). გიორგი გურიელმა გურიას შეაფარა თავი. ხოლო დედოფალი თამარი ოღიშში დაბრუნდა, სადაც მალე გარდაიცვალა (შშობიარობას გადაყვა). მემატიანე წერს „თქმულ არს ამა თამარისათვის: ოღეს იქმნა მიდგომილ ამა გიორგი გურიელისა — თავის სიძისაგან, შვა ცეცხლი და მოკვდა". გიორგი გურიელმა ომი აუტეხა ახლადგამეფებულ მეფე ალექსანდრეს, მაგრამ დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა (1684 წ.).

შინაბრძოლები და ფეოდალური ანარქია არც შემდეგ დამცხრალა. იმერეთის ტახტზე ერთმანეთს ცვლიდნენ სან გურიელი, სან დადიანი, სან აბაშიძე. ბაგრატიონთა გვარიდან კანონიერი მეფეებიც ამ უძლიერესი მთავრებისა და თავადების ნებით ადიოდნენ თუ მეფობას ჰკარგავდნენ. მაგალითად, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, 30 წლის განმავლობაში, იმერეთის ტახტზე 12-ჯერ აიყვანეს მეფე. ამათგან სამი მოკლეს, დანარჩენი განდევნეს. ამ ამბებში აქტიურად ერეოდა ოსმალეთი და დასავლეთ საქართველოზე თავის გავლენას სულ უფრო აძლიერებდა.

ოსმალებმა ჯერ კიდევ ირანთან მეორე ომის დროს სცადეს საქართველოს შავიზღვისპირა ნავსადგურებში დამკვიდრება. მათ აღადგინეს ფოთისა და სოხუმის ციხეები და შიგ თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს, თუმცა იქ მათი პოზიციები მტკიცე არ იყო. ძირითადი მიმართულება, საიდანაც ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს უტევდა, სამცხე იყო. სამცხეში უკვე გამაპმადიანებული ჯაყელები მმართველობდნენ ახალციხის ფაშის ანუ ჩილღირის ბეგლარბეგის ტიტულით და ერთგულად ემსახურებოდნენ თურქეთის სულთანს. ისინი ადგილობრივი გამაპმადიანებული ქართველების ჯარით თუ ოსმალო ასკერების მეშვეობით სშირად შემოიქრებოდნენ სოლმე დასავლეთ საქართველოში და ძალით ერეოდნენ ადგილობრივ საქმეებში.

ოსმალები დასავლეთ საქართველოს კენ ჩრდილო-დასავლეთის, აფხაზეთის სამთავროს მხრიდანაც მოიწევდნენ.

აფხაზეთი XVII-ს-ში

XVII საუკუნის დასაწყისში, ლევან II დადიანის მცირეწლოვნობის დროს, აფხაზთა მთავრებმა, შარვაშიძეებმა მოახერხეს თავიანთი სამფლობელოების ცალკე გამოყოფა. სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის საზღვრად მდ. კოდორი იქცა. ლევან დადიანმა თავდაპირველად სცადა აფხაზეთის მთავრებთან მშვიდობიანი ურთიერთობის ჩამოგდება და ამ მიზნით ცოლად შეირთო ხეტემან შარვაშიძის ქალი თანურია, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მას ღალატი დასწამა და ამ საბაბით დაიწყო აფხაზეთზე ლაშქრობანი. აფხაზეთის დამორჩილების მიზნით დადიანმა რამდენჯერმე სასტიკად მოარბია შარვაშიძეების საკუთრებები და მათი ხარკი შეაწყვეტინა. როგორც ამ ამბების მომსწრე იტალიელი ბერი არქანგელო ლამბერტი წერს: „აფხაზებმა მორჩილება ვამოუცხადეს ლევანს, ხარკი აღიარეს, მაგრამ რადგან ეს ხალხი მოქალაქეობას და ვაჭრობას მოკლებულია და არც ფული გააჩნია, არც საქონელი ხარკის გადასახდელად, - დადიანმა მათ ხარკად დააღო რამდენიმე მწვანარ-მეძებარი და მიმინო". ნიშანდობლივი დასასიათებაა! ერთ დროს განვითარებული ფეოდალური ეკონომიკისა და მაღალი კულტურის მქონე საქართველოს ეს კუთხე ერთობ დაქვეითებული და დაცემული ჩანს. ამის მიზეზი, სხვა ფაქტორებთან ერთად, ისიცაა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე შეცელილი იყო მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. იმიერკავკასიელი მთიელების თავდასხმებისა და შემოტევის შედეგად, აგრეთვე, გამუდმებული შინაბრძოლების გამო ადგილობრივმა ქართულმა, ქრისტიანულმა მოსახლეობამ დიდი ზიანი განიცადა. მათი დიდი ნაწილი ამოწყდა, ნაწილი ტყვედ გაიტაცეს და ოსმალეთის ბაზარზე გაყიდეს, ნაწილი მოსახლეობისა აიყარა და სხვაგან გადასახლდა. დაცარიელებული ადგილების დაკავება დაიწყეს იმიერკავკასიიდან ჩამოსახლებულმა ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის მთიელმა ტომებმა, რომლებიც საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების დონით ერთობ დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათში ჯერ კიდევ ძლიერი იყო თემურ-გვაროვნული წყობილება და პრიმიტიული წარმართული სარწმუნოება.

ამ ჩამორჩენილი, ველური სტიქიის მოძალების შედეგად ძალზე შეავიწროდა ქართული ელემენტი აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუმცა „ქართველობას" იქ პოზიციები საბოლოოდ არასოდეს დაუთმია. XVII და ნაწილობრივ XVIII საუკუნეშიც ფეოდალური კლასი აფხაზეთში, მთავარ შარვაშიძეთა საგვარეულოს ჩათვლით, თავისი კულტურული სახითა და სარწმუნოებითაც ქართული რჩებოდა. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმ მუდმივ შინაფეოდალურ ბრძოლებში, მთელ დასავლეთ საქართველოში რომ მიმდინარეობდა და რომელსაც გამოუსწორებელი ზიანი მოჰქონდა ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

როგორც აღნიშნული იყო, ეს ბრძოლები დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა XVII ს-ის 60-იანი წლებიდან. ამით სარგებლობდნენ აფხაზეთის მთავრები და სამეგრელოს წინააღმდეგ შეტევაზე გადმოდიოდნენ. მათ გადმოლახეს მდ. კოდორი და თავიანთი სამთავროს საზღვრები მდ. ენ-

გურამდე გაღმოსწიეს. XVII ს-ის ბოლოს აფსაგთა სამთავრო სამ ნაწილად დაიყო. მთავარმა ზეგნაყ შარეაშიძემ სამთავროს ტერიტორია თავის სამ შვილს გაუნაწილა: უფროსს - როსტომს ერგო ტერიტორია მდ. ბბიფსა და კოდორს შორის, მეორეს - ჯიქეშიას - ტერიტორია მდ. კოდორსა და ღალიძგას შორის, მესამეს - ყვაპუს ერგო სამეგრელოდან მიტაცებული მიწები მდ. ღალიძგასა და ენგურს შორის. ამ უკანასკნელს XVIII საუკუნეში სამურზაყანო ეწოდა, მისი მფლობელის მურზაყან ძარეაშიძის სახელის მისედვით. ყვაპუ შარეაშიძემ თავის საძფლობელოში ბბიჟის ხეობიდან ჩამოასახლა აფსაზები, მაგრამ მოსახლეობის დიდ უმრაველესობას იქ მაინც ქართველები (მეგრელები) შეადგენდნენ. აფსაზეთის ამ განაწილების შემდეგ მისი ერთიანობა აღარ აღდგენილა. აფსაზთა ცალკეულ მფლობელთა შორის ურთიერთმიხდომა და ბრძოლა არ შეწყვეტილა.

აფსაზეთის მთავრები აღიარებდნენ იმერეთის მეფის სიუზერენობას, მაგრამ ეს მათ სრულიადაც არ უშლიდა ხელს, ეწარმოებინათ როგორც ურთიერთშორის ბრძოლა, ისე ყაჩაღური თავდასხმები მეზობელი იმერეთისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე, მოეტაცნათ ადამიანები და ტყვედ გაეყიდათ ოსმალეთის ბაზარზე. ოსმალები ყოველმხრივ აქეზებდნენ მათ ამ საქმეში. ოსმალეთში ეს საქონელი - ტყვე ადამიანები დიდი რაოდენობით სჭირდებოდათ იანიჩარისა, ჰარამხანებისა და პაგრიარქალური მეურნეობისათვის. ოსმალებმა თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს მთელი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ჩრდილო კავკასიის ტომები, განსაკუთრებით ჯიქების აფხაზური ტომი. ამ მხრიდან ისინი თავიანთ ეგავლენასა და მაპმადიანობას აფსაზეთის მოსახლეობაშიც ავრცელებდნენ. ამავე დროს ოსმალთა გარნიზონი იდგა სოხუმის ციხეშიც, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ოსმალურ გავლენას აფსაზეთის ტერიტორიაზე. აფსაზეთის მთავრები იძულებულნი იყვნენ ოსმალებისთვის სარკიც გადაეხადათ.

ოსმალთა ამ მოძალებას აფსაზეთის მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა. სშირი იყო აჯანყებები და ბრძოლები მათ წინააღმდეგ.

ქართული სამეფო-სამთავროების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში

სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისაგან განსხვავებით XVI საუკუნეში კახეთის სამეფოში მშვიდობა სუფევდა. ამიგომ იქ სწრაფად ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა-ხელოსნობა. მოსახლეობაც შესამჩნევად მომრავლდა აღმოცენდა ახალი ქალაქები (გრემი, ძეგამი); დაწინაურდა საგარეო ვაჭრობა: უცხოეთში გაპქონდათ აბრეშუმი, კაკალი, ენდრო, ცხენები, ღვინო. ფართოდ გაიშალა საამშენებლო მუშაობა. შენდებოდა სასახლეები, ციხესიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, აღადგენდნენ ძველ ნაგებობებს, გაპყავდათ გზები, არხები და სხვ. მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისიდან, შაპ-აბასის გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ, კახეთში სოფლის მეურნეობა უკიდურესად დაეცა, ჩაკვდა ვაჭრობა-ხელოსნობა, გაქრა ერთ დროს აყვავებული ქალაქები, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობა.

ქართლში კი პირიქით. მთელი XVI საუკუნე და XVII საუკუნის დასაწყისში განუწყვეტელი ბრძოლები იყო ყიზილბაშებსა და ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ, აღვირახსნილ შინაფეოდალურ ანარქიას ქვეყნის განადგურება, ეკონომიკის მოშლა, მოსახლეობის შემცირება მოპყვა. ვაჭრობა-ხელოსნობისა და საქალაქო ცხოვრების ნორმალური განვითარების პირობები არ იყო. მაგრამ XVII საუკუნის 30-40-იანი წლებიდან შედარებით მშვიდობა ჩამოვარდა და შედეგმაც არ დააყოვნა. ქართლი შესამჩნევად მოშენდა, აღდგა გაპარტახებული რაიონები, ქვეყნის ეკონომიკა აღმავლობის გზას დაადგა, დაწინაურდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა-ხელოსნობა, გაცხოველდა საგარეო ვაჭრობა ირანთან და სხვა ქვეყნებთან. ქართლის სამეფო კარი საგანგებო ღონისძიებებს ასორციელებდა დაქვეითებული მეურნეობის აღსადგენად და გამოსაცოცხლებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ევროპიდან ვაჭრების მოზიდვასა და ევროპასთან შეწყვეტილი კავშირ-ურთიერთობების აღდგენას. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით კათოლიკე მისიონერებს, მაგრამ მათთან ერთად XVII საუკუნის საქართველოში ჩამოდიოდნენ ევროპელი ვაჭრები, აგენტები, ელჩები.საქართველოს ქალაქებში მრავალად იმყოფებოდნენ უცხოელები როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ისე რუსეთიდან და დასავლეთ ევროპიდანაც. XVII საუკუნეში განსაკუთრებული აღმავლობა დაეტყო თბილისს. აი, როგორ აგვიწერს ამ ქალაქს 1673 წელს აქ მყოფი, ზემოთ უკვე ხასხ
 ები ურანგი ნეგოციანტი ყან შარონი: „თბილისი... ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია სპარსეთში, თუმცა ძალიან დიდი არ არის. იგი გაშენებულია მთის ძირში, რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან მდ. მტკვარი ჩამოუდის... მდინარის ნაპირზე გაშენებული სახლების უმრავლესობა ციცაბო კლდეზე დგას. ქალაქი, გარდა მდინარის მხრისა, საუცხო და მაგარი კედლითაა შემოზღუდული, კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის გადაჭიმული, რომელზეც სამხრეთის მხრიდან მთის ფერდობზე დიდი ციხე დგას. მასში მეცისოვნეებიცა და მცხოვრებლებიც მხოლოდ და მხოლოდ წმინდა სპარსელები არიან. მის წინ არსებული საასპარეზო მოედანი ერთდროულად საკრებულოც არის და ბაზარიც...

აქ არის რამდენიმე ეკლესია, მათი რიცხვი თოთხმეტამდე აღწევს. ეს უდაოდ ბევრია ისეთი ქვეყნისათვის, სადაც ღვთისმოშიშობა ესოდენ დაკნინებულია. ექვსი მათგანი ქართველებისაა - ისინი სარგებლობენ ამ ეკლესიებით, დანარჩენები სომხებს ეკუთვნის. ტაძარი, რომელსაც სიონი ეწოდება, მდინარის ნაპირზეა გაშენებული და ნაგებია მშვენიერი თლილი ქვით... თბილისში არც ერთი მეჩეთი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი მაჰმადიანურ სახელმწიფოს ეკუთვნის და მას მთელი მისი მიმდებარე ტერიტორიებითურთ მაჰმადიანი მთავარი[1] განაგებს. სპარსელები არაფერს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ აქ მეჩეთი აეშენებინათ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიუყვანიათ. ხალხი მაშინვე აღდგებოდა ხოლმე, იარაღით ხელში ანგრევდა ნაგებობას და სასტიკად უსწორდებოდა მშენებლებს. საქართველოს

1 იგულისხმება ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი.

თბილისის ხედი, XVII ს. მხატვარი გრელი.

მთავრები გულის სიღრმეში მეტად კმაყოფილნი იყვნენ ხალხის ამბოხებით, თუმცა გარეგნულად საწინააღმდეგოს გამოსატყვდნენ. ისინი ქრისტიანულ სარწმუნოებას მხოლოდ ფორმალურად განუდგნენ იმისათვის, რომ მეფისნაცვლობა მიეღოთ და მოქმედებდნენ თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, როცა მაჰმადიანობის გავრცელებას ხელს უწყობდნენ...

ქართველები ,,ულუსრელნი, თამამნი და გულადნი არიან. ინარჩუნებენ გარკვეულ თავისუფლებას. ცხოვრობენ თურქებთან ახლოს. ყოველივე ეს სპარსელებს ხელს უშლის უკიდურესი ზომები მიიღონ და თბილის ქალაქსა და მთელ საქართველოს სრულ ნებას აძლევენ შეინარჩუნონ თავიანთი რელიგიის ყველა გარეგნული ნიშანი. ყველა ეკლესიის სამრეკლოს ზემოთ გაკეთებული აქვს ჯვრები და მრავალრიცხოვანი ზარები, რომლებსაც რეკავენ. სხვა ხორცეულთან ერთად საჯაროდ და დაუფარავად ყოველდღე იყიდება ღორის ხორციც, ხოლო ღვინოს ყოველ გზაჯვარედინზე შესვდებით. სპარსელები, ალბათ, დიდი უკმაყოფილებით უყურებენ ყოველივე ამას, მაგრამ ვერაფერს გამხდარან...

თბილისში რამდენიმე ღამაზი საკრებულო შენობაა, ბაზრები, ე. ი. სავაჭრო ადგილები, არის დიდი, ქვით ნაშენი და კარგად მოვლილი. ასეთივეა ქარვასლებიც - უცხოელების საცხოვრებელი ადგილები. ქალაქში აბანოები ცოტაა, რადგან ყველა ციხეში არსებული ცხელი წყლის აბანოებში დადის. ამ აბანოების წყალი მინერალურია, გოგირდოვანი და ძალიან ცხელი... დუქნები კიდევ უფრო უკეთესად არის ნაგები და კარგად მოვლილი. ისინი განლაგებულია დიდი მოედნის ახლოს, გორაკზე.

მთავრის სასახლე, უდავოდ, თბილისის ერთ-ერთი მშვენებაა. მას აქვს დიდი დარბაზები, რომლებიც მდინარესა და სასახლის უზარმაზარ ბაღებს გადასცქერიან. აქვეა ყაუშსანები, რომლებშიაც მრავალი სხვადასხვანაირი ფრინველია, მწვევარ-მეძებრების დიდი სადგომი და ისეთი მშვენიერი საბაზიერო, უკეთესს რომ ვერაფერს ნახავს ადამიანის თვალი. ამ სასახლის წინ კვადრატული მოედანია, სადაც ათასამდე ცხენი დაეტევა. მას გარს არტყია დუქნები და ბოლოდება გრძელი ბაზრით, რომელიც სასახლის კარიბჭის პირდაპირაა.



ბაზრობა ალორის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში. კასტელის ალბომიდან.

ბაზრის ზემოდან საუკეთესო სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი. კახეთის მეფისნაცვალს[1] ქალაქის ბოლოს აქვს სასახლე, რომელიც, აგრეთვე, ღირს იმად, რომ კაცმა ნახოს და დაათვალიეროს.

თბილისის გარეუბნებს მრავალი სალაღობო სახლი და საუცხო ბაღი ამშვენებს. ყველაზე უფრო დიდია მთავრის ბაღი. ხესილი აქ ნაკლებად არის, მაგრამ სამაგიეროდ უმშვენიერესი, ჩრდილისა და სიგრილის მფენი ხეები აურაცხელია...

ქალაქი თბილისი მჭიდროდ არის დასახლებული. მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელი, როგორც აქ; ისინი დიდ ვაჭრობას ეწევიან; კარი პროვინციის დედაქალაქს რომ შეეფერება, ისეთი მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალეა; აქ მუდამ არის მრავალი დიდგვაროვანი დიდებული...

-ქართველები თავაზიანნი და კაცთმოყვარენი, ამასთანავე დარბაისელნი და თავდაჭერილნი არინ... აქ უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და აღათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი. აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკოვიტებს და ევროპელებს...“

ეან შარდენს თან ახლდა მხატვარი გრელო, რომელმაც დაგვიტოვა თბილისის ხედის ჩანახატი, რაც უძველესია ჩვენამდე მოღწეულ თბილისის სურათებს შორის.

ამ პერიოდში დაწინაურდნენ ქართლის სხვა ქალაქებიც: გორი, სურამი, ალი, ცხინვალი და სხვ. გატარდა ღონისძიებანი ბაჟების ნიხრის, საეკლესიო კანონმდებლობის მოსაწესრიგებლად.

XVI-XVII საუკუნეებში განსაკუთრებით მძიმე პირობებში იმყოფებოდა სამცხე-საათაბაგო და დას. საქართველო. სამცხესა და აჭარაში ოსმალე-

1 იგულისხმება ქართლის მეფის ვახტანგ V შაპნაზაროვის ეაეი არჩილი.

ბის გაბატონებამ საფუძვლებშიეე შეარყია აქ ქართული ფეოდალური წყობილება და ეკონომიკა. მოსახლეობას დამპყრობლები სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ.

ფეოდალური მეურნეობის წარმოებისთვის დას. საქართველოს ბუნებრივი პირობები გაცილებით არასელსაყრელი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოსი, ამიტომ იქ განვითარების ნორმალური პირობების შეფერხებამ განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიღო. მთელი XVI-XVII საუკუნეები დას. საქართველოში ფეოდალური ეკონომიკა დაღმავალი გზით მიექანებოდა. ერთიანად გაქრა ერთ დროს აყვავებული ქალაქები, მეურნეობამ უკიდურესად კარჩაკეტილი, ნაგვრალური ხასიათი მიიღო.

XV საუკუნიდან იცვლება ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასების ძველმარეობაც. რიგორც დაეინახეთ, ფეოდალთა კლასს ამ დროიდან გამოეყო უმაღლესი და უძლიერესი ფენა, მთავრებისა და თავადების სახით, რომლებსაც მეფეთა გამრავლებულ საგვარეულოებთან ერთად ხელი ეპყრათ პოლიტიკური ძალაუფლება. ფეოდალური კლასის უმაღლეს ფენას შეადგენდნენ მაღალი საეკლესიო სელისუფალნიც: კათალიკოსები, ეპისკოპოსები, დიდი მონასტრების წინამძღვარნი, რომელთაც ძირითადად მსხვილი ფეოდალური საგვარეულოებიდან ნიშნავდნენ.

ამ პერიოდის საქართველოს დიდ ნაწილში კელავ აღმოცენდა ნასევრად დამოუკიდებელი საფეოდალოები (სენიორიები) - ს ა თ ა ვ ა დ ო ებ ი. სათავადოების სათავეში თ ა ვ ა დ ებ ი იდგნენ. ასეთი სათავადოები იყო ქართლში: არაგვის საერისთავო, ქსნის საერისთავო, საამილასვრო, სამუხრანბატონო, საციციანო, საბარათიანო და სხვა. იმერეთში - რაჭის საერისთავო, აბაშიძეთა, ჩხეიძეთა, ლორთქიფანიძეთა და სხვ. სათავადოები. ასეთივე სათავადოები იყო ცალკეულ სამთავროებშიც. სათავადოები გარკვეული იერარქიით ხასიათდებოდა. ამ საფეოდალოს მეთაურს - თავადს ემორჩილებოდნენ მისი სახლიკაცები, სათავადო საგვარეულოს უმცროსი, გვერდითი შტოს წარმომადგენლები, რომლებიც თ ა ვ ა დ ი შ ვ ი ლ ებ ა დ იწოდებოდნენ. სათავადოს ტერიტორია ძირითადად ერთიანი იყო, თავისი ციხესიმაგრეებით, ეკლესია-მონასტრებით. თავადიშვილთა ოჯახები სათავადოს ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობდნენ. მათ ყმებად ჰყავდათ უფრო წვრილი ფეოდალები - აზნაურები, თვითონ თავადები კი მეფეების ან მთავრების ყმებად ითვლებოდნენ, მაგრამ მათი მორჩილება მეფე-მთავრებისადმი მათ პირად კაპრიზებზე იყო დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ, XIII საუკუნის შემდეგ საქართველოში შექმნილი უალრესად მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების შედეგად ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული განვითარება შეფერხდა, უფრო მეტიც, აქ უკან დასვვაც კი შეინიშნება. უკვე დრომოჭმული და გაუქმებული ნასევრად დამოუკიდებელი საფეოდალოები ხელახლა აღორძინდა აღნიშნული სათავადოების სახით. დასუსტებული მეფის ხელისუფლება ამ რეგრესულ პროცესს წინააღმდეგობას ვერ უწევდა. სათავადოების სისტემა თავის მხრივ აბრკოლებდა და ხელს უშლიდა ყოველივე პროგრესულს. საქართველოში სათავადოთა სისტემის არსებობას ხელს უწყობდნენ უცხოელი დამპყრობლებიც.

ამით ისინი ცდილობენ ქვეყნის წინააღმდეგობის ძალას. სათავადოთა სისტემის არსებობის პირობებში შეუძლებელი იყო საქართველოს ერთიანობის აღდგენა. ეს არაერთხელ დადასტურდა მწარე სინამდვილით. სათავადოები ფაქტობრივად სრული იმუნიტეტით (შეუვალობით) სარგებლობდნენ და მეფე მათ საშინაო საქმეებში ვერ ერეოდა.

ფეოდალთა კლასის ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას შეადგენდნენ აზნაურები. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თავადთა ყმობაში იყო მოქცეული, ნაწილი საეკლესიო ყმები იყვნენ, დანარჩენნი კი სამეფო ყმობაში დარჩნენ. აზნაურები წვრილი და საშუალო მიწათმფლობელები იყვნენ. ყმა-მამულის დიდი ნაწილი მათ „წყალობით" პქონდათ მიღებული თავიანთი პატრონებისაგან გარკვეული სამსახურის (ძირითადად სამხედრო სამსახურის) პირობით, ნაწილი კი მათი პირადი საკუთრება იყო (ნასყიდი, ნამზითვი, ნასისხლი, საჯილდაო და სხვ.). აზნაური პირადად თავისუფალი იყო და თუ პატრონისაგან მიღებულ სამფლობელოზე ხელს აიღებდა, უფლება პქონდა სხვა პატრონს ყმობოდა. როდესაც მეფის ხელის უფლება სუსტდებოდა, თავადები აზნაურების ამ უფლებას არ სცნობდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ მათ წასვლას. აზნაურები სამხედრო სამსახურს გარდა, თავიანთი პატრონების კარზე, სხვადასხვა სამოსელეო ფუნქციასაც ასრულებდნენ.

ყმაგლეხობა ორ ძირითად ფენად იყოფოდა — მ ს ა ხ უ რ ე ბ ა დ და მ ე ბ ე გ რ ე ა ნ უ მ ო ყ ა ლ ნ ე გლეხებად. მსახურებს მოლაშქრეობა, ბატონის ხლება და სხვა შედარებით საპატიო სამსახური ევალებოდათ. მებეგრე გლეხებს ეკისრებოდათ ძირითადი საბატონო გამოსაღების — ბეგარის გადახდა. ბეგარაში მრავალი გადასახადი იგულისხმებოდა. ცალკეულ საფეოდალოში და ხშირად სოფელშიც სხვადასხვა სახის ბეგარა იყო. მათ შორის მთავარი იყო: ღალა (მარცვლეულით გადასახადი), ქულუხი (გადასახადი ღვინით), საბალახე და პირისთავი (გადასახადი საქონლის ყოლისთვის), ძღვენი, სამასპინძლო და მრავალი სხვა. მებატონეები გადასახადს სისტემატურად მრდიდნენ. მაგალითად, XV საუკუნეში XII საუკუნესთან შედარებით გლეხთა გადასახადები 6-8-ჯერ გაიზარდა. შემდგომშიც ეს გადასახადები კიდევ უფრო გაღიდდა. გლეხები ისდიდნენ სამეფო და საეკლესიო გადასახადებსაც, გადასახადს უცხოელ დამპყრობთა სასარგებლოდ და სხვ.

აუტანელ გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხები იძულებულნი ხდებოდნენ აყრილიყვნენ, გაქცეულიყვნენ და სხვაგან ეძებნათ ბედი. ხიზნობა-ბოგანობა იმ დროს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გლეხები ხშირად გარბოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ბატონყმობა შედარებით განუვითარებელი ფორმებით იყო წარმოდგენილი, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო თემურ-გვაროვნული წყობილების ტრადიციები და გვაროვნული თავისუფლების გადმონაშთები. ასეთი ადგილები იყო, მაგალითად, აღმოსავლეთ კახეთი — ჭარი, სადაც, როგორც დავინახეთ, მასობრივად ჩამოსახლდნენ იმერკავკასიელი მთიელები და თან ჩამოიტანეს თემურ-გვაროვნული წყობილების ტრადიციები, სამეგრელოდან გლეხობა მასობრივად გარბოდა აფხაზეთში, სადაც ასევე იმერკავკასიიდან ჩამოსახლებულ ჩერქეზულ-ადიღურ ტომებში ძლიერი იყო თემურ-გვაროვნული ცხოვრების წესები.

XVII ს-ის აფხაზეთში გლეხების დიდ ნაწილს ა ნ ხ ა ი უ - ს კატეგორიის გლეხები შეადგენდნენ. ანხაიუ აფხაზურად თავისუფალ მეხოვრებს, მიწათმოქმედს, თავისუფალ მეთემეს ნიშნავდა, შემდეგ საერთოდ გლეხს, გლეხკაცს. მათ გვერდით იყვნენ ფეოდალურად დამოკიდებული ყმა-გლეხებიც (ა მ ა ც უ - რ ა ზ კ უ , ა ხ ო ი უ) და სრულიად უუფლებონი (ა ხ ა მ ვ ა ლ ა), რომლებიც თვით მონის მდგომარეობამდე იყვნენ დაყვანილნი. სამეგრელოდან და გურიიდან მკაცრ ბატონყმურ ექსპლოატაციას გამოქცეული გლეხები აფხაზეთში სახლდებოდნენ და აფხაზდებოდნენ. ამით ისინი შედარებით თავისუფლებას მოიპოვებდნენ.

მებატონეთა უსამართლობით გაწამებული ცალკეული გლეხები იარაღსაც კკიდებდნენ ხელს და დაუნდობლად ებრძოდნენ თავიანთ მჩაგვრელებს, იწყებდნენ „აბრაგობას" და ყაჩაღობას. იყო გლეხთა მასობრივი გამოსვლებიც - „ჯანღი". მაგალითად, XVII საუკუნის 60-იან წლებში აჯანყდნენ არაგვის ხეობის სოფ. ქაისხევის გლეხები, ამავე საუკუნის ბოლოს და XVIII საუკუნის დასაწყისში აჯანყდნენ სოფ. ბოდბეს და ბოდბისხევის გლეხები და თავიანთ მებატონეს, ბოდბელ ეპისკოპოსს მოთხოვეს გაეუქმებინა დამატებითი გადასახადები. მათ წინააღმდეგ მეფის ხელისუფლებას განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება დასჭირდა.

მწვავე კლასობრივი ბრძოლები იყო საქართველოს ქალაქებშიც, სადაც წვრილი ვაჭარ-ხელოსნური მოსახლეობა და მოქალაქეთა სხვა დაბალი ფენები ებრძოდნენ როგორც მეპატრონე ფეოდალებს, ისე მდიდარ ვაჭრებსა და დიდმოხელეებს.

ქართული კულტურა XVI-XVII საუკუნეებში

მონღოლთა ბატონობის გადავარდნის შემდეგ გამოცოცხლებული ქართული კულტურა XV საუკუნიდან ისევ დაცემისა და დაქვეითების გზით მიექანება. დიდი გაელენა იქონია იმანაც, რომ საქართველო მოწყდა დასავლეთ ევროპის კულტურულ სამყაროს და ოსმალებისა და ყიზილბაშების გარემოცვაში მოექცა. მაგრამ ამ მძიმე და არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, ქართული ფეოდალური კულტურა მაინც იჩენდა მძლავრ სიცოცხლისუნარიანობას. ამის მიზეზი მისი მტკიცე ეროვნულ-სალხური საფუძველი იყო.

XVI-XVII საუკუნეების საქართველოში უკვე აღარ არსებობდა უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები. წერა-კითხვას უმთავრესად ოჯახებსა და ეკლესია-მონასტრებში ასწავლიდნენ. XVI-XVII საუკუნეებში, დას. ევროპიდან საქართველოში ჩამოდიოდნენ კათოლიკე მისიონერები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში აარსებდნენ სკოლებს, სადაც კათოლიკურ-ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად ასწავლიდნენ იტალიურსა და ლათინურ ენებს, ზოგიერთ პრაქტიკულ მეცნიერებასაც.

ქართველი საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა სამოქალაქო მეცნიერებებისადმი, როგორიც იყო, მაგალითად, გეოგრაფია-ასტრონომია, მედიცინა, ისტორია, ფილოლოგია. შესამჩნევი გამოცოცხლება დაეტყო ქართულ ლიტე-



გიორგი მთაწმიდელისეული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი წიგნი

რატურასაც. შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის" გაგრძელებათა მთელი ციკლი. „ვეფ-ხისტყაოსანი" ყოველთვის რჩებოდა ქართველი ხალხის უსაყვარლეს წიგნად. მისი იდეები და ზოგადსაკაცობრიო იდეალები, ასე ახლო მდგომი ქართველის მნეობასა და ბუნებასთან, შესანიშნავი ლექსთწყობა და ქართული სიტყვის დიდებული მუსიკა, თვით უდიდესი გაჭირვების დროსაც კი აღაფრთოვანებდა ქარ-თველ კაცს. ამ პერიოდში „ვეფხისტყაოსნის" დიდ პოპულარობას მოწმობს ის ფაქტი, რომ XVI-XVII საუკუნეების არაერთმა პოეტმა სცადა თავისი გემოვ-ნებით შეეცვლა ან გაეგრძელებინა რუსთაველის გენიალური ნაწარმოები.

პოეზიას ქართულ მწერლობასა და საერთოდ ქართველი კაცის ცხოვრება-ში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მეფე თ ე ი მ ურ ა ზ I იყო შესანიშნავი პოეტი, რომელმაც შექმნა არაერთი მაღალმხატვრული ნა-წარმოები. მართალია, იგი სპარსული პოეზიის დიდ გავლენას განიცდიდა, მაგ-რამ, ამავე დროს პირველი იყო, ვინც ეროვნულ-ისტორიული მოტივი შემოი-ტანა ქართულ პოეზიაში. მის კალამს ეკუთვნის პოემა „წამება ქეთევან დე-დოფლისა", რომელშიც აღწერილია მისი დედის - ქეთევან დედოფლის საშინე-ლი წამება და გმირული თავდადება სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის. ეროვნულ-ისტორიული მოტივი განსაკუთრებით გაძლიერდა შემდგომი თაო-ბის პოეტთა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებაში. ი ო ს ე ბ თ ბ ი-ლ ე ლ მ ა პოეტურად ასახა გიორგი საააკაძის მოღვაწეობა და ტრაგიკული ბედი, ა რ ჩ ი ლ მ ე ფ ე მ თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუს-თაველისა" გადმოგვცა თეიმურაზის თავგადასავალი XVII საუკუნის ისტო-რიული მოვლენების ფონზე. მანვე წამოსწია ქართველი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი არაერთი საჭირბოროტო საკითხი. მაგალითად, მნეობრივი აღზრდის, ქართული ბატონყმობის რიგის დაცვის, მშრომელი გლესობისადმი დამოკიდებულებისა და სხვ. ამავე პერიოდში დაიწერა, მართალია, პოეტუ-რად მდარე, მაგრამ ისტორიული სინამდვილის ამსახველი პოემები. მაგალი-თად, უ ე შ ა ნ გ ი ხ ი თ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს „შაპნავაზიანი" და სხვ.

ორიგინალურ პოეზიასთან ერთად ამ დროს იქმნებოდა გალექსილი და პრომაული თარგმანები, ძირითადად სპარსულიდან. დიდი პოპულარობით

შეკვეთის ახალი კოშკი (XVI ს.)

ანანურის ციხე და კოშკი (XVI-XVII სს.).

სარგებლობდა ქართველ ხალხში „შაქ-ნამეს“ გალექსილი თარგმანები, დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის მოთხრობების ციკლები („ქილილა და დამანა“) და სხვ.

XV - XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება მკვეთრად ჩამოუყარდებოდა კლასიკური ხანის (XI-XIII სს.) ბრწყინვალე ქართულ საამშენებლო ხელოვნებას. იგი მისი კანონზომიერი გაგრძელება ყერ იყო, მაგრამ ამ ეპოქაში მაინც იქმნებოდა დროის შესაფერისი ძეგლები: გ რ ე მ ი ს საქალაქო ანსამბლი ეკლესიებითა და სასახლეებით, შ უ ა მ თ ი ს ახალი მონასტერი და ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ი ს სამრეკლო (კახეთში), რ ო ს ტ ო მ ი ს სასახლე და ა ნ ჩ ი ს ხ ა ტ ი ს სამრეკლო (თბილისში), მ ქ ა დ ი ჯ ვ რ ი ს ეკლესია, ა ნ ა ნ უ რ ი ს ანსამბლი (ქართლში) და სხვ.

შედარებით დაბალი დონისაა ამ პერიოდის ქართული კედლის მხატვრობა. ბევრ ხელნაწერს ამკობდნენ მინიატურებით. სამეგრელოს მთავრის ლევან მეორე დადიანის დაკვეთით გადაწერეს „ეეფხისტყაოსანი“, რომელიც მ ა მ უ კ ა თ ა ე ა ქ ა რ ა შ ვ ი ლ მ ა მოხატა. ლევან მეორე დადიანის კარზეევე იყო შექმნილი საოქრომჭედლო სახელოსნო, სადაც ჭედური ხელოვნების მრავალი ნიმუში შეიქმნა.

ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნოში დამზადებული ხატის ფრაგმენტი ლევანისა და მისი თანამეცხედრის გამოსახულებით (1640 წ.).

გურიელის სახლი და კათოლიკე მისიონერთა რეზიდენცია (ქრ. კასტელის ალბომიდან).

ამავე პერიოდს განეკუთვნება პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვა. 1629 წელს რომში, იქ მყოფი ქართველი დიპლომატის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახის) კონსულტაციით მომზადდა და დაიბეჭდა "ქართული ანბანი ლოცვებითურთ", „ქართულ-იტალიური ლექსიკონი", კათოლიკური ლოცვის „ლიტანია ლაურეტანას" ქართული თარგმანი და ფრანჩესკო-მარია მაჯოს „ქართული გრამატიკა". რომში დაბეჭდილი წიგნები განკუთვნილი იყო კათოლიკე მისიონერებისათვის, რომლებიც XVII საუკუნეში მრავლად ჩამოდიოდნენ საქართველოში. ბევრმა მათგანმა დაგვიტოვა მაშინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის აღწერილობანი (პ. ავიტაბილე, არქ. ლამბერტი, ჯ. ჯუდიჩე, ქრ. კასტელი და სხვ.). ქრ. კასტელმა შექმნა საქართველოს ცხოვრების ამსახველი ჩანახატები, პოლიტიკურ მოღვაწეთა პორტრეტები, რაც უძვირფასესი საისტორიო მასალაა მკვლევართათვის.

V თავი

საქართველო XVIII საუკუნეში

ქართლი ვახტანგის ჯანიშინობის დროს

თაეის მრავალმხრივ მოღვაწეობას ქართლის მმართველად ანუ ჯანიშინად დანიშნული ვახტანგ VI 1703 წლიდან შეუდგა. მან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიაქცია ქვეყნის შიგნით წესრიგის აღდგენას და ენერგიული ზომებით ალაგმა თავადების თვითნებობა. ვახტანგის თაოსნობით მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელმაც მცხეთის კათალიკოსად მისი ძმა დ ო მ ე ნ ტ ი აირჩია. დომენტი ვახტანგის ერთგული მომხრე და თანამოაზრე იყო. ვახტანგმა ერთ-ერთი პირველი ღონისძიებით ეკლესიას დაუბრუნა თავადების მიერ მიტაცებული მიწები.

ვახტანგ VI

თაეისი მმართველობის პირველივე წლებში ვახტანგ VI დიდი ყურადღება მიაქცია საკანონმდებლო მუშაობას. შეგროვდა როგორც ძველი ქართული საკანონმდებლო ძეგლები, ისე საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებების (სომხების, ებრაელების, ბერძნების) სამართლის წიგნები. ისინი ერთ კრებულად შეკრეს და დაურთეს თვით ვახტანგის მიერ სამეფო დარბაზის მონაწილეობით შედგენილი ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი, რომელიც მთელს საქართველოში მოქმედ კოდექსად იქცა. ამ დამსახურებისათვის ვახტანგს „სჯულმდებელსაც“ უწოდებენ. მისი სამართლის წიგნი საქართველოში თვით XIX საუკუნის შუა წლებამდე მოქმედებდა.

ვახტანგ VI-ის პორტრეტი 1709 წ. დაბეჭდილი სახარებიდან.



1712 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი „ეფეფხისტყაოსნის“ თარგმანი

ვახტანგის მოღვაწეობის პირველ სანებშიეე იქნა შედგენილი მეორე საკანონმდებლო წიგნი „დასტურლამალი“, რომელიც სახელმწიფოს ძირითადი კანონის ანუ კონსტიტუციის მაგვარი იურიდიული ძეგლი იყო. იგი აწესრიგებდა ქვეყნის მართვა-გამგეობის, სამეფო კარის ეთიკეტისა და სახელმწიფოებრიეი ცხოვრების სხვა პრაქტიკულ მხარეებს.

ვახტანგმა დიდი ყურადღება მიაქცია მეურნეობის აღდგენას. მისი მეცადინეობით სელახლა დასახლდა ქართლის გაუკაცრიელებული ადგილები. გაიყვანეს და განაასლეს დიდი ხნის წინათ მოშლილი სარწყავი არხები. მოაწესრიგეს გზები, ააგეს ხიდები და ქარვასლები, გააუმჯობესეს ფულის მოჭრის საქმე. აღნიშნული ღონისძიებანი ქართლს შესამჩნეეად დაეტყო. გამოცოცხლდა ვაჭრობა-ხელოსნობა, საქალაქო ცხოვრება. კვლავ თავის კეთილდღეობას დაუბრუნდა თბილისი.

1709 წელს ვახტანგ VI-მ თბილისში დააარსა პირველი ქართული სტამბა. ამ სტამბის მოწყობაში მას დაეხმარა ვლახეთში (რუმინეთში) მოღვაწე ქართველი ანთიმოზ იერიელი (1650-1716). ანთიმოზ იერიელი ბავშვობაში ოსმალებს საქართველოდან ტყვედ წაუყვანიათ, შემდეგ ის იერუსალიმის პატრიარქს გამოუსყიდია და მის კარზე იზრდებოდა. დიდად განათლებულმა ანთიმოზმა შემდეგ ვლახეთში დაიწყო მოღვაწეობა. მან თავი გამოიჩინა, როგორც თავისი ახალი სამშობლოს დიდმა პატრიოტმა. ანთიმოზ იერიელმა ვლახეთში რამდენიმე სტამბა დააარსა. ვახტანგ VI-ის თხოვნით მან საქართველოში სტამბის მოსაწყობად გამოგზავნა თავისი მოწაფე მიხეილ იშტვანოვიჩი. თბილისში დაარსებულ სტამბაში 1712 წელს დაიბეჭდა „ეეფხისტყაოსანი“, ვახტანგის რედაქციითა და კომენტარებით. ეს რუსთაველის უკვდავი თხზულების პირველი მეცნიერული გამოცემა იყო. ამ ფაქტს დიდი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ პერიოდის ქართლში ვახტანგის თაოსნობით თანდათან ჩამოყალიბდა კულტურულ-პოლიტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი, რომელმაც დამ-

პერიობთა წინააღმდეგ ენერგიული იდეური ბრძოლა წამოიწყო. ამ დასში შედიოდნენ პოეტი-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტორიკოსები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები. მათ მიზნად დაისახეს ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება და ქვეყნის მომზადება ახალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. ამ საქმიანობაში ვახტანგს გუერდით ედგა მისი აღმზრდელი და თანამებრძოლი, დიდი ქართველი მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725).

სულხან-საბა ორბელიანი

ს. ს. ორბელიანი მრავალი მეცნიერული და ლიტერატურულ-ფილოსოფიური საშრომის ავტორია. მან შექმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი - „სიტყვის კონა", რომელსაც თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. სულხან-საბას კალამს ეკუთვნის აგრეთვე დიდაქტიკურ-შინაარსიანი ხასიათის თხზულებები, როგორიც არის, მაგალითად, „სიბრძნე სიცრუისა", „სწავლანი" და სხვ.

ვახტანგის თაოსნობით შეიქმნა მეცნიერ კაცთა კომისია, რომელსაც დაეკალა „ქართლის ცხოვრების" გადამუშავება და ბოლო საუკუნეების (XIV-XVII სს.) ისტორიის დაწერა. ამ კომისიამ დიდი მუშაობა გასწია. შეიქმნა ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება".

ვახტანგის ისტორიულ-მეცნიერული სკოლის წარმომადგენელია მისი ეპიშვილი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757), რომელმაც საქართველოს ისტორიას ერცელი და საფუძვლიანი გამოკვლევა უძღვნა. ვახუშტის ფუნდამენტური ნაშრომი მისი დროის მოწინავე ევროპული მეცნიერების დონეზე დგას. მეცნიერმა ბაგრონიშვილმა მოგვცა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა, შეადგინა საქართველოს ყველა კუთხის რუკა, რომელიც უფრო გვიან ეკატერინე დელილის მიერ საფრანგეთში იქნა გამოქვეყნებული. ვახუშტი ბაგრატიონმა ისტორიულ მეცნიერებაში შემოიტანა კვლევის დარგობრივად და კომპლექსურად წარმოების მეთოდები.



„ახალი ქართლის ცხოვრების" ხელნაწერი. შესავალი.

ვახტანგ VI-ის დროს დიდი ყურადღება მიაქციეს სწავლა-განათლების საქმეს. შექმნეს და თარგმნეს არაერთი სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომი გეოგრაფიაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ასტრონომიასა და სხვა მეცნიერებებში. აღსანიშნავია, რომ ამ საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობდა თვითონ ვახტანგ VI.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას მეტი წარმატება ექნებოდა, იგი ქართლის მე-

ფეხ რომ ყოფილიყო ოფიციალურად დამტკიცებული, მაგრამ სეფიანთა შაქის კარი ქართლის მეფედ დამტკიცებდ. პირობად მის გამაპმადიანებას მოითხოვდა, რაზეც ვახტანგი არ თანხმდებოდა. ქართლის მეფის ტიტულის მქონე ვახტანგის ბიძა გიორგი XI კი 1709 წელს ღალატით მოკლეს აფღანეთში. ასევე აფღანელებთან ბრძოლაში 1711 წელს დაიღუპა მის შემდგომ ქართლის მეფედ დამტკიცებული ვახტანგის უფროსი ძმა ქაიხოსრო. 1712 წელს ვახტანგი ირანში გამოიძახეს ქართლის მეფედ დასამტკიცებლად, მაგრამ მას პირობად კელავ გამაპმადიანება მოთხოვეს. ვახტანგმა ამაზე უარი განაცხადა, რის გამოც იგი ნახევრად პატიმრის მდგომარეობაში ქირმანს გაგზავნეს.

სულხან-საბას ელჩობა საფრანგეთში

ამ პერიოდში საფრანგეთს უძლიერდება ინტერესი ირანისადმი. 1708 წელს დაიდო პირველი საეკლესიო ხელშეკრულება ირანსა და საფრანგეთს შორის. ირანში მოღვაწეობდა არაერთი ფრანგი მისიონერი და აგენტი. ვახტანგი და მისი ამალის წევრები უკავშირდებოდნენ ამ მისიონერებს, რომლებიც ამის შესახებ აცნობებდნენ საფრანგეთის კონსულს კონსტანტინოპოლში და თვით სამეფო კარსაც პარიზში. ვახტანგ VI-მ ლუი XIV-ისაგან წერილი მიიღო. ეს ფაქტი უაღრესად დამაიმედებლად მოეჩვენათ ქართველ მოღვაწეებს და გადაწყვიტეს, დახმარების სათხოვნელად საფრანგეთში მიეელინათ ვახტანგ VI-ის უახლოესი თანამებრძოლი და თანამოაზრე სულხან-საბა ორბელიანი.

სულხან-საბა ორბელიანი ფრანგ მისიონერ ეან რიშართან ერთად საქართველოდან გაემგზავრა 1713 წლის ბოლოს და 1714 წლის იანვარში უკვე მარსელში იყო. აქ მას შეხვედრები ჰქონდა ქალაქის მერთან შარლ კუსტანთან და გალერებისა და ვაჭრობის ინტენდანტ პიერ დ'არნუსთან. მათთან საუბრის დროს სულხან-საბა ორბელიანმა წამოაყენა საკითხი საფრანგეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ. შედგა სპეციალური მემორანდუმი, რომელიც პარიზში გაიგზავნა. 1714 წლის 21 მარტს საქართველოს ელჩი პარიზში ჩავიდა, ხოლო აპრილის თვეში უკვე ჰქონდა პირველი აუდიენციია ვერსალში მეფე ლუი XIV-სთან.

სულხან-საბა ორბელიანმა დიდი შოაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის მეფესა და სამეფო კარზე. აუდიენციის წინ ლუი XIV ავად ყოფილა, ამის გამო

საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის კარი. მხატვარი ტესტელენი.

საქართველოს ელჩის მიღების დროს იგი ჯერ კიდევ ექვეიფოდ გრძნობდა თავს და სგუმრის წინაშე დაუჩიენია: „ადვილი საქმე არაა 60 წელს რომ გადაიცილებო“. საბას უპასუხნია: „ხელმწიფეე, თქვენი ულიღბულესობა ისე მოხდენილად აგარებს ამ ასაკს, რომ ყველა ისურვებდა ამ ასაკში ყოფნას-ო!“ ეს პასუხი მეფეს ძალიან მოსწონებია, ხოლო ვერსალის სასახლის კულუარებში მოწონებით იმეორებდნენ ამ სიტყვებს.

საქართველოს ელჩმა ლუი XIV-ს გადასცა ვახტანგ VI-ის წერილი, რომელშიც იგი აგყობინებდა საფრანგეთის მეფეს თავის მძიმე მდგომარეობას.

ლუი XIV-ს წარედგინა მემორანდუმი, რომელშიც გადმოცემული იყო საქართველოს და საფრანგეთის შორის მომავალი ურთიერთობის პერსპექტივები და პირობები. ქართველი პოლიტიკოსები მზად იყვნენ ხელი შეეწყოთ კათოლიკობის გავრცელებისათვის საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, ასევე მზად იყვნენ დაემყარებინათ სავაჭრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა საფრანგეთსა და ევროპის ქვეყნებთან. მემორანდუმში ერცლად იყო განხილული საკითხი **ევროპიდან აზიაში მიმავალი სავაჭრო გზის** შესახებ, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაევლო. თუ ვაჭრების უშიშროების ეგრუნველყოფა მოხერხდებოდა, ეს გზა იქნებოდა ყველაზე მოკლე და ყველაზე მომგებიანი. სულხან-საბა არწმუნებდა საფრანგეთის სამეფო კარს, რომ თუ ვახტანგ მეფე ქრისტიანობით დაუბრუნდებოდა საქართველოს, იგი ამ საკითხს მოაგვარებდა. რა თქმა უნდა, სპარსეთი და თურქეთი ძნელად დათანხმდებოდნენ იმ ამბავს, რომ ამ საავაჭრო გზას საქართველოზე გადმოვანაცვლა, ამისთვის საფრანგეთს თავისი გავლენა უნდა გამოეყენებინა. სულხან-საბამ საფრანგეთის სამეფო კარს წარუდგინა შეთანხმების პროექტი და ის ვალდებულებანი, რომელსაც იღებდა თავის თავზე საქართველოს მხარე.

სულხან-საბამ პარიზში ყოფნისას რომის პაპისაგან მიიღო მეფე ლუი XIV-ისადმი გადასაცემად წერილი, რომელშიც რომის პაპი კლიმენტი XI მოუწოდებდა საფრანგეთის „უაეგუსტოეს“ ხელმწიფეს თავის მფარველობაში მიეღო საქართველოს მეფე და ხელი შეეწყო მისი საქართველოში ქრისტიანობით დაბრუნებისათვის. ეს წერილი სულხან-საბამ საფრანგეთის მეფეს გადასცა იმავე წლის მაისში მეორე აუდიენციის დროს. საქართველოს ელჩს საფრანგეთის მეფისაგან გარკვეული პასუხი არ მიუღია.

1714 წელსვე პარიზში ჩამოვიდა ირანის ელჩი მოპამელ რეზა ბეგი, რამაც უსათუოდ შეაფერხა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

უკან გამობრუნებული სულხან-საბა რომში კლიმენტი XI-ს ეწვია. მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი პატივით იქნა მიღებული, რაიმე რეალური დახმარება არც მისგან მიუღია. სულხან-საბა ჯერ კიდევ გზაში იყო, როდესაც შეიტყო მეფე ლუი XIV-ის გარდაცვალება (1715 წ. სექტ.). ამის შემდეგ საქართველოსთან დაკავშირებული ყველა საკითხი შეჩერდა. საფრანგეთის მთავრობაში ცვლილებები მოხდა. ახლად აღზევებულებს საქართველო აღარ აინტერესებდათ. 1716 წელს სულხან-საბა ორბელიანი საქართველოში დაბრუნდა.

ამასობაში კი საქართველოში მოვლენები არასასურველად ეითარდებოდა. ვახტანგის მიერ წამოწყებული საქმეები ჩასაშლელად იყო განწირული. ქართლს განაგებდა ვახტანგის გამაკმადიანებული ძმა იესე, რომელიც სასტი-

�აეიწროებდა ვახტანგის მომხრეებს. ბოლოს და ბოლოს, ყოველმხრივ იმედგადაწურული ვახტანგი იძულებული შეიქნა ფორმალურად მიიღო მაჰმადიანობა, რათა საშუალება მისცემოდა ქართლში დაბრუნებულიყო და გაეგრძელებინა შეტად მნიშვნელოვანი ეროვნული მოღვაწეობა. იგი ქართლში მხოლოდ 1719 წელს დაებრუნეს.

URTIERTOBA RUSETTAN

XVIII საუკუნის 20-იან წლებში კავკასია კელავ მოექცა რუსეთის ინტერესების არეში. ირანში ამ დროს სეფიანთა დინასტიის დაცემის გზას ადგა, ეჯ ნყებულიყენენ ავღანელი და ირანში მცხოვრები სხვა ტომები, ირანის დასალაშქრავად ემზადებოდა ოსმალეთიც. რუსეთმა კარგად დაბვერა ირანში შექმნილი მდგომარეობა. ამ მიზნით იქ მიელინებული იყო საგანგებო ელჩი ა რ ტ ე მ ი ე ო ლ ი ნ ს კ ი. ა. ვოლინსკი საიმპერატორო კარს მოახსენებდა იქ მყოფი ქართველების შესახებ: „ირანში, როგორც წესი, სპასალარებად ქართველი ბატონიშვილები ინიშნებიან. ასევე მეგზილად ქართველებს ნიშნავენ ირანის ჯარში სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე. ადრე, ჯერ კიდევ დიდი შაჰ-აბასის დროს და აგრეთვე ასლანდელი შაპის სხვა წინაპრების დროსაც, ირანელების თურქებთან, ოსდოელებთან და სხვა ხალხებთან ომებში ყველა გამარჯვებ: ძირითადად ქართველთა მეშვეობით აქვთ მოპოვებული... მთელს ირანში საუკეთესო სამხედრო ძალად ქართველთა ჯარი მიმაჩნია. ქართველები ნამდვილი მეომრები არიან. მე გამიგონია, რომ საქართველოში ლაშქრის შეკრება 15-20 ათასამდე შეიძლება... თუ ქართველი ბატონიშვილები და მათი დიდებულები და აზნაურები ერთმანეთში შეთანხმებას მიაღწევენ, ჭეშმარიტად შეძლებენ არა მარჯ, სპარსეთის უღლისაგან განთავისუფლებას, არამედ თვით სპარსეთის ტერიტორიის დაკავებასაც. ირანელების კავალერია ქართველებს ვერასოდეს გაუმკლავდება სამჯერაც რომ სჭარბობდეს რიცხობრივად, სოლო თუ ჩვენ ქართველთა ჯარს 20 რეგულარულ ესკადრონს მივუმატებთ, ქართველებთან ერთად სპარსეთსაც ადვილად დაველაშქრავთ“.

პეტრე I-ის ელჩმა ირანში კაეშირი დაამყარა ჯერ კიდევ იქ მყოფ ვახტანგ VI-სთან. ქართლის მეფე კმაყოფილი შეხვდა კავკასიის ასპარეზზე რუსეთის კვლავ გამოჩენას. ისახებოდა იმედი, რომ რუსეთის გაძლიერებული სახელმწიფოს დახმარებითა და მსარდაჭერით საქართველო გათავისუფლდებოდა ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობისაგან. 1720 წელს პეტრე I-მა და ვახტანგ VI-მ ურთიერთშორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაამყარეს. მათ გადაწყვიტეს ერთად გაელაშქრათ ირანის წინააღმდეგ. შეთანხმების მისედვით რუსეთის არმია უნდა შემოსულიყო აზერბაიჯანში, სადაც მას შეუერთდებოდა ქართველთა და სომეხთა ლაშქარი ვახტანგ VI-ის მეთაურობით და შემდეგ ერთობლივად იმოქმედებდნენ ირანის წინააღმდეგ. შექმნილი საერთაშორისო ვითარება საამისოდ ხელსაყრელი ჩანდა. აჯანყებულ ავღანელებს ირანის საგახტო ქალაქისთვის ალყა შემოერტყათ და 1722 წლის მარტიდან რვა თვის განმავლობაში ისპაჰანი ბლოკირებული იყო. ამ ბრძოლებში დაიღუპა ირანის შაპის გვარდიის სარდალი, ვახტანგის ძმა როსტომი, რომლის მაგივრად შაპმა დაუყოვნებლივ დანიშნა ვახტანგის ვაჟი ბაქარი, მაგრამ ვახტანგმა იგი ირანში არ გაუშვა. ჩრდილოეთიდან აზერბაიჯანზე სურხაი-სანისა

და ჰაჯი-ლაულის მეთაურობით ლეკებმა დაიწყეს ლაშქრობა. მათ დაიკავეს შემახა და იქ მყოფი რუსი ვაჭრები გაძარცვეს. ამ საქმეში მათ ოსმალები აქეზებდნენ, რომლებიც ირანის დასალაშქრავად ემზადებოდნენ.

პეტრე I-მა კარგად გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა და შაპს სამხედრო დახმარებას შეპირდა კასპიისპირა პროვინციების დათმობის სამაგიეროდ. ამავე დროს მან აცნობა ვახტანგ VI-ს, რომ რუსეთის ჯარი მალე გამოჩნდებოდა კასპიის ზღვის ნაპირზე. 1722 წლის 3 აგვისტოს პეტრემ აუწყა ვახტანგს, რომ რუსეთის ჯარმა უკვე დაიწყო საომარი მოქმედება კასპიისპირეთში. დაახლოებით ამავე ხანებში არზრუმის ფაშამ სულთნის სახელით ვახტანგს შეატყობინა, რომ თურქეთი ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებას აპირებდა და ქართლის მეფესთან კავშირს სასურველად მიიჩნევდა. ასეთი კავშირის სამაგიეროდ სულთანი ვახტანგს მთელ საქართველოს პპირდებოდა. ვახტანგმა უარყო სულთნის წინადადება და ყოველივე ეს იმპერატორ პეტრეს შეატყობინა.

1722 წლის აგვისტოს ბოლოს ვახტანგ VI ქართველთა ჯარით განჯისაკენ გაემართა, სადაც მას შეუერთდა სომესთა ლაშქარიც. პეტრეს ლაშქრობა წარმატებით განვითარდა დარუბანდამდე, რომელიც უბრძოლველად დანებდა რუსეთის ჯარს, მაგრამ შემდგომი წინსვლა პეტრემ, შექმნილი პირობების გამო, სახიფათოდ ჩათვალა. ჯარს სურსათი და ფურაჟი აკლდა, გავრცელდა აეადმყოფობა, ცხენთა უმრავლესობა გაწყდა, ზღვის ღელვამ კი გემები ჩაძირა. ამასთან, ოსმალეთი ომით დაემუქრა იმპერატორს, თუ იგი ლაშქრობას არ შეწყვეტდა. პეტრე ოსმალეთთან ომისთვის სრულიადაც არ იყო მზად. ყოველივე ამის გამო იგი დარუბანდიდან უკან გაბრუნდა და ოქტომბრის თვეში უკვე ასტრახანს ჩავიდა.

ამასობაში სეფიანთა ირანის სახელმწიფოს დღე დაელია. ისპაჰანი, 8 თვის ალყის შემდეგ, 1722 წლის 22 ოქტომბერს დაეცა და შაპი სულთან-ჰუსეინი გამარჯვებულ აღლანელებს ტყვედ დანებდა. მისი მემკვიდრე, 18 წლის თამაზმირზა, ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში გაიხიზნა. აქ მას იმავე წლის ნოემბერში თაეი ირანის შაპად გამოაცხადა შაპ-თამაზ II-ის სახელით (1722-1732), მაგრამ მისი ძალაუფლება ნომინალური იყო: ირანის დიდ ნაწილში აღლანელები ბატონობდნენ.

ვახტანგ VI მხოლოდ 22 ნოემბერს დაბრუნდა თბილისში, ხოლო დეკემბრის დასაწყისში უკვე მიიღო შაპ-თამაზისაგან ცნობა, რომ აღლანელებმა დაატყვევეს შაპ-სულთან-ჰუსეინი და ამჟამად იგი საქართველოდან დამსმარე ჯარის გამოგზავნას მოითხოვდა. ვახტანგმა ყოველივე პეტრეს შეატყობინა და რადგან თურქების შემოჭრა ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, სთხოვა საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალის დაუყოვნებლივ გამოგზავნა. რუსეთმა ამჯერადაც არაფრად ჩააგდო მოკავშირის თხოვნა და ვახტანგს ჯარი დროულად არ მიაშველა.

ოსმალების შემოსელამდე ვახტანგის წინააღმდეგ გამოვიდა კახეთის ახალი მეფე კონსტანტინე მაჰმადყულისანი (1722-1732), რომელსაც ვახტანგზე განრისხებულმა შაპ-თამაზმა ქართლის მეფობაც მისცა. შაპის ბრძანებით ვახტანგის წინააღმდეგ აჯანყდა თბილისის ყიზილბაშური გარნიზონიც. კონსტანტინემ თაედაპირველად ვახტანგთან შეთანხმება სცადა, მაგრამ ქართლის მეფის რენეგატი ძმის, იესეს ჩარევის გამო ეს შეთანხმება ვერ მოხერხდა. პირი-

თბილისი XVIII ს. დასაწყისში (გერმანელური).

ქით, მოლაპარაკებებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შეურიგებელი მტრობა წაეთვარღვნილიყო ამ ორ მეფეს შორის. კონსტანტინე ჯარით შემოვიდა ქართლში. თაყდაპირველი მარცხის შემდეგ მან ლეკთა ჯარები დაიქირავა და თბილისის შემოვლა-ბლოკადასაც მიეხმარნენ განჯისა და ერევნის ხანებიც. ბრძოლა 3 თვეს გაგრძელდა. 1723 წლის 4 მაისს კონსტანტინემ თბილისი აიღო. ლეკებმა ქალაქი სასტიკად გაძარცვეს და გადაწვეს. ამასობაში ქართლში ოსმალები შემოიჭრნენ და ივნისში უკვე თბილისსაც მოადგნენ. კონსტანტინემ უბრძოლველად დათმო ლეღაქალაქი. მოლაპარაკების დროს ოსმალებმა კონსტანტინე დაატყვევეს.

ეახტანგი თაეისი ოჯახითა და მრავალრიცხოვანი ამალით ცხინვალში გაიხიზნა. ამავე დროს მან ოსმალო ფაშას დიდძალი განძეულობის საფასურად მშვიდობა შესთავაზა. მოსალაპარაკებლად თავისი ძე ბაქარი და ძმა იესე გაგზავნა. ოსმალებმა ქართლის განმგებლად ბაქარი დანიშნეს, მაგრამ ეახტანგის ძე მათ ვერ შეეწყო და ისიც მამასთან გაიხიზნა. ქართლის მმართველობა ოსმალებმა რენეგატ იესე-მუსტაფას მისცეს.

ამაოდ ელოდებოდა ეახტანგი რუსეთიდან დამხმარე ძალას. მართალია, 1723 წლის სამხედრო კამპანიის დროს რუსეთის ჯარმა კასპიის ზღვის დასავლეთი ნაპირი დაიკავა, ამავე დროს 12 სექტემბერს პეტერბურგში ირანის ელჩმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ირანი რუსეთს კასპიისპირა პროვინციებს უთმობდა, მაგრამ საქართველოს მდგომარეობა ამით არ გაუმჯობესებულა. იმის სამაგიეროდ, რომ ოსმალეთს ეცნო რუსეთის მიერ კასპიისპირეთის შემოერთება, იმპერატორი შეურიგდა ოსმალთა გაბატონებას აღმოსავლეთ საქართველოში. 1724 წლის 12 ივლისს კონსტანტინოპოლში დაიდო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც თურქეთი ცნობდა რუსეთის მიერ კასპიისპირეთის შეერთებას და უარს აცხადებდა თაეის განგრახვაზე მთელი ირანის დაპყრობის შესახებ. თაეის მსრივ პეტრე I დათანხმდა ეცნო ოსმალთაგან აღმოსაელეთ ამიერკავკასიისა და ირანის ჩრდილოდასავლეთი პროვინციების დაპყრობა.

ოსმალთა მიერ ქართლის დაკავებისა და რუსეთიდან დასმარების მიღების იმედის გაქრობის შემდეგ ვახტანგს საქართველოში აღარ დაედგომებოდა. მას რუსეთს იქით სხვა გზა არც გააჩნდა. 1724 წლის 15 იელისს ქართლის მეფე თავისი ახლობლებითა და ოჯახის წევრებით, თავისი თანამოლაშეების 1200-კაციანი ამალით რაჭის გზით რუსეთისაკენ გაემართა. იგი იმედოვნებდა, რომ რუსეთის მხარდაჭერითა და დამხმარე ჯარით მალე უკან დაბრუნდებოდა და საქართველოს დამპყრობთა ბატონობისაგან გაათავისუფლებდა. მაგრამ მისი ეს ვარაუდიც არ გამართლდა. ვახტანგი ჯერ კიდევ გზაში იყო, როდესაც შეატყობინეს პეტრე I-ის გარდაცვალება. პეტრეს მემკვიდრეები (ეკატერინე I, პეტრე II, ანა იოანეს ასული) ვერარ ატარებდნენ თანამიმდევრულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს. იმპერიის მმართველი წრეები ძირითადად ხელისუფლებისათვის ბრძოლით იყვნენ დაკავებულნი და აქტიური საგარეო პოლიტიკისათვის არც ეცალათ.

რუსეთში ყოფნისას ვახტანგი ეცადა, რომ საქართველოს საკითხით კელავ დაეინტერესებინა რუსეთის მთავრობა 1726-1727 წწ. იგი, საგანგებო მისიით, გილანშიც კი ჩავიდა, როგორც რუსეთის წარმომადგენელი და ირანის შაჰთან მოლაპარაკება გამართა, მაგრამ საბოლოოდ მისი ეს მისიაც უშედეგოდ დამთავრდა. ვახტანგი 1737 წლის 26 მარტს გარდაიცვალა ქ. ასტრახანში. 30 მარტს იგი დაკრძალეს ასტრახანის კრემლის მიძინების ტაძარში.

ვახტანგ VI-ის ოჯახსა და ამალის წევრებს რუსეთის მთავრობამ სარჩო დაუნიშნა და საცხოვრებლად გამოუყო მოსკოვის მახლობლად მდინარე პრესნიაზე მდებარე სოფელი ვოსკრესენსკოე. ასე შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ქართული დასახლება რუსეთში -„გრუზინსკაია სლობოდა", რომელიც არჩილის მიერ ესესეიატსკოეში დაარსებულ ახალშენთან ერთად მოსკოეში ქართველთა კულტურული ცხოვრების კერად იქცა. განახლებულ იქნა ჯერ კიდევ არჩილის მიერ მოწყობილი ქართული სტამბა, გაჩაღდა დიდი სამეცნიერო-ლიტერატურული მუშაობა. აქ გაასრულეს თავიანთა დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები სულხან-საბა ორბელიანმა, ვახუშტი ბატონიშვილმა, მამუკა ბარათაშვილმა და სხვა მრავალმა. ორიგინალური თხზულებების შექმნასთან ერთად დიდი რაოდენობით ითარგმნებოდა სამეცნიერო და ლიტერატურული ძეგლები რუსულიდან ქართულად. კულტურულ საქმიანობასთან ერთად ქართველი ემიგრანტები აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ და იქიდან ცდილობდნენ უბედურებაში ჩავარდნილი სამშობლოს დახმარებას.

„ოსმალობა" და „ყიზილბაშობა" XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში

ბაქარ ბატონიშვილის ოსმალთაგან განდგომის შემდეგ ქართლის მმართველობა ვახტანგის გამაპმადიანებულ ძმას იესეს გადასცეს. იესე ერთგულად ჩადგა ოსმალთა სამსახურში, მაგრამ ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურესად უკმაყოფილო იყო ოსმალთა გაბატონებით და დამპყრობთა წინააღმდეგ გამოსასვლელად ემზადებოდა. მათ მოუხმეს კონსტანტინე კახთა მეფეს, რომელიც ოსმალთა ტყვეობიდან გამოქცეულიყო და ქრისტიანობას დაბრუნებოდა. მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული მეზობელ მაპმადიანურ სახანოებში. მაგალითად, როდესაც ოსმალებმა განჯას შემოუტიეს, გან-

ნინოწმინდის 1708 წლის სიგელის თაეი ეახეთის მეფეების გამოსახულებით. მარცხნიდან: თეიმურაზ ბაგრატიონი, მეფე დაეთი II ისმაილ-ულახანი, მეფე ერეკლე I ნაზარალიხანი, მეფე კონსტანტინე II მამალ-ულახანი.

ჯელებმა დახმარებისათეის კონსტანტინეს მიმართეს და მისი მეთაურობით დიდი მარალი მიაყენეს ოსმალო დამპყრობლებს. ასევე, კონსტანტინე თავიანთ მეთაურად აღიარეს ამიერკავკასიის ანგიოსმალური კავშირის მონაწილეებმა, რომლებსაც ერთობლიეი გამოსელა ჰქონდათ დაგეგმილი, მაგრამ მოკავშირეთა შეუთანხმებელი მოქმედების გამო ოსმალებმა ისინი ცალ-ცალკე დაამარცხეს. ამჯერად უკვე ქართლი ემზადებოდა ასაჯანყებლად. ამ სამზადისს შანშე ქსნის ერისთაეი, ოთარ არაგვის ერისთავი და გიეი ამილახეარი ხელმძღვანელობდნენ. მათ დახმარებისათეის მიმართეს კონსტანტინეს და მოუწოდეს, სათაეეში ჩადგომოდა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას. კონსტანტინე დაუყოვნებლიე გამოემართა კახელებისა და თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქრით. ამ ამბებს აღწერს თურქი მემატიანე ქუჩუქ ჩელები-ზადე: „მაპმადყულისანად წოდებულმა ურჯულომ სარწმუნოება შეიცვალა და გურჯისტანის სანის სამოსი ჩაიცვა. ერისთავებმა, თავადებმა და აზნაურებმა მორჩილება გამოუცხადეს. ქართველები ოთხიევ მხრიდან გარს ედგნენ, მასთან მიეიდნენ და კავშირი შეკრეს. ყარაკალკანისა და ქსნის ერისთავები 10000-მე მეტი მოლაშქრით... გორის ციხის ასაღებად წავიდნენ“. აჯანყებულ ქართველებს განზრახული ჰქონდათ გორის ციხე აეღოთ და შემდეგ თბილისზე შეეტიათ.

1724 წლის სექტემბრის ბოლოს გორის მასლობლად, გუფთასთან (ზედავეელაზე) მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა ქართველებსა და ოსმალებს შორის. თავდაპირველად ქართველებმა ოსმალებს სძლიეს და გააქციეს კიდეც, მაგრამ მოღალატე იესემ გაქცეული ოსმალები უკან მოაბრუნა და ახალი ძალებით შემოუტია ქართველებს. მტრის სიმრავლემ თავისი გაიტანა და საბოლოოდ გამარჯვება მათ დარჩათ. ისინი სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებულებს.

ამ ომში მონაწილეობდა ახალგაზრდა დაეთი გურამიშვილიც, რომელმაც თავის პოემაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ამ ომის აღწერას:

„მოხვდნენ ერთმანეთს; დაიქცა რაც მაშინ სისხლის ღვარები,
აღაბრუნებდა ბეერს წისქვილს, თუმცა სდებოდა ღარები!

ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამისდა მწკლატეეით,
არ იმართოდა ლაშქარი ბედა

იდგნენ, ამიტომ კახელი გლეხები მათ მსარეზეც კი გადადიოდნენ. ამ პერიოდში კახელი თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი, მათ შორის მეფის სასლობაც, ბარის კახეთიდან მთაში იყო შესიმნული. ლეკებმა ადგილობრივი გლეხობის დამონება და მათი ერთიანად გამაპმადიანება მოინდომეს. მაშინ კი კახელებმა იარაღს მოპკიდეს ხელი და შემოსახლებულ გადამთიელებს შეუტიეს.

ბრძოლა თელავიდან დაიწყო. თელაველებმა დაამარცხეს ლეკთა ჯარი, რომელიც ქალაქის დაპყრობას ლამობდა. ლეკთა ეს დამარცხება საერთო აჯანყების ნიშნად იქცა. გლეხებმა მთელს კახეთში უწყალოდ ელიტეს მათ სახლებში ჩამომდგარი ასალბატონები. მაგრამ ლეკების ციხეებიც ეჭირათ და წასელას არ აპირებდნენ. ასეთ პირობებში კახელებმა ფშავში შესიმნული კონსტანტინე მეფე და მისი ძმა თეიმურაზი ისევ უკან მოიწვიეს. გაძევებული თავად-აზნაურობა და სამღვდელოება თანდათან დაბრუნდა თავის საყმოსა თუ სამწყსოში და შერყეული ბატონობისა და ქრისტიანობის აღდგენას შეუდგა.

თელავში დაბრუნებულმა კონსტანტინემ ლეკებთან მოლაპარაკება დაიწყო და მათი ოსმალთა წინააღმდეგ გამოყენება სცადა. ლეკები არასაიმედო მოკავშირენი იყვნენ, მაგრამ კონსტანტინე მეფეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან ოსმალები აძლიერებდნენ კახეთზე შემოტევას. კახეთის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. დამპყრობლებს ემორჩილებოდა მთელი ამიერკავკასია კასპიის ზღვისპირა ზოლს გარდა. ბოლოს კონსტანტინეც დამორჩილდა ოსმალებს და ხარკი იკისრა, მაგრამ ოსმალები მას მაინც არ ენდობოდნენ. 1732 წელს მოლაპარაკების დროს იგი ვერაგულად მოკლეს. თეიმურაზი ფშავში გაიქცა. ოსმალებმა კახეთი დაიკავეს.

ამასობაში ირანის საქმეები გამოკეთდა. შაპ-თამაზის ნიჭიერმა სარდალმა ნადირმა, რომელიც თავის თავს შაპ-თამაზის უერთგულეს მონას (თამაზ-ყული-ხანი) უწოდებდა, ჯერ ავღანელები დაამარცხა და გააძევა ირანიდან (1730 წ.), შემდეგ კი ისარგებლა კავკასიაში დაწყებული განმათავისუფლებელი ბრძოლებით და ოსმალებსაც შეუტია. ნადირ-ხანის მოთხოვნით, იმპერატორ ანას მთავრობა იძულებული გახდა, დაეცალა სამხრეთი და დასავლეთი კასპიისპირეთი და ეს ტერიტორია კვლავ ირანისთვის დაებრუნებინა (რეშტის ტრაქტატი 1732 წ., განჯის ტრაქტატი 1735 წ.). ნადირ შაპმა თანდათანობით გააძევა ოსმალები აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან. აქ მას დაუფასებელი სამსახური გაუწია ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველთა თავდადებულმა ბრძოლებმა. ამ ბრძოლებს კონსტანტინეს უმცროსი ძმა თეიმურაზ ერეკლეს ძე უნარიანად ხელმძღვანელობდა. მან მაღაროსთან დაამარცხა იუსუფ ფაშა და ქვეყნის საბოლოო გათავისუფლებისათვის ნიადაგს ამზადებდა. ნადირ-ხანმა ბაგავანთან (ერევნის ახლოს) ოსმალები სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ ერევნის, განჯის, თბილისისა და ლორეს ოსმალო მეციხოვნეები უბრძოლველად დანებდნენ.

ეჭვიანმა ნადირ-ხანმა თეიმურაზი რამდენჯერმე დააპატიმრა. მაგრამ ითვალისწინებდა რა თეიმურაზის დიდ ავტორიტეტსა და ქართველი ხალხის თავდადებას თავისუფლებისათვის ბრძოლაში, შეთანხმებას არჩევდა და მისი გამოყენებით ცდილობდა ქართლ-კახეთზე თავისი გავლენის განმტკიცებას. 1735

წლიდან ქართლ-კახეთზე ყიზილბაშთა უშუალო ბატონობა დამყარდა. ნადირ-სანი ისეთიეე ყიზილბაში იყო, როგორიც სხვა მისი პოლიტიკური წინაპრები და, ზოგიერთი დროებითი დათმობის მიუხედავად, საბოლოო შედეგად მისი მიზანიც საქართველოში „ყიზილბაშობის" დამკვიდრება იყო.

ნადირმა შაჰობიდან გადააყენა თავისი უუნარო პატრონი შაჰ-თამაზი და შაჰად ჯერ მისი 8 თვის შვილი, აბას III გამოაცხადა, ხოლო 1736 წლის 26 თებერვალს ირანელი თავკაცების ყრილობას უკვე თავისი თავი აარჩევინა. ამის შემდეგ ნადირ-შაჰი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქართველოს და აქ თავისი ძალაუფლების განმტკიცებას ცდილობდა.

1737 წელს მასთან პატიმრად მყოფ თეიმურაზს კახეთიდან ქალ-ვაჟი დაბარებინა. თეიმურაზის ქალი ქეთევანი ცოლად შერთო თავის ძმისწულს ალი ყული მირზას, რომელიც შემდეგ ირანის შაჰი გახდა ადილ-შაჰის (სამართლიანი შაჰის) სახელით, ხოლო ვაჟი - ერეკლე თან წაიყვანა ინდოეთის ლაშქრობაში. თეიმურაზს სამმართველოდ კახეთი დაუბრუნა და სამშობლოში გამოისტუმრა.

ნადირ-შაჰი საქართველოში სასტიკ რეპრესიებს ატარებდა. მისი მეთოდები თითქმის არაფრით განირჩეოდა შაჰ-აბასის მეთოდებისაგან. როგორც წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი: „ნადირი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველო დამპყრობელი ირანის ერთგული არასოდეს იქნებოდა, რომ დამოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის ბრძოლას ქართველი ხალხი ცოცხალი თავით არასოდეს შეწყვეტდა და ამ ბრძოლის დროს ქრისტიანულ სახელმწიფოებთან მოკავშირეობაზე (ამ შემთხვევაში, რუსეთთან) ხელს არ აიღებდა. ნადირმა კარგად იცოდა, რომ საქართველო ამიერკავკასიაში რუსეთისათვის საიმედო მოკავშირეს წარმოადგენდა (ამის უტყუარი მოწმობა იყო ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა გრძელი სია ალექსანდრე კახთა მეფიდან ვახტანგ ქართლის მეფემდის). ხოლო რუსთ ხელმწიფის გეგმები ირანსა და ამიერკავკასიაში პეტრეს ლაშქრობის შემდეგ კარგად იყო ცნობილი.

ისე, როგორც შაჰ-აბასმა, ვერც ნადირმა შეისრულა განაზრახი. ბედის ამდენი უკულმართობის მიუხედავად ქართველ ხალხს მაინც აღმოაჩნდა საკმაო წინააღმდეგობის უნარი დამპყრობლის ამ გაბედული გეგმის ჩასაშლელად".

ნადირ-შაჰმა ერეკლე სამშობლოში 1739 წლის ბოლოს დააბრუნა. ქართლში ამ დროს გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ირანელებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს აჯანყებული მანშე ქსნის ერისთავის დამარცხება და ხელთ გდება, მაგრამ ქვეყანა ამით მაინც ვერ დაიმორჩილეს. ნადირ-შაჰის მიერ ახალი გადასახადების შემოღებამ ხელახლა დაანთო აჯანყების ცეცხლი. ამჯერად აჯანყებას მეორე უძლიერესი თავადი გივი ამილახვარი მეთაურობდა. ირანის შაჰი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და გადასახადები შეემცირებინა. ნადირ-შაჰის დავალებით თეიმურაზი გივი ამილახვარს შაჰთან შერიგებას ურჩევდა. მართლაც, შექმნილ ვითარებაში კომპრომისი აუცილებელი იყო. ყიზილბაშთა ახალი და ახალი ჯარების შემოსვლით ქვეყანა სასტიკად ნადგურდებოდა, უწყალოდ იღუპებოდა ქართველი გლეხკაცობა, ბრძოლებს კი ბოლო არ უჩანდა.

საქართველოში შექმნილი სიძნელეების გამო ნადირ-შაპი ასალ დათმობაზე წავიდა. მან განსაკუთრებული შეღავათები მიანიჭა მეფე თეიმურაზს და მასვე დაუალა აჯანყებული ამილასხარის დაშოშმინება. თეიმურაზი დათანხმდა ამ დავალების შესრულებას თუნდაც იმიტომ, რომ ამილასხარი თეიმურაზის წინააღმდეგ ვახტანგ მეექვსის ყაეს - ბაქარს დაკავშირებოდა რუსეთში და მას ქართლში გასამეფებლად მოუწოდებდა. ამავე დროს აჯანყებულ თავადს ქართველთა შორის მომხრეები აღარ ჰყავდა და ძირითადად ლეკ-ოსმალებსღა ეყრდნობოდა, ამათაც ხშირად ისევ თავის მოქიშპე თავადების წინააღმდეგ იყენებდა.

ხალხი აშკარად აღარ თანაუგრძნობდა გიეი ამილასხარის აჯანყებას, რომელიც ავანტურად გადაქცეულიყო. თეითონ ამილასხარიც ძალაუნებურად ოსმალეთის აგენტი ხდებოდა. ამ ბრძოლებში თეიმურაზს მხარში ედგა მისი ვაჟი ერეკლე ბატონიშვილი.

1744 წელს ერეკლემ კახელებით და თუშებით აჩაბეთის ციხესთან დაამარცხა გიეი ამილასხარი და მისი მოკავშირე ოსმალები. ასევე, არაგვის ხეობაში იგი დახვდა დაღესტნისაკენ მიმავალ ლეკ-ოსმალთა ჯარს და სასტიკად დაამარცხა. ასეთი დამსახურების გამო იყო, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულმა ნადირ-შაპმა 1744 წლის ივნისში თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ დანიშნა.

გიეი ამილასხარი საბოლოოდ დამარცხდა. სურამის ციხეში გამოკეტილი მეამბოხე თავადი ხუთი თვის ალყის შემდეგ იძულებული გახდა თეიმურაზ-ერეკლეს დანებებოდა. მამა-შვილის წინდახედულმა პოლიტიკამ და ქართველი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ თავისი შედეგი გამოიღო. ნადირ-შაპმა ნება დართო თეიმურაზს, ქრისტიანული წესით კურთხეულიყო ქართლის მეფედ. ამავე დროს მან ქართლს დაუბრუნა XVII საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ მიტაცებული მსარეები: ლორე, ბორჩალო, ბაიდარი.

თეიმურაზ - ერეკლეს ერთობლივი მეფობა ქართლ-კახეთში

1745 წლის 1 ოქტომბერს თეიმურაზ II დიდი ზეიმით, ძველი ქართული წესით, სვეტიცხოვლის ტაძარში საქართველოს მეფედ ეკურთხა. ეს დიდი მნიშვნელობის ამბავი იყო. უკვე საუკუნეზე მეტი იყო გასული, რაც ქართლ-კახეთის ტახტზე მეფე ქრისტიანული წესით აღარ დამჯდარიყო. შაჰების მიერ ასე დაქინებით და გულდაგულ გატარებულმა ქართლ-კახეთის გაყიზილბაშების პოლიტიკამ სრული მარცხი განიცადა და ირანის მხრივ ამის აღიარება ქართველობის დიდი გამარჯვება იყო.

ამასობაში ნადირ-შაპის ხელისუფლებასაც დღე დაელია. 1747 წელს მან მთელ ირანს აუტანელი გადასახადები შეაწერა და ამით საყოველთაო აჯანყება გამოიწვია. აჯანყდა ქართლ-კახეთიც. საქმეს ვერ უშველა შაპის ცალკეულმა დათმობებმა. იგი სასახლის გადატრიალების მსხვერპლი შეიქნა. ირანის სახელმწიფო ანარქიამ მოიცვა. დაიწყო ხელისუფლებისათვის გაუთავე-

ბელი ბრძოლა, რომელშიც აღარბადაგანის მმართველი აზატ-ხანი აელანი, მაკმად-ხან ყაჯარი და ზენდთა ტომის წინამძღოლი ქერიმხან-ზენდი ერთმანეთს ეცილებოდნენ. არეულობით სარგებლობდნენ წვრილი მმართველებიც და მეზობელ ქვეყნებს ულმობლად არბევდნენ.

თეიმურაზ II

ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერ ხელისუფლად ერეკლე-თეიმურაზი ჩანდა. მათ ეს არაერთ ბრძოლაში დაამტკიცეს, ამიტომ მიმართეს საქართველოს მეფეებს მფარველობის თხოვნით ჯერ ერევნის ხანმა და შემდეგ განჯის ხანმაც. მამა-შვილმა სასტიკად დაამარცხა ერევნის დასარბევად წამოსული მაკმად ხანი, განჯის წინააღმდეგ მებრძოლი ყარაბაღის ხანი ფანა-ხან ჯავანშირელიც გააძევეს განჯის სახანოს ტერიტორიიდან და ამით ეს ორივე სახანო ყმადნაფიცად შემოიმტკიცეს. საქართველოს ყმადნაფიცი გახდა ნახიჭევნის სახანოც. იქ იდგა ზაალ ორბელიანი ქართველთა რაზმით. ამის შემდეგ ერეკლე-თეიმურაზს ყარაბაღის მფლობელ ფანა ხანთან დიდი ბრძოლის გადახდა მოუხდათ. მათ სასტიკად დაამარცხეს ურჩი მეზობელი, რომელიც სიცოცხლეს უმწარებდა განჯისა და სხვა მეზობელი სახანოების მშვიდობიან მოსახლეობას. 1750 წლის თებერვალში ყარაბაღელი მელიქები და სომეხთა ეპისკოპოსი მოვიდნენ მფარველობის თხოვნით ერეკლესთან. ფანა ხანის დამარცხების შემდეგ ქართველებმა არეზის გაღმა-გამოღმა მხარეებიც დალაშქრეს და აიძულეს აზერბაიჯანის ხანები, მათ შორის თავრიზის ბეგლარ-ბეგიც, რომ საქართველოს უპირატესობა ეცნოთ. ამ ამბების მონაწილე ქართველი ისტორიკოსი წერს: „გაითქვა ხმა ყველგან, აღრიბეჟანის ქვეყანაში ქართლის ჯარი ჩამომდგარა და პირველი-სამებრ აღრიბეჟანის ქვეყანა ქართველმა ბატონმა დაიჭირაო. შეშინდა ყოველი ქვეყანა და მონებდნენ მეფესა ქართლისასა თეიმურაზს და ძესა მისსა, მეფესა ერეკლეს“.

ლეკების შემოსევები არა წყდებოდა. მართალია, ერეკლემ ცალკეულ ბრძოლებში არაერთხელ დაამარცხა საქართველოსკენ სათარეშოდ წამოსული ლეკთა რაზმები, მაგრამ მათი შემოსევების საფრთხის აღკვეთა მაინც ვერ მოსერხდა. გადამთიელი ლეკების ამიერკავკასიაში შემოსევებისა და თარეშის ბაბას წარმოადგენდა მათ მიერ აღმოსავლეთ კახეთის ყოფილ ტერიტორიაზე შექმნილი ეგრეთწოდებული ჭარ-ბელაქნის უბატონო თემები და კაკ-ენისელის სასულტნოები. მათი დამორჩილებისა და კახეთისადმი კვლავ შემოერთების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ლეკიანობის აღკვეთა.

1750 წელს ჭარელების მოწოდებით დაღესტნიდან ლეკთა დიდი ჯარი გადმოვიდა და ქართლ-კახეთში შემოიჭრა. ერეკლემ ლეკების მთავარი ძალა სასტიკად დაამარცხა, ტყვეები და ნაალაფევი დააყრევინა. ასევე დაამარცხა მოთარეშე ლეკების მეორე რაზმიც. მაგრამ ეს წარმატება, ქართველი პოლიტი-

კოსების სწორი შეფასებით, არ იყო გადამწყვეტი მნიშვნელობისა, რადგან ლეკების ასეთი შემოსევები შემდეგაც იყო მოსალოდნელი. გადაწყდა ჭარ-ბელაქნის დაპყრობა. ქართველმა მეფეებმა საკმაოდ დიდი ჯარი შეყარეს. ქარ-თველებს გარდა მათ ლაშქარში ყმადნაფიცი განჯა-ყარაბაღისა და სხვა ხანე-ბის ჯარებიც იყო. თეიმურაზ-ერეკლეს იმელი ჰქონდათ შაქი-შარვანის ხანის აჯი-ჩალაბისა, რომელიც აქამდე მეფე მამა-შვილს თითქოს მეგობრობდა. მაგ-რამ მოსდა პირიქით. ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის ლეკების დასაცავად სწორედ ეს აჯი-ჩალაბი გამოვიდა. მან საიდუმლო კავშირი გააბა ქართველ-თა ჯარში მყოფ მაჰმადიან ხანებთან და ისინიც თავის მხარეზე გადაიბირა. ქართველმა მეფეებმა აჯი-ჩალაბს გეიან გაუგეს და ბრძოლაში დამარცხდნენ. ეს იყო თეიმურაზ-ერეკლეს პირველი სერიოზული დამარცხება. აშკარა გახ-და, თუ რა ძნელი და რთული გადასაწყვეტი იყო ლეკთა საკითხი. ამ მარცხს სხვა გართულებებიც მოჰყვა. გარდა იმისა, რომ ლეკებმა თავი აიშვეს და გა-ასშირეს თავდასხმები საქართველოზე, ქართლ-კახეთს აზაგ-ხანმაც შემოუ-ტია. აზაგ-ხანი სამხრეთ აღარბაღაგანის მფლობელი იყო და ირანის ტახტზეც აპირებდა ასვლას. მან გადაწყვიტა ესარგებლა ერეკლე-თეიმურაზის მდგო-მარეობის გართულებით და აღმოსაველეთ ამიერკავკასია მთლიანად დაემორ-ჩილებინა. საქმე ერევნის სახანოდან დაიწყო. მისი ჯარები შემოადგნენ ერევ-ნის ციხეს, სოლო სახანოს ტერიტორია მთლიანად მოაოხრეს. ერევნელებმა დახმარებისათვის ქართველებს მიმართეს.

ერეკლე დაუყოვნებლივ დაიძრა მეზობელ სომხეთში შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ. ომი ერევნის მახლობლად, ყ ი რ ს ბ უ ლ ა ს თ ა ნ მოსდა (1751 წლის 28 ივლისს). აზაგ-ხანს ერეკლეზე გაცილებით დიდი ჯარი ჰყავ-და და დარწმუნებულიც იყო თავის გამარჯვებაში. მან შემოუტია ქართველ-თა განლაგებას, აღგილ-აღგილ შეაღწეროვა კიდეც და ყოველი მხრიდან ალ-ყის შემორტყმა დაიწყო. ყიზილბაშებს ერეკლეს ცოცხლად სელთგდებაც სურ-დათ, მაგრამ ამ ბრძოლაში ერეკლეს უმაგალითო მამაცობამ და ბრწყინვა-ლე სამხედრო ნიჭმა გაიმარჯვა. იგი პირადად წაუძღვა თავისი ჯარის მეწი-ნაეეებს თეითდაჯერებული მტრის წინააღმდეგ და ისე მოულოდნელად და სერსიანად შეუტია აზაგ-ხანის ჯარების ცენტრს, რომ იგი ერთი დაკვრით მო-შალა და გააქცია. ამ დარტყმის ეფექტმა მტრის ჯარი ერთიანად სულიერად გატეხა და უწესრიგოდ გაფანტა.

ქართველებმა დიდ მანძილზე სდიეს ყიზილბაშებს, ბევრი დახოცეს და და-ატყვევეს, თეითონ აზაგ-ხანმა გაქცეეით უშველა თავს და არაქსს გადაღმა ადარბადაგანს შეაფარა თავი. ეს იყო დიდი მნიშვნელობის გამარჯვება, მაგ-რამ ქართლ-კახეთის მეფეთა ამ საერთო წარმატებებს უსათუოდ ანელებდა ლეკიანობის მუდმივი საფრთხე, განსაკუთრებით კი შაქი-შარვანის ხანის აჯი-ჩალაბის საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება.

აჯი-ჩალაბი საქართველოს საწინააღმდეგო კოალიციის შექმნას ცდილობ-და. მან შეძლო კიდეც ქრისტიანი ერეკლე-თეიმურაზისადმი მაჰმადიანი ხანე-ბისა და ელების დაპირისპირება. თვით საქართველოს ყმადნაფიცი მაჰმადია-ნი მფლობელებიც კი, ზოგი ძალით და ზოგი ნებით, თავის მხარეზე გადაიყვანა

და მის წინააღმდეგ წამოსული ერეკლე-თეიმურაზის ჯარი განჯასთან დაამარცხა (1752 წლის მარტი). ამ წარმატებამ მეტად გაათამამა აჯი-ჩალაბი და მისი მოკავშირენი და საქართველოს წინააღმდეგ ერთიანად შეტევაზე გადმოვიღლნენ. ქართლ-კახეთში შემოიჭრნენ ლეკთა ბრბოებიც.

ამ მძიმე მომენტში მამა-შვილმა დიდი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა. მათ მოსახლეობა ციხესიმაგრეებში და გამაგრებულ ადგილებში დახიზნეს, ომში ქულბე კაცი გაიწყვიეს; ჯარის დასაქირაველად სასსრები არ ჰყოფნიდათ, მაგრამ ამ მდგომარეობიდანაც ნახეს გამოსავალი. მათ სამეფო განძთსაცავიდან გამოიტანეს ოქროს და ვერცხლის ნივთები და ზარაფხანაში მისცეს ფულის მოსაჭრელად. ამ ფულით დაიქირავეს ჩრდილოეთკავკასიელი ჩერქეზები და სხვა მთიელები. ქართველმა მეფეებმა რუსეთშიც გაგზავნეს ელჩობა ათანასე თბილელის მეთაურობით და იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულს ჯარით დახმარება სთხოვეს.

ქართველთა ასეთმა ენერგიულმა მოქმედებამ მტერი შეაკრთო და საქართველოს დაპყრობაზე ხელი ააღებინა. უკან გაბრუნებულ აჯი-ჩალაბის ჯარებს ერეკლე საზღვარზე მიეწია და სასტიკად დაამარცხა.

ამ გამარჯვებით ერეკლემ არა მარტო აღნიშნული დიდი საფრთხე აიცილა თავიდან, არამედ დაშალა მაპმადიან მფლობელთა ის კოალიცია, რომელიც შაქი-შარვანის ხანმა საქართველოს დაუპირისპირა. ერევნის, განჯისა და სხვა ხანები თეიმურაზისა და ერეკლეს მიმართ ისევე მეგობრობისა და მორჩილების გმას დაადგნენ. ამას სხვა შედეგებიც მოყვა. საქართველოს მდგომარეობის გართულებით გახალისებული აზატ-ხანი ხელახლა წამოსულიყო ქართლ-კახეთის საზღვრებისაკენ, მაგრამ ქართველი მეფეების გამარჯვების ცნობის მიღებისთანავე შერიგების გუნებაზე დადგა და მეფეებს ზავი შესთავაზა. ერეკლე-თეიმურაზისთვის ეს ზავი მეტად სასურველი იყო. აზატ-ხანის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიაზე ხელის აღება ქართლის ბევრ რეაქციონერ თავადს ხელ-ფეხს უკრავდა და იმედის ნაპერწკალს უქრობდა. ისინი სომ აზატ-ხანის გამოლაშქრებას ელოდებოდნენ და მტრის დახმარებით ერეკლე-თეიმურაზის მტკიცე ხელისუფლების თავიდან მოშორებას აპირებდნენ

უდავო იყო ერეკლე-თეიმურაზის საგარეო-პოლიტიკური წარმატებანიც. ქართლ-კახეთი ფაქტობრივად გათავისუფლდა ირანის ბატონობისაგან. უფრო მეტიც, სუთი წლის განუწყვეტელი ბრძოლებითა და ენერგიული პოლიტიკური ღონისძიებებით ერეკლე-თეიმურაზმა აშკარად ცხადყვეს თავიანთი უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. მათი სახელი, განსაკუთრებით ხმა ერეკლეს სამხედრო ქველობის შესახებ, შორს იყო გავარდნილი.

ამ პერიოდის სპარსეთის ამბებს გაუფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ევროპელი პოლიტიკოსები და, ბუნებრივია, ასე აქტიურად მებრძოლმა საქართველოს მეფეებმა მათი ყურადღება მიიქციეს. მათი წარმომადგენლები აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ცნობას-ცნობაზე აწვდიდნენ ერეკლე-თეიმურაზის წარმატებების შესახებ, მოგჯერ ერთგვარად გაზვიადებულადაც. ეს ცნობები იბეჭდებოდა მაშინდელს ევროპულ პრესაში. შეიქმნა რამდენიმე წიგნიც, სადაც, სხვა ამბებთან ერთად, ერეკლე-თეიმურაზის მოღვაწეობაც იყო აღწერილი.

ამ საგარეო-პოლიტიკური წარმატებების მიუხედავად საქართველოს მდგომარეობა მაინც მძიმე რჩებოდა და ეს, უპირველესად, მოუშორებელი ჭირის — ლეკიანობის გამო. დაღესტნელ მთიელთა მიერ ორგანიზებული განუწყვეტელი თავდასხმები ქვეყანას გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა. ფეოდალურ საქართველოს უჭირდა ასეთი თავდასხმების წინააღმდეგ ბრძოლა. მისი სამხედრო ორგანიზაცია შეუფერებელი იყო ლეკიანობის ასეთი მუდმივი საფრთხის აღსაკვეთად. ქართული ფეოდალური ლაშქარი, რომელიც ძირითადად ქართველი გლეხებისაგან შედგებოდა, ჩვეულებრივ, იკრიბებოდა ხოლმე მტრის ჯარის შემოსევის ან სხვა რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგრამ მცირე დროით, რადგან დიდი ხნით მიწის მუშის სოფლის მეურნეობიდან მოწყვეტა არ შეიძლებოდა. მუდმივი ან დაქირავებული ჯარის ხანგრძლივად შენახვა სამეფოს საზინას არ შეეძლო. ლეკების წინააღმდეგ კი სწორედ ასეთი მუდმივი ჯარი იყო საჭირო. ისინი ხომ მოულოდნელად ხან აქ, ხან იქ გამოჩნდებოდნენ და ბრძოლას, როგორც წესი, თავს არიდებდნენ, მათი მიზანი ნადავლისა და ტყვის შოვნა იყო. ისინი ქურდულად ესხმოდნენ თავს დაუცველ სოფლებს, სამუშაოზე გასულ გლეხებს, გზად მიმავალ მგზავრებს, სტეხდნენ ციხეებსა და ეკლესია-მონასტრებს, მიქმოსდათ ყველაფერი, რის წაღებაც შეიძლებოდა, მიერეკებოდნენ საქონელს, მოგაცებულ ადამიანებს დიდ ფასად ახსნევინებდნენ თავს, თუ არადა ყირიმელი ვაჭრების საშუალებით ან ასალციხის საფაშოს გზით ოსმალეთის ბაზარზე აგზავნიდნენ. უამისოდაც სისხლიდან დაცლილ საქართველოს ხელიდან ეცლებოდა მისი მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი. თურქეთის მონათა ბაზარზე მხოლოდ ჯანსაღი და ახალგაზრდა ტყვე ფასობდა ძვირად.

ლეკიანობა ქართლ-კახეთში განსაკუთრებით მომძლავრდა 1754-1760 წლებში. მთელი ქვეყანა მეკობრე-მგაცებელთა ბრბოებით აივსო. მოსახლეობა მუდმივად ციხეებს იყო შეფარებული, რის გამოც მეურნეობა თითქმის მთლიანად ჩაკვდა. მუდმივი თარეშისა და ძარცვა-ტყვევნის პირობებში მარტო ინტენსიური მეურნეობა კი არ ირღვეოდა, ქართველობას მთლიანად გადაშენება ელოდა.

წვრილ-წერილი თარეშების გარდა 1754-1755 წლებში დაღესტნელმა მთიელებმა რამდენიმე მსხვილი ლაშქრობაც მოაწყვეს. ამ ლაშქრობების ორგანიზატორი ხუნძახის (ავარიის) მფლობელი ნურსალ-ბეგი იყო.

1754 წელს ხუნძახის ბატონი დიდი ჯარით შემოიჭრა კახეთში, ძარცვა-რბევით ჩამოვიდა ქართლში და მუსრან-დუშეთის გზაზე, მდ. ნარეკვავის ხეობაში მდებარე მჭადიჯვრის ციხე-გალავანს გარს შემოერტყა. მას იქ შეხიზნული ხალხის დატყვევება ჰქონდა განზრახული. ერეკლეს ნურსალ-ბეგთან შედარებით მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა, მიუხედავად ამისა, ქართველები მხნედ შეებნენ მტერს, ერეკლეს სარდლობითა და პირადი თავდადებით მომხდური მტერი დაამარცხეს და გააქციეს.

მეორედ ნურსალ-ბეგი 1755 წელს გამოემართა ქართლ-კახეთისაკენ. ამჯერად მას უფრო დიდი ლაშქარი ჰყავდა. მან ლაშქრობისაკენ მოუწოდა როგორც დაღესტნის სხვა სამთავროებს, ისე კაკ-ელისენისა და ჭარ-ბელაქნის

ყვარლის ციხე

ლეკებს, აგრეთვე, ამიერკავკასიის მაპმადიან მთავრებს. ბევრი ავაზაკი ხალხით აპყრა ხუსძახის ბაგონის მოწოლებას და მდიდარი ნაალაფარის ხელთგდებას იმედით გამოძეგა ლეკთა ავისშმრახველ ბელადს.

ერეკლე-თეიმურაზმა სათანადო თადარიგი დაიჭირეს. მათ მოსახლეობა, ნურსათის მარაგით, საიმედო ციხეებსა და მიუვალ ხეევებში დახიზნეს. ბრძოლისუნარიანი მამაკაცები ქუდზე კაცი გამოიყვანეს და მტრის შესაბმელად განაწესეს. ნურსალ-ბეგი თავისი 20000-იანი ჯარით ყვარლის ციხეს შემოადგა, სადაც გაღმა მხრის მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო თავშეფარებული. ალყა გასანგრძლიედა. ციხის დამცველები თავდადებით ებრძოლნენ მტერს და დიდ ზიანს აყენებდნენ, მაგრამ ალყაში მოქცეულებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ. საჭირო იყო მათთვის სათანადო მარაგის შეგზავნა და მორალური გამხნევება. ერეკლე მტერთან პირისპირ შებმას თავდაპირველად მიზანშეუწონლად თვლიდა და ხერხს მიმართა. მან ციხეში მამაცი რაზმის შეგზავნა გადაწყვიტა. ამ მიზნით მოხალისეებს მოუწოდა, ვინც ამ საეაკეკაცო საქმეს შეასრულებდა, მეფე პირდებოდა სათანადო წყალობას - თავადაა და აზნაურს შესაფერის თანამდებობასა და მამულს, ხოლო გლეხს - ბაგონყმობისაგან გათავისუფლებას, ორ საკომლო მამულს და ფულად ჯილდოს. მეფის მოწოდებაზე 206 კაცი გამოვიდა. მათ შორის, 9 თავადიშვილი, 2 აზნაური, ერთი ხუცესი და დანარჩენი გლეხი, ამათგან 130 ქიზიყელი.

ვაჟკაცები ღამით გავიდნენ ქიზიყიდან, გასულეს ალაზანი. უჩუმრად თავს დაესხნენ ყარაულებს, ხმლით გაიკაფეს გზა და ციხეში თოფისწამლის დიდი მარაგი შეიტანეს. ამ ამბავმა ციხის დამცველები დიდად გაამხნევა. ნურსალ-ბეგის ლაშქარს კი მერყეობა დაეტყო. ამასთანავე ერეკლემ ქიზიყელთა ცხენოსანი რაზმი ჭარის დასარბევად გაგზავნა. ყვარლის ციხის ალყაზე მდგარი ჭარელები შეშფოთდნენ და თავიანთი უპატრონოდ დარჩენილი სახლების დასაცავად წასელა დააპირეს. ამ ნიადაგზე ჭარელებსა და ნურსალ-ბეგს შორის

უთანსმოება ჩამოვარდა და, ბოლოს, ისინი ერთმანეთს დაერიენენ კიდეც. ჭარელები ცისეს ჩამოეცალნენ. მათ კაკის სულტანიც გაპყეა. ასევე ნუხის ხანმაც თავის ქვეყანას მიაშურა და ასე, თანდათან, მოალყეთა რიგები მოიშალა. ნურსალ-ბეგი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

ამრიგად, ქვეყნის ერთბაშად აოსრებისა და დაკავების გეგმა მტერს ჩაეშალა, მაგრამ წერილ-წერილ რბევა-თარეშს იგი მაინც არ ეშვებოდა. ლეკიანობის პრობლემა კელავ გადაუწყვეტელი რჩებოდა.

დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში

როგორც აღინიშნა, XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველო ფეოდალური ანარქიით იყო მოცული.

1701 წელს იმერეთის ტახტზე მცირე ხნით მამია გურიელი იჯდა, შემდეგ ძალაუფლება ხელთ იგდო გიორგი აბაშიძემ. იმ საბაბით, რომ იმერეთის ტახტზე ღალატით მოკლული მეფე სიმონის ძმა გიორგი VI აეყვანათ, 1703 წელს თურქეთის სულთანმა დიდი ლაშქარი გამოგზავნა არგვრუმის ფაშის სარდლობით. ოსმალებმა გადმოლახეს მდ. ჭოროხი, დაიკავეს ბათუმი და იქ ციხეების აგებას შეუდგნენ. მათ, ასევე, თურქეთის ფლოტით ჯარები გადმოსხეს სამეგრელოში. აფხაზეთის მთავარმა თურქეთის მხარე დაიჭირა და თავისი ჯარით მათ შეუერთდა. ახალციხის მხრიდან ოსმალთა ჯარი ზეკარის გადასასვლელით იმერეთში შეიჭრა. დასავლეთ საქართველო საშინელი საფრთხის წინაშე დადგა. თურქ-ოსმალები ქვეყნის საბოლოო დაპყრობას აპირებდნენ. მათ დაიკავეს გურია-სამეგრელო-იმერეთის ციხეების დიდი ნაწილი და თვით არგვეთშიც შეიჭრნენ. მოსახლეობა გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ თავადური დაქსაქსულობა და ღალატი მომხდურებს მიზნის მიღწევას უადვილებდა. სტამბოლში უკვე ასალ ჯარებს უყრიდნენ თავს, რათა დასავლეთ საქართველოს დაპყრობის საქმე ბოლომდე მიეყვანათ, მაგრამ სწორედ იმ ჯარში იფეთქა აჯანყებამ, რის გამოც იმერეთში მყოფი ოსმალთა სამხედრო ძალა უკან გაიწვიეს. ოსმალებმა მეფედ დატოვეს გიორგი VI, რომელიც, მემატიანეს დასასიათებით, იყო „ცუნდრუკი, მომხვეჭელი, ანგაარი, ვერცხლის მოყვარე", გაიძღვანიეს დიდძალი ტყვეები და ნაძარცვი ქონება, მაგრამ გიორგი აბაშიძემ უკან გაბრუნებულ ოსმალებს ჯარი ჩაუსაფრა და ერთიანად გაანადგურა. იმერლებმა მტერს ნადავლისა და ტყვეების დიდი ნაწილი დააგოვებინეს.

ამრიგად, თურქ-ოსმალთა ამ ლაშქრობამ ძირითად მიზანს ვერც ამჯერად მიაღწია. დასავლეთ საქართველო ოსმალთა მხრივ სრულ დაპყრობას გადაურჩა, თუმცა დამპყრობლებმა ბათუმის მხარე მაინც შეინარჩუნეს, ასევე მათი მეციხოვნეები დარჩნენ ფოთის, ანაკლიის, რუხის, ბაღდათის ციხეებში. იმერეთში შინაბრძოლები გრძელდებოდა. გიორგი VI-მ ამ სიძნელეებს ვერ გაართვა თავი, იგი რამდენჯერმე გააძევეს იმერეთიდან, 1720 წელს კი ეს „ცუნდრუკი" მეფე აბაშიძეებმა მოკლეს. ახალციხის ფაშის დახმარებით გამეფდა

მისი უფროსი ეაჟი ალექსანდრე V (1721-1752). მას ენერგიულად უჭერდა მხარს ქართლის მეფე ეასტანგ VI, მაგრამ ამ უკანასკნელის რუსეთში გადასვეწის, ხოლო ქართლში „ოსმალობის“ დამყარების შემდეგ იმერეთის პოლიტიკური მდგომარეობაც მკვეთრად გაუარესდა.

ოსმალებმა შავი ზღვისპირა ციხეებში ჯარები ჩააყენეს, ხოლო მათ ხელთ მყოფი ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ანაკოფიის, ბიჭვინთისა და სხვა ციხეებში გარნიზონები გააძლიერეს. ამით თურქებმა საქართველო ზღვას მოწყვიტეს. მათ, ასევე, ფაშა დასვეს ფოთში და შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის განმგებლობა ჩააბარეს. თურქებს ქვეყნის დაპყრობაში დიდად უწყობდა ხელს თითქმის შეუწყვეტელი შინაბრძოლები, მაგრამ დასავლეთ საქართველოს საბოლოო დაპყრობა და „გაოსმალება“ მათ მაინც ვერ შეძლეს. ამის მიზეზი ქართველი სალხის შეურიგებელი ბრძოლები იყო. ამავე დროს, დასავლეთ საქართველო თურქებისთვის ძნელად მისადგომ ქვეყანას წარმოადგენდა და იძულებულნი იყვნენ იქ ძირითადად ადგილობრივ ძალებს დაყრდნობოდნენ. სამხედრო ექსპედიციების დროსაც ახალციხისა და ტრაპიზონის ფაშებს აგზავნიდნენ, რომლებიც გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ. ოსმალეთის გარნიზონებიც უმთავრესად გამაჰმადიანებული ქართველებისაგან შედგებოდა. მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან მშვიდობიანი საეაჭრო და ხშირად ნათესაური ურთიერთობაც ქქონდათ. მათი რელიგია მართალია, განსხვავდებოდა, მაგრამ ენა და ცხოვრების წესი ჯერ კიდევ საერთო იყო. ახალციხის ფაშები თვითონაც არ იყვნენ დაინტერესებულნი, რომ იმერეთი ოსმალებს საბოლოოდ დაეპყროთ და ადგილობრივი ქართული სელისუფლება მოესპოთ თუნდაც იმის გამო, რომ ამ მხრიდან, თურქეთის უმიშროების დაცვის საბაბით, შორეულ ლაშქრობებში გაწვეეა თავიდან აეცილებინათ. მთავარი მაინც ის იყო, რომ ოსმალეთი თანდათან სუსტდებოდა და ფართო დაპყრობით ომებს მისთვის წარმატება აღარ მოქქონდა.

1730 წელს თურქებმა აფხაზეთისა და ჯიქეთის წინააღმდეგ დიდი ლაშქრობა წამოიწყეს. ოსმალთა ჯარი ფოთის ფაშას სარდლობით სამეგრელოსა და აფხაზეთში შეიჭრა. მათ გადაწვეს ილორის განთქმული ეკლესია. აფხაზები ბრძოლით დახვდნენ, მაგრამ დამარცხდნენ და დამორჩილდნენ. თავდაპირველად იმერეთის მეფე, როგორც ოსმალთა ვასალი, მათ ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ შუა გზიდან ჩამოშორდა და იმერეთში დაბრუნდა. საბოლოოდ თურქთა ეს ლაშქრობა წარუმატებლად დამთავრდა.

1732 წელს ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ გამოიღნენ სამეგრელოს მთავარი ოტია დადიანი, რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძე, მაგრამ მეფემ ისინი დაამარცხა. კონფლიქტში თურქებიც ჩაერიენენ და მეფეს ამბოხებულთა დასჯის საშუალება არ მისცეს. ამის შემდეგაც არაერთხელ მოხდა იმერეთის ძლიერი ფეოდალების გამოსვლა ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ, რამდენჯერმე მისი გადაყენებაც შეძლეს, მაგრამ საბოლოოდ ალექსანდრე V-მ იმერეთის ტახტი სიკვდილამდე (1752 წ.) მაინც შეინარჩუნა.

1735-1739 წლებში შავ ზღვაზე გასასელელის მოსაპოვებლად რუსეთი ეომებოდა თურქეთს. ეს ომი რუსეთისთვის უშედეგოდ დამთავრდა. მისი მსელელო-

ბის დროს ალექსანდრე V-მ პეტერბურგში თაეისი ელჩობა მიაელინა ქუთათელი მიტროპოლიტის ტიმოთე გაბაშეილის მეთაურობით. იმერეთის მეფე ვარაუდობდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი, კერძოდ, იმპერატორი ანა იოანეს ასული, დაინტერესდებოდა იმერეთის წინადადებით, გაბედავდა სამსეფო ძალას და იმერეთის სამეფოს თაეის მფარველობაში აიღებდა. ალბათ, ეს ნიშნავია, რომ მეფე ალექსანდრე რუსეთის იმპერატორს უგზავნიდა იმერეთის რუკასაც და ამით უსაბუთებდა იმ დიდ სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას, რაც იმერეთის სამეფოს უნდა ჰქონოდა რუსეთისათვის ოსმალეთის წინააღმდეგ ომის მსელელობის დროს და, საერთოდ, შავ ზღვაზე გასასელელის მოპოვებისათვის. რუსეთის საიმპერატორო კარი სათანადო ინტერესით ვერ შეხვდა ამ შემოთავაზებას და ტიმოთე გაბაშვილის მისია უშედეგოდ დამთავრდა.

ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება ურთიერთობა რუსეთთან

ჯერ კიდევ ათანასე თბილელის ელჩობის დროს (1752 წ.) ქართლ-კახეთის მეფეები რუსეთს უთვალისწინებდნენ, რომ ირანში ჩამოყალიბებული შიდაარეულობით ესარგებლა და საქართველოზე დაყრდნობით აქტიურად გამოსულიყო წინააზიის ასპარეზზე. ქართველი პოლიტიკოსები შორს მიმავალ გეგმებს უკავშირებდნენ რუსეთის ჩარევას კავკასიისა და ირანის საქმეებში. მათი ვარაუდით, რუსეთი შეეცდებოდა საქართველოს „გამოსხსნის“ და აღდგენის“, ე. ი. საქართველოს გათაეისუფლებას მაჰმადიანთა ბატონობისაგან და მის კვლავ ძლიერ სახელმწიფოდ აღდგენას. ეს მელთანაც მოკავშირეობით და რომელზედაც დაყრდნობით რუსეთი წარმატებით განახორციელებდა თაეის წინააზიურ პოლიტიკას. როგორც ცნობილია, მაშინ ეს გეგმა ვერ განხორციელდა. ამჯერად კი შექმნილი ვითარება უფრო ხელსაყრელი იყო, ამიტომ მეფე მამა-შვილის თათბირზე გადაწყდა, რომ რუსეთში გაემგზავრებოდა თვითონ თეიმურაზ II და პეტერბურგს გარკვეულ სათხოვარსა და გაბედულ გეგმას წარუდგენდა. საქართველოს ჯარის რეორგანიზაციისათვის ანდა დასაქირაეებლად ფული უნდა მიეღო სესხად. ამ გზით ქართლ-კახეთში ლეკიანობას ალაგმაედნენ, აგრეთვე საგანგებო ლაშქრით ირანში შეეიდოდნენ, იქ სპარსელი დიდებულების ყრილობას მოიწვეედნენ და ირანის შაპად რუსეთისათვის სასურველ პირს აარჩეეინებდნენ. ამ გეგმის განხორციელება ქართველებს ირანის ბატონობისგან თაეის დაღწეეის საშუალებას მისცემდა. ამავე დროს, ქვეყანა მოისვენებდა იმერკაკასიელი მთიელების გამუდმებული თავდასხმებისაგან.

1760 წლის აპრილში მეფე თეიმურაზ II მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთისაკენ გაემგზავრა. სამწუხაროდ, რუსეთი სასურველ ინტერესს ვერ შეხვდა ამ წინადადებებს. იგი ეომებოდა პრუსიას და ოსმალეთის გაღიზიანებას ერიდებოდა. ამას ღალატი ისიც, რომ 1761 წლის ბოლოს გარდაიცვალა იმპერატორი ელისაბედ პეტრეს ასული და რუსეთის ტახტი დაიკავა თაეისი უცნაურობით ცნობილმა პეტრე III-მ. 1762 წლის 8 იანვარს პეტერბურგში გარდაიცვალა მეფე თეიმურაზ II. მისმა ამალის წევრებმა იგი წამოასვენეს და დაკრძალეს ასტრახანს, მიძინების ტაძარში, მეფე ეასტანგ VI-ის საფლავის გვერდით.

ამასობაში კი ერეკლე II-ს დიდი წარმატებები მოეპოვებინა. ამან ასალი ძლიერი დამარტყება აგვება ყარაბაღის მფლობელ ფანა-ხანს და გასჯამდეც თავისი მფლობელობა განმტკიცა. ასევე ერეკლეს უზენაესობა საჯარიოდ აღიარეს შაქის, შამახიის, ყარაბაღისა და ნახიჭევანის მფლობელებმა. სომხეთიც ესიტყვეოდ ემორჩილებოდა ქართველ მეფეს. ერეკლემ ბევრი იგვლო ირანის შაჰის ერთ-ერთი პრეტენდენტი და მისი ძველი მოწინააღმდეგე აზად-ხანი.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II

პეტერბურგიდან თეიმურაზ II-ის გარდაცვალების ცნობის მიღებისთანავე, ერეკლემ თავი ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფედ გამოაცხადა. ირანის იმდროინდელ მბრძანებელს ქერიმ-ხანს (მან თავისი ძვირფასი ბევრი, ირანის გასაგზე ქერიმ-ხანის მეგობარ აზად-ხანი მხარშეკრული გაუგზავნა და ამით დიდი პოლიტიკური სარგებელი მოიპოვა: მაღლიერმა ქერიმ-ხანმა ხელი ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება, აღიარა ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე და ამით დაადასტურა საქართველოს მეფის უპირატესობა აღმოსავლეთ ამერკავკასიაში. ისახებოდა ძლიერი საქართველოს აღდგენის პერსპექტივა.

ერეკლეს ხელის უფლების ასეთი გაძლიერება მოსეენებას უკარგავდა ქართლის რეაქციონერ თავადებს. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ერეკლეს შემდგომი წარმატებანი მათი თვითნებობის სრულ აღკვეთას გამოიწვევდა. რადგან საგარეო ძალის იმედი აღარ ჰქონდათ, მათ შეთქმულების მოწყობა სცადეს და ქართლის ტახტზე ეახტანგ VI-ის უკანონო შვილის პაატა ბაგინიშვილის აყვანა განიზრახეს. შეთქმულება, რომელშიც ქართლის თავადთა დიდი ჯგუფი იყო ჩარეული, 1765 წლის ბოლოს გამომჟღავნდა.

შეთქმულთა გასამართლება დეკემბერში მოეწყო. ერეკლეს კარგად ესმოდა ამ საქმის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ამიტომ განაჩენი შეთქმულთა მიმართ თვითონ კი არ გამოიტანა, არამედ დარბაზის საჯარო სხდომას გამოაგანინა. შეთქმულების მონაწილენი მკაცრად დასაჯეს: პაატა ბაგინიშვილი, დავით აბდულა-ბეგის ძე და ელიზბარ თაქთაქიშვილი სიკვდილით დასაჯეს, დანარჩენებს სხვადასხვა სასჯელი დაედოთ. მათ შორის სრულიად ასალგაზრდა ალექსანდრე ამილახვარს „ნასაღი უყვეს" - ცხვირი მოაჭრეს და ფეხის ძარღვი გადაუჭრეს, ამით იგი სამუდამოდ დამახინჯდა და ასევე სამუდამოდ ერეკლე II-ის მტრად იქცა.

ქართლის თავადებს ამის შემდეგ ერეკლეს მიმართ ტერორი აღარ უცდიათ, მაგრამ ბრძოლაზე ხელი მაინც არ აუღიათ და ხელსაყრელ დროს უცდიდნენ.

იმერეთის მეფე სოლომონ I

1752 წელს გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე V და იმერეთის ტახტზე ავიდა სრულიად ახალგაზრდა, 17 წლის სოლომონ I. სოლომონმა თავისი მოღვაწეობა თავადების თვითნებობისა და ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო და ამით იმერეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა მოიპოვა. ყმაწვილი მეფის წინააღმდეგ უძლიერესმა თავადებმა აბაშიძეებისა და რაჭის ერისთავის მეთაურობით არაერთი გამოსელა მოაწყვეს. მათ შეთქმულებაში თვით მეფის დედაც კი ჩაითრიეს, მაგრამ სოლომონმა გაბედული მოქმედებით მოწინააღმდეგეები დაამარცხა და თავისი მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლა კიდევ უფრო მეტი ენერგიით წარმართა. მან თავის გარშემო შემოიკრიბა წერილი თავადები, მოსერხებულად შემოირიგა სამეგრელო-გურიის მთავრები და ამით ძლიერი მომხრეები ჩამოაცილა თავის შეურიგებელ მტრებს-რაჭის ერისთავსა და ლევან აბაშიძეს. ყოველივე ამან იმერეთის მეფის ხელისუფლება შესამჩნევად გააძლიერა.

იმერეთის მეფის გაძლიერება და განსაკუთრებით იმერეთიდან ტყვეების გაყვანის აკრძალვა არაფრად არ მოსწონდა ოსმალეთის სულთანს. მისი ბრძანებით ახალციხის ფაშამ არაერთხელ მიმართა სოლომონს, რათა ტყვის სყიდვა იმერეთში ძველებურად ნებადართული ყოფილიყო. სოლომონმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საშზადისს შეუდგა. მეფეს მხარში ამოუდგა მისი ცოლისძმა კაცია დადიანი და მამია გურიელი. მის დასახმარებლად მოვიდა სამურზაყანოელი მთავარი ხუტუნია შარვაშიძეც.

ოსმალეთის ჯარი ოკრიბაში, ხრესილის მინდორზე იყო დაბანაკებული. მტრის ბანაკში გამოცხადდა სამშობლოს მოღალატე ლევან აბაშიძე და რაჭის ერისთავის ჯარი, მაგრამ მეფის მხარეზე იმერეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი იდგა, განსაკუთრებით გლეხობა. 1757 წლის 14 დეკემბერს, გამთენიისას, სოლომონ მეფის სარდლობით იმერეთის ჯარი თავს დაესხა ოსმალთა ბანაკს. მტერი გაფრთხილებული იყო და მოელოდა ქართველთა თავდასხმას, ამიტომ თავდაპირველად მან ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია და ხელთ იგდო იმერეთის სამეფო დროშაც კი. მაგრამ ახალგაზრდა (22 წლის) სოლომონმა დიდი სიმამაცე და სარდლური ნიჭი გამოამჟღავნა. მან ორთაბრძოლაში ხმლით მოკლა ოსმალთა სარდალი და გაბედულად შეუტია შემკრთალ მტერს. ოსმალეთის მხარეზე მყოფი მოღალატე თავადების ჯარის ნაწილი მეფის მხარეზე გადმოვიდა. თვითონ ლევან აბაშიძე ბრძოლაში დაიღუპა. გურიის ლაშქარმა მტრის რიგები გაარღვია და იმერეთის სამეფო დროშა გამოიხსნა. დამარცხებულმა მტერმა გაქცევით უშველა თავს. მეფის ორგული თავადებიც თურქეთში გაიქცნენ. ბრძოლაში გმირული სიკვდილით დაეცა ხუტუნია შარვაშიძე, რომელმაც ხმლით 16 თურქი აკაფა.

ხრესილის ბრძოლაში გამარჯვებამ შესამჩნევად გააძლიერა სოლომონ მეფე. აბაშიძეების სათავადო დამცრობილ და დამორჩილებულ იქნა. მტრის მსა-

ალექსანდრე მეფე სოლომონ I

რეზე შებრძოლ და დაგუეებულ გელეანს ლეანის ძე აბაშიძეს თავლები დათხარეს, ასევე მამულები და ციხეები ჩამოართვეს სხვა დამნაშაეე თავადებსაც. ამჯერად დაუსჯელი გადარჩა როსტომ რაჭის ერისთავი. როგორც ჩანს, სოლომონ მეფეს ჯერ კიდევ არ ქქონდა საიმისო ძალა, რომ ეს უძლიერესი ფეოდალიც დაემორჩილებინა. მაგრამ მომაელისთვის მის ურჩობას მეფე უკვე ეეღარ მოითმენდა. მართლაც, უფრო გვიან, 10 წლის შემდეგ, როცა ხელსაყრელი პირობები შეექმნა, მეფემ სასტიკად დასაჯა ეს ქვეყნისა და მეფის მოღალატე უძლიერესი თავადი.

სოლომონ მეფე ითვალისწინებდა, რომ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ძალების გაერთიანება აუცილებელი იყო. 1758 წელს იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებმა ერთმანეთთან დადეს საიმხედრო კავშირი: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოეიდეს, ერთმანეთის მოეეშველებოთ“. ეს კავშირი მნიშვნელოვან ხად აძლიერებდა როგორც იმერეთის, ისე ქართლ-კახეთის მეფეებსაც.

1759 წლის დეკემბერში მოიწვიეს საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ძალდაემთავრები, ისე გაელენიანი საერო ფეოდალები. გარდა საეკლესიო საკითხების განხილვისა, მიიღეს დადგენილება ტყვის ყიდვის აკრძალვისა და სხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შესახებ. ამ საქმეების ინიციატორი და ხელმძღვანელი სოლომონ მეფე იყო.

XVIII ს-ის 60-იან წლებში ოსმალებმა არაერთხელ შემოუტიეს იმერეთს, მაგრამ სოლომონმა რამდენიმე სერიოზული მარცხი აგება მომხდურებს. ბოლოს იმერეთის მეფემ აიძულა მტერი ქვეყნის არა თუ საბოლოო დაპყრობაზე, არამედ ეასალური დამოკიდებულების მოთხოვნაზეც კი ხელი აეღო და იმერეთი მხოლოდ ოსმალეთის მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ ეღიარებინა. ეს პირობა 1767 წლის ხელშეკრულებით გაფორმდა. ამ ზავის დადებამ სოლომონს გაუადვილა საშინაო საკითხების გადაწყეეტა. მალე მან საბოლოოდ დაამარცხა მისი ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას-ძე, რომელიც იმერეთის ტახტს ეცილებოდა. აღსანიშნავია, რომ ამ ბედისმაძიებელს მსარეში კაცია დადიანი, გიორგი გურიელი, აგრეთვე, როსტომ რაჭის ერისთავი და სხვა რეაქციონერი თავადები ამოუდგნენ. 1768 წელს ცხრაწყაროსთან ბრძოლაში სოლომონმა დაამარცხა მოღალატენი, თეიმურაზი დაატყეევა და მუხურის ციხეში გამოკეტა, საიდანაც იგი ცოცხალი აღარ გამოსულა.

ამ მარცხის შემდეგ როსტომ რაჭის ერისთავიც მეფესთან შერიგების გზნებაზე დადგა, მაგრამ სოლომონმა იგი მის შვილებთან ერთად შეიპყრო და თვალები დათხარა. რაჭის საერისთაოს დიდი ნაწილი სასასოდ გამოაცხადა, დანარჩენი კი ერთგულ ქვეშეერდომებს დაურიგა. რაჭის საერისთაოს გაუქმე-

ბამ კიდევ უფრო განამტკიცა იმერეთ ›ს სამეფოს შინაგანი მთლიანობა.

თურქეთთან ურთიერთობაში საბოლოო წარმატების მოსაპოვებლად სოლომონ I აუცილებლად თვლიდა რუსეთთან დაკავშირებას და ამ უკანასკნელის ინტერესების გამოყენებას ოსმალეთის კავკასიიდან საბოლოოდ გასალევნად. 1768 წელს სოლომონმა რუსეთში ელჩად მიავლინა მაქსიმე ქუთათელი და რუსეთის იმპერატორს მფარველობა სთხოვა, სამაგიეროდ, იგი რუსეთს ოსმალეთთან ომის შემთხვევაში დახმარებას აღუთქვამდა.

რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო

1768 წლის სექტემბერში თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ომის მსვლელობაში რუსეთის საიმპერატორო კარი გეგმაოდა ოსმალეთის მონობაში მყოფი ქრისტიანი ხალხების აჯანყებასა და ბრძოლაში ჩაბმას. გასაგებია, რუსეთის მთავრობა დიდი კმაყოფილებით შეხვდებოდა იმერეთის მეფის წინადადებას. 1769 წლის 27 მარტს ეკატერინე II-მ გამოსცა ბრძანება საქართველოში ჯარის გამოგზავნის მომზადების შესახებ. გადაწყვეტილი იყო, რუსეთის სამხედრო ნაწილებთან ერთად გამოეყენებინათ ქართველ მეფეთა ჯარებიც. თუმცა კავკასიაში ფართო საომარ მოქმედებას საიმპერატორო კარი არ გეგმავდა. აქ ძირითადად დიფერსიული ხასიათის ბრძოლები უნდა ყოფილიყო, რათა ამით გაეადვილებინათ რუსეთის ჯარების საომარი მოქმედება ომის მსვლელობის მთავარ ასპარეზზე - ყირიმსა და ჩრდილოდასავლეთ შავიზღვისპირეთში.

საქართველოში გამოსაგზავნ საექსპედიციო ჯარში საგანგებოდ ჩართეს რამდენიმე ქართული წარმოშობის ოფიცერი. მაგალითად, არტილერიის უფროსად დაინიშნა პოდპოლკოვნიკი თავადი ჩოლოყაშვილი, საგანგებო რწმუნებულად - თავადი ანტონ მოურავოვი (თარსან-მოურავი). საქართველოში გამოიგზავნა, აგრეთვე, სამხედრო საქმისა და ენების კარგი მცოდნე მაიორი რატიევი (რატიშვილი) და სხვ. საექსპედიციო ჯარის მეთაურად დაინიშნა გენერალი ტოტლებენი.

ტოტლებენი წარმოშობით გერმანელი იყო, რომელსაც აქამდე თავი უკვე გამოეჩინა როგორც ავანტურისტსა და არაერთი საძრახისი საქმის ჩამდენს. მაგალითად, იგი, პრუსიის წანააღმდეგ ომში, რუსეთის ჯარების მიერ 1760 წელს ბერლინის აღებაშიც მონაწილეობდა, მაგრამ 1762 წელს სამხედრო სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილებით სიკვდილი მიესაჯა, რადგან გაირკვა, რომ პრუსიის მხარეს საიდუმლო ცნობებს აწვდიდა. იგი სიკვდილს გადაურჩა ახალი იმპერატორის ეკატერინე II-ის ტასტგე ასელის გამო. მას მხოლოდ ჩინები აპყარეს და რუსეთიდან გააძევეს. მაგრამ მალე ტოტლებენმა თავი შეაცოდა იმპერატორს და 1769 წელს რუსეთში დაბრუნების უფლება მიიღო. ეკატერინე II-მ სწორედ იგი დანიშნა საქართველოში გამოსაგზავნი ჯარის სარდლად და მოქმედების სპეციალური დავალება მიეცა.

საქართველოში შემოსულ ტოტლებენს სოფ. სტეფანწმინდასთან საგეიმოდ შეხვდა მეფე ერეკლე II მრავალრიცხოვანი ამალით. აქედან ტოტლებენი

ერეკლე II

ომერეთში გადავიდა, მაგრამ მალე უკან გამობრუნდა და ერეკლესთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ახალციხის მიმართულებით შეტევისთვის მზადება დაიწყო. ერეკლე თანხმდებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე, თუ რუსის ჯარი მსოფლიოდან გაიწვევებოდა და თურქებისაგან გათავისუფლებულ მესხეთის გერიგორიას მას გადასცემდნენ. რუსეთის მთავრობას ამის საწინააღმდეგო სურვილი არ გამოუთქვამს, პირიქით, უკვე 1770 წლის თებერვალში საქართველოში რუსეთის ჯარის ახალი კონტინგენტი გადმოვიდა. [illegible] ბრძოლებების განკარგულებაში მყოფი ჯარის რაოდენობა 1200 კაცს აღემატებოდა. ამას გარდა, საქართველოსკენ მოემართებოდა [illegible] კის 2000-კაციანი [illegible] ლკი, დამატებითი [illegible] ტილერია და [illegible] ხეა შენაერთები.

ახალ[illegible]ახის მიმართულებით რუს-ქა[illegible] ველთა ერთობლივი [illegible] ბა 1770 წლის გაზაფხულზე დაიწყო, მაგრამ აქ ტოტლებენს მერყეობა დაეტყო. იგი არ ეთანხმებოდა ერეკლეს, რომ პირდაპირ ახალციხეზე შეეტიათ. სადგერის ცისხეში, ერეკლეს წინააღმდეგობის მიუხედავად, ტოტლებენმ[illegible] [illegible] ძლის ნახევარი დატოვა. 17 ა[illegible]ილს [illegible]ეს-ქა[illegible]ველთა ჯა[illegible] ცისხეს მიადგა. აქ ტოტლებენსა და ერეკლეს შორის აშკარა უთანხმოებამ იჩინა თავი. ერეკლე უშუალოდ ახალციხეზე გალაშქრებას მოითხოვდა, რადგან აწყურის ძნელად მისადგომი ცისხის მცირერიცხოვანი გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლა დიდ დროისა და ძალის დაკარგვას გამოიწვევდა, ახალციხეზე პირდაპირი გალაშქრებით კი აწყურის საკითხი თავისთავად გადაწყდებოდა. ტოტლებენმა მაინც დაიწყო აწყურის ცისის წინააღმდეგ მოქმედება. ორი დღის უშუ[illegible] [illegible] შ[illegible]დეგ იგი ცისხეს მოეხსნა და თავისი ჯარით უკან გაბრუნდა. გენერლის ასეთმა მოქმედებამ ქართველთა ჯარში შეშფოთება და არეულობა გამოიწვია. გაშსნევებული მტერი ციხიდან შეტევაზე გადმოვიდა. ერეკლემ ენერგიული ღონისძიებით ჯარში დისციპლინა აღადგინა, სოლო გათამამებული მტერი კონტრშეტევით დაამარცხა და ისევ ციხეში შერეკა. აწყურიდან ქართველთა მეფემ წინსვლა განაგრძო ასპინძის მიმართულებით.

ახალციხის ფაშამ, ქართველთა ჯარისთვის გზის გადაჭრის მიზნით, ახალქალაქის[illegible] და ხერთვისის ციხეებიდან 1500 კაცი გამოიყვანა. მტრის ეს ჯარიც ერეკლემ ერთი დაკვრით დაამარცხა და უკუაქცია. მალე ასპინძასთან თურქ-ოსმალთა ძ[illegible]რიოადი ძალა გამოჩნდა. მტრის 8000-იანი კორპუსის დიდმა ნაწილმა, რომლის შემადგენლობაშიც თურქ-ოსმალებს გარდა მათი მოკავშირე ლეკებიც იყვნენ, მდ. მტკვარი გადმოლახა. ერეკლემ უკან დაიხია და მტერს მტკვარზე გადმოსვლა აცალა. ღამით, მისი დავალებით, აღაბა ერისთავმა, სვიმონ მუსრანბატონმა და სუღია ბორჩალოელმა მალულად აპყარეს ხიდი მტკვარზე. ამით თურქები მოსწყდნენ თავიანთ რეზერვებს და უკან დასახევი გზაც მოეჭრათ.

20 აპრილს ქართველები ერეკლეს სარდლობით მტრის პირისპირ საბრძოლო წყობით განლაგდნენ. ბრძოლა ქართველთა იერიშით დაიწყო. მტერმა ვერ გაუძლო ქართველ მსდარ-თა გააფთრებულ შეტევას და უწესრიგოდ იწყო უკან დასვლა. თვითონ ერეკლე მეფე ქართველთა ლაშქარს გმირობისა და თავდადების მაგალითს უჩვენებდა. ბრძოლის მონაწილეთა ძოწმობით, ერეკლეს თავისი ხელით მოუკლავს ლეკთა სასელგანთქმული მეთაური კოხტა-ბელადი (მალაჩალა). ბრძოლაშივე მოკლეს თურქ-ოსმალთა კორპუსის მთავარსარდალი და თითქმის ყველა მეთაური. პანიკით მოცული მტერი სიდისკენ გაიქცა, მაგრამ რადგანაც სიდი აყრილი იყო, ბევრი ადიდებულ მტკვარში ჩაისრჩო, მტერმა ბრძოლის ველზე 4000 მოკლული დატოვა, გაქცეულთაგან ასალციხეს მსოლოდ 13 კაცმა მიაღწია. ქართველებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ათეული ტყვე, მრავალი დროშა, ცხენი და დიდძალი იარაღი. ქართველთა ზარალი ფრიად უმნიშვნელო იყო.

ამ ბრწყინვალე გამარჯვებით ერეკლემ სათანადოდ ვერ ისარგებლა, რადგან ტოტლებენის გაუგონარი მოქმედების გამო იძულებული შეიქნა, სასწრაფოდ თბილისში დაბრუნებულიყო. აკანტურისტი გენერალი ერეკლეს წინააღმდეგ ქართველ თავადებს ამხედრებდა და ინტრიგების ქსელს ხლართავდა. იგი ციხეების დაკავებასა და ხალხის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ძალით დაფიცებასაც კი შესდგომოდა. ერეკლემ ენერგიული საპასუხო ზომებით აიძულა ტოტლებენი, ამ განზრახვაზე ხელი აეღო. 1770 წლის ივნისში, რუსეთიდან დამსმარე ძალის მოსელის შემდეგ, ტოტლებენი იმერეთში გადავიდა.

ამასობაში კი სოლომონმა კარგად ისარგებლა ასპინძასთან ერეკლეს მიერ ასალციხის ფაშას დამარცსებით და თურქებისგან ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები გაათავისუფლა, ასევე დაიკავა ქალაქი ქუთაისი და მის ციხეს ალყა შემოარტყა. ტოტლებენის იმერეთში გადასვლის შემდეგ იმერეთის მეფე, რუსეთის ჯართან ერთად, ბაღდათის ციხეს შემოადგა და აიძულა დანებებულიყო. ასევე განდევნეს ოსმალები ქუთაისის ციხიდანაც. 1770 წლის ოქტომბერში ტოტლებენმა რუსეთის ჯარით ფოთის ციხეს შემოარტყა ალყა, მაგრამ, ხანგრძლივი ალყის მიუხედავად, ვერ აიღო. ტოტლებენმა იმერეთშიც მეფის მოწინააღმდეგე მთავრებთან გაბა კავშირი. ამან გაამწვავა მისი ურთიერთობა სოლომონთან. მალე რუსეთის საიმპერატორო კარი დარწმუნდა, რომ საქართველოში ტოტლებენი „რუსეთს უფრო სირცხვილს უსვეჭდა, ვიდრე სახელს“ და იგი საქართველოდან გაიწვია. მის მაგივრად გამოიგზავნა გენერალი სუხოტინი, მაგრამ ვერც ეს რუსი გენერალი შეეწყო საქართველოს მეფეებს. მას საქართველოს ინტერესები არაფრად მიაჩნდა, რაც მთავარია, აღგილობრივ პირობებს სათანადოდ არ იცნობდა, მაგრამ არც ქართველებს უჯერებდა რამეს. ამის გამო იყო, რომ იგი ფოთთან ბრძოლაში დამარცხდა და დიდი ზარალიც ნახა. ასეთი წარუმატებლობის შემდეგ რუსეთმა გადაწყვიტა, საქართველოდან ჯარი გაეყვანა. 1772 წლის მაისში რუსეთის ჯარმა საქართველოს საზღვრები დატოვა. ამით ისარგებლეს თურქებმა, გურიას ქობულეთის მხარე მოსტაცეს და ტრაპიზონის ვილაიეთს შეუერთეს.

საქართველოში რუსთა ჯარის ყოფნამ ერეკლეს იმედები გაუცრუა და ვერაფერი სარგებლობა ვერ აიუტანა. ამის მიუხედავად ერეკლემ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა, მიემართა საიმპერატორო კარისათვის თხოვნით, რათა ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის თავის მფარველობაში მიეღო. საქართველოდან გაიგზავნა ელჩობა ლევან ბატონიშვილისა და კათალიკოს ანტონ I-ის მეთაურობით. საქართველოდან იგზავნებოდა სავარაუდო ხელშეკრულების პირობები, რომლის ძირითადი შინაარსი შემდეგი იყო: ქართლ-კახეთის სამეფო შედიოდა რუსეთის მფარველობაში; რუსეთს საქართველოში უნდა გამოეგზავნა ოთხათასიანი „განსწავლული ჯარი", რომლის სარდალიც საქართველოს მეფის რჩევით იმოქმედებდა; საქართველოს სამეფო ტახტზე აუცილებლად ერეკლეს შთამომავალი უნდა დარჩენილიყო, ხოლო საქართველოს ეკლესიის საათავეში ყოველთვის ქართველი კათალიკოსი იდგებოდა; მეფე უშალად დასმარებასაც ითხოვდა სესხის სახით, რაც აღგილობრივი ჯარის შესანახად იყო საჭირო. საქართველი ში აღმოჩენილი მაღნების შემოსავლის ნახევარს საიმპერატორო საგინას აღუთქვამდა, ასევე, რუსეთის სასარგებლოდ, ქართლ-კახეთის მოს ახლეობაზე კომლობრივი გადასახადის (14 შაურის რაოდენობით) შემოღებას კისრულობდა. ერეკლე რუსეთის იმპერატორს თავისი ქვეყნის მფარველობაში მიღების სამაგიეროდ ბევრ სხვა სარგებელსაც აღუთქვამდა. ამავე დროს საქართველოს მეფე მოუწოდებდა რუსეთს მესხეთის ქვეყნის თურქთაგან გათავისუფლებას, „ეინაიდგან საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანელნი არიან მათში და სხუანიც ახალნი გარდაქცეულნი არიან მაპმადიანობაზედ".

ელჩობა რუსეთში 1772 წლის იანვარში გაემგზავრა, მაგრამ რუსეთის პოლიტიკოსთა მთავარი საზრუნავი ამ დროს უკვე ოსმალეთთან ბრძოლა იყო, ამიტომ ერეკლეს ელჩობას საიმპერატორო კარი სათანადო ყურადღებით არ შესვდა. ამჯერად რუსეთ-საქართველოს შორის მფარველობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

1774 წელს რუსეთ-თურქეთის ომი დამთავრდა და ქუჩუკ-კაინარჯის ბავი დაიდო. ბავის პირობებში საქართველოს საკითხიც იყო გათვალისწინებული, კერძოდ, 23-ე მუხლი შემდეგი შინაარსისა იყო: ოსმალეთს აღარ უნდა მოეთხოვა იმერეთიდან ტყვე აღამიანები ან სხვა სახის სარკი; დასავლეთ საქართველო კვლავ თურქეთის ქვეშევრდომად რჩებოდა, მაგრამ სულტნის კარი ვალდებულებას იღებდა, არ შეეიწროვებინა საქართველოში სარწმუნოება და არ დაესაჯა ქართველები მის წინააღმდეგ ომში მონაწილეობისათვის.

იმერეთის ციხეების შესახებ კი შემდეგი იყო აღნიშნული: „... ბაღდადის, ქუთაისის და შორაპნის ციხეები, რომლებიც რუსეთის იარაღით იქნა დაპყრობილი, ცნობილი იქნეს იმის საკუთრებად, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდა". რადგანაც ცნობილი იყო, რომ ეს ციხეები უძველესი დროიდან საქართველოს ეკუთვნოდა, ამიტომ ყოველთვის, თუ ამის პირობები შეიქმნებოდა, შეიძლებოდა საქართველოს სასარგებლოდ გადაეწყვიტათ ეს საკითხი.

1. მორიგე ჯარი. რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნისას, ქართველები გაეცნენ „განსწავლული ჯარის“ თვისებებს და დარწმუნდნენ ფეოდალურ ლაშქართან შედარებით რეგულარული სამხედრო ძალის უპირატესობაში. გადაწყდა, საქართველოში შემოღებულ ახალი ტიპის ჯარი, რომელიც ფეოდალური ლაშქრისაგან განსხვავებული იქნებოდა. 1773 წელს სამეფო დარბაზმა მიიღო **„მორიგე ჯარის განჩინება“**, რომელიც უკვე 1774 წელს განსორციელდა. ეს იყო რუსეთის მუდმივი, რეგულარული ჯარის ტიპის სამხედრო ძალის შექმნის ცდა, რომელიც შეფარდებული იქნებოდა ადგილობრივ პირობებთან. რადგანაც სამეფო საბინას ასეთი ჯარის შენახვის საშუალება არ ჰქონდა, ლაშქრობის შემძლე ყოველი მამაკაცი მოვალე იყო მორიგე ჯარში სამსახურად გამოსულიყო ყოველ წელს ერთი თვით, თავისი სარჯითა და შეიარაღებით. თუ გლეხს საამისო შეძლება არ გააჩნდა, მის მებატონეს იგი უნდა მოემარაგებინა. მორიგე ჯარში სამსახურიდან არავინ თავისუფლდებოდა. თვით სამეფო სახლის წევრებიც კი ამ სამსახურს აუცილებლად გადიოდნენ. შეიმუშავეს, აგრეთვე, მოლაშქრეთა სამხედრო წრთვნისა და ორგანიზაციის ფორმები. ამ საქმის სულისჩამდგმელი იყო ერეკლეს კაკი ლ ე ვ ა ნ ი , რომლის ხელმძღვანელობითაც მორიგე ჯარმა დიდ წარმატებებს მიაღწია.

1774 წლიდან ყოველ წელს ქართლ-კახეთის სახელმწიფოს 5000 საომრად გამზადებული ჯარისკაცი პყავდა. ამ ლაშქარმა უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის შემდგომი გაძლიერების საქმეში: ქვეყანაში შეწყდა ლეკთა თარეში და შედარებით მშვიდობა დამყარდა, გლეხებმა ციხე-გალავნები დატოვეს და კვლავ მეურნეობას მოჰკიდეს ხელი; ერეკლეს შეეძლო ამიერკავკასიაში უფრო აქტიურ პოლიტიკაზე გადასულიყო, მაგრამ მორიგე ჯარის დამკვიდრებას წინ აღუდგნენ ქართლის თავადები. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ამ ტიპის სამსედრო ძალა მათ წინააღმდეგაც იყო მიმართული. დიდგვაროვანმა თავადებმა ყოველი ღონე ისმარეს, რათა მორიგე ჯარი გაეუქმებინათ. 1781 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ლევან ბატონიშვილი. სხვა ბატონიშვილებს კი ამ საქმის ხელმძღვანელობის ხალისი არ აღმოაჩნდათ. თავადები, მართალია, მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას ვერ ბედავდნენ, მაგრამ ფარული ბოიკოტით თუ მორიგე ჯარის ხელმძღვანელ მოხელეთა მოქრთამვა-მოსყიდვით თანდათანობით თავის მიზანს მაინც მიაღწიეს. მორიგე ჯარში გამოსულთა რიცხვი ყოველწლიურად მცირდებოდა და ბოლოს, სულაც გაქრა. ეს იყო თავადური რეაქციის გამარჯვება და ერეკლე მეფის პოლიტიკის დიდი მარცხი. ყველაფრიდან ჩანდა, რომ არსებული სოციალური სისტემა დიდი მნიშვნელობის პროგრესული გარდაქმნების საშუალებას ვერ იძლეოდა.

2. სამეურნეო-ეკონომიკური ღონისძიებანი. ერეკლე II დიდ ყურადღებას აქცევდა სამეურნეო-ეკონომიკურ გარდაქმნებს. გარდა იმისა, რომ მეფე დაუღალავად ცდილობდა ქვეყნისთვის მშვიდობა მოეპოვებინა და გლეხისთვის

სოფლის მეურნეობის წარმოების ნორმალური პირობები შეექმნა, იგი გაღამ-ჭრელ ზომებს იღებდა ფეოდალთა მხრიე გლეხთა გაღამეტებული ექსპლოატაციის აღსაკეეთად, ე. ი. „ბატონყმური რიგის“ დასაცავად. იგი პირადად თეთრის, ანდა თავისი მოსამართლე-მდივან-ბეგების მეშვეობით აქტიურად ერეოდა მებატონეთა და ყმა-გლეხთა შორის წარმოშობილ დავაში და ცდილობდა ყოველგვარი უსამართლობის აღკეეთას. მან გამოსცა რიგი კანონებისა, რომლითაც გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდა. ერეკლემ აკრძალა გლეხის ოჯახის დაშლა და მისი წეერების ცალ-ცალკე გაყიდეა. მან გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც უცხოეთის გკეეობიდან თავისი გარჯით დაბრუნებული გლეხი ძველი მებატონის ყმობისაგან თავისუფლდებოდა და ვისაც უნდოდა იმას ეყმობოდა. გლეხის აყრა-გაქცეაზე პასუხისმგებლობას მეფე თეთ მებატონეს აკისრებდა - კარგად მოეპყარი და არ გაგექცეაო. ერეკლე აურთხილებდა მებატონეებს: „ერთი კაცც რომ აიყარის, იცოლეთ, დიდად ავად მოგეპყრობითო.“ აყრილი გლეხი ინტენსიურ მეურნეობას ხელს ეერ მოკიდებდა. მისი ხეედრი ბოგანობა იყო. აღნიშნული კანონების გამოცემით სახელმწიფო იმ მიზანს ისახავდა, რომ გლეხს მეურნეობის წარმოების ხალისი მომაგებოდა. გლეხური მეურნეობა კი ფეოდალური ქვეყნის ეკონომიკის საფუძველი იყო.

მეფე ხელს უწყობდა არა მარტო სოფლის მეურნეობის გამოცოცხლებას, არამედ ქვეყანაში მრეწველობის აღდგენა-განყოთარებასაც. 60-70-იან წლებში ერეკლეს მეცადინეობით აღმოსავლეთ საქართველოში აღდგა სამთამადნო წარმოება. რადგან ქართლ-კახეთში ამ დროს უკვე თითქმის მივიწყებული იყო მადნეულის დამუშავების საქმე, მან ანაგოლიიდან გადმოასახლა რამდენიმე ასეული კომლი ამ საქმის სპეციალისტი ბერძენი, რომლებმაც განაახლეს ვერცხლის საბადოთა დამუშავება ახტალაში და ხელი მიჰყვეს ალავერდის სპილენძის საბადოების დამუშავებასაც. აქ დრო და დრო 700-დან 1000-მდე მუშა მუშაობდა. მალე აქედან მეფის სალაროს ყოველწლიურად 1500 კილოგრამი წმინდა ვერცხლი და საკმაო რაოდენობის სპილენძი შემოსდიოდა.

მეფე ერეკლემ წარმოების სხვაც არაერთი ახალი დარგი შექმნა; გაამჯობესა სამხედრო მრეწველობა, ფულის მოჭრის ტექნიკა, სტამბის საქმე, დიდ ყურადღებას აქცეედა საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითრებას. ვაჭრობა-ხელოსნობის განეითარებამ და წარმოების ახალი დარგების აღმოცენებამ შესაძნეევად გამოაცოცხლა ქალაქო ცხოვრებაც. დიდად გაიზარდა ქალაქი თბილისი, დაწინაურდნენ ქალაქები: გორი, თელავი, ცხინვალი, ახალგორი. წარმოიქმნენ ახალი ქალაქებიც. მაგალითად, „გაქალაქდნენ“ ანანური და დუშეთი, ქალაქი სიღნაღი კი აღმოსავლეთ საქართველოს ვაჭრობა-ხელოსნობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. ერეკლემ მოაწესრიგა ქალაქების მმართველობის, ვაჭარ-ხელოსანთა უფლებრიეი მდგომარეობისა და საკუთრების ფლობის საკითხები, ამით მან საჭირო წესრიგი შეიტანა აღმოსავლეთ საქართველოს საქალაქო ცხოვრებაში.

3. მართვა-გამგეობის მოწესრიგება. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცეე და ერეკლე სახელმწიფო მართვა-გამგეობის მოწესრიგების საქმეს. იგი

ცდილობდა ასალ ყაიდაზე გარდაექმნა დრომოჭმული, დიდგვაროვან ფეოდალთა ნებაზე დამყარებული ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება და ახალი, მტკიცედ ცენტრალიზებული პროგრესული მმართველობის სისტემა შეექმნა. მან გააუქმა ნახევრად დამოუკიდებელი საერისთავო-სახანოები (არაგვისა და ქსნის საერისთავოები, ბორჩალოსა და ბაიდარის სახანოები) და მათ მაგიერად მოხელე-მოურავთა ხელისუფლება განაწესა. ცენტრალურ ხელისუფლებაში მმართველობა გაიყო-საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლისა და სამხედრო საქმეთა დარგებად. მეფე ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად იწვევდა სამეფო საბჭოს სხდომას, რომელიც მეფის უახლოეს "რჩეულ-თანამშრომელთაგან შედგებოდა. სახელმწიფო მოხელეთა დიდი ნაწილი ჯამაგირზე იყო გადაყვანილი. აღსანიშნავია, რომ ერეკლეს მიერ იქნა შემოღებული სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა ევროპული სახელწოდებანი: კაპრალი, ოფიცერი, მაიორი, პოლკოვნიკი, ფელცეხმეისტერი; ასევე კანცლერი, სენატორი, გუბერნატორი და სხვ.

მაგრამ ყველა ეს ღონისძიება ქვეყნის აღდგენა-გაძლიერებისა და პროგრესული განვითარებისათვის მაინც არ იყო საკმაო. ერეკლე კარგად ხედავდა, რომ აუცილებელი იყო უფრო რადიკალური ღონისძიებანი, ქართული თავადური წეს-წყობილების გარდაქმნა მოწინავე „ევროპულ" (ე. ი. ბურჟუაზიულ) ყაიდაზე. სამეფო კარზე საამისო პროექტებიც დგებოდა. ამ პერიოდში საქართველოში ნამყოფი რუსი პოლკოვნიკი ბ ურ ნ ა შ ო ვ ი შენიშნავდა, რომ ერეკლე „ისე არაფრისკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ."

ერეკლემ არაერთხელ მიმართა ევროპის ქვეყნებს კავშირის დასადებად და საჭირო დახმარების მისაღებად, მაგრამ უშედეგოდ. ევროპელი პოლიტიკოსები მის ამ წინადადებებს სათანადო გულისყურით არ ხედებოდნენ. ერეკლე სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ ევროპისკენ (ქვეყნის ევროპული გარდაქმნისკენ) გზა რუსეთზე გადიოდა. რუსეთთან დაკავშირება საქართველოსათვის მით უფრო აუცილებელი იყო, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო პირობები გამოუვალ ჩიხში აყენებდა მის ყველა პროგრესულ წამოწყებას.

იმერეთი რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ

ამასობაში იმერეთი საკმაოდ მოძლიერებულიყო. როგორც დავინახეთ, იმერეთი ხარკს აღარ უხდიდა ოსმალეთს. ამავე დროს, სოლომონმა შეძლო დაემორჩილებინა გურიისა და სამეგრელოს მთავრები, დაეთრგუნა იმერეთის უძლიერესი თავადები, მაგრამ ეს უკანასკნელნი მეფის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს არ იღებდნენ. 1778 წელს სოლომონს აუჯანყდა მისი პატივმოყვარე შვილი ალექსანდრე. სოლომონმა დაამარცხა აჯანყებულები და ალექსანდრეს მომხრეები სასტიკად დასაჯა. რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა ალექსანდრე ბატონიშვილი (1780 წ.) და სოლომონის მემკვიდრეობის საკითხი მწვავედ დადგა.

ოსმალეთი იმერეთის დამორჩილების გეგმაზე ხელს არ იღებდა. მან სცადა შემოეტია აფხაზეთის მხრიდან და აფხაზების დახმარებით იმერეთის ქვეშევრდომი სამეგრელოს სამთავრო დაემორჩილებინა. სოლომონი იმერეთ-გურიის ლაშქრით დაუყოვნებლივ დადიანის დასახმარებლად გამოეცა. ბრძოლა მოხდა 1780 წელს რუხის ციხესთან და სოლომონის ლაშქრის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამის შემდეგ ოსმალეთი იმერეთის აჭარისა და ქვემო გურიის მხრიდან დაემუქრა.

რუხის ციხის ნანგრევები.

აქ მან ციხეების გამაგრება და ჯარის თავმოყრა დაიწყო. სოლომონის ლაშქრობა აჭარაში ოსმალების გასადევნად ამჯერად უშედეგოდ დამთავრდა. სოლომონიცა და ერეკლეც სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ, რომ თავიანთი საგარეო და საშინაო მდგომარეობის გამოსასწორებლად ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდათ. ასეთ ერთადერთ, ერთმორწმუნე მოკავშირედ მხოლოდ რუსეთი ჩანდა.

გეორგიევსკის ტრაქტატი

XVIII საუკუნის 80-იან წლებში მკვეთრად შეიცვალა რუსეთის მმართველი წრეების დამოკიდებულება საქართველოსადმი. მას შემდეგ, რაც რუსეთმა თავისი გავლენა ყირიმზე გაავრცელა და მისი საზღვრები თითქმის კავკასიონის ქედს მიებჯინა, საიმპერატორო კარს აშკარად გაუძლიერდა ინტერესი ამიერკავკასიისადმი. თუკი აქამდე საქართველოს მეფეების თხოვნას კავკასიონის გადმოღმა ქვეყნების საქმეებში აქტიური ჩარევის შესახებ რუსი პოლიტიკოსები მაინცდამაინც დიდის სალისით არ ეკიდებოდნენ, ახლა საწინააღმდეგო მდგომარეობა შეიქნა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურებმა დაიწყეს კავკასიის გზით წინა აზიაში რუსეთის გავლენის გავრცელების გეგმების შედგენა. ამ გეგმებში ქრისტიანულ საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეკავა. აქედან გამომდინარე, ერეკლე მეორის კარზე გაახშირეს სტუმრობა რუსმა მოხელეებმა, ელჩებმა, მოგზაურებმა, რომლებიც ბეჯითად ურჩევდნენ ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთთან კავშირის აღდგენას, იმპერატორისთვის მფარველობის ოფიციალურად თხოვნას. ერეკლე მეორე საქმის ასეთ შემობრუნებას კმაყოფილი შეხვედა.

1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლე მეფემ ოფიციალურად ითხოვა რუსეთის მეფის მფარველობა. ეს ფაქტი რუსეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკისათვის მეტად სასურველი იყო. საიმპერატორო კარმაც არ დააყოვნა საქმით დაემტკიცებინა ერეკლესთვის თავისი კეთილგანწყობილება. რუსეთის სარდლო-

ბის ბრძანებით ყაითალი-სანმა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ლაშქრობა მოშალა, სოლო ალექსანდრე ბაქარის ძე იძულებული გახდა უცხოეთში გაიხვეწილიყო.

საქართველოდან გაგზავნილი „სათხოვარი პუნქტების" მიხედვით, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ქართლ-კახეთის საშეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობები, რუსეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყო ხელშეკრულების ტექსტის მომზადება. 1783 წლის დასაწყისში ხელშეკრულების პროექტზე მუშაობა დამთავრდა და „კავკასიის საშის" სარდალს, გენერალ-პორუჩიკ პაველ პოტიომკინს უფლებამოსილება მიეცა საქართველოს წარმომადგენლებთან ხელშეკრულება გაეფორმებინა. ერეკლე II-ს გამოეგზავნა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც დეტალურად იქნა განხილული სამეფო საბჭოს სხდომაზე და ცალკეული ცვლილებების შეტანის შემდეგ გადაწყდა მისი მიღება.

1783 წლის 18 იელისს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში, წინასწარ შემუშავებული ცერემონიალის მიხედვით, საქართველოს დელეგაცია დიდი ზეიმით მიიღეს. დაიწყო სხდომები ხელშეკრულების მუხლების დაწერილებით განსახილველად. 24 იელისს ტრაქტატს ხელი მოაწერეს საქართველოს მხრიდან-იოანე მუხრან-ბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, სოლო რუსეთის მხრიდან - გენერალ-პორუჩიკმა პაველ სერგის ძე პოტიომკინმა.

ტრაქტატი შედგებოდა შესავლისა, 13 ძირითადი და 4 დამატებითი საიდუმლო (სეპარატული) მუხლისაგან.

ტრაქტატის შესავალ ნაწილში ზოგადად აღნიშნული იყო ის ურთიერთობა, რაც უძველესი დროიდან რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობდა, რომ რუსეთის იმპერია მოწოდებული იყო დაეცვა ერთმორწმუნე საქართველო სხვა ქვეყნების მხრივ ჩაგვრისაგან, რომ საქართველოს დამოკიდებულება რუსეთისადმი ასახული იყო ადრიდანვე რუსეთის ხელმწიფეთა ტიტულატურაში და სხვ. აქ იგულისხმებოდა ის ფაქტი, რომ 1587 წელს კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ მოსკოვის მეფეები და შემდეგ რუსეთის იმპერატორებიც ოფიციალურ ტიტულატურაში თავიანთ თავს „იეერიის ხელმწიფესაც" უწოდებდნენ. ტრაქტატის შესავალში აღნიშნული იყო, რომ იმპერატორმა დიდსულოვნად ინება ქართველების გათავისუფლება „უღლისაგან მონებისა" და იმ დამამცირებელი ვალდებულებებისაგან, „რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყუნეს... ტყუედ მიხდისა ვაჟთა და ქალთასა". ტრაქტატი აცხადებდა, რომ ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე თეიმურაზის ძემ თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერატორს მისი სამეფოსა და სამფლობელოების უზენაესი მფარველობის ქვეშ მიღების შესახებ „უზენაეს ხელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა რუსეთის იმპერატორთა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისა"; იმპერატორმა „ინება აღდგინება და დამტკიცებაი მ ე გ ო ბ რ ო ბ ი თ ი ს ა პ ი რ ო ბ ი ს ა". შესავალშივე დასახელებული იყვნენ ორივე მხრიდან ის წარმომადგენლები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ რწმუნებით ამ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ხელშეკრულების პირველი მუხლით ქართლ-კახეთის მეფე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით მთელი მსოფლიოს წინაშე აცხადებდა, რომ უარყოფდა ირანის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსადმი რაიმე დამოკიდებულებას და ცნობდა მხოლოდ რუსეთის უზენაეს ხელისუფლებას და მფარველობას, აღუთქვამდა რუსეთის საიმპერატორო ტახტს ერთგულებას და რუსეთის სახელმწიფოს შეწევნისათვის ყოველთვის მზადყოფნას, როცა ამას მისგან მოითხოვდნენ.

მეორე მუხლით იმპერატორი ეკატერინე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით პირობას დებდა ყოველთვის მზრუნველობა გამოეჩინა და მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის მეფეებისათვის. ამის ნიშნად იმპერატორი ერეკლეს სამფლობელოს მთლიანად და დაუკლებლად დაცვას ივალებდა. გარდა ამისა, ხელმწიფის ეს თავდებობა გავრცელდებოდა იმ ქვეყნებზედაც, რომელნიც დროთა განმავლობაში საქართველოს შეუერთდებოდნენ.

მესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ახალასული მეფე ამიერიდან რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა სათანადო სიგელითა და ინვესტიტურის ნიშნების გამოგზავნით. ახლად გამეფებულს რუსეთის წარმომადგენლის წინაშე საზეიმოდ უნდა მიეცა ფიცი, რომლის ტექსტიც ტრაქტატს თან ერთვოდა.

მეოთხე მუხლში სათქვამი იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან უცხო სახელმწიფოებთან დამოუკიდებელ დიპლომატიურ ურთიერთობას არ აწარმოებდა. ყოველ ასეთ შემთხვევაში იგი მოვალე იყო რუსეთის საიმპერატორო კარის რეზიდენტს ან კიდევ კავკასიის საზის უფროსს შეთანხმებოდა.

მეხუთე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ორივე მხარეს ერთმანეთის სამეფო კარზე უნდა დაენიშნა თავისი წარმომადგენელი რეზიდენტი ანუ მინისტრი.

მეექვსე მუხლით რუსეთის იმპერატორი თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით საქართველოს მეფეს აღუთქვამდა შემდეგს: 1. ქართლ-კახეთის სამეფოს მცხოვრებნი ჩაითვლებოდნენ რუსეთის იმპერიასთან ძჭიდრო კავშირში მყოფად და მათი მტრები რუსეთის მტრებად გამოცხადდებოდნენ. ოსმალეთთან და ირანთან ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების პირობები გაერცელდებოდა საქართველოზედაც; 2. მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრენი ქართლ-კახეთის ტახტზე უცელელად დაცულნი იქნებოდნენ; 3. ქვეყნის საშინაო მართვა-გამგეობა, სამართლის წარმოება და გადასახადების აკრეფა მთლიანად საქართველოს მეფის უფლებებში რჩებოდა, რუსეთის სამსედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ საქართველოში რაიმე განკარგულების გაცემა.

მეშვიდე მუხლში ერეკლე II თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით დაპირებას იძლეოდა: 1. ყოველთვის მზად ყოფილიყო თავისი ჯარით რუსეთის იმპერიის სამსახურად; 2. ყოველ მნიშვნელოვან საკითხში, რაც რუსეთისადმი სამსახურს შეეხებოდა, შეთანხმებოდა რუსეთის ხელისუფალთ, დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები და დაეცვა რუსეთის ქვეშევრდომები ყოველგვარი განსაცდელისა და შეეიწროებისაგან; 3. ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე დანიშვნისა თუ დაწინაურების დროს გაითვალისწინებდა რუსეთის წინაშე მის დამსახურებასაც.

მერვე მუხლი საქართველოს ეკლესიის საკითხს შეეხებოდა. როგორც ჩანს, ამ საკითხში მსარეები საბოლოოდ ვერ შეთანხმებულან. 1771 წლის 30 დეკემბერს ერეკლეს მიერ რუსეთის საიმპერატორო კარისადმი გაგზავნილ პირობებში აღნიშნული იყო, რომ „კათალიკოზიცა წესსაცვ თვისსა ეგოს მოუშლელად“, ე. ი. საქართველოს კათალიკოსი უნდა დარჩენილიყო თავის უფლებებში სელშეუეალად. ამჯერად კი იგი (თუმცა კი მის გეერდით და მის მაგივრად დასასელებულია საქართველოს არქიეპისკოპოსიც) ჩაყენებულია რუსეთის საეკლესიო იერარქიის რიგში, იგი მერვე ადგილზეა (ტობოლსკის ეპისკოპოსის შემდეგ) დაყენებული და სამუდამოდ მინიჭებული აქვს უწმინდესი სინოდის წევრის ტიტული. საქართველოს ეკლესიის საკითხი უფრო ვრცლად უნდა განმარტებულიყო ცალკე დანართში, მაგრამ ასეთი განმარტება ტრაქტატისთვის აღარ დაურთავთ.

მეცხრე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ქართველ თავად-აზნაურებს რუსეთში ისეთივე პრივილეგიები ექნებოდათ, როგორც რუს თავად-აზნაურებს ჰქონდათ. ერეკლეს რუსეთში უნდა გაეგზავნა ქართველ თავად-აზნაურთა სია.

შემდეგ მუხლებში (მეცხრე, მეათე) დადასტურებული იყო, რომ ქართლისა და კახეთის მცსოვრებთ რუსეთში გადასელის, ასევე საქართველოში დაბრუნების სრული უფლება ჰქონდათ. რუსეთის მთავრობა კისრულობდა თურქეთის, ირანისა და სსვათა ტყეეობიდან გათავისუფლებული ქართეელების სამშობლოში დაბრუნებას იმ პირობით, რომ ანაგზაურებული ყოფილიყო მათი გამოსსნისა და გადმოყვანის სარჯები. საქართველოს მეფე კი თავის მხრივ ეალდებულებას იღებდა ასევე მოპყრობოდა ტყეეობიდან გათავისუფლებულ რუსებს.

მეთერთმეტე მუხლი შეეხებოდა ვაჭრობას. ქართველ ვაჭრებს რუსეთში თავისუფალი აღებ-მიცემობის უფლება ეძლეოდათ და ენიჭებოდათ ყველა ის შეღავათი, რითაც თვითონ რუსი ვაჭრები სარგებლობდნენ. ერეკლე კისრულობდა ვალდებულებას, რომ შეღავათები მიეცა რუსი ვაჭრებისთვისაც.

მეთორმეტე მუხლში გამოცხადებული იყო, რომ ეს ხელშეკრულება დადებული იყო „საუკუნოდ“, მასში რაიმე ცვლილების შეტანა მსოლოდ ურთიერთშეთანსმებით უნდა მომხდარიყო.

მეცამეტე მუხლის მიხედვით სარატიფიკაციო ვადად დაწესებული იყო 6 თვე.

დამატებით სეპარატულ (საიდუმლო) მუხლებში, რომლებიც არ უნდა გამოქვეყნებულიყო, აღნიშნული იყო, რომ ერეკლე სოლომონ იმერთა მეფესთან თანხმობით ყოფნას ივალებდა, ხოლო უთანსმოების შემთხვევაში ის რუსეთის იმპერატორს „მეშუამავლედ“ ცნობდა და საცილობელ საკითხს მის მსჯავრს მიანდობდა; საქართველოში მუდმივ სამყოფად გამოიგზავნებოდა ორი ქვეითი რუსული ბატალიონი 4 ზარბაზნით, ომის შემთხვევაში ამას სხვა ძალაც დაემატებოდა; კავკასიის ხაზის უფროსს ჰქონდა რწმუნება, შეთანხმებულიყო ერეკლე მეორესთან საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის. უკანასკნელი სეპარატული მუხლით რუსეთის მხარე აღუთქვამდა საქართველოს მეფეს, რომ ომისა თუ დაზავების დროს რუსეთის საიმპერატორო კარი ყოველ ღონეს იხმარდა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა

მტრების მიერ მიტაცებული მიწები - ახალციხე და ყარსი სამცხეში, საინგილო აღმოსავლეთ კახეთში.

ამრიგად, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა, როგორც მასზე დამოკიდებული და მის მფარველობაში შესული ქვეყანა. ტრაქტატი ბღუდაევა, მაგრამ არ აუქმებდა ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკურ ქმედითურიანობას. მართალია, მისი სუვერენიტეტი იზღუდებოდა, იგი ეკედლებოდა, ექვემდებარებოდა რუსეთს, მაგრამ არ იყო გაუქმებული მისი სახელმწიფოებრიობა, ე. ი. მაშინდელი საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, საქართველო რჩებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად საკუთარი შინაგანი და საგარეო პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოებით. 1783 წლის ხელშეკრულებით რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის მყარდებოდა მფარველობითი კავშირი პირველისადმი უკანასკნელის დაქვემდებარების პირობით, რომელიც ფორმით ვასალიტეტის ნიშნებს ატარებდა, მაგრამ არსებითად კი იყო ორი არათანაბარი სიძლიერის სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შეთანხმება, რომელიც ორივე მხარის საგარეო-პოლიტიკურ ამოცანებს ემსახურებოდა. ერთერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევა მეორეს უფლებას აძლევდა, უარი ეთქვა ურთიერთობის გაგრძელებაზე, რაც ორივე მხარეს პირვანდელ მდგომარეობაში დააბრუნებდა - ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულებად აქცევდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება საქართველოში დიდი მეიმით აღინიშნა. გრ. პოტიომკინი წერდა იმპერატორ ეკატერინე II-ს: „საქართველოში მყოფმა პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა მაუწყა, რომ გენერალ პ. ს. პოტიომკინთან ხელშეკრულების დადების შემდეგ ქართველ დესპანთა დაბრუნებამ გეორგიევსკის ცისფერიმაგრიდან აუწერელი სიხარული და კმაყოფილება მოუტანა მეფე ერეკლეს, რომ ამ ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ, სალხი კი ლოცავს თქვენს იმპერატორულ უდიდებულესობის მარჯვენას, რომელიც დამტკიცებს, რომ მისთვის სიმშვიდე და კეთილდღეობა მოაქვს“. 1783 წლის 20 აგვისტოს სიონის ტაძარში შეკრებილი ხალხის წინაშე გაიოზ რექტორმა წარმოთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიც შესანიშნავი ორატორული ხელოვნებით დაახასიათა ერეკლეს მოღვაწეობა და მისი პოლიტიკური კურსი. იგი მსმენელებს აუწყებდა, რომ რუსეთთან დაკავშირებით ერეკლემ „დაამტკიცა საუკუნო მშვიდობა და მყუდროება ერისა თვისისა“.

ტრაქტატით გათვალისწინებული რუსთა ჯარი - ორი ბატალიონი 1783 წლის 2 ნოემბერს შემოვიდა თბილისში. საზეიმოდ მორთული საქართველოს დედაქალაქი აღტაცებით შეხვდა საქართველოში რუსთა დამხმარე ჯარის შემოსვლას. ჯარს რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ბურნაშოვი მოუძღოდა. ორი თვის შემდეგ, 1784 წლის 17 იანვარს პოლკოვნიკმა ტამარამ ეკატერინე II-ის მიერ გამოგზავნილი სარატიფიკაციო სიგელი და ერეკლესთვის განკუთვნილი სამეფო ნიშნები ჩამოიტანა. 23 იანვარს ერეკლემ მას აუდიენცია გაუმართა და ეს ნიშნები საზეიმოდ ჩაიბარა. 24



ერეკლე II-ის ხელმოწერა ჯეორჯ ეფსის ტრაქტატის სარატიფიკაციო სიგელზე.

იანვარს ერეკლემ თავის სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა და მეორე დღეს, 25 იანვარს ტრაქტატით გათვალისწინებული ფიცი მიიღო. საყოველთაოსასახლო ზეიმი დიდხანს გაგრძელდა. პოლკოვნიკი ბურნაშოვი აღწერდა თავის უშუალო შთაბეჭდილებებს - „თბილისელი ეაჭრები ქეიფობდნენ, უკრავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ ქალაქის მოედანზე, სადაც დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. ბევრგან მუსიკის ჰანგები იფრქვეოდა, ერთი სიტყვით, ხალხს სურდა სისარული გამოეხატა მის ბედში ასეთი სასურველი ცვლილების გამო".

ტრაქტატის შედეგები

ერეკლე მეორე რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებას შორს მიმავალ გეგმებს უკავშირებდა. ჯერ ერთი, იგი იმედოვნებდა, რომ ძლიერი მფარველის დასაქარებით ქართლ-კახეთში ლეკიანობა საბოლოოდ აღიკვეთებოდა და ქვეყანას სამუალება მიეცემოდა, ფართო აღმშენებლობითი მუშაობა გაეშალა, აგრეთვე, შეიქმნებოდა შესაძლებლობა, მოეშალათ ლეკიანობის ბუდე ჭარ-ბელაქანსა და კაკ-ელისენში და ეს ძირძველი ქ ა რ თ უ ლ ი ტ ე რ ი ტ ო რ ი ა (ს ა ი ნ გ ი ლ ო) კვლავ საქართველოს შემოუერთდებოდა. ასევე, რუსეთ-თურქეთის მომავალ ომში ერეკლეს იმედი ჰქონდა, რომ მ ე ს ხ ე თ ი ს მ ი წ ა - წ ყ ა ლ ს აც დ ა ი ბ რ უ ნ ებ დ ა. რუსეთის მხარდაჭერით განმტკიცდებოდა ერეკლეს მფლობელობა მეზობელ მაჰმადიანურ სახანოებზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, მოვლენები სულ სსვაგვარად განვითარდა. თურქეთის სულთანმა საქართველოს რუსეთთან დაკავშირებაში თავისთვის დიდი საფრთხე დაინახა და მთელი თავისი ძალებით ამოქმედდა. მან კავკასიის მაჰამდიანურ სახანოებს და დაღესტნის მთავრებს მოუწოდა აღმდგარიყვნენ მაჰმადიანობის დასაცავად და ამიერკავკასიაში ქრისტიანული რუსეთის დამკვიდ-

რების წინააღმდეგ ერთობლივად საბრძოლველად. უპირველეს ყოვლისა, მოუწოდა, დაეწყოთ ლაშქრობა ქართლ-კახეთის სამეფოზე. ახალციხის საფაშო ოსმალთა აგრესიის ბაზად იქცა. აქ თავს უყრიდნენ ავაზაკთა ბრბოებს და საქართველოსკენ სათარეშოდ უშვებდნენ. მ ტ რ ი ს მ ა რ ბ ი ე ლ ი ლ ა შ ქ ა რ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ყ ო ვ ე ლ ი მ ხ რ ი დ ა ნ ე ს ხ მ ო ღ ა თ ა ვ ს . რუსეთის მიერ გამოგზავნილი 2 ბატალიონი და ერეკლეს სამხედრო ძალა ამ გამუდმებულ თავდასხმებს ვერ აუღიოდა. ამას დერეფნად 1785 წელს ხუნძახის ბატონის ომარ-ხანის 20000-იანი ლაშქრის შემოსევა, რომელმაც მიწასთან გაასწორა ა ს ტ ა ლ ი ს სამთამადნი წარმოება და ტყვედ წაასხა მადნის მომპოვებელი რამდენიმე ასეული ხელოსანი. ერეკლე იძულებული შეიქნა ომარ-ხანისთვის 10000 მან. გადაეხადა და, ამავე დროს, ყოველწლიური „ჯიმაგირი" - 5000 მან. განეწესებინა.

საქართველოსთვის ამ მძიმე პერიოდში თავი აიშვა საშინაო რეაქციამაც. დიდებული თავადები კარგად ხედავდნენ, რომ ერეკლე მეფე რუსეთთან ურთიერთობას უკავშირებდა ქვეყანაში პროგრესული ცვლილებების გატარებას, რაც, საბოლოო შედეგად, მათი უფლებების შეკვეცით უნდა დამთავრებულიყო. შეშფოთებულ თავადებს თანაუგრძნობდა ერეკლეს მეუღლე, ღ ე დ ო ფ ა ლ ი ღ ა რ ე ჯ ა ნ ი . ეს ერთობ შეზღუდული და ინტრიგების დახლართეაში გამოცდილი ქალი, მხოლოდ თავისი პირადი და თავისი შვილების კეთილდღეობისთვის ზრუნავდა. მას ამ მიზნისთვის არაფრად მიაჩნდა ქვეყნის მოძალის მსხვერპლად მიტანა. ისინი დაჟინებით ურჩევდნენ უკვე ძოსუცობაში გადაძღგარ მეფეს, გაეწყვიტა კავშირი რუსეთთან და ისევ თურქეთთან შეთანხმება ეცადა.

1787 წელს რუსეთ-თურქეთის ახალი ომი დაიწყო და რუსეთის მთავრობამაც, იმ საბაბით, რომ თურქეთს საქართველოზე შემოტევა არ დაეწყო, აქედან თავისი ჯარები უკან გაიწვია. მტრების წინაშე მარტოდ დარჩენილ და შინაარეულობით მოცულ ქვეყნის მეთაურს ახალი რთული პრობლემები წამოეჭრა. როგორც ჩანს, ამ უმაგალითო სიძნელეებმა და ასაკმა აქამდე დაუღალავი და მხნე მეფე ერეკლეს ნებისყოფა გატეხა. იგი სულ უფრო და უფრო მეტ დათმობებზე მიდიოდა ყინიანი დედოფლისა და ოჯახის სხვა წევრების მიმართ. ამ უკანასკნელთა გაელენით იყო, რომ ვერ განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი წამოწყება, ამერეთ-იმერეთის გაერთიანებას რომ ისახავდა მიზნად.

იმერეთის შემოერთების საკითხი

1784 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე სოლომონ I. რადგან მას ვაჟიშვილი არ დარჩენია, იმერეთის ტახტისთვის ბრძოლა ატყდა მეფის ბიძაშვილს - დავით გიორგის-ძესა და მეფის ძმისწულს - დავით არჩილის-ძეს შორის. ეს უკანასკნელი ერეკლეს ქალის-ელენეს შვილი იყო. ბოლომოულებელი ბრძოლების გამო იმერეთის თავკაცებმა ერეკლეს მიმართეს წინადადებით, რომ მას შეეერთებინა იმერეთიც და თავი ამერეთ-იმერეთის მეფედ გამოეცხადე-

ბინა. მომენტი, მართლაც, ხელსაყრელი იყო. თურქეთი რუსეთთან ომში მარ-ცხდებოდა. ახალციხის ფაშაც სულთანისგან განდგომასა და ერეკლესთან შე-კავშირებას ცდილობდა. ირანიც არ იქნებოდა წინააღმდეგი დასავლეთ საქარ-თველოს ქართლ-კახეთისადმი შემოერთებისა, რადგანაც ეს უკანასკნელი შაჰს კელავ თავის ვასალურ ქვეყნად მიაჩნდა. ამ გაერთიანების მომხრე იყო იმე-რეთის მოსახლეობაც და როგორც გასული საუკუნის ისტორიკოსი პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი წერს: „დასპანში იმერთა არწმუნებდნენ მეფესა (ერეკლეს), რ ო მ ე ლ ყ ო ვ ე ლ ა დ ი ს ა ა ქ ე ფ ო ი მ ე რ ე თ ი ს ა მ ო ე ლ ი ს ი-ს ა რ უ ლ ი თ დ ა მ ს ი ა რ უ ლ ო ბ ი თ ს ა ქ მ ი ს ა ა მ ი ს დ ა ს ა ს-რ უ ლ ს ა; თ ვ ი თ მ თ ა ვ ა რ თ ა გ უ რ ი ი ს ა დ ა ო ღ ი შ ი ს ა ს ს ურ თ დ ა ს წ ყ ვ რ ი ა თ ე ს ე. მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა გ ლ ე ხ თ ა-ვ ა ი ც ი ა ნ ე ს ე დ ა უ ს ა რ ი ა თ ბ ა ტ ო ნ ო ბ ა თ ქ ვ ე ნ ი ი მ ე რ ე თ ს ა, მ ტ ე რ თ ა გ ა ნ ჯ ა რ ი ს ა გ ა ო ხ რ ე ბ უ ლ ს ა“. ამერეთის შემოერთების საკითხი მეფემ დარბაზის სხდომაზე განიხილა. დარ-ბაისელთა უმრავლესობამ მსარი დაუჭირა ამ შემოერთებას, მაგრამ იყვნენ მოწინააღმდეგენიც. ,ამათმა მწვავე სასიათი მიიღო. ერეკლემ შეწყვეტა დარ-ბაზის სხდომა და შემდეგი ღღისთვის გადაიტანა. საქმეში ჩაერია დედოფალი დარეჯანი, რომელიც რეაქციონერი თავადების ფესის ხმას იყო აყოლილი. იგი იმასაც შიშობდა, რომ ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ უნდა გამეფებული-ყო მისი ვერი გიორგი, რომელიც ამერეთ-იმერეთის მეფე იქნებოდა და დე-დოფლის საკუთარ შვილებს თითქოს დაჩაგრავდა. მას ერჩივნა, იმერეთში მე-ფედ მისი შვილიშვილი დავით არჩილის-ძე ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს ერეკლე და ,ოლიეს, იმერეთის შემოერთებაზე ხელი აეღო და იქ თავისი შვი-ლიშვილის,დავით არჩილის-ძის გამეფებისათვის ეგრუნა. ეს აშკარად რეაქ-ციის გამარჯვეაა და ქვეყნის პროგრესულ ძალთა სერიოზული მარცხი იყო.

პროგრესულმა ძალებმა ის მაინც ძოახერხეს, რომ ამერეთ-იმერეთის სა-მეფო-სამთავროებმა 1790 წელს საგარეო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის კავშირი შეკრეს. ამ საქმის მოთავე მეფე ერეკლეს მსაჯული სო-ლომონ ლიონიძე იყო. მისი მეცადინეობით დაიდო „ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“ ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით დასავ-ლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ და 1783 წლის ტრაქტატს უერთდებოდნენ. მოკავშირე-ები ერეკლე მეორეს უპირატესობასა და მის მფარველობას აღიარებდნენ და მასვე ანდობდნენ რუსეთთან ურთიერთობის დამყარებას. ეს საერთო-ქართუ-ლი პოლიტიკის შედარებითი წარმატება იყო. მით უმეტეს, რომ იმერეთის ასა-ლი მეფე, ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის-ძე, რომელმაც, გამეფების შემდეგ, სოლომონ II-ის სახელი მიიღო, ყველაფერში თავის პაპას, ერეკლეს უჯერებდა და მისი კარნახით მოქმედებდა.

VI თავი

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება

კრწანისის ბრძოლა

ხანგრძლივი დისასტიური ბრძოლების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ირანის სათავეში მოექცა ყაჯართა თურქმანული ტომის მეთაური აღა-მაჰმად-ხანი. 1794 წელს მან უკვე ყველა თავისი მოწინააღმდეგე მოიშორა და მთელი ყურადღება ამიერკავკასიის მოპყრო. მისი ერთ-ერთი უპირველესი მიზანი იყო ამიერკავკასიაში ირანის ბატონობის აღდგენა და აქედან რუსეთის ფეხის ამოკვეთა. მას განსაკუთრებით აღიზიანებდა 1783 წლის ტრაქტატით საქართველოს რუსეთთან დაკავშირება. 1795 წლის გაზაფხულზე 70-ათასიანი არმიით იგი უკვე არდებილში იყო და კავკასიაში სალაშქროდ ემზადებოდა. აზერბაიჯანელი ხანების დიდი ნაწილი მის მხარეზე დადგა. მხოლოდ შუშის ხანი იბრეიმი და ერევნის ხანი მაჰმადი რჩებოდნენ ერეკლეს ერთგულ მოკავშირედ.

ერეკლე II-მ დროზე აცნობა პეტერბურგსა და კავკასიის ხაზის სარდლობას კარს მომდგარი საფრთხე. კავკასიის სამხედრო ხაზის სარდალი გენერალი გულოვიჩი გულგრილად მოეკიდა ერეკლეს შეშფოთებას.

აღა-მაჰმად-ხანი მეთოდურად მოქმედებდა. იგი ერევნისა და შუშის ციხეების ბლოკირებას შეუდგა. ერეკლემ შუშის ხანს ქართველთა ჯარი მიაშველა ალექსანდრე ბაგონიშვილის მეთაურობით. ქართველებისა და შუშის ხანის გაერთიანებულმა რაზმმა შუშის ციხისაკენ მიმავალი სპარსელთა ჯარი სასტიკად დაამარცხა.

ამასობაში აღა-მაჰმად-ხანმა საფუძვლიანად დაზვერა საქართველოსადმი რუსეთის სამხედრო დახმარების შესაძლებლობა და დარწმუნდა, რომ რუსეთის კავკასიის სარდლობა არ აპირებდა ერეკლესადმი ჯარით მიშველებას. ამის შემდეგ იგი თავისი უზარმაზარი სამხედრო ძალით საქართველოზე წამოვიდა. ერეკლე II თავისი შვილიშვილის, იმერეთის მეფე სოლომონ მეორის თანხლებით, რომელიც მის დასახმარებლად იყო მოსული, ერევნისკენ გაემარ-

აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი.

თა. ერეკლის ციხეს შაჰის ძმა უტეველა, თეიმურ აღა-მაჰმად-ხანი კი შუშის ციხეზე იყო შემომდგარი. გაურკვეველი იყო, უშ ეალოდ საქართველოზე იგი რიდის და რა მხრიდან დაიძრებოდა.

ირანის მბრძანებელმა შუშის ციხის დაცემას აღარ დაუცადა და მის სელთ მყოფი 35000-იანი არმიით, განჯის გამოელიი, პირდაპირ თბილისისაკენ გამოემართა. ერეკლემ სასწრაფოდ თბილისს მიაშურა. მის განკარგულებაში მხოლოდ 5000 მებრძოლი იყო. 35000-ის წინააღმდეგ ამ მცირე ძალით შებრძოლება დიდ თავგანწირვას მოითხოვდა, მაგრამ მეფეს და მის ირგელიე მყოფთ მტკიცედ ქონდათ გადაწყვეტილი, მტრის წინაშე ქედი არ მოეხარათ.

8 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანმა სოფელი სოღანლული დაიკავა და იქ გამაგრებული ბანაკის შექმნას შეუდგა. ქართველებმაც თავდაცვის ზღვლები შექმნეს. ქართველთა ჯარის ცალკეულ ნაწილებს მეთაურობდნენ ერეკლეს შვილიშვილი დავით გიორგის ძე, იოანე მუხრან-ბატონი, ბატონიშვილი ვახტანგ ერეკლეს ძე, ოთარ ამილახვარი და სხვ. თბილისის მცხოვრებლებმაც შეადგინეს სპეციალური რაზმი, რომელიც თავდადებით იბრძოდა მშობლიური ქალაქის დასაცავად. მოქალაქეთა ამ რაზმს მეთაურობდა მეფის კარის მსახიობი მაჩაბელა.

აღა-მაჰმად-ხანმა შემოგვეა 10 სექტემბერს დაიწყო. მტრის პირველი იერიში ქართველებმა არტილერიის ძლიერი ცეცხლით წარმატებით მოიგერიეს. მტერმა დიდი ზარალი ნახა. მოკლეს თვით მეწინავე ლაშქრის სარდალი მელიქ-მეჯლუმი. აღა-მაჰმად-ხანმა ახალ-ახალი ძალები ჩაბა შეტევაში, მაგრამ უშედეგოდ. ქართველებმა გააფთრებული ბრძოლით ყველა ეს რაზმი დაამარცხეს.მებრძოლი მხარეები მხოლოდ დაბინდებამ გაპყარა.

პირველი დღის მარცხით შეფიქრიანებული აღა-მაჰმად-ხანი უკან გაბრუნებასაც კი აპირებდა, მაგრამ მოღალატეებმა მას აცნობეს, რომ ერეკლეს ერთობ მცირე ჯარი ჰყავდა, ამიტომ 11 სექტემბერს მან ახალი შეტევა წამოიწყო. მთელი საათის განმავლობაში ყიზილბაშებს იერიში იერიშზე მოაქონდათ



ქართული ზარბაზნები (XVIII ს.).

ქართველთა სანგრებზე, მაგრამ მხოლოდ დიდი ზარალი მოსდიოდათ და შეღუგი არ ჩანდა. შემკრთალი ჯარი რომ შეემაგრებინა, სპარსეთის შაპმა მოიერიშე ნაწილებს უკან თურქმანები დაუყენა და უბრძანა, რომ, თუ ვინმეს გამოქცეულს ან უკანდახეულს ნახავდნენ, დაუნდობლად მოეკლათ. ამასობაში მარცხენა მხრიდან ზურგში შემოსაველელად, შინდისის მამართულებით, აღა-მაჰმად-ხანმა რამდენიმე ასეული ცხენოსანი გაგზავნა, თვითონ კი სარისკო გადაწყვეტილება მიიღო.

მტკვარი აღიდებული მოდიოდა და ქართველებს იმის იმედით, რომ მტერი მდინარის მარცხენა ნაპირზე ვერ გადაეცოდა, ეს მხარე გამაგრებული არ ჰქონდათ. მათ არც ძალები ჰყოფნიდათ, რომ თბილისი მტკვრის მარცხენა მხრიდანაც დაეცვათ. აღა-მაჰმად-ხანმა პირველმა თვითონ შეაგდო ცხენი აღიდებულ მდინარეში და თავის ცხენოსნებს უბრძანა, მისი მაგალითისათვის მიებაძათ. მტკვრის გადალახვის დროს 300 ყიზილბაში მხედარი დაიხრჩო, მაგრამ მნიშვნელოვანმა ნაწილმა მაინც შეძლო გადასვლა. ამრიგად, ქართველებს შეექმნათ საშიშროება, რომ მტერი ზურგიდან, დაუცველი მხრიდან მიუდგებოდა, ამიტომ ერეკლემ ბრძანება გასცა, მეწინავე სანგრები მიეტოვებინათ და თავდაცვის უკანა ხაზზე გადასულიყვნენ. აღა-მაჰმად-ხანმა ორთაჭალის ბალებთან კვლავ გადმოლახა მტკვარი და ყიზილბაშებმაც უფრო გულსრულად შემოუტიეს უთანასწორო ბრძოლაში მოქანცულ ქართველებს. სასტიკი ომი გაჩაღდა... აღა-მაჰმად-ხანს ცხენი მოუკლეს, მის გვერდით არაერთი სარდალი გამოთანალმეს სიცოცხლეს, მაგრამ შაპი მაინც არ ცხრებოდა და ახალი და ახალი ძალებით მიჰქოლდა იერიში ძალაგამოცლილ ქართველებზე.

განსაკუთრებით ტრაგიკული იყო ბრძოლის უკანასკნელი ეპიზოდები. 75 წლის ერეკლე ხმლით ხელში ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა. შეიქმნა იმის საშიშროებაც, რომ ყოველი მხრიდან გარსშემომდგარი მტერი მოხუც მეფეს ტყვედ ჩაიგდებდა, მაგრამ მეფის შვილიშვილმა, იოანე გიორგის-ძემ ერთგულთა მცირერიცხოვანი რაზმით მტრის რკალი ხმალდასმალ გაარღვია და მებრძოლი მეფე ბრძოლის ველს გაარიდა. ქართველთა ჯარიდან მხოლოდ უმნიშვნელო რაზმიღა დარჩა ცოცხალი. მთიულეთისკენ მიმავალ მეფეს მხოლოდ 150 მხედარი ახლდა. მტრის ურდოებმა თბილისი დაიკავეს.

კრწანისის ველზე თავდადებულთა მხოლოდ რამდენიმე სახელი შემოგვინახა ისტორიამ. მაგალითად, გიორგი გურამიშვილი, რომელიც ქართველ მეზარბაზნეებს მეთაურობდა და მოტანებულ მტერს ხან ხმლით პკაფავდა, ხან ზარბაზნის ცეცხლით ანადგურებდა. იგი ზედ დააკვდა თავის ზარბაზანს. მისი უკანასკნელი სიტყვები ი[illegible]: „ღმერთო, ოღონც მეფე ირაკლი მშვიდობით გაიყვანე ამ საშინელებისაგან და მე მამულის ჭირის სანაცვლო ვიყო“. აქვე დაიღუპა მამაცი არტილერისტი გაბრიელ მაჟორი. უთანასწორო ბრძოლაში დაეცა 300 არაგველი, რომელთაც ბრძოლის წინ დაეფიცათ - „ან გაეიმარჯვებთ, ან დაეიხოცებითო“. სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს მაღლიერმა ქართველმა ხალხმა ბრძოლების ადგილას ძეგლი აღუმართა, სადაც ამ გმირთა შთამომავლები მუხლს იდრეკენ მათი წმინდა, ისტორიაში უცნობად დარჩენილი სახელების წინაშე.



თბილისი. ქრწანისში აღმართული თბილისელი 300 არაგველის ბრძოლის უკვალოდ

მართალია, ერეკლე ქრწანისის ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ეს არც ირანის მპყრობელის გამარჯვება იყო. სპარსელთა დანაკლისი 13000 კაცს აღემატებოდა, ამავე დროს მათი მიზანი მიუღწეველი რჩებოდა. ერეკლე II აღა-მაჰმად-ხანს არ დამორჩილდა და რუსეთთან კავშირზეც ხელი არ აიღო. განრისხებულმა ყაჯარმა მთელი თავისი ჯავრი თბილისზე იყარა. ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები ულმობლად ამოხოცა, ნანგრევებად აქცია და მიწასთან გაასწორა აყვავებული ქალაქი. მაგრამ ეს მისი საქმის წარმატებას მაინც ვერ უშველიდა. ყიზილბაშთა მარბიელი რაზმები ქართველებმა ბრძოლებში დაამარცხეს. მთიულეთში თავშეფარებული მეფე ერეკლე ახალი ძალების შეგროვებას შეუდგა. იმიერკავკასიიდან მოვიდა ცნობა, რომ რუსეთის არმია სპარსეთში სალაშქროდ მიემართებოდა, შეცბუნებული აღა-მაჰმად-სანი სასწრაფოდ აიყარა თბილისიდან და ირანს გაბრუნდა.

ერეკლეს მეფობის ბოლო წლები

1795 წლის დეკემბერში რუსთა ორი ბატალიონი საქართველოში შემოვიდა. სოლო 1796 წლის გაზაფხულზე რუსეთის 30000-იანი არმია გენერალ ზუბოვის სარდლობით, დარუბანდის გზით, ამიერკავკასიაში შემოიჭრა. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ეს ლაშქრობა აღა-მაჰმად-ხანის დასჯის მიზნით ეწყობოდა.

განცდილი ტრაგედიის მიუხედავად მოხუც მეფეს სიმხნეევ არ დაუკარგავს. მან ქვეყნის შიგნით წესრიგის აღდგენას მოჰკიდა ხელი, არაერთი მოღალატე სასტიკად დასაჯა, ერთგული ქვეშევრდომები გაამხნევა, მთებში შეხიზნული ხალხი უკან დააბრუნა და ნანგრევებად ქცეული თბილისის აშენებას შეუდგა. მან ამ საქმისათვის მთელი თავისი პირადი ქონება გადადო. ქალაქის მშენებლობას ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა, თვითონ ერეკლე თავისი კარით თელავში დასახლდა.

მალე ერეკლემ კელავ დაიმორჩილა განჯა და მის მფლობელს, ჯავად-ხანს ძვირად დაუსვა ღალატი. ასევე, ერევანში აღადგინა ყიზილბაშთა მიერ დევნილი მაჰმად-ხანის ხელისუფლება და მასაც ძველებურად სარკი დააკისრა. წარმატებით ვითარდებოდა რუსეთის ჯარის შეტევაც. აღებულ იქნა დარუბანდი, ყუბა, ბაქო, შამახია, შეიჭრნენ მუღანში, მაგრამ 1796 წლის 6 ნოემბერს რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II გარდაიცვალა და ტახტზე ასულმა ახალმა იმპერატორმა, პაველ I-მა, ირანში ლაშქრობა მოშალა. რუსეთის არმია უკან

გაიწვიეს. საქართველოსაკენ სელასლა წამოსული აღა-მაჰმად-სანი 1797 წლის 6 ივნისს შეთქმულებმა ყარაბაღში მოკლეს.

შექმნილ ვითარებაში საქართველოს საშინაო მდგომარეობა კვლავ გართულდა. თავადებმა თავი აიშვეს, უფლისწულები თავიანთ საუფლისწულოებში ჩაიკეტნენ და მოსუცი მამის სიტყვას ყურს აღარ უგდებდნენ. კვლავ გაძლიერდა ლეკთა გამუქმებული თარეში, ქართველი გლეხის აყრა-დაკარგვა, ვაჭარ-ხელოსანთა გაქცევა-გადასვლა.

ერეკლე II-ის ძეგლი თელავში. სკულპტორი მერაბ მერაბიშვილი.

ასეთ მძიმე მდგომარეობაში იყო მრავალქირგადატანილი ქვეყანა, როცა მას გამოეცალა მისი ბურჯი, უკვე თითქმის 80 წელს მიტანებული, მაგრამ კიდევ დიდი იმედი, მეფე ერეკლე II.

მეფე ერეკლე 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა თელავში. იგი წამოასვენეს და დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში. გარდაიცვალა ძველი საქართველოს უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, ბრწყინვალე სარდალი და ქვეყნის პროგრესული მომავლისათვის თავდადებული მებრძოლი, რომლის მთელი ცხოვრება სამშობლოს აღორძინებისა და განახლების საქმეს შეელია. დიდი ქართველი რომანტიკოსი ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ერეკლეს საფლავის წინ მუხლმოდრეკილი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა გმირ მეფეს:

„მშვიდობა შენსა წმინდა აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!
აწ მისვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა,
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!“

გიორგი XII. ქართლ-კახეთის ანექსია რუსეთის მიერ

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა ვაჟმა გიორგი XII-მ, მაგრამ მას იმთავითვე ძმები გაუდგნენ. ამ მტრობას განსაკუთრებით აღვივებდა დედოფალი დარეჯანი. ჯერ კიდევ 1791 წელს დედოფალმა მეფე ერეკლეს გამოსტყუა კანონი მემკვიდრეობის შესახებ, რომლის ძალითაც ტახტი უნდა გადასულიყო არა მამიდან შვილზე, არამედ მომდევნო უფროს ძმაზე. საქმე ის იყო, რომ გიორგი ერეკლეს სხვა ცოლისგან ჰყავდა, დანარჩენი ვაჟიშვილები კი დარეჯანის შვილები იყვნენ. ამ კანონით დარეჯან დედოფალს სურდა მეფობა მოეპოვებინა თავისი შვილებისათვის. ეს შეიქნა ძმებს შორის მტრობა-უნდობლობის მიზეზი.

გიორგი XII იძულებული იყო ეს კანონი ეღიარებინა, მაგრამ 1799 წელს, როდესაც განახლებულ იქნა ტრაქტატი, მან რუსეთის მთავრობას მემკვიდრედ

გიორგი XII

იოანე გიორგის ძე ბაგრატიონი

მაინც თავისი შვილი დაეთი დაამტკიცებინა. ამან მეფის ძმები უკვე აშკარად აჯანყა. ბაგონიშვილები თავის საუფლისწულოებში ჩაიკეტნენ და მეფის ხელისუფლებას აღარ ცნობდნენ. ალექსანდრე ბაგონიშვილი, ერეკლეს ძე, ირანის შაჰთან გაიქცა.

გიორგი XII იძულებული იყო, 1200 ლეკი დაექირავებინა თავის მცველად, ამავე დროს შეუღგა ბაგონიშვილთა შეგზეულას. მან თავის დელინაცვალ დარეჯან დედოფალს მამულები ჩამოართეა. ამან მოქიშპეებს შორის ბრძოლა კიდევ უფრო გაამწვავა. მოწინააღმდეგეები არ ერიდებოდნენ საგარეო ძალების მოწვევასაც. ირანის შაჰი ახალი შემოსევით იმუქრებოდა.

საქართველოში იყვნენ ჯანსაღი ძალებიც, რომლებიც ქვეყნის განვითარებას პროგრესულ გარდაქმნებს უკავშირებდნენ. 1799 წლის 10 მაისს იოანე ბაგონიშვილმა თავის მამას წარუდგინა პროექტი ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლის შესახებ, რომლის განხორციელება უაღრესად დადებითად წაადგებოდა ქვეყანას.

მაგრამ ამ პროექტს განხორციელება არ ეწერა. შინაური და საგარეო მტრების შემოტევით შეშინებულმა, უკვე მძიმედ ავადმყოფმა გიორგი XII-მ რუსეთის საიმპერატორო კარს მიმართა თხოვნით, რათა ტრაქტატის პირობები შეეცვალათ და ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ, ოღონდ მისთვის და მისი შთამომავლობისთვის მეფობა შეენარჩუნებინათ.

იმპერატორმა პაველ I-მა გადაწყვიტა, ეს ვითარება გამოეყენებინა აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიისათვის. საქართველოში ახალი ჯარები შემოიყვანეს. მართალია, იმპერატორმა დაამტკიცა გიორგი XII-ის მიერ შემოთავაზებული წინადადებები, მაგრამ კავკასიის ხაზის სარდალს გენერალ კნორინგს გამოუგზავნა საიდუმლო წერილი, რომელშიც წერდა, რომ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემთხვევაში არ დაეშვა მისი მემკვიდრის ტასტზე აყვანა და მეფედ დამტკიცება. რუსეთის სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ. სა-

თანალი მანიფესტს პაველ I-მა უკვე 1800 წლის 18 დეკემბერს მოაწერა ხელი, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ჯერ კიდევ საიდუმლოდ ინახავდნენ.

1800 წლის ნოემბერში ირანის შაჰისა და ახალციხის ფაშისაგან წაქეზებული ხუნძახის ბატონი ომარ-ხანი 20-ათასიანი ლაშქრით კასეთში შემოიჭრა, მასთან იყო ალექსანდრე ერეკლეს ძე. ქართველებმა, რუსეთის ჯართან ერთად, სოფ. კაკაბეთთან, ნიასურის ველზე სასტიკად დაამარცხეს და გააქციეს მტერი.

1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. რუსეთის ხელისუფლებმა მისი მემკვიდრე დაეთი შეფედ არ დაამტკიცეს, მხოლოდ დროებით მმართველად ცნეს. აშასობაში კი 1801 წლის 18 იანვარს მოსკოესა და პეტერბურგში გამოქვეყნდა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, მაგრამ მის განხორციელებას პაველ I მაინც ეეღარ ელირსა. 1801 წლის 11 მარტს იგი შეთქმულებმა მოკლეს.

ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელახლა შეისწავლა ეს საკითხი და ბოლოს, 1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნდა ახალი მანიფესტი რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთების შესახებ. საქართველოში ეს მანიფესტი 7 თვის შემდეგ გამოცხადდა. ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა და იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეეიდა როგორც „საქართველოს გუბერნია“.

ქართველი ხალხი არასოდეს შეპგუებია თავისი სახელმწიფოებრიობის დაკარგვას და საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თავდადებით იბრძოდა თავისუფლებისა და ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის.

ქართული კულტურა XVIII საუკუნის II ნახევარში

1. მეცნიერება და განათლება. ის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელიც ასე ნაყოფიერად წარმოებდა საქართველოში XVIII საუკუნის დასაწყისში, თითქმის მთლიანად ჩაკვეა ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასვლისა და შემდეგ საქართველოში გამეფებული ძნელბედობის შედეგად. ვახტანგ VI-ს თან გაპყვა კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი დასი, რომელმაც მოსკოვში განაგრძო ნაყოფიერი მუშაობა: მოსკოვის ქართულ კოლონიაში იქმნებოდა სამეცნიერო და ლიტერატურული ნაშრომები, რუსული და ევროპული ენებიდან ითარგმნებოდა სამეცნიერო და სასწავლო წიგნები, იქ დაარსებულ ქართულ სტამბებში იბეჭდებოდა და შემდეგ საქართველოში ვრცელდებოდა სასულიერო და საგანმანათლებლო ლიტერატურა. მაგრამ, ქართველ მოღვაწეთა სწორი შეფასებით. უფრო დიდი მნიშვნელობისა იქნებოდა საქართველოშიც აღდგენილიყო შეწყვეტილი კულტურული მუშაობა. ამ საქმეს დიდი ყურადღება დაუთმო ერეკლე II-მ. მას ერთგულად ეგვა მსარში მისი მამიდაშვილი, საქართველოს კათალიკოსი ა ნ ტ ო ნ I.

ანტონი უაღრესად განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება იყო. მისი ფილოსოფიური შეხედულებანი ჩამოყალიბდა არისტოტელესა



ანტონ I

და პლატონის, აგრეთვე, კლასიკური სანის ქართველი ფილოსოფოსების იოანე პეტრიწისა და სხვების მოძღვრებათა შესწავლის საფუძველზე. იგი კარგად იცნობდა, აგრეთვე, თანამედროვე ფრანგ და გერმანელ ფილოსოფოსთა იდეებს. მან თარგმნა XVIII ს-ის დიდი გერმანელი განმანათლებელი ფილოსოფოსის ქრისტიან ვოლფის „ფიზიკა", ბაუმაისტერის - „ლოგიკა", „მეტაფიზიკა" და „ეთიკა". ანტონ I-მა შექმნა ორიგანალური ფილოსოფიური თხზულება „სპეკალი", რომელიც ერეკლე II-ს მიუძღვნა.

ერის აღორძინების საქმეში ანტონ I გადამწყვეტ მნიშვნელობას განათლების გავრცელებას ანიჭებდა, ამიტომ თავის მოღვაწეობაში დიდ ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის თარგმნას, აგრეთვე, ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნას. მის მიერ მომზადებულ იქნა „ქართული ღრამატიკა" - ქართული ენის პირველი სასკოლო სახელმძღვანელო, „წყობილსიტყვაობა" - ფილოსოფიურ-თეოლოგიური სასიათის სახელმძღვანელო, რომელიც იყო ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიის შექმნის პირველი ცდა.

ანტონ I-ის გვერდით მოღვაწეობდა ფილოსოფოსთა, მეცნიერთა, მწერალთა და მთარგმნელთა მთელი პლეადა. მაგალითად, გაიოზ რექტორი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, იოსებ ნეკრესელი, ანტონ ცაგარელი და სხვ., რომლებიც ქმნიდნენ როგორც ორიგინალურ თხზულებებს, ისე თარგმნიდნენ რუსულიდან, სომხურიდან და სხვა ენებიდან. ისინი, აგრეთვე, ხელმძღვანელობდნენ საქართველოში სწავლა-განათლების საქმეს.

2. სკოლები. სტამბები. 1755 წელს თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარია, რომელიც ანჩისხატის ეზოში მდებარეობდა. მისი პირველი რექტორი იყო ფილიპე ყაითმაზაშვილი - თავისი დროის დიდად განათლებული კაცი. სემინარიაში ღვთისმეტყველების გარდა ისწავლებოდა ქართული ენა, გრამატიკა, ფილოსოფია, ლოგიკა, ფიზიკა, მათემატიკა, გალობა. 1758 წელს სასულიერო სასწავლებელი შეიქმნა თელავშიც, რომელიც 1782 წელს ფილოსოფიურ სემინარიად გადაკეთდა. რექტორად დანიშნული იყო გაიოზ არქიმანდრიტი. გაიოზს განათლება მიღებული ჰქონდა როგორც საქართველოში, ისე რუსეთის სასულიერო აკადემიაში. 1790-1801 წლებში თელავის სემინარიას ხელმძღვანელობდა დავით მესხიშვილი. იქ სწავლება ლექციურ სასიათს ატარებდა და პედაგოგები მოსწავლეთა ცოდნას გამოცდების გზით ამოწმებდნენ. წარჩინებული მოსწავლეები ჯილდოვდებოდნენ. ერეკლე ცდილობდა, ნიჭიერი და ბეჯითი ახალგაზრდები რუსეთში და ევროპაში გაეგზავნა სწავლის გასაგრძელებლად.

გარდა ამ სახელმწიფო სასწავლებლებისა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში კიდევ უფრო გამრავლდა ეკლესია-მონასტრებთან არ-

სებული კერძო სკოლები. განათლებული და ენების მცოდნე პირები ამ პერიოდის საქართველოში დიდი რაოდენობით სჭირდებოდათ. ამას მოითხოვდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობა, სამხედრო საქმე. 1799 წელს იოანე ბატონიშვილმა საქართველოში სასწავლებლების რეფორმისა და უმაღლესი სასწავლებლების გახსნის წინადადებაც წამოაყენა.

სასწავლებლები და საერთოდ სწავლა-განათლების მოსახლეობაში ფართოდ გავრცელება მოითხოვდა დიდი რაოდენობით სათანადო ლიტერატურის შექმნას,განსაკუთრებით მის გამრავლებას. ამისთვის კი შეუცველი მნიშვნელობა ჰქონდა სასტამბო საქმეს. 1749 წელს თბილისში აღდგენილ იქნა ქართული სტამბა. წიგნები იბეჭდებოდა საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. სტამბაში დაწესებული იყო სპეციალური თანამდებობა წ[illegible]ის გამფორმებლისა. 1782-1794 წლებში მოსდა ქართული სტამბის მორიგი განახლება. შეცვლილ იქნა მოძველებული იარაღები და შრიფტი. ახლებურად ჩამოისხა ნუსხური და მხედრული შრიფტი. XVIII საუკუნის ბოლოს იმერეთის მეფე სოლომონ II-ის მეცადინეობით სტამბა გაისსნა ქუთაისშიც.

3. ქართული პოლიტიკური აზროვნება. ისტორიოგრაფია. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართული სულიერი კულტურის წინსვლას მოწმობს სიახლენი პოლიტიკურ აზროვნებაში. ძველი ბატონყმური იდეოლოგიის გვერდით თანდათან ფესს იკიდებდა უფრო მოწინავე ევროპული განმანათლებლური იდეები. რუსეთში და ევროპაში ნამყოფი ქართველები ეცნობოდნენ ახალ სამეცნიერო და პოლიტიკურ იდეებს და შემდეგ მათ საქართველოს სინამდვილესთან შერწყმასა და საქართველოში გადმონერგვას ცდილობდნენ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ალექსანდრე ამილახვარის (1750-1802) შემოქმედება. მისი ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა" მთლიანად დასავლეთის აზროვნების ნიადაგზეა შექმნილი და ცნობილი ფრანგი განმანათლებლის მონტესკიეს იდეების გავლენას განიცდის. მან ეს თხზულება მეფე სოლომონ I-ს უძღვნა. მასში წარმოაჩინა ის სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ავტორს საუკეთესოდ მიაჩნდა და მეფეს მის პრაქტიკულ განხორციელებას ურჩევდა. მასვე ეკუთვნის პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული „გეორგიანული ისტორია", რომელშიც მოკლედ არის განხილული საქართველოს ისტორია და აგრეთვე, მისი მონაწილეობით ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ამბები.

ფრანგი განმანათლებლის იდეების გავლენას განიცდიდნენ თვით მეფის ოჯახის წევრებიც. მაგალითად, ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრე დავით ბატონიშვილი დიდ თაყვანს სცემდა ვოლტერს, მონტესკიეს. მანვე თარგმნა მონტესკიეს „კანონთა სული".

ქართული პოლიტიკური აზროვნების პროგრესულ განვითარებას მოწმობს იოანე ბატონიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების რეფორმების პროექტი, რომელშიც განხილულია საკითხები საქართველოს გაერთიანების, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების, სწავლა-განათლების გაფართოების შესახებ. იოანე მოითხოვდა საერისთაოებისა და

დავით გურამიშვილის ძეგლი თბილისში
სკულპტორი შერან ბერძენიშვილი

სათავალოების გაუქმებას, სახელმწიფო მმართველობის ახლებურ პრინციპებზე აგებას, ყველა სახელმწიფო მოხელის, მათ შორის მეფისა და დედოფლის სახელმწიფო ჯამაგირზე გადაყვანას და სხვ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შესაფერის დონეზე იდგა ქართული ისტორიოგრაფიაც. ამ დარგმა უკვე ამ საუკუნის პირველ ნახევარში დიდ წარმატებას მიაღწია. საკმარისია დაეასახელოთ ქართლის ცხოვრების გაგრძელებები და, განსაკუთრებით, ვახუშტი ბაგრატიონის სამეცნიერო მოღვაწეობა. თუმცა ვახუშტიმ თავისი ნაშრომი რუსეთში დაასრულა და ამ ნაშრომმა საქართველოში გვიან ჩამოაღწია. აქ კი ამ დროს შეიქმნა შესანიშნავი საისტორიო თხზულება — პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი", სადაც ერცლად გადმოცემულია XVIII ს-ის 40-50-იანი წლების ამბები. ეს არის ხეხნია ჩხეიძის ნაშრომის გაგრძელება და მთავრდება 1758 წლით. ავტორი თვითონ არის მის მიერ აღწერილი მოვლენების მონაწილე. იგი ყოველ მოვლენას განიხილავს მაღალი პატრიოტული შეგნებით და თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მოღვაწეობას დიდი იმედით შეპყურებს.

მეორე ისტორიკოსი, რომელიც XVIII ს-ის მოვლენებს აღწერს, ომან სერსეულიძეა. მისი თხუზელება „მეფობა ირაკლი მეორისა" შედარებით მოკლედ და მშრალად, მაგრამ თანამიმდევრულად გადმოგვცემს ქართლ-კახეთის ისტორიას 1722 წლიდან 1795 წლამდე.

4. ლიტერატურა და ხელოვნება. XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში კვლავ წინა პლანზეა წამოწეული ისტორიულ-პატრიოტული მოტივი, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საყოფაცხოვრებო მოვლენების აღწერასა და საგრფიალო ლირიკას. ამ პერიოდის ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელია დ ა ვ ი თ გ ურ ა მ ი შ ვ ი ლ ი (1705-1792). მან თავის თავზე გამოსცადა საქართველოზე თავსდატეხილი უბედურება. იგი ჯერ ლეკებმა მოიტაცეს, შემდეგ რუსეთში გადაიხვეწა, მაგრამ საქართველოს ჭირ-ვარამით ცხოვრება არ მიუტოვებია. იგი ფხიზელი თვალით აკვირდებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ეს ყველაფერი შესანიშნავად აღწერა და გააანალიზა თავის ისტორიულ პოემაში „ქართლის ჭირი". მისი ეს თხზულება არა მარტო ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებია, არამედ მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროც არის და რეალისტურად აღწერს ქართველი ხალხის ყოფას. მან იცის განათლების დიდი მნიშვნელობა როგორც ცალკეული პი-

როენებისათვის, ისე ქვეყნისათვის და ასალგაზრდებს მოუწოდებს ბეჯითი სწავლისაკენ. დავით გურამიშვილმა თავისი თხზულებების კრებულს „დავითიანი“ უწოდა და დიპლომატიური მისიით რუსეთში ჩამოსულ ერეკლეს ეავს, მირიან ბატონიშვილს გადასცა საქართველოში წამოსალებად, თვითონ კი სამშობლოდან მოწყვეტილი 1792 წელს უკრაინაში აღესრულა.

მეორე დიდი პოეტი ბესარიონ გაბაშვილი - ბესიკი (1750-1791) XVIII ს-ის ქართული პოეზიის ტიპური წარმომადგენელი იყო. მას ბრწყინვალე განათლება პქონდა მიღებული და დიდი პოეტური ნიჭითაც გამოირჩეოდა. შეუდარებელ საგრფიალო ლირიკულ ლექსებთან ერთად მან შექმნა შესანიშნავი პატრიოტული თხზულებებიც, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს მიუძღვნა. მაგალითად, ასპინძასთან ქართველთა გამარჯვების შესასებ მან შექმნა პოემა „ასპინძისათვის“, ასევე პოემა უძღვნა სოლომონ I-ის გამარჯვებას რუხის ბრძოლაში. იგი თავდაპირველად ერეკლე II-ის კარზე მოღვაწეობდა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო და აქტიურ დიპლომატიურ მოღვაწეობაში ჩართულიყო. იგი გარდაიცვალა ერთ-ერთი ასეთი დიპლომატიური მისიის შესრულების დროს რუმინეთის ქალაქ იასაში 1791 წელს.

ერეკლეს ეპოქაში თბილისს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. იგი, ფაქტობრივად, მთელი ამიერკავკასიის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრად იქცა. მისი მოსახლეობა უაღრესად მრავალეროვანი იყო. მოქალაქეთა ეაჭარხელოსნურ ფენებს თავისებური ყოფა და ეთიკურ-მორალური წესები გააჩნდა. მოქალაქეთა ამ ფენების აზრებსა და სულისკვეთებას გამოხატავდა შესანიშნავი ამული პოეტი საიათნოვა. იგი ლექსებს სამ ენაზე წერდა - ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად (ქართული ასოებით). საიათნოვა ერთ დროს ერეკლეს კარის პოეტი იყო და ამით დიდადაც ამაყობდა:

„საქართველოს მეფის საზანდარი ეარ,
საიათნოვას - არუთინას იტყვიან“.

შესანიშნავი და თავისებური ქალაქური ელერადობისაა მისი საგრფიალო ლექსებიც, რომლებსაც აღტაცებით ამღერებდნენ თარზე, ღუღუკზე და სხვა აღმოსავლურ საკრავებზე. მისმა პოეზიამ დიდი სიყვარული და პოპულარობა დღემდე შეინარჩუნა.

XVIII ს-ის ბოლოს თბილისში თეატრიც დაარსდა, სადაც სპექტაკლებს დგამდნენ პროფესიონალი და ბოყვარული მსახიობები. ცნობილი დიპლომატი გიორგი ავალიშვილი რუსულიდან თარგმნიდა პიესებსა და კომედიებს. მან მეფე თეიმურაზზე და ერეკლეზე ორიგინალური პიესაც დაწერა. პიესებს წერდნენ და თარგმნიდნენ სხვა ავტორებიც. მაგალითად, მეფის მდივანბეგს დავით ჩოლოყაშვილს 1795 წელს გადმოუქართულებია რასინის ტრაგედია „იფიგენია“, რომელიც იდგმებოდა „სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის შესაქცეველად“. სხვაც არაერთი პიესა შექმნილა ამ პერიოდში. აღა-მაპმად-ხანის პემოსევამ და თბილისის აოხრებამ ბოლო მოუღო ქართულ თეატრსაც.



წმ. საბას ხაგი ჩხარიღას, დამწაღებული სოლომონ I-ის დაკვეთით 1780 წ.

ხელოვნების ძველი ტრადიციული დარგები - მსატვრობა, ხუროთმოძღვრება, ჭედური ხელოვნება და სხვ., რომლებმაც დიდ აყვავებას მიაღწია საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების პერიოდში, კვლავ დაქვეითებული და სახეშეცვლილია. ქვეყნის მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობა ნორმალური განვითარების საშუალებას არ იძლეოდა. აქა-იქ სდებოდა ეკლესიების მოხატულობის განახლება, ანდა შედარებით მდარე სარისხის ფრესკებით მოხატვა, ხელნაწერები იმკობოდა მინიატურებით. არც ხუროთმოძღვრებაში შექმნილა რაიმე მნიშვნელოვანი ძეგლი. ამ დროს აშენდა ქ. სიღნაღი თაეისი გალავნით, თელავის ციხე-გალავანი სამეფო რეზიდენცია-სასახლით, დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი („საჩინო") თბილისში და სხვ. დასავლეთ საქართველოში როსტომ რაჭის ერისთავმა სოფელ წესთან ააშენა ბარაკონის ეკლესია, რომელიც ქართული კლასიკური ტიპის ნაგებობების გვიანდელ, მდარე გამოძახილს წარმოადგენს.

ერთიანი საქართველოს მეფენი
(ბაგრატიონთა დინასტია)



ქართლის მეფენი



კახეთის მეფენი



ქართლ-კახეთის მეფენი



იმერეთის მეფენი



* ალნიშნული მეფეები რამდენჯერმე იქნენ გადაყენებული ტახტიდან და ხელახლა გამეფებულნი.

დამატებითი ლიტერატურა და წყაროები

შეკლებანი

თსუ შრომები - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.
მსკი - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.
სის - საქართველოს ისტორიის საკითხები.
მაცნე (ისტ.) - მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია).
АКАК - Акты, собранные Кавказскою Археографическою Комиссией.

პირველი ნაწილი

პირველი თავისათვის

პირველყოფილი-თემური წყობილება საქართველოში

ლიტერატურა:

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, **გ. მელიქიშვილის** რედაქციით, თბ. 1970.
ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს სანა), თბ., 1991.
ივ. ჯავახიშვილი, საქართველოსა, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.
Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.
О. Лордкипанидзе, Наследие древней Грузии, Тб.,1989.

მეორე თავისათვის

საქართველო ძველაღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში

ლიტერატურა:

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, **გ. მელიქიშვილის** რედაქციით, თბ., 1970.
Г. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954.
ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1960, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979.
ს. ჯანაშია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. I, 1949.
გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, თბ., 1949.
Н. Ломоури, Грузино-римские взоимоотношения, ч. I, Тб., 1981.
О. Лордкипанидзе, Наследие древней Грузии, Тб., 1960.
ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.
ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968.
მ. ინაძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ.., 1982.
მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
გ. ყორანაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნაწ. I, თბ. 1994.

წყაროები:

ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა, ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.
მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული პაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წ. I, თბ., 1963.
თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, წ. I, 1967; წ. II, 1969; წ. III, 1976; წ. IV, 1980; წ.V, 1983; წ. VI, 1987.
ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჭაღმაძის გამოც., თბ., 1961.
აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, ნ. ლომოურის გამოც., თბ., 1966.
აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, აკ. ურუშაძის გამოც., თბ. 1970.
პეროლოგეს ცნობები საქართველოს შესახებ, თ. ყაუხჩიშვილის გამოც., 1960.
თ. მიქელაძე, ქსენოფონტეს „ანაბაზისი", თბ., 1967.
ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ალ. გამყრელიძის გამოც., თბ., 1973.
დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ნ. ლომოურის გამოც., თბ. 1966.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს

ადრეფეოდალური ხანა

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, **შ. მესხიას** რედ., თბ., 1973.
ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1960; თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979; წ. II, თბ., 1965, თხზულებანი, ტ. II, 1983.
ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე, თბ., 1943-1950.
ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958.
ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზამე, შრომები, ტ. I, თბ., 1949.
ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, ტ. I, თბ., 1949.
ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, ტ. II, თბ., 1952.
ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში, თბ., 1991.
ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979.
მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ. 1979.
ნ. ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან (III ს. და IV ს. დასაწყ.), თბ., 1975.
ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989.
ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.

წ ყ ა რ ო ე ბ ი :

მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წ. I, თბ., 1963.
ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
იაკობ ცურტაველი, შუშანიკის წამება, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.
ევსტათი მცხეთელის მარტვილობა, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წ. I, თბ., 1963.
იოანე საბანისძე, აბო ტფილელის მარტვილობა, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წ. I, თბ., 1963.
ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტ. I, თბ., 1961; II, 1934; III, 1936; IV (ნაკვ. I და II), 1941.

ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი (სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ), თბ. 1968.
ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.
მ. ლორთქიფანიძე, პაბიბ იბნ-მასლამას დაცვის სიგელი, მსკი, ნაკვ. 29, თბ., 1951.

ᲔᲙᲝᲜᲮᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისი საქართველოში

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, **შ. მესხიას** რედ., თბ., 1973.
ნ. ბერძენიშვილი და სხვ..., საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958.
ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1943-50.
ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1965; თხზულებანი, ტ. II., თბ., 1983.
დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977; II, 1980.
დ. მუსხელიშვილი, ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (V-X სს.), მაცნე (ისტ.), 2, თბ., 1980.
დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკა და მისი კვლევის მდგომარეობა, მაცნე (ისტ.), I, თბ., 1986.
ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ბარშველის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975.
ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1968.
С. Джапашиа, О времени и условиях возникновения Абхазского царства, შრომები, ტ. II. თბ., 1952;
პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, მსკი, ნაკვ. 27, თბ., 1949.
მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბ., 1963.
თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.) თბ. 1982.

ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ:

სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატოვანთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ძველი ქართული პაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1963.
ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტ. IV (II), თბ., 1952.
იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (786-925), ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1965.
მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ლ. დავლიანიძე-ტატიშვილის გამოც., თბ., 1985.

მეხუთე თავისათვის

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა და განმტკიცება

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ზ. ანჩაბაძის და **ვ. გუჩუას** რედაქციით, თბ., 1979.

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1965. თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983.

ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, 1943-50.

ნ. ბერძენიშვილი და სხვ...; საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958.

ნ. ბერძენიშვილი, სავაჭირო ფეოდალურ საქართველოში, სის, წ. III, თბ., 1966.

XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, **შ. მესხიას** რედაქციით, თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1968.

შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.

შ. მესხია, ძლევაჲ საკეირველი (დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება), თბ., 1972.

რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1990.

გ. აკოფაშვილი, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XI-XII საუკუნეებში, თბ., 1984.

გ. აკოფაშვილი, რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 1992.

მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963.

წ ყ ა რ ო ე ბ ი :

სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატოვანთა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955. გ. არახამიას გამოც., თბ., 1990.

მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.

ცხოვრებაჲ მეფეთა მეფე დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.

ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, მ. შანიძის გამოცემა, თბ., 1992.

ისტორიანი და აზმანი მარავანდელთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.

ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისი თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.

ლამა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.

ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტ. V, თბ., 1963; ტ. VI, თბ., 1966; ტ. VII, თბ., 1967; ტ. VIII, თბ., 1970.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს **თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა,** თბ., 1984.

მეექვსე თავისათვის

საქართველოს „ოქროს ხანა“

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, ზ. ანჩაბაძის და **ვ. გუჩუას** რედაქციით, თბ., 1979.

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1965; თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983.

ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, 1943-50.
ნ. ბერძენიშვილი და სხვ..., საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958.
შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობილება XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.
რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
საქართველო რუსთაველის სანაში (კრებული), თბ., 1966.
XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, **შ. მესხიას** რედაქც., თსუ შრომები, ტ. 125, თბ., 1968.
შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, **ივ. ჯავახიშვილის** რედ., თბ., 1938.

წ ყ ა რ ო ე ბ ი :

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოერება, II, თბ., 1959.
ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისი თამარისი, ქართლის ცხოერება, II, თბ., 1959.
ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოერება, I, თბ., 1955.
ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ტ. VII, თბ., 1967; ტ. VIII, თბ., 1970.
ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., შეადგინეს და გამოს. მოამზადეს **თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა,** თბ., 1984.

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს

მონღოლთა ბატონობის ხანა

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, **ზ. ანჩაბაძის** და **ვ. გუჩუას** რედ., თბ., 1979.
ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1966; თხზულებანი ტ. III, თბ., 1982.
ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, 1943-50.
ნ. ბერძენიშვილი და სხვ..., საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958.
ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII-XIV სს., სის, წ. II, თბ., 1965.
ნ. ბერძენიშვილი, თათართა ბატონობის ხანა, სის, II, თბ., 1965.
ი. ციცაძე, მონღოლები და მონღოლთა დაპყრობანი, თბ., 1966.
დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, წ. I, თბ., 1962.
ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV სს.-ში, თბ., 1967.
კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974.
დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1975.

წ ყ ა რ ო ე ბ ი :

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.
ეკმთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამ., თბ., 1987; ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.

ძეგლი ერისთაეთა (ქსნის ერისთაეთა საგვარეულო მატიანე), **შ. მესხიას** გამოც., მსკი, ნაკე. 30, თბ., 1954.
გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, ნ. შომიაშვილის გამოც., თბ., 1961.
სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XIV სს.), **ქრ. შარაშიძის** გამოც., თბ., 1982.
პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, გ. ქიქოძის თარგმ., მსკი, 1942 წ., II ნაკე.;
გუილიომ რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, გ. ქიქოძის თარგმ., მსკი, 1942 წ., V ნაკე., 1943.
თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა, ძვ. სომხურიდან თარგმნა კ. კუციამ, თბ., 1987.
ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიკნაძის თარგმ., თბ. 1974.
Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави, Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны, перевод с арабского З. М. Бунятова, Баку, 1973.

ᲗᲔᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველო XV საუკუნეში. სამეფო-სამთავროებად დაშლა

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III, **ზ. ანჩაბაძის** და **ვ. გუჩუას** რედაქციით., თბ., 1979.
ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967; თხზულებანი, ტ. III, 1982.
ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1943-50.
ნ. ბერძენიშვილი და სხვ... საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958.
ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, სის, წ. II, თბ., 1965.
დ. გურგენიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.
დ. გურგენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), II, თბ., 1965.
ი. ციცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1965.
ნ. ასათიანი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (კახეთის სამეფოს წარმოქმნის საკითხისათვის), თსუ შრომები, ტ. 78, თბ., 1963.
ნ. ასათიანი, სათავადო, ქსე, VIII, თბ., 1984.
ნ. ასათიანი, ეგრა გამოხსნა-აღდგომისაკენ (რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე), თბ., 1983.

ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ:

ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., II, თბ., 1959.
ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა **ელ. მამისთვალიშვილმა,** თბ., 1981.
სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.), **ქრ. შარაშიძის** გამოც., თბ., 1982.
ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბ., 1961.
ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), მსკი, ნაკე. 30., თბ., 1954.

მესამე თავისათვის

„საქართველო XVI საუკუნეში“

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, **მ. დუმბაძის** რედაქ., თბ., 1979.

ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია თბ. 1943-50.

ნ. ბერძენიშვილი და სხვ... საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958.

ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ., 1968; თხზულებანი, ტ. III, თბ., 1982.

ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XVI საუკუნეში, სის, VI, თბ., 1973.

ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, სის, IV, თბ., 1968.

ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), თბ., 1922.

მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბ., 1971.

დ. გერიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVIII სს.), II, თბ., 1965.

შ. მესხია, ლუარსაბ I და სიმონ I, თბ., 1991.

ნ. ასათიანი, გგი გამოხსნა-აღდგომისაკენ (რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე), თბ., 1983.

მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში, თბ., 1976.

წ ყ ა რ ო ე ბ ი :

ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1959.

ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.

ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., ტფ., 1926.

იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1964.

პასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი ე. ფუთურიძის, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1966.

მაპ-თამაგის საუბარი ოსმალეთის ელჩთან, **კ. ტაბაგაძის** გამოც., თბ., 1976.

თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები, იტალიურიდან თარგმნა **ელ. მამისთვალიშვილმა,** თბ., 1987.

ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.), მსკი, ნაკვ. 30, თბ., 1954.

ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბ., 1961.

მეოთხე თავისათვის

საქართველო XVII საუკუნეში

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, **მ. დუმბაძის** რედაქ., თბ., 1979.

ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1943-50.

ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958.

ნ. ბერძენიშვილი, სის, წ. VI, თბ., 1973.

დ. გერიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.), II, თბ., 1965.
ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), თბ., 1922.
გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964.
შ. მესხია, ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში (XVII-XVIII სს.), საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983.
. . ტივაძე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990.
. ასათიანი, გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ (რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე), თბ., 1983.
გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში, თბ., 1987.
ი. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990.
ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბასტრიონამდე, თბ., 1977.
Н. Накашидзе, Грузино-русские политические отношения в I половине XVII века. Тб., 1968.

წ ყ ა რ ო ე ბ ი :

ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959.
ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., ტფ., 1926.
სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფ., 1913.
იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქ., თბ., 1939.
არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, არჩილიანი, ტ. II, ალ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქ., თბ., 1937.
ფეშანგი, მაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1935.
დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ბ. გიორგაძის გამოც., თბ., 1976.
არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ალ. ჭყონიას თარგმ., თბ., 1938.
ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), თარგმნა მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ელ. ფუთურიძის თარგ., თბ., 1969.
ისკანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, ნ. გელაშვილის თარგ., თბ., 1981.
ნ. ასათიანი, მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973.
Г. Жорданиа, З. Гамезардашвили, Римско-католическая миссия и Грузия, ч. I, Тб., 1994.

მ ე ხ უ თ ე თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს

საქართველო XVIII საუკუნეში

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, **მ. დუმბაძის** რედ., თბ., 1979.
ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, 1943-50.
ნ. ბერძენიშვილი და სხვ..., საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958.
ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნემი, ქართველი ერის ისტორია, წ. V, თბ., 1953.

ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიისათვის, სის, II, თბ., 1965.
ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XI-XVIII საუკუნეებში. სის, წ. VI, თბ., 1973.
მ. ქიქოძე, ეასტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საქმიანობა), თბ., 1988.
გ. პაიჭაძე, ეასტანგ მეექესე, თბ., 1981.
გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1958.
ვ.მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.
ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960.
ლ. ალექსიძე, საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1983.
შ. მესხია, ქალაქები და საქალაქო წყობილება ფეოდალურ საქართველოში (XVII-XVIII სს.), საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983.
მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბ., 1988.
მ. რეხვიაშვილი, იმერეთი XVIII საუკუნეში, თბ., 1982.
А. Рогава, Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II, Тб., 1974.

წ ყ ა რ ო ე ბ ი :

ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913.
პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ელ. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981.
ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ლ. მიქიაშვილის გამოც., თბ., 1989.
ნიკო დადიანი, ქართველთ ცხოვრება, მ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962.
იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოც., მსკი, ნაკვ. 28, 1950.
დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955.
იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, თბ., 1963.
თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თ. ენუქიძის გამოც., თბ., 1972.
თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ლ. მიქიაშვილის გამოც., თბ., 1983.
ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941.
გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ. I, თბ., 1962. ტ. II, თბ., 1964.
ლე გრანდ ლე ფუა საქართველოს მესახებ, ჯ. ოდიშელის თარგ., თბ., 1985.
ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII ს. მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II, თბ., 1968; ნაწ. III, ნაკ. I., თბ., 1988.
გეორგევსკის ტრაქტატი, ვ. მაჭარაძის გამოც., თბ., 1983.

მ ე ე ქ ვ ე ს ე თ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, მ. დუმბაძის რედ., თბ., 1979.
ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1943-50.
ნ. ბერძენიშვილი და სხვ..., საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), I, თბ., 1958.

ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, ქართველი ერის ისტორია, წ. V, თბ., 1953.
ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XVIII საუკუნეში, სის, II, თბ., 1965.
ი. ცინცაძე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი), თბ., 1969.
ს. კაკაბაძე, კრწანისის ომი, თბ., 1991.
პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978.
მ. გონიკამვილი, იმერეთი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1979.
ს. ავალიანი, ანტონ პირველი (ბაგრატიონი), თბ., 1987.
კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; ტ. II, თბ., 1958.

წ ყ ა რ ო ე ბ ი :

თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ლ. მიქიაშვილის გამოც., თბ., 1983.
თეიმურაზ ბაგრატიონი, მეფე ერეკლეს მოკლე ისტორია, მოსე ჯანაშვილის (ესომ) გამოც., გაზ. „ივერია", 1891 წ. №№51-56.
თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, თ. ენუქიძის გამოც., თბ., 1972.
ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941.
დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1951.
იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1957.
იოანე ქართველიშვილის მემუარები, ა. იოსელიანის გამოც., თბ., 1952.
Жизнъ Артемия Араратского, изд. К. Н. Григоръяна при участии Р. Р. Орбели, М., 1981.
П. Б. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, часть I-III, СПБ., 1869.
АКАК, т. I, Тифлис, 1866.

შინაარსი

პირველი ნაწილი

I თავი

პირველყოფილი-თეიმური წყობილება საქართველოში

ძველი ქვის ხანა 3
წარმოებითი მეურნეობის დასაწყისი. შუა და ახალი ქვის ხანა 9
ლითონის გამოყენების დაწყება. ენეოლითი და ადრე ბრინჯაოს ხანა 13
შუა ბრინჯაოს ხანა. ბრწყინვალე ყორღანული კულტურა 18
გვიან ბრინჯაოს ხანა საქართველოში. რკინის შემოსვლა 23
ქართველი ხალხის წარმომობის საკითხი 26

II თავი

საქართველო ძველაღმოსავლურ და ანტიკურ ხანაში

ქართველ ტომთა ადრეკლასობრივი გაერთიანებანი და უძველესი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე 30
საქართველო აქემენიდურ ხანაში (ძვ. წ. VI-IV სს.). დიდი ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთის (ეგრისის) სამეფო 36
ქართლის (იბერიის) სამეფო, ძვ. წ. IV-II საუკუნეებში 43
რომის გავლენის დამყარება საქართველოში 49
საქართველო ახ. წ. I საუკუნეში 53
საქართველო II-III საუკუნეებში 58
კულტურა ანტიკური ხანის საქართველოში 66

III თავი

ადრეფეოდალური ხანა

ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში 73
ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება 76

ქართლის წინააღმდეგ ირანის აგრესიის გაძლიერება 79
დასავლეთ საქართველო IV-V საუკუნეებში 81
ვახტანგ გორგასლის მეფობა 84
მეფობის გაუქმება ქართლში. ქართლი VI საუკუნეში 92
დიდი ომიანობა ეგრისში 94
ქართლის განთავისუფლება ირანელთა ბატონობისაგან და
ერისმთავრის ხელისუფლების დაწესება. 99
IV-VII საუკუნეების ქართული კულტურა 106
არაბთა ბატონობა საქართველოში 115

IV თავი

განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისი საქართველოში

ეკონომიკური და სოციალური განვითარება VIII-IX საუკუნეებში 122
ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა 127
სამეფო-სამთავროების ბრძოლა საქართველოში პირველობისათვის 135
ქართული კულტურა VIII-X საუკუნეებში 140

V თავი

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა და განმტკიცება

საქართველოს გაერთიანების სოციალურ-ეკონომიკური და
პოლიტიკური საფუძვლები 146
ბაგრატ III - ერთიანი საქართველოს პირველი მეფე. გიორგი I 148
ბაგრატ IV, გიორგი II. საქართველოს საშინაო და
საგარეო ვითარება XI საუკუნეში 153
მეფე დავით IV აღმაშენებელი 158
საქართველო დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს.
დემეტრე I, გიორგი III 174

VI თავი

საქართველოს „ოქროს ხანა“

თამარის მეფობა 178
გიორგი IV (ლაშას) მეფობა 189
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური
მდგომარეობა XI-XII საუკუნეებში 191
სახელმწიფო წყობილება XI-XII საუკუნეების საქართველოში 197
ქართული კულტურა XI-XII საუკუნეებში 200

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი

ფეოდალური საქართველოს დაქვეითება-დაცემის პერიოდი (XIII-XVIII სს.)

I თავი

მონღოლთა ბატონობის ხანა

მონღოლთა პირველი გამოჩენა და ჯალალ ედ-დინის შემოსევები 213
საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ 217
მონღოლთა ბატონობის პირველი პერიოდი საქართველოში 218
საქართველოს აღწერა მონღოლთა მიერ და მონღოლური
საგადასახადო სისტემა. დავით ულუს აჯანყება 221
დემეტრე II თავდადებული. ბრძოლები მონღოლთა წინააღმდეგ
XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დასაწყისში 224
საქართველოს გათავისუფლება მონღოლთა ბატონობისაგან.
გიორგი V ბრწყინვალე 226
ოემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და მისი შედეგები 232

II თავი

საქართველო XV საუკუნეში. სამეფო-სამთავროებად დაშლა

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა
XV საუკუნეში და სათავადოთა სისტემის აღმოცენება 235
საქართველო XV საუკუნის I ნახევარში. საგარეო-პოლიტიკური
პირობების გაუარესება 239
საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად 241
კახეთის ცალკე სამეფოს ჩამოყალიბება 243
კახეთის სახელმწიფოებრივი მოწყობა 244
თეთრბატკნიან (აღ-ყოინლუს) თურქმანთა ლაშქრობანი საქართველოში .. 245
ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო-პოლიტიკური
ურთიერთობანი XV საუკუნის ბოლოს 247

III თავი

საქართველო XVI საუკუნეში

საქართველოს მეზობლები XVI საუკუნეში 252
ქართლის სამეფო XVI საუკუნის პირველ მეოთხედში. დავით X 253
ქართლის მეფე ლუარსაბ I 256
იმერეთის სამეფო და სამცხის სამთავრო XVI საუკუნის პირველ ნახევარში . 260

კახეთის სამეფო XVI საუკუნეში 265
ქართლისა და კახეთის სამეფოები ირან-ოსმალეთის მეორე ომის წინ 267
ირან-ოსმალეთის მეორე ომი და საქართველო 269
კახეთის შესვლა რუსეთის მფარველობაში 274
ქართლის ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ
XVI საუკუნის 90-იან წლებში 276
სამცხე-საათაბაგოს საბოლოო დაპყრობა თურქ-ოსმალთა მიერ 278

IV თავი

საქართველო XVII საუკუნეში

შაპ აბასის შემოტევა კახეთზე XVII საუკუნის დასაწყისში 280
კახეთის აოსრება ყიზილბაშთა მიერ 281
გიორგი სააკაძე 285
მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები 289
ბაზალეთის ბრძოლა და გიორგი სააკაძის დაღუპვა 291
თეიმურაზ I - ქართლ-კახეთის მეფე 293
როსტომ-ხანის მმართველობა 295
სახალხო აჯანყება კახეთში 1660 წელს 299
ქართლისა და კახეთის სამეფოები XVII საუკუნის ბოლოს 303
დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში 306
აფხაზეთი XVII ს-ში 310
ქართული სამეფო-სამთავროების სოციალურ-ეკონომიკური
მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში 311
ქართული კულტურა XVI-XVII საუკუნეებში 317

V თავი

საქართველო XVIII საუკუნეში

ქართლი ვახტანგის ჯანიმინობის დროს 321
სულხან-საბას ელჩობა საფრანგეთში 324
ურთიერთობა რუსეთთან 325
„ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“ XVIII საუკუნის
აღმოსავლეთ საქართველოში 329
თეიმურაზ-ერეკლეს ერთობლივი მეფობა ქართლ-კახეთში 334
დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში 340
ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ურთიერთობა რუსეთთან . . . 342
იმერეთის მეფე სოლომონ I 344

რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო 346
სამხედრო, სამეურნეო და ეკონომიკური ღონისძიებანი.
მართვა-გამგეობის მოწესრიგება 350
იმერეთი რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ 352
გეორგიევსკის ტრაქტატი 353
ტრაქტატის შედეგები 358
იმერეთის შემოერთების საკითხი 359

VI თავი

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება

კრწანისის ბრძოლა 361
ერეკლეს მეფობის ბოლო წლები 364
გიორგი XII. ქართლ-კახეთის ანექსია რუსეთის მიერ 365
ქართული კულტურა XVIII საუკუნის II ნახევარში 367
საქართველოს მეფეთა (ბაგრატიონთა) გენეალოგიური ცხრილები 373
დამატებითი ლიტერატურა და წყროები თავების მიხედვით 377